



2(8)
2014

საგურამო

ლიტერატურული ჟურნალი

SAGURAMO
literary
journal
САГУРАМО

2(8)

მარტი-აპრილი

2014

შინაარსი

თანამდევნი სულაბი

3. ვაჟა-ფშაველა რა არის თავისუფლება

კრიტიკა

6. ემზარ კვიციანი „თანამდევნი უკვდავი სული“

კინოსტენარი

28. რეზო ესაძე „Nomen Nescio“

დოკუმენტური პროზა

75. როსტომ ჩხეიძე კომპიუტერის რომანტიკა, კომპიუტერის ტრაგიზმი

მასტიკლასი

93. ლევან ბრეგაძე ანოტაცია და რეცენზია

რეცენზია

101. ივანე ამირხანაშვილი ყველაზე მეტაფიზიკური რომანი

104. გიორგი ალიბეგაშვილი ნიგნი, სიყვარულით დაწერილი

ახალი თარგმანები

107. ანდრე მორუა დონ ჟუანი ანუ ცხოვრება ბაირონისა (თარგმნა დავით კახაბერმა)

147. გრიგოლ რობაქიძე პოლ ვალერი (თარგმნა მანანა კვატიაძემ)

151. ჯულიან ბარნსი ექსპერიმენტი (თარგმნა ეკა ჭკადუამ)

161. ალფრედ შიჩოკი ისტორიები, ღამე რომ არ დაგაძინებენ (თარგმნა დავით აბულაძემ)

მთავარი რედაქტორი
ანდრო ბაღვაძე

რედაქტორები
ივანე ამირხანაშვილი
ურბნე შარაზადიშვილი



ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების
გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმე-
ბლად დაუშვებელია

ტელ.: 551 18 37 76
saguramomag@gmail.com



ვაჟა-ფშაველა

რა არის თავისუფლება

ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ამ სიტყვებით გაიჟღერა არა მარტო ადამიანთა ყურები, არამედ ქვებიცი კი; არა დროს ჩვენის ქვეყნის დაარსების შემდეგ, არა გვგონია ასე მძლავრად და საყოველთაოდ როდისმე ჰსმენოდეს საქართველოს ეს სამი სიტყვა, როგორც ესმა მას ამ წარსულ 1904–5 წლებში და დღესაც ესმის და მომავალ წლებშიც გაიგონებს.

მაშასადამე, უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს თუ რაა ერთი, მეორე ან მესამე. ორს ტერმინს რომ სულაც თავი დავანებოთ და მხოლოდ მესამის ძალა, ე.ი. რას ჰქვია თავისუფლება, ის შევიგნოთ, ესეც კმარა, რადგან ძმობა, ერთობა მარტოდენ შტოები იმ ხისა, რომელსაც თავისუფლება ჰქვია. საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეჰხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას; მგლების ბანაკი ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით ცხვრის ფარა, საცა ნავარდობენ მგლები, საცა მგლები ბუდობენ, იქ ცხვრები რას იხეირებენ? ან რა ძმობა შეიძლება მათ შორის? თუ შეუძლებელია, მოუთავსებელი და მოუხერხებელი მგლები-სა და ცხვრების შეერთება, რადღა ვყვიროთ, რად ვიძახოთ ამ ძმობა-ერთობას? ვიძახოთ და უნდა ვიძახოთ, მაგრამ მგლებს ხომ არ ვეძახოთ, არამედ დაქსაქსულ-დაფანტულს, დანიოკებულს ცხვრებს, რომ მოუყარონ თავისთავს, შეერთდენ, მოიფიქრონ როგორ მოუარონ თავისთავს, რათა მგლების საჭმელ ლუკმად აღარა ხდებოდნენ, უნდა გამოძებნონ საფარი და გზა სავალი. მგლებს ამ დროს იქ რა ესაქმებათ? ამ დაძახილზე ისი-

ნი თითქოს ყურსაც იყრუებენ, არც მოვლენ, ხოლო თავისიანებს, გაგიმარჯოსთ, რომ მგლებიცი კი ძმობა-ერთობას უქადაგებენ. თუ ასე არ მოიქცნენ, ხომ დაეკარგათ ძალა და ცხვრებმა სათითაოდ, თუმც ამ უკანასკნელთ არა აქვთ გააღმასებული კბილები, გაათავეს რქებით და ჩლიქებით?! ძმობა ხომ იმას მოასწავებს, როცა ერთს მგელს გაუჭირდება, მეორე უნდა მიეშველოს. ეგრეთვე თუ ცხვარი – ცხვარს.

მაგრამ, მაგარი ის არის, რომ მგლებს ისე არ ესაჭიროებათ ერთობა, როგორც ცხვრებს, რადგან თვითუღს მგელს საკმაო ძალა აქვს ცხვრებთან საბრძოლველად, – ძალა, რასაკვირველია, ფიზიკური, რომელსაც ისინი ხმარობენ ცხვრებზე. ცხვრების ძლიერება კი ერთადერთი ზნეობრივი ძალაა

დღესნამდის ჩვენ ცხვრები ვიყავით და ვართ კიდევაც, ხოლო ვინც მგლები არიან, ეს თქვენც კარგად იცით. ჩვენ ვიტანჯებოდით, ვირბოდით და ამ რბევა-ცარცვამ გვაფიქრებინა მიგვემართა ერთობისათვის, ერთი პირი, ერთი ფიქრი მოგვეპოვა და ამით შავვეძინა ძალა. ჩვენ მოვისურვეთ თავისუფლება: განუკითხავად არ ეჭამა და ეპარსა ჩვენი თანამომენი მოსისხლე მხეცებს ჯერჯერობით ამაში გამოიხატება ჩვენი წადილი თავისუფალი სიცოცხლისა, რომ ძალმომრეობას გზა მოვტაცოთ და თანდათან სრულიადაც მოვსპოთ იგი.

თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდომა-მისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელება ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა გან-

სვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთიერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი.

იქ რა უნდა თავისუფლებას, საცა ჩემი ნაშრომ-ნაღვანი სხვას მიაქვს? ჩემი ნაშრომის ნაყოფს ჩემდა უნებურად, ჩემ მიერ ნებადაურთველად სხვა ისაკუთრებს? მე ვტირი, ის იცინის და ჩემში მტაცებლის მიმართ მხოლოდ ზიზღი და გრძობა შურისძიებისა სდულს და გადმოდის. მინდა ვისწავლო და ნება არ მეძლევა; მინდა ჩემი საკუთარის ხარჯით დავაარსო უნივერსიტეტი და უარს მეუბნებიან; და სხვ. და სხვ.

არ მინდა ვილოცო ის მშვენივრად მორთულ-მოკაზმული კერპი, რომელსაც შენ ჰლოცულობ.

იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემს დედაენაზე ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც მამღერებენ, არც მაგალობებენ?! რა გული უნდა მქონდეს მაშინ? რას უნდა ვგრძობდეთ?! – სხვას არაფერს, გარდა ზიზღისა, მძულვარებისა. მონამლულ-მოშხამულია ჩემი სიცოცხლე, ვგრძობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულვილს და ვწყევლი იმ ძალებს, იმ მგლებს, რომელნიც ყველა ზემორე აღნიშნულ საქმეში ხელს მიშლიან, წინ მეღობებიან და ვუცდი მარჯვე შემთხვევას, შევმუსრო ისინი როცა ეს დრო დგება და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასათრგუნად, მაშინვე იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება; აქ არის დასაწყისი თავისუფლებისა. და უკეთუ ვითმენ, ხმას არ ვიღებ, არაფერს ვამბობ, მაშინ ვარ მონა, არა მძულს ჩემი მჩაგვრელი ძალა; იქნება მძულს კიდეც, მაგრამ ამ მძულვარებას გულში ვმაღავ; მაშინ ვარ ლაჩარი, უფრო საზიზღარი, ვიდრე მონაა. არა, მძულვარება როცა უკიდურესობამდეს მიდის, მაშინ ლაჩრული გრძობა ისპობა, მაშინ ამბობს ადამიანი: ან მოვკვდები, ან ვძლეე ჩემს მტანჯველთ!..

არ იძლევა, არ დამარცხდება მჩაგვრელი ძალა, არ დაფრთხება მგლის ჯოგი, ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა. იტყვის კი როდისმე ერი გადაჭრით, თავ-გამოდებით „სიკვდილი ან სიცოცხლე“ (ე. ი. თავისუფლება)?! – იტყვის და ამბობს კიდეც, ამას ჩვენის თვალთ ვხედავთ. აშკარად ვგრძობთ ყველანი მამსადამე, სჩანს მისმა მძულვარებამ მგლებისადმი უკიდურესობამდე მიაღ-

წია. თუ ეს ფაქტია, ნამდვილი მოვლენა, მაშინ იცოდეთ, სიკვდილი აღარ შეგვაშინებს, მაშინ ყველა მზად იქნება თავი დასდოს თავისუფლებისათვის და გამარჯვებაც უსათუოა. ამიტომ, ვიმეორებ. ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყნად, ჯერ უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძულოს მთელის თავის არსებით, გულით და გონებით მტარვალნი და მტარვალობა. ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით ადამიანს შეუძლიან მედგრად იბრძოლოს და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოვებლად. და რა არის ეს თავისუფლება, რატომ არ იკითხავთ? უკაცრავად ნუ ვიქნები, რომ მე ჩემებურად განვმარტო ეს სიტყვა: თავისუფლება ხალხისთვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა. ბედნიერებანართმეულს რა ჰრჩება უბედურების მეტი? – არაფერი. კიდეც იმიტომ არის, რომ უბედურად ჰგრძნობს თავის თავს ყველა დამონებული, თავისუფლებას მოკლებული ერი და პიროვნება. წამრთმეველნი სარგებლობენ ამ ნაყაჩაღარის ბედნიერებით მხოლოდ ცოტახანს, რადგან ცხოვრების ლოლიკის წყალობით ეს ნადავლი, მოპარული ბედნიერება მტაცებელთათვის უბედურებად ხდება. გადაავლეთ თვალი მთელს რუსეთს და ჩვენს ქვეყანას. აშკარად დაინახავთ, რომ ეს ასეა. დღეს ხალხი იბრუნებს იმას, რაც წაართვეს და წართმეული გახლავთ, მოკლედ რომ ვსთქვათ, ბედნიერება – წამრთმეველი დღეს ტირის, ხოლო გაცარცული მღერის, მხიარულობს, რადგან დანაკარგს პოულობს. წართმეულს იბრუნებს. თავისუფლების ქურდები ბოლო ჟამს მუდამ დასჯილან. როდისა დგება ეს ბოლო ჟამი? – სწორედ მაშინ, როცა ხალხი თვალებს ახელს, როცა თავის ყოფა-მდგომარეობის აუტანლობასა ჰგრძნობს და ჰხედავს, გაიცნობს იმ შავ ძალებს, რომელთაც წაართვეს ბედნიერება, – სძულს ისინი უსაზღვროდ; სწორედ მაშინ ცდილობს შემუსროს თავის დამმონებელნი.

რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი? – თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მართლული ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდან ყოველი ავაზაკი თავისუფლად

იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის. მაშასადამე, მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, – არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამავნებლო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის. ყველა ჩვენგანი ხალხისათვის. მოტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელში როდია თავისუფლება, იგი იქცევა მტარვალობად. ამ თავისუფლებისას მტარვალნი ათასნაირს ჯაჭვ-ბორკილებს სჭედენ, ხაფანგებს, გაზებს, თავში სცემენ კვერებს და საღრჩობელის ბოძებს სდგამენ ხალხს ამ თავისუფლებისაგან შეზავებულს შხამნალველს, სანამლავს უმზადებენ და იმას აწვდიან. ბოლოს კი თითონ რჩებიან მონამლულნი. ისტორია ამის მაგალითებს უხვად იძლევა. ხალხი იტანს ამ სანამლავს, იგი ისევ ხალხად რჩება, იმარჯვებს, ხოლო მტარვალთა გული მინაზე ერთხობა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების წართმევა უფრო იმათ ჰვნებს, ვინც თავისუფლებას ჰპარავს, ართმევს ხალხს და ჰსურს იმით მარტო თავად ისარგებლოს. თავისუფლების მტაცებლებზეა სწორედ ზედ გამოჭრილი ქართული ანდაზა: „ვირმა პალო მოაძრო და იმდენი სხვას არა ჰკრა, რამდენიც თითონ იკრაო“.

ხალხის მმართველნი, რომელნიც ამ უაღრესს უგუნურებას ჰშვებიან და ხალხის მონებად გადაქცევას ცდილობენ, გარდა იმისა, რომ თავიანთ წოდებას ჰხრწნიან ზნეობრივ და ფიზიკურად, ხალხსაც აფუჭებენ. დამონებული ერი მუდამ ბეჩავია შინაურობაში და რა თქმა უნდა ბეჩავი და სუსტი გარეშე მტერთან საბრძოლველად. ამის დამამტკიცებელი მაგალითი დღევანდელი რუსეთია, რომელიც პატარა იაპონიას დაეტაკა და რქები შემოიმტვრია.

მაშასადამე, თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ე. ი. ბედნიერი თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია.

ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განანილებული ცოდნა, ქონება.

მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა.



ემზარ კვიციანი

„თანამდები უკვდავი სული“

ზოგიერთი დაკვირება ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“
კომპოზიციასა და დედააზრზე

„აჩრდილი“ ილია ჭავჭავაძის ერთი უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ქმნილებაა და ბუნებრივია, რომ პოეტის საპროგრამო შეხედულებები, მისი მსოფლმხედველობის ძირითადი მიმართულება, მამულის აღორძინებისა და მისი თავშენიწეული სამსახურისათვის გზების ძიება ყველაზე ნათლად ამ პოემაში გამოიკვეთა.

ილიას შემოქმედების ნოვატორული ხასიათი იმთავითვე განსაზღვრავდა, რომ იგი პოემის ჟანრულ სპეციფიკასაც თავისებურად მიუდგებოდა და აქაც თვალსაჩინო სიახლეს გამოავლენდა.

ცხადია, ამ მხრივ, ილია ჭავჭავაძე უყურადღებოდ არ დატოვებდა რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული სკოლის მდიდარ გამოცდილებას, რაც კიდევაც არის მინიშნებული ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში; მისთვის არც ლერმონტოვის ცნობილი გამოხატულება არ იქნებოდა უცხო და მოულოდნელი. ვგულისხმობთ ლერმონტოვის მრავალმხრივ ანგარიშგასანევი, შეგნებული ფრაგმენტების სახით გამთლიანებული ირონიული ტონალობის პოემის „ზღაპარი ბავშვთათვის“ (რუსული) დასაწყის სტრიქონებს:

**Умчался век этических поэм,
И повести в стихах пришли в упадок.**

(ჟამი ეპიკურ პოემათა წარსულს ჩაბარდა,
ამბები ლექსად მოთხრობილი,
ნაკლებად ფასობს.)

ამჟამად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ პოემის ჟანრისადმი ასეთი მიდგომა ბაირონისგან იღებს სათავეს.

პოემის კომპოზიციურ აღნაგობასთან

მიმართებაში ილიას უახლოეს და უშუალო წინამორბედად ნიკოლოზ ბარათაშვილი უნდა მივიჩნიოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ავტორი „აჩრდილზე“ მსჯელობისას ამ ნაწარმოებს ძალზე შორეულ ფესვებს უძებნის, თუმცა ასეთ თვალსაზრისს სათანადო დასაბუთება და ღრმა ტიპოლოგიური ანალიზი ესაჭიროება.

ჩვენ ვერც იმას ავუვლით გვერდს, რომ რამდენიმე მკვლევარი საკამათოდ ხდის „აჩრდილის“ მიკუთვნებას პოემის ჟანრისადმი, რაც ეტყობა ილიას დიდებული ქმნილების ნოვატორულმა ბუნებამ, გაბედულმა ფორმისმიერმა ძიებებმა განაპირობა.

საბოლოოდ შეუძლებელია არ ვირწმუნოთ, რომ „აჩრდილი“ ახალი ტიპის ქართული პოემაა და მან ნაყოფიერი ნიადაგი მოამზადა, სათავე დაუდო ქართულ ლიტერატურაში ამ ჟანრის შემდგომ განვითარებასა და გამრავალფეროვნებას.

ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება, რამდენიმე ნიმუში მოვიტანოთ იმისა, როცა ეეჭვებოდათ ილიას შედეგის მკაცრად მოფიქრებული კომპოზიციური მთლიანობა და ამის გამო პოემად არ ესახებოდათ იგი.

თავდაპირველად უნდა გავიხსენოთ ილიას თანამედროვის გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსის აზრი, რომელმაც ზუსტად განსაზღვრა ამ პოემის ხასიათი და მიმართულება, იგი ყოველგვარი დაეჭვების გარეშე წერდა:

„ი. ჭავჭავაძის „აჩრდილი“ ხომ ლირიკული პოემაა... „საზოგადოების კვნესისა და გოდების“ გამომთქმელი“ (ილია ჭავჭავაძე ქართული ლიტერატურულ კრიტიკაში გვ. 221).

კიტა აბაშიძის ეს მართებული შეფასება რომ უყოყმანოდ არ იქნება გაზიარებული,

ამას მეორე შესანიშნავი კრიტიკოსის გერონტი ქიქოძის მაგალითი მოწმობს.

„აჩრდილის“ დიდ ლიტერატურულ ღირსებებს კარგად ხედავდა გერონტი ქიქოძე, მაგრამ მაინც აღნიშნავდა: „ ეს ნაწარმოები თუმცა პოეტურ ფორმებშია ჩამოსხმული, მაგრამ თავისი შინაგანი ხასიათით ეთიურს ან პოლიტიკურს ტრაქტატს უფრო ჰგავს, ვიდრე პოემას“.

ისიც სათქმელია, რომ გერონტი ქიქოძე ამ აზრისა ბოლომდე არ ყოფილა და მოგვიანებით, ილიაზე დაწერილ ნარკვევში „აჩრდილი“, უყოყმანოდ პოემად იხსენიება.

უფრო რადიკალურია ოცდაათიანი წლების კრიტიკოსის პოლიხრონ ცინცაძის შეფასება. იმის გამო, რომ ტრადიციულად გაგებული სიუჟეტი არ იყო ამ ნაწარმოებში, ვერ იგრძნო პოემის მთლიანობა და იგი ცალკეულ, ერთმანეთთან ხელოვნურად დაკავშირებულ ლექსებად მიიჩნია:

„აჩრდილი“ პოეტის შინაგანი განცდის ღრმა ლირიკული მომენტების შემცველია, და ამიტომ მისი ნაწილების ერთიმეორესთან დაუკავშირებლობა მას სიუჟეტურ მთლიანობის გარეშე აყენებს და მის ცალ-ცალკე მოკლე ლექსებადაც დაშლა სავსებით შესაძლებელია, მაგრამ თუ პოეტმა ისინი ერთად შეჰკრიბა და პოემის სახით მოგვცა, მოგვცა იმიტომ, რომ მათ მთლიანად საქართველოსა და ქართველი ხალხის ანწყობა, წარსულისა და მომავლის ყოფა აკავშირებს ერთი მეორესთან ძლიერად. ამიტომ ყველა ასეთი სახის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლექსები პოეტს ერთად შეუკინძავს და მთლიანად მისთვის „აჩრდილი“ უწოდებია...

„აჩრდილი“ ცეცხლია, სხვადასხვა მასალით სხვადასხვა ადგილას ანთებული, მაგრამ არ არის მთლიან ხანძრად აღმოხეთქილი და ერთიანობის ნათელი სხივებით შეკრული“ (პ. ცინცაძე, ილია ჭავჭავაძე, სოციალ-ეკონომიური მრწამსი და შემოქმედება, თბ. 1938, გვ.182).

ვფიქრობთ, არც არის საჭირო საგანგებო მსჯელობა, რომ ასეთი თვალსაზრისი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და აშკარა გაუგებრობას ემყარება; მის გასაბათილებლად „აჩრდილის“ დაკვირვებით ნაკითხვაც იკმარებს.

გურამ ასათიანი, რომელმაც განსაკუთრებული ამაგი დასდო მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსთა (აღიქსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა) მეცნიერულად შესწავლის საქმეს, არ იყო თანმიმდევრული

„აჩრდილის“ შეფასებაში და, ამდენად, წინააღმდეგობას წააწყდა. ეს უფრო იმიტომ მოხდა, რომ ნიჭიერ მკვლევარს რატომღაც გაუჭირდა „აჩრდილის“ ჟანრობრივი სახის დადგენა:

„განსაკუთრებით ორიგინალურია თავისი ფორმით „აჩრდილი“. ასეთი პოემა შეიძლება დანერვილიყო მხოლოდ ბაირონის „ჩაილდ-ჰაროლდისა“ და აქედან მომდინარე ეპიკური ჟანრის მწვავე კრიზისის გარკვეულ საფეხურთა გავლის შემდეგ, რაც XIX საუკუნის ქართულ პოეზიასაც შეეხო. მაგრამ „აჩრდილი“ ლირო-ეპიკურ ჟანრსაც კი არ განეკუთვნება. ეს არის სინამდვილეში დიდი ლექსი, რომლის კომპოზიციური აღნაგობა არსებითად ლირიკული ხასიათისაა, ოღონდ შინაარსის შესაბამისად, ფართო, მონუმენტური მასშტაბით გააზრებული“ (გ. ასათიანი, ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე, თბილისი 1974, გვ.227).

არ არის საკამათო, რომ ილიას ამ ნაწარმოების „კომპოზიციური აღნაგობა არსებითად ლირიკული ხასიათისაა“. ამავე დროს „შინაარსზე“ საგანგებო მითითება ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ პოემასთან გვაქვს საქმე. „დიდი ლექსი“ კი „აჩრდილს“ მხოლოდ მეტაფორულად თუ შეიძლება დავარქვათ.

ვერ შევედავებით გურამ ასათიანს, როცა იმავე ნიგნში წერს: „ილიას დროინდელ ქართულ პოეზიაში „აჩრდილი“ არსებითად ნოვატორულ ნაწარმოებს წარმოადგენდა“ (იქვე, გვ. 227).

ამ ნაწარმოებში პუბლიცისტური ნაკადის სიჭარბე, ვფიქრობთ, მაინც არ აძლევდა მკვლევარს ასეთი ცალმხრივი განცხადების საბაზს:

„აჩრდილი“ პუბლიცისტური შინაარსის ნაწარმოებია, რომელსაც პირობითად თუ შეიძლება ეწოდოს პოემა“ (იქვე, გვ. 226).

შეიძლება ითქვას, რომ „აჩრდილს“ ბევრი აქვს საერთო რევოლუციურ-რომანტიკულ და ფილოსოფიურ-სიმბოლურ პოემებთან. ამაში აშკარად გვარწმუნებს რუსი მკვლევარის ირინა ნეუპოკოევას ნაშრომი: „XIX საუკუნის პირველი ნახევრის რევოლუციურ-რომანტიკული პოემა. ჟანრის ტიპოლოგიის ცდა“.

კერძოდ, ძალზე მნიშვნელოვანი და რეალური ვითარების ამსახველია ხსენებული ნიგნის ავტორის შემდეგი დაკვირვება:

„პოემის ჟანრის განახლებისა და პოეტური თხრობის ახალ ფორმათა განვითარებისადმი მისწრაფება, რაც შეესაბამებოდა მის

საგანს — თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და სულიერ პრობლემებს, — იყო რევოლუციურ რომანტიკოსთა ესთეტიკური აზრის განვითარების ღრმად გაცნობიერებული პროცესი.

პოემის ჟანრის ტრადიციული ფორმა (თვით ეს ტრადიციები სხვადასხვა ლიტერატურებში ბევრნილად განსხვავებულია) და ამ ჟანრის განვითარების შემაფერებელი ნორმატიული ფორმებისგან განთავისუფლება გაიაზრებოდა, როგორც ერთ-ერთი უთვალსაზიროესი პირობა, რის მეხებითაც პოეზიამ აღმოაჩინა ახალი ცხოვრებისეული მასალა, რომელიც მისივე მხატვრული „ორგანიზაციის“ ჩვეულ წესებს აღარ „ემორჩილებოდა“ პოემას უნდა მოშორებოდა შინაარსისა და ფორმის ტრადიციულობის „აღვირი“, სინამდვილესთან ურთიერთობის ახალ სფეროში, სადაც ამჟამად შედიოდა, მას მოქმედების მეტი თავისუფლება უნდა მისცემოდა“ (ირინა ნეუპოკოევა, დასახ. ნიგნი, გვ. 42).

შეიძლებოდა თამამად გვეთქვა, რომ „აჩრდილი“ საკმაო მასალას იძლევა აქ წარმოდგენილი თვალსაზრისის საილუსტრაციოდ.

„აჩრდილში გამოძახილი ეძებნება ირინა ნეუპოკოევას შემდეგ გამონათქვამსაც:

„რევოლუციურ რომანტიკოსთა ფილოსოფიურ-სიმბოლური პოემა მსოფლიოს ტრაგიკული მოუწყობლობისა და ამ უსამართლობის წინააღმდეგ ზნეობრივი აუცილებლობით ნაკარნახევი ჯანყის პრობლემებისადმი მიმართული“ (იქვე, გვ. 144).

მკვლევარის შემდეგი ციტატა კიდევ უფრო ზუსტად ესადაგება „აჩრდილში“ გამოხატულ აზვრთებულ ჩაგრულთა ჯანყის სულს, რაზედაც ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით. ირინა ნეუპოკოევა თითქოს საგანგებოდ ამ მომენტს უსვამს ხაზს, როცა წერს:

„თუმცა ფილოსოფიურ-სიმბოლურ პოემაში არა მხოლოდ პიროვნების პროტესტი ისმის. მასში სულ უფრო მომეტებულად აისახება უკმაყოფილო ხალხის მღელვარება და მსოფლიო სოციალური და სულიერი მონობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი“ (იქვე, გვ. 145).

მკვლევარი, სხვათა შორის, განიხილავს ჰაინეს პოემას „გერმანია. ზამთრის ზღაპარი“ და საგანგებოდ ჩერდება ამ ნაწარმოების წამყვან თავისუფლების ხატზე. იგი, მკვლევარის თქმით, ერთ-ერთი საკვანძოა რევოლუციურ-რომანტიკულ ხელოვნებაში. გა-

ვიხსენოთ რა დიდი ადგილი უკავია თავისუფლების ხატს ილია ჭავჭავაძის ორ პოემაში - „აჩრდილსა“ და „ქართლის დედაში“.

ცხადია, მსოფლიო ლიტერატურის რევოლუციურ-რომანტიკული მიმდინარეობისაგან განსხვავებით ილიას შემოქმედებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, თავი იჩინა მძაფრად გამოხატულმა ეროვნულმა თვითშეგნების მოტივმა.

ვფიქრობთ, სამაგალითოა ილიას პოეზიისა და კერძოდ „აჩრდილის“ ის უმაღლესი და ზუსტი შეფასება, რაც გამოთქმულია სიმონ ჩიქოვანის მრავალმხრივ საყურადღებო ნერილში „ილია ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობა“.

„აჩრდილის“ ადგილი და მნიშვნელობა აქ დანახულია ქართული პოეზიის მაგისტრალური ხაზის განვითარებაი. იმ დიდი ეროვნული ტკივილების ამსახველ საკვანძო ქმნილებებთან მჭიდრო კავშირში, საიდანაც სათავეს იღებს პოეტის „ლირიკული მონოლოგი“.

ამ ნერილის დამონმება არაერთგზის მოგვინევს თვით ილიას პოემის ტექსტის ანალიზის დროს და ამჯერად მის ციტირებას მოვერიდებით. ილიას პოეტურ შემოქმედებაზე დაწერილი ნაშრომებიდან, უკანასკნელ ხანს რომ გამოქვეყნდა, ძალზე საყურადღებოა თამაზ ჭილაძის ნარკვევი „წინასწარმეტყველი“.

თამაზ ჭილაძე „აჩრდილს“ უყოყმანოდ მიიჩნევს პოემად. მისი აზრით, იგი ჩვენი მწერლობისთვის „ძალიან ტრადიციული“ არის და ამ ტიპის პოემას, კერძოდ, მეთორმეტე საუკუნის ქართულ პოეზიაში (შავთელის „აბდულმესია“) ხედავს:

„აჩრდილი“ კონტრაპუნქტული და ამავე დროს ფორმის მხრივ ქართული ლიტერატურისთვის ძალიან ტრადიციული პოემაა, სწორედ ისეთი, როგორც იწერებოდა, ვთქვათ, მეთორმეტე საუკუნის საქართველოში, თუნდაც იოანე შავთელის „აბდულმესიას“ სახით“

საკმაოდ თამამი და ნოვატორული განცხადებაა. მის საწინააღმდეგოდ არაფერი გვეთქმის, მაგრამ კარგი იქნებოდა თუ სამომავლოდ იგი კონკრეტული დაკვირვებებითა და აქედან გამომდინარე დასკვნებით იქნება შემაგრებული.

ცოცხალი ქვემოთ თამაზ ჭილაძე მეტად მნიშვნელოვანი დეტალებით ამდიდრებს და თავისებურად გადმოგვცემს ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ცნობილ თვალსაზრისს, „აჩრდილის“ ძირითად პოეტურ

სახეებს რომ ეხება. ამ მოზრდილი ნაწყვეტის მოტანა მთლიანად მოგვიხდება:

„აჩრდილი ორ ხმაზეა დამყარებული, ორი ხმა ენაცვლება ერთიმეორეს. ერთი ხმა დღევანდელ პოეტს ეკუთვნის, მეორე კი მყინვარზე მდგარ მოხუცებულს. შეიძლება ითქვას, ეს არის ნანარმოები ორი ხმისთვის: პოეტისა და მისი მომავალი იპოსტასის საქართველოს „თანამდევნი“ სულისთვის. ასე რომ, მყინვარზე მდგომი მოხუცებული საკუთარი ბედის წინასწარმეტყველური ხილვის შედეგად მოვლენია პოეტს, ეს თვითონაა, ოღონდ უკვე საქართველოს ხსნია, მასში ცოცხლობს სამშობლოს წარსულიც; ანმყოც და მომავალიც, რამდენადაც იგი მარადიულია, „უკვდავი სულია“. ეს რაღაც იდუმალი, ამოუხსნელი გრძნობითა და სულისკვეთებით წარმოშობილი ტრანსცენდენტური ხილვაა პოეტისა, საკუთარი არსებობის მარადიულობის განცდა, საკუთარ მარადიული ხვედრის, მისი დანახვა, რაც ამ პოემიდან ზუსტად ამოიკითხა ვაჟა-ფშაველამ. გავიხსენოთ ამ დიდი პოეტის სიტყვები ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის დღეს: „ვუნცი, რომ შენი აჩრდილი არ დაივიწყებს საქართველოს...“

პოეტის მეორე სახე მყინვარზე მდგომი მოხუცებული — მარადიულია და, ამდენად, მარადიულ სამშობლოსაც გულისხმობს, რადგან უკვდავება ერთისა დაკავშირებულია მეორის უკვდავებასთან“.

მიუხედავად იმისა, რომ სხვა დროსაც (ეპითეტთა ხელოვნების გამო) შევხებივართ, ჩვენ საგანგებოდ უნდა დავუბრუნდეთ „აჩრდილის“ დასაწყის სტრიქონებს, სადაც განთიადის გრანდიოზული, ღრმად სიმბოლური სურათია დახატული. ამ სურათმა იმედი უნდა ჩაგვინერგოს და უფრო დიდი სასწაულის სახილველად უნდა განგვანყოს:

**აღმობრწყინდა მზე დიდებულათა
და გაანათლა ქვეყანა ბნელი,
კავკასის მთების წვერთა მაღალთა
ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი.**

მზის მენამული სხივებით შეფერილი კავკასიონის თვალწარმტაცი გრეხილი ხერხემლად გასდევს და ერთ სხეულად კრავს ათასი საფიქრალითა და საწუნხარით დატვირთულ ნანარმოებს. მარადიული თოვლით გადალესილი მთები საუცხოო ფონს ქმნის, მაგრამ მათ შორისაც ცალკეა წარმოჩენილი სიმალლითა და აღნაგობითაც გამორჩეული მყინვარი, რომლის სახესაც სხვაგვარი ელვარება შემოაქვს:

**აღმობრწყინდა მთების ზემოდ მყინვარი,
ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ,
იგივ დიადი, იგივ მძვინვარი,
იგივ დიდებულ და დადუმებულ.**

ეს უცნაური მთა ხელშესახები, სკულპტურული სიცხადით არის აღმართული ჩვენს წინაშე, მზის სხივებით ააღმასებული, „მისი ყინულით ნაკვეთი თავი“ მედიდურად, მრისხანედ დაჰყურებს დაბლა გადაშლილ ადამიანთა სამყოფელს და ყოველ წამს ძალუძს ქარიშხლის ფრთებით აგორებული ზვავები დაატეხოს თავს ქვეყანას. შეუძლებელია წამკითხველს დაავინყდეს დიდოსტატის ხელით ნაძერწი უბადლო ვიზიონერული სურათი:

**ქვესკნელთ ძალთაგან იგი მთა მედგრად
ცის გასარღვევად აღმოზიდულა,
მაგრამ მის სრბოლა ცაში უეცრად
თითქო განგებით შეყენებულა.**

უშორესი, გეოლოგიური წარსულის ვულკანური ძვრები თვითმხილველის თვალთაა ნაჩვენები. აქ სტატიკურობა მხოლოდ მოჩვენებითია, წარმოდგენილი სურათი უკიდურესად დინამიურია. ამ სახეს ერთგვარ პარალელი ეძებნება ამავე პოემის ოცდამეოთხე თავში, როცა პოეტი ერთ დროს მძლავრი, წყალუხვ მდინარესათვის მსრბოლი ერის დაცემისა და მოდუნების მეტად სახიერ სურათს ხატავს. აქაც შებოროკილი სრბოლაა ნაჩვენები, ოღონდ უძრავი, გაქვავებული მყინვარის ადგილს თვით ჩვენი ხალხის უნიათო ცხოვრება იჭერს.

**ნამხდარა ყველა ის ღონე და ის ძლიერება,
მტვრად გარდაქმნილა ახოვანი იგი
ცხოვრება,
ან იგი თითქოს თვის დენაში შეყენებულა...**

პირველი თავი ღვთიური რისხვის დამუხტულ მყინვარის აღწერით თავდება; თითქოს თეთრი გოლიათი განკითხვის დღეს ელის და ცასა და ქვესკნელს განადგურებით ემუქრებაო („თვითც დაილუპოს, ისიც დალუპოს“) თუმცა, საბედნიეროდ, ეს შთაბეჭდილება წამიერია და პირველ თავში აღძრული ეჭვი ქარწყლდება, ლოგიკური ჯაჭვი ბუნებრივად გადაინაცვლებს შემდეგ თავში და თხრობაში მშვიდი ტონი იგრძნობა. აზრი უწყვეტად რომ გადადის ერთი ნაკვეთიდან მეორეში იქიდანაც ჩანს, რომ მომდევნო თავს მაპირისპირებელი კავშირი იწყებს:

მაგრამ ისეთი მშვიდი, ნარნარი იყო იმ დღისა ლამაზი დღია, რომ თვით მყინვარის რისხვა და ზარი იმ დღის მაღლსა დაემორჩილა.

ეს სიმშვიდეც მაცთურია. ადამიანთა ბოხოქარ, ბედუკულმართ ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. გონება აფრთხილებს და ჯიუტად შთააგონებს პოეტს, რომ ეს მომხიბლავი მყუდროება არ ირწმუნოს:

ღრმად ჩააკვირდი მის ღუმელს და სცნობ, თვით მაგ ღუმელშიც რა წყევლაც არი!...

კონტრასტის ასეთ ეფექტურ ხერხს საკმაოდ ხშირად იყენებს ილია. გავიხსენოთ თუნდაც ფინალური სტროფი ერთ-ერთი მისი საპროგრამო ლექსისა „ჩემო კალამო...“

ჩემზედ ამბობენ:

**„ის სიავს ქართველისას ამბობს, ჩვენს ცუდს, არ მალავს, ეგ ხომ ცხადია სიძულვილი!“
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!**

პოემის მესამე თავი კვლავ ბუნებრივად ძალდაუტანებლად ებმის წინას და აგრძელებს აზრის მდინარებას. თუნდაც პირველივე სტრიქონები გვარწმუნებს, რომ ეს თავიც პოემის ორგანული ნაწილია და მისი დამოუკიდებელ, რაიმე ციკლში შემავალ ლექსად ჩათვალა ყოვლად გაუმართლებელია:

ბოლოს კი დღის სიტკბობამა მეც განმიფანტა ეჭვთა ღრუბელი და ყოვლად მხსნელმა სასოებამა მომცა ნუგეში მაცხოვრებელი.

აქ უკვე ისახება იმედის პირველი ნიშნები. ამ თავს პოემის საერთო ქსოვილში, კომპოზიციაში განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრება; პოეტის თვალს თითქოს ბნელი საბურველი ჩამოეცალა, ყურიც მზადაა, ზეციური ხმა რომ გაიგონოს. ყველაფერი შემზადებულია, რომ ქათქათა მწვერვალზე ძვირფასი მოლანდება გამოისახოს:

მენვივნენ იგი უცხო ხილვანი, სავსენი ლხენით, ნეტარებითა; — რომელთაც წარაქვთ კაცთ გულისთქმანი საიდუმლოების მაცდურებითა.

აქ მივყავართ ამ პოემის საკვანძო ადგ-

ილს, როცა მყინვარის თავზე მთელი სიდიადით წარმოჩნდება საქართველოს უკვადვი სულის განსახიერება — უჩვეულოდ შთამბეჭდავი, დარბაისელი მოხუცი, რომლის იერი და გარეგნობა იმთავითვე განსაკუთრებულს გვპირდება;

და მომევლინა მე კაცი დიდი, მყინვარზედ მდგომი მოხუცებული; ვითა ქვეყანა — ისეც იყო მშვიდი, უძრავი, უხმო, დაფიქრებული. მარჯვენა ხელით ეჩრდილნა თვალნი, ყურადღებითა შორს გაჰყურებდა, მის გარეშემო შვენოდნენ მთანი და მათ ფეხთა ქვეშ თერგიც გაჰყეფდა.

„მშვიდი, უძრავი, უხმო, დაფიქრებული“ მოხუცის შემდგომ თვალსანიერში დაუდგარი თერგის გამოჩენა ძალზე მეტყველ, ულამაზეს კონტრასტს ქმნის; იხატება ბუნების ნაირგვარ და ნაირფერ მოვლენათა ერთიანი სურათი.

საოცარი მოხუცი თვით მყინვარის ორიულად აღიქმება — ფიქრებში გარინდებულა, მასავით ქათქათა და დიდებულა. ზედმინეებით უხდება ამ აუმღვრეულ სიმშვიდეს კლდოვან არტახებში მომწყვდეული თერგი, თეთრ ქაფად რომ ქცევია აბობოქრებული ზვირთები.

„მყინვარი“ და „თერგი“ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ერთ-ერთი ძირითადი, გამჭოლი ხატებია და ორივე მათგანი „მგზავრის წერილებში“ იღებს სათავეს, ხოლო „აჩრდილში“ ორივე ეს სახე თავისებურად არის განვითარებული და გაღრმავებული.

თავის დროზე ზუსტად მიუთითებდა სიმონ ჩიქოვანი:

„საერთოდ, მყინვარის სახე „აჩრდილის“ ავტორს დიდი ხნიდან აწვალებდა. ჯერ კიდევ „მგზავრის წერილებში“ პოეტმა დაგვიხატა მყინვარისა და თერგის ბუნების კლასიკური სურათი“.

აქვე სიმონ ჩიქოვანი თავის დაკვირვებას უფრო ვრცლად გადმოსცემს კონკრეტულად მყინვარის ხატზე:

„პოეტს მყინვარის სახე არ მოშორებია შემოქმედებითი მუშაობის მთელ მანძილზე და ბარელიეფივით გამოკვეთილი ჩნდება და რამდენჯერმე მეორდება მისი აღწერა „მგზავრის წერილებში“ „გლახის ნაამბობში“, „აჩრდილსა“ და „განდეგილში“. პოეტის ასეთი დაჟინებული ტრიალი ამ მწვერვალის გარშემო მოწმობს, რომ პოეტს მყინვარი რაღაც დიდი, ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენის სახედ ჰქონდა ჩაფიქრებუ-

ლი“.

მყინვარი კენტად არ დარჩენილა; მას ავსებდა და მეტი შინაარსით ტვირთავდა პირქუშ ხეობაში ახმაურებული მთის მდინარის თავანყვეტილი სრბოლა.

ერთმანეთზე სისხლხორცეულად გადაჯაჭვული ამ ორი სახის დიალექტიკური ერთიანობა მრავალგზის ხაზგასმული აქვს სიმონ ჩიქოვანს იმავე წერილში:

„იგი (მყინვარი - ე.კ.) მისი მუზის თანამგზავრი გახდა და უმყინვაროდ დახატული მისი საყვარელი თერგის ხატი სრულყოფილი არ იყო: თერგი, როგორც ცნობილია, მის მიერ შექმნილი ლირიკული სქემიდან, იგივე კაკო ყაჩაღი, ქართლის დედა, გუთნის დედა, მუშა, მწყემსი ქალი და სტუდენტობაა“.

„თერგის“ სიმბოლოდან წარმოშობილი სახეები“ მართლაც სიცოცხლის ძალების დაუშრეტელი წყაროთია ნასაზრდოები და ისინი, როგორც წესი, აქტიური მოქმედებით გამოირჩევიან.

სიმონ ჩიქოვანი ავითარებს მსჯელობას მყინვარის საკმაოდ რთულ, მრავალპლანიან ხატზე და სავსებით ბუნებრივ, დამაჯერებელ და გასაზიარებელ მოსაზრებას გვთავაზობს. იგი წერს:

„აჩრდილში“ მოვლენილი მოხუცის მყინვარზე დგომა შემთხვევითი მოვლენა არ იყო. მოხუცის მყინვარზე დაყენებას, მისთვის ასეთი კვარცხლბეკის შერჩევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ავტორი და შეიძლება ითქვას, რომ მყინვარი და „აჩრდილში“ მოვლენილი მოხუცის თვისებები ნათესაურია. ამ ორი სახის პოეტური განათება ერთგვარია, მათი ხატების ერთგვარობა ძალიან ადვილი სახილველია და მათს გარეგნობაში ტყუპისებური მსგავსებაა“.

პოეტმა და მკვლევარმა იოლად დაინახა, რომ პოემაში ამ ორი ნათესაური ხატის დუბლიერება ხდება და აღნიშნა, რომ „ძველი საქართველოს წარმომადგენლად „აჩრდილში“ მოგვევლინა მყინვარზე შემდგარი მოხუცი და არა თვითონ მყინვარი“.

ცხადია, ამას თვით პოემის შინაგანი საჭიროება მოითხოვდა და ავტორმაც გარკვეულ ხერხს მიმართა.

სიმონ ჩიქოვანი მყინვარისა და თერგის გათიშულობის, დაშორების ძალზე თვალსაჩინო მიზეზს წარმოგვიდგენს და ამის ნიშანს თავად პოემაში პოულობს:

„მას (მყინვარს - ე.კ.) ჰქონდა წინათ მალა სრბოლის სურვილი და საკმაო დონეს მიაღწია კიდევ, მაგრამ მისი სრბოლა უეცრად ცაში შეყენებულა და იგი გაყინულა. ამ-

იტომ მას უკვე არ შეუძლია გაესაუბროს თერგს, რომელიც მისი პირმშოა“.

ამდენად, თერგთან და არა მარტო თერგთან სასაუბროდ შუამავალია საჭირო და ილიას ფანტაზიამ მოხუცად განსხეულებული საქართველოს უკვდავი სული გამოიხმო.

საგულისხმოა, რომ ამ სახეში და „აჩრდილის“ სიუჟეტურ ქარგაში ჩვენი ფოლკლორის სპეციალისტი ქსენია სიხარულიძე ხალხური შემოქმედების კვალს ხედავს და კონკრეტულ მოტივებზე მიუთითებს:

„პოემის ფაბულის განვითარებისას გამოყენებულია ხალხური დიალექტიკური ლეგენდებისა და ფანტასტიკური ზღაპრების ტრადიციული მოტივი. საქართველოს „თანამედვეი უკვდავი სული“ მოხუცის აჩრდილის სახით წარმოგვიდგინა პოეტმა. ამ შემთხვევაში მან გამოიყენა ზეპირსიტყვიერებაში ცნობილი მოტივი გმირის მიერ წმინდა მოხუცის სიზმრის ან მოჩვენების სახით ხილვისა. ხალხურ ზღაპრებში მოჩვენებისა თუ სიზმრის სახით ხილული მოხუცები დამრიგებელ-მრჩეველთა როლს ასრულებენ. რიგი ლეგენდებით ამგვარად ხილული მოხუცები წინასწარმეტყველებენ ქვეყნის ბედს. ან კიდევ მათი რჩევა-დარიგების მიხედვით გმირები იხსნიან საფრთხის წინაშე მდგარ ქვეყანას“ (ქს. სიხარულიძე, ილია ჭავჭავაძის პოემების ხალხური წყაროები).

მკვლევარს, რა თქმა უნდა, აღუნიშნავი არც ის მომენტი დარჩენია, რომ „ილიამ გავრცელებულ მოტივს ახალი შინაარსი და მალა-მხატვრული ფორმა მისცა“.

სიმონ ჩიქოვანმა თავის მრავალმხრივ საყურადღებო წერილში ბოლომდე გაადევნა თვალი ზემოთ ხსენებული სახის გენეზისს და პოემის ავტორის ჩანაფიქრი დამაჯერებლად გადმოგვიშალა.

მართლაც, არავისთვის არ უნდა იყოს საეჭვო, რომ ილიას „უნდოდა წარსულის მატინეში ხალხის წარმომადგენელი, მებრძოლი, ისტორიული, ხალხური პიროვნება ეპოვნა და მისი მეშვეობით წარსულიდან თანამედროვეობას გასაუბრებოდა. რადგან პოეტმა ასეთი პიროვნება ვერ გამოიხსნა, იგი იძულებული გახდა ისევ მყინვარის სახეს დაბრუნებოდა. მაგრამ მიხვდა, რომ გარეგნულადაც სტატიკური მყინვარი ძველი საქართველოს სრულყოფილ სიმბოლოდ ვერ გამოდგებოდა და მან შექმნა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „აჩრდილში“ ძველი საქართველოს სიმბოლო, მყინვარის გარეგნობის მქონე ან მყინვარის გასულიერებული ხატი, მწვერვალზე მოვლენილი მოხუცი,

რომელიც თერიგივით მყინვარის წიაღში აღმოცენებულა“.

აქვე წერილის ავტორი ერთგვარ პარალელს ავლებს დანტეს „ღვთაებრივ კომედი-აში“ გამოყენებულ ხერხთან და უნდა ითქვას, რომ ეს პარალელი სულაც არ არის ნაძალადევი, საფუძველს მოკლებული:

„წარსულ და დღევანდელ საქართველოს შორის ორგანული კავშირის ძიებამ პოეტი ამგვარ ლირიკულ სქემამდე მიიყვანა. ამ კავშირის გაომოსახატავად ილიას შთაგონებით შექმნილმა მყინვარზე მდგარმა მოხუცმა განიხილა მთელი მაშინელი საქართველო, თითქო ილია, როგორც ვერგილიუსი, მიუძღოდა მოხუცის მზერას და უჩვენა მოხუცს ეს ჯოჯოხეთი, სალხინებელი და მომავლის სამოთხის შესაძლებლობა“.

საკვირველი მოხუცის აჩრდილის გამოჩენის მერე, როგორც ვიცით, პოემაში აღწერილია მყინვარის შემოგარენი, პირქუში ხეობის ფრიალო კლდეები, რომლებიც თერგის ბლავილს ირეკლავენ, აათკეცებენ და თავზარს სცემენ დარიალის ვიწროებში გავლილ მგზავრს. მეოთხე თავის ფინალურ სტრიქონებში ეს ზათქი და ზრიალი ერთბაშად წყნარდება, კლდეთა ლიობში უკვე ატეხილი ქალები მოჩანს, იქ უკვე სიმშვიდეა დასადგურებული და გარემოც წმინდა ქართული მდინარე - არაგვი - ეპითეტსაც („ჩვენი“), ხაზგასმულად ჩვეულებრივსა და სადაც თავის დროზე გურამ ასათიანმა საგანგებოდ მიაქცია ყურდღება, აი ეს სტრიქონებიც:

**იქით შორს სჩანან მინდორნი, ტყენი,
და იმათ შორის - არაგვიც ჩვენი.**

შემდგომ ამისა, მეხუთე თავში, აღვლენილია არაგვის - საქართველოს გარდასულ დღეთა მომსწრის გულმხურვალე ქება. მდინარისადმი ამ უბრალო მომართვიდანაც ჩანს, თუ კომპოზიციის როგორი დახვეწილი ოსტატია ილია და როგორ ბუნებრივად აკავშირებს იგი ერთმანეთთან პოემის ცალკეულ თავებს:

**ჩვენო არაგვო! რარიგ მიყვარხარ!
ქართველის ცხოვრების მონამედ შენ ხარ...
შენს კიდევბზედ ჩემი მამული
იყო ერთ დროსა გამშვენებული!**

**შენ ზვირთებ შორის ჩემის ქვეყნისა
გრძელი მოთხრობა დამარხულია
და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდევბზედ გადასხმულია.**

აქვე ნათქვამია, რომ არაგვისა და მტკვ-

რის შესაყართან ერთ დროს მძლავრად ჩქედდა სიცოცხლე, მამულიშვილები სამშობლოს დასაცავად თავს სწირავდნენ, მის ხსენებაში ლევდნენ სულს. აქ გამოყენებულია პარალელიზმზე დამყარებული იშვიათი სილამაზისა და სიღრმის შედარება, როცა დროის სრბოლა მდინარის გაქცეულ ტალღებთანა დატოლებული და დანყვილებული:

**შენს ზვირთებს გაჰყვენ საუკუნენი,
და საუკუნეთ — იგი ქართველნი.**

მიუხედავად იმისა, რომ არაგვი და მისი მადლიანი ნაპირები განსაკუთრებით მიმზიდველად, სიყვარულით არის დახატული (აქ ილია თავისებურად ეხმიანება ბარათაშვილის ბრწყინვალე ლირიკულ ჩანართს, რომელიც აგრერიგად გამოირჩევა პოემაში „ბედი ქართლისა“), მოხუცის მზერა არ ჩერდება კონკრეტულად ამ მდინარეზე, მას იმთავითვე შეურჩევია ისეთი წერტილი, საიდანაც თითქმის მთელი საქართველო მოჩანს და უპირველესი რამ მისთვის სწორედ ეს მთლიანობა, ერის, ქვეყნის ერთ დაურღვეველ სხეულად შეკვრა გახლავთ. მეექვსე თავიც იმავე მაპირისპირებელი კავშირით („მაგრამ“) იწყება და ეს აშკარად მეტყველებს, რომ ამბის მდინარეება ბუნებრივად გადადის თავიდან თავში, თხრობის ძაფი არსად არ წყდება:

**მაგრამ საკუთრივ არცა არაგვა,
არც თერგმა, არც ტყემ და არცა მთამა
არ მიიზიდა მოხუცის თვალი,
მთიდან ამაყად გამომზირალი,
სრულ საქართველო მოჩანდა შორსა...**

**იგი მოხუცი მას დააცქერდა;
ქვეყნის მარგალიტს მაგა ობოლს
სიყვარულითა იგი დამზერდა.**

პოემაში ხშირად მონაცვლეობს ახლო და შორი პლანები იმისდა მიხედვით, თუ რას აცქერდება მყინვარზე გადმომდგარი დიდებული აჩრდილი. ქართველთა სამყოფელის მთლიანად აღქმა დიდ მანძილს მოითხოვს და ამიტომაცაა ნათქვამი: „სრულ საქართველო მოჩანდა შორსა...“ თვით სიშორის ცნება, როგორც ცნობილია, ყველაზე მეტად რომანტიკული პოეზიისთვის არის დამახასიათებელი და ამ შემთხვევაში ილია რომანტიზმის თვალსაჩინო მემკვიდრედ გვევლინება.

პოეტი ეკითხება მის წინაშე გამოცხადებულ საოცრებას თუ ვინ არის იგი, საიდან მოსულა და ამ მთაზე რად შემდგარა. პასუხი

არ აყოვნებს და მოულოდნელი ხილვით გაოცებულს თითქოს ზეციდან ჩამოესმის მოხუცის ზარივით ხმა. ეს იშვიათი სიღრმისა და სიძლიერის მონოლოგი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ თითხმეტმარცვლიანი ლექსით არის დაწერილი და აჩრდილის პირით წარმოთქმულ სიტყვებს ეპიური სიღინჯე, დამაჯერებლობა ემატება, სამუდამოდ იბეჭდება ცნობიერებაში; ჩვენთვის ცხადი ხდება, რაოდენ ტანჯვას უნდა განიცდიდეს საქართველოს წარსული დიდებისა და ახლანდელი უმოწყალო დაცემის ბედკრული მონღე. ათას განსაცდელში გამოვლილი და განანამები სამშობლოსთვის ასეთი ტრაგიკული გზებით მანამდე არავის მიუმართავს:

მარად და ყველგან, საქართველოვ,
 მე ვარ შენთანა!..
 მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული.
 შენთა შვილთ სისხლით გული
 სრულად გარდამებანა,
 ამ გულში მე მაქვს შენი ანწყო,
 შენი წარსული.
 მეცა ვტანჯულვარ, ჰე ბედკრულო,
 შენის ტანჯვითა,
 შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,
 მეც წარტყვევნილვარ წარსულთ დღეთა
 შენთა ნატვრითა,
 შენის ანწყოთი სული,
 გული დამწყლულებია.
 წარვლილთა დღეთა შენთა
 მახსოვს დიდებულება,
 ვიცი რომ იყავ ერთხელ შენცა
 მორჭმულ-ძლიერი,
 შენცა გფენია ქვეყნის მადლი —
 თავისუფლება,
 ეხლა აღგვილა ყველა ესე,
 ვითარცა მტვერი...
 და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს
 შენი აღდგენა,
 განწირულების ჩასადგომია მას
 გულში წყლული,
 მას დაჰკარგვია ტანჯვათა შორის
 შენდამი რწმენა
 და დაუგდისხარ, ვით ტაძარი გაუქმებული.

თვითეული ფრაზა ბრძენის გონებაშია ჩამოქნილი და ნაჭედი - საუკუნოვანი გამოცდილებითა და სიცოცხლის აზრით სავსე. სტრიქონთა მწყობრ დენაში ბუნებრივად იჭრება სინანულის მძაფრი განცდა — იმით გამოწვეული, რომ დღევანდელი ქართველს სამშობლოს აღორძინების იმედი გადაუნურავს და „გაუქმებული ტაძრის“ მსგავსად მიუტოვებია იგი. „გაუქმებული ტაძარი“ ძალზე ტყეადი, ჩვენი სამშობლოს

გაპარტახების გამომხატველი ზუსტი სარკე და სახეა და ამ შედარებამ შეუძლებელია არ შეაკრთოს და არ გამოაფხიზლოს ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილი, ვისაც სამშობლოსთვის უძგერს გული. მონოლოგის შემდგომ ნაწილში საგრძნობია შეგნებული პროზაიზმები, პუბლიცისტური ნაკადი. ერს ეძლევა მოქმედების პროგრამა. აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი არსებობს; ქართველობა უნდა ჩასწვდეს ცხოვრების წარმმართველ კანონებს, გამოიჩინოს გონების სიფხიზლე, მოქმედებას ჭკუა დაატანოს, რათა დალუპვას გადარჩეს. ამ გაფრთხილებას დღეისთვისაც არ დაუკარგავს აზრი; მისი დავინწყება ჩვენს ერს არც არასოდეს მართებს:

ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს
 ზოგად ცოხვრებას
 და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ,
 ამაღლებული
 ჭკვით არ განსჭვრიტავს
 საზოგადო ცხოვრების დენას,
 იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული,
 უქმისა დრტივინით, გული წვითა
 მწარე ცრემლს დაღვრის,
 მაგრამ არ ირწმენს, ნამებულო,
 შენს აღდგენასა,
 და იგი ცრემლი ურწმუნობის,
 ეჭვის და ტანჯვის,
 ჰლაღადებს მხოლოდ ძისა
 შენის უძლურებასა.

მომდევნო, მერვე თავში ნაჩვენებია თუ როგორ აირეკლა აჩრდილის ეს შთამბეჭდავი ღაღადისი პოეტის არსებაში. ავტორი უკვე კონკრეტულ მიზეზებს უძებნის ერის დაცემასა და გადაგვარებასა; თავიდანვე აცხადებს, რომ ყველა პირად გამორჩენაზეა გადასული და საზოგადო საქმე არაფრად არ უღირთ. ამ უღიმღამო ფონზე ილია წინ წამოსწევს ხალხის ცხოვრებაში გმირის, სამშობლოსთვის თავდადებული პიროვნების როლს, მის აუცილებელ საჭიროებას. ასეთ ადამიანს აკვნიდანვე უნდა გაზრდა, იმ დროიდან, როცა დედა ნანას უმღერის, წინაპართა სახელოვან საქმეებზე უყვება ჩვილს. პოეტის რწმენით, მხოლოდ ასე აღზრდილი ყრმა შეიძენს გმირის ყველა თვისებას. თავიდანვე კი, როგორც ითქვა, საყვედურის, გაკიცხვის კილო სჭარბობს:

აქ არვის — დიდსა თუ ჰატარასა,
 ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,
 დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა

ღვთად მოუცია მარტო მამული;
დაჰვინყებია, რომ დიდი არი
ღვთისა წინაშე იგი ცხოვრება,
რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი
ქვეყანასავე შეენიერება.
წმინდაა იგი, ვისაც ელირსა
მამულისათვის თავის დადება!..
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოკვდება...

ასეთი უანგარო, ზნესრული პიროვნება, როგორც პოემასა ნაჩვენები, აკვნის რწევასა და დედის ტკბილი ნაწინას მოსმენაში იზრდება და ინრობობა; ილიაც ამავე რწმენით ამთავრებს ზემოთ მოხმობილ მონაკვეთს: „გმირი ამ მღერით დაიბადება“.

საინტერესოა, რომ ამ სტრიქონს მიღევენებული ახალი, მეცხრე თავი კვლავ „მაგრამ“ კავშირით იწყება, აქ უკვე აშკარაა, რომ ნაწარმოების კომპოზიციურად შემკრავ ნაცად, შეგნებულ ხერხთან გვაქვს საქმე, რასაც ავტორისეული მძაფრი სინანულის ტონი დაჰკრავს.

ეს თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი ისევ და ისევ იმაზე მეტყველებს, რომ პოემის ცალკეული თავები უმჭიდროესად არის ერთმანეთთან დაკავშირებული და არსად არ ირღვევა ნაწარმოების შინაგანი ლოგიკა, თანმიმდევრობა. ეს კია, რომ დრამატიზმი თანდათან მატულობს, რის საფუძველსაც პოეტს მშობელი ხალხის ინერტულობა, მცონარე ცხოვრება აძლევდა. ჩვენს მამულს ღვთიური მადლი და სილამაზე არ აკლია, მხოლოდ უმოქმედობა და მონური მორჩილება აკარგვინებს სახეს. ამის გამოა, პოეტი მოზღვავებულ გრძნობებს რომ ვერ იოკებს და მოძმეთა გასაგონად წამოიძახებს:

მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ვსტირი?
იგი აღარ გყავთ... მის მოედანი
ჯაგით აღვსილა, ვერანად ქმნილა,
გმირის დამბადი დიდი საგანი
თქვენში სპობილა და წაწყმედილა.
გადახდომიხართ თქვენ ქართველობას,
დავინგრევიათ დიდი მამული, -
რალა დაჰბადავს თქვენში დიდს გრძნობას?
რითი ალტკინდეს ქველისთვის გული.

ილია თანამოძმეთ განზე გადგომას, მშობლიურ მიწა-წყლისადმი გულგრილობას უკიჟინებს, ხოლო მსგავსი განუკითხაობის დროს, ცხადია, სასიკეთო არაფერი ხდება; სხვის კალთას შეფარებული ხალხი კარგავს ღირსების გრძნობას, ვაჟკაცურ თვისებებს, მამულის სიყვარული მისთვის უცხო ხილი

გამხდარა. პოეტის მწუხარებაც აქედან იღებს სათავეს:

ვიმ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,
დიდის სამოთხის კუთხე პატარა,
ქედმოდრეკილი ნაღვლით სანყალი,
რომ მისი ტრფობა თქვენში შემწყდარა;
რომ დაგიგდიათ უმნედ, უნუგემ,
თქვენის სიავით დაწყლულებული,
თქვენგან გამობილი, უცხო კალთის ქვეშ,
ვითა ობოლი, შეფარებული.

შეუძლებელია მთელი ქვეყანა მონათა და საპყართა ანაბარა დარჩეს, სამუდამოდ დაიშრიტოს ერის მეტროლი სული და პოეტსაც იმედს უნერგავს ის ამბავი, რომ მორჩილთა ბრბოში ხანდახან ღირსეული პიროვნებებიც გამოერევიან. სწორედ ისინი ელობებიან მოძალეულ ბოროტებას და ბრძოლას უმართავენ. სამწუხაროდ, ასეთ ადამიანთა რიცხვი მეტისმეტად მცირეა. გარდა ამისა, ხალხის ეს რჩეული შვილები ხშირად ერთ პირზე არ დგანან, რაც მათს ძალისხმევას აზრს უკარგავს უნაყოფოს ხდის; არც თუ იშვიათად თავს იჩენს ერთმანეთის მიმართ შური, უნდობლობა, რითაც ისევ ქვეყნის მტერი სარგებლობს და საერთო საქმე ზიანდება. გამუდმებულ ქიშპობას, ჯიბრს და შეუთანხმებლობას საპირისპირო შედეგი მოაქვს. ეს მტკივნეული, საჭირბოროტო საკითხები ჩვენი ცხოვრებისა ძალზე შეკუმშულად და ამავე დროს ნათლად არის წარმოჩენილი პოემის მეათე თავში და მცირე მოცულობის გამო იგი შეგვიძლია მთლიანად მოვიტანოთ:

ხოლო აქაც კი ვრდომილთ შორისა
ღვთის ნაპერწკალი ზოგჯერა ჰკრთების,
ქვეყნის წარხდომას გული ზოგისა
შეებრძვის და არ ემორჩილებს;
მაგრამ ლულვა, შური და მტრობა
იმ ზოგთა შორისც ღრმად ჩანერგულა,
ამა ჭირთაგან მათი მხნეობა
აღძვრისა ჟამი გაცუდებულა.
აგერ ორ-სამს კაცს რალაც უგრძვნიათ,
ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,
ერთის საქმისთვის გაულვიძნიათ
და ერთმანეთს კი არ ენდობიან.
ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ,
თუმც ერთისათვის თითქო იღწვიან;
თვით ამხობენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ.
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან.

აქ ყველაფერი ისეა აწონილ-დაწონილი და გასიგრძეგანებული, ოდნავი ეჭვისთვისაც არ რჩება ადგილი; ავტორის მხატვრუ-

ლი აზროვნების ლოგიკა იმდენად მწყობრი და შეუვალა, შეუძლებელია აქედან გამომდინარე მის უღმობელ დასკვნას არ დავეთანხმობთ.

მეთერთმეტე თავიდან დაწყებული, ახალი თემატიკა შემოდის, თუმცა საამისოდ ავტორმა ჩვენ შეგვაშადა, როცა ხალხის ცხოვრების ცალკეული სცენების ჩვენება განიზრახა. პოეტის მართალი კალამი სოციალური უსამართლობის უკიდურესად მძაფრ, შემადრწუნებელ სურათს გვიხატავს. ერთმანეთის პირისპირ დგანან ბატონი და მისი უფლებააყრილი ყმა. ილია ეფექტურ ხერხს იმარჯვებს — დაურიდებლად აშიშვლებს მტაცებლურ ბუნებას ბატონისას, რომელიც სასწორის პინაზე ფეხს ადგამს, რათა გაყვლიფოს, სარჩო-საბადებელი არ შეარჩინოს შრომისგან წელში განყვეტილ მონას. ბეჩავი ადამიანის თვალთაგან სიმწრით წამსკდარი ცრემლები ამ წურბელას არაფრად უღირს. სწორედ მის უკეთურ სახეს წარმოგვიდგენს ავტორის მრისხანე შეძახილი:

**მაგრამ ქვა არის ბატონი, გული,
ვერ დაარბილებს მას შებრალება.**

მჩაგვრელის ეს ამაზრზენი და ამავე დროს კლასიკური ტიპი ილია ჭავჭავაძეს გამოყვანილი ჰყავს აგრეთვე ბატონ ყმობის თემაზე დაწერილ პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. გავიხსენოთ ზაქროს მონათხრობის ერთი ადგილი, როცა იგი მამამისის მკვლელს, თავგასულ და სისხლისმსმელ ფეოდალს ახასიათებს:

**მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულქვა, რევენი...**

სწორედ ასეთი მხეცის წინაშეა თავდახრილი „აჩრდილში“ გამოყვანილი მონა და ამოდ ჰგონია, რომ უნამუსო მებატონეს გაქვავებული გული მოუღებდა:

**მონა ბედშავი, მონა საწყალი
სდგას, ევედრება მის თვალი შვებას,
და გულში ჰფიქრობს: ვიშ, ჩემი ბრალი!
რით შევძლებ შვილთა ჩემთ გამოკვებას?!**

**ვიშ, ჩემო, ოფლო, მათთვის დაღვრილი,
ნაყოფი, იმა ოფლით გაზრდილი,
დღე და ღამ ჩემი უწყვეტი შრომა,
დარში, ავდარში ცის ქვეშე დგომა.
ვიამე, ბედკრულს რალა დამრჩება,**

**რომ გავახარო ცოლ-შვილის თვალი?..
ვინა შრომობდა და ვინა ჰძლებდა,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!**

საგულისხმოა, რომ ეს თავი ჩვენებითი ნაწილაკით იწყება („აგერ უფალი და მისი მონა!“), რაც სურათს დამაჯერებლობასა და დინამიურობას მატებს და ჩვენც თითქოს აღწერილი ეპიზოდის მხილველად გვაქცევს. ამ ხერხს ილია ძალზე ოსტატურად იყენებს ხოლმე; გავიხსენოთ თუნდაც სიჭაბუკის დროინდელი მისი ცნობილი ლექსი „ალაზანს“ („აგერ, ის მუხა...“), თვით „აჩრდილში“ რამდენჯერმეა გამოყენებული ეს მეტად მოქნილი და ვიზუალური ეფექტების აღმკვრელი სიტყვა და, რაც მთავარია, ყოველთვის მისით იწყება ესა თუ ის თავი, რათა ჩვენი ყურადღება ახალი საგნისა თუ მოვლენისკენ მიმართოს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ განხილული ეპიზოდი არ არის მიმართული მხოლოდ ერთი კონკრეტული საზოგადოებრივი ფორმაციის - ვთქვათ, მარტო ბატონ-ყმური ურთიერთობის წინააღმდეგ; ილია საერთოდ გამოხატავს რეობას, ძლიერის მიერ სუსტის დაჩაგვრას, რასაც სხვადასხვა ფორმითა და გამოვლინებით, ყოველ დროში ჰქონდა და ექნება აღმავალი.

ადამიანის ჩაგვრა და მისი მეობის გაქეღვა პოემაში აღმავალი ხაზით მიდის. მეთერთმეტე თავი კიდევ უფრო საზარელ და პირუტყვეულ სცენებს ხატავს. უუფლებო ადამიანს შვილს ააგლეჯენ მკერდიდან და უცხოეთში საქონელივით ჰყიდიან. თუ ქალიშვილი გაიზარდა უფლებარწამორთმეული ადამიანის ოჯახში და თანაც ლამაზი გამოვიდა, ნამუსის ახდა არ ასცდება, შეუბრალებლად გათელავენ და ყოველგვარ ღირსებას დააკარგვინებენ. ჩვენ ვხედავთ, რომ ასეთი დამცირებისა და განადგურების ატანა ძეხორციელის ძალას აღემატება:

**უმანკო პირზე შენს ტურფა ქალსა
გარყვნა დაასვამს საზარო დალსა...
მას, რაც გიყვარდა, ნახავ დაცემულს,
ნამუსწართმეულს და შევინებულს!..**

**პირს უკუ-იქცევ და შეძრწუნდები,
ცრემლს მოინდომებ და არ გექნება,
წყველით, ვაებით მას განშორდები
და ქალი შენი შენ შეგზარდება...**

შემადრწუნებელი სიმართლით და ადამიანის სულის ღრმა ცოდნით არის დახატული სამუდამოდ გაუბედურებული ქალის აუ-

ტანელი ყოფა; იგი თვით მშობელ მამასაც ალარ უნდა შვილად. ტრაგიზმის ძალა ძირითადად ზუსტად შერჩეულ ეპითეტებშია თავმოყრილი, თანდათან რომ ძლიერდება: „დაცემული“, „ნამუსნართმეული“, „შეგინებულნი...“

უმონყალო ჯაფისგან დაბეჩავებული კაცის საშველი არ ჩანს. „აჩრდილის“ მეცამეტე თავის პირველსავე სტრიქონებში გამოკვეთილია ყველა სანყალისა და უქონელის, ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელის ქრისტეს ხატი, რომლის მოძღვრება, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მხოლოდ ცარიელ სიტყვად დარჩენილა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ილია უკეთესი მომავლის რწმენას ინარჩუნებს, იმედი აქვს — ბოროტებას ნერტილი დაესმება, აღვირახსნილი განუკითხაობა ასე ველარ იპარპაშებს:

**შრომისა შვილო, მძიმე უღელი
ქვეყნის ცოდვისა შენ განვეს კისრად,
თუმცა ტვირთმძიმეთ შემწყნარებელი
შენის დახსნისთვის ჯვარს ეცვა ქვეყნად;
თუმცა ქვეყანას მისი მოძღვრება
დღეს მარტო სიტყვით უქმით ჰრწმენია;
მაგრამ ცხადად ჰხმობს მის წმინდა მცნება,
რომ მყოობადი მარტო შენია.**

ილიას ამ სტრიქონებს თავისებურად ეხმიანება ვაჟას მრავალმხრივ საყურადღებო ლექსი „სად არის ქრისტე, ან მისი სწავლა?“, სადაც დიდი შინაგანი მღელვარებით არის გადმოცემული ზოგადსაკაცობრიო ტკივილები, მაგრამ ილიასგან განსხვავებით ამ ლექსს თავიდან ბოლომდე ღრმა პესიმიზმი მსჭვალავს. პოეტის განცვიფრებასა და აღშფოთებას იწვევს ადამიანთა გაუმაძღრობა, მგლური ბუნება და ერთმანეთის ჭამა. პოეტის დიდ სინანულს გამოთქვამს, რომ ნაზარეველის თავგანწირვამ ამაოდ ჩაიარა, ადამიანთა მოდგმას სიკეთის არავითარი ნიშან-წყალი არ დაეტყო, კვლავ ავკაცობა და სისხლისღვრა მძვინვარებს. იმის მისახვედრად, თუ რამდენად დიდია ავტორის გულისტკივილი და სასონარკვეთა, რამდენიმე სტრიქონის ამონერაც კმარა:

**როგორ მოტყუვდა ნაზარეველი,
ძმობა-ერთობის გეგმას რომ თხზავდა...**

**ამ მოძღვრებისთვის ჯვარზე გაეკრა:
თავის სწავლასა დიდ ხედა ჰრგავდა,
როგორ ეწვალა, როგორ ეცადა,
რომ არ ჰყოლიყო კაცი კაცს მგლადა.
მიჩვენეთ ერთი ამის ნაყოფი**

**იგემეთ ვინა, როდის ან სადა?
როდისლა უნდა ადამიანმა
ადამიანი ინამოს ძმადა?**

„აჩრდილის“ ამავე, მეცამეტე თავში მინიშნებულია თუ როგორ თანდათან მნიფდება მრისხანება ჩაგრულთა გულში და რომ მძარცველთა მიერ ბორკილდადებული შრომა თავს აიშვებს, მონური უღლისგან გათავისუფლდება. ილიამ ბრძენის ალლოთი და მიხვედრილობით წინასწარ განსჭვრიტა, რომ ადამიანის თავისუფლების გარეშე დიდხანს ვერ იარსებებს. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გაუმართავს ტირანიას. პოეტის მღელვარე სტრიქონებში ისმის გრგვინვა მოახლოებული ქარიშხალისა, რომელმაც უნდა დაანგრის ძველი სამყაროს დახავსებული კედლები და ახალ ცხოვრებას მისცეს დასაბამი. ჯალათი ხელით გაჭედილი მონობის ბორკილი უკვე განყვეტაზეა. ეს ისტორიული მომენტი ღრმა განცდით და დიდი მღელვარებით აღბეჭდა „აჩრდილის“ ავტორმა:

**შრომა, ან ქვეყნად ტყვედა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვენებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევად გამზადებულა.
შრომისა ახსნა - ევ არის ტვირთი
ძლევა მოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ლელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროღვას,
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძვრულსა ბრძოლას, -
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.**

შემდეგ თავში ბუნებრივია, მოხაზული უნდა იყოს ძველის ნანგრევზე აღმოცენებული ჭეშმარიტი და სამართლიანი საზოგადოების არსებითი ნიშნები. ავტორს მთავარ პირობად ის მიაჩნია, რომ ახალ შენობას საძირკვლად „კაცთმოყვარეობა“ უნდა დაედოს.

აქ მართლაც ილიასეული ნათელი შტრიხებითა და მგზნებარებით არის დახატული მომავალი ბედნიერი ცხოვრების სურათი, რომელსაც ერთგვარი უტოპიური იერი დაჰკრავს და თავისი არსით რამდენადმე მოგვაგონებს „ვეფხისტყაოსნის“ გმირების მიერ შექმნილი სამართლიანი და ყოველგვარ დაპირისპირებას მოკლებული სამეფოს იდ-

ილიურ ატმოსფეროს (შიგან მათსა საბრძანისსა თხა და მგელი ერთად სძოვდეს...) ცხადია, ილიას ბევრი რამ ახალი, მისი თანამედროვე ეპოქის შესაბამისად აქვს გააზრებული და მოფიქრებული. „აჩრდილის“ მეთოთხმეტე თავი საკმაო წარმოდგენას გვაძლევს თუ როგორ ესახებოდა მის ავტორს აყვავებული ქვეყნის სახე. თავდაპირველად წინა სამი სტროფი მოვიტანოთ:

**შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჭეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთმოყვარების სახიერებით.
ყველასთვის იქმნეს იგი სუფევა
თანასწორადა ნიჭთა მფენელი;**

**მის მაღლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა
და ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი.
მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთმოყვარება და სათნოება.**

ბოლო სტრიქონში ისევ ადამიანთა მოდგმისათვის წამებული ქრისტეს სახება ილანდება, მაგრამ ახალ ყოფაში სიკეთის ამ საყოველთაო სიმბოლოს აბუჩად აგდება და თავზე ეკლის გვირგვინის ჩამომხობა აღარ მოელის. პოეტის რწმენით, ამ სამართლიან საზოგადოებაში საყოველთაო სიკეთე და ერთმანეთისადმი კეთილგანწყობა იქნება დამყარებული. თავისუფალი შრომის სამკვიდრო ყველას ნიჭს მისცემს შესაფერის გასაქმანს და არავინ არ დაიჩაგრება. აქ სრული და განუხრელი თანასწორობა უნდა სუფევდეს, კაცი კაცისგან არ უნდა ითრგუნებოდეს.

ყველაფრიდან ჩანს — თვით „ძველი ქვეყანა“ ხვდება, რომ მისი აღსასრული მოახლოებულია. უტყუარი გუმანით გრძნობს თვით ილიაც, რომ ეპოქალური ძვრები ისახება იმ საუკუნეში, რომელშიც მას უხდება ცხოვრება.

„აჩრდილის“ ზოგიერთმა პასაჟმა შეიძლება შორეულად გაგვახსენოს ალექსანდრ ბლოკის უმნიშვნელოვანესი პოემის „სამაგიეროს“ ცალკეული ადგილები. ბლოკის პოემაშიც მშფოთვარე, ჯანყიანი სული მძვინვარებს და ძველ სამყაროს დამსხვრევი ემუქრება. რუსი პოეტი თვით სულიერებისგან დაცლილ, ფიზიკურად დაუძლურებულ საუკუნეს უყენებს ბრალდებას, „სამგზის წყეულს“ და „დასაძრახისს“ ეძახის მას. სანიმუშოდ პირველი თავიდან რამდენიმე

სტროფს ამოვწერთ:

**ხარ რკინის ხანა, მრისხანე, მკაცრი,
შენ მეცხრამეტე ხარ საუკუნე,
ლამის წყვილიაღმი ჩააგდე კაცი,
ანამებს ფიქრი და გზა უკუნი,
და ხარ დროება, მარად წყეული,
გადაფარავს სივრცე უკუნეთს,
უსისხლო სულის, სუსტი სხეულის,
უმწეო თხოვნის ხარ საუკუნე...**

.....
**ბურჟუებს არგე მთელი დოვლათი,
უნმინდურება არ ბოლოვდება,
იმათ კი ძმობის ნიშნით მონათლეს
ბილნი საქმენი და ბოროტება.**
(თარგმანი ფილიპე ბერიძისა)

ამ ორი ნაწარმოების ზოგიერთი მსგავსება რომ დაგვეჩვენა, ალბათ, საჭირო იქნებოდა გამოწვევითი ტიპოლოგიური ანალიზი, მაგრამ ეს ჩვენი ნაშრომის ფარგლებს სცილდება და ამჯერად ამისგან თავს შევიკავებთ.

ახლა ისევ „აჩრდილის“ ხსენებულ თავს მივუბრუნდეთ, სადაც პოეტი თავის საუკუნეს „ზვიადს“ უწოდებს (ეს ეპითეტი, ადრე მყინვარის სიდიადის წარმოსაჩენად რომ არის გამოყენებული, ამაღლებულ იერს აძლევს უსამართლობის დასამხობად ამოდრავებულ ეპოქას) და მისგანვე აქვს იმედი, რომ შრომის დამატყვევებელი ბორკილის მსხვრევა ამ ბობოქარმა დრომ უნდა ითავოს. აქ ისევ მოვიხმობთ საგულისხმო ნაწყვეტს, რომელიც ინტონაციურად და აზრობრივადაც ეხმიანება და აგრძელებს წინა თავის საყოველთაოდ ცნობილ ადგილს („ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი...“).

**აღლო აილო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღე-და-ღღე მის წყობა ირღვევა,
და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შვას იგი შრომის სუფევა.
მაშინ მაშვრალო, შენც განკაცდები,
წარმართულთ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით აღმაღლები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ.
მაშინ ეგე ხმა შენის სიმღერის,
დაბლად ლულუნი დაღონებული,
მღერა ვით კვნესა, საწყალის მეხრის
შორი ხმა მწყემსის დაობლებული,
მხიარულ ხმებად გარდაგვეცვლების
და შენს გულთანზედ გულით ღმობილი
იტყვი სიმღერას თავისუფლების.**

რაოდენ დიდი ზნეობრივი სინმინდე გამოსჭვივის ამ სტრიქონში „სხვას ძირს არ დასწევს, თვით ამაღლები...“ ეს თვით ილ-

იას ურყევი მოქალაქეობრივი მრწამსია, მართლაც წარმოუდგენილია ადამიანი დაამდაბლო, გათელო და თავად ამალღდე.

ჩვენი აზრით, შემთხვევით არც ის არის, რომ ჭეშმარიტი ადამიანური სიმართლით გამსჭვალული მომდევნო სტრიქონი თავისი არსით ენათესავება და გვახსენებს გლახკაცის პირით ნათქვამ ხალხურ სიბრძნეს, ჩვენი ხალხის შინაგანი ბუნების შესაფერი ცხოვრების იდეალურ ნესს:

**არც არავის ყმა ვყოფილვარ,
არც არავინ ყმად მყოლი,
შავი პური, თეთრი ღვინო,
წლიდან წლამდე გამყოლია.**

ილიას ზუსტად აქვს მინიშნებული, რომ მშრომელი ადამიანის ხმადაბალი „ლულუნი დაღონებული“ (ამ წყვილში საუცხოო აზრობრივი და ევფონიური შეხამებაა მიღწეული) შვების მოპოვების შემდეგ მხიარული ხმებით შეიცვლება და თავისუფლების ნანატრი სიმღერა ითქმება. მართლაც, ქართველი გლახკაცის გაბმულ, სევდიან სიმღერაში თითქოს საუკუნეთა სიღრმიდან აღმომხდარი კვნესა გვესმის და თავად ილიაც „კაკო ყაჩაღში“, როგორც გვახსოვს, ასე მოხდენილად ახასიათებდა ღამით ალაზნის პირას მიმავალი მეურმის ნალვლიან სიმღერას:

**ლულუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი...**

სწორედ ამ „გლოვის ზარის“ ხალისიან კილოზე შეცვლა მოწყურებია „აჩრდილის“ დამწერს და მოუთმენლად ელოდება იმ დღეს, როცა მშობლიურ მთა-ბარს ეს ბედნიერის ჰანგი მოეფინება.

პოემის ახალი, მეთხუთმეტე თავი ეთმობა სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენელთა ჩვენებასა და მოკლე დახასიათებას. თვითეული მათგანის ბუნებაში პოეტი არსებითს და ნიშანდობლივს გამოყოფს და ამ ძუნწი შტრიხებითაც ჩვენს წინაშე საკმაოდ ზუსტი ფსიქოლოგიური პორტრეტი იხატება.

თავდაპირველად გამოჩნდება გაფუყული დიდგვაროვანი, რომელსაც არაფრად უღირს მონური შრომისგან გასაცოდავებული მოძმის ტანჯვა, პირიქით, ამ ტანჯვის საფასურად არის მიღწეული მისი კეთილდღეობა. ბუნებრივია, ასეთი პიროვნება ბოროტებას არ შეეებრძოლება, ვინაიდან თავად არის ბოროტების მსახური და მას ეფუძნება. და-

ვაკვირდეთ, როგორი ხელშესახები სიცხადით არის არენაზე გამოყვანილი ფუფუნებაში მყოფი, გაზულუქებული პრივილეგირებული კლასის წარმომადგენელი:

**აგერ დიდკაცი დარბაისელი
კმაყოფილების განცხრომაშია
მაშინ, როს მისი მოძმე საწყალი
სასონარკვეთილ მონებაშია.
მოძმეთა ხსნისთვის თავის-დადება
წმინდა ხვედრია მხოლოდა გმირთა
და მას ვით შესძლებს თავმოყვარება,
რომელიც იმა დიდკაცთა სჭირთა?
ის რად ინდომებს ქვეყნისა ბედსა,
როს მასა შველის მის ბედკრულება?
რად შეებრძვის ის სიბოროტესა,
როს მეოხებით მისით თვით ჰრჩება?**

ამის ქვემო საფეხურზე ათასწაირ მაქინაციებში განაფული, გაქნილი ვაჭარია, რომელიც მოძმის მოტყუებასა და ამ საძრახი გზით გამდიდრებას ცდილობს. აქაც იგივე ჩვენებითი ნაწილაკია („აგერ“) გამოყენებული და წარმოსახულ სურათს კვლავ დიდი სიცხადე და დამაჯერებლობა ეძლევა. მოგების სურვილს ამ გავრცელებულ ტიპში ყოველივე ადამიანური ჩაუკლავს და არავის არ ინდობს, ოღონდ როგორმე ხელი მოითბოს:

**აგერ ვაჭარიც ცბიერის ღიმით
მოძმეს ატყუებს, რა ჰყიდის ნივთსა,
და ძმა მის მოკვდეს თუნდა შიმშილით,
უნაღვლოდ განვლის ცხოვრების ხიდსა.**

ვაჭარს ენაცვლება უმაქნისი სამღვდელოება, რომელსაც ქრისტეს მოძღვრება დიდად არ ენაღვლება და ხალხის სულიერი აღზრდისათვის, ზნეობრივი სრულყოფისათვის არაფერს აკეთებს. ასეთი მღვდლები, რა თქმა უნდა, სიყვარულსა და სამართლიანობას ვერ დანერგავენ, დაცემულ ერს ვერ ალადგენენ, ვერავის ვერ აზიარებენ უმაღლეს ჭეშმარიტებას; სახელს უტეხენ ეკლესიას, ჯვარცმულ მაცხოვარს. სამღვდელოებას სტროფების იმდენივე რაოდენობა აქვს დათმობილი, რამდენიც „დარბაისელ“ დიდგვაროვანს (სამი) და ეს გარკვეულ სიმეტრიას ქმნის:

**აგერა მღვდელიც - ერთა მამანი -
რომელთ ქრისტესგან ვალად სდებიათ
ამა ერისა სულის აღზრდანი,
რა რიგ გულ-ხელი დაუკრებიათ!
სადარის სიტყვა დიდის სწავლისა,
სიყვარულისა და სამართლისა,
რომ მათ ბაგეთგან არ მომდინარებს**

**და ერს დაცემულს არ აღამალლებს?
სად არის იგი მლაღადებელი
ქვეყნის ხსნისათვის ჭეშმარიტება?
სად არის იგი ბინის მდევნელი
ჯვარცმულის ღმერთის მაღალი მცნება?**

სამგზის განმეორებული „სად არის“ უფრო მღელვარე სულის პროტესტია, ვიდრე კითხვა. ამ რიტორიკულ შეკითხვაზე, ცხადია, ილია პასუხს არც ელოდება, კარგად იცის, რომ ამნაირი „ერის მამების“ ხელში მრევლს სიკეთე არ დაეყრება.

ამის შემდგომ ილია აგრძელებს აჩრდილის პირით ჩვენი სამშობლოს ცალკეული ადგილების ზუსტ, პირუთვნელ დახასიათებას. პირველად გრძნეული მოხუცის ყურადღებას, ცხადია, ტფილისი და მისი მკვიდრნი იქცევენ, მაგრამ ბრძენკაცი ვერაფერს ამჩნევს სახარბიელოს და თვით მათ ცხოვრებაში, ყოველდღიურ „ფაცა-ფუცში“ ვერავითარი აზრი ვერ დაუნახავს. თითქოს კიდევ ლხინობენ, სიხარულსაც ავლენენ, ნაირნაირ მოჩვენებით საქმიანობას ეწევიან, ხან მწუხარების ცრემლები სდით, ხანაც ბედნიერების ღიმილი დასთამაშებთ სახეზე, მაგრამ ყოველივე ეს აზრს მოკლებულია, ცარიელია და ყალბი, ამკარაა - ილია ბრძენი მოხუცის აჩრდილს ათქმევინებს წლობით ნაგროვებ თავის სათქმელს, თითქოს ერთი ხელის გაშვერაზეა უცნაურად აფუსფუსებული საქართველოს აწინდელი დედაქალაქი:

**აგერ ტფილისიც!. ყრმასაც და ბერსაც,
ქალსა — მახინჯსაც და მშვენიერსაც,
დიდსა, პატარას, თავადსა, გლეხსა,
მე უხილავი ყურსა ვუგდებდი,
მაგრამ კი, ვფიცავ ქართველის სახელსა,
მათს აზრში აზრსა მე ვერ ვპოვებდი.
ერთგზით შეხედავ და იქ ცხოვრება
მართალ ცხოვრებად მოგეჩვენება:
ჰლხინობენ კიდევ, კიდევ ჰხარობენ,
ჰფიქრობენ, ჰგრძნობენ და ჰმოქმედობენ,
ჰხედავ ფაცა-ფუცს და ყველგან ჟღივილს,
უბედურ ცრემლთან ბედნიერ ღიმილს, —
მაგრამ მათ ცრემლსა,
ღიმილს თუ გრძნობას,
ჭმუნვას, სიხარულს თუ მოქმედობას,
ფრჩხილის ოდენიც არა აქვს აზრი
და ყველა იგი თვალთმაქცი არი.**

აქ ყველაფერს ამაოების ბეჭედი აზის. დაკარგულია თვით არსებობის აზრი. ასეთი ხალხი ვერც წინაპარს მიაგებს პატივს და ვერც შთამომავლობას მისცემს მისაბამ გალითს ყველაფერი თვალის ასახვევად,

ყასიდად კეთდება. უმიზნოდ დარჩენილებს, ერთი ადგილის ტკეპნა უხდებათ. დღე დღეს ებმის და მათ ირგვლივ სრულიად არაფერი იცვლება, თითქოს დრო გაიყინაო. განაჩენიც უმკაცრესია გამოტანილი, მცენარეთა მონურ არსებობას რომ ეკადრება, ისეთი.

თითქოს განგებამ დასაჯაო ამ ქალაქის მკვიდრნი — არც სიკეთის ფასი იციან და არც სილამაზისა გაეგებათ რამე. მამების ნაღვანი და ნაამაგარი შვილებს არაფრად უღირთ. ყველაფერი, თვით უწმინდესი გრძნობებიც კი, ოქროზე იყიდება. ოლონდ მთავრის მონყალე ღიმილს ეღირსონ და სხვა არაფერი უნდათ. კეთილდღეობის, უზრუნველი ცხოვრების მისაღწევად არაფერს თაკილობენ. მეტად ძნელი მოსასმენია მყინვარზე გადმომდგარი აჩრდილის მრისხანე სიტყვები, დიდი გულისტკივილი რომ ახლავს:

**ფუჭია იგი მისი ცხოვრება,
უფერულია და ცალიერი,
არც სიცოცხლეა, არც გემოვნება,
არცა საგანი გულწარმტაცველი!
იქ დღე რბის დღესავით, რბოდა გუშინ,
ერთნაირად და უფერულადა,
რისთვისაც მამანი იღწვოდნენ უწინ -
დღეს შვილთ არ უღირთ
არც ერთ ფლურადა.
გრძნობას — ოქროსა ფასად ჰყიდიან,
მთავრის ღიმილზე — პატიოსნებას
და დაჟანგებულ ბორკილზე სვლიან
თავის მამულის თავისუფლებას.**

ბოლო ორ სტრიქონში ოსტატურად, მარჯვედ არის გამოყენებული კონტრასტის უძველესი და ეფექტური ხერხი. ერთმანეთთან არის დაპირისპირებული ორი შეუთავსებელი რამ: ის, ვინც თავისი სამშობლოს თავისუფლებას, პირადი გამორჩენის გამო, „დაჟანგებულ ბორკილზე“ გაცვლის, სრულყოფილი ადამიანი ვერასოდეს ვერ გახდება, ლაქიად უნდა დარჩეს.

ასეთ სავალალო მდგომარეობაში ვტოვებთ საქართველოს ამჟამინდელ დედაქალაქს. გულთამხილავი მოხუცის ყოვლისმხედველი მზერა გადადის ჩვენ ნაფუძარზე და აჩრდილმაც წარსული დიდება უნდა გაიხსენოს, მაგრამ ამ კურთხეული ალაგის გახსენებას წარუხოცელი სევდაც თან სდევს. აქაურობას ახლა ღია ცის ქვეშ გაშლილი მუზეუმის იერი დაჰკრავს და მცხეთაც ოდესლაც დიდი, მჩქეფარე ცხოვრების აკლამად ქცეულა - საამაყო წარსულის მკრთალ ხსოვნასა ინახავს. ეს გახლდათ

„აჩრდილის“ მეჩვიდმეტე თავი, რომელიც იმითაც იქცევის ყურადღებას, რომ მასში საყოველთაოდ ცნობილი, ფართოდ გავრცელებული არქეტიპები - უძველესი სიმბოლოები - თავისებური, ქართული იერითაა შეფერილი. ხსენებული თავი, თუ დავაკვირდებით, ორ ნაწილად იყოფა: იმად, რაც იყო ძველად და რაც ამჟამად აღარაა, ძალა დაუკარგავს, გაცამტვერებულა. კვლავ იგივე ჩვენებითი ნაწილაკი, ოლონდ ოდნავ შეცვლილი („აგერა“) და თვალწინ ძვირფასი და ესოდენ ნაცნობი გარემო გვეშლება:

**აგერა მცხეთაც — სავანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების,
სად პირველ ქართველის**

მორჭმულთა შვილთა

**ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების;
სადაც ჰყვაროდა ხე ცხოვრებისა
ქართველის გულიდან აღმოჩენილი,
და წყარო იგი, წყარო შვებისა
სჩქეფდა იმ გულით გარდმოდენილი;
სად ის ხე ნაძვის მის სურნელისა
ჰყვაროდა ქართველის წყლულთა კურნებად,
და მის ქვეშ წყარო უკვდავებისა
სცემდა იაზმას ერის ცხოვრებად;
სად იმ ხის, მწინდის ფოთოლი, ხილი
საკვდავად დაჭრილს ეკურნებოდა;
სად იმა წყაროს წყლით გაბანილი
ქართველის ტკივილი დაყურდებოდა.**

თვით ფაქტი, რომ დიდებული მცხეთა - „სავანე გმირთა“ მოხსენიებულია, როგორც „დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების“, ამკარად მეტყველებს იმაზე, რომ ოდესღაც დიდი ცხოვრება აქ ჩამკვდარა. ნუგეშად ისლა დაგვრჩენია, რომ ამ ცხოვრებას იმთავითვე საფუძვლად დაედო სანუკვარი თავისუფლება, რომლის უკვდავი ნერგი პირველმა ქართველებმა „ღრმად ჩარგეს“ და ნაყოფიც უხვი მიიღეს.

აქვეა ნახსენები ჯერ კიდევ ბიბლიიდან, ადამის დროიდანვე ცნობილი და ძველ ხალხთა ყოფასა და კულტურაში დამკვიდრებული „ხე ცხოვრებისა“ - ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმბოლო, რომლის თავისებური გამოხატულება იყო ქართული დარბაზის დედაბოძი. შემთხვევითი არ გახლავთ, რომ ეს სასწაულებრივად აყვავებული ხე წარმოსახულია, როგორც „ქართველის გულიდან აღმოჩენილი“.

იგივე მოტივი გამოკვეთილია ილიას დრამატულ პოემაში „ქართველის დედა“, სადაც დედა მტარვალთა მიერ აკრძალულ ადამიანთა სანუკვარ ჯილდოს, უკვდავების

შენიშვნის ფასად მოპოვებულ თავისუფლებას შთაგონებული მიმართავს: „ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო“.

ხესთან იმთავითვე დაკავშირებულია სიცოცხლის პირველმიზეზი - წყარო, რაც ასახულია „ცხოვრების ხის“ თანმხლებ ქართულ (და არამართო ქართულ) ორნამენტებში და რასაც აგრეთვე მეტაფორულ-სიმბოლოური გააზრება აქვს. „აჩრდილში“ ეს წყარო კვლავ „იმ გულით გარდმოდენილი“ მოსჩქეფს. აქ შეუძლებელია არ გაგვახსენდეს დავით გურამიშვილის ბრწყინვალე სტრიქონი, ბიბლიიდან რომ იღებს სათავეს: „გულზედ მქონდა მოხაზული ცხოვრებისა წყაროს წყალი“ აქვე შეგვიძლია მოვიგონოთ დავითის ფსალმუნის (35. 10) ერთი მუხლი, უფლის სადიდებლად წარმოთქმული: „რამეთუ შენგან არს წყარო ცხოვრებისა და ნათლითა შენითა ვიხილეთ ჩუენ ნათელი“.

ილიას პოემაში ნახსენები „წყარო შვებისა“ იგივე უკვდავების წყაროა (ოდნავ ქვემოთ ასედაც არის მოხსენიებული) და იქვე ქართველთა წყლულების დამაამებელი „ხე ნაძვის“ - სიცოცხლის მომნიჭებელი უკვდავი ხეა. ნაძვი მას მხოლოდ პირობითად ჰქვია, ალბათ, გაუხუნარი ფერის გამო (ჩვენს ხალხურ პოეზიაში ამ ტიპის სიმბოლოდ გამოყენებულია ალვის ხე, რომელსაც ყურძენი ასხია). ნაძვი რომ პირობითი სახელწოდებაა, ეს ცოტა ქვემოთ თვით პოემის ტექსტიდანაც ჩანს, სადაც ამ საკრალური ხის „ფოთოლი, ხილი“ სასიკვდილოდ დაჭრილ ქართველთა განმკურნავი ნამალია. ამ ზღაპრული ხის ძირში ამომჩქეფარ, აიაზმის მასხურებელ წყაროსაც სასწაულებრივი ძალა აქვს - მის წყალში განბანილ ქართველს ტკივილი უყურდება, მტრის ხელით მიყენებული იარები უშუშდება. ეს იყო ძველად, მანამდე. ახლა კი ყველა საზარლად არის სახეცვლილი და გაპარტახებული. ჯობს ისევ ყოვლისმომსწრე მოხუცის აჩრდილს მოვუსმინოთ:

**აქ აღარა სჩქეფს წყარო ცხოველი,
ხე ცხოვრებისაც იგი დამჭკნარა
და იგი დედა-ქალაქი ვრცელი
ან სამიკიტნო დაბად გამხდარა.
ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი.
დიდი ცხოვრება მის დაცემულა,
ღღეს იმ ცხოვრების მწინდა ალაგნი
პირუტყვთ ქელვითა შეგინებულა.**

ვიდრე მთლიან სურათზე ვიტყვოდეთ, რამეს მანამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს დედაქალაქზე ნათქვამი „ნგრეულან მისნი

დიდნი პალატინი“ პირდაპირი გამოძახილია ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელგანთქმული „გოგჩის“ სტრიქონისა: „აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი...“, — ოლონდ ოდნავ სახეცვლილი, სხვა საზომსა და კონტექსტში მოქცეული.

მოტანილ ნაწყვეტში ჭეშმარიტად შემადრწუნებელი, თავზარდამცემი სურათია დახატული. ჩვენი ერის საარსებო ძალები დაშრეტილია: „...ალარ სჩქეფს წყარო ცხოველი“. ამის უშუალო, გარდაუვალი შედეგია, რომ „ხე ცხოვრებისაც იგი დამჭკნარა“ ერთ დროს საამაყო დედაქალაქი კი „სამიკიტრო დაბად“ ქცეულა, ნვრილი ვაჭრუკანების სათარეშო ასპარეზია.

ამ ადგილმა შეიძლება დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ერთი მიმართვა გაგვახსენოს, სადაც განრისხებული და შენუხებული დიდი ფლორენციული თავის სამშობლოს საროსკიპოს ადარებს (მიხეილ ლოზინსკის რუსულ თარგმანში ეს შედარება რამდენადმე შეცვლილია):

**Италия. раба, скорбей очаг,
В великой буре судно без кормила,
Не госпожа народов, а кабак!**

აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ ილიას ეხმიანება მისი პიროვნების თავყანისმცემელი და უმცროსი თანამედროვე ვაჟა ფშაველა, რომელიც საზოგადოების მიუტევებელი გულგრილობით განაწყენებული წერს:

**ვისლა სცალია ჩემთვისა,
ქვეყანა იქცა დუქნადა.**

მსგავსი პარალელის მოტანა კიდევ შეიძლებოდა. მაგალითად, სერგეი ესენინის პოემაში „Москва кабацкая“ რუსეთს ზღვის ტალღებზე მოტორტმანე გემსაც ადარებს და მისთვის ჩვეულ ადგილად ქცეულ დუქანსაც: „Тот кабак был Россией...“ ამგვარი ფაქტები ადასტურებს, რომ სხვადასხვა ქვეყნებისა და ეპოქების პოეტები მტკივნეულად განიცდიან თავიანთი სამშობლოს დაცემას და ამ მძიმე განცდას დაახლოებით ერთნაირად გამოხატავენ, ერთ სადინარს უძებნიან.

ზემოთ მოხმობილი ნაწყვეტის ბოლო ორი სტრიქონი („დღეს იმ ცხოვრების წმინდა ალგანი/პირუტყვთა ქელვით შეგინებულა“) თვალნათლივ გვახსენებს ისტორიულ ბედუკულმართობას, როცა დამპყრობლები (ეს განსაკუთრებით თურქეთის მიერ მიტა-

ცებულ ქართულ მიწებს ეხება) ჩვენს დიდებულ ტაძრებს ბოსლებად და თავლებად იყენებდნენ.

ამის შემდგომ მოდის ახალი თავი და პოემის მეტრი კვლავ იცვლება — ათმარცვლიანს ისევ თოთხმეტმარცვლიანი საზომი მოსდევს (ამ საზომთა საოცრად ბუნებრივი, ჰარმონიული შეფჯარება ჯერ კიდევ ბარათაშვილმა მოახდინა თავის უკვდავ „მერანში“); მონოლოგს ადრინდელი, დინჯი ტონალობა მსჭვალავს. აქ კვლავ ზოგადად არის გახსენებული ის აურაცხელი უბედურება, რაც საუკუნეთა განმავლობაში თავს ატყდებოდა ჩვენს მცირერიცხოვან ერს და რასაც „თანამდევნი სულის“ რწმენით სხვა ხალხი ვერასგზით ვერ გადურჩებოდა. გაბმულ გოდებაში მაინც ჭიატებს მცირედი იმედის სხივი – ესაა ქართლოსის ძეთა უტეხოება, მტერთა წინაშე ქედუხრელობა. დავაკვირდეთ, რაოდენი სიყვარული, სიამაყე და სინაზეა ამ სიტყვებში:

**ქართველის სამკვიდროვ,
ქვეყნის თვალად დაბადებულო,
რამდენ ვაებას შენსა თავზე გადაუვლია!..
ჯვარცმულის ღვთისთვის
თვით ჯვარცმულო და წამებულო,
ეკლიანს გზაზედ შენებრ სხვასა
რომელს უვლია?
სხვა რომელიც, რომ ათასთ წელთ
ბრძოლა მედგარი
გამოევლოს და სრულიად მტვრად
არ აღვკვილიყოს?
შენ ხარ, მარტო შენ... მაგალითი
სხვა არსად არი,
რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა
ეს შესძლებიყოს.**

პოეტური აზროვნების რა დიდი სითამამეა საჭირო, რომ „ქვეყნის თვალად დაბადებულ“ ულამაზეს, მთელი ხმელეთის დამამშვენებელ კუთხეს, გადატანილი ჯოჯოხეთური სატანჯველის გამო, ასე მიმართო: „ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო“. ქრისტეს მონამებრივი ხვედრი თვით უფლის სახელისთვის თავდადებულ ჩვენს ერზეა გადატანილი და ამ წმინდა ჯვარის მტვირთველი ხალხი უჩვეულოდ მალღდება, სადა, გარეგნულ ბრწყინვალებას მოკლებული მეტაფორა ორმაგ ძალას იძენს.

ორი ათასი წლის ხმაღრაუგებელი ბრძოლა და სისხლის ნიაღვრები ვის ძალას არ დანრეტდა, და საბედნიეროდ არ დაუკარგავს სახე, სიცოცხლის ხალისი. ამ ბრძოლამ

შეინირა თითქმის ყველაფერი, მათ შორის უდიდესი შემოქმედებითი ენერჯია, თორემ ჩვენი ერი გაცილებით მეტს და მნიშვნელოვანს შექმნიდა. ამაზე წუხილს წარმოადგენს ზემოთ მოტანილი, ნაკვეთის ფინალური სტროფი:

**ორი რამ იყო, რისთვისაც
ძე შენი იღწვოდა, —
ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის
არ მოაცალა, —
მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა,
ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა.**

მეცხრამეტე თავი იმავე ტონალობაში გრძელდება და გახსენებულია ლეგენდად ქცეული ალექსანდრე მაკედონელის სავარაუდებელი ლაშქრობა (ეს სახელი პირობითია, აქ შეიძლება ისტორიულად უფრო რეალური პომპეუსის შემოსვლაც გვეგულისხმება), უცხოელთა მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობა; შეუბრალებელ უცხო მთავართა ხელში მოხვედრა და უღმობელი ჩაგვრა. ყველაზე დიდ უბედურებად არის მიჩნეული „ერის განძის“ — ჩვენი ენის განუკითხავი დევნა, რაც გადაგვარებას და გაქრობას გვიქადდა. თვით ამ თავის ბოლოს ნაჩვენებია, თუ როგორ თანდათან ღვივდებოდა უღელდადგმული ხალხის გულში შურისძიების წმინდა გრძნობა; ყველაფრიდან ჩანს, რომ დამპყრობელისადმი მორჩილება გარეგნულია, მტრის მიმართ ზიზღი ოდნავადაც არ განელბეულია:

**მას მორჩილებდა ერი შენი მძულვარებითა,
დევნულობის და კირთების ქვეშ
თავს არ იხრიდა,
და მონებრივის თვალთმიქცევის
კრძალულებითა
ზღვევისა ნადილს გულდაკეპით
დღე-ღამე ჰზრდიდა.**

მეოცე თავი ისევ ძირითად, ათმარცვლიან საზომთან გვაბრუნებს, მაგრამ იგი პირდაპირი და ლოგიკური გაგრძელებაა წინასი. იქ ნახსენები „ზღვევის“ (შურისძიების) კვალდაკვალ უკვე ჩნდება მრისხანე მეტაფორა - „ხმალი ზღვევისა“, რაც ქართველთა ლეგენდარული მეფის, მნიგნობრობის შექმნელის - ფარნავაზის სახელს უკავშირდება. თავად ბრძენი მოხუცის აჩრდილი, ერის მახსოვრობას რომ განასახიერებს და გონებაში მთელ გარდასულ დროებას იტყვის, თვალთ მხილველის დაბეჯითებით ამბობს მრავლისმეტყველ ფრაზას: „მახსოვს ფარ-

ნავაზ...“ ეს ეფექტური ხერხი ერთ თავის ლექსში („მთვარის ნაამბობიდან“), როგორც ცნობილია, ძალზე შთამბეჭდავად გამოიყენა გალაკტიონ ტაბიძემ (პოეტი მთვარეს ალაპარაკებს) და ჩვენს თვალწინ შორეული, საოცნებო წარსულის იშვიათი, დაუფინყარი სურათი გააცოცხლა:

**რუსთაველი მახსოვს ბავშვი,
ქანაობდა ოქროს ნავში...**

ახლა უშუალოდ მივუბრუნდეთ „აჩრდილის“ მეოცე თავს, სადაც ზემოთ ნახსენები ფრაზა უბრალოდ, თითქოს სხვათა შორის არის ჩართული პოემის საერთო მდინარებაში:

**მოვიდა ის დღეც შურისგებისა,
მტარვალს აღუდგა ქართველის ქველობა...
მართალი არის ხმალი ზღვევისა,
როს ხელს ჰკიდებს მას მამულის ტრფობა.
მახსოვს ფარნავაზ ჰაეროვანი,
გულმტკივნეული შვილი ქვეყნისა...
მან იდვა თავსა სახელოვანი
ის დიდი საქმე შურისგებისა.**

ფარნავაზის პიროვნების დასახატავად, როგორც ვხედავთ, ზედიზედ ორი ეპითეტია გამოყენებული. პირველი („ჰაეროვანი“) მის მოხდენილ გარეგნობას, სიჩაუქეს, ტანადობას, ეხება, მეორე („გულმტკივნეული“) თავისი ერის ჩაგრული მდგომარეობით შეძრულ რაინდს წარმოგვიდგენს. ცხადია, ასეთი ძალგულოვანი ვაჟკაცი ვერ აიტანდა მისი სამშობლოს დამონებას. შურისძიების ნადილით ანთებული ფარნავაზის აფორი-აქებულ სულს ყოველგვარ შედარებაზე უკეთ გადმოგვცემს მიყოლებით ორჯერ წარმოთქმული უბრალო ფრაზა: „ველარ გაუძლო...“ ეს სწორედ ის უკიდურესი ნერტილია, რომლის შემდეგაც „ხმალი ზღვევისა“ თავის სიტყვას ამბობს:

**ერის და ქვეყნის შეურაცხყოფას
ველარ გაუძლო ჭაბუკმა გმირმა,
ველარ გაუძლო მტარვალთ ურცხვობას
იმა მამულის ამაყმა შვილმა.
გადგა და დასცა თავზარი მტერსა,
დაამხო პირქვე ყმობა, მონება,
და უცხოთ ხელთქვეით დაჩაგრულს ერსა,
ვით მზე, მოჰფინა თავისუფლება...**

საყურადღებოა ბოლო სტრიქონებში მოქცეული შედარება, სადაც დამონებული ქვეყნისთვის მოპოვებული თავისუფლება

მზედ არის წარმოდგენილი. მზის მაცოცხლებელი სხივები მართლაც თავისუფლების მსგავსად, ერთნაირად ესაჭიროება და უნათებს ყველას — დიდსა თუ მცირეს. აქ ჩვენს მეხსიერებაში უნებურად ცოცხლდება რუსთაველის ბრწყინვალე პოეტური სახე: „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების...“ თავისუფლებაც ასევე თანასწორად უნდა გაუნანილდეს ყოველ სულდამულს, რათა ქვეყნად სამართლიანობა და ბედნიერება სუფევდეს.

ოცდამეერთე თავი აგრძელებს წამით შეწყვეტილ თხრობას და კვლავ ზოგადად გადმოგვცემს თუ როგორ იგერიებდა პატარა საქართველო ოთხივე მხრიდან მისეულ მტრებს. აქვე განმეორებაზე დამყარებული ერთი ცნობილი და ამასთანავე შთამბეჭდავი ხერხი გვხვდება. თავდაპირველად ორი მომენტია ნაჩვენები, როცა ქვეყანა ერთ მუშტად იყო შეკრული და მომხდურს საკადრისად უხვდებოდა. ორივე ეს მდგომარეობა წარსულზე მოდის და დროც, შესაბამისაც, წარსულია:

**იყო დრო, როს შენს ძახილზედ, ხმაზედ
მამულის დროშა გაიშლებოდა...
და იქვე:
იყო დრო, როცა შენის გულისთვის
თვითონ სიკვდილსაც ღზინად ჰხადოდნენ...**

ეს სანატრელი ხანა იმ საამაყო წარსულს ჩაბარდა და ამჟამად ჩვენი ქვეყანა, მისი მკვიდრნი ძნელი საცნობია. მესამედ უკვე მკვეთრი დაპირისპირება გვაქვს წინა ორ შემთხვევასთან და კონტრასტი იმდენად დიდია, გეგონება ორ სხვადასხვა ხალხზეო ლაპარაკი. მწარე სინანული და გულისტკივილი ისმის მოხუცის ხმაში, უფრო ამოხვრას რომ გავს:

**ეხლა რაღაა!.. გაჰქრნენ ის დღენი,
გაჰქრა იგიცა ძალ-გულოვნება,
და საკვირველნი მამათ საქმენი
ეხლანდელ შენს შვილს არც აგონდება.**

ყველაზე შემაშფოთებელი და თავზარდამცემი სწორედ შთამომავლის ეს მცონარობა და გულგრილობა, მის მიერ მახსოვრობის დაკარგვაა. ინგრევა საუკუნეობით ნაშენები ხიდი, წყდება სასიცოცხლო კავშირი საამაყო წინაპრებთან, რამაც შეიძლება ერი სრულ გადაგვარებამდე და გაქრობამდე მიიყვანოს. სწორედ ამიტომ არის შემოკრული ეს საგანგაშო ზარი; მუდამ უნდა გვახსოვდეს, ვისი მემკვიდრენი ვართ, სამომავ-

ლოდ რისი გაკეთება გვმართებს უამისოდ ერს არსებობა არ შეუძლია.

აღსანიშნავია, რომ ამის შემდეგ პოემის საბოლოო ვარიანტის ორი თავი (ოცდამეორე და ოცდამესამე) ცენზურის მიზეზით დაკარგულია და ეს რა თქმა უნდა, ერთგვარ დაღს ასვამს, რამდენადმე აზიანებს „აჩრდილის“ კომპოზიციურ მთლიანობას.

ოცდამეოთხე თავი გადმოგვცემს მძიმე, წინააღმდეგობრივ გზას, რაც ქართველმა ერმა საუკუნეთა მანძილზე გამოიარა. ესაა უწყვეტი ჯაჭვი დაცემისა და კვლავ აღდგენისა, კერათა ჩაქრობისა და განახლებისა. ნაჩვენებია თუ როგორ დაირღვა და პატარა პატარა ნაკადებად დაიშალა ერის ძლიერი სხეული. აქ არის ნატვრა კვლავ გამთლიანებისა, არის დიდი ნუხილი იმაზე თუ როდის გველირება:

**როს ესე ტოტნი ერთ ცხოვრების,
ერთ-არსებისა
ეხლა გაყრილნი ერთ მდინარედ
შეერთდებიან?**

ერთმანეთისგან ხელოვნურად გათიშული ქართველთა ტომების, დაქსაქსული ხალხის კვლავ ერთმდინარედ შეკვრა ძალზე მარჯვე, ღრმა და ადვილად წარმოსადგენი მეტაფორაა და როგორც გარეგნულად, ასევე შინაარსობრივადაც მოგვაგონებს „ცხოვრების ხის“ სიმბოლოს, რომელზეც მანამდე გვექონდა საუბარი.

აღნიშნული მონოლოგის დასრულებითანავე თხრობაში ავტორი ჩაერთვის; ახალი, ოცდამეხუთე თავი ბუნების უცვარ აბობოქრებას, გამაყრუებელ ჭექა-ქუხილს გვამცნობს. ქარიშხლის ღმუილს და სვეტებად ავარდნილ თოვლის შუქს ზვავის სამინელი გრიალი მოჰყვება. ირგვლივ წყვიდადი ისადგურებს. იქაურობა თანდათან „ბნელ ჯოჯოხეთს“ ემსგავსება. ღირიკულ გმირსაც მცირე ხნით სევდა და უიმედობა ეუფლება: „ნუთუ გათავდა ამით ხილვა ეს“ საბედნიეროდ, მალე ისევ ნათელი ფანტავს ბნელს, მყინვარი კვლავ მზის ოქროსფერი სხივებით იმოსება და დიდებული მოხუცი კვლავინდებურად გაბრწყინებული მოჩანს; ოღონდ ამჟამად დაჩოქილია და ცისკენ აუზიდავს მზერა:

**ცისკენ აღეპყრნა თრთოლვითა ხელნი
და მოედრიკნა მუხლნი ძლიერნი.
თურმე მოხუცი ის ლოცულობდა
და ღმერთსა ესრეთ ევედრებოდა:
ეს ღვთაებრივი, სწორუპოვარი ლოცვა-**

ვედრება საგანგებო, ოცდამეექვსე თავად არის გამოყოფილი და პოემის ნამდვილ გვირგვინს წარმოადგენს. პრველივე სტრიქონიდან გაცხადებულია ჩვენი ერის საკრალური რწმენა. რომ საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვედომია. ეს სავედრებელიც წმინდა მარიამს ეკუთვნის. მან უნდა არგუნოს შვება მის კალთას შეფარებულ მრავალტანჯულ ხალხს, მოწყალე თვალთ გადმოხედოს, აკმაროს ამდენი სისხლისღვრა და ვაება. ხალხის გულისთქმა ერთ მძლავრ ღალადისად დაგუბებულია:

**დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა
შენი მხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ
ამ ტანჯულს ხალხსა;
საღმრთოდ მიიღე სისხლი,
რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო,
ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!..**

მლოცველი საგანგებოდ შესთხოვს ჩვენს მფარველსა და შემწეს — მარადიულ ქალწულს, რათა დაძაბუნებული საქართველო ფეხზე წამოაყენოს, ძველებურად გააძლიეროს: „მიეცი ძალა დავრდომილსა კვლავ აღდგომისა“.

საგულისხმოა, რომ თავისი უმნიშვნელოვანესი ისტორიული პოემის „თორნიკე ერისთავის“ დასასრულს აკაკი წერეთელი თითქმის ასევე ალაპარაკებს ზეცისკენ თვალებაპრობილ ქართველ ქალთა წმინდა სამეულს (ნინო, თამარი, ქეთევანი):

**დედაო ღვთისავ! შენი ხვედრია
ეს საქართველო დიდჭირნახული,
შეუნდევ ცოდვა!.. ნუ ააღებ ხელს,
ლმობიერებით იბრუნე გული!..
მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გადმოსახე ძლიერად ჯვარი,
რომ ალადგინო ქართველთა ერი,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!**

იგივე მოტივი აშკარად არის გამოკვეთილი, აგრეთვე გალაკტიონ ტაბიძის ადრეული ხანის ლირიკაში, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

მოხუცის მიერ წარმოდგენილი ლოცვა „აჩრდილში“ თავდება მხურვალე ვედრებით, რომ ცაზე იმედის ძველთაძველი სიმბოლო - ცისარტყელა აინთოს და ხალხს მოსალოდნელი წარღვნის შიში მოშორდეს ისევე, როგორც ოდესღაც შვებით ამოისუნთქეს ბიბლიური ნოეს კიდობნით გადარჩე-

ნილებმა:

**ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი
წარხოცო ხალხსა!..**

აჩრდილის ეს ვედრება თუ ნატვრა უმაღლესად სრულდება და ამას ჩვენ ბოლო, ოცდამეექვსე თავში ვხედავთ. მათა თოვლიან თხემებზე ისევე ელვარებს კაშკაშა, დამაბრმავებელი შუქი, რისი მომსწრეც პოემის დასაწყისში ვიყავით. კრიალა ლაჟვარდზე ბედნიერების მაცნე — „შვიდფეროვანი სარტყელი“ ირკალება. მსგავსი სილამაზის ხილვა ადამიანის თვალს მართლაც იშვიათად უწევს:

**მსწრაფლ გადმოეშო ცისა ლაჟვარდსა
შვიდფეროვანი სარტყელი ცისა
და გადაფენილა ჩემს ქვეყანასა
მახარობელად ტკბილ იმედისა.
ამენთო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ,
ერთს ფიქრს მიეცა გულისთქმა ყველა,
და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ
ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა.**

„თორნიკე ერისთავშიც“ სიზმრად მოვლენილ დიდებულ ქალთა ლოცვასაც მოსდევს ზუსტად ასეთივე სურათი, ამავე აზრისა და ასეთივე ნათელი და ამაღლვებელი განწყობილების შემცველი. დამთხვევა მართლაც გასაოცარია:

**რომ გაათავეს თურმე ეს ლოცვა,
ზეცას შეჰხედეს სამთავემ ნელა
და დაინახეს, რომ ძველ ადგილზე
გამოესახათ მათ ცისარტყელა.**

„აჩრდილს“, როგორც არაერთხელ აღუნიშნავთ, გამორჩეული ადგილი უკავია ილიას მხატვრულ შემოქმედებაში. იგი ხერხემალია მისი პოეზიისა. ილიას მიერ დამუშავებულ თითქმის ყველა მოტივს, რასაც შეხების წერტილი ჰქონდა ჩვენს ეროვნულ წერვთან, აქ ეძებნება სათავე. „აჩრდილს“ აქვს გამოკვეთილი სიუჟეტური ღერძი, რის მეოხებითაც ერთი თავიდან მეორეზე გადასვლა წინასწარ არის შემზადებული, ბუნებრივად ხდება.

ამ პოემის ცალკეულ ლექსებად დაშლა ყოვლად შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ ილიას იგი ერთ მონუმენტურ ქმნილებად ჰქონდა ჩაფიქრებული.

ადვილი დასანახი იყო: როდესაც „აჩრდილს“ ვაკვირდებოდით და თავების მიხედ-

ვით ვარჩევდით, ლამის მთლიანად მოგვიხდა პოემის ტექსტის ამოწერა, აზრობრივად იმდენად დატვირთულია თვითეული სტრიქონი და ისე შეკუმშულად არის მონოდებული სათქმელი.

„აჩრდილი“ ემპირიულ სინამდვილეზე განუზომლად მაღლა დგას და ყოველგვარი დროის ჩარჩოებს სცილდება; პოემას თავიდან ბოლომდე მსჭვალავს საქართველოს აღდგენისა და გადარჩენის სასიცოცხლოდ აუცილებელი იდეა, იდეა ჩვენი ერის მარადიული არსებობისა.

პოეტს თავისი სამშობლო, ათას ჭირსა და ვარამში გამოვლილი საქართველო წარმოდგენილი ჰყავდა გაუხუნარ და უჭკნობ მწვანე ნალკოტად, „ტურფა საბალნაროდ“, სადაც ყვავილები (სხვადასხვა თაობები ერთმანეთს ცვლიან, მაგრამ თვით ბალი უცვლელი და ამაოდ სახილველი რჩება. ამას „აჩრდილზე“ ეპიგრაფად წამძღვარებული რუსთაველის მზიური სტრიქონებიც ცხადყოფს:

**„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს,
დაამჭკნაროსა,
იგი ნავა და სხვა მოვა
ტურფასა საბალნაროსა“.**

გვიანდელი მინაწერი:

წინამდებარე გამოკვლევა კარგა ხნის წინ, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, დავწერე, როგორც წლიური ნაშრომი, მაგრამ თემას ზერელედ, იოლად არ მივდგომივარ. ასეთ რამეს, უპირველეს ყოვლისა, თვით ილიას სულიერ მემკვიდრეობას, წმინდანად შერაცხული უდიდესი მოღვაწის სახელს ვერ ვაკადრებდი. ხელახლა რომ გადავათვალიერე დავრწმუნდი, უფროსი დებას გამოქვეყნება აჯობებდა და საამისოდ ყველაზე უფრო შესაფერისად ახლად აღდგენილი ჟურნალი „საგურამო“ ჩავთვალე.

დღეს, როცა საუკუნეზე მეტია გასული საქართველოს უბოროტესი მტრების, სისხლიანი ჯალათების ხელით განირული ილიას მონამებრივი სიკვდილიდან, განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს „აჩრდილი“ და პოემის ცენტრალური ფიგურა, უეცრად მოლანდებული „მყინვარზედ მდგომი მოხუცებულნი“ ჩვენი სამშობლოს „თანამდევნი უკვდავი სული“, იგივე ილიას ორეული.

გავგიჭირდება თქმა იმისა, რომ ამ დროის მანძილზე საქართველოში ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვალა და ილიას მიერ დახა-

ტული ქართული ყოფის გულისმომკვლელი სურათები წარსულს ჩაბარდა. ბევრი უმსგავსობა ისევე მწვავედ გვახსენებს თავს, სამოცდაათი წლის განმავლობაში ურწმუნოების დანერგვამ, ქრისტიანული რელიგიის დევნა-შევიწროებამ უმძიმესი დალი დაასვა ხალხის ზნეობას, არაერთი სინმინდე შეიბლალა; საგრძნობი ცვლილება არც ქართველთა ბუნებას, ხასიათს განუცდია - „ბედნიერი ერის“ გამამათრახებელ სიტყვებს ოდნავადაც არ დაუკარგავს ზემოქმედების ძალა, იმავე მანკიერი საძრახისი მოვლენების (ყველა ყრუი, ყველა ცრუი“, „მცირე დიდი - ყველა ფლიდი“, „მტრის არმცნობი, მოყვრის მგმობი“, „არრის მქონე, არრის მცოდნე“) შემყურენი ვართ, თითქმის ყოველ ნაბიჯზე. ამდენად არავითარი უფლება არა გვაქვს, თავი დავიმშვიდოთ, კვლავინდებურად ვიყოთ „უზრუნველი და მშვიერი“.

კავკასია, საქართველო, რუსი პოეტების შთაგონების წყაროდ იქცა, მაგრამ იმპერიულ რუსეთს მის მიმართ სულ სხვა ზრახვები ჰქონდა. პუშკინი სიჭაბუკეში დაწერილი (1821) თავისი პოემის „კავკასიელი ტყვის“ ეპილოგში ერთგვარი რიხით ამბობს, მემამბოხე კავკასიის დასათრგუნავად როგორ აიჭრა მაღლა რუსეთის იმპერიის სიმბოლოდ მიჩნეული, ბიზანტიელებისგან გადმოტანილი „ორთავიანი არწივი“. აქ წარმომავლობით ქართველი თავადი, სისასტიკით ცნობილი პავლე ციციანოვიც არის ნახსენები, როგორც მეფის ტახტის მონინალმდეგეთა დასაჩოქებლად დაუცხრომლად მებრძოლი. პოეტი აფრთხილებს ურჩ მხარეს, რუსთა მხედრობას ერმოლოვი მოუძღვისო:

**Поники снежною главой,
Смирись Кавказ: идет Ермолов!**

გამოთქმულია აზრი, რომ პუშკინი აქ შეფარულად დასცინის გენერალ ერმოლოვს მისი არც ისე გამჭრიახი გონების გამო (იგი გნეუს პომპეუსად რომ არ დარჩენილა სამხედრო ხელოვნების ისტორიაში, ისედაც ცხადია), მაგრამ ეს არ ცვლის მოვლენის არსს-კავკასიისკენ ერმოლოვი მაინც დამპყრობელად მოემართებოდა.

პუშკინის პოემის მოხმობილი ადგილი გვაგონებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ასევე საბრძოლო განწყობილების გამომხატველ ლექსს, რომელშიც ქართველები ჩრდილო კავკასიის მთიელებთან შეტაკებისთვის ემზადებიან: „ომი საქართველოს თავად - აზნაურ-გლეხთა პირისპირ დალისტინისა და

ჩეჩენთა, ნელსა 1844-სა“.

ამ ომით ჩვენ თავს ვერ მოვიწონებთ, მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილსა და საერთოდ, ქართველ არისტოკრატებს, უბრალო ხალხთან ერთად, ჰქონდა საბაზი (განუწყვეტელი შემოსევები, ადამიანთა დატყვევება, საქონლის მოტაცება), გაგულისებული ყოფილიყო დაღესტნელებსა და ჩეჩნებზე, ეფიქრა შურისძიებაზე („აღებად შენგან სისხლისა.“), რაც აშკარად ჩანს ლექსის პირველსავე სტრიქონებში:

**ძრწოდე, კავკასო! ახლო არს დღე
შენის აღსასრულისა,
შეთქმულან შენზედ ერთპირად
ძენი ქართლისსა სახელისა.**

ეს მომართვა („ძრწოდე, კავკასო!“) უშუალოდ ეხმანება პუშკინისეულ შესიტყვებას („Смирись Кавказ...“) ისედაც, ბარათაშვილის მიერ გამოყენებული სიტყვა („ძრწოდე“), პუშკინის პოეზიაშიც იოლად მოიძებნება („Тираны мира трепещите!“).

დარჩენილია ბარათაშვილის ლექსის („კავკასი“) ფრანგმენტი, რომელიც „მერანის“ ავტორის ცხოვრებისა და შემოქმედების ყველაზე საფუძვლიანმა მცოდნემ, დიდებულმა სწავლულმა და მწერალმა აკაკი განერელიამ პოეტის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში (1972) შეიტანა:

**მოახლებულა აღსასრული შენიც, კავკასო,
თვალხარბო გმირო, გულ-უმაძღაროც,
ბერო კაპასო.**

დღევანდელი გადასახედიდან კავკასიური ტომებისადმი ასეთი შეურიგებელი, ბოღმიანი დამოკიდებულება ნამდვილად გაუმართლებელია, მაგრამ ეს როგორც ჩანს, მაშინდელმა დაძაბულმა ვითარებამ განაპირობა.

იმის გახსენებაც შეიძლება, რომ რაინდული კეთილშობილებით, თავისუფალი ნებითა და ენაკვიმატობითაც გამორჩეული ვიაზემსკი სახელოვან თანამედროვეებს — ჟუკოვსკისა და პუშკინს საყვედურობდა იმპერიულ მიდრეკილებათა გამოვლინებას, მათ ზედმეტად ექსპანსიურ ქმნილებებს შესაფერისი სახელიც გამოუძებნა („Шинельные стихи“).

ბარათაშვილის პოეზიიდან პარალელებსთვის საჭირო ორიოდ ნაწყვეტის მოტანა იმანაც გადამაწყვეტინა, რომ თვით ილია ყველაზე მეტ სულიერ ნათესაობას მასთან

გრძნობდა, სიჭაბუკიდანვე აღმერთებდა, უდიდეს პატივს მიაგებდა, რაც არაერთგზის გამოხატა.

აქვე მინდა აღვნიშნო — ფამილარობის, მხარზე ხელის მოთათუნების იერი დაპყრავს, როცა ესა თუ ის პოეტი ანდა ლიტერატორი ბარათაშვილს შინაურული სახელით, ტატოთი მოიხსენიებს ხოლმე (რა იმათი ტატოა ამოდენა ლირიკოსი), ასეთივე შთაბეჭდილებას ახდენს გიორგი ლეონიძის გოგლად და გალაკტიონ ტაბიძის „გალად“ მოხსენიება.

ზედმეტი არ იქნება, აქვე გავიხსენოთ დოსტოვესკის გენიალური სიტყვა, 1880 წლის 8 ივლისს წარმოთქმული რუსული სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოების სხდომაზე. ამ სიტყვაში გოგოლის კვალდაკვალ განსაცვიფრებელი სიღრმით არის წარმოჩენილი პუშკინის სრულიად განსაკუთრებული ფენომენი და პოემა „ბოშებზე“ საგანგებო დაკვირების მერე მასში გამოყვანილი უცნაური გმირის, „გულზვიადი კაცის“ ალექოს მისამართით (მას ბოშები ჩადენილი მკვლელობის გამო ბანაკიდან გააძევებენ) ნათქვამია: „Смирись гордый человек...“ ეს ხალხის აზრადაა გაცხადებული. ამ განმაზოგადოებელ გამოთქმას ერთობ ძლიერი რეზონანსი მოჰყვა, იგი რამდენამდე ეხმიანება „კავკასიელი ტყვის“ ზემოთ მოხმობილ ადგილს, თუმცა იმავე სიტყვით („Смирись“) გამოხატული მონოდება სხვა კონტექსტშია ჩასმული და, როგორც ვთქვით, პუშკინის მიერ რუსულ ლიტერატურაში პირველად შექმნილ, უმიზნოდ მოხეტიალე, ნიადაგს მონყვეტილ ტიპს (ალექო და მისი ნაირსახეობა ონეგინი) მიემართება, რომელსაც ადამიანის მოკვლა არაფრად უღირს, ცუდ გუნებაზე დადგომა, მონყენილობა ყოფნის, ცოცხალი არსება სასიკვდილოდ გაიმეტოს.

ამავე სიტყვაში დოსტოვესკი ცალკე მსჯელობს პუშკინის უნიკალურ „უგენიალურეს უნარზე“ გარდასახულიყო სხვა ეროვნებათა გენიად და თან რუს პოეტად დარჩენილიყო. ამასთანავე დიდსულოვნად აღნიშნავს — თუ გვინდა გვექნეს უფლება, შევიყვაროთ მთელი კაცობრიობა, არ უნდა შევიძულოთ სხვა ხალხები იმისათვის, რომ ისინი ჩვენ არა გვგვანანო.

საღად მოაზროვნე საუკეთესო რუსი ფილოსოფოსი ნიკოლაი ბერდიაევი ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამდეგს წერდა - ამიერიდან დიდი სახელმწიფოები მხოლოდ სიყვარულით, კეთილი განწყობით თუ მიიმხრობენ სხვა ეროვნებათა ხალხებს, იარ-

ალით, ძალმომრეობით იმპერიის შექმნა უკვე ყოვლად შეუძლებელიაო. ეს უდავო ჭეშმარიტება, სამწუხაროდ, გაცნობიერებული არა აქვს დღევანდელი რუსეთის პოლიტიკოსთა წარმმართველ ნაწილს, რაც შეშფოთებულ მსოფლიოს კარგს არაფერს უქადის.

ჩვენი მხრივ, რუსეთთან კულტურული და ეკონომიური ურთიერთობის განწყვეტა არაფრით არ არის გამართლებული. გარდა არაკეთილმოსურნეებისა, იქ ჩვენდამი კეთილად, მეგობრულად განწყობილი ძალებიც საკმაოდ არიან. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ ტერორისტთა ბუდედ ქცეული ისლამის საშიშროება, მუსულმანური ფუნდამენტალიზმის საფრთხე, რისი ნიშნებიც აშკარად იგრძნობა. მახსოვს, რარიგად ნუხდა ჩემი უფროსი მეგობარი პოეტი ფრიდონ ხალვაში მთიან აჭარაში მაჰმადიანური რელიგიის მოძალების თაობაზე.

იოსიფ ბიროდსკი ახალგაზრდობის დროინდელი ერთ მოზრდილ ირონიულ ჟღერადობის ლექსში, სადაც იგი თავის თავს „ახალ გოგოლს“ უწოდებს (მომაკვდინებელ ირონიას პოეტი, მეტწილად მოულოდნელი, ეგზოტიკური რითმების მეოხებით აღწევს), გადაკრულად იგავის ენით წერს - რუსულმა არწივმა გვირგვინი დაკარგა და ახლა იგი ყვავს მაგონებსო.

ბოლო ათეული წლები ძალზე მღელვარედ მოედინება, კავკასია კვლავ შფოთავს, ყალყზე დგას აჯაგრულია, საბჭოთა კავ-

შირის დაშლისა და ხელოვნურად მოწყობილი, ვერაგულად დაგეგმილი ეთნოკონფლიქტების დროს ზღვა სისხლი დაიღვრა. ყველაზე მეტად დაზარალდა ჩვენი სამშობლო - დიდძალი მსხვერპლის გარდა ტერიტორიების მეხუთედი დავკარგეთ. რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის „ორთავიანი არწივი“ კვლავ თავზე დაგვბრუნავს, ნისკარტალესია, მორიგეობით ძიძგნის უძველესი კავკასიის მრავალჭირგამოვლილ, დათითოებულ და ხშირად ერთმანეთთან დაპირისპირებულ ტომებს.

უნებურად ისეთი განცდა გიჩნდება - ილიას ორეულად ჩათქმული, „მყინვარზედ მდგომი მოხუცებული“, საქართველოს „თანამდევნი უკვდავი სული“ ისევ ცაში აჭრილი მწვერვალიდან დაჰყურებს ჩვენს შეჭირვებულ სამშობლოს და მის გადასარჩენად უფლისადმი მხურვალე ლოცვას აღავლენს:

მოჰმადლე ქართველს ქართველის ნდობა

და სიყვარული

და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..

ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,

რათა წარღვნისა მოლოდინი

წარხოცო ხალხსა!..

ილია ჭავჭავაძე იყო და მუდამ იქნება საქართველოს სულიერი მამა. მის ნაფიქრსა და ნააზრევს არასოდეს გაუვა ყავლი.



ფილმი ეფუძნება ყველა დროის გენიალური ქართველი პოეტის
გალაკტიონის დოკუმენტურ ჩანაწერებს და ...მასზე მოგონებებს

„ჩემგვარი კაცი განა შეიძლება ვინმეს უყვარდეს?!“
(გალაკტიონი)

რეზო ესაძე

(ზურა სტურუას მონაწილეობით)

„Nomen Nescio“

(ფსევდონიმი, რომლითაც ხელს აწერდა გალაკტიონ ტაბიძე)

თბილისი. მთაწმინდის პანთეონის აღმართი (1959 წ.)

მთაწმინდის პანთეონის ასასვლელი. ქვაფენილს მიუყვება სამგლოვიარო პროცესია, პანთეონის შესასვლელს უახლოვდება. პროცესიას წინ, ერთმანეთის მიყოლებით, სამი ქალბატონი მიუძღვის. ხელში უჭირავთ ხავერდის ბალიშზე დასვენებული ლენინის, შრომის წითელი დროშის, სამამულო ომის ვეტერანის ორდენები. კვალდაკვალ, ახალგაზრდებს მოაქვთ დაფნის ფოთლებით შემოსილი გვირგვინი. გზის ორივე მხარეს შექმნილია გრძელი, შავპალტოიანი კაცების დერეფანი, რომელშიაც ზღვა ხალხი იძვრის. მილიციის მუშაკებს მკლავზე შებმული აქვთ სამგლოვიარო ლენტები. აქვე არიან წითელსამკლავურიანი „დრუჟინიკებიც“, წარწერით: „дружина“. მარტია. ქრის და ხანდახან მზეც გამოანათებს, მერე ისევ ღრუბლებში მოექცევა.

1891 წლის თბაერვალი (ჭყვიში)

ტაბიძეების სახლში ხის ტახტზე წევს ახალგაზრდა უწვერულვაშო მამაკაცი ვასილ ტაბიძე, გალაკტიონის მამა. იქვე, დაბალ სკამზე ჩამომჯდარა მისი მეუღლე — მაკრინე.

ავადმყოფი მძიმედ სუნთქავს. მეუღლე დამნუხრებულია.

— მაკრინე, მე ველარ გადავრჩები — ეუბნება ვასილი ცოლს.

— რას ამბობ! — შესძახებს ელდანაკრავი ცოლი.

— გულს ნუ გაიტეხ, ყოჩაღად იყავი. ბავშვი წამოიზრდება. შენ კიდევ ისეთი ქალი ხარ, უბედურებას არ დაიმჩნევ.

— ნუ ამბობ, — ეუბნება ცოლი. შენ თუ არ იქნები, ერთი ბავშვიც მეყოფოდა.

— როგორ, შენ ბავშვს ელოდები?

ქალი ჩუმდება. დაირცხვენს. ბოლოს თავს დააქნევს. ვასილს სახე გაუბრწყინდება. — არა გიშავს რა, ნუ შეგეშინდება. იუსტინე კარგი კაცია, დაგეხმარება... — ცოტა ხნის შემდეგ ეუბნება ვასილი ატირებულ ცოლს.

— ახლა წადი, ბავშვთან წადი.

ქალი არ ეთანხმება. ამ დროს ბავშვის ტირილის ხმა შემოესმათ.

— არც ახლა წახვალთ? თავშეკავებული ირონიით ეუბნება ვასილი.

მაკრინე გამოდის. აივანზე ხვდება მამამთილს.

— რას გეუბნებოდა?

— ისე, არაფერს, — პასუხობს რძალი. მამამთილი შვილთან შედის. მაკრინე, ბავშვთან მიდის...

ცოტა ხნის შემდეგ, ვასილი ეუბნება მამას: „მამა ღვინო მომიტანე“ (დაბეჯითებით იმეორებს ავადმყოფი). მამა გამოდის, შეაქვს სავსე ჭიქა და აწვდის.

— ეს გაუმარჯოს პატარა ადამიანს, რომელიც შვიდი თვის შემდეგ დაიბადება... ამბობს მომაკვდავი და დაცლის ჭიქას.

მთაწმინდის პანთეონის ასასვლელი

უზარმაზარ გვირგვინში გალაკტიონის პორტრეტია ჩასმული. სამ-სამ კაცს, ორივე მხრიდან, გალაკტიონის კუბო მოაქვთ. კუბოს გადაფარებული აქვს ოპერის თეატრიდან წამოღებული ფარდა, რომელსაც ქარი ებრძვის. პანთეონის შესასვლელს გაურკვეველი წარმომავლობის 3-4 კაცი აკონტროლებს. დანარჩენები იქ დგანან.

ღედის ნაამბობიდან

ცხოვრებით განანამები სახის ქალს აკვანზე ჩამოსძინებია. მას ესიზმრება, თითქოს აკვანს ცეცხლი მოსდებია და ქალი ბავშვის აკვნიდან აგლეჯას ცდილობს.

ქალს ეღვიძება. ბავშვი ჭირვეულობს.

— ღმერთო, ღმერთო, — ამბობს მაკრინე.

— ქმარი მიკვდება, ბავშვიც რომ მომიკვდეს, რა მეშველება, რა წყალს მივცე თავი...

ქალი მწარედ ატირდება. შემოვარდება მამამთილი: „კაბლები სადა გაქვს? კაბლები?“ (ხმის კანკალით ამბობს იგი).

— ...რა მოხდა, ცუდადაა?! — ქალი წამლებს აძლევს, ოთახში გასვლას აპირებს, მაგრამ მამამთილი კარებს მიიხურავს და ეუბნება:

— ბავშვთან იყავი...

მაკრინე მეორე კარებიდან ეზოში გამოდის, სახლს შემოუვლის, ცერებზე ადგომით ცდილობს იმ ოთახის ფანჯარაში შეიხედოს, სადაც ავადმყოფი წევს. მამამთილი ავადმყოფს გულზე ხელებს უკრეფს. ქალს მუხლები მოეკვეთება, მიწაზე ეშვება და ქვითინებს...

პოეტის მოგონებებიდან. (ჭყვიში)

ზუზუნის. სავსე მთვარე ანათებს. პერიოდულად, ღრუბლებში იკარგება. ისმის რიონის ხმა და ქარის ...არხევს კიპარისებს. ხანდახან კავკასიონის მარადიული თოვლით დაფარული მწვერვალები ჩნდება და ქრება. მთელი გარემო „მსუბუქ სიზმარივით“ ნისლში გახვეული. ყველაფერს მისტიური ელფერი ადევს. სოფელს ძინავს.

„ ...როდესაც ღრუბლიდან მთვარე გამოდის, აშუქებს ჩვენს ქართულ რიკულებიან აივანს და ქალს ჩონგურით. უკრავს. ეს დედაჩემია. მე მას გატაცებით ვუსმენ. ა, გატუნია მეუბნება იგი. კარგად დამიგდე ყური, შენ გაგიგონია, რომ ჩონგური კი არ მღეროდეს, ლაპარაკობდეს, იმეორებდეს, სწორედ იმას, რასაც შენ ამბობ, რასაც შენ მღერი? აი, მაგალითად: — ჩე-მი-ქმა-რი-სად-წა-ვი-და (დედაჩემი მღერის) ჩე-მი-ძმა-ნი-სად-წა-ვი-და? ჩამოჰკრა სიმს, მეორეს. ჩონგური ბგერა-ბგერით იმეორებს იმასვე, რასაც მღერის დედა. სიტყვებში ისმის შეკითხვა, ჩონგურიც იმეორებს ამ შეკითხვას სად წა-ვი-და? ისეთის ზედმინევენით განმეორებით, რომ მე ჩემს სმენას ვერ ვუჯერებ: რა არის ეს? გადასარეგია დედა, ვამბობ. დედა კი განაგრძობს და-უ-და-ხეთ-სად-წა-ვი-და (ორჯერ), ხომ გაკვირვებით დახილია? და ჩონგურიც თანაბარის ბგერით გამოსცემს ამ დახილს. დახილის სიტყვები მეორდება, ჩონგურიც, ...და ეს მომენტი კიდევ უფრო აძლიერებს ჩემს გაცეცხას. ჩონგური მღერის, ლაპარაკობს, იმეორებს პირდაპირ მას, რასაც დედა ამბობს, წარმოგიდგენიათ? — ჩე-მი-ქმა-რი-სად-წა-ვი-და, და-უ-და-ხეთ-სად-წა-ვი-და, იძახის ქალი. იძახის ჩონგურიც, მაგრამ ამაოდ. არსად არ ჩანს ეს ქმარი და ჩონგური ქმნის ილუზიას თითქოს ლაპარაკობს ღრმადრამატიზმით აღსავსე სიტყვებს და სიმღერაც მთავრდება ყველაფერის გადამწყვეტი წერტილით. დამამთავრებელი ხმით:

— „...ჰო-ო-ოი!..“

თბილისი (პანთეონი)

პროცესია ადის პანთეონში. ცხედარს ეკლესიის წინ ასვენებენ, — სახელდახელოდ გაკეთებულ ტრიბუნასთან. იქვე, ორ ადამიანს უჭირავს გალაკტიონის დიდი პორტრეტი. აქვეა ისინიც, ვისაც ორდენები მოჰქონდათ.

ყველაფერს, რაც აქ ხდება, აფიქსირებს შავპალტოიანი ოპერატორი (მკლავზე შავი ლენტის უკეთია). ტრიბუნაზე დამონტაჟებულია ოთხი ძველებური მიკროფონი და ერთი რადიოჩამწერი.

(შენიშვნა)

ტრიბუნაზეც და ხალხშიც, აქა-იქ, კონკრეტული სახეების მაგივრად უსახო ერთმანეთის მსგავსი ნიღბებია, უტყვი, არაფრის მთქმელი. ისინი მოქმედებენ როგორც ყველა, მეტიც, არც თუ იშვიათად, კიდევ მიუთითებენ სხვებს, ვინ რა გააკეთოს.

ტრიბუნა გაჭედლია გამორჩენილი ადამიანებით. აცვიათ შავი, ორბორტიანი პალტოები და მოუჩანთ „საროჩკების თეთრი საყელოები ჰალსტუხებით“. ირგვლივ ზღვა ხალხია. ქარმა ლამის წაიღოს აფრასავით გამობერილი გალაკტიონის პორტრეტი მის დამჭერებთან ერთად. პანთეონის შესასვლელთან მილიციის მუშაკები ხალხს აჩერებენ, პანთეონში არ უშვებენ. გალაკტიონის ცხედარი დასვენებულია ტრიბუნის წინ შემადლებულ ადგილზე. რამდენიმე ადამიანი ცდილობს კუბოზე გადაფარებული ფარდის მონესრიგებას, რომელსაც ქარი ებრძვის. კადრში გამორჩნდება გალაკტიონის ძირგახვრეტილი ფეხსაცმელი. ვილაცის ხელი წააფარებს ფარდას. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით სამგლოვიარო მიტინგს ხსნის განათლების მინისტრი შუა ხნის რესპექტაბელური გარეგნობის მამაკაცი (ნიღაბი).

— ამხანაგებო, დღეს ჩვენ ვეთხოვებით მშობლიური ქვეყნის სახალხო პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს. აღარა გვყავს ის, ვინც ნახევარი საუკუნის მანძილზე ამდიდრებდა ჩვენს ლიტერატურას პოეტური შედევრებით.

თავისი ნათელის ნიჭის მეოხებით ავიდა მხატვრული ოსტატობის ისეთ სიმალეზე ...მინისტრის ხმას და გამოსახულებას ცვლის (გადაფარავს) ცნობილი პოეტის ხმა და გამოსახულება (იგი განსაკუთრებით დაგვამახსოვრდება, ამ ხნის განმავლობაში მისი თვალსაჩინო აქტიურობის გამო).

— ...ქართველი ლიტერატორები თავს ხრიან გალაკტიონ ტაბიძის, სახალხო მომღერლის ხსოვნის წინაშე, რომელმაც შექმნა მშობლიური ლიტერატურის უჭკნობი შედევრები. ქართული პოეზიის დიდ ქედზე ამიერიდან გალაკტიონ ტაბიძის

სახელი აღიმართება, როგორც სპეტაკი მწვერვალი.

ცნობილ პოეტს ენაცვლება ასევე ევროპული იერის რესპექტაბელური პიროვნება:

— ...მე ასე თუ ისე ვიცნობ მსოფლიო პოეზიას და უნდა მოგახსენოთ, რომ გალაკტიონზე დიდი ფიგურა, დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვება.

ეტყობა გამოსვლის მსურველი ბევრია.

გამორჩენილი მწერლის პორტრეტზე ერთმანეთის მიყოლებით გაიეღვებს რამდენიმე ქართველი ინტელექტუალის და ბოლოს რუსი საპატივცემულო სტუმრის სახე.

რამდენიმე კაცი, (განსაკუთრებით ერთი ახალგაზრდა, რომელსაც კუბო მოჰქონდა) როგორ არ ცდილობენ ტრიბუნის წინ ბალახებზე დადებული გალაკტიონის პორტრეტის წამოყენებას, ქარი მათ ამის საშუალებას არ აძლევს, ტილო ხან აქეთ გადააფერდებს, ხან იქეთ. ბოლოს ეს იმდენად გაუსაძლისი შეიქმნება, რომ ქარი ლამის ადამიანებს გადაყრის ხრამში. როცა ვერაფერს გააწყობენ, გადაწყვეტენ პორტრეტი ამობრუნებული პირით ცისკენ, ისევ ბალახებზე დაანვინონ და კუთხეებში ქვეები დაადონ, მაგრამ უცებ ქარი წამოუბერავს და, რაც ახლო მახლო ნაყარ-ნუყარი იყო, პორტრეტს წააყრის. ცნობილი ნიღბის მითითებით პორტრეტს ისევ პირქვე ჩააბრუნებენ და თავკიდეში, კვლავაც ქვეებს შემოუნყოფენ. ქარის გამო მიკროფონები გამომსვლელთა ხმების ნაცვლად გაუგებარ ხრიალს გამოსცემს. ტრიბუნაზე მყოფთაგან ორი, პალტოებს შეიხსნიან და გაშლილი კალთებით მიკროფონებს ორივე მხრიდან ამოუდგებიან. ამის წყალობით შესაძლებელი ხდება რუსი სტუმრის ნაწილობრივი მოსმენა:

- Мы провожаем в века поэта, воистину заслуженного (მის ხმასაც ხრიალი გადაჰფარავს) უკრავს სამგლოვიარო მუსიკა. კუბოს თავს აჭედებენ. ქვეშიდან თოკებს ამოუდებენ და ცდილობენ სამარეში ჩაასვენონ, მაგრამ სამარე ვინროა, კუბო შიგ არ ჩადის. გალაკტიონის ხითხითი.

„...ამ ყველა ჩემი მტერია...“

(გალაკტიონის უბის წიგნაკიდან)

მწერალთა კავშირის ჰოლი. უზარმაზარი სარკის წინ გალაკტიონი ნერვიულად ბოლთას სცემს. ადრე დილაა. დამლაგებელი იატაკს წმენდს. გალაკტიონი თავის სტიქიაშია, რაღაცას გაურკვეველად ბუტბუტებს, ალაგ, რაღაცას წამოიძახებს, რომლის მიხედვით გასაგები ხდება რაზე ფიქრობს. იღება შემოსასვლელი კარები. კიბეზე ახალგაზრდა მწერალი ამოდის. იგი ერთი იმათგანია, ვისაც გალაკტიონის კუბო მოჰქონდა და გამორჩეულად აქტიურობდა მისი დაკრძალვის დროს. გალაკტიონი დაინახავს თუ არა მას, ხელანეული ადგილზე გაშეშდება. ახალგაზრდა მწერალი ეტყობა ამ დილაადრიან გალაკტიონის აქ ყოფნას არ ელოდა. მიესალმება, თუმცა მიახლოებას მოერიდება, გალაკტიონს სახეზე ღიმილი გადაურბენს, ხელი ჰაერში აწეული დარჩება.

გალაკტიონი: — მაინც მოგასწარი ხომ ამ, ...ამ (ახედავს ქერს, დახედავს იატაკს) — ამ მიწიერ სამოთხეში, ხომ ძამიკო?!

იგი ირონიულად ჩაიხითხითებს. ახალგაზრდა მწერალს უაზროდ ეღიმიება. დამლაგებელი გალაკტიონს მორიდებით გვერდიდან შემოუვლის, ტილოს ტაშტში ამონურავს და იატაკის წმენდას განაგრძობს. გალაკტიონი მის მოქმედებას აფიქსირებს.

გალაკტიონი მიმართავს ახალგაზრდა მწერალს: — ვინ ცხოვრობდა აქ იცი, ყმანვილო? (პასუხს არ დაუცდის)... ახლა, აქ პოეტები არიან. ო, პოეტობა დიდი საქმეა. თუ გაქვს ფურცელი და „კარანდაში“... წერის უფლება ყველასა აქვს... მაგრამ,.. ყველას კი არ აქვს უფლება ასეთ მონმენდილ იატაკზე გაიაროს... თუმცა... მაინც დადიან. აბა, კაცმა რომ თქვას, ხომ არ გადაახტებიან? (ხითხითებს) ამიტომ რამდენჯერაც არ უნდა მოწმინდო... აზრი არა აქვს(?) მაინც გაივლიან. ჯვარს ეცვი თუ გინდა... საშველი არ არის! ... — ხომ ასეა ქალბატონო? გალაკტიონი მკლავებს ნერვიულად შეიქნევს და ცდილობს დამლაგებელს ხელზე ეამბოროს, მაგრამ ის ამის საშუალებას მას არ აძლევს. ქალი კეთილად იღიმიება და ამბობს.

— Не понимаю, ваш язык разговор

мне не доступен.

გალაკტიონი: (შეცბება)

— ...ხედავ, ძამიკო, ეს რა თქვა ამ იატაკის მწმენდავმა ქალმა? — Ваш язык и разговор мне не доступен-ო ...ო, დიდებული ნათქვამია! მოდი და გაიგე ახლა შენ, რა აქვს ამას მხედველობაში...

კარი იღება და მწერალთა კავშირის ფოიეში შემოდის რესპექტაბელური პიროვნება, რომელიც გალაკტიონის დასაფლავების დროს (დაგვამახსოვრდა) ძალიან აქტიურობდა. ამჟამად, ვითომ ვერ შეამჩნია, მან გალაკტიონს სახე აარიდა, ახალგაზრდა მწერალს კი ოფიციალურად მიესალმა და მეორე სართულზე ამავალ კიბეს შეუყვავა.

გალაკტიონი არ ელოდა, უცებ სახე მოელუშება, დაიძაბება და ახალგაზრდა მწერალს ისე მიმართავს, თითქოს პირველად ხედავს ...

— ვინ იყო, ძამიკო, ეს?

ახალგაზრდა მწერალი იბნევა. ვერ გაუგია რა ხდება და მაშინაღორედ პასუხობს.

— ეს ხომ ჩვენი თავმჯდომარეა, ბატონო გალაკტიონ.

— რავა, მაგიც პოეტია, ძამიკო? აგრესიულად განწყობილ გალაკტიონს აშკარად სურს კიბეზე ამსვლელს უკნიდან რაღაც დაანიოს, მაგრამ თავს იკავებს და შენობიდან გარეთ გავარდება.

— დამისხი ერთი, თუ ძმა ხარ, ძამიკო! — ნერვიულად ეტყვის ნაცნობ ლუდის გამყიდველს, ბაკალს დაცლის, ზედ სირჩა არაყსაც დააყოლებს, ნარჩენს ხელის გულზე დაისხამს, წვერს იმით შეიზელს და ბოტანიკურ ბაღში შედის ...

ის ზის ჩაშავებულ ხავსიან ლოდთან ფეხმორთხმული, თმანვერგაბურძგნული, ორივე ხელით ლოდს ჩაჭიდებული, რაღაცას ბუტბუტებს, მთელი სხეულით ირწევა და ნელა, თითქოს რაღაცის თანხმობის ნიშნად, თავს აქნევს...

წინ, ცეცხლმოკიდებული ბუჩქი მიგორავს. ამ გამოსახულების ფონზე გალაკტიონი მიადგება მწერალთა კავშირის შესასვლელ კარს.

დარაჯი: — Сегодня собрание, вам сообщили?

გალაკტიონს თითქოს მისი არ ესმის.

— ...სალამი ძამიკო, სალამი. შენობაში შედის, კიბეებზე ადის, სადაც ბატონი ირაკლი აბაშიძე ამჟამად უკვე მონიწებით და მხურვალედ მიესალმება მას, მხარზე ხელს მოხვევს და მიმართავს:

— ჩემო გალაკტიონ, საქმე მაქვს შენთან, იქნებ კრების მერე შემოიარო. გალაკტიონიც, თითქოს დიდი ხნის უნახავ სასურველ ადამიანს შეხვდა.

გალაკტიონი: — მეც, მეც ძამიკო გუშინაც ვიყავი, მაგრამ ვერ გნახე! ...მხარზე ხელს მოუთათუნებს და მრავალმნიშვნელოვნად ჩაიქირქილებს.

შემოეყრება რედაქტორი — წიგნის მომზადება ჭიანჭურდება.

გალაკტიონი: — რატომ, ძამიკო, რატომ?

რედაქტორი: — მე ძლიერ გაკვირვებული ვარ — ვერაფერს გეტყვით, პირდაპირ სასწაულია.

გალაკტიონი: - ამიტომ სწორედ მოახდინე სასწაული და დააჩქარე, ჩემზე იქნება შენი პატივისცემა, ჩემზე. ხელი ჩამოართვა და გაეცალა. წვერებიანი კაცი შემოხვდება:

— იცით, საშინელებაა შერის თარგმანები, (ეუბნება) თქვენ რა აზრის ბრძანდებით? ვკითხულობ, გაუგებარია.

გალაკტიონი: — მაშაშვილი, ძამიკო, მაშაშვილი ხომაა გასაგები, ის უნდა წაიკითხოთ სუყველამ, (ქირქილებს).

ვილაც: — თქვენი წიგნის გავრცელება შეჩერებულია.

— რატომ, ძამიკო, რატომ ... — შეცბა გალაკტიონი.

— დარჩენილი ეგზემპლარები ისევ დაუბრუნდა საამკინძაოს. ამოვიღეთ ოთხი გვერდი და ახლად ჩასასმელია ოთხი გვერდი.

გალაკტიონი: — ...ოთხი რატომ, ჩაამატეთ რვა... თორმეტი... **ЖУЛИКИ, МЕРЗАВЦЫ!** ინტრიგანები, რატო ოთხი და არა რვა, თორმეტი, თოთხმეტი. ინტრიგებს მიწყობენ! მიეგება კიდეც სამი კაცი, რკინიგზელები, რომლებიც მას ელოდნენ. მიმართავენ მონიწებით...

— პატივცემულო გალაკტიონ, თქვენთან შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი რკინიგზელთა კულტურის სახლში!

გალაკტიონი: — დიდებულია, დიდებუ-

ლი!.. მაგრამ რატომ შეხვედრა და არა სალამო. სალამოზე სახალხო პოეტი აუცილებლად გეახლებათ... თვითონაც მონიწებით ხელს ჩამოართმევს მათაც და ვილაც სრულიად უცხოვს, რომელიც მათგან მოშორებით იდგა.

გალაკტიონს შემოეგება ფატი ნიშნიანიძე.

გალაკტიონი: — სალამი ფატი, სალამი...

ფატი: — თქვენი ლექსების თარგმანი დავასრულე, ბატონო გალაკტიონ...

გალაკტიონი: — რომლის მაინც, ბიძიკო, რომლის...

ფატი: — ოცდაშვიდი წლის გამოცემა...

გალაკტიონი: — ოხ, დიდებულია, დიდებული, მომეცი ხელი აქეთ... (ხელზე კოცნის). მნახე, ფატი, აუცილებლად მნახე.

სააქტო დარბაზიდან გამოდის ოფლში გაღვრილი ინტელიგენტი. ისეთი სახე აქვს, თითქოს აბანოდან გამოვარდაო:

— სად ხარ, გალაკტიონ, შენი ქებით ახადეს მწერალთა კავშირს სახურავი...

გახარებული გალაკტიონი შევარდება სააქტო დარბაზში. იქვე მჯდომი ახალგაზრდა მაშინვე დაუთმობს თავის ადგილს და კედელს აეკვრება. გალაკტიონი მის ადგილზე უსიტყვოდ ჯდება და გაინაბება. მისი ყურადღება მთლიანად მომხსენებლისკენაა მიმართული.

მომხსენებელი ამბობს: — იგი არცხვენს ქართველი პოეტის ავტორიტეტს!

— დასაგმობია! — წამოიყვირეს ადგილებიდან.

— ვისზეა ლაპარაკი, ამხანაგო, — ეკითხება, ვინც ადგილი დაუთმო.

მომხსენებელი: — ამხანაგებო, გადანყვეტით უნდა მოგახსენოთ და ალბათ თქვენც დამეთანხმებით, გალაკტიონ ტაბიძის „არტიტული ყვავილებიდან“ დღემდე გამოცემული ყველა წიგნი აბდაუბდაა,.. ზოგიერთი შედარებები და მეტაფორები თარგმანია ჩვეულებრივი რუსული სახეებისა. წიგნში არ არის დაცული ესთეტიკური კულტურა და მხატვრული სისწორე. მისი შემოქმედება აშკარად დასავლური ორიენტაციისკენაა მიმართული. აღმაშფოთებელია გალაკტიონ ტაბიძის სალამოები, სადაც ის თავის თავს პო-

ეტების მეფედ აღიარებს (დარბაზში ვილაც ხარხარებს) მწერალთა საბჭოს სრულიად შეუფერებლად მიაჩნია მისი ასეთი საქციელი.

ხმა დარბაზიდან: — გაირიცხოს მწერალთა კავშირის რიგებიდან!

გალაკტიონი მოულოდნელად მიდის მომხსენებელთან და ეკითხება.

გალაკტიონი: — ძამიკო, მაინც ხომ ვარ მე საქართველოში ყველაზე უკეთესი პოეტი?

— რა თქმა უნდა, ბატონო გალაკტიონ! — დაუყოვნებლივ პასუხობს მომხსენებელი და დაუფარავი აღტაცებით ხელებს შლის: — ორი აზრი არ არის მაგაში.

გალაკტიონი: — მაშინ ნევედი მე სახლში, გამეინი, ერთი შენ აქეთ!.. გამეინი (ორატორის ადგილს იკავებს).

— ძვირფასო ამხანაგებო! (დარბაზი გაინაბება) გამოვდივარ რა დღეს თქვენს წინაშე, თავს ვალდებულად ვთვლი ვილაპარაკო იმ ძალზე დავიწყებულ საგანზე, რომელსაც სახელად ჰქვია ლიტერატურული სინდისი. სამარცხვინო საქმეებისთვის არსებობს სამარცხვინო ბოძი, ამხანაგებო. მიუხედავად ამისა, ჩვენში ახალგაზრდა თუ ხანში შესული მგოსნები საშინლად და დაუზოგავად ქურდობენ.

ცუდ მიბაძვაზე საზიზლარი არა არის რა, ამხანაგებო. მპარავენ სტროფებს, რითმებს, და ლექსებსაც კი, ამხანაგებო! ჩემი წყობა, ჩემი რითმები, ჩემი მანერა წერის. ორიგინალურ ლიტერატურაში არა თუ მთელი მიმართულება ჩემი, არამედ ცალკეული გამოთქმები, თემატიკა და რითმები აქვთ გადმოღებული.

ამხანაგებო, ხშირად ისმის შეკითხვა თუ რატომ ვანერ მე ხელს გალაკტიონს, და არა გალაქტიონს. იმიტომ, ამხანაგებო, რომ ბავშობიდანვე ასე ვანერ ხელს და ავტორს აქვს უფლება მოაწეროს თავისი სახელი და გვარი ისე, როგორც მას სურს და არ მიმაჩნია მართებულად ზემდგომ ამხანაგებს შევუთანხმდე იმაზე, გალაქტიონი მქვია თუ გალაკტიონი.

ჩემი გამოსვლის ბოლოს მინდა შევეხო ერთ მტკივნეულ თემას, ძვირფასო ამხანაგებო, მე ხშირად მესმის საყვედური ჩემდამი, თითქოს მე, ძვირფასო ამხანაგებო, ვამაყობდე ჩემთვის მოცემული სახ-

ელწოდებით, არა იმიტომ, რომ მართლა მეფე ვიყო. უკვე, რამდენი წელიწედა, მე პოეტების მეფედ ამირჩიეს, ვინც ამირჩია პოეტების მეფედ ახლა ცოცხალი აღარ არის. ვადა დანიშნული მათ მიერ გასულია. გთხოვთ, თუ ჩემით უკმაყოფილო ხართ, აირჩიოთ სხვა, ამას მოითხოვს ტრადიცია.

სიტყვის დასასრულს მე მინდა ვუთხრა ჩემს უსინდისო მტრებს — წყნარად! თქვენ არავითარი უფლება არა გაქვთ! დიახ, არა გაქვთ, მე ასე მელაპარაკოთ! მე მოვრჩი, ამხანაგებო.

დარბაზში მყოფნი გასუსულნი არიან. აქა-იქ შემოჰკრეს ტაში, რომელიც იქვე ჩააჩუმეს. გალაკტიონი გაფითრებულია. ცახცახებს. მძიმედ სუნთქავს. ეტყობა ჰაერი არ ყოფნის.

გალაკტიონის უბის ნიგნაკიდან

...სასტიკ სინამდვილეში თანდათან ვრმუნდები... თურმე მთელ დედამიწის ზურგზე არ შემოძლია არავისთან გულწრფელი საუბარი... ეს ჩემი გულის ღრმა ტრაგედიას შეადგენს.

ღვინის სარდაფიდან გარმონის ხმა ამოდის. რუსულ-ქართული „ბროდიაგული“ სიმღერა. ბარძაყებდაჭრილი გორგოლაჭებზე დამაგრებული ლოთი (რაც ძალაა) გარმონს ჭიმავს და (ვინმე) კახბა მარუსიაზე მღერის, რომელმაც უღალატა და წავიდა. თბილისქალაქურად გაშლილ ტაბლას შეზარხოშებული ადამიანები უსხედან: სამი მეკურტნე, ორი მეძავი, ვილაც და გალაკტიონი. გალაკტიონს ეტყობა ნასვამია და მისთვის სასურველ კამპანიაში ზის. მაღლა კიბის თავზე ჩემოდნიანი აფო გამოჩნდება და „ტრუბკა“.

— კაი ხალხს გაუმარჯო-ს! ზემოდანვე ხელის აწევით ამბობენ მოსულები. მეეზოვე აფო და მისი თანმხლები კიბეზე ჩამოდიან..გარმონისტი სიმღერას აგრძელებს.სხვები წამოიშლებიან და მიინ-მოინევიან. აფო გალაკტიონს მხარზე ხელს მოხვევს.

— რაც დავშორდით გალაკტიონ ვასილიჩ ეს (ჩემოდანზე უჩვენებს) ხელიდან არ გამიშვია, გეძებე და მოგაგენი (ჯიბის საათზე იხედება). ვაჰ, ეს საათი რამდენს აჩვენებს (ყურზე მიიღებს) ЭТО МОЙ ДРУГ,

Аветик („ტრუბკა“). იცინის. აფო ჩემოდანს გამოსაჩენ ადგილზე დგამს. გალაკტიონი ხითხითებს. ტრუბკას გვერდით მოისვამს.

გალაკტიონი: — შენ ავეტიკა გქვია?

ავეტიკა: — მაშ, ავეტიკ.

გალაკტიონი: — ავეტიკ, ავეტიკ ძვირფასი მშობლიური სახელია... იგი ცოცხლობს ჩემს გულში... უბის ჯიბიდან სურათს ამოიღებს და ავეტიკას უჩვენებს.

— ვა-ა-ა? ავეტიკა სურათს გადმოაბრუნებს რომელსაც ანერია: „**Моему дорогому другу Галактиону от Аветика Исакиана**“, Париж 1935 год.

ყველასთვის მოულოდნელად ავეტიკა წამოდგება და ამბობს — **выпьем за большую дружбу!** მისი ნათქვამი მეძავეზის გარდა არავის გაუგია. ერთ-ერთმა ავეტიკას ჭიქა მიუჭახუნა. გალაკტიონი უცებ (რაც ძალაა) სუფრას ხელს დაარტყამს და წამოიძახებს.

— არა, უნდა დავანგრიო ეს საზიზლარი დაწესებულება სერგეევის ქუჩაზე. აუტანელი დაწესებულება, მწერალთა კავშირი, ინტრიგანები, ჟულიკები.

გალაკტიონის წამოყვირებაზე მის გვერდით მჯდომი ჩათვლემილი მეკურტნე თვალებს ახელს, გალაკტიონს ზანტი მზერით მიაჩერდება, მერე ასევე ზანტად წვერებში ხელს შეუყოფს და ეტყვის:

— რა უნდა დაანგრიო შენ, აა?

გალაკტიონი: — არა, უნდა დავანგრიო ეს საზიზლარი დაწესებულება.

მეკურტნე ცდილობს გალაკტიონს (ისევე) წვერებში მოქაჩოს და მისკენ მოახედოს.

— გამოიხედე აქეთ, შენა...რა? გერმანია ხარ რომ დაანგრიო? ეგ წვერები რომ გაგიშვია, კაი კაცი მგონიხარ... ეგრე სად არი?..

გალაკტიონი შეეცდება მას წვერზე ხელი გააშვებინოს, რაც ძნელად გამოუდის

— დამისხი ძამიკო, დამისხი შენ ერთი და აღარ დავანგრევე.

გალაკტიონს სასმისს სხვები შეუფსებენ. გადაჰკრავს და წამოდგება.

გალაკტიონი: — წევედი, ძამიკოებო, ახლა მე! (ყველანი წამოიშლებიან).

„ბროდიაგა“ სიმღერას მოჭრით

წყვეტს, გალაკტიონს საყვედურით მიმართავს:

— **Галактион Василич, вы что уходите, Я ж не могу, блядь, без тебя! Забери меня с собой, ... ради бога, умоляю едрена мать, ради бога, умоляю, не оставляй меня, ... Я же поэт, ... Я не могу без поэзии!**

რუსი თანდათან ისტერიული ხდება და ბოლოს ხმით ტირის.

— გაჩუმდი, კაცო, გაჩუმდი, მის დაწყნარებას ცდილობენ აქეთ-იქიდან

— **Уйди, ёб вашу мать, идите на хуй, блядь, ... я поэт, вы знаете с кем говорите, мудаки, ... это же великий Галактион, ... Галактион Василич, родной мой, ради бога забери меня с собой, ... блядь, не могу я больше... Я же для тебя пел, ... убей, только без... меня не уходи!**

— ცრემლად იღვრება რუსი და ისეთი ხმით გაჰკივის, ჩამოსასვლელთან ხალხი გროვდება, გაიგონ სარდაფში რა ხდება.

— **Хорошо умирает твоя Маруся!** - თავზე დასძახის „ბროდიაგას“ მასზე არა ნაკლებ მთვრალი გალაკტიონი.

დიდი ხმაურით ელბაქიდის ხიდს უახლოვდებიან.

— **О, сука, ... правда хорошо?!** — უხარია რუსს გალაკტიონისგან შექება. ხიდის ბორდიურზე ისე ავარდება ისედაც ხმაურიანი გორგოლაჭი, როგორც თოფის გასროლის ხმა... (გამოსცემს). რაკი გვიანია, იშვიათი შემხვედრი ცდილობს არასასურველ კამპანიას თავი აარიდოს. ხიდის მეორე მხარეს გადადის.

— **... У Маяковского тоже умирает Маруся!** - პათეტიურად ამბობს გალაკტიონი და მაიაკოვსკის ფრაზას წარმოსთქვამს. გალაკტიონისთვის მოულოდნელად რუსი აიტაცებს მის წამოწყებულ ფრაზას, ასევე პათეტიურად განაგრძობს და წინ გაიჭრება. გალაკტიონი ჯერ სახტად რჩება („ბროდიაგასაგან“ არ ელოდა) რატომღაც გაბრაზდება, ხმას აუნწევს და ცდილობს რუსის ხმა და მისი ხმაური მაიაკოვსკისებური წყობით, მაგრამ საკუთარი ლექსით გადაფაროს:

„...სოციალიზმის სისადავე

რანაირია

და ძვირფასი, დაინახავს

ვინც გადარჩება!!!"

ბოლო სიტყვებს ის განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვამს და ჩუმდება, რადგან მაინც ხმაურში არაფერი ისმის: „ბროდიაგას“ გორგოლაჭი სანაპიროს დაქანებაზე თავანყვევით მიქრის.

გალაკტიონი ბანცალით მიუახლოვდება ხიდის შეჭრილ ადგილს. მოაჯირს ჩამოეყრდნობა. დადებს პორტფელს. მძიმედ სუნთქავს. ჯიბიდან ამოიღებს ბლოკნოტს, „კარანდაშს“. აკანკალებული ხელით იწყებს წერას „...კაცი, რომელიც დაჰყრის იარაღს, დაუბრუნდება ღვინოს და არაყს, კაფეებს, ბოზებს, ტრიპერს, სიფილისს, ჭუჭყის სურათებს. ტალახის ვარაყს“, ამღვრეულ მტკვარს ცოტა ხანი დაცქერის, ჯიბეში ჩაიდებს ბლოკნოტს, ცუდადაა, ნელ-ნელა ჩაიკეცება. გაიშოტება და, ჩაეძინება.

ძალიან გვიანაა. გალაკტიონს ჩაუვლის ვილაც, რომელიც გახდის ფეხსაცმელებს. აიღებს მის პორტფელს. ქუდს მოხდის. არყის ბოთლს ააცლის. პალტოს, ცდილობს გახადოს (არ გამოუვა) ყველაფერს აკრეფს და მიდის...

მილიციელი ანჯღრევს მძინარე გალაკტიონს. „მოქალაქე“. გალაკტიონი წამოჯდება, უჭირს გონს მოეგოს, ხედავს, ფეხსაცმელი არ აცვია, გახეული წინდიდან თითი მოუჩანს (უგონოდ, ირგვლივ მიმოიხედავს).

— გამძარცვეს — საყვედურობს მილიციელს.

— ...Ваши документы! - ამბობს მილიციელი. გალაკტიონი ჯიბეებში იქექება

- Документы пропали?! (მილიციელი წარბებს შეხრის) ...Я народный поэт, Галактион Табидзе.

მილიციელი — Помне, хоть академик...

გალაკტიონი: — Я член союза писателей СССР.

ქართველი მილიციელი გალაკტიონს იცნობს, მაგრამ ვერ გადაუწყვეტია, როგორ მოექცეს: — ბატონო გალაკტიონ, რა ნაიღეს?

გალაკტიონი: — ტუფლები, ბიძიკო, ნაიღეს, საბუთები და კაშნე.

მილიციელი: — ლექსებიც ნაიღეს? (...შენ, ბიძიკო, ტუფლები მომიტანე, თვარა ლექსს მაგფერს ათასს დავწერ...) გალაკტიონი მილიციელის დახმარებით დგება. წინდების ამარაა. მილიციელს ხაზგასმული თავაზიანობით ხელს ართმევს.

— ერთი, პაპიროსი მომანევენეთ.

მილიციელი პაპიროსს მისცემს.

— მე თქვენ გიცნობთ, ბატონო გალაკტიონ.

— მიცნობთ ხომ... გიყვართ ხომ გალაკტიონი ...გალაკტიონი უყვარს მშობლიურ მილიციას! (ხიდზე ვილაც მოდიოდა. მათ თავი აარიდა და გადავიდა მეორე მხარეს).

მილიციელი:

— როცა თქვენთან შეხვედრა იყო ბათუმში, მაშინ ნიგნი მაჩუქეთ... იქ ვმუშაობდი... (გალაკტიონი მოულოდნელ სიხარულს ვერ მალავს. აღტაცებულია).

— ბათუმი როგორ არა, მახსოვს... ნიგნი, — „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“

ბათუმი, 1944 წელი

თეატრის შენობის წინ, უამრავ ადამიანს მოუყრია თავი. ცრის. ხალხს ქოლგები აქვს გაშლილი. ბათუმის თეატრის შენობაზე ჰკიდია რადიოგადამცემები, საიდანაც მოისმის ის, რაც შენობაში ხდება. თეატრის პარტერი, ლოჟები ხალხითაა გაჭედული. გალაკტიონი მთარღვევს ხალხის მასას. ირგვლივ აღფრთოვანებული თვალვითა. აწვდიან თაიგულებს. ეხვევიან. კოცნიან. გალაკტიონი სიხარულს არ მალავს.

— დიდი მადლობა, უღრმესი მადლობა, ბიძიკოებო...

შენიშვნა:

გალაკტიონი შედის გაჭედულ დარბაზში. მხურვალე ოვაციას უმართავენ. გალაკტიონი ადის სცენაზე, ამოიღებს ახალთახალ ნიგნს, რომელსაც ეამბორება და იწყებს:

— ძვირფასო ამხანაგებო, ნება მომეცით საქვეყნოდ განვაცხადო თქვენი განუსაზღვრელი სიყვარული ჩემო მშვენიერო, ჩემო ძვირფასო აჭარავ. (ტაში)

ძვირფასო ამხანაგებო!!!

ნება მომეცით, გავიხსენო ერთი ამბავი: ეს იყო წინათ — დიდი ხნის წინათ; მე გახლდით ბათუმში, ზღვის პირას, მე მომესმა ქალის ხმა. საღამო ხანი იყო. ის მღეროდა მოტივს „გედის სიმღერა“. ჩვეულებრივად გედი მხოლოდ სიკვდილის წინ მღერის და მღერის სიცოცხლეში ერთხელ... ეს მოტივი,.. ამ მოტივმა ისეთი განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ,.. მაშინაც ბავშვობის დროს მე დავწერე ერთი ლექსი, გედის სიმღერა.(ტაში)

ძვირფასო ამხანაგებო! შეფასება მისცეს ამ წიგნს ისეთი, რომლითაც მე სავსებით კმაყოფილი ვარ,.. აქ როგორც ავტორი ამ წიგნისა, არ ვიცი რომელი ნაწილი წავიკითხო ამ ლექსის. მხოლოდ გადავშლი. რაც შემხვდება, ამხანაგებო, იმ ლექსს წავიკითხავ... (მხურვალე ტაში)

აი ეს ლექსი — მხ,..მხ,..მ...მ...

„თვით ვიქმ ხელითა, ჩემითა, ამა წიგნისა წერასა“ შოთა რუსთაველი.

„ყოველ გრიოდში თუ ქარიშხალში, მედგრად დაიდე, ცხოვრების საჭეს მაჯისებრ გრძნობით მეტის დანდობით, ყოველ წყვდიადში მანათობელ ცეცხლად აინთე ელვარე ცეცხლით... ა.შ. თაიგულიც იმგვარადვე ითაიგულებს, იელვებს, ოქრო მშვენიერი რა აღმოსავლით, ბრინჯაოთი დაედევნება ოქრო ელვარებს უხვი ფერი უხვი მოსავლით ოქრო ნარინჯის და თურინჯის ქარვა ბრწყინდება და სილაჟვარდე ვაზებისა, ჩქეფა მაჭარის, ოქროსფერ ღვინოდ გადიქცეოდა და ბრწყინავს იგი.

ასე დავწერე, მეგობრებო, ოქრო აჭარის, ლაჟვარდში, თქვენთან მოკრძალებით მომაქვს ეს წიგნი...“ (ვბრუნდებით ისევ თბილისში...)

(თბილისი, სილი)

...როგორც იქნა, მილიციელმა სანთებელა აანთო და მოუკიდა გალაკტიონის პაპიროსს.

გალაკტიონი: — საბჭოთა მილიციას უყვარს გალაკტიონი!

— კარგად იყავით, ძამიკოებო, კარგად,.. აბა თქვენ იცით... (მილიციელი დაუძახებს)

— გაგაცილებთ, ბატონო გალაკტიონ (გალაკტიონი არ შემობრუნდება, ისე გაეპასუხება).

— მე ჩემი გზა მაქვს (ხელს მაღლა აუწევს).

გალაკტიონის პინა

კიბის მოედანზე, კარებთან ინტელიგენტური შესახედაობის ახალგაზრდები დგანან. ეტყობა ლამენათევი და შექეიფიანებულები არიან. გალაკტიონის კარებზე ზარის დარეკვა ვერ გაუბედათ. როგორც იქნა, ერთი გადანყვეტს და ლილაკს ხელს თითს აჭერს. ხმა არ ისმის.

— არ დაგირეკავს, — ეუბნება მეორე.

— თითი არ დაგიჭერია, — ამბობს მესამე.

პირველი ლილაკს თითს უფრო გამეტებით აჭერს. ზარის ხმა ისევ არაა.

— დენია ალბათ გამორთული, — ერთ-ერთი ახალგაზრდა გაბედავს და დააკაკუნებს. სიცილს იკავებენ.

— ეგ კაკუნი აქ არ მესმის.

— მაშინ, შენ დააკაკუნე, — პირველი ახალგაზრდა მოსინჯავს და უფრო ძლიერად დააკაკუნებს. მეზობელ კარებიდან ნახევრად შიშველი ქალი გამოყოფს თავს. ღამის პერანგშია, მოტიტვლებულ მკერდზე ხელს იფარებს.

— ხომ ხედავთ არ არის... რას არახუნებთ. *Спать не даёте людям...*

ნერვიულად კარს გაიჯახუნებს, კლიტეზე ჩაკეტავს. განზილებული ბიჭები კიბეზე ეშვებიან

— რამდენჯერ ვსინჯე, არ იქნა, რა... — გულდანყვეტილი ამბობს ერთი.

სადარბაზოში ახლახან ხიდზე გაქურდული გალაკტიონი შემოდის. ფეხზე წინდების ამარა. გალაკტიონის დანახვაზე ბიჭები დაიძაბებიან. ცდილობენ გაატარონ. ბიჭების ასეთი დაძაბულობა, პირიქით, გალაკტიონს მათ მიმართ ეჭვს აღუძრავს და იგი მათ გასაგონად ამბობს:

— რა აქვს პოეტს, ღარიბია პოეტი (გალაკტიონი ცდილობს ბიჭებს არ შეხედოს, გვერდი ისე აუაროს).

ბიჭები ხვდებიან, რომ გალაკტიონი მათ უფრთხის. უცებ, ერთ-ერთი მათგანი თითქოს მაშინაღურად მაგრამ პათოსით ფრანგულად ბოდღერის „ბოროტების ყვავილებიდან“ ერთი ლექსის დეკლამირებას იწყებს. გალაკტიონი ამას არ ელოდა. იგი გახარებული შემობრუნდება, წუთით

ყველაფერი დაავინყდება, ახალგაზრდის მიერ წამოწყებულ ბოდლერის დეკლამირებას თვითონვე თავდავინყებით აიტაცებს და ასევე, ფრანგულად, ერთი სულის ამოთქმით, ბოლომდე ჩაამთავრებს. ახალგაზრდები ტაშს შემოკრავენ.

— დიდებულია, დიდებული ახალგაზრდებო... ბოდლერი თავია ევროპული სასონარკვეთის!

გათამამებული ახალგაზრდები აპირებენ უკან მობრუნებას, მაგრამ უკვე გაღებულ კარებში ჩამდგარი გალაკტიონი მათ გზას უღობავს და ემშვიდობება.

— კარგად იყავით, ძამიკოებო, კარგად... გალაკტიონი ბოდლერზე უფრო უყვარს ახალგაზრდობას!

— რა თქმა უნდა! — თითქმის ერთდროულად შესძახებენ ახალგაზრდები. მეზობლის ქალი ისევ გამოიხედავს, თუმცა ამჯერად სათქმელს ჩაყლაპავს და კარებს ნერვიულად მიიჯახუნებს.

* * *

გალაკტიონის დღიურიდან

...„ჩემს ოთახს აყრუებს ავტობუსის განუწყვეტელი გრიალი — ვერის ხიდიდან დაწყებული მარჯანიშვილის თეატრამდის, თან ერთი სინა (ჩემი ოთახის კედელზეა მიბმული სახელგამის კედლიდან) ისეთნაირად გაიწკრივლებს (როცა ავტობუსი გაივლის) რომ არ შეიძლება ტანში ყრუანტელმა არ დაგეაროს და ასეა ყოველთვის ვერის ხიდიდან მარჯანიშვილის საზიზღარ მოედნამდე. ამ უსაზიზღარეს მოედნამდე, ყოველ ღამ, ღამის სამ საათამდის, ქუჩიდან მესმის მთვრალეების ღრიალი, მთვრალეები, რომლებიც ასე თავისუფლად გრძნობენ თავს ამ მიდამოებში ყოველ ნაშუალამევეს... ჩემი ოთახის ზევით ცხოვრობს ოჯახი, რომლის დიასახლისი კარგა ხანია შეშლილია. ის გათენებამდე დადის თავის ქრაჭუნა ფეხსაცმელებით თითქოს აი აქ... არა თავის ოთახში, არამედ პირდაპირ ჩემს თავზე ატრიალებს სკამებს ამ ნაშუალამევეს“...

...მაგიდაზე გაშლილია გალაკტიონის ხელნაწერები. დევს რამდენიმე საქალაღდე, წიგნები, საწერი მონყობილობა. რამდენიმე, სხვადასხვა მეღნით სავსე ბოთლი. პატარა გაღეული ფანქრები: ლურჯი,

წითელი, იისფერი. პაპიროსის კოლოფი. ნამწვავებით სავსე საფერფლე. რამდენიმე დაჭრილი ფურცელი. მაკრატელი. ნებო („გუმერავიკი“), გამადიდებელი შუშა, გაზეთები, მაგიდის კუთხეში უცნობი მწერლის ბიუსტია. საწერი მაგიდის გვერდით დგას მეორე პატარა მაგიდა, რომელზეც საბეჭდი მანქანა დევს. მაგიდის უჯრა გამოღებულია. შიგ ყრია უამრავი საკანცელარიო ნივთი. მაგიდის ქვეშ საქალაღდეებია. ოთახში დგას სამი წიგნის კარადა. ამათგან ორი, ორგანყოფილებიანი, ერთიც სამგანყოფილებიანი. კარადები სავსეა წიგნებით და საქალაღდეებით. კარადის თავზე საქალაღდეებია შემონწყობილი. გასასვლელ კართან დგას ღია თარო, რომელიც ასევე სავსეა წიგნებით. იქვე მოსაზღვრე კედელზე გაკრულია ლათინური დიდი ასოებით ანაბეჭდი „GALAKTIONOLOGIA“.

გასასვლელის მეორე მხარეს დგას ძველებური მაღალი საკიდარი, რომელზედაც კიდია ტროსტი. მთელი ამ ხნის განმავლობაში სანამ აპარატი, ტროლეიბუსის ბიგელების ძაგდაგისა და ჭერში აუტანელი ხმაურის ფონზე ათვალეერებს ბინას. გალაკტიონის ფიგურა ხან სად გაივლევს და ხან სად. ყოველ გაღვებზე სივრცე იმუხტება მისი აღგზნებული მდგომარეობით. უცებ იგი ამთავრებს წერას და იწყებს დეკლამირებას „ქარი დაცხრა სიბობოქრის, შავი ზღვიდან სიო მოჰქრის, მე გიცქერი როგორც ოქროს, ჩამავალ მზე ჩამავალს“ და ა.შ. ისეთი შთაბეჭდილება... დეკლამირების დროს მას გიჟის გამოხედვა აქვს. მონყვევით ჯდება. მძიმედ სუნთქავს. ხელის კანკალით მაგიდიდან იღებს საწერ კალამს, უსინჯავს წვერს. გამოცვლის. იღებს გაცრეცილ ფურცელს. როგორც მხატვარი ფუნჯს, ამუშავებს კალმის წვერს. მოარგებს. იღებს სამელნეებს: წითელი, ლურჯი, შავი მეღანი, იწყებს მათ გაზავებას, თითქოს საღებავებს ურევს ერთმანეთში, თან აგონიაში ბუტბუტებს: „ნელინადი... ცენტრი... ბელადები... ტელეგრაფები... ციფრები... შეტაკება... მარცხი სასტიკი... მდიდარი ბურჟუაზია... ზომბები... გათიშვა... კივილი... უარყოფა...“ ხელის გულზე ისხამს შეზავებულ

მელანს, ირჩევს საღებავის ფერს,.. მიდის კარადასთან, არჩევს საქალაქელებს თან თავის თავს ეკამათება: „მეხუთე ტომი, მეოთხე ტომი... მეექვსე ტომი... გაბნეულია მეორე, მესამე ტომის მასალა“ დატვირთული ხელნაწერებით მაგიდასთან ბრუნდება „ოცდაცამეტი წლის გამოცემაში იყო ცხრამეტი ლექსი, ოცდაჩვიდმეტისაში ორმოცდაშვიდი, მოსკოვის შარშანდელ გამოცემაში ორმოცდაჩვიდმეტი ე.ი. მოსკოვის გამოცემა 126 გვერდია, ახლანდელი 192 გვერდი. ხელნაწერებს განალაგებს ზოგს მაგიდაზე, ზოგს სკამებზე... ფურცლები ეფანტება იატაკზე. ამას არ აქცევს ყურადღებას...“ 189 312 ტიპოგრაფიული ნიშანი 353 512,.. გადაშლის რუსულ-ქართულ უზარმაზარ ლექსიკონს. გვერდზე დადებს მაგიდაზე. ამასობაში ლექსიკონის ფურცელზე (გვერდზე) გამოლოდდება პატარა ხოჭო და მიცოცავს სიტყვებზე... მაგიურმა ხოჭომ გაიარა სიტყვებზე: „черногрив, черномазый ყარაჩი,.. შავეგუხ чернота (სიშავე)“... გალაკტიონი ხოჭოს დაიჭერს ფრთხილად ჩასვამს ასანთის კოლოფში ყურთან მიიტანს და განაბული უსმენს. ისევ იწყებს ბუტბუტს: „...შავებით მოსილი ქალები,.. მთაწმინდაზე ყველგან... ო, სიშავე თვალთა, ...სიშავე ღამის, ...სიშავე ყორნის ფრთების! შავი ზღვა,.. შავი დღე,.. შავი ფარდები,.. შავი ბერი,.. შავი ღრუბელი,.. შავი ფიფქები,..“.

გარეთ იწყება წვიმა (მატულობს). შემოდის დომენტი. მოჩვენებასავით დაადგება თავს. გალაკტიონი თავს აწევს, შეხედავს, ვერ ხვდება, დომენტის აქ რა უნდა.

დომენტი: — გალაკტიონ, მაპატიე, გენაცვალე, ჩემი ღამა მინდა წვეილო,.. ბავშვს რაცხა დარჩა გოუთავებელი. ნუხელის მოვედი, მარა არ იყავი სახლში. გალაკტიონი დაფაცურდება, ღამპას ხელს წამოავლებს და დომენტის აძლევს — ა, დომენტი... — დომენტი იგრძნობს, რომ გალაკტიონი ამას მაშინაღურად აკეთებს და ამიტომ ზედმეტი ღაპარაკით რომ საქმე არ გააფუჭოს, სწრაფად გაეცლება იქაურობას. გარეთ ელავს და მისი შუქი დროგამოშვებით ანათებს ოთახს. ბნელს შემტერებული გალაკტიონის თვალები სინათლეს სარკესავით აირეკლავს. სინათლე

ქუჩაშიც გამორთეს. გალაკტიონი ხელის ცეცებით დაეძებს ასანთს, წამოედება საკიდარს, რომელზედაც მისი ტანსაცმელი ჰკიდია. საკიდარი წაიქცევა, გალაკტიონი პიჯაკის ჯიბეში მაინც მონახავს ასანთს, გავა სამზარეულოში, მიაგნებს ღამფას, რომელშიაც არაა ნავთი. იქვე აღმოაჩენს სანთლის ნამწვავს. აანთებს და მიდის ფანჯარასთან. გარეთ კოკისპირულად წვიმს. წვიმის ბადეში და დაორთქლილ ფანჯრის მინაში ჩანს გალაკტიონი ანთებული სანთლის ნამწვავით.

...ბუტბუტებს „მე მესმის მუსიკა... ჩ-ჩ-ჩ-შ-შ-შ“...

(აკეთებს წვიმის იმიტაციას), — „...მე მესმის ქართული მუსიკის ახალი ნაკადი“,... (მიდის მაგიდასთან. დიდხანს არჩევს სანერ ფურცელს. ხელში ატრიალებს),... ქუჩაში ისევ ინთება სინათლე. გალაკტიონი ჯდება და აცახცახებული ხელით გარედან შემოსულ შუქზე იწყებს წერას: „რაფსო-დია, ნოქტიურნი“ (ქალაქს აიღებს, სინათლეს მიუშვერს, გაუსვამს ხაზს. შეამონ-მებს რა დანერა და განაგრძობს) „გარდამავალი ჟანრი... სერენადა... კანტატა... უეცარი მუსიკალური ფანტაზმა...“ (ამ დროს ისმის ბათქაშის ჩამონგრევის საშინელი ხმა) აბაზანაში ჭერი ჩამოინგრა, რაც გალაკტიონის ყურადღების მიღმა რჩება. სანთელი ჩაინვება და ქრება.

* * *

პირველი, რაც გალაკტიონს თავში მოუვიდა თვალის გახელისას:

„...ლენინის სახელი პირველად მე ვახსენე ქართულ პოეზიაში“.

თავზე „ადიელა“ წაფარებულ გალაკტიონს კარებზე ბრახუნი და მისთვის არასასიამოვნო ხმები აღვიძებს: შემოსასვლელში პროდუქტებით დატვირთული ნინა (გალაკტიონის მეუღლე) და დერეფნის მეზობელი (მოქალაქე შონია) ერთმანეთს წაეკიდნენ. ესაა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მხრებშიანურული პირხმელი, ნერვიული გამომეტყველების მამაკაცი. იგი თავისი ბინის კარებში დგას და თითის ქნევით ემუქრება ნინას:

მოქ. შონია: — **Перестаньте безобразничать! Прекратите в туалете думать,..**

ნინა: — Какое ваше дело что мы делаем в туалете. Не можем же себе голову отрезать.

მოქ. შონია: — Именно моё дело. Что хотите отрежьте, хотите голову хотите еще что,.. в туалете надо заниматься только туалетными делами, мысли ваши где хотите...

ნინა: — მომწყდი კაცო თავიდან, თქვენ გიჟები ხართ ვინცხა ხართ (კარებზე გამინარებით აბრახუნებს და ეძახის). — გალაკტიონ, მე ვარ, მე ვარ ნინა, **открой**. ხმაურზე ჯერ შონიას მეუღლე გამოდის, შემდეგ ვასასი და დომენტი.

შონ. მეუღლე — ეს მე ვარ გიჟი (იმეორებს, მე ვარ გიჟი?) **представляешь** (მიუბრუნდება ქმარს) **что эти** მართლა გიჟები **позволяют, а?**

ვასასი და დომენტი: — რა ამბავია, ხალხო, სირცხვილია.

— სულ შენი ბრალია, რომ დაჯდები იქინე და აღარ გამოხვალ გარეთ, — საყვედურობს ნინა გალაკტიონს ბინაში შემოსვლისას: — ახლა მიდი და გეეცი პასუხი,.. ხმაურზე გამოსახულებას ცვლის გალაკტიონის განცხადების ტექსტის გამოსახულება (წაფენით).

„...საქართველოს სსრ ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ფ.მახარაძეს გალაკტიონ ტაბიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

განუხებთ, მაგრამ მეტი გზა არ არის.სამხედრო ფორმაში გამონწყობილი და პარტიული მანდატის მქონე მოქ.შონია განუწყვეტლივ თავს მესხმის პირადად მე და ჩემს მეუღლეს. მას დავა ჰქონდა ბინის გარშემო მოქ. მელაძესთან და ჩააგონა თავს (მხოლოდ ჩააგონა) რომ იქ, სადაც ბინას მიიღებდა საპირფარეოც დამოუკიდებელი ექნებოდა. დაინახა რა, რომ ვიღაც გალაკტიონ ტაბიძეც იდგა გვერდით, მოქ.შონიას გულს შემოეყარა, არ მოეწონა ასეთ პირობებში იმ ბინის დაპატრონება, რომელიც წინათ მელაძეს ეჭირა, ხოლო ახლა მას, შონიას, უნდა დაეკავებინა. როდესაც ტუალეტში ვზივარ ყოვლად უსაფუძვლოდ, ყოველგვარი საბაბის გარეშე და სრულიად თვითნებ-

ურად მოქ. შონია ასტეხს ხოლმე ყვირილს, მორთავს ღრიალს, მიწვევს მე სკანდალსა და დებოშში.„ჩვენ ბოლშევიკებმა ავნიეთ გ.ტაბიძე მაღლა, მაგრამ ჩვენვე შევძლებთ მის ძირსვე გასწორებასო“ — იძახის შონია. „აქ საპირფარეოში ვინმე დაეცემაო“ (წაფენა).

ნინა ბინაში შემოდის. ეს არის დაახლოებით 45 წლის მოვლილი ქალი, თავზე შლიაპით და ტუჩებზე მკვეთრი წითელი პომადით. ერთ ხელში პროდუქტებით სავსე ჩანთა უჭირავს, მეორეში გაზეთები, რომელსაც შემოსვლისთანავე გალაკტიონს ხელში შეაჩერებს.

— ჰა შენი ფოსტა.

გალაკტიონი ჩამოართმევს ჩანთას, გაზეთებს. ნინა პალტოს იხდის, ქუდს. ლაპარაკობს მკაფიოდ და ირონიულად

— აჰ, აღარ შემიძლია ასე ცხოვრება. **Нельзя так жить**. ძალიან მიჭირს. ნუნუსთან და ბავშვთან უნდა გადავიდე, იქ ვიცხოვრებ. **надоело!** ხან შენი გაუთავებელი სმა (ეს პალტო სად ამოთხვარე ასე!)... ეს საზიზღარი მეზობლები. ...აქეთ ნუნუს და ბავშვის პრობლემები! **Я же одна, на сколько частей мне разорваться...** ეს რა არის? **Что за свинарник?** რას დაგიმსგავსებია აქაურობა?! — გალაკტიონის ოთახში როცა შედის, კივის ნინა.

გალაკტიონი ჩამომჯდარია მაგიდასთან სამზარეულოში. ეწევა.

ნინა: — უბედურებაა ნამდვილი. აქ შეიძლება კაცმა იცხოვროს?! ყველაფრის ღირსი ხარ შენ (შონიასკენ იშვერს თითს ნინა)... ბავშვი ჩვენთან მოიყვანეო! რა უნდა აქ ბავშვს?! ნინა მიდის სამზარეულოსკენ. იქ გაფენილ ცუდად გარეცხილ გალაკტიონის საცვლებს თოკიდან ჩამოგლიჯავს და გალაკტიონს მიაყრის. — ამას აქ რა უნდა! გალაკტიონი საცვლებს აკრეფს, გადის ოთახში და საკიდარზე მიაფენს.სამზარეულოში ნინა იწყებს პროდუქტების ამოლაგებას: ლობიო, ხახვი, მწვანელი, მჟავე კომბოსტო, შაქარი, კვერცხი, მანონი — თან ლაპარაკს ისე აგრძელებს, რომ მისი ხმა გალაკტიონმა გაიგოს.

ნინა: — ასე დავტოვე მე ეს ბინა? ასე სალორესავით უნდა დაგეხვედრებინა ყვე-

ლაფერი? არა, მე მეტი აღარ შემიძლია, გავგიჟდები. თვალს მოკრავს ცარიელ ბოთლს.

— ეს რა ბოთლებია? **Опять пить начал?! ბოთლებს მივარდება და მოისვრის.**

— და ეს მაშინ, როდესაც უამრავი საქმე მაქვს. ნინა სამზარეულოს დალაგებას იწყებს. უცებ ქარი მოაწყდება ფანჯარას. გალაკტიონი ფანჯარასთან მიდის.

— გავალ ქარში — სკამზე მიფენილ „საროჩკას“ იცვამს.

ნინა: — არ გრცხვენია, გალაკტიონ, თავმოყვარე კაცი ასე გაივლის ქურაში? მათხოვარი ხარ?

კარადიდან სუფთა პერანგი გამოაქვს.

— **На, одень.** გალაკტიონი ჭუჭყიან პერანგს ლოგინზე მიაგდება.

სასთუმალთან კედელზე ოლია ოკუჯავას პორტრეტი ჰკიდია.

ნინა: — ვინაა ეს ქალი, რამდენჯერ გითხარი, მოაშორე აქედან...

სამზარეულოში გადის, აანთებს ნავთქურას და დგამს ჩაიდანს.

გალაკტიონი აბაზანაში პირს იბანს. თავის თავს გაბზარულ სარკეში ხედავს.

კარებზე კაკუნის ხმა. გალაკტიონი ალებს კარებში, ჩემოდნიანი აფო დგას.

- **Заходи,** ხელით ანიშნებს. აფო შემოდის. სამზარეულოში შედიან. გალაკტიონი ცდილობს ჩურჩულით ილაპარაკოს

— ჩემი ჩემოდანი?..

აფო: — **Галактион Василич да, вот, в тот день когда мы с вами в духане...** - გალაკტიონი ხვდება, რაც აფომ უნდა უთხრას, პირზე ხელს ააფარებს „ხმამალ-ლა არ თქვაო“, თან იქით იხედება, სადაც ნინა ეგულება. აფო ხმას დაუნევის: — **Вот я говорю про него (უჩვენებს ჩემოდანზე) мы совсем забыли... он там стоял-стоял а я, на днях как-то захожу, а хозяин говорит - вы здесь чемодан забыли... Открываю вижу там туфли старые. Отнёс Трубке. Он говорит - дай починю! А сейчас как новенькие. Галактион Василич, поносите...** გალაკტიონს ბავშვივით უხარია

— დიდებულია დიდებული! ერთი კვირაა სახლიდან არ გავსულვარ (პირს ყურთან მიუტანს) ფეხსაცმელები მომპარეს

მაშინ.

— ვაჰ! — თქვა აფომ, - **Я его маму...**

— **Потом расскажу,** — ჩურჩულით უთხრა გალაკტიონმა და ჯიბისკენ ხელი წაიღო

— **Вы что Галактион Василич,** - ჩურჩულითვე წამოიძახა აფომ, — **мы-же с вами друзья,** — უნდოდა ხელზე ეკოცნა, მაგრამ გალაკტიონმა არ დაანება.

გალაკტიონი ქირქილებს — შენ და „ტრუბკა“ რომ არ მყავდეთ, ტრუბაში გავძვრებოდი.

გალაკტიონი აფოს კარებამდე მიაცვლებს.

— ვინ იყო? ეკითხება ნინა

— ჩემი მეგობარია „საპოჟნიკი“ — ფეხსაცმელები დავაპაჩინებო.

ნინა: — ახლებივითაა. რაფერ მოხდა მაგი, არ მოკვდე... ეს რას გავს! — უთითებს აწინილ მაგიდაზე. თან საყვედურობს, თან ეხმარება გალაკტიონს სუფთა პერანგის ჩაცმაში: — პირუტყვი არ იქცევა ასე — **покажи руки?!** გალაკტიონს ხელები უკანკალებს — წადი ახლავე საპნით დაიბანე მაი დათხაპნილი ხელები. —

ნინა გალაკტიონს მაჯებზე ღილებს უხსნის და უწევს სახელოებს — **Как так можно, слушай, ты же академик. Что люди скажут?..**

გალაკტიონი აბაზანაში ბრუნდება. ნინა შექურბულ ბათქაშს აქანდაზით იღებს, სანაგვეში ყრის და საძინებელში გადის.

გალაკტიონი ხელებს იშურალებს.

— მომეცი აქ მაგ თითები, — ეუბნება ნინა გალაკტიონს და მაკრატელს მოიმარჯვებს. გალაკტიონი ხელებს სასწრაფოდ მალავს და ყვირის — შენ გინდა მე თითები მომჭრა.

ნინა ხედავს, გალაკტიონი არ ხუმრობს.

ნინა: — ექიმთან ხარ მისაყვანი. **тебя надо лечить.** ხვალვე და ამას ლაპარაკი არ უნდა! სამ საათზე ნუნუმ ბავშვი უნდა მოიყვანოს. მე არ მცალია, პრობლემები აქვს.

ნინა ხედავს, გალაკტიონი არ ხუმრობს.

ნინა: — ექიმთან ხარ მისაყვანი. **тебя надо лечить.** ხვალვე და ამას ლაპარაკი არ უნდა! სამ საათზე ნუნუმ ბავშვი უნდა მოიყვანოს. მე არ მცალია, პრობლემები აქვს.

გალაკტიონი: — სულ მაგას არ გეუბნებო? მოიყვანეთ ბავშვი. იყოს ჩვენთან ამ სახლში წინილაც კა არ გაზრდილა. იმ ჩემს მტრებსაც ხმას გავაკმენდინებ, მაგას ვინ გაუძლებსო. რატომ არ მოგყავთ!

ნინა: — ბინის ქირაა გადასახდელი.

ტელეფონი, შუქის ფული, როდის აიღებ ჯამაგირს (ისევ დაინახავს საწოლის თავზე ოლია ოკუჯავას სურათს).

ნინა: — მაინც ვინაა ეს ბოზი, საწოლიდან რომ არ იშორებ?! — ნინას ხმაში საყვედურთან ერთად მოზღვავებული ზიზღიც გამოკრთის და გალაკტიონს (როგორც უცხო) უყურებს. გალაკტიონი თვითონ ღიზიანდება ნინას ასეთი საქციელით.

(იქმნება გაუცხოებული გარემო.)

— ეს ბოზი არაა, ჩემი ცოლია (ამჯერად) სურათს კედლიდან ხსნის, საწერი მაგიდის უჯრაში დებს და ნიშნისგებით ამბობს:

— ის ისევე დააპატიმრეს და დახვრიტეს, როგორც დახვრიტეს შენი ქმარი.

(შუბის ნიგნაკიდან)

„როდესაც რევოლუციის ცეცხლის ალში შესვლას დააპირებ იქვე უნდა იპოვნო მისგან გამოსავალიც“

თბილისი. 1928 წელი

რკინიგზის სადგური. მატარებელი პირველ ბაქანზე დგას. წამსვლელი და გამაცილებელი ირევა. საცაა მატარებელი გავა. ორთქმავალი სიგნალს იძლევა.

გალაკტიონი ფედია ჩუდეცკის ესაურება,.. და ვილაცას. თვალს არ აცილებს ბაქანზე მეგობარ გოგონასთან მოსეირნე ოლია ოკუჯავას. ისინი გალაკტიონს გამომწვევად უტრიალებენ. ხან აქ გაკრთებიან ლანდივით, ხან იქ. ოლია აღფრთოვანებულია: — *О, это Табидзе!* გალაკტიონი გრძნობს ოლიას დაჟინებულ მზერას და თვითონაც თავი გამომწვევად უჭირავს,..

გალაკტიონი: — ვინ არის ის გოგონა?

— რომელი?

— ხელები,.. რომ სახეზე აიფარა

— მიშას ხომ იცნობ,.. იმის დაა. გინდა გაგაცნობ.

ოლია გაშეშებულია.

მიშა: — ნება მომეცით *представить,.. Галактион Табидзе. Прошу любить и жаловать поэта!* ოლია ართმევს ხელს:

— ...приятно!

გალაკტიონი: — *Очень приятно!*

მატარებელი ზანტად იძვრის. ორთქმავალი ასიგნალებს. გალაკტიონი ოლიას

ემშვიდობება და დაძრულ ვაგონს შეახტება. ოლია მატარებლის მოძრაობის მიმართულებით ნაბიჯს გადადგამს და ხელს უქნევს.

შენიშვნა (ნინა ეპიზოდთან დაკავშირებით):

ეპიზოდის ბოლოში ხდება მსახიობის ასაკობრივი გაორება: მაგალითად, დაძრულ მატარებელს აახტება ახალგაზრდა გალაკტიონი, ხოლო ვაგონის ღია კარებიდან ბაქანზე დარჩენილ ოლია ოკუჯავას, გამოსამშვიდობებლად, ხელს უკვე უქნევს ხანდაზმული გალაკტიონი. ამიტომ შემდგომ ჯერ ვაგონის ფანჯრიდან ან (შემდეგ) ფეხით სიარულის დროს გალაკტიონის მიერ დანახული საქართველოს ხატობრივი აღქმა ერთმანეთს ისეთნაირად ენაცვლება, ისეთ მუსიკალურ რიგს ქმნის, რასაც ე.წ. „თვალგახელილ სიზმრებამდე“ მივყავართ. კუპეშიც ხან ახალგაზრდა გალაკტიონი დგას ფანჯარასთან, ხან ხანდაზმული.

(ამ ეპიზოდში ყველაფერი ვირტუალური და რეალური აღქმის ჩარჩოებში მონაცვლეობს).

...

მატარებელი მიქრის. ფანჯარასთან, კუპეში, ახალგაზრდა გალაკტიონი დგას, ხანდაზმული ზის და პაპიროსს ეწევა.

ახალგაზრდა: — ეს რა სოფელია ნეტავ?

ხანდაზმულის ხმა: — სვეტიცხოველია (იქვე): — ღმერთო ჩემო, აქ ხელი გულის კარნახის გარეშე იწყებს პირფურის წერას.

ახალგაზრდა: — ჩვენი სამოსახლო! მრევლიშვილების სახლი! (ხანდაზმულის ხმა): — ეს გვარი სხვადასხვა ასოციაციებს იწვევს.

ხანდაზმული — (ფანჯარასთან დგას) ათი საათია,.. (ახალგაზრდას ხმა): — რა გვიანია ათი საათი მცხეთაში.

ახალგაზრდა (ფანჯარასთან დგას): — აი ჩვენი ბალის კარები (ხანდაზმულის ხმა): — ვისი ჩვენი? ჰმ!

ისევ ახალგაზრდა, ისევ ფანჯარასთან: — აგერ წინამური... კარგად არ ჩანს ყოველთვის, როცა აქ ჩავივლი, გასროლის ხმა მესმის (ხანდაზმულის ხმა): — ექო

ბაგინეთის თხემს გადაუვლის.

ახალგაზრდა: — სამაგიეროდ, საგურამოს გზა ჩანს.

ახალგაზრდა: — ვენახში,.. რაღაც ძველი ნიშია რაა ნეტა? (ხანდაზმულის ხმა): — ამას ვინ კითხულობს გული თუ თვალი?

ხანდაზმული ფანჯარასთან დგას: — ძაუჯიკაუს გზაჯვარედინი... (ახალგაზრდის ხმა — რისი გზაჯვარედინი? ნაუჯიკაუს ნაუჯიკაუს — იმეორებს) ქირქილებს.

ფანჯარასთან ახალგაზრდა: — პური შემოსულა თუ მკათათვეა? (ხანდაზმულის ხმა): — საათი ვერ აჩვენებს ასეთ დროს. მკათათვე ციფერბლატზე არაა მაი.

— (თანამედროვე ცხენი(...)) მე ბებიჩემის ცხენი მახსოვს. აი, ცხენი ის იყო, თუ იყო (იქნებ არ ყოფილა).

— (კიდევ ძველი ნანგრევი...) ეს რაღაა? გენიალური აბსტრაქცია — იქნებ ეს ნანგრევი კი არა თვითონ იმისთვის აშენდა, ასე რომ იყოს (ქირქილებს ხანდაზმული გალაკტიონი).

— (მთაზეა დიდებული ციხე) ...მთა ამალღებს ციხეს თუ პირიქით, ციხე ამალღებს მთას?

ახ.გალაკტიონი — ...ხუთნი, ყანას მკიან! რა ჰარმონიაა, მშრომელი კაცი და ბუნება. თითქოს ღმერთი სადღაც აქვე შორიახლოს ზის.

ხანდაზმული: — ...ორი ჭიდაობს... უცნაურია. კაცს რატომ უნდა კაცი დაჯაბნოს? (იქნებ პირიქითაა).

— უთვისტომო ობოლი ნანგრევი.

ხანდაზმული: — (რაღაც სოფელია) — საჩხერესა ჰგავს (საჩხერე აქედან შორსაა,.. საქართველოში ყველაფერი ახლოსაა, ერთმანეთთან შორსაც რომ იყოს).

ახ.გალაკტიონი — ფრინველი მიფრინავს, რათ უნდა გზა,.. თერთმეტს უკლია თერთმეტი წუთი (ხანდაზმული გალაკტიონი: — უცნაურია, რატომ მაინცდამაინც ახლა დავხედე საათს,.. ოთხი ერთიანი ერთად ერთი ერთი ერთი ერთი).

— ქალები მიდიან ფინლებით,.. ერთი მათ შორის ყველაზე ნორჩი უკან უკან იყურება, ბიჭი მოსდევს და დაეწევა.

— ...გორის გზა ესე მიდის? (ეგაა ეგ... ვილაცამ ჩაიარა ვაგონის გასასვლელში და პასუხი ისე გასცა, მისთვის არავის

არაფერი უკითხავს).

— (ოსიაური) ...აუჰ. რა მუხნარია შორს ჭერეხივით მიყრილი სახლებია...

— რა ხევია, მინდა გადავხტე (ფანჯარასთან ორივე ერთად დგანან).

— (გვირაბში შევდივართ?! ...ეს ქალი ვინაა?.. ან როდის შემოვიდა კუპეში (..სულ დაბნელდა).

— გავედით ესეც კოლხეთი! (ქალი ისე ნასულა, არც გამიგია). ახალგაზრდა გალაკტიონი ფანჯარასთან დგას. ხანდაზმული ზის, კედელზე ზურგით მიყრდნობილს თავი გვედზე გადაუნევიან და დინავს.

მატარებელი. „თვალგახელილი სიზმარი! — ცხადი მისტერია.

ხეებით დაბურულ სასაფლაოზე სუდარიანი ქალები მუხლს იყრიან. ქვითინებენ,.. უცებ,.. გამჭვირვალე ლანდებად იქცევიან და შორიდან გაბმული გოდება ისმის. გალაკტიონის ხმა,.. (კითხულობს „მთანმინდის მთვარეს“).

მიდამოს გადაუფრენს დიდი ფრინველის ლანდი.

სუდარიანი ქალი: — ხეები როგორ ჩუმიად იზრდება, გაიხედავ... უკვე მალღებია.

კაცი: — ამოდენა ყვავი თუ არსებობდა, ვერ წარმომეგინა... აუ, რამდენი ყვავი შვა იმ ერთმა,.. (თუ,.. ნაწილებად დაიშალა?..). ცა დაიფარა ყვავებით.

სუდარიანი ქალი: — ღმერთო ჩემო, ეს რა არის? ციდან რა ვარდება? უზარმაზარი შავლენტიანი გვირგვინი? რაც ახლოვდება, უფრო საშიში ხდება...

— გავიქცეთ, შეიძლება დაგვეცეს!

— არა, უცნაურია რომ გვირგვინი რაც უფრო ახლოვდება,.. მით პატარავდება და ბოლოს საქორწინო ბეჭდად იქცევა. დაკოჟრილ ხელის გულში აღმოჩნდება, რომელიც ბეჭედს ქალის ნაზ თითს წამოაცვამს.

ქალის ხელი — თვალის მომჭრელად,.. თეთრი მტრედი ფართხალებს, ყვავად ქცეული, ამაზრზენი ჩხავილით ცაში აიჭრება და არემარე შავდება.

ხეები თეთრ ჯვრებადაა გადაქცეული. გარემო ერთი დიდი სასაფლაოა, სადაც სუდარით შემოსილ დედებს თითოეულს ცალ-ცალკე მხარზე გვირგვინებაკიდებუ-

ლი პატარა შვილები მიჰყავთ და გოდებენ.

— გვირგვინები ზედმეტია — სინანულ-
ლით ამბობს ახალგაზრდა ქალი

— ზედმეტი? რატომ ზედმეტი? ...ახალ-
გაზრდა კაცი თავის გაქნევით არ ეთანხმე-
ბა.

მეორე ინტელიგენტი — საქართველო-
ში, სადაც ხე არ ყოფნით ჯვრის ასამართა-
ვად და ჯვრები ჯვარცმისთვის, ერთი
ტრიბუნალა დაგვრჩენია — სასაფლაო...
ერთი თავისუფალი შესაკრები ადგილი.
შემოდინ შავჩოხიანი ვაჟები, ასევე
შავბაფთიანი გვირგვინით, რომელსაც ზე-
მოდან წარწერა აქვს „ვგლოვობთ დაკარ-
გულ საქართველოს“. დებენ. განზე დგები-
ან.

პირველი ინტელიგენტი: — თავისუ-
ფლება დაგვარგეთ.

პირველი ქალი: — ეს მხოლოდ კომ-
მარის დასაწყისია.

მეორე ინტელიგენტი: — სადაა, სადაა,
სადაა, სიმართლე... (ეს კაცი ენაბლუა და
თან არ ესმის, რაზედაც მისი თვალების
გამომეტყველება მიუთითებს).

რუს ქალს ტყავის ლაბადა და ჩექმები
აცვია. ის (უცებ) ფეხზე მდგარ, ტანსაც-
მელით შემოსილ ჩონჩხად იქცევა. ასეთივე
მეტამორფოზას განიცდიან ყველანი, ვინც
იქ დგანან.

რუსი ქალი: — ...Эта правда уже
никого не пугает. ჩონჩხი შავოსნებისკენ
მიიხედავს.

შავოსანი ჩონჩხი — ჩვენ ეკლესია გვინ-
და.

რუსი ქალის ჩონჩხი — Вы с ума
спятили. Бога нет! Нет ангелов! Никому
не нужна церковь, поймите-же, бог умер!

ჩონჩხი ისევ ქალად იქცევა.

ასევე სხვებიც,.. შავოსანი ქალები
ქვითინებენ. გაეცლებიან და წავლენ.

ვაჟი (უცხო) — ილაპარაკეთ თუ შეი-
ძლება ქართულად .

რუსი ქალი: — Вы и так слишком много
говорите по грузински. Хватит,
довольно...

შავოსანი ქალი ეუბნება შავოსან ვაჟს:
— ნუთუ თქვენ ახლა შეგიძლიათ ილაპარ-
აკოთ გულდამშვიდებით.

ვაჟი ეუბნება რუს ქალს: — მე და-
გიგდებთ ყურს მთელი დღე, მთელი ღამე,

მთელი თვე, მთელი წელიწადი, ოლონდ
ილაპარაკეთ,.. (ტირის) — ოლონდ ქართუ-
ლად ილაპარაკეთ. ცრემლები ჩამოსდის.
ინტელიგენტი ამბობს, — სულ ვართ ორი
მილიონი.

მეორე ვაჟი: — სუ!

ხალხი ჩურჩულებს, (ყველა) —
თავისუფლება დაიხვრიტა.

ჩოხოსნები კუბოს თავს ახურავენ და
ქალ-ვაჟი დგანან განმარტოებით. ვაჟი
ტირის. რუსი ქალი შეცბუნებულია, აქეთ-
იქით იყურება, უნდა მიეშველოს კუბოს
თავის დაჭედებაში, მაგრამ მის ახლოს
არც ჩაქურჩია, არც ვინმე.

ირგვლივ,.. კუბოებს თავებს უჭედებენ.
ხმა ექოდ ისმის. ახალგაზრდა თეთრგ-
ვარდიელის ფარაჯაში გადაცმული
გალაკტიონი სირბილით გადაკვეთავს
რკინიგზის სადგურის ბაქანს. ირგვლივ
დახვრეტილი, დასისხლიანებული იუნკერ-
ების გვამებია მოფენილი. დაძრწის
ძაღლებიანი ბადრაგი. წითელარმიელები
ასუფთავებენ იქაურობას. დახვრეტილთა
გვამებს მატარებლის ღია ვაგონებში ყრი-
ან. „რუპორში“ ისმის ორჯონიკიძის ცნო-
ბილი სიტყვა. უცხო ძეგლთან შეკრებილი
ადამიანები მუშტებს იქნევენ და პურს
ითხოვენ. აფორიაქებული გალაკტიონი
სახალხო გვარდიელთა შტაბისკენ გარბის,
სადაც რედაქცია ეგულება. შტაბი წითე-
ლარმიელებითაა გაჭედილი. ტყავისქურ-
თუკიანი ორატორი რევოლუციური სი-
ტყვით გამოდის და აგრესიული მონოდე-
ბებით. შენობა დანგრეულია და გაქურდუ-
ლი. კიბეებით გალაკტიონი მიადგება
კარს, რომელზედაც აწერია „სახალხო
გვარდიელის“ რედაქცია. აქაც არეულო-
ბაა. იატაკზე დაყრილი ილიას, აკაკის და
ჟორდანიას სურათები ფეხითაა გადათე-
ლილი. გალაკტიონი ჯიბეებში იტენის
თავის ნაწერებს. ზოგს შარვლის, ხალათის
ჯიბეებში, ზოგსაც უბეში. ქაოსში ჩე-
მოდანს მიაგნებს, რომელიც რატომღაც
ხელუხლებელია. გახსნის და რაც, ჯიბეებ-
ში ჰქონდა, ყველაფერს შიგ ჩატენის. მერე
ცდილობს, შენობიდან გარეთ გამოვიდეს,
მაგრამ ქვემო სართულიდან, სადაც მიტ-
ინგი უკვე დამთავრებულია ზევით საშინე-
ლი ცეცხლის ენები ამოდის. გალაკტიონი
დაუფიქრებლად ჩემოდანს ხსნის და ყვე-

ლაფერს, რაც მასში იყო, ცეცხლზე მოაპირქევავენ. შავოსანი კაცები ცდილობენ, როგორმე დააჭედონ კუბოს თავი, რომელსაც ცეცხლი ედება. უცებ გასაგები ხდება, რომ ცეცხლი თვითონ კუბოში ტრიალებს და ადამიანები ცდილობენ, ცეცხლი დაასაფლავონ. საიდანღაც ზემოდან თუ ციდან ცეცხლმოკიდებული ხელნაწერები მოფრინავენ და კუბოში ცვივა, რომელიც ჩემოდნად გადაიქცევა. გალაკტიონის ჩემოდანს მესაფლავებები თოკებს ამოუდებენ და ცდილობენ საფლავში ჩაუშვან, მაგრამ ამ დროს მატარებელი იძვრის ადგილიდან და გალაკტიონს ელვძება, კუბეში ერთმანეთის გვერდით ორი გალაკტიონი ზის.

ხატს ისევ... ხატი ცვლის:

— (ხუნევი, — პირველი სოფელი სურამიდან) ...ინყება... ზემო იმერეთი. აქ ყველაფერი რატომღაც ზემოა (ხნიერი).

— ... (ტყეების ნაცვლად მთებზე შაბი-ამნისფერი ვაზებია შეფენილი); ვაზები თუ სადღეგრძელოები? (ახალგაზრდა).

— (ჩხერიმელა) მელაა მეჩხრად თუ... მელასავითაა ჩხერი თუ... მელასავით მიიპარება მეჩხრად... (ხანდაზმული ქირქილებს).

(მოლითი); ხუთი წუთი აკლია 4-ს. უცნაურია. როგორ შეიძლება 4-ს აკლდეს 5-ი? თუკი პლატონი ამბობს, რომ ერთი არ არის ერთი, რატომ არ შეიძლება 4-ს აკლდეს 5-ი და უფრო მეტიც (ხანდაზმული).

(წვიმა წამოვიდა) მზეა და წვიმს. მოწმეები მოლითის ცალ მხარეს — მთაზე ნანგრევი, მეორეზე — ეკლესია (გალაკტიონის ქირქილი) — ქარის ეკლესია. კაი სათაურია (ამოიღებს ბლოკნოტს და ლექსის წერას იწყებს).

— (ამერ-იმერი)... ბილიკი, რომელიც ამერიდან გადადის იმერში თუ პირიქით (გაკვირვებულები უყურებენ ერთმანეთს).

(ჭრიჭინობელა) უცნაური ინსტრუმენტი, რომელიც სმენას არ ღლის: წყლის ხმაური, ქარის ხმაური, წვიმის ხმაური.

ორთქმავალი გასვლის სიგნალს აძლევს.

— (ქალიშვილო, ვანში გზა,...).

— (ვანში კი არა ვანისკენ შეუსწორა) თვლებში გეტყობა. რომ ისედაც კარგად იცი, თუ მეარშიყები, მითხარი.

(მდინარე ქვებზე გადადის) ხიდი ჩატეხილია. წყალი ნაპირზე „პროვოლკით“ მიბმული ხიდის ერთ ნახევარს ატივტივებს, თითქოს მიაქვს და ვერ მიაქვს... (ისიც მიჰყვება და არ მიჰყვება).

გალაკტიონის დღიურიდან.

ჭყვიში. დედასთან.

„...არ ვიცი, რის გამო, შეიძლება იმიტომ, რომ თითქმის გათენებამდე ვკითხულობდი დიკენსის „დიდ იმედებს“. გამელვიძა გვიან. მზე თავისი ახალი და დიადი ელვარებით პირდაპირ ჩემს ფანჯრებზე მომდგარიყო. არასოდეს დამავინცდება მისი, იმდღევანდელი შუქი. რაღაც აუნერელმა სიხარულმა ამიტანა, და ისიც ასე უზიზეზოდ, ასე უცნაურად, ასე მოულოდნელად, ანგარიშმიუცემლად. მივვარდი ფანჯარას, საიდანაც მზის შუქი შემოდიოდა და დავუწყე კოცნა ფანჯრის მინებს. თითქოს გონებადაკარგული ვკოცნიდი დიდხანს მზის შუქს.

შვილო, შვილო, შვილო, — შემომესმა გაცეცხული დედის ხმა — გადაირიე, შვილო — მე შევკრთი... იმ წუთშივე დიდი სიხარული დიდი დარცხვენის გრძნობამ შეცვალა. ან რატომ ვერ გავიგე, რომ ოთახში დედა შემოსულიყო. ვიდექი დედის წინ, როგორც უდიდეს დანაშაულზე წასწრებულს. დიდხანს თავი მაღლა ვერ ავნიე. ცალი ხელით ნიკაპზე, მეორეთი კეფაზე დადებული ხელით ვიგრძენი, როგორ მიწევდა ზევით თავს. დედაჩემს სურდა, ჩემს თვლებში ჩაეხედნა.

— შემომხედე გატუნია შვილო, რა მოგივიდა? ალერსიანად მეუბნებოდა დედა, მაგრამ მე ხმას ვერ ვიღებდი... რა უნდა მეთქვა? განა შეიძლებოდა სიტყვებით გამომეხატა, რასაც განვიცდიდი და რისი გამოხატვაც სრულიად არ შემეძლო. ბოლოს ძლივსლა ვთქვი: — „დიდი იმედები“ დედა...

— დიდი იმედები.

— დედას იმ წუთშივე გული შეუწუხდა. მკერდზე მიიღო ხელი და ტახტზე მიესვენა... — მიზეზი კი მე ვარ. გავხედე ფანჯარას. მზის შუქი ახლა აღარ მეჩვენა ისე მიმზიდველად...“

ოთახში აბესალომმა (გალაკტიონის ძმა) შემოიხედა და შემფოთებულმა

იკითხა — რა ხდება?

გალაკტიონი ჩაცმულია, თაროსთან მიდის. მონახავს ნიგნს, რომელშიაც ფულს მალავს. რაცაა დარჩენილი იღებს, მაგრამ ეცოტავება. ნიგნს უკან დებს. სანერ მაგიდას გამოაღებს. უჯრის სიღრმიდან გამოაქვს სურათების ალბომი, სადაც გაჭირვების დღისთვის შენახული თხუთმეტი მანეთი აქვს. ხუთს შიგ ტოვებს. ამოიღებს ათს და ალბომს უჯრის სიღრმეში აბრუნებს. ამასობაში ჩვენ მოვასწარით დაგვენახა ალბომის ჯიბეებში ჩანსობილი ოლია ოკუჯავას და გალაკტიონის ფოტოები: მონო, ზოგი ჯგუფური. რაზეც გალაკტიონმა ყურადღება შეაჩერა.

უჯრაში არეულობაა: პატარ-პატარა ქალღმერთის ან გაზეთის, ან პაპიროსის კოლოფების ნაგლეჯებზე გაკეთებული ჩანანერები, წვერნატეხილი და წვერნათლილი ფანქრები, გადალეული საშლელეები, გამშრალი ავტოკალამი, პატეფონის გატეხილი ფირფიტა, ამომშრალი სამელნე, გადაქექილი პორტმანე, გადალეული კბილის ჯაგრისი, გაყვითლებული კალენდრის ამონახევეები, ხავერდის ნაჭერი. მწვანე და წითელი „გუბკის“ ნაჭრები. ჩანანერებით სავსე ბლოკნოტების შეკვრა, ჭიკარტები, „გლიფსები“. სხვადასხვა ზომის ლურსმნები. ჩაქუჩი. გაზი. ძველი ფოტოები და მათ შორის, რატომღაც, ამ მომენტში ყველაზე თვალში საცემად გამოჩენილი, ახლახან კედლიდან ჩამოხსნილი ოლია ოკუჯავას ფოტო პატარა ხის ჩარჩოში. გალაკტიონმა ოლიას სურათი უკან ამოიღო, უნდა უჯრა დაეხურა, მაგრამ გადაიფიქრა, ამ არეულობაში ხელად აგნებს ასევე პატარა, მაგრამ უფრო მოდილო ჩარჩოში ჩასმულ ნინას და გალაკტიონის ჯგუფურ საქორწინო ფოტოს (მთელი ტანით დგანან გულის კონტურში თაიგულით ხელში). გალაკტიონი მონახავს პატარა ლურსმანს, იღებს ჩაქუჩს. ოლიას სურათს სასთუმალთან თავის ძველ ადგილზე აბრუნებს, მისგან ოდნავ მოშორებით, სანოლის თავზე კედელზე ნინას და მის საქორწინო სურათს კიდებს. ჩაქუჩს უჯრაში დებს. რაც ქალღმერთის ფული აქვს, მაგიდაზე აწყობს, ხურდებს ჯიბეში ჩაიყრის და ნინას გასძახებს:

— ნინა, ქალო, ფული მაგიდაზე დავ-

ტოვე. იცოდე, ... კაკინას კამფეტები უყიდე და უთხარი ბაბუმ გაკოცა-თქო.

— ჰო კაი — გამოსძახებს ნინა სამზარეულოდან — რამდენია?

— რაც მქონდა, ჯიბეში, ა, აგერ!

გალაკტიონი ისევ შეავლებს თვალს ფოტოებს, (უცებ) გადაიფიქრებს, კედელზე, მათ ადგილებს შეუცვლის. ნინას სურათს სასთუმალთან გადაიტანს. სარკეში იყურება (გალაკტიონის ფიქრი) „აფოს რომ ეს ფესსაცმელები არ მოეტანა, რა მეშველებოდა. რედაქციაში ერთი ჩემოდანი ლექსები მაქვს მიტანილი, იქნებ ჰონორარი მომცენ...“

— ეს ბოზი დედაკაცი კიდევ აქ დამიკიდე? — აჯახებს უცებ ნინა, რომელიც, თურმე, შემოსულა.

— გითხარი უკვე, — აღელდება გალაკტიონი, — ეს ბოზი კი არა, ჩემი მეუღლეა და იგი ისევე დახვრიტეს, როგორც შენი ქმარი? ნინა არაფერს უპასუხებს, მარტომის სურათს ჩამოხსნის გალაკტიონთან, ხალათის ჯიბეში ჩაიდებს და მაგიდაზე დანყობილ ფულს გადაითვლის.

ეცოტავება. მაინც, ხუთმანეთიანს გალაკტიონს უბრუნებს. გალაკტიონი იღებს. ნინა ეხმარება პალტოს ჩაცმაში და ჯაგრისით კი არ წმინდავს, უფრო ფერთხავს..

— რა არის, ყველა კედელი გახეხე? სახალხო პოეტი გქვია! გალაკტიონი ხმამაღლა დგას (გალაკტიონის ფიქრი) „ეს საბრალო ქალიც როგორ გაამწარა ცხოვრებამ“ გაიფიქრებს და მათი გამოსახულება ნინას ოჯახის ანიოკების შემზარავი სურათით იცვლება:

ნინას ძმრის დაპატიმრება

კარგად მონყობილი მაღალჭერიანი ბინა. ნინა და ბავშვები კუთხეში დგანან. ბავშვები ტირიან, ნინას კალთაზე ეკვრიან. ოთახში ჩხრეკა მიმდინარეობს. შუახნის მამაკაცი სკამზე ჩამომჯდარა. ნინაც ტირის. ჩეკისტები ფანჯრებიდან ნიგნებს ყრიან. ავეჯს. ნახატებს. ყველაფერს და კაცი გაჰყავთ. ერეკებიან ნინას, ბავშვებსაც და ლუქავენ კარებს. შავ მანქანაში მამაკაცს სვამენ.

(სასონარკვეთილი) ნინა და ბავშვები ქუჩაში რჩებიან. (დედის წერილიდან)

„...ჩემი ფიქრის განუმორებელი საყვარელი შვილი გალაკტიონ...“

მმაჩის ბიურო. კედელზე აქეთ-იქეთ გაშლილ წითელ დროშებს შორის, მბზინავ ჩარჩოში ჩასმული ლენინის დიდი პორტრეტი ჰკიდია. ამ ფონზე, მძიმე ძველებური (სანერი) მაგიდის იქით რაიონის დეპუტატი და რწმუნებული დგანან... პიონერი თაიგულით. მაგიდის აქეთ ნინა და გალაკტიონი.

დეპუტატი საზეიმოდ მიმართავს გალაკტიონს:

— მოქალაქე, გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძე.

— დიახ, — ფაცაფუციტ ეუბნება გალაკტიონი.

დეპუტატი: — ხართ თუ არა თანახმა დღეიდან, 1953 წლის 5 თებერვლიდან იყოთ მეუღლე მოქალაქე ნინა სამსონის ასულ კვირიკაძისა?

გალაკტიონი: — დიახ, დიახ.

გალაკტიონს კიდევ უნდოდა რალაც ეთქვა, მაგრამ დეპუტატი არ აცლის; მიმართავს ნინას. როცა მისგანაც თანხმობას მიიღებს, რომ ის მეუღლე იყოს გალაკტიონ ტაბიძის, დეპუტატი აცხადებს: „საქართველოს სსრ კონსტიტუციის პირველი თავის ოცდამეთექვსმეტე მუხლის თანახმად ქ.თბილისის კალინინის რ-ნის მმაჩის ბიუროს ე-მ ზ.ტ 1261 ქტ 210525 გადანყვეტილებით ამიერიდან მოქალაქე გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძე და მოქალაქე ნინო სამსონის ასული კვირიკაძე ცხადდებიან კანონიერ მეუღლეებად.“

საქართველოს სსრ რესპუბლიკის ქ.თბილისის კალინინის რ-ნის აღმასრულებელი კომიტეტი, დეპუტატის მარგალიტა სიმონის ასულ სულაძის და ამავე რაიონის მმაჩის რწმუნებულის ნათელა შალვას ასული ამისულაშვილის სახით, მხურვალედ მოგესალმებათ ახალდაქორწინებულებს. გილოცავთ ამ საზეიმო ღირსსახსოვარ დღეს და გისურვებთ ხანგრძლივ, ბედნიერ და ჯანმრთელ ცხოვრებას ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

— ...დიახ, — თავს ვერ იკავებს გალაკტიონი, — დიდებულისა, დიდებული! მე პირველმა შემოვიტანე ქართულ პოეზიაში დიდი ლენინის სახე! უკრავს საქორწინო

ნო მარში... გალაკტიონი აღფრთოვანებით კითხულობს თავის ლექსს, „რევოლუციურ საქართველოს“, რომელსაც ერთი ამოსუნთქვით ამთავრებს... დეპუტატი და რწმუნებული ერთად ტაშს უკრავენ. გალაკტიონი მათ ხელებზე ემთხვევა, იქვე მდგარი პიონერი თაიგულს მიართმევს, ხოლო ფოტოგრაფი გალაკტიონს და ნინოს იმ ჯგუფურ-სადღესასწაულო სურათს უღებს, რომელიც ჩვენ (უკვე) ნინა ეპიზოდში ვნახეთ,.. (როდესაც გალაკტიონმა ის ოლია ოკუჯავას ფოტოს გვერდით სანოლის თავზე ჩამოკიდა)

გალაკტიონის წერილიდან:

„...ბავშვობიდანვე მწამდა ბედისწერა — „მოირა“, როგორც ეძახიან“...“

ოლიას ქამარზე ნაგანი უკიდია. დერეფანში გამოდის, კაბინეტის კარს კეტავს. თანამშრომლები ერთმანეთს ემშვიდობებიან, (მას) ჩაუვლის ფორმიანი ქალი.

— Олечка! Пока, милая.

ოლია გაპასუხებას ვერ მოასწრებს. მოხედავს.

ოლიას გვერდით მოჰყვება სხვა თანამშრომელი, რომელიც რატომღაც ნერვიულად, სულ აქეთ-იქით იყურება. ოლია ამას ყურადღებას არ აქცევს და მშვიდად აგრძელებს საუბარს.

ოლია: — ...Партия свернула с ленинского курса. Грузия стала частью Закавказской федерации. Это (уже) не независимое государство. (Это) явное ущемление наших суверенных прав.

ერთმანეთზე მიყოლებით მათ ორი გამოძიებული უსწრებს.

ერთი: — Ольга Степановна, вас подвести?

— Нет (კოპნიად პასუხობს ოლია) Спасибо, мне надо пройтись.

მეორე გამოძიებული: — До свидания.

ოლია განაგრძობს ლაპარაკს. გვერდით მიმყოფს მაინც და მაინც არ ეტყობა სურვილი მოუსმინოს.სიამოვნებით გაექცეოდა, მაგრამ რატომღაც ის ამას არ აკეთებს.

ოლია: — Для Грузии это искусственное объединение. Оно разрушает её как

экономической, так с политической точки зрения. სირბილით მათ წამოეწევა და გაუსწრებს მდივანი:

— Ольга Степановна (ის მოასწრებს თქმას) завтра вечером, в девять часов совещание...

— Ага!..

— Обязательно должны быть!.. (ოლია საათზე იხედება. გზას და საუბარს აგრძელებს).

ოლია: — Интеллигенцию надо строжайшим образом пропустить сквозь партийное сито...

ჩაიარეს კიბე.

საპატიო დაფაზე ჰოლში, ოლიას სურათია გამოკიდული. გასასვლელში ბადრაგი დგას. ჟურნალში ოლია ხელს აწერს, თან საუბარს აგრძელებს.

ოლია: — Партия ведёт совершенно неверную политику в отношении не только Закавказья. Эта политика доведёт СССР до экономического краха (გარდერობში პალტოს იცვამენ და სარკეს მოერგებიან) Россия голодает. О чём думает товарищ Сталин?

ქუჩა. ჩამოდგება ტაქსი. გამყოლი იპოვის მომენტს, მანქანაში ჯდება და გაქრება. თოვლ-ჭყაპია. ოლია სასურსათო მაღაზიაში შედის. (ოლიას ფიქრი) — Вот вам наглядный пример сталинского курса.

— Сыр есть?

— Кончился.

— А масло?

— Только кунжузное...

— Дайте мне бутылку вина и 2 кило картошки.

მაღაზიაში (ოლიას სამსახურიდან) კურიერი შემოდის. ჩქარობს.

— Ой, — მიმართავს ოლიას, — как хорошо что вы здесь! Ольга Степановна, из за экстремальных обстоятельств завтрашнее заседание перенесено на сегодня. Руководство велит, чтоб вы обязательно были.

— Иду.

ამბობს ოლია და კარტოფილის აწონვას აღარ უცდის.

— Слава богу что ребята за вами следят.

* * *

თოვლ-ჭყაპია. თავზე ჩაღის შლიაპით თხელ კოსტუმში გამონწყობილი გალაკტიონი ტრამვაიდან ჩამოდის. ქუჩას მიუყვება. ისმის პნევმატური ჩაქურჩის ხმა. გალაკტიონი კუთხეში შეუხვევს და ხედავს, მიმდინარეობს მინის სამუშაოები. რამდენიმე მანქანა დგას. კომპრესორი. ერთ სადარბაზოსთან გაჩერებულია პურის ფურგონი, რომელზედაც დიდი ასოებით აწერია „Х Л Е Б“. გალაკტიონი შემოუხვევს. (მოულოდნელად) სადარბაზოდან სამხედროები ქალს და კაცს გამოათრევენ (ინტელიგენტებს) და პურის მანქანაში შეყრიან. თვითონაც შიგ ჯდება: ვინ წინ, ზოგი უკან. გამოივლის ბავშვი, რომელსაც ხელში ნაყიდი პური უჭირავს და ილუკმება, თან ცნობისმოყვარეობით უკან-უკან იყურება და ვერ გაუგია, მანქანაში რა ხდება. სახლის ფანჯრებიდან მაღლა იჭყიტებიან მეზობლები, ზოგი შენუხებული სახით, ზოგი ნიშნისგებით. გალაკტიონი უკან იხევს, კუთხეს ამოეფარება და მიეყრდნობა. მძიმედ სუნთქავს. აფორიაქებულია. იქით გაჰყურებს (ქუჩა არის გადაქანებული და დეფორმირებული. — უკუღმა კადრი. „ქუჩა კივის“). გალაკტიონი ნიტროგლიცერინს ენის ქვეშ ამოიდებს. პნევმატური ჩაქურჩის ხმა გრძელდება. გალაკტიონს ერთი მუშა შეაჩერებს:

— პაპიროსი ხომ არ გაქვთ?

გალაკტიონი კოლოფს მიანოდებს. კოლოფში ერთნახევარი პაპიროსი დევს. უხერხულობაში ჩავარდნილი მუშა თან ორდენს უყურებს თან ვერ გადაუნყვებია, აიღოს თუ არა გალაკტიონის ეს ბოლო პაპიროსი.

— მონიე ძამიკო, — ეუბნება გალაკტიონი, თვითონ ნახევარ პაპიროსს მოუკიდებს და ცარიელ კოლოფს ჯიბეში ჩაიდებს.

ლუდის ჯიხური

დახლს იქით მდგარი მეღუდე მთელი ხმით ხარხარებს: მკვეთრად, შემადრწუნებლად. ხარხარის დროს ფართე პირის ნახევს ბოლომდე აღებს და ოცდაათორმეტ კბილს ერთბაშად აჩენს. წყლის ჭავლზე

გასარეცხ ბოკალს, როგორც ხელგანაფული მეთევზე ბადეს, იქნევს, მინევ-მონევს, წყალს მისახამს და გადადგამს.

ამ ტიპის მიერ ნათქვამი წინადადება (რადგან ის სიტყვებს ერთმანეთთან დაუკავშირებლად ისვრის) რომ გაიგოს მსმენელმა, სიტყვები თვითონ უნდა დაალაგოს.

დახლს აქეთ მოლუშული სევდიანი მოქალაქე დგას. ეტყობა ნასვამია.

მელუდე: — ამილახვარიო და მერე?..

მოქ: — ჰო-ო.

მელუდე: — ნიკაპში ცხვირი (აჩვენებს: — ა?!) ამილახვარდოვი, ან ქურთი.. .ლობიო რომ შემზადებული — ...ფლავიო. შენო. მეო-მეთქი შუბლაძე, ყარსის ომში და ბაბუაჩემი,.. კედელზე ეკიდა ნახელავი ხმალი მძიმე... რომ ამილახვერდოვი,.. აი, ცხვირი.

მეჯიხურე (თვალს მოკრავს: აქეთ გალაკტიონი რომ მოდის და ...) ხარხარს უფრო უმატებს და უწყვეტს ხდის.

მელუდე სასწრაფოდ კათხას ავსებს. კარგად ააქაფებს. გალაკტიონი ლუდის კათხას გამოსტაცებს ხელიდან და დაენაფება. წვეთები წვერებზე წურწურით ჩამოსდის. დაცლის.

— კიდევ დამისხი, ძამიკო.

მელუდე კვლავ სიცილს იწყებს და ლუდს ხელმეორედ შეუვსებს. გალაკტიონი, წინანდებურად, სვამს.

გალაკტიონის მიმართ მონინებით მდგარი მონყენილი მოქალაქე ხან გალაკტიონს უყურებს, ხან მოხარხარე მელუდეს.

— მაღლობა, ბიძიკოებო, მაღლობა... — ეტყვის გალაკტიონი იქ მყოფთ, ჩალის ქუდს დაუქნევს და წავა.

— შენ რომ იცოდე ეს კაცი გენიოსია, შენი დასაცინი რა სჭირს, — საყვედურით მიუბრუნდება მონყენილი მოქალაქე ხარხარად ქცეულ მელუდეს. მელუდე კი პასუხობს: — ეგ გალაკტიონ ტაბიძეა, ვიცი რომ გენიოსია, მაგრამ მეცინება. გენიოს კაცს ფული არასოდეს არა აქვს. ორი წელია უფასოდ ვასმევ ლუდს. რა გაკვირვებული მიყურებ?..

მონყენილი მოქალაქე: — ვა, რა დანყობილად მითხარი, კაცო?

გალაკტიონი შედის სადარბაზოში.

ფრთხილად მიმოიხედავს. რატომღაც, კიბეზე ავიდეს,.. ყოყმანობს. სინჯავს საფოსტო ყუთს. ყუთში ბინის, შუქის, წყლის გადასახადების ქვითრებია. თუ სასწრაფოდ არ იქნება გადახდილი, შუქს გათიშავენ.

გალაკტიონი კიბეზე ასვლას დააპირებს, მაგრამ გადაიფიქრებს. კარებში მეზობლის ქალი ანეტა თავს გამოყოფს და ამბობს:

— გალაკტიონ დღეს იყვენ (კითხულობ ხომ?) თუ არ გადაიხდი, გადაგიჭრიან ამას, ელექტრონათურაზე უთითებს. გალაკტიონი — უყურე მაგ ციგნებს შენ, **мерзавцы** („გალაკტიონის ფიქრი. საჭიროა ჰონორარი,.. თანაც სასწრაფოდ...“ მგონი „**Зария Востока**“-ს მართებს ჩემი. გალაკტიონი გამობრუნდება და ქუჩაში გამოდის. შედის „**Зария Востока**“-ს რედაქციაში. აქაც იწყებს კიბეზე ასვლას, მაგრამ უკან გამობრუნდება. ქუჩაში გამოდის, შედის „ლიტერატურული საქართველო“-ს რედაქციაში. გადაიფიქრებს გამოვა. შედის „დროშის“ რედაქციაში. აქაც უკან გამოვა და ქუჩას ჩაუყვება. „კომუნისტი“-ს რედაქციაში უსახური ნიღაბი ეუბნება — „ერთი კვირის მერე გამეიარე“. ან „ორ კვირაში“ ან „...ლიტ.ფონდშიაც“ ასევე შედის და გამოდის, როგორც „ხელოვნების“ რედაქციაში. გარეთ, თოვლქყაპია,.. ბარაქიანად თოვს.

ვესტიბიულში გარდა გალაკტიონისა, ყველა სეზონის შესაბამისადაა ჩაცმული. ამიტომ მისი ჩალის შლიაპა თვალში საცემია. გალაკტიონი ყველას ხელს ართმევს: — სალამი, ძამიკოებო, სალამი. პორტფელიდან ამოიღებს რვეულს და ერთ ჩამვლელ ახალგაზრდას გადასცემს.

— მშვენიერია, ძამიკო, მშვენიერი, დაგიდე რეზოლუცია (ჩაიქირქილებს) დასაბეჭდად და ჰონორარს მიიღებ. გალაკტიონი პასუხისმგებელი მდივნის კაბინეტში შედის. მაგიდებთან უსახური ნიღბები სხედან. ერთი საბეჭდ მანქანას უკაკუნებს. ფანჯარასთან ვახტანგი ზის, — რედაქტორი.

გალაკტიონი ქალებს ჩამოუვლის და თვითოეულს ხელზე ეამბორება.

ფატი ნიშნიანიძე: — როგორ გიკითხოთ, ბატონო გალაკტიონ?

გალაკტიონი ნელზე ხელს შემოიდებს — რალაც ვერ ვარ კარგად, ჩემო ფატი. ბუნებაც ვერაა ხასიათზე (თითით ფანჯარაზე უჩვენებს). როდის მზეა და როდის თოვს... ეერია ანგარიში. ზოგიერთ ჩვენს „აფხანიკს“ მაგონებს, ისე ... (ხითხითებს გალაკტიონი). ფატი კისკისებს — მართალია, ამ დილით ცხელოდა. ფატი მაგიდას შემოუვლის და თავის სკამს გალაკტიონს სთავაზობს.

— ჩამოჯექით, ბატონო გალაკტიონ, დაისვენეთ.

— ო, დიდებულია, დიდებული. კარგად თქვი, ფატი, შენ.

თვალეები ეშმაკურად უციმციმებს. ჯიბიდან გაზეთში გახვეულ ნივთს იღებს.

— „პადარკა“ მაქვს შენთვის, ძამიკო! — მიუბრუნდება მდივნის გვერდით მჯდომ ვახტანგს. ვახტანგი წამოდგება

— ჩამოჯექი, შენც ჩამოჯექი (ქირქილებს გალაკტიონი). გალაკტიონი გაზეთს ხსნის, ცხვირსახოცს ამოიღებს და ხაზგასმული ჟესტით მას წინ დაუდებს.

ვახტანგი: — რატომ შენუხდით, დიდი მადლობა. — ჯიბიდან ხურდას იღებს და ცხვირსახოცზე დებს.

გალაკტიონი: — სულაც არ შევწუხებულვარ, მაგრამ ფლური უნდა მაგას, მაგი არ ეყოფა, ძამიკო, ფლური... თუ არა, ვიჩხუბებთ მე და შენ. ჰონორარი მერგება თქვენგან და ის მომე, აჯობებს. ვახტანგი დაუყოვნებლივ რალაცას წერს და გალაკტიონს აწვდის. გალაკტიონი პორტფელს მუხლებზე იდებს, ხსნის, იქიდან იღებს ნაწერების დასტას — გადახედე ერთი ამასაც ფატი და ნამეტანი ნუ შეამოკლებთ. აბა შენ იცი, შენი იმედი მაქვს, ჩემზე იქნება შენი პატივისცემა და წვედი ახლა ბიძიკოებო, აბა ჰე. — ნელზე ხელს მოიკიდებს, — რაშია საქმე, ჯერ არ დავბერებულვარ და წელი ქე მტკივა.

ვილაც კარებში თავს შემოყოფს და აცხადებს — ჰო-ნო-რა-რე-ბი-ა.

გალაკტიონი: — ე, კაი ფეხი მაქ! (ხითხითებს).

სალარო დაკეტილია. გალაკტიონი რიგთან მიდის, პაპიროსს ამოიღებს, იქვე მდგომ ახალგაზრდას შესთავაზებს მონევას, ...და კოლოფს გაუწოდებს.

— მონიე, ძამიკო, ერთი.

ახალგაზრდა: — არ ვენევი, ბატონო გალაკტიონ.

— ჩემი ხათრიზა მონიე, ჩემი ხათრიზა! — გალაკტიონი კვლავ აწვდის კოლოფს. ახალგაზრდა აიღებს პაპიროსს და გულის ჯიბეში ჩაიდებს.

— მე ამას სამახსოვროდ შევინახავ (გალაკტიონი კმაყოფილია).

— „მე კი ვისურვებ გზას უნაპიროს, ცოტა სიყვარულს და ღერ პაპიროსს“, — ვილაც, გალაკტიონის გასაგონად, რიგიდან წარმოთქვამს. გალაკტიონი გახარებულია და ადგილს ველარ პოულობს.

რიგში ატყდება აჟიოტაჟი: — მოდის, მოდის!.. მოლარე ქალი პინა ჩამოივლის. ფულის ტომარა უჭირავს ხელში. დაინახავს თუ არა გალაკტიონს, მის გასაგონად ამბობს: — გაიგეთ, კაცო, ახალი ამბავი? გოგლას სახალხო პოეტობა ქე მიუღია.

— რითი, პინუკა, რითი? — ხითხითებს გალაკტიონი. გალაკტიონს ყველა რიგს უთმობს.

გალაკტიონი: — რათომ წუხდებით, ბიძიკოებო, რატომ?

იღება სალაროს სარკმელი. გალაკტიონი შიგნით შეიხედავს.

გალაკტიონი: — ო: პინა, პინა, ჩემი ბედის სასწორის პინა... აბა, შენ იცი, ჩემს მხარეს როგორ გადასწონი.

პინა: — ეჰ, რა უჭირდა მსოფლიოს, გალაკტიონ, შენს გაჩენამდე ქე იყო წყნარად... გამოჩნდი შენ და აურთიე ყველაფერი. გალაკტიონი ხითხითებს: — ა, სამაგიეროდ ეს შენ...

პინა: — რაა მაგ?

გალაკტიონი განცხადებას აწვდის.

გალაკტიონი: — ...უფრო გაგიადვილდება ასე, პინა სათვალეს ისწორებს და ცდილობს ხმამაღლა ამოიკითხოს.

„ამ-ხა-ნა-გო სა-ლა-რო, მომეცით ჩემი ფული“

საქ.სსრ სახალხო პოეტი, ლენინის, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, საქ.სსრ მეცნიერებათა აკადემიის... (პინა ერთდროულად, თან კითხულობს თან გალაკტიონის გვარზე უწყისებს ფურცლავს).

— შენზე არაფერი არაა გალაკტიონ.

— შეუძლებელია, მაგ ხომ არ გეშლება?..

(პინა ისევ ამონმებს)

— შენი გვარიც არაა მოხსენებული, — ამბობს პინა და უწყისს უჩვენებს: — შემდეგი, — მიუბრუნდება იგი სხვებს.

გალაკტიონი სარკმლიდან ისე გაქრება, პინა ვერც შეამჩნევს, როდის წავიდა.

— წევიდა? — იკითხა პინამ.

* * *

„...ჰეი უი!

აბა მამი როდის იქნება“

(გალაკტიონის უბის წიგნაკიდან)

ზამთრის პალტოში გამონყოფილი ხანდაზმული გალაკტიონი თავზე ძიძიმე ბოხობით და ყელზე ხატებიანი ჰალსტუხით,.. ორ დიდ საქალაქურ იღებს,.. დარჩენილი ორის ალებას ვერ ახერხებს. ნინას ეძახის:

— ნინა,.. ნინა ქალო. არ გესმის, კაცო ხმას რატომ არ მცემ?

ნინა: — ტუალეტიდან ხომ ვერ გამოგეძახებოდი?.. გინდა ისევ ვალაპარაკო ის ოხრები — შენი მეზობლები!

— შენიცაა შენიც (ხითხითებს გალაკტიონი.)

— მე არ ვზივარ შენსავით ორ-ორ საათს ტუალეტში (საყვედურობს ნინა). რა გინდა, რისთვის მეძახოდი?

გალაკტიონი: — მოდი კიდევ,.. ეს ორი საქალაქურ ზემოდან დამიდე.

ნინა: — სა მიგაქ აი, ყრი? (გალაკტიონმა ვერ გაიგონა თუ არ გაიგონა. პასუხს არ სცემს).

— ეგ არა. აი, ესენი, — თვალებით მიანიშნებს. ნინა შეკვრებს (საქალაქურებს) ზემოდან აწყობს. გალაკტიონი შენიშნავს: ნინა ხალათის ჯიბიდან ამოღებულ ცხვირსახოცს, შემთხვევით მათ სურათს ამოაყოლებს.

გალაკტიონი: — ეგ სურათი იქ დაკიდე, საიდანაც ჩამოიღე. ნინამ ვითომ ვერ გაიგო.

— გაიგე რაც გითხარი ნინა, ქალო?

— ეგ ჩემი საქმეა, ჩემს სურათს მე რას ვუზამ,.. მინდა — გადავაგდე... გამოთვერი ახლა დღესაც და განმინდე პალტოთი ქუჩები. სირცხვილია, აღარ ხარ ახალგაზრდა.

გალაკტიონი: — ო-ო, ნინა ქალო, ნინა ქალო, შენ დავითის დროში უნდა დაბადებულიყავი.

— ვინაა დავითი (გულუბრყვილოდ კითხულობს ნინა)?

გალაკტიონი: — „იალბუზის მწვერვალზე დათესილი კარტოფილი ამოვა!“

ნინა ვერაფერს მიხვდა. გალაკტიონს ნინა შეეცოდება და უნდა მხარზე თავი დაადოს, მაგრამ ნინა გაექცევა, თითებით მსუბუქად უბიძგებს და ეტყვის: — გეეტიე ახლა, გეეტიე და რაც შეგხვდეს, დალიე ყველაფერი.

გალაკტიონი: — ფლურებია ეს ფლურებია ნინა ქალო. ერთ პალტოს შენც გიყიდი ამბობს გალაკტიონი, თან კალოშებს იცვამს. კარებში გასვლისას, ნინა საქორწინო ფოტოსურათს პალტოს ჯიბეში ჩაუცურებს და ეტყვის:

ნინა: — ...აგი სურათი ქუჩაში სადმე სანაგვე შეგხვდება და ჩააგდე შიგ.

გალაკტიონი (ნინას ნათქვამი ვერ გაიგონა) გაუპასუხებლად გადის.

...

ბარდნის. გალაკტიონი ხალხმრავალ ქუჩას გადაკვეთს და შედის „მნათობი“-ს რედაქციაში. ხელში უჭირავს ოთხი დიდი საქალაქურ. ზედა ორიდან ერთს „პაციფიზმი“ აწერია, მეორეს — „რევოლუციური საქართველო“.

კიბეს აივლის. დერეფანს მიუყვება, მთავარი რედაქტორის კაბინეტს მიადგება. რუსი მდივანი ზის.

გალაკტიონი: — ადგილზეა ჩვენი მხსნელი? მდივანი, რომელიც რაღაცას ბეჭდავს, რუსული კილოკავით პასუხობს:

— მას აქლა სოვეშჩანიე აკვს!

გალაკტიონი თავისი საქალაქურებით დგას და არ იცის რა ქნას. ვილაცხები რედაქტორის კაბინეტში შედიან და გამოდიან. ზოგი ესალმება, ზოგი არა. სამდივნოში კიდევ რამდენიმე კაცი შემოდის, რომლებიც განლაგდებიან ვინ სად. გალაკტიონს ხელები დაეღლება და საქალაქურები ერთმანეთზე გაცურდება. ფურცლები იატაკზე დაცვივა. გალაკტიონი შეეცდება აკრიფოს. ახლო მყოფებიც ეხმარებიან. თანდათანობით საქმეში სხვებიც ერთვებიან. ერთი ხანდაზმული ადამიანი იწყებს ხმამაღლა კითხვას, მაგრამ შემთხვევით ერთს დაიწყებს და სხვაზე გადადის.

გალაკტიონი აჩერებს: — ეს მაგის

გაგრძელება არაა, ა ესაა და კითხულობს აღფრთოვანებით. — დიახ, დიდებულია თამიკო დიდებულია. ეგ ამის ქვეშ შემოდე — ანიშნებს ფურცელზე, რომელიც ხანდაზმულს უჭირავს.

რედაქტორი თავისუფლდება და გალაკტიონი შედის. საქალაქელებს მის წინ მაგიდაზე აწყობს: — ა, ძამიკო, შენ.

— ეს „რევოლუციური საქართველოა“, .. მეორესაც წინ დაუდებს. ეს „პაციფიზმი“. — ცხვირსახოცით ოფლს შეიმშრობს.

გალაკტიონი: — აუცილებლად უნდა დაიბეჭდოს უახლოეს მომავალში.

რედაქტორი: — წავიკითხავთ, განვიხილავთ და დავბეჭდავთ ნაწილ-ნაწილ. საქალაქედს ხელს დაადებს. — ახლა, ჩემო გალაკტიონ, ეს მასალა ნაუღე სწავლულ მდივანს.

რედაქტორი მდივანს ეძახის. კაბინეტში ბევრი ხალხი შემოდის, ყველაფერი აირევა და გალაკტიონი თავისი საქალაქეებით დერეფანში აღმოჩნდება.

გალაკტიონი: — კაი, აბა მე წვევდი მარა... გამარჯობათ... მდივანი სადაა ხომ არ იცით?

დღეს არ იქნება, მივლინებაშია. ოთახში დიდი მსუქანი ქალი შემოდის.

ქალი: — გამარჯობა გალაკტიონ. ეს რამდენი დაგინერია, მოდი მოგეხმარები. ქვემოთ მოდიხარ ხომ? ჩაგატანინებ, მომეცი აგერ. გამოართმევს ერთს თავი ძლივს მოაქვს. კიბეებთან რომ მივლენ, ცუდად ხდება.

ქალი: — ვაიმე, ცუდად ვარ. ჰაერი არ მყოფნის... მე დავბერდი და შენ ქე ხარ, რავარც მახსოვხარ.

გალაკტიონი ხელს გაუნვდის: — მომეცი ეგ საქალაქე და დაჯექი (ქალი დაუბრუნებს და მოაჯირს დაეყრდნობა).

გალაკტიონი: — ჩამოჯექი აგერ კიბეებზე, ცოტა ხანი.

ქალი: — ვერ ვჯდები დაბალზე, იშიაზი მაქვს.

გალაკტიონი კიბეზე დაუნყოფს საქალაქედებს.

— ა, დაჯექი.

ქალი დააჯდება „რევოლუციური საქართველოს“ და „პაციფიზმს“.

ქალი: — შენ აგაშენა ღმერთმა, ამდენი

რომ არ დაგენერა, ვერ დავჯდებოდი, ან რა დამაჯენდა ცარიელ კიბეზე.

კიბეზე ამომსვლელები კითხულობენ.

— რა დაემართა? ქალს წამოაყენებენ და ხელკავით მიჰყავთ. ზემოდან „მედსესტრა“ გამოიშვს.

უცებ ქალი მიუბრუნდება გალაკტიონს — გალაკტიონ, ეს სურათი საიდან აღმოჩნდა ჩემს ხელში?

ქალს ხელში წინას და გალაკტიონის საქორწინო სურათი უჭირავს. გალაკტიონი განცვიფრებულია:

— საიდან?.. გამოცანაა, პირდაპირ.

„ქარიშხალში ბატარაული ცხოვრების შუა დღე“

(გალაკტიონის დღიურიდან)

„...მთელი ღამე ველი გალკს. არ ჩანს. უზომო სევდა მიჰყრობს. საშინლად ვვლავ. დავეხეტები ქუჩებში და ვეძებ... შემოვდივარ სახლში იმ იმედით, რომ დამხვდება. არ არის. ვზივარ და ვაკეთებ მისი ლექსების რუსულ ბნკარედებს...“

უკვე გვიანია:

— ძვირფასო გალკ! იქნებ შენ დაჭრილი ხარ ან იქნებ ბოროტმოქმედებმა გაგიტაცეს გაძარცვის მიზნით და განამებენ. გარედან ხმაურია. ოლია ფანჯარას მიეჭრება და ხედავს, ნასვამ გალაკტიონს მოძალადეები მისევიან და პალტოს ხდიან. (სახალხო პოეტს ძარცვავენ!... ყვირის ხანდაზმული გალაკტიონი)

— გალკ, მოვდივარ! — არაადამიანური ხმით გასძახებს ოლია და ფანჯარას არ კეტავს, საოცარი სისწრაფით ქუჩაში გაჩნდება.

— Галк крепись, я здесь — დაჰკივლებს ოლია და პირველ ორ შემხვედრ ნასვამ მამაკაცს, ქალისთვის შეუფერებელ ისეთ მომაკვდინებელ დარტყმას მიაყენებს, ისინი კისრის ტეხით აქეთ-იქით გადაცივდებიან, ერთი ბორდიურზე გაიშხლართება, ხოლო მეორე იქვე მდგომ ხეს შეასკდება და ჩაიკეცება.

ის, ვისაც გალაკტიონისთვის პალტო გაუხდია და ხელში უჭირავს, ამის დანახვაზე, ადგილიდან დაგაზავს.

— ნახე ტო, ნაშა რაებს ჩალიჩობს?! — თქვეს დარჩენილებიდან მესამე-მეოთხე და ოლიაზე მისვლა დააპირეს, მაგრამ აქ

უკვე ახალგაზრდა გალაკტიონმა, მათ შორის ყველაზე უფრო წარმოსადგეს, ზურგიდან თავისი ძლიერი მკლავები ისე მომაკვდინებლად შემოასალტა, ის ადგილიდან ბიჯს ვეღარ დგამს.

მეორეს და მასთან მყოფ კიდევ ერთს ოლია გასაკვირველი სისწრაფით ისე დაერია, ისეთი შესაშური მოქნილობით დასცხო, ორიენტაციადაკარგულები ერთმანეთს აწყდებიან. ამასობაში, თავიდანვე დაზარალებული პირველი ორი გონს მოეგო. ერთ-ერთი ასფალტზე დაგდებულ ტროსტს დასწვდება და ოლიასაკენ მიიწვეს.

ოლია პისტოლეტს დაადრობს და ჰაერში ისვრის. სროლაზე, რასაც არავინ ელოდა, მოძალადეები დაფრთხებიან და მოკურცხლავენ. ქუჩა მაშინვე უკაცრიელი და ყრუ ხდება.

მხოლოდ მესამე სართულზე, ღია ფანჯარაში, ღამის პერანგის ამარა მდგომი გიჟი ქალი აღტაცებული უკრავს ტაშს. (ხანდაზმული გალაკტიონი მას ჰაეროვან კოცნას უგზავნის). „სალამი ჩვენს ბრწყინვალე მომავალს. მე მასში ეჭვი ოდნავადაც არ მეპარება, ვაჟა ძვირფასო ამხანაგებო“.

შონიების ფანჯარაშიც (თითქოს) შეირხა ფარდა (თუმცა აღარ განმეორდა).

ეს იყო და ეს, თითქოს არც რა მომხდარიყო.

ოლია როცა დარწმუნდება, რომ გალაკტიონს არაფერი დაშავებია, ყელზე მოეხვევა და სახეს დაუკოცნის.

მეზობელი ქალი სასწრაფოდ უჩინარდება.

— შენ რომ ტიცციანს გალახვას შეპირდი, მთელი ზაფხული მდევდა,... „ჩემთან რა უნდაო, მისი შიშით ლექსებს ვეღარ ვწერო...“ ხითხითებს გალაკტიონი.

— მე ვუთხარი: — ოლიამ, ერთხელ თორმეტი კაცი გალახა, ძამიკო, მაგასთან ლექსის წერა კი არა „ცისფერი ყანნი“-ც ვეღარ გიშველის-მეთქი,.. ყანნი და ისიც ცისფერი?.. — პალტო წაუღიათ?... — აღმოაჩენს გალაკტიონი და ტანზე ხელს ისვამს... აბესალომის პალტო.

— მადლობა უთხარი, რომ ის პალტო წაიღეს... შენთვის მე ისეთი პალტო მაქვს მინიშნებული, — ანუგეშებს ოლია.

ახალგაზრდა გალაკტიონი და ოლია სადარბაზოში შედიან. სადარბაზოს აივნიდან დომენტი და ვასასი არიან გადმოდგარნი.

— კოჩახ ქალო, კოჩახ... — ამბობს დომენტი ხმის დანევით, — ღირსი იყვენ, აბა? ეიშვეს მთლად თავი... ამ დროს დომენტი და ვასასი უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებიან, ვიდრე ისინი უნინ გვინახავს — ჩაი გავაცხელე, ხომ არ შემოგიტანოთ? — ამბობს ვასასი.

— შონიების კარები ისე უცებ იღება და იკეტება, შეუძლებელია გარჩევა ვინ გამოიხედა.

ოლია მის მხარზე დაყრდნობილ გალაკტიონს სკამზე სვამს. ფანჯარას კეტავს. ტაშით წყალს ამზადებს ფეხები დაუთბილოს. უცებ, გალაკტიონი მას ნახევრად პათეტიკური ტონით მიმართავს — ოლკინ, მე რომ მოვკვდე, მაგალითად, მოვკდი და აღარაა ქვეყანაზე გალონი,.. მოკვდა სანყალი გალონი და დაასაფლავეს. რას იზამ მაშინ?.. მოხდა ისე რომ მე მოვკვდი, სადღაც შორს, ცივ ქვეყანაში ან მოვკვდი საზიზღარი და სამარცხვინო სიკვდილით. მოკვდა გალა ძაღლივით, რას იზამ, ჩმოლკინ? იტირებ თუ არა ჩემო ერთადერთო მეგობარო და დიდო ადამიანო, ჩემო პატარა ჩმოლკინ?

ოლია ატირდა. გალაკტიონი ოლიას ეალერსება, თავზე ხელს გადაუსვამს.

— არა, ნუ გეყვარები, მაგრამ ნურასოდეს ცუდს ნუ იფიქრებ ჩემზე.

— პანა დადულება უნდა, — ამბობს კარებში შემოსული ვასასი, რომელიც უცებ ხედავს, რომ ოლია ტირის: — უიმე, ახლა რაღა გატირებს,.. ღმერთმა გადაგარჩინათ... პატარა დადულება უნდა ამას — ამბობს ვასასი — კერასინკაში ნაფთი არ ეყო, ადულებამდე ჩაქრა — მას ხელში ჩაიდანო უჭირავს.

— პალტო გაუხდიათ — ისე შესჩივლებს გალაკტიონი ვასასის, ოლიას უცებ სიცილი აუვარდება.

— პალტო კი არა, ცოცხალი რომ ხარ, ამას დაუმაძღვე, რაც ამან იგინი თეთქვა, მარა (ხმას დაუნწევს ვასასი) სროლაზე აგინმა (შონიებისკენ იშვერს ხელს) ერთი ამბავი ატეხეს — კანონი ამის უფლებას არკაცს არ აძლევსო.

ქუჩაში „ჩორნი ვორონკა“ ჩერდება. ვასასი დაინახავს თუ არა, სასწრაფოდ გადაის.

„ჩორნი ვორონკიდან“ გადმოსული მილიციელები აქეთ-იქით იყურებიან. ოლია ფანჯრიდან თვითონ უხმობს მათ.

მილიციელები სახლში შემოდიან.

— **Сержант милиции Микава** — შუბლთან ხელი მიაქვს მათ შორის უფროსს.

— **Ваши документы?**

ოლია დოკუმენტს აჩვენებს: — **Попытка нападения.** სერჟანტი ხელს შუბლთან მიიტანს. აღარ აყოვნებენ. გადიან. მილიციის მანქანა მიდის.

— ახლა მეც შემეშინდა შენი... ისეთი გულწრფელი შემფოთებით იტყვის ხანდაზმული გალაკტიონი, ოლიას ისტერიული სიცილი აუვარდება.

ოლია ვასასის მოტანილ ჩაიდანს ტაშტში მოაპირქვავენს, გალაკტიონს ფეხებს დაუთბობს, ტანზე გახდაში დაეხმარება და სანოლში დაანვენს (თან საათზე იყურება).

— **Галк я уже опаздываю. сегодня дежурю. Продукты на кухне... если, кто всё-таки придёт срочно звони.** (ტელეფონის ნომერს უნერს) აგერ წერილთან ვდებ.

ოლია გალაკტიონს სახეს დაუკოცნის და გარბის.

რაც ამის შემდეგ კადრში ხდება, მისი ჩვენება ოლიას წერილის კითხვის ფონზე მიმდინარეობს.

ოლიას ხმა: — **Мой милый, мой единственный окрылённый лучезарной поэзий Галл!** (ა.შ.).

ოლია ლამფას აქრობს და მიდის. (მისი ხმა გრძელდება) ჭერში ელექტრო შუქი აინთება თუ არა, გალაკტიონი მაშინვე წამოხტება და კარადას ბუტბუტით მიაშურებს: — თავისუფალი ლექსი, შემოკლებული რითმები, ომონიმური რითმები აქვე იწყებს რითმას არსოდეს, დაარაზოდეს, რაღაცას ინიშნავს უბის წიგნაკში. დაფასოდეს, არდასნოდეს, დანაზოდეს, ... არაფერი, ანაფერი, შაფერი, დანაზერი, ხი ხი ხი უხარია, ინიშნავს, ისევ ჩიფჩიფებს სერპანტინი, ასონანსები, იონური დიამეტრი, ტრიოლეტი, ანაფორი, ტერცინა, სონეტი (წიგნაკიდან რვეულში წერს რვეულიდან ისევ წიგნაკში) ამოებით, მიდამოებით, გამოებით, სალამოსი. თარგა-

მოსი, სალამოცა, გამაოცა, როცა (უხარია, პაპიროსი უქრება ისევ უკიდებს) კანცონა, სექსტინა, სპარსული (უნდოდა რაღაც ეთქვა, ქრება სინათლე) — ჰმ — ნავთიც გამოლეულა. გადის სამზარეულოში, ხედავს ღვინის ბოთლს „საერო“. გონია ღვინოა, დაასხამს ჭიქაში, ნავთი აღმოჩნდება, შეიკურთხებს თან ბუტბუტებს:

ხვალ, ხვალ, ხვალ,

ვიდრე ხვალ?

ხა, ხა, ხა,

რა ხა ხა -

ხო, ხო, ხო!

— ხე ხე ხე ხე, ხი ხი ხი დაინახავს ღვინიან ბოთლს, საიდანაც დაისხამს და დაცლის. (ამ დროს ოლიას ხმა გრძელდება და მაგიდაზე გამოკვეთილად ვხედავთ მის მიერ დაწერილ წერილს. ხდება ოლიას მონაყოლის ფრაგმენტული ჩვენება.) ოლიას ხმა: „**Помнишь наше венчание? Мы стояли в церкви**“ ჩანან ახალგაზრდა გალაკტიონი და ოლია ჯვრისწერის დროს. („**На мне было голубое платье... Вокруг антураж русской церкви... Ты что-то бормотал тогда, я первый раз услышала слова „ატმის რტოო, დაღალულო რტოო“ ...А сейчас, передо мной гениальное стихотворение... ოლიას ხმა ამ ლექსს ქართულად დეკლამირებს: „ატმის რტოო, დაღალულო რტოო“ და ა.შ.**

(ახალგაზრდა გალაკტიონის გამოსახულებას ხანდაზმული ცვლის) გალაკტიონი ოლიას წერილს ვიწრო მილივით დაახვევს, ქინძისთავით დაამაგრებს და ახრჩოლებულ ლამპის შუშაზე ჩამოაცვამს.

ალი წყნარდება. გალაკტიონი განაბული უსმენს ოლიას მიერ მისი ლექსის კითხვას.

— საჭიროა მეტი მუშაობა! — მთელი ხმით წამოიყვირებს. ფანჯარასთან მივა ფართოდ გამოალებს და ხმას უფრო უწევს — „საჭიროა მეტი მუშაობა!“ მარტოსული მოქალაქე, რომელიც სადღაც მიიჩქაროდა, გალაკტიონის ყვირილზე მოიხედავს და ხეს შეასკდება.

— მაი აფერია, — უყვირის გალაკტიონი. მუშტს მალლა შემართავს — საჭიროა მეტი მუშაობა.

გამვლელი ხეზე დაჯახებისას დაშავებულ თავზე ხელს იდებს და დუდლუნით

მიდის. გალაკტიონი ფანჯრის რაფაზე უბის წიგნაკს იპოვის. „კარანდაშით“ შიგ რალაცას ინიშნავს.

ჭერში მეზობელი ხმაურს იწყებს.

გალაკტიონი იატაკის ჯოხით ქვევიდან რამოდენიმეჯერ მიარტყამს.

ხმაური დროებით შეწყდება.

„ფლურია, ფლური საჭირო, დიდ გალაკტიონს დიდი ფლური სჭირდება... „აფხანიკებმა“ უნდა შეიტყონ ეს ამბავი... დიდი მნიშვნელობა აქვს სტროფებში სიტყვების დანაწილებას რითმისთვის... სტროფი შეიცავს ექვს ტაქსს 2...2+4... 2... 4+3... 2... გალაკტიონის მეტს ვის შეუძლია ეს შეიგნოს... რომელიღაც საქალაქდეს ამოარჩევს. იქიდან ამოიღებს სხვადასხვა ფერის მელნით და ფანქრებით გადახატულ ციფრებით აჭრელებულ ფურცელს. სხვას ეძებს. ვერ ნახავს. საქალაქდიდან პატარა ხის ჩარჩოში ჩასმული ოლიას სურათი გადმოცურდება. გალაკტიონი ოლიას სურათს და ოლიას მიერ გაკეთებულ მისი ლექსის რუსულ ბნკარედებს გვერდით მისწევს,.. სუფთა ქალაქდზე წერს:

ფილიპე მახარაძეს

დაუყოვნებლივ მომეცით ჩემი კუთვნილი ფული. გალაკტიონ ტაბიძე. როცა დანერს, უჯრიდან ამოიღებს ჩაქუჩს, წვრილ ლურსმანს და ოლიას სურათს საწოლის თავთან სასთუმალთან მიამაგრებს.

ოლიას ხმა გრძელდება: „Я постаралась (пока я тебя ждала) сделать русский подстрочник твоему стихотворению, но переписать не смогла, правая рука, которую я в Москве на субботнике поранила и хотели её мне отрезать но, боже мой разве я могла на это пойти?! (მოსკოვის შაბათობების ფრაგმენტები) გალ, გეხვენები... გაუფრთხილდი ჯანმრთელობას... გალაკტიონი არა ნორმალური ადამიანის მზერით მიშტერებია ლამფის შუქზე ჩამოცმულ ოლიას წერილის გორგალს, რომელზედაც ოლიას ტუჩების „პომადის“ ნაკვალევია. ქუჩაში, ფანჯარაზე და სახლის კედელზე სინის გამაყრუებელი ძაგდაგით დილის პირველი ტროლეიბუსი ჩაიგრიანალებს. გარეთ ძალიან ცივა. ოლიას ხმა: — ამ დღეებში ჩვენებს შენი გაცნობა უნდათ. პალტოს

საქმეს ხვალ მოვაგვარებთ. ან შენ აიღებ ჰონორარს ან მე ვისესხებ.“

„ვინაა ყველაზე ლამაზი ქართველი პოეტი?“

(გალაკტიონის დღიურიდან)

ოლია, გალაკტიონი და მათ უკან (მოშორებით) ნინა ტანსაცმლის მაღაზიაში შედიან. ნინა შორს დგება და იყურება. ოლია მიმართავს ერთ-ერთ გამყიდველ ქალს.

— Подайте нам пожалуйста то пальто.

— რომელი პალტო? კითხულობს გამყიდველი.

— აი, ის... — ვიტრინაში გამოკიდებულ პალტოზე უჩვენებს ოლია.

— ის არ იყიდება — პასუხობს გამყიდველი.

— რატომ? — ხმას აუნწევს ოლია.

— იმიტომ რომ,.. ვიტრინაში კიდეა, — ხმას აუნწევს გამყიდველიც.

ხმაურზე მაღაზიის დირექტორი გამოდის (მას უცხო წარმომავლობის იერი აქვს)

— მერე რა რომ ვიტრინაში ჰკიდია?! — ანერვიულდება ოლია.

— ...ჩვენ რეკლამას არ ვყიდით. ის პალტო ერთადერთია და ვიტრინაში ჰკიდია ავტორიტეტულად ამბობს დირექტორი.

— რატომ ჰკიდია ვიტრინაში თუ მეტი არა გაქვთ, რა აზრი აქვს (ოლია). მოულოდნელად მაღაზიაში აფო და „ტრუბკა“ შემოდიან. მაღაზიის დირექტორი მათი ახლობელი აღმოჩნდა — ვა ხელებს შლის დირექტორი „ტრუბკას“ დანახვისას.

— ვა, გაშლილი ხელები შეაგებეს აფომ და „ტრუბკამ“, ეს შეძახილი თურმე გალაკტიონსაც ეკუთვნის.

— Галактион Василич! — გალაკტიონთან მიიჭრება აფო.

— ...აი, პალტო გვინდა ვიყიდოთ და არ გვაძლევენ ვიტრინაშიაო,.. — ხითხითებს გალაკტიონი.

— გალაკტიონ ვასილიჩ,.. ერთი მინუტი,.. — ამბობს აფო. მას უნდა დირექტორთან მივიდეს, მაგრამ ის უკვე „ტრუბკას“ გვერდით გაუყვანია და რალაცას გაცხარებით უხსნის, სანამ აფო მათთან მივიდოდეს, დირექტორი და ტრუბკა გალაკ-

ტიონისკენ მოემართებიან.

დირექტორი — მოსამსახურე ქალს: — ახლავე პალტო გამოიღეთ ვიტრინიდან და სასწრაფოდ მიართვით. დიდ ბოდიშს მოგიხდით.

გალაკტიონი: — დიდებულია ძამიკო, დიდებული. მხარზე ხელს მოუთათუნებს. ქალი ვიტრინას ალებს და პალტო გამოაქვს. დირექტორი — მაგას შესაფერისი შლიაპა და კაშნეც ხომ არ მოვაცოლოთ მიმართავს იგი მეორე, მოსამსახურე ქალს.

ქალმა არ იცის რა ქნას.

დირექტორი — გამოუტანეთ „სკლადიდან“ ახალი საქონელი.

— ორივე? კითხულობს ქალი და პასუხს არ ელოდება, მიდის. გალაკტიონს სარკეში მოსავენ. თეთრ საყელოში, შავ ჰალსტუხში, თეთრ შლიაპაში და პალტოში გამონყობილი გალაკტიონის შესახედაობა იმდენად შთამბეჭდავია, მისდა უნებურად ყველანი ტაშს შემოკრავენ. ბავშვივით გახარებული გალაკტიონი მანდილოსანს ხელზე ეამბორება, ხოლო ყველა დანარჩენს საითაოდ შლიაპას უხდის და ხელს ართმევს.

...

რკინიგზის სადგურის შენობაში, მოსაცდელში, უამრავი ხალხი ირევა. ზოგი სკამებზეა ჩამოძინებული. ინტელიგენტები. თეთრგვარდიელები. ოფიცრები. ნითელგვარდიელი ჯარისკაცები. მილიციელები — ყველას საბუთებს უმონმებენ. გალაკტიონსაც უმონმებენ საბუთებს. უამრავი ფუთები. ჩემოდნები. დაძრწიან მანანნალა ბავშვები. ბოშები. ითხოვენ მონყალებას. ბაქანზე ქშენით ჩამოდგება ორთქლში გახვეული მატარებელი. ლიანდაგის გასწვრივ შაშხანებიანი მილიციელებია გამწკრივებული. ძაღლებით. კუთხეში შავსათვალებიანი მათხოვარი აკორდეონზე უკრავს. ვაგონების ფანჯრები ჩაბნელებულია. ოდნავ ბუჟტავს კუპეებში დანთებული სანთლები. გალაკტიონი მიუყვება ბაქანს. შეჩერდა ერთ-ერთ ვაგონთან. კარები იღება. ადის. ვაგონში სხედან: ლენინი, სტალინი, ტროცკი, ბუხარინი. ლენინი გალაკტიონს მიესალმება და ხელს ჩამოართმევს:

— Здравствуйте Галактион Васильевич! Как поживаете, Не бес-

покойтесь, Ольга Степановна чувствует себя хорошо. Часто вас вспоминает. Она влюблена в Вашу лирику.

გალაკტიონი უყურებს: — Владимир Ильич, я первый ввел ваш образ в грузинскую поэзию. ხელს ორატორივით მალლა სწევს გალაკტიონი.

ლენინი გახარებული შესძახებს: — Узнали! Я предчувствовал! Я-же всегда с Вами — და მიუთითებს გალაკტიონს ორდენზე, რომელიც უცებ ისე დიდდება, რომ გალაკტიონი მის უკან აღმოჩნდება ამოფარებული. გალაკტიონი ცხვირსახოცს ამოიღებს და ორდენს ასუფთავებს. ლენინი ხელს წინ გაიშვერს და ძეგლივით გაეკიდება ბუხარინს:

— Товарищ Бухарин!

გალაკტიონი გადადგამს ორიოდ ნაბიჯს და ხედავს, მას სტალინი უღიმის. ზის, ჩიბუხს აბოლებს.

სტალინი: — Садитесь товарищ Табидзе.

გალაკტიონი დაჯდება მის წინ.

სტალინი : — Что вам завещал товарищ Ленин?.. (გალაკტიონი ხმას არ იღებს).

სტალინი: — Про орден?.. кстати, почему Вы не приехали 1936 году в Москву? Я,.. лично,.. хотел,.. Вам,.. его передать! Я высоко ставлю Ваши заслуги перед советской литературой. (ვილაცას ეტყვის) Принесите два чая!

გალაკტიონი: — Спасибо Иосеб Бессарионович.

კუპეში შემოდიან ნითელარმიელები შვიდი-რვა კაცი და იძახიან:

— Вся власть Советам! Вся власть Советам!

— Вся власть Советам! — Как Вы думаете Галактион Васильевич?

უკნიდან გალაკტიონს ვილაც რუსი ინტელიგენტი მხარზე ხელს ადებს.

Будем знакомы! — Лев Троцкий. Ценю Вашу поэзию. Продолжайте в том же духе. ტროცკი გალაკტიონს ხელს ჩამოართმევს. სასულე ორკესტრი უკრავს საბჭოთა კავშირის ჰიმნს.

ბუხარინი: — (მთელი ხმით ყვირის Они всё врут!..)

А Вы здесь лишний,.. Вам,.. здесь,..

не,.. место,..

გალაკტიონი: — Позвольте с Вами познакомится.

— Зиновьев, Каменев.

გალაკტიონი: — Галактион.

— Это ваше имя или фамилия?

გალაკტიონი: — Галактион только не „ქ“ а „к“.

ამ დროს გალაკტიონი ფანჯარაში თვალს მოჰკრავს ბაქანზე მყოფ ოლიას, ჩემოდნით (გამხდარია ფერნასული). მას როგორც ყოველთვის ქუჩაში გავლისას თავი ზევით აქვს აწეული. ლამის ფეხის წვერებზე შემდგარი ვილაცას ეძებს,.. გალაკტიონი ცდილობს ვაგონიდან გავიდეს და დაენიოს. ხალხის ნაკადს არღვევს და ეძებს. ვილაცას მიაშვავებს. დაედევნება. ჩაეჭიდება. მოაბრუნებს:

— Олкин! Олкин!

მაგრამ,.. ქალის სახის ადგილზე რაღაც სიშავეა. განზილებული გალაკტიონი ხელს უშვებს.

...

გალაკტიონს ოლია უღებს კარს. ახალგაზრდა გალაკტიონს ხელში თაიგული უჭირავს. ოლია კისერზე დაეკიდება. ხელჩაკიდებული შეყავს დიდ ოთახში. შესვლაში ჩასჩურჩულებს — „გელოდებიან“. გალაკტიონი შეცბუნებულია. შედიან სასტუმრო ოთახში. ოლია ხმამაღლა აცხადებს:

— Познакомьтесь, это Галактион...

უზარმაზარი თაიგულის წინ (რომელიც სიდიდით ოთახის ქერამდე უწვდენს) დგას სრულიად ახადგაზრდა ოლია. მას მოკლე სარაფანა კაბა აცვია და ფეხშიშველაა. ოლია აქეთ-იქით განცვიფრებული იყურება და არ იცის რა ქნას. გალაკტიონი სად გაქრა? უზარმაზარი თაიგულის იქიდან როგორც ავანსცენაზე ფარდის წინ ახალ ძვირფას კოსტიუმში და თავზე ძძიმე ფაფახში გამონყობილი ხანდაზმული, ბედნიერი, მხიარული გალაკტიონი გამოდის. იგი, როგორც მას ჩვევია, ფაფახის მოხდით და ხელის მალლა აწევით მიესალმება ყველა იქ მყოფს მარჯვნივ და მარცხნივ.

განყობილ მაგიდას უსახო, თითქოს (ადგილზე) გაშეშებული ადამიანები უსხედან.

ოლია: — Это мой папа, это — мама, это мои братья Володя, Миша, Шалва, Саша и младший Васька... ну, а, с Маней ты знаком.

მიშა — გალაკტიონს, მე რა...არ ვიცნობ?

მამა (სტეფანე ოკუჯავა): — დაბრძანდით ბატონო... თქვენ ქურდი ხართ. რატომ მოგვპარეთ გოგო. ჩუმად რატომ დაინერეთ ჯვარი?

გალაკტიონს, რომელიც შეცბუნებული ზის, არაფერი ესმის და არც ის იცის, რა უნდათ მისგან. ხან სტეფანეს ხან გვერდით მდგომ შალვას გაურკვევლად შეჰყურებს. შალვა იღებს მაგიდაზე დადებულ „რუპორს“ გალაკტიონს ყურზე მიადებს და მთელი ხმით შიგ ჩასძახებს, თუმცა რაღაცას,.. (ყველასთვის გაუგებარს).

— მიირთვით. ერთმანეთის მიყოლებით, უსახო ნიღბებს სახეები უბრუნდებთ და ყველანი გახალისებულნი, ჭამას შეუდგებიან. მთელი ეპიზოდის მანძილზე გონებასუსტი ვასია გალაკტიონს თვალმოუშორებლად უყურებს, უხმოდ იცინის.

გალაკტიონი მორცხვად ზის.

ოლია ეუბნება: — Галактион не стесняйся... — თეფშზე ტორტის მოზრდილ ნაჭერს უღებს. სუფრაზე ლობიო, პრასი, ღვინო, ყველი, პური, ღვეზელები, მურაბები და, მოგრძო სინზე, რაღაც შემწვარი დევს. გალაკტიონი ცდილობს გაარკვიოს სინზე რა დევს, მაგრამ ვერ ახერხებს. ისე კი, რატომღაც (თითქოს) ადამიანის შემწვარ ფეხს და ხელის მტევანს მიაშვავებს. უნდა წამოიყვიროს, თავს ძღვეს, ცდილობს არ შეიმჩნიოს. ისმის დანა-ჩანგლის წკარუნი. ყველანი ენერგიულად ჭამენ. გალაკტიონზე არიან მიშტერებულნი.

— Кушай, кушай это мы с... Маней сделали. — ამბობს ოლია და სიცილს ვერ იკავებს.

ბატონი სტეფანე: — რა საქმით ხართ დაკავებული ყმანვილო? ამ დროს ხანდაზმული გალაკტიონის ადგილზე ახალგაზრდა გალაკტიონი ზის.

გალაკტიონი: — ...მე პოეტი ვარ.

— რაიო, რაიო ვინო? — გვერდით მჯდომ ალიოშას მიუბრუნდება ბატონი სტეფანე. ალიოშა მამას ყურთან პირს მიუტანს

და ჩასძახებს: — პოეტიო.

— რაიო? ალიოშა მაგიდის ერთი კიდ-
იდან მეორეში „რუპორს“ გადანვდება:

— პოეტი. პოეტი. ლექსებს წერს.

— აბა წაგვიკითხეთ?! — ხაზგასმული
სიკეკლუცით წარმოთქვამს ოლიას დედა,
რომელიც განსაკუთრებულად უცნაუ-
რადაა ჩაცმული და თავზეც უცნაური
გემისმაგვარად წარგრძელებული, ყვა-
ვილებით შემონწყობილი შლიაპა ახურავს.
წაგვიკითხეთ, წაგვიკითხეთ, — ამბობენ
აქეთ-იქიდან. ხანდაზმული გალაკტიონი
როგორ არ ცდილობს რამე წაიკითხოს,
პირიდან ხმა არ ამოდის. სუფრასთან მსხ-
დომი უსახური ნიღბები უცებ ფეხზე წამ-
ოიჭრებიან და მხურვალე ოვაციებს
გაუმართავენ. ისმის ორთქლმავლის
შეკვივლება, ქვაბის ქშენა. ძაღლების ყეფა.
ორთქლმავლის უზარმაზარმა ბორბალმა
ისაა განწყობილ სუფრას უნდა გადაუაროს,
მაგრამ სუფრა უხმოდ ჩაიფუშება და ძილ-
ში განანამებ გალაკტიონს გამოელვძებდა.

კარებზე ვილაც გამეტებით აბრახ-
უნებს.

გალაკტიონის წინ, მაგიდაზე, გარდი-
გარდმო გადახეული თუ დაჭმუჭნული
ფურცლების გროვა ყრია. ამით შეშფოთე-
ბული გალაკტიონი ნახევების ერთმანეთ-
თან მისადაგებას იწყებს.

კარებზე ბრახუნი ძლიერდება.

— გალაკტიონ — ისმის გალაკტიონის
ძმის აბესალომის ხმა. გალაკტიონი ფეხ-
აკრებით კარებთან მიდის და ჩერდება
(არანორმალური გამოხედვა აქვს) კარებ-
ის ქვეშ სანახევროდ ფურცელი შემოცურ-
დება. გალაკტიონი ფურცელს იღებს და
სამზარეულოსკენ ჩუმად გაიპარება.

კარებს იქიდან კიბის მოედანზე გალაკ-
ტიონის ძმა აბესალომი დგას.

აბესალომი: — გალაკტიონ მე ვარ,
გამილე. გამილე, ბიჭო, ხომ სახლში ხარ,
ვიცი... წერილი შენ არ აილე ამ წუთას?
გამილე, გესმის?!

გალაკტიონი სამზარეულოშია. ნავთ-
ქურაზე დულს ჩაიდანს. გალაკტიონი ჩა-
იღნიდან დაისხამს. კარადიდან იღებს
თეფშს, შაქრის ნატეხებს, ჩაყრის ჭიქაში
და ოთახში ბრუნდება (თავისთვის ბუტ-
ბუტებს) „...ძიების პროცესში სხვათა სიახ-
ლის ათვისება დასაშვებია... შეიძლება

უცხო, მზა ფორმის გამოყენებაც. სიახლეს
უნდა მიესადაგოს მხოლოდ ქართული
სული და ტემპერამენტი სავსე ქართული
პატიოსნებით...“ — გადახედავს მის წინ
მაგიდაზე დაყრილ დახეულ ხელნაწერებ-
ის გროვას.

— ეს, რა მომივიდა?..

ისმის აბესალომის ხმა.

— გალაკტიონ, დღეს ჩამოვედი.
სამჯერ ვიყავი შენთან, კარს არვინ ალებს.
ნეტა ვიცოდე, როდის ხარ შინ და როდის
მუშაობ. ხვალ დილას ისევ მოვალ...
სამჯერ დავაკაკუნებ. თუ სახლში იქნები
— „სტავნები“ განიე,.. არ ვიცი, დამხვდე-
ბი, თუ არა,.. მე მაინც მოვალ.

სადარბაზოში 14-15 წლის ყმანვილი
შემოდის. ეს ნოდარია, აბესალომის
უფროსი ვაჟი.

— რა ქენი, — ეკითხება აბესალომი.

— „სტავნები“ დაკეტილია. არ ინძრევა.
არაა ბიძია სახლში.

მაგ რომ სახლში იყოს გამოგვეძახებო-
და (დაბეჯითებით ამბობს).

— ამ წუთას შევაცურე ბარათი და
აილო, — ამბობს აბესალომი.

— აბა სად? — ეკითხება ნოდარი და
კიბზე ამოდის.

— ა, აქ არი, — აჩვენებს აბესალომი.

ნოდარი დაიხრება და კარების ქვეშ იმ
ადგილს ხელის გულს მიადებს, სადაც
მამამისმა უჩვენა.

— ჰო, აქ ქარი უბერავს, ქარი შეიტან-
და შიგ... ბიძია რომ იყოს, აუცილებლად
გაგვიღებდა.

გამოდის ვასასი.

— გალაკტიონი არაა სახლში. ჩემი
თვალთ დევინახე დილას რომ გევიდა...

— როცა მოვა, უთხარით იყვნენ და
წერილი დატოვა-თქვა, — ამბობს აბე-
სალომი.

— რომ იყოს სახლში, თქვენ რავა არ
გაგიღებდათ, — წაეხმარა ცოლს დომენ-
ტი, სულ თქვენს ხსენებაშია...

— ამ ბიჭზე, მაინც, გიჟდება — თქვა
ვასასიმ.

— ამაზე უფრო უყვარს ვინმე?

ნოდარი ძალიან ნასიამოვნებია. კიბზე
ფეხს ითრევს.

— ჰმ, ჰმ, იმმუშნება გალაკტიონი, ერთ-
მანეთზე მორგებულ ფურცლების ნახ-

ევეს ნებოს უსვამს და მიყოლებით ფანჯრის მინაზე აკრავს, რომლის იქით ხალხმრავალი ქუჩა და ტრანსპორტი ჩანს.

— დიდ პოეტს დიდი აუდიტორია სჭირდება. ე.ი სალამოები კონსერვატორიის მცირე დარბაზში. მართალია იგი მცირეა, სულ რაღაც 200-300 კაცს იტევს, მაგრამ ძველია და ამიტომ არის მშვენიერი.

საბეჭდ მანქანაში ფურცელს ჩადებს, რომელზედაც იბეჭდება „საქართველოს სახალხო მგოსნის სალამოები“ (ნერვიულად ხაზს გაუსვამს) — დიდებულია. ეს იქნება გენერალური რეპეტიცია პარიზისათვის, მსოფლიოს უდიდეს მწერალთა და პოეტთა ანტიფაშისტურ კონგრესზე... ამისათვის ყოველმხრივი მომზადებაა საჭირო (რატომღაც ნამოიყვირებს) ოლია როცა საჭიროა, მაშინ იკარგება. მაინც რას ნიშნავდა ეს საზიზლარი სიზმარი? გალაკტიონი, მაგიდაზე დანყობილ წიგნებიდან (სასწრაფოდ) გაქექილ ბროშურას გამოარჩევს და მაყურებლისათვის თითქოს საგანგებოდ კითხულობს:

„კილი და სიზმარი“

სიზმრების მეცნიერულად დასაბუთებული ახსნა ცნობილი მედიუმის მის-ჰას-ეს მიერ. ფსიქო-ფრენოლოგ ჰ.შილერ-შკოლკოვის მეთაური წერილით ძილსა და სიზმარს... (ათასზე მეტი სიზმარია),... დღეს რა რიცხვია?

(ჩაჰყურებს კალენდარს)

— ე.ი. გუშინ იყო თხუთმეტი.

— დღესაა თექვსმეტი,.. ხვალ — ჩვიდმეტი (უბრუნდება სიზმრების წიგნს).

— ე.ი. დღეს რიცხვი — თექვსმეტი (კითხულობს მის გასწვრივ) სიზმარი არ სრულდება და არც არაფერს ნიშნავს (ნასიამოვნებია. იგივეს განმეორებით წაიკითხავს).

უფრო იმედიანად რომ იყოს, მეზობელ ნინა და ხვალინდელ დღეებსაც მიაყოლებს.

15- ში სიზმარი სწრაფად და ძალიან კარგად აცხადდება.

17- ში სიზმარი წარმატებას გპირდება და ოც დღეში ასრულდება. სიხარულით ბროშურას გულზე იკრავს და ინყებს გამოთვლას.

— პარიზში ანტიფაშისტური კონგრე-

სი იხსნება ამ თვის 29 რიცხვში. დიახ, ამ მხრივაც საქმე დიდებულიადაა ე.ი. დღე-იდან ზუსტად ოცი დღე. დღევანდელი დღე თექვსმეტი მშობელია ჩვიდმეტის და ეს ჩვიდმეტი არის ხვალ. და ხვალინდელი დღე-რიცხვი განსაზღვრავს დღევანდელი სიზმრის დიდებულ ახდენას.

ეს ბროშურა თვით გენიალური პუშკინის სამაგიდო წიგნი იყო და ნაბიჯს არ დგამდა მისი წინასწარმეტყველური რჩევის გარეშე.

მოდის ოლია. მოაქვს 75 სანთლიანი ელექტროლამფა. გალაკტიონი უზომოდ კმაყოფილია. ჩართეს. ყველაფერი სხვანაირ იერს ლებულობს.

გალაკტიონი: — რომ შექმნა რაიმე დიადი, საჭიროა სინათლე, ბევრი სინათლე.

ოლია: — გალ,.. აქ ვილაცხას ნავთი დაუღვრია. გაიყინე? სად არის ჩვენი ძველი ელექტროფენი?

გალაკტიონი: — არ ვიცი.

ოლია გამოაღებს კარადას და იქ პოულობს.

— Шнур оторвался, надо починить...

(ერთობლივი ძალებით აკეთებენ) ოლიას მარჯვენა ხელი არ ემორჩილება. როგორც იქნა, ჩართავენ.

ოლია: — მოდი, შენ ამას მიხედე, მე მალაზიაში ჩავიბრუნე. ოლიას მოსვლამდე გალაკტიონს ფენი აუფეთქდა, ცეცხლი მოედო და კინალამ დაიწვა. ზედ მთელი ვედრო მოაპირქვავა და ისე ჩააქრო. ოთახში ტბორი დადგა გულგახეთქილი გალაკტიონი ეძებს ტილოს, რომელიც ვერ ნახა და ილანძღება — ტილო სადაა, ტილო, ტილო!

— რა მოხდა? — შეშფოთებული კითხულობს უკან დაბრუნებული ოლია.

— ტილო თავის ადგილას არ უნდა იყოს. ესაა ოჯახი?

ოლია: — Галк, перекусим и начнём работать, надо написать текст твоего выступления на конгрессе.

მაგიდას ორი მხრიდან უსხედან ოლია და გალაკტიონი. ჭიქებს ერთმანეთს უჭახუნებენ.

ოლია: — За тебя, Галк, за твой невероятный успех на конгрессе я уверена.

გალაკტიონი: — დიდებულია,.. ეს იქნება მსოფლიო მასშტაბის მოგება!

ინყებენ წერას.

ოლია: — Галк послушай (პაუზა),...
ოლია, რასაც წერს, ხმამაღლა წარმოთქვამს:

— Мой тост поэта Грузии за жизнь красивую, за жизнь свободную, за расцвет искусства. Я пью мысленно и перехожу аллаверды к вам! Так тесней, так дружней мы сомкнём ряды поэты Франции с поэтами всего мира.

(ტრიბუნაზე მდგომი გალაკტიონი ტექსტს ფრანგულად აგრძელებს, ხოლო მას ქართულად ოლიას ხმა თარგმნის. ტექსტი სრული სახით დაბეჭდილია აკადემიური გამოცემის ჩშშ გვ. 185. პარიზი, 1935 წ. პარიზი. ანტიფაშისტური კონგრესი.)

გალაკტიონი ამთავრებს გამოსვლას. ოვაცია.

პარიზი. მისტერია წვიმაში.

(პიესის მოქმედება ხდება ფრანგულ ენაზე)

ნოტრ-დამის წინ მოედანზე აღმართულია დეკორაცია. სცენა გამოხატავს მოძრავე სამოთხეს. ღრუბელი ეშვება და ამ დროს გამოჩნდება ციური მხედრობა. მარჯვნივ უზარმაზარი საშინელება — კაცი მოღუნული, კუტიანი, კოშკით ზურგზე გამოხატავს ჯოჯოხეთს. მას გარშემორტყმული ჰყავს ეშმაკები. კოშკიდან დროდადრო ამოდის ცეცხლის ენები. ისმის გალობა. ორღანოს ხმები და ზარების რეკა. კალენკორისფრთებიანი ცისფერი ანგელოზები დგანან მარცხენა კუთხეში და მღერიან საგალობელს. მიმდინარეობს შუა საუკუნეების მწერლის — არწულ გრემბანის ტექსტის მიხედვით დადგმული მისტერია, სახელწოდებით — „ვნებანი უფლისანი“. ცენტრიდან გამოჩნდება მაცხოვარი. როდესაც ის შეუდგება გეთსიმანიის ბაღში ლოცვას, უეცრად დაუშვებს კოკისპირული წვიმა. არტისტები ქიტონებში ეხვევიან. მაცხოვრის როლის შემსრულებელი იძრობს წვერს, პარიკს, და კოკისპირულ წვიმას რომ გაერიდოს, პირდაპირ კულისებში შევარდება. ანგელოზები და ეშმაკები ერთმანეთში აირევიან, ნიღბებს იხსნიან, კუდებს და ყველანი სხვადასხვა მხარეს გარბიან. წვიმა

მთლიანად ანგრევს დეკორაციას. მაყურებელი აქეთ-იქეთ გარბის, რჩება მარტო გალაკტიონი, რადგან ანდრე ჟიდი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში გალაკტიონთან ერთად იდგა, ისიც თავის საშველად სადღაც გარბის. განუწული გალაკტიონი მიდის პარიზის ქუჩებში. კოკისპირული წვიმა რა სისწრაფითაც მოვიდა, ასევე უეცრად გადაიღებს. გამვლელი და ტრანსპორტი ისევ გამოეფინება ქუჩებში და ყველაფერი წინანდებურად ახმაურდება.

(გალაკტიონის ფიქრი, რომელსაც ისევ ოლიას ხმა თარგმნის) დღეს საფრანგეთის აკადემია დღესასწაულობს თავისი არსებობის 300 წლისთავს. აკადემიის წევრებს აქ უწოდებენ უკვდავებს. ამ უკვდავთა შორის არ შეტანილა სახელი არც მოლიერის, არც ბალზაკის, არც ფლობერის, არც მონეს, არც მოპასანის, არც ჰიუგოს. სამაგიეროდ, მის წევრებად ითვლებიან ჰერცოგები. დიდგვაროვნები, რომელთაც რიგიანად უბრალო წერილის დაწერაც კი არ შეუძლიათ.

გალაკტიონი შედის ფრანგულ კაფეში. დასველებულია. ჯდება მაგიდასთან. ოფიციანტი აწვდის მენიუს — დასველებულხართ.

გალაკტიონი (ფრანგულად): — დიახ, ნოტრ-დამის მოედანზე სპექტაკლით ვისიამოვნე.

ოფიციანტი: — რას ინებებთ?

— ერბოკვერცხი და ლუდი.

ოფიციანტი მიდის. კაფეში ფრანგი ქალი მღერის. მამაკაცი აკომპანიმენტს უკეთებს. ირგვლივ წყვილები სხედან და თავისთავის საუბრობენ (გალაკტიონის ფიქრი): — მოხსენებამ დიდებულად ჩაიარა. საფრანგეთის მწერლების ერთი ჯგუფი გამოდის ინიციატივით ბრძოლა კულტურისათვის — კაპიტალისტური გადაშენება. ბარბაროსული ფაშიზმი. ყველაზე უფრო პარიზში იგრძნობა ფაშისტური მხეცის სუნთქვა. საუკუნის ყველა კულტურული მოღვაწე საფრთხეშია.

ოფიციანტს მოაქვს ლუდი და ერბოკვერცხი — ინებეთ.

გალაკტიონი: — გმადლობთ, გეთაყვა. — გალაკტიონი უბის წიგნაკში იწერს: ბრწყინვალე სიტყვით გამოვიდა ანდრე

ჟიდი... საფრანგეთის ლიტერატურაში შეიძლება აღინიშნოს ერთი ასეთი მოვლენა: დიდი მწერალი და დიდი გენია ვერ მიდის თანამედროვეობამდე... ვისთვის წერს იგი... თავის თავისთვის?.. არა, მაგრამ მისი ურთიერთობა მკითხველთან მიდის არა სივრცეში, არამედ დროში. მაგალითად სტენდალი, რომელმაც როგორღაც სთქვა, რომ მისი მკითხველი ჯერ კიდევ არ დაბადებულა. ანდრე მალრომ დაუფარავად განაცხადა, რომ ჩვენ შევდივართ ზიზლის ხანაში... ჰენრიხ მანი აღნიშნავდა, რომ გერმანიის ნაციონალისტები იბრძვიან ყველაფრის წინააღმდეგ, რაც კი რამ შეუქმნია კაცობრიობის აზროვნებას უკანასკნელ ხანებში, რომ საბჭოთა კავშირი და პროლეტარიატი ეს არის საუკეთესო ფორმა მსოფლიო მიღწევების უმაღლესი კულტურის.

მაგიდას, რომელსაც გალაკტიონი უზის, უახლოვდება სათვალისანი ფრანგი მოხუცი. ერთ ხელში ყავა უჭირავს, მეორეში — კონიაკი. ოთხმოცი-ოთხმოცდახუთი წლისაა. თავზე ბერეტი ახურავს.

— უკაცრავად, შეიძლება თქვენთან დავჯდე?

გალაკტიონი: — დაბრძანდით გეთაყვა.

მოხუცი ჯდება. გალაკტიონს სახეზე შეაჩერდება. ყავას მოსვამს.

— პირველად ხართ პარიზში?

— დიახ, კონგრესის მონაწილე ვარ.

— საიდან ჩამობრძნდით?

— საქართველოდან.

მოხუცი: — ო, დიადი საბჭოეთის შვილი ყოფილხართ (პაუზა). მოხუცი ჯიბიდან გაზეთების დასტას ამოიღებს და მაგიდაზე დებს.

— დღეს ყველანი ომის საშიშროების წინაშე ვდგავართ.

გალაკტიონი: — დიახ, საშიშროება საკმაოდ რეალურია.

მოხუცი: — იცით, ყოველ დილით ლუვრში დავდივარ, საათობით ვდგავარ ვენერა მილოსელის ქანდაკების წინ და ვფიქრობ, .. რომ ამ მოკლე ხანში ომი არ იქნება.

გალაკტიონი: — რატომ ფიქრობთ ასე?

მოხუცი: — თუ ვენერა მილოსელი თავის ადგილას დგას, თუ იგი არ შეუხვევიათ და სარდაფში არ დაუმაღავთ, ცხა-

დია ჯერჯერობით საშიში არაფერია (პაუზა).

რა აზრის ბრძანდებით სიურეალისტების შესახებ?

გალაკტიონი: — ამასწინათ გამოფენაზე ვნახე მათი ნამუშევრები.

მოხუცი: — საათები? ჩვეულებრივი ჯიბის საათები მიმოფანტული ზღვის პირას. უფორმოდ ჩამოღუნული დეფორმირებული საათები. ნატიურმორტი იქცა ნამდვილ მსხვერპლად. მაყურებელმა ის დახია. „გაყინული კომმარი“, როგორც დაარქვა ამ სურათს ერთმა კრიტიკოსმა. (ორივენი წრუპავენ კონიაკს) — დიახ, დიახ, ზუსტი ფორმაა, ეს არის სიურეალიზმი. იგი შეყვარებულია სიკვდილზე იგი ლაპარაკობს სიკვდილზე სიყვარულით პათოლოგიური გულდასმით სიცოცხლისადმი გულგრილობით.

მოხუცი: — გიკრძალავენ.

კაფეში მაგიდას უზის შლიაპიანი მამაკაცი, რომელიც, ეტყობა, გალაკტიონს ყველგან დასდევს. ის ახლაც, ცარიელი მაგიდების იქით ზის და ვითომ გაზეთს კითხულობს. გალაკტიონი ამას გრძნობს და ცდილობს მას ეჭვის ნაკლები საბაზი მისცეს.

გალაკტიონი: (მოხუცს დაგვიანებით პასუხობს) — მიჭირს ამ თემაზე საუბარი.

მოხუცი: — გასაგებია. ვფიქრობ რომ ნითელი რუსეთი ფაშისტურ გერმანიაზე არა ნაკლებ საშიშია.

გალაკტიონი სასწრაფოდ წამოდგება.

გალაკტიონი: — სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი.

მოხუცი: — ნახვამდის.

გალაკტიონი გადის.

* * *

„არც ასე შეიძლება, ამხანაგო იოსებ“

გალაკტიონი

მეტეხის გაღმა-გამოღმა, ნაქერალას და ელიას მთებს შორის მოქცეულ მცირე ტერიტორიაზე თითქოს ქალაქის ხელისგულზე, სამ ათეულზე მეტი მართლმადიდებლური, გრიგორიანული ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა და მათ შორის რატომღაც შინსახკომის წარმოსადგეი შენობაა განთავსებული, რომელშიაც გალაკტიონი შედის. ჰოლში ტიხარს იქით დაცვის თან-

ამშრომელი ზის.

— По какому Вы вопросу? — დაუძახებებს ის გალაკტიონს, რომელმაც არ იცის საით წავიდეს.

გალაკტიონი ჯიბიდან „Извещение“-ს იღებს. მორიგე ჩაიკითხავს.

— Ваши документы.

გალაკტიონი მწერალთა კავშირის მონაწილას მიაწვდის. მორიგე ტელეფონით რეკავს.

— Прибыл поэт.

კიბესთან მდგომი ბადრაგი გალაკტიონს საშვს გაუსინჯავს და ანიშნებს (გადიო). გალაკტიონი ადის მეორე სართულზე. ოთახი N 5-ში შედის.

— Садитесь товарищ.

კუთხეში სტენოგრაფისტი ქალი ზის. გამომძიებელი მას ანიშნებს.

გამომძიებელი: — Ваша фамилия, имя и отчество.

— დიას (ცქმუტავს გალაკტიონი),.. Галактион Васильевич Табидзе.

მემანქანე ქალი ბეჭდავს.

— Год рождения და ა.შ.

გამომძიებელი: — Товарищ Табидзе нас интересуют подробности вашего пребывания во Франции. У нас есть информация, что вы встречались там с врагами нашего государства, с эмигрантами...

გალაკტიონი აწყვეტინებს.

— Так, нет, я был делегатом антифашистского конгресса передовых представителей писателей всего мира и...

გამომძიებელი აწყვეტინებს: — Знакомы ли вы с Робакидзе Григорием Титовичем, с Зданевичем Ильёй ?

გალაკტიონი: — Да, да нет я только с некоторыми из них хорошо знаком, но в Париже я их не видел,.. это могут подтвердить работники нашего посольства, которые ни на минуту не выпускали меня из виду. Я и сам хорошо следил за ними.

გამომძიებელი ცარიელ ფურცელს აწვდის და ეუბნება — Подпишитесь на этой бумаге пять раз стоя и пять раз сидя... გალაკტიონი ცარიელ ფურცელზე რუსულად წერს თავის გვარს, სახელს და მამის სახელს, რამოდენიმეჯერ შეცდება. ბო-

ლოს გამომძიებელი კალმის ქვეშიდან გამოაცლის ფურცელს (გალაკტიონის ფიქრი) — რალაცაშია საქმე.

ჩამონწევა პაუზა.

მემანქანე ქალი: — Ну идите-же чего сидите.

გალაკტიონი ჩადის კიბეზე. სუნთქვა უჭირს.

ხმა: — Верните пропуск.

გალაკტიონი დაჭმუჭნულ საშვს ხელისგულზე ასწორებს და მიაწვდებს.

— В этом доме я путаюсь.

— Не надо в этом доме путать.

გალაკტიონი ქუჩაში გამოდის. მის წინ უშველებელი პლაკატია გაკრული. გალაკტიონი კითხულობს:

„თვალის ჩინივით დაიცავით ნამგლეჯთა, ქურდთა და მუქთახორებისაგან საზოგადოებრივი წყობილების საფუძველი“.

(გალაკტიონის ფიქრი: „ნეტა როგორ მოვახერხო ჩემი საღამოსათვის ამ ტომის აფიშები დავბეჭდო, სად უნდა ავიღო ნებართვა“?)

გალაკტიონი (უცებ, რატომღაც) ხედავს: აფიშაზე წითელი წვეთები ჩამოედინება. ისმის ზარების რეკა. (გალაკტიონის ფიქრი) კარგი იქნებოდა ასეთი აფიშა გამეკეთებინა. უნდა ოფლი მოიწმინდოს. ჯიბიდან ამოღებულ ცხვირსახოცს (შემთხვევით) ქვითრები ამოჰყვება.

— კიდევ კარგი, წყლის, ელექტრონის, ნავის და ბინის ქირაა გადასახდელი, თუ არა, დამავიწყდებოდა.

...

კანტორაში რამდენიმე ხუთ-ხუთ, ექვს-ექვს კაციანი რიგია. საღაროს აპარატებს ქალები უსხედან. თავები დავთრებში აქვთ ჩარგული. გალაკტიონის წინ ორი რუსი ქალი შეუსვენებლად ლაპარაკობს. ერთ-ერთი მათ შორის ოლგა იურიენაა (გალაკტიონის ფიქრი. როგორ უცებ მეგობრებიან რუსები). კედელზე მიმაგრებულ ბრტყელ საათზე ისარი ძალიან ზანტად იძვრის. (გალაკტიონის ფიქრი) მაგ ქალებში მარცხენამ ერთ წუთში 17 სიტყვა თქვა, რამდენს იტყვის ახლა მაგი ერთ საათში. ეს ოხერი სახლში როცა ხარ დრო ისე სწრაფად იძვრის, აქ კი ...რა ნელა იძვრის ვერ ეწევა რუსეთს. რიგი გალაკტიონზე მიდგება. მოლარე ქალი მიმართავს გალაკ-

ტიონს, მომეცით თქვენი ქვითარი. გალაკტიონი აწვდის.

ქალი: — ქვითარი კი არა მთელი ბუკეტი გქონიათ.

გალაკტიონი: — დიახ, დიდებულია — შეუქებს ნათქვამს გალაკტიონი — მშვენივრად თქვით.

ქალს სიამოვნებს შექება:

— ეს წყალი, ეს შუქი, ეს სახლის ქირა.

გალაკტიონი: — რაც თავის მხრივ მოითხოვს ფლურის ბუკეტს (ხითხითებს გალაკტიონი) და ჯიბიდან თუმნიანები ამოაქვს.

ყველანი იცინიან.

ოლგა იურიევნა: — **Шутка гения грузинской поэзии!..**

გალაკტიონი არ ელოდა. მასთან მიდის და ხელისგულზე ეამბორობა.

— სად წადით? ეძახის მემანქანე ქალი, — მიიღეთ თქვენი ქვითრები, თორემ ვიღაც ხელმეორედ გადაგახდევინებთ.

გალაკტიონი: — დიდებულია, დიდებული.

* * *

„...პოეტი ყოველთვის მართალია“

ანა ახმატოვა

წვიმს.

სანოვაგით დატვირთული ოლია მაღაზიიდან ქუჩაში გამოდის. ქოლგას შლის.

(ოლიას ფიქრები): „Галон, Галл,.. Галк — где ты? что (сейчас) делаешь. Уже сколько дней мы с тобой не виделись (ничего не мог поделывать, то работа, то больная мама).“

ტრამვაიში ცოტაა მგზავრი. კონდუქტორი: — **Приобретайте билеты, пожалуйста...**

ოლია ტრამვაიდან ჩამოდის. ქოლგას ხსნის. ღრიჭოდ დარჩენილ დარაბებში სინათლე გამოდის. ოლია: — **Ой, он дома!**

...

გალაკტიონი და ოლგა იურიევნა სანოლში წვანან.

ოლია კიბეებზე ადის. ცდილობს კარი გააღოს. არ იღება. აკაკუნებს.

— **...Галактион, открой, это я!**

ხმაურზე გამოდის ანეტა: — **Я видела, он должен быть дома** (მოიმიზეზებს, ვითომ დერეფანში საქმე აქვს) — ბოთლებს

ანყოფს, გვის.

ოლია სახლს მეორე მხრიდან შემოურბენს და დარაბაზე აკაკუნებს. დარაბის იქით სინათლე ქრება. ოლიას ხმა — **Сейчас-же открой,.. я вижу что ты дома.** ოლია კარებთან ბრუნდება და უფრო გამეტებით აბრახუნებს:

— **Мерзавец, с кем ты там?**

(ტიონის)

...

გალაკტიონი და ოლგა იურიევნა ცდილობენ ოთახში თავისი ყოფნის კვალი დაფარონ. ოლგა იურიევნა ლოგინს ასწორებს. ოთახიდან ჯერ გალაკტიონი გამოდის შემდეგ ოლგა იურიევნა. გალაკტიონი დაზვერავს იქაურობას. ჩურჩულით ოლგა იურიევნას უხმობს.

სინათლე გაითიშა. გალაკტიონი ფეხს წამოკრავს ოლიას დატოვებულ ჩანთას: — **ჰმ, ეს რა არის? ალაყაფის კარებში გადიან.**

გალაკტიონი: — მომეცით ხელი, აქ სადღაც ორმო უნდა იყოს (ქალი კისკისებს. ნახევრად სიბნელეში რალაცას წამოედებიან).

— ფრთხილად.

ქალი: — **Какой у тебя приятный голос.**

გადაუღებლად წვიმს. ოლგა იურიევნა ქოლგას შლის. მხარზე ხელმოხვეული გადიან. მათ კუთხეში შეუმჩნეველად ატუტული ოლია თვალს ადევნებს. აფორი-აქებული სახლში ბრუნდება, ლამფას ანთებს. მივარდება — გასწორებულ ლოგინს აწეწავს, ლეიბს ჩამოაგდებს. საბანს. ბალიშს. ჩაიკეცება და ტირის. მერე წერილს წერს (გვესმის ოლიას ადელევებული ხმა): **„Всё. Между нами всё кончено. Благословляю тот миг, который превёл меня сюда,.. за то что открыл мне глаза. Не смей здороваться при встрече на улице“.**

* * *

ნავთქურაზე კარტოფილი იხარშება. აბაზანის კარებთან ფეხშიშველი გალაკტიონი დგას. კედელზე გაზეთის ნაჭერი აქვს მიფენილი, რომლის არშიაზე რალაცას გამალებით წერს. ადგილი აღარ ყოფნის. სასწრაფოდ, ოთახში ცარიელ ფურცელს ეძებს. ვერ პოულობს. წერს ჰაპირო-

სის კოლოფზე. ისმის ოლიას ისტერიული ძახილი და კარებზე ხელების ბრახუნი:

— Открой сейчас-же. Мерзавец ты дома — дверь изнутри запер. Я всё видела и всё знаю, открой!

გალაკტიონი მაშინაღურად კარებს აღებს. მუყაოს კედელზე მიადებს და წერას განაგრძობს. ოლია ღია კარებში შევარდება და აქეთ-იქით წრიალს იწყებს

— Я ей покажу. Где она, покажу как на чужих мужей вешаться надо! Где, где, где она!

გალაკტიონი არაამქვეყნიური გამომეტყველებით მოიხედავს და არ იცის, რა ხდება. ოლია კი გაზეთის კიდეზე კითხულობს:

„ტოტებში ავობს ბებერი ქარი ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს“ და ა.შ.

ხანდაზმულ გალაკტიონს გამოეყოფა ახალგაზრდა გალაკტიონი, რომელიც ოლიას მიუახლოვდება და მის უკან გაჩერდება. ოლია თავდავინწყებით ლექსს ბოლომდე ჩაიკითხავს, აღფრთოვანებული მაგიდაზე ადის, ახალგაზრდა გალაკტიონს ყელზე მკლავებს შემოაჭდობს, სახეს გამალებით უკოცნის და ეუბნება:

„...Оказывается как я тебя люблю Галл, безумно, милый родной ты мой. Господи как жаль что я спешу (საათზე იხედება) — через час на несколько дней уезжаю в командировку, умоляю прости, это не ты а я, я мерзавка виновата во всём, не верь ничему не верь... если от меня плохого слышал.

ისინი თავდავინწყებით ეხვევიან ერთმანეთს. ხანდაზმული გალაკტიონი სკამზე ზის, სადღაც იყურება და აბოლებს.

გალაკტიონს საშინელი სიზმარი ესიზმრება: პატარა ეკლესია გადაიხრება და ლამისაა უნდა წაიქცეს. გალაკტიონი ხელით მსუბუქად შეეხება და ასწორებს. ეკლესია მეორე მხარეს გადაიხრება და ისისაა მთლიანად უნდა გადანწევს, რადგან მას გალაკტიონი უკვე ველარ ამაგრებს,.. გალაკტიონს უნდა იყვიროს. ვილაცას მოუხმოს. პირს აღებს — ხმა არ ამოდის. საფლავებიდან ჩონჩხები დგებიან და

მხრებით შეუდგებიან ეკლესიას.

— ჯოჯოხეთში შესვლა არც ისე საშინელებაა, როგორც ბევრ ცოცხალს გონია, — ეუბნება ერთი მეორეს.

— კუპრის ზღვაში და ცეცხლის მორევში ცურაობა სჯობს იმ ათასწიარ დამცირებას, რომელსაც ცოცხლები განიცდიან,..

— ჩვენ ცოცხლებს ვჯობივართ ყველაფერში — დაბეჯითებით ამტკიცებს პირველი ჩონჩხი და მეორე ეთანხმება.

— მე სირცხვილით გავწითლდი (ამბობს სიზმარში გალაკტიონი).

— აი, თუნდაც შენ, — მიმართავს ერთი ჩონჩხი გალაკტიონს, — ნუ გენყინება და, ახლაც თუ მე შენ არ გჯობდე, დამიმტვრიე ეგ ძვლები! ჩონჩხი ლექსს ამოიღებს და პათოსით კითხულობს, მაგრამ მის ძვლებს ერთმანეთზე ისეთი ჭახა-ჭუხი გაუდის, კითხვის ხმა იკარგება. ჭერში გიჟი ქალის და ქუჩაში ტროლეიბუსის ერთდროულ ხმაურზე გალაკტიონი თვალებს ახელს. ის სავარძელში გაუნძრევლად,.. (როგორც იჯდა) ისევე ზის. თითქოს კი არ ეძინა, არამედ რალაცისკენ გულისყურით იყო მიპყრობილი. გალაკტიონი მუხლზე გადაშლილ უბის წიგნაკს კითხულობს, თან გვესმის ოლიას ხმა:

„Галл любимый забежала перед отъездом. Очень захотела ещё раз повидаться с тобой. Уезжаю через полчаса. Спи, не стану будить. Целую.

Твоя Олол“

გალაკტიონი უკვე ქუჩაშია. უახლოვდება მარჯანიშვილის თეატრთან „Союз печать“-ის ჯიხურს, სადაც ოთხხუთკაციანი რიგი დგას.

გალაკტიონი ამჯერად ფანქარს მოიძარჯვებს, უბის წიგნაკის კითხვას აგრძელებს — მაშ ასე, 9 ნოემბერს საღამო მარჯანიშვილის თეატრში (მანამდე რკინიგზელთა სახლში) მარჯანიშვილის თეატრი იტევს 835 მაყურებელს. პარტერი — 550-ს, მარჯვენა და მარცხენა გვერდის ბალკონები — 71-ს, თვით ბალკონი 218-ს. სულ — 779. ჰმ! საიდან გამოტყვერა 835? (უბის წიგნაკში დაანგარიშებულია 835),...რანაირი ანგარიშია ახლა ეს? პირველი ანგარიში რომ შეცდომით დავინყე, ვერაფერი კარგის მაჩვენებელია! (ფანქრით

ქურა მომხვდა თავში, — ოხუნჯობს გალაკტიონი. სკამზე ჩამოჯდება.

ადმინისტრატორი: — ცუდადაა საქმე, ბატონო გალაკტიონ. ხუთი-ექვსი კაცია დარბაზში. აფიშები ჩამოუხევიან ვილაცას. რადიოშიც არ გამოუცხადებიათ.

გალაკტიონი პაპიროსს ამოიღებს. ცდილობს აანთოს ასანთი და ვერ ანთებს. ემტვრევა. ადმინისტრატორს მიაწვდის:

— მომიკიდე, ერთი ბიძიკო. რომელია საათის, დროა ხომ,.. რომ დავინყოთ — ადმინისტრატორი აუნთებს ასანთს. გალაკტიონი ნაფაზს დაარტყამს და სიგარეტს ადმინისტრატორს მიაჩჩებს.

— დამიჭირე ეს, ძამიკო. თავისი პორტფელით კულისებიდან იგი პირდაპირ სცენაზე გადის.

პარტერში ხუთი კაცი ზის. გალაკტიონი დიდხანს გაჩუმებულია. შემდეგ, მორიდებით იწყებს:

— ძვირფასო, ამხანაგებო, უღრმესი მადლობა მინდა მოგახსენოთ აქ მობრძანებისათვის. დღევანდელი საღამო არ ჩატარდება სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე, რისთვისაც გიხდით ბოდიშს. ბილეთების საფასურის დასაბრუნებლად შეგიძლიათ მიაკითხოთ თეატრის საღაროს... გიხდით უღრმეს ბოდიშს და მადლობას... გალაკტიონი სწრაფი ნაბიჯით სცენას ტოვებს და კულტურის სახლიდან გამოდის. მიდის თავის აფიშასთან.

— საქმეა ახლა ეს?

აკანკალებული ხელით ამოიღებს პაპიროსის კოლოფს. გახსნისას ძირს დაუვარდება. პაპიროსები გაიფანტება. მისკენ მოდის პატარა გოგონასთან ხელჩაკიდებული ინტელიგენტური შესახედაობის ქალბატონი. გოგონა დედას ხელს გაუშვებს, გალაკტიონთან მოირბენს და პაპიროსების აკრეფას იწყებს. ქალი დაუყოვნებლივ მივა, ბავშვს გამოართმევს ძირსნაყარ პაპიროსებს და გალაკტიონს ეტყვის:

— ერთი წუთით, ბატონო, ერთი წუთით,.. ქალი პაპიროსებს ნაგვის ურნაში ყრის და ჯიხურთან თამბაქოს საყიდლად მიდის. გოგონა გალაკტიონთან რჩება. გალაკტიონი მას თავზე ხელს გადაუსვამს. დაიხრება. შუბლზე ეამბორება და ყურში ჩასჩურჩულებს: „პატარა გოგო-

ნებს, საერთოდ, გენიალური შუბლი გაქვთ“ (ცოტა ხნის შემდეგ ისევ ეუბნება გოგონას: „შენს ამხანაგებს უთხარი, გალაკტიონი გავიცანი-თქო“).

ხელში რამდენიმე პაპიროსით, ქალი უკან ბრუნდება.

— ინებეთ, ბატონო.

გალაკტიონი: — რატომ წუხდებით, თქვენ ხომ მე,.. (საერთოდ) არ მიცნობთ.

ქალი: — იცოცხლეთ, ბატონო გალაკტიონ, დიდხანს იცოცხლეთ.

გალაკტიონი: — ეჰ, ჩავედი აბა მე სანყალი კაცის აფთიაქში. ჩადის სარდაფში.

(გალაკტიონი მეზუფეტეს): — დამისხი ერთი ჩემი „ლეკარსტვა“. მეზუფეტე უსხამს, მოართმევს პურს და მწვანელს, რომელსაც გალაკტიონი გვერდით განევს. არაყს გადაჰკრავს და პალტოს სახელოს დაყნოსავს. კადრში მეზუფეტე 180 გრადუსით გადაიხრება. გალაკტიონი თავზე ხელს მიიღებს: „უჰ, რა მჭირს კაცო“.

ქურის ბოლოში კედელს მიეყრდნობა. გარშემო ყველაფერი ნისლოვანებითაა მოცული. შავებით შემოსილი მოხუცი ქალი მიაშურებს:

— შვილო, ცუდად ხომ არ ხარ?

გალაკტიონი მას დედას მიახლოვდება.

გალაკტიონი: — ვერ ვივარგე დედა. მოხუცი ქალი მას საყელოს საკუთარი ქინძითსთავით უკრავს.

— წადი სახლში, შვილო, — დაუყვავებს ქალი, — ასე გაცივდები.

გალაკტიონი ხელზე აკოცებს და მიდის.

შედის სადარბაზოში. კიბეზე ადის. მისი ნახატი — დონ-კიხოტი გაცოცხლდება. ნისქვილზე აწერია „მწერალთა კავშირი“, მბრუნავ ფრთებზე უსახური ნიღბებია მიმაგრებული. მოქმედება ველზე ხდება. გალაკტიონი როსინანტზე ზის, სანჩო მუშტების ქნევით მას ფეხდაფეხ მისდევს — ისინი (ჩვენგან) ხან რა და ხან რა სიშორეზე ჩნდებიან. დონ-კიხოტი რომ აქვეა, სანჩო მინდვრის ბოლოში ჩანს და პირიქით. ქარის ნისქვილისკენ მიექანებიან. „იუბილე, იუბილე, მხოლოდ ოპერის თეატრი და სხვა არაფერი!!! გალაკტიონის რვატომეული უნდა გაერთიანდეს ერთ დიდ ხუთასგვერდიან ანთოლოგიაში,..“ — ყვირის სანჩო, მუშტებს უღერებს და იმუქრება.

ნისქვილის ფრთებზე დაკიდებული ნიღბები ყაყაბებენ: „ოპერის თეატრი — არავითარ შემთხვევაში, რისი ანთოლოგია,.. რვატომეულიც მიქარვაა, არავის არ ჰქონია რვატომეული ქართულ პოეზიაში!“

ქარის ნისქვილს მიღწეულმა გალაკტიონ-დონ-კიხოტმა ისაა შუბი ნიღბებზე უნდა გადაამსხვრიოს, მაგრამ მივა თუ არა ნისქვილამდე, ყველაფერი თავიდან იწყება: ყოველი გამორბენისას სანჩო და დონ-კიხოტი ერთმანეთს ცვლიან (მაგალითად, თუ გალაკტიონი როსინანტზე ზის, სანჩო ფეხით მისდევს, როცა სანჩო როსინანტს მოაგელვებს, გალაკტიონი ფეხით გამორბის და ა.შ.) თან იმუქრებიან და ხან რას და ხან რას ითხოვენ. „გალერეაში გამოფენაა, ძველი ოპერის თეატრის გვერდით გალაკტიონის მარმარილოს ბიუსტი, გალაკტიონოლოგიის ინსტიტუტი, მწერალთა ბიბლიოთეკას მიენიჭოს გალაკტიონის სახელი, ყველა თეატრში გადმოკიდებული იქნას დროშები, სამეცნიერო სესია აკადემიაში, მტკვრის მარცხენა სანაპიროს დაერქვას გალაკტიონის სახელი, სამტრედიას — საგალაკტიონო, დაჯილდოვდეს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე საკუთარი ავტომობილით!!!“

უსახური ნიღბები არ თანხმდებიან. უსტვენენ. დგას ღრიანცელი. გალაკტიონი თავისი ბინის კარებს „კლიტით“ ველარალებს და კარებზე მუშტებს უბრაახუნებს.

— რა ამბავია, ჩამეიღეთ ბარემ კარი! — ისმის შიგნიდან ნინას ხმა.

— მე ვარ ნინა ქალო — **Король поэтов!**

ნინა კარებს ალებს. გალაკტიონის თვალთახედვით ნინა 180 გრადუსითაა შემობრუნებული.

— ადამიანო, შენ მთლად გადადი ქუეიდან? — საყვედურობს ნინა.

— აღარც ბავშვია შენთვის, აღარც დიდი, მთელი ღამე ფეხზე გავათენეთ.

გალაკტიონი ხელებს ასავსავებს. დახრა 180 გრადუსით.

— რა დახრა, ადამიანო, ჩეიხედე სარკეში.

„...უჰ, რა მჭირს კაცო“ — თავზე ხელს იდებს გალაკტიონი. პალტოს იხდის, მაგრამ საკიდს ვერ უმიზნებს.

ნინა იატაკზე დავარდნილ პალტოს საკიდზე კიდებს და ხელმკლავით ცდილობს

გალაკტიონი ოთახში შეიყვანოს. გამოდის ნუნუ (მას გალაკტიონის პიჟამო აცვია) ხელში ღამის ქოთნით.

— უჰ, ინებეთ მობრძანება! თქვენი გულისთვის მთელი ღამე არ უძინია დედაჩემს.

გალაკტიონი: — დახრა 180 გრადუსით. გაიზარდა ნინუცა.

— სულ გაგიჟდა ეს კაცი, — ჩაულაპარაკებს ნუნუ დედამისს, — საავადმყოფოშია დასანვენი, შეხედე რა დღეშია.

იგი ქოთნით აბაზანისკენ მიდის.

გალაკტიონი: — რას შობა ჩემი ბაბუკა, რას შობა! — გალაკტიონს (ბავშვის ოთახში უნდა შეიხედოს) არ უშვებენ. ნინა უკან ექაჩება:

— გამოდი აქეთ.

გალაკტიონი თვალებს ახამხამებს, მერე შუბლზე მიიდებს ხელს და ნინას ეუბნება:

— ვერ ვარ რაცხა კარგად.

— ნამდვილი „ბროდიაგა“ ხარ. არავის აღარ გრცხვენია? მალე მწერალთა კავშირიდანაც გაგრიცხავენ (ოთახისკენ უბიძგებს),.. შედი შე, ...მანანალა! გალაკტიონი ღია ფანჯარასთან მიდის და ხრიალებს: — ჰა-ა-უ-ე-ე,..

ნუნუ: — რა ამბავია, რა დღეში ხართ! არა, ასე ცხოვრება არ შეიძლება. ხვალვე ნავიყვან ბავშვს აქედან. სიგიჟეა, პირდაპირ. შედის ოთახში. გალაკტიონი ადგილზე ქანაობს. ნინა მიათრევს ლოგინთან და დასვამს.

— გაიხადე ახლა,.. მთლად ტალახში ხარ ამოთხვრილი. ნინა ხდის ფეხსაცმელს, შარვალს. გალაკტიონი რჩება ქვედა საცვალში, „საროჩკაში“ და პიჯაკში, რომელზედაც ლენინის ორდენი აქვს.

— დაიძინე. — ნინა კარისკენ მიდის. შემობრუნდება.

— ხმა აღარ გავიგო შენი... (გადის) კარს ნელა ხურავს.

გალაკტიონი: — არ ჯობდა, სულ არ მოვსულიყავი? „ლენინური პრემია, ლენინური პრემია...“ ნინა შემოიხედავს. კადრი ისევ დაიხრება. გალაკტიონი ისევ დაიდებს ხელს თავზე.

— დახრა 180 გრადუსით.

ნინა შემოდის ოთახში. გალაკტიონი სანერი მაგიდიდან აიღებს გაზეთ

„Литературная газета“-ს.

— ა,.. აქ არის, ლენინურ პრემიაზე წარდგენილთა სიაში შენც ხარ,.. მიუგდებს გაზეთს და გადის ოთახიდან.

კადრი არ სწორდება. გაზეთი ამოტრიალებულია. გალაკტიონი კითხულობს: „**На соискание ленинской премии в области литературы и искусства выдвинуты...** სულ 33 კაცი,.. უყურე შენ, არადა, ამბობდენ წამყვანი პროზა იქნებაო, „ჰმ“ შემოდის ნინა. ოთახი ყირავდება. გალაკტიონი ამბობს:

— დახრა 180 გრადუსით. ნინას ლანგარით შემოაქვს ჩაი. მოხარული კვერცხი. პური. მურაბა და სანოლთან დაუდგამს.

ნინა: — რა ამეიჩემე რაცხა დახრა,.. მთლად გადვირე თუ რა. რადიოში,.. მწერალთა კავშირიდან დარეკეს,.. შენ ხომ ვერ მოგიხელთებს კაცი! რა დროა ახლა თუ იცი? გაგიგონია ღამე სადმე საუზმე? შენ ვერა კაცი ვერ გაგიძღვს ჩემს გარდა, აუტანელი ხარ. — გადის.

გალაკტიონი თვალეზე ხელს მიიფარებს.

— ვერ ვარ რაცხა კარგად. ხელს მოიშორებს, ოთახი სწორდება. რატომღაც პიჯაკის უბის ჯიბეში თითებს ჩაიყოფს და იქიდან მოულოდნელად, მაგრამ თითქოს განგებ ოლიას საპასპორტო ტომის სურათს ამოიღებს. სათვალეებს გაიკეთებს, თვალზე ცრემლი მოადგება.

— ოლოლ, ოლკინ, ოლია...

* * *

„...ყველაფერი მრგვალი ვაშლია განა“
გალაკტიონის უბის წიგნაკიდან

მატარებელი ძალიან ნელი სვლით შემოდის სადგურში და ჩერდება. გალაკტიონი გაჩერებამდე მოკრავს თვალს ვაგონის ფანჯარასთან მომდგარ აფორიაქებულ ოლიას სახეს და გული რალაც ძალიან ცუდს უგრძნობს. ოლიას ორი დიდი ჩემოდნის გადმოტანაში ვილაცები დაეხმარნენ.

„გალ, ძვირფასო, გამაგრდი,.. ბედნიერი ვარ რომ კიდევ ერთხელ გეხები,.. ცხელი სუნთქვა ყურთან ახლო მიუტანა ოლიამ. სხვისთვის შეუმჩნევლად წასჩურჩულა,

ყელზე ხელი მოხვია და ცივი ხელის გული სახეზე ნაზად გადაუსვა.“ იმდენად ბევრის მთქმელი იყო ოლიას ასეთი მოქმედება, გალაკტიონს ნებისყოფის დაძაბვა დასჭირდა, ცრემლი დაემალა. გალაკტიონი იღებს ორივე ჩემოდანს. ერთი,.. ტროსტთან ერთად უჭირავს. ამიტომ ეს ტროსტი ხან ერთ გამვლელს წამოედება, ხან მეორეს. ბოლოს ერთი მათგანი, ისე დაეჯახება გალაკტიონს, ტროსტსაც და ჩემოდანსაც ხელიდან გააგდებინებს. ოლია მივარდება გახსნილ ჩემოდანს და თავისი ავადმყოფი ხელით ყველაფერს შიგ ჩაყრის. შეკრავს და ტროსტსაც და ჩემოდანსაც თვითონ დაიჭერს.

საერთო აურზაურში, ოლიასთან მიდის ოთხი ჩეკისტი. (შენიღბული სიმშვიდით) ჩამოართმევენ ტროსტს, ჩემოდანს და ისე აპატიმრებენ. გარეშე თვალი ვერც კი მიხვდება, რა ხდება. მიჰყავთ. ოლია მხოლოდ გადახედავს გალაკტიონს, მაგრამ ვერ ახერხებს რამე უთხრას. გალაკტიონი მხოლოდ ერთი ჩემოდნით ხელში მისდევს ოლიას. ოლიას მანქანაში სვამენ და კარს უკეტავენ. უკანასკნელად გისოსებს მიღმა ჩანს ოლიას სახე. გალაკტიონი გაოგნებული დგას ჩემოდნით ხელში. თითქოს ვერც კი გარკვეულა რა მოხდა. მანქანა მიდის. გალაკტიონმა არ იცის რა ქნას. მიუახლოვდება 15 წლის ბიჭი და შესთავაზებს:

— ბიძია მუშა გინდა? ორ მანეთად წავიღებ. გალაკტიონი აძლევს ორ მანეთს. ბიჭი და ჩემოდანი ქრება. გალაკტიონი იქით გარბის, საითაც ოლია წაიყვანეს.

* * *

გალაკტიონი მიდის ოლიასთან სახლში. აქ მას ხვდება ოლიას ლოგინად ჩავარდნილი დედა და უმცროსი ძმა (ვასიკო), რომელიც თვითონ, სულიერად ავადმყოფია. ყმანვილს ხელში უჭირავს ავადმყოფი დედის უძღური ხელი, გალაკტიონს თვალმოუშორებლად უყურებს და შიშის-მომგვრელად იღიმება.

სასტიკად დაცარიელებულ სახლში სამარისებური სიჩუმეა.

— Вот, только его оставили, — ბიჭზე მიუთითა ქანცმილეულმა ქალმა და თვალეები დახუჭა.

გალაკტიონი რამდენსამე ხანს ზის მწოლიარე ქალის სასთუმალთან და ხმას არ იღებს.

ბოლოს ასევე, უსიტყვოდ, დგება და მიდის.

* * *

შინსახკომის შენობა. მილიციელები გალაკტიონს თხოვენ პირადობის დამადასტურებელ საბუთს. გალაკტიონი წარუდგენს. მილიციელები მას აგზავნიან მესამე სართულზე ვინმე ფ-სთან.

გალაკტიონი კიბეზე ადის. გაუცხოებულ საწყარო. ირგვლივ უამრავი ფორმიანი ირევა. კაბინეტში ორნი სხედან, ახალგაზრდა ქალი და შუა ხნის მამაკაცი, რომელიც გალაკტიონს ანიშნებს, რომ ის მის მახლობლად დაჯდეს.

— გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძე არა?

— ...დიახ, დიახ, ... სახალხო პოეტი.

მამაკაცი გალაკტიონს გამომცდელად მიაშტერდება, თითქოს ამონმებს სწორად პასუხობს თუ არა.

მამაკაცი: — თქვენი მეუღლე ოლია სტეფანეს ასული ოკუჯავა დაპატიმრებულია ტროცკისტული საქმიანობისათვის... მასალების შესწავლისას (ამჯერად მამაკაცი უფრო მკაცრი დამაჯერებლობით შეხედავს გალაკტიონს და ერთხელ უკვე თქმულს მეორეჯერ იმეორებს.) დაპატიმრებულის დოკუმენტების შესწავლისას ერთ-ერთ დოკუმენტზე თქვენი ხელმოწერა აღმოჩნდა. საქმეში უფრო საფუძვლიანად გარკვევის მიზნით მიღებულია გადაწყვეტილება, ჩატარდეს თქვენი ექსპერტიზა: მბეჭდავ ახალგაზრდა ქალს მოაქვს ფურცლები, მელნით გაჟღენთილი ღრუბელი და გალაკტიონს თითების ანაბეჭდს უღებს. ხოლო შემდეგ რამდენიმეჯერ მდგარ და მჯდარ მდგომარეობაში მის ხელმოწერას აფიქსირებს. ყოველი ანაბეჭდის ალებისას გალაკტიონი, თითქოს, რაც ხდება იმის დასტურის ნიშნად, ამბობს: — დიახ, დიახ.

ამ პროცედურის დასრულებამდე უფროსმა: („უკანასკნელი ცნობების დრო მოსულაო“) რადიო ჩართო. ამ დროს (სრულიად შემთხვევით) აღმოჩნდა რუსეთიდან გალაკტიონზე გადმოსცემდნენ, გალაკტიონი დაიძაბა.

— თქვენზე გადმოსცემენ? — გაკვირვებულმა შეხედა გალაკტიონს უფროსმა და ხმას აუწია.

— დიახ, დიახ, — დაიძაბა გალაკტიონი. ყურთასმენად იქცა — დიდებულია, დიდ საბჭოეთს ახსოვს გალაკტიონი!

დიქტორი ამბობს:

„Галактион Табидзе занимает выдающееся место в современной Грузинской поэзии. Г. Т. является одним из крупнейших мастеров советской лирики. Народный поэт Грузии, действительный член Академии Наук Грузинской ССР, художник богатой творческой фантазии, тонкого вкуса и высокого мастерства, народный поэт Грузии единогласно оцениваемый грузинскими поэтами как первый и значительный из них, все еще доведен до русского читателя в совершенно недостаточной степени, меньшей чем некоторые гораздо менее значительные поэты. Союз писателей СССР единогласно поддерживает кандидатуру Галактиона Васильевича Табидзе на соискание Ленинской премии“.

დიდებულია, დიდებული! — ადგილიდან წამოხტება გახარებული გალაკტიონი და აღფრთოვანებული ნათქვამს ისევ იმეორებს: — დიდ საბჭოეთს არ ავიწყდება გალაკტიონი, რომელმაც პირველმა შემოიტანა ლენინის სახე და რევოლუციური მოტივი ქართულ პოეზიაში!... — ის აღფრთოვანებით ართმევს ხელს ჯერ მემანქანე ქალს, შემდეგ ფ-ს, რომლებიც გალაკტიონს ამ შემთხვევაში ფეხზე წამოუდგებიან და უცხადებენ, რომ ის ახლა თავისუფალია და შედეგს სახლში შეატყობინებენ. გალაკტიონი მათ კიდევ ერთხელ მონივნით უხდის შლიაპას და აღფრთოვანებული კაბინეტიდან გარეთ გამოდის.

კიბეზე ოლიას ნაცნობი- მეგობარი ხვდება.

— ო, ანა — ანიჩკა! — რატომ არ მოისმინე დიდებული, დიდებული გადმოცემა იყო ჩემზე მოსკოვიდან.

ანა გაკვირვებული უყურებს გალაკტიონს და ვერ გაუგია რა ხდება.

— დიდი საბჭოეთი აღფრთოვანებულია

გალაკტიონით, რომელმაც პირველმა შემოიტანა ლენინის სახე და რევოლუცია ქართულ პოეზიაში.

ანა: — როდის მოხდა ეს ამბავი?!

გალაკტიონი: — ამ წუთში ა, — ხელს იშვერს ფ-ს კაბინეტისკენ — თანაც მეორეჯერ ჩავაბარე გამოცდა სუფთა წერაში! — ამჯერად უკვე დაუფარავი ირონიით ამბობს გალაკტიონი, თუმცა იქვე ნანობს, ასე რომ თქვა, რადგან ამჩნევს, — ანამ მისი ხუმრობა ვერ გაიგო, ან გაიგო და თავი შორს დაიჭირა.

ანა: — გალაკტიონ, ახლა ვაჟკაცობაა საჭირო.

გალაკტიონი: — დიახ, დიდებულად თქვი,.. შენ ეგ...

ანა: — მიდი სამმართველოს უფროსთან და აიღე ნებართვა პაემანის მოწყობაზე.

გალაკტიონი: — რა თქმა უნდა მივალ და კარადასაც გადავიტან მწერალთა კავშირში.

ანა: — თქვენ, როგორც გამონაკლისს, უარს არ გეტყვიან... ასევე (ხმას დაუნევეს ანა) ჩამოუარეთ თქვენს გავლენიან მეგობრებს,.. თუ მოინდომებენ მაგათაც შეუძლიათ (რამეში) წაგადგნენ.

გალაკტიონი: — მართალი ხარ, აუცილებლად ვიზამ მაგას.

* * *

შინსახკომის უფროსის კაბინეტში გალაკტიონს არ ღებულობენ.

მდივანი: — უფროსი დღეს ვერ მიგიღებთ, დაწერეთ ოფიციალური განცხადება და პასუხს შეგატყობინებთ...

* * *

გალაკტიონი ალებს დარაბებს. დაინახავს აფოს აქანდაზითა და ცოცხით ხელში, ქურთის ქალს ელაპარაკება. გალაკტიონი ფანჯარას ალებს და დაუძახებს, ხელით ანიშნებს, ამოდის. აფო შემოდის.

— ნუხელის აქ ვიყავით, გეძებდით, — თქვა აფომ.

— ვინა, — გაუკვირდა გალაკტიონს.

— მთელი ჩვენი ბიჭები, გახარებულები ვიყავით...

— მოისმინეთ? — გაეხარდა გალაკტიონს.

— არა, ჩვენ აბა სად მოვისმენდით, მაღაზიის დირექტორმა ფეხზე დაგვაყენა: „ვა ეს რა კაცი შემომოსიაო, თანაცო, რადიომ გადმოსცა მისი დაბადების დღე ყოფილაო“. გული კი დაგვწყდა, რომ არ გამოჩნდი,.. მაგრამ შევუბერეთ გაგიხარეიან, სულ მარტო შენს სადღეგრძელოს ვსვამდით, ასე როგორ დაიბადაო.

გალაკტიონი კარადის უკნიდან ნახევარ ბოთლ არაყს ამოიღებს და ორ სირჩას გვერდით მიუდგამს.

— გუშინ მეც დავლიე, მაგრამ მარტომ. ხანდახან კარგია ასე დაბადების დღის აღნიშვნა — დასაყოლებელი არაფერი მაქვს მარა მათი აფერია — „**За ваш большой успех и...**“ (რალაც კიდევ უნდოდა ეთქვა, მაგრამ გალაკტიონმა ხელით ანიშნა, არ გინდაო).

სიტყვაუთქმელად გადაჰკრეს. აფომ უბიდან ახალნაყიდი ლავაში ამოიღო და დააყოლა, გალაკტიონმა ლუკმა მოტეხა და სირჩის გვერდით დადო.

გალაკტიონი: — **Меня давно избрали главным поэтом, а теперь председателем секции поэтов.** (გრძელი სიტყვისთვის მოემზადა გალაკტიონი, მაგრამ უცებ მოკვეთა და თქვა — **Нужно шкаф перенести в Союз писателей в мой кабинет и сейчас-же** — უზარმაზარ კარადაზე მიუთითებს გალაკტიონი).

აფო: — **Только,.. двадцать минут, чтобы ребят позвать. Всё,.. Галактион Василич будет как надо.** აფო უკანმოუხედავად გადის. გალაკტიონი კმაყოფილია. თავის სირჩაში დარჩენილ არაყს ხელის გულზე დაისხამს და წვერებს შეიზულს.

კარადა იძვრის, გალაკტიონი წინ მიუძღვის. „ფრთხილად ძამიკოებო“

— სალამი შენი ძამიკო, — ეუბნება გალაკტიონი დარაჯს — ფართოდ გააღე კარები, კარადა მოგვაქვს, ვინრო კარებში ის არ შემოეტევა. გალაკტიონი შედის ფოიეში. მწერალთა კავშირში დიდი ფაციფუცია, ხან სად, ხან სად, კრთებიან უსახური ნიღბები.

— რა ხდება აქ ძამიკო, მე მხვდებიან ზარ-ზეიმით? — კითხულობს გალაკტიონი.

ნიღაბი: — უკრაინის დელეგაციას ველოდებით, გოგოლის იუბილეა.

გალაკტიონი: — უჰ, ეს რა მითხარი, კაცო.

— თქვენი სალამო როდისაა, ბატონო გალაკტიონ?

გალაკტიონი: — (შეუსწორებს) სალამოც, იუბილევც, დაბადების დღეც რომელიც გუშინ იყო.

— 17 ნოემბერს, — დააკონკრეტა მეორე ნილაბმა.

— ნოემბერს თუ ოქტომბერს, — იკითხა პირველმა.

— ნოემბერს, ნოემბერს, — თქვა უნილბო სახემ.

— კარგია, სანამ აცივდებოდეს, — თქვა პირველ-მეორე ნილაბმა.

— რა მნიშვნელობა აქვს სალამოს აცივდება თუ არა.

მესამე შემხვედრი ნილაბი:

— დიდებული ლექსი წავიკითხეთ თქვენი გუშინ და გადმოცემაც მოვისმინეთ მოსკოვიდან,.. პლატონმა დამირეკა.

გალაკტიონი ხითხითებს:

— ხომ კი, ხომ კი,.. ყოჩაღ ძამიკო შენც და პლატონიც.

გალაკტიონი ადის ვრცელ დერეფანში. ვილაცები ჩაუქროლებენ, თითქოს მას ვერ ამჩნევენ. საიდანღაც შემოეგებება მნიშვნელოვანი ნილაბი, რომელიც პოეტ იოსებ გრიშაშვილს ჩამოგავს.

გალაკტიონი: — ო, ვეფხვო, ვეფხვო.

მნიშვნელოვანი: — რალა გიჭირს, მოსკოვს აქეთ პირველი ხარ...

— მოსკოვს იქით, — ხითხითებს გალაკტიონი.

— იქით დიდი ხანია არ ვყოფილვარ,.. მოსკოვს აქეთ,.. პირველი პოეტი ხარ.

— თვითონ მოსკოვი მოსკოვს აქეთაა თუ იქით — ხითხითებს გალაკტიონი. უცებ შორიახლოს ჩამავალ ვადბოლსკის ამჩნევს.

— ვადბოლსკი მიშა, Подойди, свидетелем будеш. Вот Иосеб говорит. что я первый поэт Грузии. Запомни и передай своим детям. что Иосеб так сказал, — გალაკტიონი ხითხითებს.

ხვდება ძალიან მნიშვნელოვან ნილაბს — ირაკლი აბაშიძეს.

ნილაბი: — გალაკტიონ თუ ძმა ხარ უსათუოდ მიდი მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტში.

— სამივეში ერთად? — ხითხითებს გალაკტიონი.

— როგორაა ჩემი წიგნის საქმე?

— ჯერ-ჯერობით ცეკამ ინგოროყვა დაგვიწუნა, ბრძანეს უკან წაიღეთო.

— კი მარა, მე ტაბიძე ვარ, რა ჭირს ტაბიძეს და ინგოროყვას მაგათი დასაწუნი.

ვილაც, საქალაქდებიანი ქალი :

— ბატონო გალაკტიონ, რალაც არეულობაა შესასვლელში, თქვენ გეძახიან,..

გალაკტიონი: — უხ,.. სულ დამავიწყდა შკაფი. პირველიდან მეორე სართულზე ასასვლელ კიბეებზე დიდი არეულობაა. კარადა, კიბეზე, სართულებს შორისაა გაჩხერილი. მწერლები აღშფოთებულები არიან, პოეტებიც, კრიტიკოსებიც. არის ერთი გადაძრომ-გადმოძრომა კიბეებზე რალაცეების გადანოდებ-გადმოწოდება, უკმაყოფილო შეძახილები:

— ვისია ეს ოხრობა, რა უნდა აქ.

ოფლში გახვითქულ აფოს გაუხარდა გალაკტიონის დანახვა

— Галактион Василич что делать застопорились, ვერ ეტენება რა.

ვილაცა თეფშებით დატვირთული ზემოდან გააფთრებული ყვირის:

— ჩაათრიეთ, ქვევით ჩაათრიეთ.

გალაკტიონი: — ქვევით არა, ზევით, ზევით, მივეხმაროთ ძამიკოებო, მივეხმაროთ და ავიტანოთ. მწერლები მიესევინა და ეჯაჯგურებიან. ცდილობენ, აიტანონ.

გალაკტიონი ბანცალით შედის სადარბაზოში. აბესალომის ხმა კიბის ზემოდან:

— ასე როგორ დაგვივიწყე?

გალაკტიონი არ ელოდა.

— ოჰ, აბესალომ, ვეფხვო, აქა ხარ?

— მე კი ვარ, შენ სად ხარ. ასე როგორ დაგვივიწყე, სრულებით რომ არ კითხულობ ჩვენს ამბავს: ცოცხლები ვართ, მკვდრები ვართ, რა დაგვემართა? ერთი დღით მაინც ჩამოსულიყავი. ან წერილს, ...რა თავი უტკიოდა.

გალაკტიონი აღებს ბინის კარს. აბესალომის კალათს ხელს წამოავლებს და შედის.

— დიდი ამბებია სოფელში. ჩვენ, მარტო ეზო და სახლ-კარი დაგვიტოვეს (ამბობს აბესალომი) ან სამსახური ან კოლექ-

ტივში მუშაობაო. სახლის გაყიდვას ვფიქრობთ. თან,.. დედაც ვერაა კარგად. ფეხზე ველარ დგება. გალაკტიონის კაბინეტში შედიან.

გალაკტიონი: — ნამეტანი ცუდადაა?

აბესალომი: — მაგას არ გეუბნები? ველარ დგება. ვე-ლარ დგე-ბა დამარცვლა აბესალომმა (სიჩუმე ჩამოვარდება).

— ერთი ის მითხარი, იმ წერილში მთავრობას რომ ვთხოვდი შუამდგომლობას, რა ქენი?

გალაკტიონი: — რა წერილზე მეუბნები, არაფერი ვიცი.

აბესალომი გაცხარდება: — რა არ იცი? (ნამოიყვრება აბესალომი) აქ შემოგიცურე კარებში. მე და ნოდარი ვიყავით, მარა არ იქნა,.. აბესალომი ოთახში გაივლ-გამოივლის. მიადგება ფანჯარას რომელ-ზედაც უამრავი ფურცლებია გაკრული, ზოგი წვიმისგან დაცურებული და მელან-გადასული. თავის წერილს დაინახავს.

— ა, ჩემი წერილი.

წერილს სანახევროდ სხვა ფურცელი ფარავს.

გალაკტიონი: — უყურე შენ, იწყებს ფურცლის ჩამოღებას, ნელ-ნელა ხსნის.

— მარა ეს წერილი ადრე არ იყო?

— მერე?

— მთლად გადამავიწყდა კაცო მაგ საქმე, მარა შენს მაგიერ დავწერე განცხადება. საცხა იქნება ამ წიგნებში.

ავტობუსი (თბილისი-ვანი) გაჭედლია მგზავრებით. აბესალომი უკანა სკამზე ზის. გალაკტიონი მის წინ დგას. აბესალომი ბულკს ჭამს და სთავაზობს გალაკტიონს.

— ა,..

გალაკტიონი: — არა, არ მინდა,

ავტობუსი მიჯაყჯაყებს. ერთი გლეხი გალაკტიონს მისჩერებია. დაიჭერს თუ არა მის მზერას ეტყვის:

— უიმე, ნამეტანი ნაცნობი სახე გაქვთ თქვენ.

გალაკტიონი: — რა ვიცი, ბიძიკო.

გლეხები გახსნიან ჭაჭას. ჩამოასხამენ და დაილოცებიან.

— ამით მშვიდობას გოუმარჯოს და ჩვენს პარტიას. ნაცნობი გლეხი, ამჟამად,

გალაკტიონს სასმისს აწვდის.

გლეხი: — დაგვილიე ერთი ჭიქა, შინაური ჭაჭაა.

— შინაური ჭაჭაა. აქაურია ხომ?

— გახლავთ.

გალაკტიონი ჩამოართმევს „გაგიმარჯოთ ამხანაგებო“ და გადაჰკრავს. პურს და ყველის ნაჭერს შეაშველებენ.

შექეიფიანებული გალაკტიონი ყველას გასაგონად უცებ ამბობს:

— ძვირფასო ამხანაგებო, ერთი ლექსი მინდა წაგიკითხოთ, ერთი ლექსი.

აღზნებული გალაკტიონი ცრემლიან თვალს იქ მსხდომთ გადაავლებს მერე ფანჯრიდან გურიის მთებს გახედავს და იწყებს: „წინ შეეტლევ, ეს ცხენები გააქანე...“ და ა.შ.

აბესალომი გალაკტიონს კოსტუმზე ექაჩება, მაგრამ ვერაფერი გააწყობს. გალაკტიონი აგრძელებს ლექსის კითხვას, აბესალომი მგზავრებს ბოდიშს უხდის.

გალაკტიონი სასთუმალთან უზის და დედის ხელი უჭირავს.

დედა: — გატუნია, შვილო, ვკვდები, მგონია...

გალაკტიონი ხმას არ იღებს.

არაფერი აღარ მშველის. აბა შენ იცი, გატუნია, როგორ იქნები უჩემოდ. მაპატიე შვილო, ყველაფერი მაპატიე, რამდენი გაჭირვება გამოიარე დედა, თავს მიხედე, სხვა არავინაა შენი მომხედავი. აბესალომსაც ნუ დეივინყებ, თუ რამე შეიძლო მიხედე. ხომ იცი, ...შენს თავს იფიცებს. გალაკტიონი დედას ეალერსება. დედის ხელზე მეორე და მესამე თითს შორის ხალს ეფერება. თვალზე ცრემლი ჩამოუგორდება. წამოხტება. ჰაერი აღარ ყოფნის. გაივლის ოთახს, გამოდის ეზოში, გადადის ძველ სახლში, შედის. კარს მიიხურავს. ჯდება იატაკზე, კედელს ზურგით მიეყრდნობა, გვერდზე გადაემხოება და უხმოდ ტირის. გარედან, ფანჯარაში, მოხუცი ბიცოლა შემოიხედავს. კარს გააღებს. გალაკტიონს თავზე დაადგება:

— კაი, ბიჭო, ადექი ზედ და წაი იმ საცოდავთან... რას იზამ, ასეა ცხოვრება. დედები უნდა წევიდეთ, შვილები დარჩეთ. გალაკტიონი ჯიბიდან ძალიან დაჭმუ-

ჭნულ ცხვირსახოცს ამოიღებს, ცხვირსახოცს მანეთიანი ამოყვება შაურიანით, რომელიც გაგორდება და წრეს შემოხატავს. შემოდის ნოდარი, არ იცის რა ქნას. თვალეზზე ცრემლებმორეული გალაკტიონს გვერდით მიუჯდება.

— თბილისში დაბრუნებულ გალაკტიონს საფოსტო ყუთში უწყება ხვდება.

— Товарищу Галактиону Васильевичу Табидзе. 22-го числа сего года в двенадцать часов дня вы обязаны явиться в комиссариат внутренних дел ГССР к комиссару внутренних дел ГССР.

გალაკტიონს ხელში მეორე წერილიც უჭირავს. დააკვირდება. ამბობს „ოლიას ხელრთვაა“. ისმის ოლიას ხმა

„С мыслями о тебе встречаю рассвет и провожаю закат... Потеряла терпение где ты?! Очень трудно без тебя Галл. До боли тяжело! Еле сдерживаю слёзы... Здесь ужасно, хуже только смерть. Видеть мне никого нельзя. Можно только получать передачи раз в месяц“.

ჭერში ლამფა თანდათან მიილულება და ქრება. ოლიას ხმა გრძელდება.

„Галл умоляю тебя, никого не впускай в твою комнату, чтобы не украли рукописи. Если ты сможешь пришли мне продукты и что-нибудь тёплое. Жду. Целую. Твоя Оля никогда не перестанет тебя любить“.

სიბნელეში სანოლზე პირქვედამხოზილი გალაკტიონის ყმუილი ისმის. უცებ, ირთვება შუქი. გალაკტიონი ოლიას წერილს მიუშვერს ელექტროლამფას. ოლიას წერილში გაჟონილი შუქი წრიატ ღრუბლებში გაჩრილ მთვარესავით ნათელ ბუნდოვანებად იქცევა.

* * *

გალაკტიონი მძიმედ ადის სადარბაზოს კიბეზე. ყრუდ სუნთქავს. მეორე სართულის კარებთან შეჩერდება: კარებზე თვალშისაცემი ასოებით წარწერაა „ი.ბ.ა.“

გალაკტიონი ყოყმანობს. ბოლოს მაინც აჭერს ლილაკს. თავს გამოყოფს უსახური ნილაბი:

— არ გახლავთ სახლში — კარებს ცხვირწინ მიიხურავს.

* * *

სხვა კარის აბრაზე ისეთივე თვალშისაცემი ასოებით წერია: „შ.ლ.მ.“

* * *

რადგან დენი არაა, გალაკტიონი აკაკუნებს. კარს იქით გისოსები ყოფილა და გისოსებს იქით ისევ კარი.

ნილაბი ალებს პირველ კარს და გისოსებში იხედება: — სახლში არ გახლავთ. (ეს, ასლია უწინდელი ნილბის). გალაკტიონი შემდეგ სადარბაზოში შედის. წარწერა კარებზე უწინდელი სიდიდის ასოებით: „ლ.ნ.ნ.“ იგივე ნილაბი კარებს გამოაღებს და უხმოდ (ყრუ სიჩუმეში) მიკეტავს, სწორედ ამ დროს ყურისწამლებად ჩაირთვება გაბმული ზარის ხმა. ნილაბი კარებს ხელმეორედ ალებს, ლილაკს ხელს ნერვიულად დააჭერს და უკან უჩინარდება. ზარი დუმდება. სადარბაზოში სამარისებური სიჩუმე ისადგურებს.

* * *

გალაკტიონი ხალხმრავალ ქუჩაში მიაბიჯებს. აქაც აქა-იქ გაკრთებიან და უჩინარდებიან უსახური ნილბები.

* * *

აბესალომის წერილი.

„სახლის კიბეს მივუახლოვდი: ოთხი რუსის ქალი ვიშვიმებს და იძახის: — **Ой бедный, ой бедный...** სული შემეხუთა. რა ამბავია? შევეკითხე. ისინი სიბრაღულით კარებისკენ იყურებიან და მეუბნებიან: — **ой Галактион Табидзе.** თავზარდაცემული ამოვვარდი და კიბეებზე გაშხლართული დაგინახე. ჯიბიდან გასაღები ამოგიღე. შენ არც კი გაგიგია. ამ დროს მეზობელი დიასახლისი გამოვიდა, მომეხმარა, ამოგიყვანეთ. საბედნიეროდ ცუდი სიტყვა არაფერი წამოგცდენია, პირიქით, ხელზე გინდოდა გეკოცნა მადლობის ნიშნად. ძლივს გაგხადე და დაგანვინე. ძილში საშინლად ოხრავდი-ხრიალებდი, გახველებდა... ვკვდებო, იძახოდი. ერიდე მაგ ოხერ სასმელს, რომელმაც ჩვენი სიცოცხლე ასე მოშხამა და მოწამლა. აბა შენ იცი, როგორი გამარჯვებული იქნები. ზეგ ვნებები საავადმყოფოში. აბესალომი.“

ოლია ოკუფაციას სასამართლო პროცესი. დარბაზი ცარიელია. მოსამართლე კითხულობს განაჩენს.

За контрреволюционную антисоветскую деятельность О.С. Окуджава приговаривается к десяти годам лишения свободы...

ჩაქუჩის დარტყმა.

ცარიელ დარბაზში, მეორე რიგში ზის თავზე ხელშემოდგმული ხანდაზმული გალაკტიონი, უკან კარებთან კი ატუზულია ახალგაზრდა გაფითრებული გალაკტიონი. მათ შორის კი ზის ვილაც, უსახური, რომელსაც (ეტყობა) აქ სხვა რამეზე უფრო გალაკტიონი აინტერესებს. ხან ერთს უთვალთვალებს, ხან მეორეს.

ორთაჭალის ციხის შესასვლელი. რკინის ჭიშკრის გავლის შემდეგ ეზოს გაივლის ახალგაზრდა გალაკტიონი და პატარა კარში ხანდაზმულის შედის. აღმოჩნდება ვრცელ დერეფანში, რომელიც ხალხითაა გაჭედილი. არის უზარმაზარი რიგი. გალაკტიონს ხელში პატარა ფუთა უჭირავს. სამარისებული სიჩუმეა. მარცხნივ ოთხი პატარა ფანჯარაა, საიდანაც დრო და დრო გამყინავი ხმები ისმის.

— გედევანიშვილი — **Приняла передачу.**

— ტატიშვილი — **Передачу приняла.**

გალაკტიონსა და ხალხს შორის რკინის-გისოსებიანი მოაჯირია. იგი მიუახლოვდება მოაჯირს, საბუთს ამოიღებს და აჩვენებს. მილიციელი გაატარებს.

ხელმარჯვნივ პატარა დახურული სარკმელია, რომელთანაც გალაკტიონს მილიციელი მიიყვანს. იგი ფანჯარაზე მიაკაკუნებს და გადაანვდის გალაკტიონის საბუთს. ფანჯრიდან ისმის ქალის ხმა:

- **Фамилия заключенной?**
- **Окуджава Ольга Степановна.**
- **Номер арестованной?**
- **141. корпус 1. камера 2.**
- **Есть передача?**
- **Да.**

— **Обратитесь в соседнее окно и подождите, мы вас вызовем. Встреча состоится.**

სარკმელი მიეჯახუნება. გალაკტიონი გადაინაცვლებს გვერდითი მოაჯირის მიღმა არსებულ სარკმელთან და შეყოფს თავს. იქვე დგანან მილიციელები, რომლებიც ამონმებენ გადასაცემ ამანათებს. გალაკტიონი მაგიდაზე დებს ფუთას და ხსნის. მილიციელი ხმამაღლა აცხადებს ამანათში არსებული ნივთების დასახელებას. მეორე მილიციელი წერს:

— ერთი პური. (გატეხს პურს. ამონმებს შიგნით რამე ხომ არ არის) ერთი ყველი (ოთხად ჭრის) ერთი კონსერვი. (ეს აკრძალულია) ამბობს და ცალკე გადადგამს. კანფეტი (სათითაოდ გაფცქენის) ჩაი (გადმოყრის და ქალაღში შეხვეულს დადებს). ხუთი კოლოფი პაპიროსი (ამონმებს). ლიმონი. თბილი ჟაკეტი (ერთი ცალი) პლედი (ერთი ცალი).

მილიციელი: — დაელოდეთ.

გალაკტიონი მოაჯირთან მდგომ სკამზე ჩამოჯდება.

(მილიციელი გალაკტიონს): — **Встаньте, здесь не положено сидеть. Выйдите в общий зал и ждите.**

— **Посетитель Окуджава, подойдите к форточке № 3.**

გისოსებიანი შესასვლელი. სამოქალაქო ტანსაცმელში გამონყობილი ჩასუქებული მამაკაცი გალაკტიონს პირადობის მონმობას და საშვს გადასცემს. ხელს აჭერს ზარის ლილავს. რკინის მასიური კარი იღება. შედიან ვიწრო დერეფანში, სადაც მყოფი მილიციელი ჩაიბარებს მონმობას, საშვს და ანიშნებს:

— **Пройдите через эти двери.**

მომდევნო ოთახში შედიან.

მილიციელი ქალი:

— **Есть ли у вас запрещённые предметы? Всё положите на стол.**

გალაკტიონი ჯიბეებიდან იღებს ფანქრებს (სხვადასხვა ტომის და ფერის ბლოკნოტებს, გაკეცილ ფურცლებს, გასაღებს, სავარცხელს, გაზეთებს, რამდენიმე კანფეტს, წამლის ფლაკონს, პაპიროსს, ასანთის კოლოფს და მაგიდაზე აწყობს) რამე კიდევ ხომ არ დარჩაო, ქალი ჯიბეებს უსინჯავს.

— **Проходите.**

გალაკტიონი საშუალო ზომის მოსაცდელში აღმოჩნდება. კედელი, რომელსაც შეუმჩნევლად ჩამონტაჟებულია რადიო, ამბობს:

— Ждите...

დგება სამარისებური სიჩუმე. გალაკტიონი სიგარეტს ეწევა. ორი ბადრაგის თანხლებით შემოდის მოტეხილი, გატანჯული, დაბერებული ოლია.

გალაკტიონს და ოლიას მოპირდაპირე სკამებზე სვამენ. მათ შუაში ბადრაგი დგას. სიჩუმეს გალაკტიონი არღვევს:

— მიიღე „პერედაჩა“?

ოლია თანხმობის ნიშნად თავს უქნევს. გალაკტიონი ცრემლს ვერ იმაგრებს. პაუზის შემდეგ ისევ ეკითხება, — რამე (კიდევ) ხომ არ გჭირდება.

ოლია: — შენ თავს მოუარე. ექიმთან მიდი,.. ჩემს პროცესზე რომ იყავი, საშინლად გამოიყურებოდი,.. ახლაც ცუდად გამოიყურები. (პაუზის შემდეგ) — ზეგ მივდივარ, ნუ მოხვალ, ცუდად გახდები.

გალაკტიონი: — ოლკინ, ჩემი წიგნი გამოვა მალე. (პაუზა)

ოლია: — აუცილებლად გამომიგზავნე. ძალიან მინდა იქ მქონდეს.

ორივე დუმს. ერთმანეთისთვის რალაცის თქმა უნდათ, მაგრამ ვერ ეუბნებიან.

ოლია: — გაგზავნე განცხადება ცენტრში. შენ ხომ იცი, რომ მე ხელისუფლების მტერი არა ვარ.

ბადრაგი: — Прощайтесь, ваше время истекло...

მათ ნებას აძლევენ, ერთმანეთს მიუახლოვდნენ. ოლია აქვითინდება, ჩაეკვრება გალაკტიონს და იქ მყოფთა შეუმჩნევლად მას მუჭაში მცირე ტომის ქალაღდის მაგვარ რალაცას ჩაუდებს. გალაკტიონი არ შეიმჩნევს და რაც ძალაა თავს იკავებს, არ ატირდეს.

ოლია: — კარგად იყავი, გალკ, თავს მიხედე,.. თავს მიხედე — უკვე იძახის ოლია — რომელსაც ბადრაგი ხელს ჩაავლებს და გაჰყავს. გალაკტიონი ციხიდან ქუჩაში გამოდის. როდესაც ყველასგან თვალს მოეფარება, მუჭაში ოლიას მცირე (საპასპორტო ტომის) ფოტოსურათს აღმოაჩენს, რომლის მეორე მხარეს, ძალიან წვრილი შრიფტით წერია „Г. ОТ О.“

დასასრული შემდეგ ნომერში



როსტომ ჩხეიძე

კოშკების რომანტიკა, კოშკების ტრაგიკა

ბიოგრაფიული რომანიდან „საგა ვახტანგური
(ვახტანგ ჭელიძის ცხოვრების ქრონიკა)“

— რა დაემართა დღეს ვახტანგს, როგორ იტირა!..

ჩვენები დაბრუნდებოდნენ ჭელიძეების სუფრიდან და დედა გაოცებას ვერა ფარავდა და კვლავაც ისე ეწურებოდა გული, როგორც იმ წუთას, მასპინძელი ქვითინს რომ ვერ შეიკავებდა.

გაეხსენებინა ერეკლე ტატიშვილი და... ცრემლები წამოსვლოდა.

არ მორიდებოდა თანამესუფრეთ — მისი უახლოესი ადამიანები შეკრებილიყვნენ და მათთან მოსარიდებელი რა ჰქონდა, სხვა შემთხვევაში აჩქარებული ნაბიჯით რომ მიატოვებდა წვეულებას.

მერე ალექსანდრე საჯაია მოეგონებინა და... კვლავაც ღაპაღუპით ჩამოსვლოდა კურცხლები.

თამაძობას გაურბოდა, თუმც ხშირად უწევდა ხოლმე და იშვიათი ხელოვნებითაც წარმართავდა სუფრას. მჭევრმეტყველების უნარი არ აკლდა, არც სილალე და იუმორი და მისი თამაძობით ჩატარებული ქეიფები პატარ-პატარა სპექტაკლებს ემსგავსებოდა, სიცილ-ხარხარით გადავსებულს. თავისებური კომედიები გახლდათ, ოღონდ შექსპირული სულისა — მეტად ღრმააზროვანიც იმავდროულად, და თუმც საქილიკოდ გადაქცეულა გამოთქმა: ქართული სუფრა აკადემიააო, — სინამდვილეში, თავისი არსით ის სულაც არ არის ვინმეს აბუჩად ასაგდები. და თუნდ ვახტანგ ჭელიძის ყოფნა სუფრაზე — თამადად თუ რიგით წევრად — სწორედაც თვალნათლივი დასტური იყო ამ შეხედულების ჭეშმარიტებისა.

რალა პლატონის დიალოგში „ნადიმი“

წარმოსახული ძველი ბერძნული სუფრა — მჭევრმეტყველებისა და განათლების შეძენის ასპარეზი, და რალა ვახტანგ ჭელიძისა და მისი წრის წვეულებანი!..

ჩამწერი არ აღმოჩნდებოდა ამ წვეულებებისა.

პლატონით „სტენოგრაფისტი“.

თორემ ტოლს არ დაუდებდა ეს თავყრილობანი თვით ამ „ნადიმსაც“, თორემ სხვა ბერძენ ფილოსოფოსთა ამგვარივე აღწერილობანი — პლატონთან თავისებური გაჯიბრებანი — რა სათქმელია!..

დიდი მოყვარული კი არასოდეს ყოფილა ვახტანგ ჭელიძე ქეიფებისა, სახელდახელო სუფრებისთვისაც არ ეცალა და ეხარბებოდა გიორგი შატბერაშვილისაც, ოთარ ჩხეიძისაც, რევაზ მარგვიანისაც და ლადო სულაბერიძისაც, რომელიმე ლუდხანაში რომ შეიძლებოდა შეეხვიათ და იქ მოეოხებინათ გული საუბრით.

ამას ტელეფონით უფრო ერჩივნა გულის მოოხება.

ოღონდ... თვითონ უნდა დაერეკა — როდესაც ეცალა და საამისოდაც განწყობილიყო.

დღეში რამდენჯერმეც ან ზედიზედაც შეხმიანებოდა მეგობარს.

ის კი არა, თამაზ ბიბილური სულ გვერდით ჰყავდა, ყველაფერზე უზიარებდა თავის მოსაზრებას, და არამარტო სარედაქციო საქმეებზე, მაგრამ იგი რომ შინ დაბრუნდებოდა, ტელეფონი უკვე გაბმით რეკავდა — რალაც ყოველთვის რჩებოდა რედაქტორს სათქმელი.

ეხარბებოდაო...

და ებუზღუნებოდა მეგობრებს: უჩემოდ რატომ შეიკრიბეთო.

სთხოვდნენ და... აირიდებდა ხოლმე: სხვა დროს იყოსო.

სუფრასა და ქეიფზე მეტად სუფრისა და ქეიფის ხსენება უყვარდა და, თუნდ ჩვენთან დარეკვისას დედა რომ შეხვდებოდა ტელეფონზე, პირველად ეს უნდა ეთქვა: რას აპირებ, უკვე არა გაქვს ლობიო ჩადგმული, ხინკალს არ ახვევო?... და მეც რომ შევალბდი მისი კაბინეტის კარს, ღიმილით მომადახებდა: დაურეკე დედაშენს, ჩადგას ლობიო თუ დგამს, თორემ მე და ოთარს დაგვიძველდა პურმარილიო. — და მერეღა მომცემდა სარედაქციო დავალებას.

ვინმეს რომ მოესმინა მისი ასეთი ლაპარაკი, ჭამა-სმაზე გადაგებული კაცი ეგონებოდა, თუმცე ჭამითაც და დალეევითაც ზომიერი წესის მომხრე გახლდათ და მთელი სუფრის მანძილზე ნელ-ნელა წრუპავდა ღვინოს, სამოთხ სადღეგრძელოზე ცლიდა თითო პატარა ჭიქას, თუმცე სუფრის საერთო მხიარულებას კი ძალდაუტანებლად ასდევდა, ოდნავაც არ ეთიშებოდა, და რა მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენ ჭიქას შესვამდა.

და ეს ასაკის მომატების კვალობაზე სულაც არა — სიჭაბუკიდანვე ამ სტილით ეცხოვრა და ამიტომაც არა ტრიალებს ნიკა აგიაშვილის მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების „ჭაბუკები დარჩნენ მარად“ სიუჟეტურ ქარგაში. ამ წიგნის გმირები თუ მისი უახლოესი ადამიანებიც იყვნენ, თხრობის მიხედვით ვერც ივარაუდებ, არადა, მათ სახელდახელო სუფრებს არ ესწრებოდა, თორემ უიმათოდ არ გაეძლებოდა, განსაკუთრებით მაინც ალექსანდრე საჯაიასი, რომლის ყოველი გახსენებაც — ისევე, როგორც ერეკლე ტატიშვილისა — ერთბაშად მოასევდიანებდა ხოლმე, მაგრამ, აი, ტირილი კი...

რა დაემართა ვახტანგსო...

მამა მხოლოდ მხრებს აიჩეჩდა.

და დედა:

— ვახტანგის ცრემლი არასოდეს მინახავს, დღეს კი ღვართაფად მოსდიოდა.

მამასაც რა ენამებინა:

— შენ კი არა, მეც არ მინახავს!..

სანტიმენტალობა არა სჩვეოდა, მაგრამ დგება ნუთები, როდესაც თავს ვეღარ იკავებ და, ყველა ტკივილი თუ სანუხარი რომ შეერთდება, ერთბაშად ამოხეთქავს კიდეც. ხან რაიმე საბაბიც კი არ უნდა... და მითუმეტეს, როდესაც გახსნილ ჭრილობასავით გაჩნევია ესა თუ ის სახელი ანდა ესა თუ ის ამბავი!..

ჩარლზ დიკენსის ერთი გმირი ეტყოდა

თავის მეგობარს:

— როდესაც კარგი გეჩვენებოდი, სწორედ ისეთი მომიგონე...

ალექსანდრე საჯაიას ყურადღება მიექცია ამ ფრაზისათვის, გაეთავისებინა და არაერთხელაც გაემეორებინა ვახტანგისათვის.

როდესაც კარგი გეჩვენებოდიო...

ეს ხელს აუქნევდა: რა მოგონებაზე ლაპარაკობ, ჯერ როდის რა იქნება და ეგებ ისეც მოხდეს, შენ მომიგონო სწორედ ისეთი, როდესაც კარგი გეჩვენებოდიო.

ერთხელაც ის ეტყოდა:

— შენ ტუბერკულოზი არასოდეს შეგეყრება: გამუდმებული ყოფნის იმუნიტეტი გაქვს უკვე.

ეს დასცინებდა:

— შენ რა ტუბერკულოზი გაქვს.

ნეტა თუ გრძნობენ ადამიანები მოახლოებულ სიკვდილს?

პოეტური ბუნების პიროვნებათათვის უფრო მახლობელი უნდა იყოს ეს შეგრძნება, მაგრამ არა ყოველთვის.

სიმონ ჩიქოვანი ზუსტად მიაგნებდა, რომ ლადო ასათიანი თითქოს გრძნობდა მოახლოებულ სიკვდილს და ამიტომაც ცდილობდა ბევრი მოესწრო, ბევრი ეთქვა პოეზიაში. ეს მისი ლექსების რიტმსაც ეტყობოდა, მისი ლექსების კითხვისას მკითხველს თითქოს ესმოდა კიდეც სიციხიანი ავტორის აჩქარებული მაჯისცემა. ვახტანგ ქელიძეს ძალიან მოეწონებოდა ეს დაკვირვება, რადგანაც ისიც სიმონ ჩიქოვანზე არანაკლები სიმძაფრით შეიგრძნობდა ლადო ასათიანის პოეტური რიტმის ფსიქოლოგიურ საწყისს, და არანაკლები სიციხადით ხედავდა სტრიქონებს შორის მობორილე სიკვდილის აჩრდილს.

ეს მოხდენილი მიგნება ალექსანდრე საჯაიას ლირიკის დახასიათების დროსაც ხომ შეიძლება გამოყენებულიყო თავისებურ ათვლის წერტილად?

ამ ორი პიროვნული ხასიათის შედარებისას ის შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ ალექსანდრე საჯაიას ბუნებით ლადო ასათიანზე ნაკლები სიფიცხე და მგზნებარება არა ჰქონია, მაგრამ იჩენდა საოცარ საერთო სიმშვიდეს, დიდ ზომიერებასა და ტაქტს ადამიანებთან ურთიერთობაში, და ამიტომაც იყო ყველასაგან განებივრებული.

სიკვდილის სუნთქვას კი... ჯერ მაინც ვერა გრძნობდა და ამიტომ არც ეჩქარებოდა და არც მისი ლექსის რიტმს გადაედებოდა მაჯისცემის მღელვარება. მისი ლექსის მუსიკალობა, უშუალობა, პოეტური სითბო

და გულწრფელობა უფრო დიდი ასპარეზი-სათვის სამზადისს მოასწავებდა:

— შინაგან ცეცხლსა და სიფიცხეს იგი ეპიკური სიმშვიდით უთავსებდა საოცარ გულმოდგინებასა და შორიდან დასახულ მიზნებს.

მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ წელს მასაც უნდა ეგრძნო მოახლოებული კატასტროფა.

— და ეტყობა სიკვდილის აჩრდილი მართლაც აჩქარებს ადამიანს — მის შემოქმედებაში ყველაზე ნაყოფიერი სწორედ ეს უკანასკნელი წელი იყო. მაშინ შექმნა მან ბევრი საინტერესო ლექსი, შესანიშნავი სვანური მოტივები, და რამდენიმე სევდიანი პატარა მელოდია, რომლებიც სამკაულებივით ამშვენებენ მის წიგნს. სხვათა შორის, ამ უკანასკნელ ლექსებში ჩანს კიდევ მოახლოებული სიკვდილის აჩრდილი.

ისე ვინც მისი არქივით დაინტერესდება და ნახავს, რომ თურმე განზრახული ჰქონია უილიამ უორდსუორთის ლექსის „ჩვენ შვიდნი ვართ“ თარგმნა და ერთი ნაწილი გადმოუტანია კიდევ, რასაკვირველია, მაშინვე იმას იფიქრებს, ამ ლირიკული შედეგის ქართული ვერსიის შექმნა უთუოდ მოახლოებული სიკვდილის სუნთქვამ გადააწყვეტინა, შეუპოვრობამ მის წინაშე... და ეგებ არც გაგვემტყუნებოდეს ამგვარი ფიქრი, რადგანაც ლექსი სიცოცხლის მარადიულობის აპოთეოზია, ცოცხალთა და გარდაცვლილთა განუყოფლობის საგალობელი, ნუთისოფლისა და მარადიული სოფლის ერთიანობის ნიშანსვეტი, იმ ტრადიციის უწყვეტობის შენარჩუნებისათვის გამიზნული, რომ გარდასულთა ლანდები კვლავაც გვერდით უნდა გეგულებოდნენ და ერთადაც განაგრძობდეთ არსებობას, ვიდრე შენც ამ ლანდებს შეუერთდებოდე და ახლა იქიდან ამხნევებდე და შთააგონებდე ნუთისოფლის ბინადართ.

ეგებ არც გაგვემტყუნებოდესო...

მაგრამ ვახტანგ ჭელიძემ სულ სხვა მოტივი უნდა გვამცნოს, სიჭაბუკის რომანტიკით ნასაზრდოები.

თანაც დაგვიბეჯითოს: ამ ლექსით დაინტერესების მიზეზი არა ყოფილა თავისი სოფლის სასაფლაოს გახსენება და არც სხვა სანტიმენტალური თუ მოსანტიმენტალური განცდანიო.

უილიამ უორდსუორთი ინგლისურ ლიტერატურაში ხომ ცნობილი გახლდათ როგორც ეგრეთწოდებული „ტბის სკოლის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და წარმომადგენელი. როდესაც მას, სემუელ ტილორ

კოლრიჯსა და რობერტ სოუთის ლიტერატურასა თუ ცხოვრებაზე ბევრი საერთო აზრი და შეხედულება აღმოაჩნდებოდათ, მეგობრული ფიცით შეიკვროდნენ და გადაწყვეტდნენ ერთ სახლში ეცხოვრათ, დედაქალაქიდან მოშორებით. გადაწყვეტდნენ და კიდევ დასახლდებოდნენ ინგლისის ჩრდილოეთით, ტბების რაიონში.

სახელწოდებასაც აქედან მიიღებდა მათი ლიტერატურული მიმდინარეობა — ლეიკისტური ანუ ტბის სკოლის პოეზია.

ეს ის დრო იქნებოდა, როდესაც შექსპირის ხელმეორე აღმოჩენა დაიწყებოდა ქვეყნად და ახალგაზრდა პოეტებსაც გაიტაცებდა ეს საამაყო სახელი, ის კი არა, კოლრიჯი დიდებული დრამატურგის საფუძვლიან შესწავლასაც მოჰკიდებდა ხელს და „შექსპირული ლექციების“ სახით მეტად მნიშვნელოვან გამოკვლევასაც დატოვებდა, დრო-ჟამიც რომ ვერ გაახუნებდა.

ის გარემოებაც საგულისხმო აღმოჩნდებოდა, სამივე პოეტი მხურვალედ რომ უთანაგრძნობდა საფრანგეთის რევოლუციას, და მარტოდენ თანამგრძნობნი კი არა, უორდსუორთი... ბედნიერი შემთხვევის წყალობით თუ გადაურჩებოდა გილიოტინას.

იმათვის თუ საფრანგეთი და მისი რევოლუცია აღმოჩნდებოდა ერთ-ერთი შემაკავშირებელი, ამათვის — ესპანეთი და მისი სახელმწიფოებრივი მოწყობა.

ესპანეთში იმხანად, 1936 წლის ივლისიდან 1937 წლის მარტამდე, სამოქალაქო ომი ატყდებოდა — ფრანსისკო ფრანკო არ შეეგუებოდა ესპანეთის გასოციალისტება-გაკომუნისტებას და შეეცდებოდა მისი ეროვნულობის გადარჩენას იარაღის ძალით. დემოკრატებად თავგამოდებული ადამიანები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ესპანელ რევოლუციონერებს მიემხრობოდნენ, როგორც თითქოსდა უფრო პროგრესულთ, და საბჭოთა იმპერიაც თავის მხრივ მთელი ძალ-ღონით შეეცდებოდა ფრანკისტული მოძრაობის აღკვეთას ჰუმანიზმისა და ინტერნაციონალიზმის სახელით. მოინდომებდა კეთილშობილური იდეებისათვის ამოეფარებინა მსოფლიოზე გაბატონების ჟინი და სწრაფვა, და ამ გზაზე ეს ესპანეთი და მისი ახალი პოლიტიკური წინამძღოლი რა უნდა ყოფილიყო ასეთი დამაბრკოლებელი?!

მიამიტური ფიქრებითა და სწრაფვით ანთებული ახალგაზრდები, ცხადია, არ დაგიდევდნენ დიდ პოლიტიკურ თამაშებს და წრფელად უთანაგრძნობდნენ ესპანელ რევოლუციონერებს, მითუმეტეს, ძალიან გახმაურდებოდა ერნესტ ჰემინგუეის სახელი,

უკვე სახელმძღვანელო მწერლის, ვინც არამარტო კალმით გამოხატავდა თანადგომას ესპანელი რესპუბლიკელების მიმართ, არამედ იარაღის ხელში აღებასაც არ მოერიდებოდა. და თუ სახელოვანი მწერალი არ უფრთხოდა ბრძოლის ცეცხლში გადაშვებას, ქართველი ახალგაზრდები, პირველად რომ ცდიდნენ კალამს, ვითომ რატომ არ უნდა ჩამდგარიყვნენ ესპანელ რევოლუციონერთა შორის?!

ხომ იყო დრო, როდესაც ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და მათი თაობის სხვა ახალგაზრდები იტალიაში მიემშურებოდნენ ჯუზეპე გარიბალდის რაზმში ჩასაწერად?

ხომ იყო დრო, როდესაც სხვა თაობის ჭაბუკები ბერძნების მისამყვლებლად გაემზადებოდნენ, ოსმალთაგან შევიწროებულთა.

ახლა კიდევ სხვა თაობა ამღელვარებულიყო ბრძოლის ჟინით და იქით მიისწრაფოდა, სადაც ომის ნალარა გრიალებდა.

როგორ უნდა გამგზავრებულიყვნენ?

უნდა დაწერილიყო და სათანადო ადგილასაც გაგზავნილიყო განცხადება, რომელსაც თითქმის ყველა ახალგაზრდა მწერალი მოაწერდა ხელს.

ასეც მოიქცეოდნენ, და ესპანელ რევოლუციონერთა დახმარების მსურველი მწერლების ეს განცხადება — არაერთი ხელმოწერით შემკული, და თუ მას აკლდა ლადო ასათიანის ფაქსიმილეც, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მოგვიანებით უნდა გადმოსულიყო ქუთაისიდან თბილისში — კიდევ გაიგზავნებოდა სადაც ჯერ არს, მაგრამ მოლოდინი ამაო გამოდგებოდა, არამცთუ ნებართვა, პასუხი საერთოდ არ მოუვიდოდათ.

ვისთვის როგორ, მაგრამ როდესაც შეიტყობდნენ, ტბის სკოლის პოეტებიც ასეთივე გატაცებით უჭერდნენ მხარს ფრანგ რევოლუციონერებსო, მათთვის ეს სასიკეთო მინიშნება გამოდგებოდა და ისე მოეჩვენებოდათ, თითქოს ამათი მეგობრობისათვის ამას კიდევ უფრო განემტკიცებინა საფუძველი.

და კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება — ლეიკისტთაგან ორს დები შეუყვარდებოდათ და ქვისლები შეიქნებოდნენ.

ამ გარემოებათა ფონზე ამათ წარმოსახვაში უკან გადაიწეოდა ლორდ ბაირონის მწვავე ირონია ამ სამეულის მიმართ, „ღონ ყუანის“ შესავალში გამოთქმული, მათ ტბის სკოლასაც აბუჩად რომ აიგდებდა და სამივეს მეხს დაატყებდა თავს, განსაკუთრებით მაინც რობერტ სოუთის, როგორც ლაურეატ პოეტს ანუ ხელისუფლების მეხოტბედ დამდგარს.

ისედაც გადაეფარა ეს სახელები ლორდ ბაირონს ლიტერატურულ სამყაროში, მის დიდ ზეგავლენას სადაც მიეფარებინა იმათი პოეტური ღვანლი, და ურღვევი, სიმბოლომდე ამალღებული მეგობრობის ხსოვნადაც თავისი და პერსი ბიში შელის განუყრელი ურთიერთობა დაეტოვებინა.

და ამ ორი ქართველი ჭაბუკისათვის სხვა შემთხვევაში ეგებ — ან რალა ეგებ — ამ სახელებს გადაეწონა და თავიანთი მეგობრობის არქეტეპთა თუ წინამორბედთა შორის ბაირონ-შელის ფიცით შეკრული ძმობაც ეგულისხმათ, მაგრამ არც ამ და არც სხვა ისტორიულ და ლიტერატურულ გმირთა ბიოგრაფიებთან არ შეიმჩნეოდა ის საგულისხმო დამთხვევები, ესენი ასერიგად რომ მოეხიბლა ტბის სკოლის პოეტთა ცხოვრებაზე დაკვირვებისას.

შექსპირის სახელსაც უნდა შეედუღებინა ამათი მეგობრობაც და ქვისლებად გახდომის მოსალოდნელობასაც, თორემ დედაქალაქისაგან მოშორებით ერთ საცხოვრებელში რომ უნდა დასახლებულიყვნენ აუცილებლად, ეს ერთ მთავარ შთამაგონებლად მოევიწყებოდათ აღმტაცვი, რომანტიკული ფიქრებისა და განწყობილებების გარემოცვაში.

მეგობრობა და ერთმანეთისათვის უყოყმანო თავდადება ამ ორი ცხოვრების უმაღლეს იდეალად დაესახათ?

აგერ მათ თვალწინ საუკუნე-ნახევრის წინანდელი მაგალითი სამი თანამოაზრე ინგლისელი პოეტისა და... უკეთესი გამამხნეველები და შემაგულიანებელიც რა უნდა ყოფილიყო!..

ამათ ისედაც განეზრახათ თბილისის მახლობლად სახლის აგება და იქ დასახლება, და როდესაც აღმოჩნდებოდა, რომ ინგლისელ პოეტებს ასეთივე ჩანაფიქრი კიდევ აღესრულებინათ, ამათ ოცნებას კიდევ უფრო შეესხმოდა ფრთა და ერთ პატარა კოშკს თავისადაც მოინიშნავდნენ სადმე არაგვის ხეობაში.

და ალექსანდრე საჯაიას ლექსი „კოშკები“ სწორედ ამ განზრახვას მიეძღვნებოდა, უკვე რეალური კონტურებიც რომ შეეძინა.

— ქარები, ქარები, ქარები იცოდა და ყოველ გაფრენას მოსდევდა ახალი, ეს მისთვის ავაგე, ეს მისთვის მიწოდდა, ასეთი ძვირფასი, ასეთი მაღალი, — პირველივე სტროფში მოლანდებული ქალის ხატება ეგებ პოეტური წარმოსახვაც გვგონებოდა, ზოგადი იდეალის ლირიკული გამოძახილი, მაგრამ ვახტანგ ჭელიძეს უნდა გაემყვანებინა ლექსის რეალისტური სათავე იმ გახ-

სენებით, რომ უეცრად ჰორიზონტზე მართლაც გამოჩენილიყვნენ დები — ახალსკოლადამთავრებული ორი მშვენიერი გოგონა, რომელნიც ამათ უნდა წაეყვანათ ან — თუ რომანტიკაა, ბარემ ბოლომდე რომატიკა ყოფილიყო — გაეტაცებინათ თავიანთ კოშკში და... მაშინვე უკვე შეიკვროდა ნამდვილი, ძმური ოჯახი, დიდად სტუმართმოყვარე და აკვარგიანი.

და ალექსანდრე საჯაიას პოეზიაში ასე შემოიჭრებოდა ამ დებისადმი მიძღვნილი ნაკადი, რომელსაც თავისებურ გვირგვინად უნდა დადგმოდა „კოშკები“, ოცნებითა და სევდით გაჟღენთილი ერთსა და იმავე დროს, ათასი ვარსკვლავის ქარიქარ სვლაც შემდგურელად რომ დააჩნდებოდა ლირიკულ წარმოსახვებს, კარზე მეტად მაღალ სარკმელს რომ უნდა განეცდებინებინა მკითხველისათვის ზღაპრის იდუმალი მონაქროლიც, როგორც ამალღებულ განცდათა კიდევ ერთი მიმანიშნებლისა.

კოშკი მიერთმია საჩუქრად ნანდაური-სათვის, რომლის წინაშეც კრძალვით დამდგარიყო მისი წყალობის მოლოდინში, ჯერ-ჯერობით ზეცაც რომ დაღვრემილიყო და მის კაბადონს ბრწყინვალე ვარსკვლავი მესხედ მოწყვეტოდა, სამყაროს შუაგულში კი მოქცეულიყო „მხოლოდ ეს კოშკები, თეთრი და მალღები, მხოლოდ ის უმანკო პოეტის ოცნება“.

ეს ლექსი განსაკუთრებით ძვირფასი შეიქნებოდა პოეტისათვის, როგორც მისი სახუკვარი ნატვრის ლირიკული ხორცშესხმა, თუმც ისე მოხდებოდა, რომ... იმ წუთას ტომას მურის ლექსად გაასაღებდა, თვითონ კი არა ავტორობას, არამედ მთარგმნელობას დაიბრალებდა.

იმ შემოქმედებით საღამოთა ერთ-ერთ თავყრილობაზე — რომლის ერთ თვალსაჩინო სახელადაც სწორედ იგი წარმოჩენილიყო — შელის ორი ლექსი რომ უნდა წაეკითხა, მათი ჩამთავრებისთანავე უეცრად გამოაცხადებდა: ახლა მურის ლექსს გაგაცნობთო, — და... თავის „კოშკებს“ წარმოთქვამდა.

არამცთუ სხვა არავისთვის, თვით ვახტანგისთვისაც არ გაემჟღავნებინა თუ რას აპირებდა, და ამას ძალიან გაუკვირდებოდა, მურის სახელი რომ მოესმოდა: არც პროგრამითაა გათვალისწინებული და ჩემთან როგორ არ წამოცდა, მურის ლირიკული ნიმუშიც თუ მოესინჯა და საჭაშნიკოდ საჯაროდ გამოტანასაც აპირებდაო.

შესაძლოა მანამდე განზრახული არც ჰქონია.

ეგაა, ლექსის ადრესატი, ვისთვისაც აგებ-

და ოცნების კოშკებს, დარბაზში აღმოჩნდებოდა და ის უთუოდ უნდა მიხვედრილიყო პოეტის გულის ხვაშიადს.

ვახტანგისათვის ერთბაშად ყველაფერი ცხადი შეიქნებოდა და ახლა ერეკლე ტატიშვილს გადახედავდა: ნეტა ისიც თუ მიუხვდა თავის საყვარელ მონაფეს ამ პატარა ეშმაკობასო?!

შეტყობით ვერაფერს შეატყობდა.

გასაკვირი არ იქნებოდა, რომ ვერც მიმხვდარიყო, ტომას მურს ხომ იმდენი ლექსი აქვს, როგორ შეიძლება თუნდ მის დიდ მოყვარულსაც ყველა ზეპირად ახსოვდეს, მაგრამ მთავარი ის გახლდათ, კიდევ რომ ამოეცნო ორიგინალის თარგმანად გასაღების საიდუმლო, არაფერს აგრძნობინებდა კოქის.

მაინცდამაინც მურს რატომ მიაწერა? შელის ლექსების თარგმანებს კითხულობდა და მამ ბარემ „კოშკებიც“ მისთვის მიეკუთვნებინა?... მაგრამ ასე რომ მოქცეულიყო, შესაძლოა მისი მცდელობა — ადრესატს საკუთარი თავი ამოეცნო — წარუმატებელი გამომდგარიყო — შელის ლექსები რომ უნდა წაეკითხა, აკი პროგრამით იყო გათვალისწინებული და გოგონას მაინცდამაინც ყურადღება არ მიექცია, ორი ნიმუში იყო განზრახული თუ სამი.

ტომას მურის მოულოდნელი ხსენება კი მეტ გამჭვირვალეობას შესძენდა ალექსანდრე საჯაიას მისტიფიკაციას.

არაფერს შეიმჩნევდა ერეკლე ტატიშვილი.

გულში კი უსათუოდ გაჰკრავდა: ნეტა ამას მაინც გაუმართლოს სიყვარულშიო.

ეს მისთვის ავაგე, ეს მისთვის მინდოდა ასეთი ძვირფასი, ასეთი მაღალიო...

ერთხელაც განზე გაიყვანდა ვახტანგს და საიდუმლო ხმით ეტყოდა:

— რაღაც მანუხებს და შენ თუ არა, ვის გავუმხილო?

ეს გაფაცვიცდებოდა, თანაც ძლიერ შეფიქრიანდებოდა მეგობრის ძალზე დასერიოზულებული სახის შემყურე:

— რა? რა? რა?

— „ვეფხისტყაოსნის“ ის სტრიქონები ხომ გახსოვს?..

რა შუაში უნდა ყოფილიყო „ვეფხისტყაოსანი“?

კოკი თავისას აგრძელებდა:

— ნახე რუსთველი რას ამბობს: მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს მართ ვითა მზეობა, სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე და მოცალეობაო, — მე ამ თვისებათაგან მოცალეობის მეტი არაფერი გამაჩნია და ნეტა სიყვარულის ნება თუ მაქვს?

ეს გაიცინებდა: გული გადამიქანე და შენ სახუმარო გუნებაზე ყოფილხარო.

და მოგვიანებით ამ სურათს იმის დასტურად ჩაინიშნავდა: კოკის ჩუმი იუმორი ჰქონდაო.

მშვენიერი იუმორის ნიმუშია, რატომაც არა, მაგრამ... ნეტა მართლა ხუმრობის გუნებაზე დამდგარიყო?.. თუ ნაღველის გასაქარვებლად შეაფარებდა თავს რუსთველურ სამიჯნურო კოდექსს?..

იქ კი, მაშინ...

მუსიკა მოედინებოდა „კომკებიდან“.

მუსიკალური ჟღერადობა რომ გამოარჩევს მის პოეზიასაც და თარგმანებსაც, ვახტანგ ჭელიძე ამ მხარეს რომ მიაქცევდა ყურადღებას, მოადევნებდა: მუსიკალური სმენა სულაც არ ჰქონია, ერთ მუსიკალურ ფრაზასაც კი ვერ იტყოდა შეუმცდარად, რაგინდ პოპულარული ნაწარმოები უნდა ყოფილიყოო.

ისე კი ძალიან ჰყვარებია მუსიკა და, როცა თავისუფალ დროს იშოვნიდა, ან სიმფონიური მუსიკის კონცერტზე მიიჩქაროდა, იმხანად საკმაოდ ხშირად რომ იმართებოდა, ან ოპერაში.

ემშობლიურებოდა ეს გარემო, ისევე, როგორც ვახტანგ ჭელიძესაც, ესეის ერთ მონაკვეთს, საკმაოდ ვრცელ გადახვევას, ოპერისა და ოპერის მომღერალთა დიტირამბში რომ გადაზრდიდა, ორი შესანიშნავი ტენორი — დავით ანდლულაძე და ნიკო ქუმსიაშვილი — ევროპის რომელი გინდა საოპერო თეატრს დაამშვენებდნენო. და ასეთ დროს როგორც ხდებოდა და ხდება, მსმენელთა შორის მწვავე და დაუსრულებელი კამათი ატყდებოდა — ანდლულაძე სჯობდა თუ ქუმსიაშვილი.

გასაკვირი ის იქნებოდა ქართულ სინამდვილეში, ასეთ შეურიგებელ დაპირისპირებას რომ ავცდენოდით.

ამ ესეიში არ გაამჟღავნებდა თავის არჩევანს, არც სხვა ესეიში, სულაც დავით ანდლულაძის დაბადებიდან 75 წლისთავის მისალოცად რომ დაინერებოდა, მაგრამ შორს გასცდებოდა ამ ჟანრს და კოლორიტულ პორტრეტად გამოიკვეთებოდა. და ამ ესეის ფინალურ მონაკვეთში მთავარი გმირიც და ნიკო ქუმსიაშვილიც ტოლძალოვან მომღერლებად გამოცხადდებოდნენ, თითქოს ის მწვავე კამათი არც არსებულებოდა, საზოგადოება ორად რომ გაეხლიჩა, ანდა უკვე დავინწყებდა მისცემოდეს... მაგრამ ჩანანერებში მაინც გამჟღავნდებოდა, როდესაც მსახიობის ხანმოკლე სიცოცხლეზე დაფიქრდებოდა და თანაუგრძნობდა მათ ამ „პროფესიუ-

ლი ტრაგედიის“ გამო. მომღერლის მდგომარეობა ნაწილობრივ მაინც განსხვავებული რომ გახლდათ ჩანერის ტექნიკის ზღაპრული განვითარების წყალობით, დავით ანდლულაძე ამ მხრივ გაინიერებოდა — ჩანანერები თითქმის არ დარჩებოდა და რაც დარჩებოდა, ისიც უხარისხო.

ახსენებდა ამ სახელს და... მაშინვე ალტაცებაც დაუფლებოდა და ამ ალტაცების გაზიარების სურვილიც: თანაც იგი სპექტაკლში უნდა გენახათ და მოგესმინათო.

ვისაც არ გვინახავს და მოგვისმენია?

გვცოდნოდა მაინც, რომ:

— სპექტაკლში ხმა თითქოს უფრო ლაღად და ძლიერად უჟღერდა. რაც უფრო ღრმად შედიოდა გმირის ცხოვრებაში, ხმა უფრო და უფრო ლალი, მოქნილი და გამომსახველი ხდებოდა. იგი გმირის ცხოვრებით ცხოვრობდა, და ეს უპირველესად ხმაში იგრძნობოდა.

და ასეთი რანგის მომღერალს მუსიკალური ჩანანერები არ დარჩებოდა.

სანუგეშოდ ისლა გახლდათ — და ერთგვარად ანაზღაურებდა ამ დანაკლისს — რომ დარჩენილიყო მისი სკოლა.

მოგვიანებით ავტობიოგრაფიული რომანისათვის ჩაინიშნავდა: ამ მძიმე წლებში ოპერის თეატრი ერთგვარი თავშესაფარი იყო ადამიანებისათვის — მუსიკა დიდი ნუგეში გამოდგაო...

მაშინვე მიაქცევდა ყურადღებას, რომ იქ მოსიარულე გოგო-ბიჭებიც მისნაირ დღეში იყვნენ — დაღონებულები, თითქმის იმედად ანაყვეტილები, შეშინებულები, გაურკვეველი მომავლის მომლოდინენი...

სხვა ჩანანერს კი ასე დაინწყებდა: მეშინია ხმამალალი განცხადება არ გამომივიდეს, მაგრამ მძიმე წლებში მუსიკამ მიშველაო. და დაატანდა: გადამარჩინა-მეთქი რომ ვთქვა, ვაითუ მართლა ხმამალალი გამომივიდესო.

მაშინ „დოლგოიგრაიუშჩი“ ფირფიტები არ მოიპოვებოდა და პატარა ფირფიტებზე მოსმენა ჭირდა, მაგრამ მაინც ახერხებდა, რადგანაც უამისოდ არ გაეძლებოდა.

რალა სუნთქვა მისთვის და რალა მუსიკის მოსმენა!..

რა დაავიწყებდა ორშაბათობის კონცერტებს ან იმ 78-სიჩქარიან ფირფიტებს — ნაწყვეტებს ოპერებიდან და ცალკეულ სიმფონიურ ჩანანერებს... ზოგჯერ მთელ სიმფონიებსა და ოპერებსაც. გერმანელთა საკონსულო რომ დაშლილიყო, იმათგან შეეძინათ, და ასე მიგინვდებოდა ხელი — ნაცნობებში გეშოვნა და მოგესმინა მთელი „რიგოლეტო“ ლა-სკალას შესრულებით თუ

ბეთჰოვენის მესამე სიმფონია...

სხვა ჩანაწერში კვლავ გაიმეორებდა, რომ ცხოვრების ყველაზე მძიმე და განწირულ დღეებში მუსიკამ უშველა, ოპერების დაუსრულებელმა მოსმენამ. „აიდასთან“, „ტრუბადურსა“ და „ტოსკასთან“ ერთად „კარმენსაც“ დაასახელებდა, და მადლიერი იქნებოდა ბედისა, რომ ტექნიკის ზღაპრულმა განვითარებამ იმ წყალობით აღავსო, მარია კალასისა და ბენიამინო ჯილისათვისაც მოესმინა, მომღერალთათვის, რომელთა გაჩენაშიც — და ეს მტკიცედ სწამდა — ისევე ერი უფლის ხელი, როგორც ბეთჰოვენის, შექსპირისა და ვერდის გაჩენაში.

წლები რომ გადაიკეცებოდა, მაგრამ მათი ხმა სინორჩესა და სიცინცხალეს შეინარჩუნებდა და სმენას გამუდმებით მოეალერსებოდა ღვთაებრივი მელოდები, ყოველთვის წამოაგონდებოდა... დავით ანდლულაძე და ნიკო ქუმსიაშვილი. ჩანაწერში კი დასძენდა: უმადურობა იქნებოდა ჩემი მხრივ, მათი სახებანი რომ არ ამომიტივტივდესო.

გრძნობდა, მაშინ რომ არ მოესმინა ის მუსიკა ამათი შესრულებით და ახლა პირდაპირ ამ ღმერთების შესრულებით დამტკბარიყო, ის მადლი და ემოცია მაინც არ ექნებოდა, და ეს იმიტომ, რომ:

— ყოველგვარი დიდი სიკეთე — დიდი ლიტერატურული თუ მუსიკალური ნაწარმოები, შესანიშნავი მეგობარი თუ საყვარელი — მხოლოდ ახალგაზრდობაში უნდა განიცადოს კაცმა და მერე თუნდა ღრმა სიბერემდე ექნება ძალა მისით დატკობისა.

საკუთარ თავზე გამოეცადა ეს ყოველივე.

და მისი ეს რჩევა ასე სანდო ამიტომაცაა.

ავტობიოგრაფიული რომანის სიუჟეტში საგანგებოდ რომ განეზრახა საუბარი საოპერო თეატრზე, აპირებდა დაწვრილებით შეჩერებულიყო ცალკეულ ოპერებზე — რომელი მოსწონდა ყველაზე უფრო („ტოსკა“, „აიდა“, „ტრუბადური“... რალა თქმა უნდა „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“), ან რომელი ნაკლებად ან სულ არ უყვარდა („ვეგენი ონეგინი“ და რატომღაც „ტრაავიატა“, რომელსაც გაცილებით დიდი ხნის შემდეგ, აგერ სიბერეში შეიყვარებდა, და მიზეზს რომ ჩაუკვირდებოდა, ივარაუდებდა: ალბათ ძეფირელის შესანიშნავი ფილმის წყალობით).

იმის მოყოლასაც აპირებდა, როგორ მღეროდა შინ თავდავინყებით ცალკეულ არიებს „ტოსკადან“.

რა იგი და რა სხვა!..

ოპერით საყოველთაო გატაცების დას-

ტურად გაიხსენებდა, რომ სკოლაში დასვენებაზე ხშირად გაისმოდა ცნობილი არიები „ტოსკადან“.

ან იმ ერთ სასაცილო ბიჭს რა დაავინყებდა, გვარად ჩხენკელს, ტუალეტში შესულიც რომ მღეროდა და მისი ხმა მათ პატარა სკოლის შენობასა და ეზოს ეფინებოდა.

როცა საოპერო თეატრზე მექნება საუბარი, დაწვრილებით შევჩერდებიო...

აბა, მისი ავტობიოგრაფიული რომანი ამ საუბრისა და სწორედაც დაწვრილებით გახსენების გარეშე?..

ცალკეულ ფრაგმენტებადლა მიმოლაგდებოდა მისი უბის წიგნაკის ჩანაწერებში სიმღერისა და მუსიკის ის თავდავინყებული სიყვარული, რომელსაც თურმე სულაც უნდა გადაერჩინა იმ მძიმე წლებში.

ალექსანდრე საჯავიაც არანაკლებ შეპყრობილიყო მუსიკალური და უშუალოდ საოპერო ხელოვნებით და ამ ორი პიროვნების დაახლოებაში ერთ მთავარ როლს სწორედ ეს გატაცება ითამაშებდა.

სოფლად რომ ესტუმრებოდა — ძველად რომ ლეგბედიე ერქვა და ახლა ოდიშად გადაერქმიათ — იშვიათი სილამაზე გადაეშლებოდა თვალწინ ვახტანგს. აქედან იწყებოდა მთლიანი სამეგრელო და, რა გასაკვირია, პატარა გორაკებით გურია მოეგონებინა სტუმრისათვის, განსაკუთრებით კი შეუყვარდებოდა სოფლის ის ულამაზესი ადგილი, სადაც სასაფლაო განფენილიყო, და ორი მეგობარი მოკლე ბილიკებით ხშირ-ხშირად აირბენდნენ ხოლმე.

ზაფხულის ყველაზე დაუფინყარი შთაბეჭდილება ეს გახლდათ, პოეტის სახლიდან ორიოდე კილომეტრზე — იმასაც გვიზუსტებს, ჩრდილო-დასავლეთ მხარესო — მდებარე აქორჩილი ზეგანი, წინ ტოტებგადაბარდული საუკუნოვანი ცაცხვის ხეები რომ ჩამწკრივებულიყო, რქაგანტოტვილ ირმებს რომ მოგაგონებდა.

სოფელს გადმოჰყურებდნენ ირმებივით?

სოფელსაც და მთელი სამეგრელოს ბარსაც.

ეს რომ ისტუმრებდა კოკის გურიაში, ის გაკვირვებით — და რალაცნაირი გახარებაც შეეცყობოდა — მიაჩერდებოდა მაღალ ხეებს, ჭელიძეებს რომ ედგათ: თვალაუნვდენელ ხეჭეჭურს, მსხალყვითელას, ჭასთან — დიდ ცაცხვსა და თხემლის ხეებს.

გალიმებული აიხედავდა ხოლმე. და მოსალოდნელია, რომ ერთ ყველაზე მღელვარე შთაბეჭდილებად სწორედ ეს ხეები წამოჰყოლოდა გურიიდან, და, ცხადია, მიხეილ ჭელიძის ნაამბობები.

პაპისაგან ზღაპრები რომ მოესმინა ვახტანგს, სიჭაბუკისას თითქოს უკვე გამოსული გახლდათ ამ ასაკიდან, ჯადოსნური ზღაპრებისათვის დაეგდო ყური, მაგრამ მოიხიზლებოდა კოკის მამის მეტყველებით და სიამოვნებით დაუგდებდა ყურს არამარტო მის მიერ მოთხრობილ სხვადასხვა ამბავს, არამედ ზღაპრებსაც, და მოგვიანებით საგანგებოდ ჩაინიშნავდა, რომ ამ მეგრულ გლეხკაცს სჩვეოდა დინჯი, ხმადაბალი თხრობა, ქართულ სიტყვებს ეძებდა და ხშირად ჩაურთავდა ნეიტრალურ სიტყვას „იახადო“.

ალექსანდრე საჯაიას მშობლები თუ გლეხები ჰყავდა, ვერავინ იფიქრებდა მისი შემხედვარე სამეცნიერო თუ სალიტერატურო წრეებში, თვით სიმონ ჩიქოვანის დაკვირვებული მზერაც და ალლოც ვერ იგუშვებდა ალექსანდრეს სოციალურ წარმოშობას, რადგანაც ეჭვიც არ შეეპარებოდა, რომ იგი მესამე-მეოთხე თაობის ინტელიგენტი მაინც იქნებოდა. და განცვიფრდებოდა, როდესაც მის დაკრძალვაზე ოდიშში ჩავიდოდა და მშობლებს გაიცნობდა.

ბუნებით არისტოკრატს ჰგავდა ალექსანდრე საჯაია.

ჰგავდა რა — ბუნებითი არისტოკრატი გახლდათ, ხორცშესხმული დასტური ქართული სინამდვილისათვის ნიშანდობლივი თავისებურებისა, რომ სულიერი არისტოკრატიზმი არც გლეხკაცთა წრეში ყოფილა უცხო და არაერთი გლეხი მოიპოვებოდა, თავადიშვილს არაფრით რომ არ ჩამოუვარდებოდა პიროვნული დახვეწილობითა და გვაროვნული ჯიშით.

კოკისაც ასე გადმოსცემოდა ჯიშით და დახვეწილობა, რომელსაც კიდევ უფრო სრულყოფდა ნატიფი გემოვნებითა და პოეტური არტისტიზმით, ეს პოეტური სული მის ყოფით ცხოვრებაშიც ხელშესახებდა რომ ირეკლებოდა და ბელეტრისტულ ცდებშიც, ლიტერატურული ზღაპრების მცირე რკალად რომ შემოგვრჩენია, თუმც თვითონ მოზრდილ ნიგნად განეზრახა თავმოყრა.

და ამ ლიტერატურულ ზღაპრებს ასაზრდოებდა არამარტო სხვადასხვა გამოცემა თუ სამწერლო ზეგავლენა, ამ ფორმის არც მარტო ერეკლე ტატიშვილის მიერ ასე ჩინებულად გამოყენება, არამედ მამის მონათხრობიც, მისი მეტყველების სილბოთი და მომხიბვლელი ალბეჭდილი და ვახტანგ ჭელიძეს რომ არ მოერიდებოდა ამ ნიმუშთა აღმატებული შეფასება: ზღაპრისათვის დამახასიათებელი ლაკონიურობით, სტილის სინათლით, განწყობილების

უმუალობითა და შეკავებული პოეტური აღმაფრენით ძალიან საინტერესო ცდას წარმოადგენს და, გავბედავ ვთქვა, საუკეთესო ლიტერატურულ ზღაპრებსაც გაუტოლდებო, — იმიტომაც, რომ სუბიექტურობაში არავინ ჩამოართმევდა, ის კი არა, თვით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძეც, ასე ნაადრევად აღსრულებული შემოქმედის პანაშვიდზე, არამარტო მის ლექსებს მოიხსენიებდა მონონებით, არამედ ზღაპრებსაც: დიდი სიამოვნება მომანიჭეს და დამაფიქრესო.

რა დრო იყო, როდესაც ჭაბუკებს ლაღად შეეძლოთ შეეხედათ სიკვდილისთვისაც და სასაფლაოსთვისაც და ოდიშის სამაროვანს ვერც მოწყვეტოდნენ. მათთვის მთავარი ის გახლდათ, რომ რაც უნდა სულისშემზრთავი სიცხე ყოფილიყო, იქ მუდამ ნიაჟი ჰქროდა და გრილოდა და სულაც არ იგრძნობოდა ის ნებოვანი სინესტე, რაც ცხელ დღეებში ასე საგრძნობია სამეგრელოს ბარში.

აკაკი წერეთელი თავის ახალგაზრდობისდროინდელ მეგობრებს რომ იხსენებდა და წერდა:

— იმდროინდელი სტუდენტობა სრულებით არა ჰგავდა დღევანდლისას... იდეალისტები იყვნენ, ადვილად გაიმეტებდნენ თავს; ერთი უმნიშვნელო რაიმეს გულისთვის კედელს შეეხლებოდნენ, სამშობლოსათვის მოციქულ-მონამეებად ამზადებდნენ თავს...

ამ პასაჟს საგანგებოდ გადმოიტანდა ვახტანგ ჭელიძე სწორედ ალექსანდრე საჯაიასადმი მიძღვნილ ესეიში, რათა თავის მხრივ დაერთო, რომ ეს, ეტყობა, ბუნებრივი განცდაა — ადამიანისათვის განსაკუთრებით ძვირფასი და კეთილმოსაგონებელია თავისი თაობის ღვანლი მშობელი ხალხისა და მშობლიური კულტურის წინაშე (თუნდ სულ უმნიშვნელოც ყოფილიყო ეს ღვანლი), ხოლო როდესაც ხანდაზმულობაში თავის ახალგაზრდობასა და ახალგაზრდობის მეგობრებს გაიხსენებს, უნებურად ადარებს ახალი თაობის მოღვაწეებს და უფრო თბილი ის ეჩვენება, ის თავისი ახალგაზრდობისდროინდელი თაობა.

ეს მსჯელობა ერთგვარ შესავლად დასჭირდებოდა, რათა დაეცვა ნიკა აგიაშვილის მემუარული ნიგნის „ჭაბუკები დარჩნენ მარად“ სულისკვეთება და განწყობილება.

საგანგებოდ ჩაურთავდა, რომ ეს თხზულება პირველად „ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულიყო, სიამოვნებდა, რომ ეს პუბლიკაცია სწორედ მისი რედაქტორობის უამს მოხდა და, თუმც ყოველთვის გაურბო-

და საკუთარი წვლილის აღნიშვნას, ამჯერად ვერ შეიკავებდა თავს, რომ მოიარებით მაინც მიენიშნებინა, თუ საიდან გახსნოდა კარი ამ ორიგინალური ყაიდის თხზულებას საზოგადოებრივი ცნობიერებისაკენ, გარდა შემეცნებითი და ესთეტიკური მნიშვნელობისა, მორალური მისიაც რომ დაჰკისრებოდა.

მოინდომებდნენ ამ მნიშვნელობის დაკნინებას, ავტორი იმ თაობის წარმომადგენელთ სხვა თაობებს უპირისპირებსო?

მიუკერძოებელ კაცს ასეთი შთაბეჭდილება არაფრისდიდებით არ უნდა დარჩენოდა, ხოლო თუ წიგნში თვალნათლივია ის განსაკუთრებული რომანტიკა, რითაც 30-იანი წლების ახალგაზრდა მწერლები განმსჭვალულიყვნენ, ის საოცარი მეგობრობა, რაც მათ ერთმანეთთან აკავშირებდათ, და ქართული სიტყვისა და მწერლობის ფანატიკური სიყვარული, ამისთვის რას ერჩოდნენ — რომანტიკა და ფანატიზმი დაპირისპირებად როდის თქმულა. მითუმეტეს, უფროსი თაობის მწერლები გრძნობდნენ, ნამდვილად ღირსეული ცვლა გვეზრდებაო, და ამიტომაც ყოველთვის ნახულობდნენ დროს მათთან მეგობრული ურთიერთობისათვის, მათი დაბეჭდილი თუ დაუბეჭდავი ნაწარმოებების განხილვაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ეს ძაფები სხვადასხვა თაობას შორის შესამჩნევად იგრძნობოდა ნიკა აგიაშვილის თხრობაში, თუმც ისე მკვეთრადაც არა, როგორც რეალურად გახლდათ და ვახტანგ ჭელიძისათვის უპირველესი აღსანიშნავი იყო. და თუ ამ საყურადღებო გარემოებას საგანგებოდ მოიხსენიებდა, საკმაოდ ტაქტიკურად გამოეხმაურებოდა უფროს თანამოკალმეს: არ მახსოვს, მის წიგნში ეს გარემოება როგორ არის წარმოჩენილი, მაგრამ მოვალენი ვართ ხშირად ვაფუსვავთ ხაზი, რომ თითქმის მთელი მაშინდელი უფროსი თაობის მწერლები სასიცოცხლო ინტერესს იჩენდნენ ახალგაზრდა მწერლებისადმი.

სხვათა ნაამბობის დამონება სრულებით არა სჭირდებოდა, თვითონვე ყოფილიყო შემსწრეც და მონაწილეც ახალგაზრდების შეხვედრებისა მიხეილ ჯავახიშვილთან, შალვა დადიანთან, იოსებ გრიშაშვილთან, სიმონ ჩიქოვანთან, ალექსანდრე აბაშელთან, ლეო ქიაჩელთან, გერონტი ქიქოძესთან, პაოლო იაშვილთან, კონსტანტინე ჭიჭინაძესთან, ტიცვიან ტაბიძესთან. ამ შეხვედრებს ხან ოფიციალური სახე ჰქონდა და ხანაც არაოფიციალური, მაგრამ მთავარია, რომ მუდმივად ხდებოდა და არა ეპიზოდურად ანუ მოსაჩვენებლად.

არაოფიციალური შეხვედრების ადგილი მწერალთა სასახლეც იყო და რუსთაველის გამზირიც, ვახტანგ ჭელიძე მთელ სამყაროდ რომ მოიხსენიებს, განუმეორებლად და მიმზიდველად.

რამხელა ხელოვნებით წარმოისახებოდა ეს განუმეორებლობა და მიმზიდველობა მის იმ ჩანაწერში, ავტობიოგრაფიული რომანის შესაბამისი მონაკვეთისათვის თავისებურ ზოგად მონახაზს რომ ქმნიდა, თხრობას რომ უნდა გაეშალა და თანაც ისე, ერთი ვრცელი თავი მარტო ამ გამზირს დათმობოდა თავის პერსონაჟებიანად, სახელოვანითა და უსახელოთი, ყველა ერთობლივად რომ ქმნიდა გამზირულ სამყაროს, რომელსაც ბედად ეწერა „დაკარგულ ცივილიზაციებს“ მიმატებოდა.

და ვახტანგ ჭელიძე, ამ განუმეორებლობისა და მიმზიდველობის სხვა მომსწრეთა და მონაწილეთა დარად, გამოიტირებდა ხსოვნაში გადანაცვლებულ ამ სამყაროს, ან უკვე ჩვეულებრივ დიდ ქუჩას რომ დამგვანებოდა, როგორსაც ყველგან შეხვდები. და ეს იმიტომ, რომ სავსებით მიზანდასახულად დაეკარგვინებინათ მისთვის განუმეორებელი იერი და კოლორიტი.

არადა, ეს ქუჩა თითქოს საგანგებოდ იმისათვის შექმნილიყო, რომ ქართული ხასიათის დემონსტრაცია მოეწყო, — ასე განესაზღვრა ვახტანგ ჭელიძეს რუსთაველის გამზირის მისია და მისი ამაღლებითა და ლეგენდური შარავანდით შემოსვით დითირამბიკოსად მოევილინებოდა გამზირებულებსაც და ჩვენი ეროვნული ხასიათის თვითმყოფადობასაც.

— საოცარი გულითადობა, დახვეწილი თავაზიანობა, ელეგანტობა, გარეგნული სილამაზის გამოფენა (ზღაპრული სილამაზის გოგონები და ქაბუკები), გულუხვობა, მოყვასის სიყვარული, დაუდევრობა, დროის ფასის არად ჩაგდება (და არა სიზარმაცე), ისევე, როგორც არაფრის ფასის არად ჩაგდება, თანაგრძნობა, სიბრალული, იუმორი, იუმორი, იუმორი. ცხოვრების ტკბობის სურვილიცა და შანსიც... მაღალი ნიჭიერება...

ერთ დიდ სახლსაც შეადარებდა, სადაც ყველა ისე ხვდება და შესცქერის ერთმანეთს, როგორც შინაურს...

დიდ ოჯახში ზოგჯერ ერთმანეთის მიმართ წყენაც რომ არის, გაბრაზებაც, ერთგვარი შურიც?

ესეც გარდუვალაობა გახლდათ, თუმც ამით იმ ღირსეულებს ჩრდილი არ ადგებოდა. განა ოჯახის სიმტკიცეს დაარღვევს ზო-

გიერთი უსიამოვნება?

ვერც რუსთაველის გამზირის ერთიანობას გაახუნებდა.

ყველა ყველას სცნობდა.

გარკვეულად ყველას მოეხსენებოდა ერთმანეთის ამბავი.

ყველა ერთმანეთს თანაუგრძნობდა და მთავარიც ეს გახლდათ და გამზირის ამალღებული სულის დამადასტურებელიც.

ზოგჯერ საღმთაღმთა რომ არ იცნობდნენ ერთმანეთს?

მერე რა, ერთიმეორის ამბავი მაინც იცოდნენ.

სხვადასხვა წრე, სხვადასხვა ინტერესები, სხვადასხვა ასაკი ხელს არ უშლიდათ საერთო ჰარმონიის შექმნაში. შესაძარებლად ვახტანგ ჭელიძე მოიშველიებდა ტყეში სხვადასხვა სახეობის ჩიტთა ცხოვრების სტილს, ერთმანეთის გვერდით რომ იმყოფებოდნენ და ყველა თავის ხმაზე გალობს.

ხუმრობისა და სიცილის გარდა ჩუმი სიმღერაც გაისმოდა ხოლმე, ცენტრიდან მოშორებით, პატარა ქუჩაში საკმაოდ ხმამალალ სიმღერასაც გაიგონებდა კაცი...

მეტად საგულისხმო დაკვირვებაა, ბელეტრისტის მზერით შემჩნეული: ერთი ოჯახის სამი თაობის ადამიანი რომ ხვდებოდა ერთმანეთს (პაპა, შვილი და შვილიშვილი) და ზოგჯერ კიდევ შეუბღვერდნენ.

ახალი ამბებიც აქ ტრიალებდა და ჭორებიც, მაგრამ ბოროტ ჭორებს გაურბოდნენ.

თავისი გრიცკოც ჰყავდა გამზირს, თავისი ჟაკიც, თავისი მეგაზეთიც...

ამ პიროვნებათა პორტრეტები აუცილებლად ჩაინახებოდა ავტობიოგრაფიულ რომანში — ამიტომაც არიან მონიშნულნი.

როგორც ყველა სოფელს უნდა ჰყოლოდა თავისი გიჟი, თავისი თაღლითი, თავისი დოთი-შფოთი, ასევე ამ სამყაროსაც, რომლისთვისაც თუნდ გამზირი შეგერქმია და თუნდ სხვა სახელი, ეროვნული ხასიათის დემონსტრირებისათვის კი მონოდებულიყო.

ერთ დღეს მოულოდნელად უნდა აეყარათ ქვაფენილი და ტრამვაის ხაზი, დღედაღამ ემუშავათ და ჭიანჭველებივით არეულიყვნენ მუშები.

ომის დაწყება იმით უნდა ჩარჩენოდა მეხსიერებაში, რომ ვიღაც მთვრალის ყვირილი შემოსმოდა: რას მიკეთებენ, ერთი ვიცოდეთ?!

ხოლო უკანასკნელ ღამეს რომ შეხვდებოდით ტიციან ტაბიძე...

ფრაზა აქ წყდებოდა.

ჩანიშნით არცერთ დეტალს არ ჩაინიშნავდა, ვაითუ ჩანერის გამოსივლით თავიდან

ამომვარდეს და მივიწყებას მიეცესო. მაშინ ავტობიოგრაფიული რომანის გაბმულ თხრობაში ისეთივე უტყუარობითა და სიციცხალით ველარ შემოვიდოდა და ექსპრესიაც მოაკლდებოდა. არადა, სურდა ტიციანის უკანასკნელი გამზირული გავლა ანუ თავისუფლების წუთებით ტკბობა — სამსალაგარეულის, მაგრამ მაინც თავისუფლების — იმ უშუალოდ შეენარჩუნებინა ფურცელზე, ცნობიერებაში როგორც ჩაბეჭდვოდა და ამდენი წელია არ ასვენებდა. ამიტომაც ფრაგმენტულ ჩანანერს ვერ ანდობდა, ზუსტად ამეტყველებას კი შესაფერის დროს მინებებდა... თურმე დადგომა რომ არ ენერა.

შიშისაგან გათავისუფლებულიყო ტიციანი, რაკილა დაპატიმრების მოლოდინი უფრო აფორიაქებდა, ვიდრე მერე დატუსაღება შეაშფოთებდა. რა გგონიათ, მაშინ უკვე მოისვენებდა კიდევ და ისეთ ვაჟაკობასაც გამოიჩინდა, რაც მანამდე, დათრგუნულისაგან, ველარც ნარმოედგინათ.

ქვეშეცნეულად რაღაც ამგვარს თვითონაც ფიქრობდა ვახტანგ ჭელიძე და ძალიან მოეწონებოდა გრიგოლ რობაქიძის ის ფსიქოლოგიური დაკვირვება, „ჩაკლულ სულში“ რომ გამოეთქვა მთავარი გმირის სულიერი განწყობილების თაობაზე:

— გაუ-ს შიში თამაზს მაშინ უფრო ჰქონდა, როცა თავისუფალი იყო, ვიდრე ახლა, როცა დაიჭირეს...

და ამ ფორმულირებას მაშინვე მიუსადაგებდა იმ ცნობილ სენტენციას: სიკვდილის შიში უფრო საზარელია, ვიდრე თვით სიკვდილი, — და მის მარჯვე პერიფრაზად მიიჩნევდა.

ტიციანის სიკვდილით დასჯა იმხანად გასაიდუმლოვდებოდა და როდესაც 1937 წლიდან 1941 წლამდე — ანუ დიდი ტერორიდან ომის დაწყებამდე — ძალიან გავრცელდებოდა სულების გამოხმობა, სპირიტუალიზმი, ტიციანის სულის გამოძახებას არც არავინ იფიქრებდა.

სამაგიეროდ ეს ორნი ცთუნებას ვერ გაუძლებდნენ, რომ პაოლო იაშვილის სული არ გამოეხმოთ.

გადანწყვეტდნენ, სხვები თუ გაიტაცა სპირიტუალიზმმა, ვითომ ჩვენ რატომ არ უნდა ვეცადოთო.

ნახევრად სალალობო უნდა ყოფილიყო მათი მცდელობა, ნახევრად კი ცნობისმოყვარეობით გამონვეული.

და, აი, ერთ ღამეს დასხდებოდნენ თავიანთ პატარა ოთახში ეს ორნი და მათთან ერთად ვახტანგის ბიძაშვილი ქალი, ლამპას

ძალიან ჩაუნევედნენ და ლამბაქებს „აა-მუშავებდნენ“.

დაინყებოდა სულთა გამოხმობა.

თავიდან სწორედაც გაერთობოდნენ და ილაღებდნენ, მაგრამ მერე თანდათან ჩაითრევედათ ეს უცნაური პროცესი და იმ ჩაბნელებულ ოთახში სასოებით მიაჩერდებოდნენ დამხობილ ლამბაქებს, რომელნიც მართლაც შემადრწუნებელი იდუმალებით მოძრაობდნენ.

პაოლო იაშვილს სულ ცოტა ხნის წინათ მოეკლა თავი და მისი სულის გამოძახებას ამიტომაც მოინდომებდნენ.

და კიდევ გაშრებოდნენ, როდესაც ლამბაქი ამ ფრაზას გამოიყვანდა:

— საჯაია, მე ბერიამ მომკლა.

ჰოი, რას შეცბუნდებოდნენ.

ამის გაფიქრებაც კი იმხანად საშინელი შიშისმომგვრელი გახლდათ და სპირიტუალურ სეანსს სასწრაფოდ შეწყვეტდნენ.

ამით დაინყებოდა და დამთავრდებოდა მათი მისტიკური გატაცება.

შოში შიშად და ისედაც საყვედურობდნენ საკუთარ თავს: საერთო განწყობილებამ ასე როგორ აგვიყოლია, რა სულების გამოძახება აგვიტყდაო. თუმცა მოგვიანებით გაუნელდებოდათ უხერხულობის განცდა, როდესაც ერეკლე ტატიშვილი გულს გადაუხსნიდათ და ამცნობდათ, რომ... სწამდა სულების ამბავი.

თანაც ისეთ ეპიზოდს უამბობდათ!..

ართურ კონან დოილის ხსოვნის საღამოზე უეცრად გამოჩნდებოდა თვითონ კონან დოილი და მეუღლეს გვერდით მიუჯდებოდა ლოჯაში. და ეს მარტო მათ მოძღვარს არ მოჩვენებოდა. მთელი დარბაზი დაინახავდა, რაც მოწმობს, რომ კოლექტიური ჰალუცინაცია გახლდათ.

— სულებისა როგორ გნამთ? — შებედავდნენ.

ის კი პასუხად ჰამლეტის სიტყვებს იკმარებდა: ბევრი რამ ჰხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოლანდებიათო.

იქ კი, გამზირულ ჩანანერში კიდევ უნდა აღნიშნულიყო ორიოდ სტრიქონი: „სადვარცოვოს“ დასაწყისში (თუ ბოლოში) ხილულის მაღაზია, სავსებით განსხვავებული არომატის წყლები, ციტრუსები, ქლიავის ჩირი... — და ფრაზაც აქ უნდა განყვეტილიყო და რუსთველის გამზირის მოლანდებაც...

* * *

უკვე ის დროა, როდესაც დულდა და გადმოდულდა მეორე მსოფლიო ომი და ერთ

მძღავრ ნაკადად შეერთვოდა გერმანია-საბჭოთა კავშირის ჭიდილი, სამკვდრო-სასიცოცხლო, ან ნაციზმს რომ უნდა მოღებოდა ბოლო და ან კომუნიზმს.

ალექსანდრე საჯაია იმ წუთას უჩვეულოდ აღფრთოვანებულიყო და ერთი სული ჰქონდა, როდის ამცნობდა ვახტანგსაც.

ერთ დღეს შინიდან გამოსულს შალვა დადიანი შეხვედროდა და მწერალთა კავშირისაკენ ერთად გაჰყოლოდნენ გზას. თანამგზავრი შენუხებული ჩანდა, მაგრამ ეს ვერ ჰკითხავდა მიზეზს, მოერიდებოდა.

უეცრად შალვა მოუტრიალდებოდა:

— აღარ უნდა მოგვეშვან, აღარ უნდა დაგვანებონ თავი?..

და კოკი ზოგს მისი ნათქვამიდან, ზოგსაც სხვათაგან შეგროვებული ცნობებიდან გაარკვევდა, რომ გერმანელები კავკასიონის ქედს მოადგებოდნენ თუ არა, აქ სიები შედგებოდა ინტელიგენციის გამოჩენილ წარმომადგენელთა ევაკუაციისათვის. არადა, არავის არა სურდა თბილისიდან წასვლა, აქ დარჩენა ერჩივნათ, ბოლშევიკურ რუსეთთან ყოფნას ყველაფერს ამჯობინებდნენ, თუნდაც ნაცისტებთან შეხვედრას.

ამის მოსმენას გაეხარებინა ასერიგად ალექსანდრე საჯაია.

მერე ვახტანგსაც უნდა გაერკვია და დაეზუსტებინა ზოგიერთი გარემოება. ეს ყოველივე უკვე ომის შემდეგ.

ის სია პოლიტიკურად საეჭვო პირებისა, ირაკლი აბაშიძეს, ილო მოსაშვილსა და კონსტანტინე ლორთქიფანიძეს რომ შეედგინათ (ალექსანდრე ქუთათელის სახელსაც ახსენებდნენ, მაგრამ ეს არ დაიჯერებდა), ევაკუაციის კი არ ისახავდა მიზნად, არამედ... მათ სასწრაფოდ დახვრეტას, რადგანაც მოსალოდნელი გახლდათ გერმანელთა არმიის შემოსვლისთანავე ეს ადამიანები გააქტიურებულიყვნენ და ხელისუფლებასაც დაპატრონებოდნენ.

სიაში მოხვდებოდნენ პავლე ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე და სხვა ეროვნული სულისკვეთების პიროვნებანი.

გავრცელდებოდა ეს ხმა და... უეცრად მეორე ხმაც გამოვიდოდა, დაჟინებით რომ ავრცელებდნენ აბაშიძე-მოსაშვილი-ლორთქიფანიძის ალიანსის თანამდგომნი: სია ამათ კი არ შეადგინეს, არამედ სწორედაც იმ საეჭვო პირებმა, დიახაც, პავლე ინგოროყვამ, გერონტი ქიქოძემ და მათმა თანამოაზრეებმა, რათა გერმანელებისათვის, თუკი კავკასიონს გადმოლახავდნენ, მიერთმიათ ეს ფურცლები და საბჭოთა რეჟიმის მხურვალე დამცველნი დაეხვრეტინებინათო.

როსტომ ჩხეიძე. კოსუკაპის რომანტიკა, კოსუკაპის ტრაპიზმი

ასე შეატრიალებდნენ სინამდვილეს. და ვახტანგი თვითონაც შეიქნებოდა შემსწრე, როგორ მტკიცედ და დაჟინებით ამტკიცებდნენ, და უმთავრესად მანდილოსნები: სია ამათ რაში სჭირდებათ, სია სწორედ იმ საეჭვო პირებს უნდა შეედგინათო.

1973 წლის 3 თებერვლის დღიურის ჩანაწერში, ოთარ ჩხეიძე ლევან გოთუას პანაშვიდიდან რომ ბრუნდება ამირან გაბესკირიასთან ერთად, და საუბრისას ის რომ გერმანელთა შემოსვლის შემთხვევაში „ქართული მთავრობის შედგენის“ ამბავს გაიხსენებდა, ამას ძალდაუტანებლად წამოაგონებოდა სიმონ ჩიქოვანის ნათქვამი: ოცდაჩვიდმეტი რა იყო, ორმოცდაერთ-ორმოცდაორში შეიძლებაოდა კიდევ უფრო განადგურებულიყო მწერლობა და საერთოდ ქართული ინტელიგენციაო.

ამას გულისხმობდა სწორედ, ამ „მთავრობის შედგენის“ გარშემო დატრიალებულ ამბებს.

რაფავა-რუხაძეს ძრახავდა სიმონ ჩიქოვანი და კანდიდ ჩარკვიანის ვაჟკაცობას ამბობდა. იმით ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისათვის ვეება სია წარედგინათ და მოეთხოვათ: უნდა დავაპატიმროთ ყველა ამათგანი, ეს ის მთავრობაა, გერმანელთა შემოსვლის შემთხვევაში ძალაუფლებას რომ აიღებს ხელთო.

სიაში გერონტი ქიქოძეც ეწერა და კიდევ ბევრი სხვა მწერალიც, მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდანაც მოეყარათ თავი დატუსაღების კანდიდატებისათვის.

უარზე დამდგარიყო კანდიდ ჩარკვიანი: ძალადობის შედეგი იქნება ეს სიაო.

ისინი განუცხადებდნენ: ძალა არ დაგვიტანებიაო.

ეს მაინც არ დათანხმებულა: მაშინ სტალინს მოველაპარაკებო.

და ამ მოლაპარაკებიდან ის გახლდათ ცნობილი, რომ საბჭოთა იმპერატორს ეთქვა:

— გერონტის მე ვიცნობ, არა მგონია მთავრობა მოენდომებინოს!..

და ეს ერთი, ერთადერთი ფრაზა გადამწყვეტდა დასაპატიმრებელთა ბედს.

სიმონ ჩიქოვანი ჰყვებოდა ასე, სამთავრობო კულუარებში საკმაოდ ჩახედული და კანდიდ ჩარკვიანთანაც დაახლოებული, საბოლოოდ მაინც მასთან დაპირისპირება რომ დაატოვებინებდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის სავარძელს, დაპირისპირება — ვაჟა-ფშაველას დასაცავად, ის სტალინის დავალებით რომ ცდილობდა ვაჟას ენობრივ-სტილური მანერა დაეხვია ხე-

ლზე და აქედან შეეცია და კიდევ ამოეგდო ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა სიდიან, და ეს არ შეეპუებოდა არც აქაპირველს და არც მის უკან მდგარ ლანდს — უშველებელსა და მრისხანეს...

...მაშინ კი ღირსეულად მოიქცა, ქართული ინტელიგენციის უღმერთო გაჟღელვა რომ აირიდაო, — პირუთვნელობა არ უღალატებდა სიმონ ჩიქოვანს.

* * *

თუ მიშველის, სვანეთი მიშველისო, — ალექსანდრე საჯაიას ეს განცდა რომ გაუჩნდებოდა, კიდევ ისტუმრებდა თავისთან რევაზ მარგიანი — ორ პოეტს ისედაც ბევრი საერთო აღმოსჩენოდა და ეს ერთად ყოფნა კიდევ უფრო დაახლოებდათ.

ვახტანგიც და ერთი-ორი მეგობარიც გაექილიკებოდნენ: შენ და შენი შიში, ხომ ხედავ, არავითარი ჭლექი არ გჭირს და ძალით რატომ ირთულე ცხოვრებასო, — მაგრამ მერე იფიქრებდნენ, სვანეთის მონახულება სურს ეტყობა, ავადმყოფობას იმიზეზებს და დაე ნახოს, ახალი შთაბეჭდილებანი — თანაც როგორი შთაბეჭდილებანი — ახლებურად ალუვსებს შთაგონებასო.

არც უამისობა ყოფილა.

მთელ პოეტურ ციკლს განიზრახავდა სვანეთის თემაზე და ის ორიოდ ნიმუში, რაც შემოგვრჩენია, ძალდაუტანებლად მიგვახვედრებს, რომ ეს ციკლი უთუოდ გამორჩეული ლირიკული დღიური იქნებოდა.

ვაი, რომ მხოლოდ ორიოდ...

მეორე ზაფხულსაც ააკითხავდა მარგიანების ოჯახს.

სადგურზე ვახტანგი გააცილებდა.

მაშინ ყურადღებას ვერ მიაქცევდა, მაგრამ მოგვიანებით რომ აღიდგენდა იმ ნუთებს, თითქოს თვალნათლივ დაინახავდა, რომ ამჯერად კოკის რაღაც მოუსვენრობა შესჩენოდა.

აბა, მაღიმალ რატომ გადახვევდა ხელს?

ან რატომ უმეორებდა და უმეორებდა: შენც ამოდი სვანეთშიო?

თითქოს... კიდევ რაღაცის თქმაც სურდა, მაგრამ ვერა და ვერ ამოეთქვა.

ეგებ იმის, რასაც მატარებელში შემთხვევით შეხვედრილ შოთა გაბელაიას გაუმხეულა:

— რაღაც სიკვდილის წინათგრძნობა მაქვს!..

პოეტები არასოდეს ცდებიან.

და ვახტანგ ჭელიძეს ისიც მოგვიანებით უნდა აღმოეჩინა, ეს წინათგრძნობა მის ერთ უსათაურო ლექსში თურმე ხელშესახებადაც

რომ იგრძნობოდა: წელს უთუოდ წერნეტა ლერწამს შევუყვარდებო.

მარტო ლერწამს ვითომ?

წკრიალა წვიმებსაც არანაკლებად.

ნეტავ კიდევ მაღირსაო, — ეს ნატვრაც რომ აღმოხდებოდა, ხომკაკალას კაკანის მოსმენა ვითომ რატომ უნდა გადაქცეოდა ოცნებად ახალგაზრდა კაცს და აკვანთან კუბოც რატომ უნდა მოლანდებოდა?!

ხილულ სამყაროსთან გამოთხოვების ეს მძაფრი შეგრძნება რალა იყო, თვითრეკვიემის მაგვარად რომ გაისმოდა, და იმავდროულად გარდუვალთან შეგებების მაცნედაც, ბოლო წამებში ნაღვლიანად რომ მიმოავლებდა მზერას გაუჩინარებისაკენ დაცურებულ ყოფით სინამდვილეს, მოხდენილ მეტაფორებში რომ ჩანსურავდა:

სასიკვდილოდ მოვედი, მაგრამ დამენანება ურითმებოდ დავტოვო

წყვილი ქრიზანთემები,

სიყვარული უმანკო,

ცრემლით მინატოვები.

ეს მეტყველი ტყეები ცვარით დანამება.

სასიკვდილოდ მოვედი, მაგრამ დამენანება უსიტყვებოდ დავტოვო

ეს მეტყველი ტყეები.

რალაცის თქმას აპირებდა და... ვერა და ვერ გაემყლავნებინა.

რამდენჯერ გაემეორებინა დიკენსური სევდა: როდესაც კარგი გეჩვენებოდი, სწორედ ისეთი მომიგონეო.

ახლა?.. რალაც აკავებდა, რალაც უბორკავდა ენას და იდუმალ განცდად ესლა აეკვიატებოდა: ნეტა წყვილი ქრიზანთემები მაინც არ დამრჩეს გაურითმავიო.

დიდხანს იდგებოდა ვაგონის კიბეზე.

და ვახტანგს აღარასოდეს ნაეშლებოდა მზერიდან მომალლო შუბლზე ნიავისაგან ათამაშებული ხუჭუჭა თმა და ოდნავ მოელამო, ანთებულ თვალეებში გამომკრთალი სევდიანი ღიმილი.

კოკის გარეგნული პორტრეტის წარმოსახვისას საგანგებოდ გამოჰყოფდა მის თვალეებს, რომელთაც დაახასიათებდა როგორც პატიოსანთ, გაცხარების დროსაც კი სინაზით რომ უცმიციმებდა.

ამ თვალეებს, საერთო ფონიდან მკვეთრად განსხვავებულთ, ასევე საგანგებოდ მოიხსენიებდა ლადო ასათიანიც თავის ჩანაწერებში: რიბირაბო, დანისლული, დანაშაულზე წასწრებულებით დამორცხვებულებიო.

თურმე იმ წუთას უკანასკნელად ხედავდა.

იმან უკვე იცოდა.

და ვიდრე მატარებელი თვალს არ მიეფარებოდა, არც შევიდოდა ვაგონში.

ლიტერატურული პორტრეტი ამ ხილვით უნდა დაბოლოებულიყო, მაგრამ ბაქანზე დარჩენილ მეგობარს მთელი ცხოვრება არ მოასვენებდა პოეტის უკანასკნელი დღეების შეცნობის სურვილი და მოგვიანებით შეიქმნებოდა ის მემუარული ყაიდის თხზულება, დოკუმენტური პროზის შედეგად რომ წარმოგვიდგება, იმ რანგის ქმნილებათა ტოლსწორად, როდესაც გიჩნდება შეგრძნება, რომ ხელთ ავტორის ათრთოლებული გული გიპყრია და სტრიქონების ჩაკითხვა გულის თრთოლვისათვის თვალის მიდევნება უფროა, ისეთი ნიუანსების შემჩნევა და გადმოშლა, ამ გულის პატრონს საკუთარი თავისთვისაც რომ ვერ გაემხილა.

გაუხუნარი გზნება ექსპრესიად გადსახულიყო და რუსთველური და ყაზბეგური მეგობრობის შენარჩუნების განცდას გიჩენდა.

თურმე არ გამქრალიყო ის ამაღლებული სული.

მისი უწყვეტობისათვის უნებურად ეს ორი პიროვნებაც გარჯილიყო, ამაზე რომ არც უფიქრიათ, ერთადერთი საერთო კომპი ეოცნებებოდათ არაგვის ხეობაში და... ოცნებაც არ დასცალდებოდათ.

დოკუმენტური მოთხრობის „უკანასკნელი დღეები“ თხრობის მანერასაც და ექსპრესიასაც წვიმა გამოჰყვებოდა ფონადაც და იდუმალ მუსიკადაც, თავსხმა, თქორი აამლელვარებდა მის შინაგან რიტმს, თანდათან რომ უნდა მინავლებულიყო და არა ზათქითა და გრგვინვით, არამედ ჩურჩულისმაგვარი მელოდიით დასრულებულიყო, ალექსანდრე საჯაიას პიროვნულ სიფაქიზესა და დახვეწილობას რომ შეჰფეროდა და დედის მოლანდებასაც ყველაზე ხელშესახებად შემოიტანდა მკითხველის ცნობიერებაში, ისევე, როგორც სიყვარულის ზარის წკრიალს იმ გადასახედიდან, პოეტს სულიერ საყრდენად რომ ეპოვნა: ვხედავ, ვმალდები როგორც ტაძარიო...

და ვახტანგ ჭელიძე კიდევ ერთხელ რომ გადაათვალიერებდა მისი სიცოცხლის ბოლო დღეებში დაწერილ ლექსებს, ინატრებდა: იქნებ მოხერხდეს კიდევ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგება — მათში გადმოცემული განწყობილების მიხედვითო.

თვითონ მოერიდებოდა.

მასზე უკეთ ვინ შეძლებდა ამ ლირიკული და სულიერი ქრონოლოგიის აღდგენას?

მაგრამ... ძალიან რომ უძნელდებოდა ამ

განწყობილებათა სიღრმეში შესვლა?

ასეთი გულითადი მეგობარი რომ არ ყოფილიყო, ცხადია, გაუძლებდა მღელვარებას და ამ სურვილით გაუყვებოდა ამ პოეტური რკალის იდუმალ ბილიკებს, ალექსანდრე საჯაიას სიკვდილისწინა ფიქრები და განცდები რაც შეიძლება თვალსაჩინო გაეხადა.

ახლა კი ერჩივნა ვინმე სხვას ეთავა ეს თავისთავად ძალზე საგულისხმო ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური კვლევა.

ჯერ იმ მემუარისტული თხზულების შექმნაც როგორ დაუგვიანდა, ის კი არა, არც ეგონა, თუ კიდევ მიუბრუნდებოდა საგანგებოდ ალექსანდრე საჯაიას ლიტერატურული პორტრეტის გამოკვეთას. მოგონებებისათვის ინახავდა ამ სურათებსა და ეპიზოდებს, მაგრამ ძალიან შორს გადაწეულიყო ავტობიოგრაფიული რომანის შექმნა, იქნებ არც ენერა თავის მობმა და ის დღეები რატომღა უნდა გამქრალიყო უკვალოდ — ის ორიოდე ბარათი, რასაც მისი არქივი შემოინახავდა, ბევრს არაფერს გვამცნობდა, ეგაა, ცნობისნადილს გაგვიღვივებდა და... პასუხის გარეშე დაგვტოვებდა.

წვიმა გამოჰყვებოდა ფონდაც და იდუმალ მუსიკადაც...

თავსხმა და თქორი ჩაითრევადა მკითხველსაც, რომელიც უსათუოდ გაიფიქრებდა, წვიმა რომც არ შესწრებოდა იმ დღეებს, ავტორს უნდა გამოეგონებინა, რათა იმ დღეთა ტკივილი და დარდი ასე ხელშესახებად მოეტანა ჩვენამდეო.

არადა, გამოსაგონებელიც რა იყო, ყოფითი სიმართლე მხატვრულ სიმართლეს თავისთავად და მოხდენილად გადაჯაჭვოდა და გულის თრთოლვასთან შეხვედრის შეგრძნებასაც ეს ქმნიდა, ყოველ შემთხვევაში მის მთავარ ძარღვს.

დოკუმენტური მოთხრობა მშვიდად უნდა დანყებულიყო და ამ სიმშვიდესაც უნდა გაემკვეთებინა კონტრასტული განწყობილება, თავსხმას რომ უნდა ჩაეთრია და თავის წიაღში მოექცია.

სიმშვიდეს კი მესტიიდან მონერილი ბარათის პათოსი ქმნიდა:

— სალამი ვახტანგ. არ ვიცი, მიიღე თუ არა ჩემი წერილები და დეპეშა... სექტემბრის ათამდე მაინც ჩამოვალ თბილისში, შემდეგ ან ზღვაზე წავიდე ან ორსანტიაში. ახლა თბილისში, ალბათ, ცხელა. იყავი თუ არა სოფელში?... რატომღაც ამ წუთს გავიფიქრე, რომ შენ ცუდ ხასიათზე ხარ და ჩემი წერილი უფრო გაგაღიზიანებს. ღმერთმა ნუ ქნას. გკოცნი, კოკი.

ადრესატი მკითხველს ყურადღებას მიაკცევინებდა ბოლო სიტყვებზე, ასე კარგად რომ ახასიათებს მის დამწერს და... ჩვენს დროში კი თითქმის გაუგებარი გამხდარა: იგი ძალიან ბევრს ფიქრობს იმაზე, რომ სხვას გული არ ატკინოსო.

და ამიტომაც არც ამჯერად გაუმხელდა თავის მწარე წინათგრძნობას — რატომ უნდა შეეშფოთებინა და გაენერვიულებინა, ხომ შეიძლება ყველაფერი კარგად დასრულებულიყო.

მაგრამ ვაი, რომ...

თავიდან მძიმე ავადმყოფობა რომ არ ეგონათ, მხოლოდ ეს არა ყოფილა მიზეზი, რომ საავადმყოფოში არ დაუნეწენიათ. თვითონ იუკადრისებდა საავადმყოფოს, სამაგისო რა მჭირსო... და მაშინ კი, როდესაც სწეულება ძალიან გაურთულდებოდა და წინააღმდეგობის თავი აღარ ექნებოდა, სასწრაფოდ მოათავსებდნენ კლინიკაში და რევაზ მარგაიანის მეუღლე ნინო ერთი ნუთითაც არ მოშორდებოდა, თუმცა შინ ორი წლის გოგონა ჰყავდა...

ალექსანდრე საჯაიას ტუბერკულოზური მენინგიტი აღმოაჩნდებოდა, რაც უეჭველ განწირულებას ნიშნავდა, მაგრამ ვიდრე დიაგნოზი დაზუსტდებოდა, მთელ იმედეებს ახალგამოჩენილ სულფიდინზე დაამყარებდნენ.

ხალხში ხმა გავრცელებულიყო: ეს ნამალი სასწაულებს ახდენსო.

მაგრამ შოვნა რომ თითქმის შეუძლებელი გახლდათ?

ეს სიმონ ჩიქოვანს მიადგებოდა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ის სასწრაფოდ გაამზადებდა მიმართვას ჯანმრთელობის სამინისტროში, მაგრამ... უარით გამოისტუმრებდნენ.

კოკის მამიდა მაინც მოახერხებდა ამ წამლის შოვნას სამხედრო ჰოსპიტალში.

ვახტანგი ისეთ შვებას იგრძნობდა, თითქოს ავადმყოფი უკვე მორჩენილიყოს.

რაკილა ომის წელი გახლდათ — 1944 — მგზავრობისათვის საჭირო იყო საგანგებო ნებართვა, თანაც მატარებლის ბილეთის შოვნაც ძალიან ჭირდა, ავტომანქანები კი სულ არ მოიპოვებოდა და თურმე ვერც წარმოიდგენდა ადამიანი, თბილისიდან ქუთაისში მანქანით თუ შეიძლებოდა მგზავრობა. ქუთაისში იმიტომ, რომ იქიდან დღეში ერთხელ თუ ორჯერ პატარა, რამდენიმეადაგილიანი თვითმფრინავი მიმოფრინავდა მესტიაში.

სიმონ ჩიქოვანი ცალკე დოდო ანთაძესთან გამოატანდა ბარათს, ქუთაისის თეატრის დირექტორთან, პატარა მეფის უფლე-

ბებიტ რომ სარგებლობდა, და ცალკე — მესტიის რაიკომის მდივანთან.

დოდო ანთაძე თბილისში მიემგზავრებოდა, მაგრამ წერილს მაინც გაატანდა აეროპორტის უფროსთან: პირველივე შესაძლებლობისთანავე გადააფრინე მესტიაში.

მაგრამ გადაუღებელი წვიმა ფრენას ჩაშლიდა.

ცხელ ზაფხულს გულისგამანვრილებელი წვიმები მოჰყვებოდა, შავი ღრუბლებით დამძიმებული ცა დაბლა ჩამოინევდა და სულს შეუხუთავდა, სუნთქვასაც გაუძნელებდა ადამიანებს.

ვახტანგი იმასაც ინატრებდა: ნეტა ასე ერთნაირად, მონოტონურად მაინც არა წვიმდეს, ან უკლებდეს და ან უმატებდეს, თორემ ასე ერთფეროვნად კიდევ უფრო გამტანჯველიაო.

ეგაა, მალიმალ შეავლებდა ხელს ჯიბეში ჩადებულ სულფიდინს, მანუგეშებელს, დამაიმედებელს. რამდენიმე წლის წინათ პატარა დაიკო სწორედ ამ სნეულებით დაღუპვოდა, მაგრამ მაშინდელი უმწეობა რა მოსატანი გახლდათ სულფიდინის გამოჩენის ხანასთან, მითუმეტეს, რომ რაიკომის მდივანი ყოველმხრივ უნდა დახმარებოდა.

ერნესტ ჰემინგუეის რომანს „მშვიდობით, იარაღო!“ რომ წაიკითხავდა ალექსანდრე საჯაია, ერთ მოსაზრებას გაუზიარებდა ვახტანგს:

— რა მართალი ფსიქოლოგიითაა დაწერილი რომანის ფინალი, როცა პენრი საავადმყოფოში მიიყვანს ქეთრინს და ვერ მოუსვენია, მოლოდინის მღელვარებაში ლამის ჭამად იქცეს: კაფეში შედის და ჭამს, გამოდის და მალევე შებრუნდება, ჭამს...

ეგებ მართლაც სწორი გახლდათ მწერლის ეს ფსიქოლოგიური დაკვირვება, მაგრამ, ეტყობა, ინდივიდუალურია ამა თუ იმ ადამიანის საქციელი ასეთ დროს — ეს ვერ მოახერხებდა ლუკმის გადაყლაპვასაც.

რომ ირწმუნებიან, მიიმე მოლოდინის მღელვარებას ღვინო აქარვებსო?

მაგრამ ეს ვერც დალევას მოახერხებდა.

მეორე დღესაც ცა ფხვად ჩამოვიდოდა. რა უნდა ეკეთებინა და... ისევ ქუჩაში გავლას ამჯობინებდა.

დიდი ხნის წინათაც რომ იმყოფებოდა ქუთაისში, მაშინაც წვიმაში მოჰყვებოდა. მთელი დღე ქუჩაში ივლიდა — ბავშვს ყველაფერი აინტერესებდა. ჩაუყვებოდა სანაპიროს და... უეცრად მეკუბოვის მალაზიას მიადგებოდა. მოულოდნელობა შეაძრწუნებდა და ელდანაცემს შემოაბრუნებდა, ჩქარი ნაბიჯით გამოარიდებდა იქაურობას.

და ახლაც ქუჩაში რომ დახეტიალობდა, განუწული, მობუზული და გულდამძიმებული, მაშინდელი ქუთაისური ოდისეა აღარც ახსოვდა და... უცებ იმავე მალაზიას მიადგებოდა და ვიტრინაში გამოფენილ კუბოებს მიაჩერდებოდა.

რამდენი ელდა და შიში შეხვედროდა ცხოვრებაში, მაგრამ თურმე ასეთი საშინელი ჯერ არაფერი გამოეცადა.

მონუსხულივით გაშეშდებოდა, ფეხსაც ველარ მოიცვლიდა და გულშიც ერთბაშად რალაც ჩანყდებოდა. მთელ საშინელებას მაშინდელი მდგომარეობისა ახლა იგრძნობდა პირველად... და მოგვიანებით რომ ცდილობდა მეხსიერებაში აღედგინა, იქიდან თუ როგორ გამობრუნდა, ვკერაფრისდიდებით ვერ მოიგონებდა.

ერთმანეთის მონაცვლე ისეთი კინოკადრებია, ხელიდან რომ არ შეიძლება გაუშვას რეჟისორმა.

წვიმა კვლავაც უნდა გაგრძელდეს და მოგონების ფურცლებზეც შეუწყვეტილ იდინოს, და იაროს ახალგაზრდა კაცმა ქუჩებში უთავბოლოდ, ელოდოს გამოდარებას და წამდაუნუმ მოისინჯოს ჯიბეში სულფიდინი, სასწაულთან გატოლებული, უმწეობის შეგრძნება კი არა და არ მოეშვას.

როგორც იქნა წვიმა გადაიღებდა, მაგრამ ისე მოხდებოდა, რომ თვითმფრინვაში ერთ ადგილზე მეტი არ აღმოჩნდებოდა და ვახტანგი ამჯობინებდა წინასწარ შეთანხმებული ექიმი გაემგზავრებინა მესტიაში, თვითონ კი მატარებლით ზუგდიდიდან ეცადა იქ აღწევა.

ბარემ ერჩივნა საკუთარი ხელით ჩაეტანა წამალი, მაგრამ მთავარია, რომ სულფიდინი დროულად მიშველებოდა ავადმყოფს.

თვითმფრინვას მესტიიდან რომ ჩამოჰყვებოდა ენათმეცნიერი თინა შარაშენიძე, მეგობარ ქალთან ერთად რომ იმყოფებოდა სვანეთში სამეცნიერო მივლინებით, და ვახტანგს შეხვდებოდა და მისი შეჭირვების მიზეზსაც შეიტყობდა, თითქოს ანუგეშებდა: მთელი მესტია შეაძრწუნა მაგის ავადმყოფობამ, მე საავადმყოფოსთან ახლოს ვცხოვრობდი და შესმოდა მისი გმინვა — ქუჩაშიც გამოდიოდა, დღეს კი დამშვიდდა, ეტყობა, უკეთ არისო.

იმას ეს დამშვიდება გამოკეთების ნიშნად რომ მიეჩნია, ვახტანგს კარგად მოეხსენებოდა, სინამდვილეში რასაც მიანიშნებდა — წამიერ სულისმოთქმას შორეული მგზავრობის წინ...

წვიმას უნდა ემატა.

მთებიდან ყრუდ გახმინებულიყო ჭექა-

ქუხილი.

აეროპორტიდან წამოსული ერთხანს სასტუმროში უნდა შეეყოვნებულიყო, ვიდრე შუალამისას მატარებელს გაჰყვებოდა ზუგდიდისაკენ.

ახლობელ ადამიანთან ყოფნა მოუნდებოდა.

რევაზ მარგიანი სვანეთში იმყოფებოდა და თანაც მასზე უარეს დღეში.

და ერეკლე ტატიშვილის სახება რომ წამოუტივტივდებოდა, დაჯდებოდა და წერილს მისწერდა.

— რას აღარ ვწერდი, რას აღარ ვბოდავდი, ქალაქი ძლივს მეყო (ნეტა თუ არსებობს ახლა სადმე ის წერილი?). ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს პირადად ველაპარაკე ამ შესანიშნავ კაცს. და ამან ცოტათი დამამშვიდა.

ნეტა მართლა თუ გადარჩენილიყო ის წერილი?

ჩვენც არანაკლებ მოვისაკლისებთ, ვიდრე მისი დამწერი, რადგანაც ისედაც ვგრძნობთ, რომ რაღაც უჩვეულო ეპისტოლური ნიმუში უნდა ყოფილიყო.

რას აღარ ვბოდავდიო...

როგორც მოჩქეფდა გულის მდულარება და ფიქრი, ისევე გადადიოდა ფურცელზე, ერთბეწო შესწორებისა თუ დახვეწის გარეშე, მღელვარების კარდიოგრამა იმწუთიერ განწყობილებას შეუფერადებლად და სრულყოფილად გამოხატავდა და... ძვირფასი მასალაც იქნებოდა ლიტერატორებისთვისაც და ფსიქოლოგებისთვისაც.

შემაცბუნებელია, არა, ამ სიტყვის — მასალა — გამოყენება ასეთ დროსა და ვითარებაში?

რაღაცით ხომ არ წააგავს იმ ექიმის სიტყვებს, მესტიიდან რამდენიმე საათში უკან ჩამობრუნებული ვახტანგს რაღაც პროფესიული სიამაყით რომ ეტყოდა: ჩემი ვარაუდი, სამწუხაროდ, გამართლდაო, — და ურჩევდა: ეცადე თვითმფრინავში ნაპირას დაჯდე, შესანიშნავი სანახაობა გადაიშლება შენს თვალწინ, ასეთი მშვენიერება მე ჯერ არ მინახავსო...

რაღაცით... მართლაც წააგავს...

მაგრამ რას ვიზამთ, ჩვენი ყოფის უცნაურ კანონებს ესეც ემატება, ადამიანური ტრადედია მასალად რომ იქცევა სხვათა და სხვათა ხელში და ათასგვარად შეიძლება ჩხრიკონ და... ჯიჯგნონ კიდევ.

თვითონ ვახტანგ ჭელიძეს საამისოდ არ გაემეტებოდა, ეგაა, დაინტერესდებოდა, ნეტა რას ვწერდი, ბოღვისმაგვარი ფიქრთა ნაკადი როგორ გამოითქვა კალმის შეხები-

სას ფურცელზეო.

ადრესატი კი გაოგნდებოდა მისი ჩაკითხვისას.

დანათელა კეშელავას — თავის ერთ-ერთ უსაყვარლეს მოწაფესა და შემდგომ ჩარლზ დიკენსის ორტომიანი რომანის „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“ მთარგმნელს, მერი იანქოშვილთან ერთად — ეტყოდა:

— ვახტანგმა საოცარი წერილი მომწერა.

თვით ასეთ ყოვლისმნახველ კაცსაც რომ გააკვირვებდა!..

ეს რომ ზუგდიდიდან დაბრუნდებოდა, მასწავლებელთან მისვლას მოერიდებოდა, თვითონაც ვერ აეხსნა რატომ, მაგრამ არ შეეძლო კი. მითუმეტეს, მას შემდეგ, რაც ნათელა ამცნობდა: ბატონმა ერეკლემ წერილი მიიღო.

რა გგონიათ, რამდენჯერმე რომ დაინახავდა ერეკლე ტატიშვილს ქუჩაში, თავის-დამოულოდნელად... თვალს აარიდებდა და გადაუხვევდა.

ერთ დღეს უეცრად რომ შეეჩხებოდა ახლანდელი სასტუმრო „საქართველოს“ მახლობლად, იმ ადგილას, სადაც ახლა აფთიაქია (და ჩანაწერში დააზუსტებდა, რომ ძველად ეს აფთიაქი ცოტა უფრო ქვემოთ იყო, იქ, სადაც ახლა სასტუმროა), თავის არიდება აღარ შეიძლებოდა. და ბატონი ერეკლე თავის ხელებში მოიქცევდა მოწაფის ხელს და კარგა ხანს (ამას მოეჩვენებოდა, რომ საკმაოდ დიდხანსაც) ეფერებოდა, ხელზე ხელს უსვამდა.

და ეტყოდა: უსათუოდ ჩემთან მოდიო.

მაგრამ ვახტანგ ჭელიძე, იმ პატარა ოთახში ყოფნას რომ არაფერი ერჩივნა, კიდევ დიდხანს ვერ შეაღებდა მის კარს.

დოკუმენტურ მოთხრობაში „უკანასკნელი დღეები“ მხოლოდ გაკვრით აღინიშნებოდა, ეს წერილი რომ დაინერებოდა, მომდევნო ამბავი კი — მასწავლებელთან შეხვედრა ასე რომ გაუძნელდებოდა, რაკილა ბოლომდე გადაუშალა გული მისთვის მტანჯველ წუთებში — ცალკე ჩანაწერის თემად იქცეოდა. იქნებ ვარაუდობდა ამ თხზულების კიდევ ერთი პუბლიკაციისას ამ პასაჟის ჩართვასაც? ან ეგებ ავტობიოგრაფიული რომანისათვის განზრახა? იქნებ არც ერთი და არც მეორე — ასე ჩანაწერად ტოვებდა, „უკანასკნელი დღეების“ თავისებურ ექსკურსად თუ კომენტარად, დამოუკიდებლადაც თავისი მნიშვნელობა რომ ექნებოდა?

თხრობიდან გადახვევა არ გამომივიდესო, ეს ნამდვილად არ იქნებოდა მიზეზი, რადგანაც გადახვევებს არასოდეს ერიდე-

ბოდა, ეს კირა ისეთი გადახვევაა, სიუჟეტურ ხაზს ოდნავადაც დაჩნეოდა ხარვეზად — პირიქით, უშუალო გაგრძელებაა იმ განწყობილებისა — მასწავლებელთან ასე რომ გაძნელება სტუმრობა, სწორედ იმიტომ, რომ კვლავაც იმ დღეთა შუაგულში ტრიალებს, ის განცდები არ განელება და შველას ჯერჯერობით გარიდებაში, გაქცევაში ხედავს.

გადახვევას რომ მორიდებოდა, აგერ თუნდ ამავე დოკუმენტურ მოთხრობაში ვრცლად კი არ ჩაურთავდა პავლე აკობიას სილუეტს, მეტად კოლორიტული კაცისას, ვისაც შვეიცარიაში მეგობარი დალუპვოდა და მისადმი მიძღვნილი ლექსის ამ სტრიქონების განმეორება ჰყვარებოდა ალექსანდრე საჯაიას: შვეიცარია, შვეიცარია — თავისუფლების ქვეყანავ, დიდო, შენ მომიკალი მე მეგობარი და ამის შემდეგ როგორ გადიდოო!..

შემოეყრებოდათ თუ არა ეს უცნაური კაცი გზად, კოკის მაშინვე ეს სტრიქონები უნდა გაეხსენებინა ხოლმე, და ახლა ვახტანგი საბარგო მანქანით რომ მიუყვებოდა ზუგდიდი-მესტიის გზას და თავზე უმოწყალოდ აწვიმდა, მასაც ეს სიტყვები აეკვიატებოდა და ვერაფრით ვერ მოიშორებდა.

არადა, იმ ბარათს რომ შეადგენდა ერეკლე ტატიშვილის სახელზე, გულში დაიჯერებდა: ცოცხალს ჩავუსწრებო.

უკვე რა გახდენოდა სანატრელი!..

და მერამდენად ატრიალებდა ხელში მესტიიდან ექიმის მიერ ჩამოტანილ ბარათებს, რევაზ მარგანი რომ სწერდა: რამენაირად სასწრაფოდ მოახერხე წამოსვლა, რა ვქნა, არ ვიციო, — მისი მეუღლე, ნინო, კი: რომ იცოდე, რა დღეში ვართ, რა უბედურება ტრიალებს ეს ჩვენს თავზე. წამოდი ხვალვე. როგორ მინდა შენი ნახვა. ძალიან გაეხარდა, როდესაც ვუთხარი: ვახტანგი მოდის-თქო. ეს ცხრამეტი დღე სულ თავზე ვადგივარ, ვახტანგ, რამდენ რამეს მიაშობდა, სულ შენ გნატრობდა, შენი ჭირიმე, ცოცხალს მაინც მოუსწარიო.

ისე გარდაიცვლებოდა, გონებას არ დაკარგავდა. 17 სექტემბერს შედგენილი საექიმო ოქმი, სადაც აღნიშნულია დიაგნოზი და ზოგიერთი ცნობა ავადმყოფობის შესახებ, იუნყება, რომ: ...მაჯა 148, სუსტი ავსების არითმიული... მეტყველება არ შეუძლია, ცნობიერება შენარჩუნებული აქვს...

ხაიში მიძღოლს მანქანა უნდა შეეჩერებინა და გამოეცხადებინა: ცოტა თუ არ დავნაყრდი და თვალიც არ მოვატყუე, გზის გამგრძელებელი არა ვარ, მერე კი, თუ დიდი

ნისლი არ იქნა, მაშინვე დავადგებით აღმართს, თუ არადა, გათენებას უნდა დაველოლოთო.

ვახტანგი აქლა იგრძნობდა, რომ არაქათი აღარ გააჩნდა და თვალებიც ებლიტებოდა.

ჩაბნელებული დარბაზი განათდებოდა, შუაში დიდი სუფრა გაიშლებოდა და, ყველა რომ შემოუსხდებოდა, დაიწყებოდა არყის სმა, სიცილი და ხუმრობა.

ამას იმისლა ეშინოდა, ძალიან არ გაგრძელდეს პურობაო. ფანჯარასთან ჩამოჯდებოდა და გარეთ დაიწყებდა ყურებას.

წვიმა თანდათან მოიკლებდა, გზაზე აქა-იქ ნისლის ფთილებიდა ეკიდებოდა, რაც მოასწავებდა, რომ გამოიღარებდა... აგერ ჩიტებიც გამოჩნდებოდნენ.

უეცრად... ბურუსში ჩაიძირებოდა ყველაფერი, საამო ბურუსში... ზმანებისმაგვარი შემოებლანდებოდა და თითქოს თვითონვე შესცქეროდა, როგორ ეშვებოდნენ ამ გზაზე სამნი — კოკი, რეზო და ვახტანგი... ოღონდ მესტიიდან კი არ მოდიოდა ეს გზა, არამედ მთანმინდიდან და სამივე კარგ გუნებაზე იყვნენ, ხელი გადაეხვიათ ერთმანეთისათვის და მხიარულად იცინოდნენ — კოკი რაღაცას ყვებოდა...

მოდიან, მოდიან და ველარ ჩაღვეენ გზას...

უეცრად ნაცნობი ხმა უნდა მოესმათ, თბილი, სასიამოვნო:

— ყმანვილებო!

ხმაზე უნდა იცნონ, თუ ვის გაუშლია ხელი — ერეკლე ტატიშვილს, უცინით და თავისთან უხმობთ.

მაგრამ... მთანმინდიდან კი აღარ ეშვებიან, უნივერსიტეტის ეზოში იმყოფებიან. მერე რა, რომ რეზო არ არის ერეკლე ტატიშვილის სტუდენტი, ისიც გამორჩეულად უყვარს მათ მასწავლებელს და კმაყოფილია მათი მეგობრობით, და ამათ ეს უხარიათ.

ბატონი ერეკლე ხელს ქუჩისაკენ იშვერს და რაღაცას უყვებათ, მაგრამ... უეცრად გრიალმა უნდა შეანყვეტინოს და... ყველაფერი გაქრეს.

ვახტანგმა ერთბაშად საშინელი სიცივე უნდა იგრძნოს.

გზაზე კუბო მოცურავს, დაღმართში ნელა ეშვება და კუბოსთან კი რევაზ მარგანი დგას — მობუზული და თავდახრილი.

არა, ეს უკვე აღარ არის ზმანება.

ხალხი ჯერ ფანჯარას უნდა მიანყდეს და მერე გარეთ გაცვივდეს.

ეს ადგილიდანაც ვერ დაიძრას.

მანქანა ხევში რომ დაეშვებოდა, მოუხვევდა და მოახლოვდებოდა, რეზოს მაშინვე

უნდა გამოერჩია ხალხში ვახტანგი, ეყვირა, მოხვეოდა და გულიც ამოჯდომოდა. ეგაა, კრინტიც ვერ უნდა დაეძრა, თუმცა რალაცის თქმა კი სურდა. და აგერ კოკის მამაც უნდა შემოერთებოდათ, თავზე ხელი დაედო ორივესათვის და აქეთ ენუგეშებინა ამ უბედურ კაცს.

ყველაზე მძიმე წუთები წინ ელოდათ — დედასთან შეხვედრა, ვინც ჯერ არ იცოდა, თუ რა უბედურება დასტეხოდა თავს.

მერე... კოკის პატარა ოთახში შესვლა — რამდენჯერ ყოფილიყვნენ აქ ეს სამნი და ღამე ღამე რააკვირდებოდნენ... და ახლა კოკი გვერდით, დიდ ოთახში დაესვენებინათ...

რეზო ჩანთას რომ გახსნიდა და ალექსანდრე საჯაიას უკანასკნელ ლექსებს ამოალაგებდა, ტირილ-ტირილით წაიკითხავდნენ.

თბილისში რომ ჩამოვიდოდნენ, გიორგი ნატროშვილის ოთახში შეიკეტებოდნენ და ისიც ცრემლმორეული ჩაიკითხავდა ამ ლექსებს — სტამბაში გაგზავნის წინ.

მერე უნდა ყოფილიყო სიონში გადახდილი პანაშვიდიც, კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე კვერთხს ოდნავ რომ ასწევდა და ილია ჭავჭავაძის სიტყვებს გაიხსენებდა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტთან: უღვთო იყო შენი სიკვდილიო, — რათა ეს ფრაზა ალექსანდრე საჯაიაზე გაემეორებინა: არც მის სიკვდილში ერია ღმერთიო.

წელს უთუოდ წერნეტა ლერწამს შევუყვარდებიო...

სევდა და სილაღე გადაწვინა ერთმანეთს ამ სტრიქონშიც და საერთოდაც ალექსანდრე საჯაიას ლირიკაში, და სულიერ ნათესაობას რომ დაეძებდა პოეტებთან, რუს ლირიკოსთაგან ყველაზე ძლიერ ალექსანდრე ბლოკი და სერგეი ესენინი ხიბლავდა და მათი პოეზია თითქმის ზეპირად რომ იცოდა, ხშირად უყვარდა დეკლამირება სტრიქონებისა თუ სტროფებისა, და ეს ისე, რომ აინუნშიც არ აგდებდა, შეეფერებოდა თუ არა ეს სტრიქონები იმ მომენტს. განსაკუთრებული განწყობილება ან ასოციაცია სულაც არ ესაჭიროებოდა მათ წარმოსათქმელად. და

წლები რომ გადაიქროლებდა, ვახტანგ ჭელიძე მოჰკრავდა თუ არა ყურს ცისფერ ეკრანზე ბლოკისა თუ ესენინის ლექსების კითხვას, გონებაში თვითონაც გააგრძელებდა მომდევნო სტრიქონებს, და სწორედ კოკის ხმით, მისი ინტონაციით, და თითქოს ის დაუფარავი აღფრთოვანებაც ჩაესმოდა, რაც მუდამ იგრძნობოდა, როდესაც ამ სტრიქონებს წარმოთქვამდა.

არაგვეული ნისლი ძირავდა ოცნების კოშკებს, ქართული ლეიკისტების წარმოსახვაში აგებულს, ნისლი ერტყმოდა პოეტურ სტრიქონებსაც და... ალექსანდრე საჯაია დარდისაგან თავდაღწევას ხუმრობითა და ლაღობით რომ ცდილობდა, რუსთველურ სამიჯნურო კოდექსსაც ამიტომ ზომავდა მხიარული მზერით: ამ თვისებათაგან მოცალეობის მეტი არაფერი გამაჩნია და ნეტა სიყვარულის ნება თუ მაქვსო?!

ისე ნეტა თვითონ რუსთველი რა გუნებაზე დადგებოდა ამ სტრიქონების ჩაკითხვისას?! ეგებ თავიც მოეწონებინა გუნებაში: თქვენ იკითხეთ, თორემ მე ამ ღირსებათაგან ერთიც არ მაკლია და მიჯნური თუ ვინმეა, მეც ვარო!.. ან ეგებ... ძალიანაც შეფიქრიანებულიყო: ძალიან მკაცრად შემიდგენია და ამ თარგს ვინ მოერგება ერთი-ორი კაცის გარდაო. ან ეგებ მასაც სიცილი ასტეხოდა: მე თვითონ მოცალეობის მეტი არაფერი გამაჩნია და სიყვარულის ნებას ვინ დამრთავსო. ან იქნებ სიცილს ეს სიმწარეც შერეოდა: ერთი მოცალეობა მქონდა, ამითლა ვებლაუჭებოდი სიყვარულის საუფლოს და ესეც აღარ შემარჩინეს, მოცალეობაც საოცნებოდ გადამქცევიაო.

აღარც კოშკი იყო სადმე.

აღარც შელის ლირიკისა თუ ლორდ ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობის“ ქართულ ვერსიებს ეწერა ამეტყველებათა.

მაგრამ ის ხომ მაინც რჩებოდა, დარდით გაჟღენთილი მხიარული განწყობილება: წელს უთუოდ წერნეტა ლერწამს შევუყვარდებიო...



ლევან ბრეგაძე

ანოტაცია და რეცენზია

(გამოცდილების გაზიარება)

ანოტაცია და გავრცობილი ანოტაცია

ანოტაცია ლათინური წარმომავლობის სიტყვაა და შენიშვნას ნიშნავს. იგი, როგორც ლიტერატურული ჟანრი, ასეა განმარტებული ლექსიკონში: „ნიგნის, ცალკეული ნარკვევის თუ სტატიის შინაარსის შეკუმშულად გადმოცემა“ (ა. ჭილაია, რ. ჭილაია, „ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები“, 1984).

ანოტაცია, ჩვეულებრივ, წინ უძღვის ნიგნს ან ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ ნაშრომს, და მიზნად ისახავს ნიგნის შინაარსის შესახებ მკითხველისთვის მოკლე ინფორმაციის მიწოდებას. ანოტაციათა უმეტესობა მკითხველთა იმ წრეზეც მიუთითებს, რომლისთვისაც ეს გამოცემა არის გათვალისწინებული.

ვნახოთ როგორი ანოტაცია უძღვის ა. ჭილაიასა და რ. ჭილაიას ნიგნს, რომელიც ზემოთ დავიმონწიეთ:

„წინამდებარე ნაშრომში მოცემულია 1000-მდე ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინი, რომელთა წარმოჩენისას გათვალისწინებულია მათი როლი არამარტო ქართულ, არამედ სხვა ლიტერატურებშიც. ტერმინები წარმოდგენილია სალექსიკონო დონეზე და ილუსტრირებულია ქართული სალიტერატურო მასალით, გამოყენებული ლიტერატურა მითითებულია ნიგნის ბოლოს.

ნიგნი გამიზნულია სტუდენტი ფილოლოგების, მასწავლებლებისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისათვის“.

როგორც ვხედავთ, ნიგნის ანოტაციის შედგენა დიდ ლიტერატურულ ოსტატობას არ მოითხოვს, — ამისთვის სავსებით საკმარისია წარმოდგენა გვექონდეს ნიგნის შინაარსზე და ვფლობდეთ სალიტერატურო ენასა და გამართულად წერის უნარს. ნაშრომის ანოტაციას გამომცემლობის ან რედაქციის თანამშრომლები წერენ, ზოგჯერ თვით ნაშრომის ავტორიც. ამგვარი ანოტაციები ხელმოუწერელია.

რაც შეეხება გავრცობილ ანოტაციას, შეგვიძლია იგი სერიოზულ ლიტერატურულ ჟანრად ჩავთვალოთ. გავრცობილი ანოტაცია, ჩვეულებრივ, ავტორის მიერ ხელმოწერილი ქვეყნდება.

ჯერ იმის თაობაზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა, რა შემთხვევაში მიმართავენ გავრცობილ ანოტაციას.

გავრცობილ ანოტაციას გამომცემლობა ან რედაქცია მაშინ მიმართავს, როდესაც ისეთ გამოცემასთან (პუბლიკაციასთან) გაქვს საქმე, რომელიც რაღაც ნიშნით გამორჩეულია რიგით გამოცემა-პუბლიკაციათაგან და საჭიროა ნიგნის პოტენციური მკითხველის (მყიდველის) ინფორმირება ამის თაობაზე. გამორჩეული კი პუბლიკაცია სხვადასხვა მიზეზით (თვისება-თავისებურებით) შეიძლება იყოს: თემატიკით, პრობლემის სიმწვავეთა და აქტუალობით, მხატვრული შესრულების თავისებურებით, ავტორის პიროვნებით და სხვ.

ამისდა მიხედვით განსხვავებული იქნება ტაქტიკაც, რასაც გავრცობილი ანოტაციის ავტორი აირჩევს მთავარი მიზნის მისაღწევად, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დააინტერესოს ნიგნის მომავალი მკითხველი (მყიდველი) ამ ნაშრომით.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ,

რომ გავრცობილი ანოტაციის ავტორს სათანადო ლიტერატურული ოსტატობა, მწერლური (ჟურნალისტური) უნარ-ჩვევების ფლობა მოეთხოვება.

როცა ხან ავტორის, ხან გამომცემლობის თხოვნით გავრცობილი ანოტაციის დაწერას დავთანხმდებით, ერთობ საპასუხისმგებლო მოვალეობას ვკისრულობთ: ისე უნდა ვთქვათ ნიგნის თაობაზე რალაც **არსებითი**, რომ მისი შინაარსი არ გავთქვათ, რათა პოტენციურ წამკითხველს ინტერესი კი არ გაუწელდეს, – გაუმძაფრდეს. ანუ ის **არსებითი** უნდა ვთქვათ კიდევაც და არც უნდა ვთქვათ (ასე ზღაპრებშია ხოლმე: ისე გამოცხადდი ჩემთან, რომ ერთდროულად ჩაცმულიც იყო და შიშველიცო, ავალეებს შარიანი მეფე გლეხის გოგოს, და ისიც ამგვარ გამოსავალს მოიფიქრებს – შიშველ ტანზე თევზის საჭურ ბადეს გადაიცვამს და ასე ეახლება ხელმწიფეს).

შემდეგ: ანოტაცია ლაკონიურობით უნდა გამოირჩეოდეს, რაც ფორმულირების (აზრის სიტყვებად ქცევის) ოსტატობაში გამოცდაც არის.

ეს გახლავთ ორი უმთავრესი მოთხოვნა, რასაც ასეთი ტექსტი უნდა აკმაყოფილებდეს. დანარჩენი – დამატებითი ინფორმაცია ავტორისა და ნიგნში წარმოდგენილი საკითხების თაობაზე, იუმორი და მისთანანი – თუ იქნა, ხომ კარგი, თუ არა და, ანოტაცია მაინც წარმატებით შეასრულებს თავის მისიას. ეს მისია კი, როგორც ზემოთქმულიდან უკვე მიხვდებოდა მკითხველი, ნიგნის რეკლამირებასაც ისახავს მიზნად.

ქვემოთ, ანოტაციის კონკრეტულ თავისებურებებზე საუბრისას, ჩემ მიერ შედგენილი ანოტაციებით ვისარგებლებ. ხანგრძლივი ლიტერატურული თუ ჟურნალისტური საქმიანობის პროცესში მრავალი ანოტაცია წამომძღვარებია ნიგნებისა თუ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული თხზულებებისათვის, ამ სფეროში სათანადო გამოცდილება დამიგროვდა და მინდა გაგიზიაროთ.

ეს გავრცობილი ანოტაცია პოეტ შოთა ქავთარაძის მიერ თარგმნილი ესპანური ეპიგრამების კრებულისთვის დაინერა („ინანიებდა ფრანსისკო ცოდვეს“. თბილისი, 1996). გთავაზობთ მას მთლიანად:

„ამ პატარა ნიგნის მკითხველს დიდი სიამოვნება ელის. აქ გაეცნობით ძველი და ახალი დროის ესპანელი პოეტების – უკვდავი

სერვანტესის თანამემამულეთა – მახვილგონივრულ პოეტურ მინიატურებს – ეპიგრამებს. ეპიგრამა ჩვენებურ კაფიას შეიძლება შევადაროთ. ვინც ქართული კაფიის მაღლი და ყადრი იცის, იმას არც ევროპული ეპიგრამა დატოვებს გულგრილს.

თითქმის ორი ათასი წელია მსოფლიოს მრავალ გამოჩენილ პოეტს იზიდავს ეს ჟანრი. ეპიგრამა ძლიერი იარაღია გონებამახვილი შემოქმედის ხელში. არსებობს შედარებით უწყინარი ეპიგრამებიც, შეთხზული „სააშკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად“.

მეერთამე მოსამართლეები, უნიჭო კალმოსნები, მოლაღატე მეუღლეები, უმეცარი ექიმები, შურიანი, ძუნწი, ცრუმორწმუნე ადამიანები – აი ენამოსწრებულ სატირიკოსთა ტრადიციული სამიზნეები.

პოეტ შოთა ქავთარაძის მიერ თარგმნილი ესპანური ეპიგრამები ჩვენი მთარგმნელობითი ლიტერატურის შენაძენია. ესპანური გონებამახვილობის ნიმუშები ჩინებულად გრძნობენ თავს ქართულ ენობრივ გარემოში და არც ქართული ლექსის არტახები ევიწროებათ. ეს თარგმანები ქართული სალექსო მეტყველების ფართო შესაძლებლობათა დემონსტრირებაც გახლავთ.

რალა ბევრი გავაგრძელო – ნაიკითხეთ და თვითონ დარწმუნდებით...“.

ეპიგრამა ევროპულ ლიტერატურაში გავრცელებული ერთობ კოლორიტული, პოპულარული ჟანრია. თვითონ სიტყვაც უცხოური (ბერძნული) წარმომავლობისაა და შესაძლოა არალიტერატორი მკითხველისთვის მისი მნიშვნელობა, ანუ ის, თუ რას წარმოადგენს ეპიგრამა, ცნობილი არ იყოს.

ამიტომ ანოტაციაში შევეცადე ქართული პოეზიის ის ჟანრი გამეხსენებინა ჩვენი მკითხველისთვის, რომელიც რამდენადმე წაგავს ევროპულ ეპიგრამას ჟანრობრივად და არც პოპულარობით ჩამოუვარდება მას, — ეს გახლავთ კაფია. იგი ასეა განმარტებული ანდრო და რამაზ ჭილაიების ზემოთ უკვე ნახსენებ „ლიტერატურათმცოდნეობის ცნებებში“: „ქართული ზეპირსიტყვიერების პოეტური ჟანრი; სატირულ-იუმორისტული ხასიათის ლექსი, რომელიც სახელდახელოდ იქმნება ლექსით შეჯიბრში“. (ზემოთ ვთქვით, ეპიგრამა კაფიას **რამდენადმე** წაგავს-თქო, ანუ ესენი მთლად ერთი და იგივენი არ არიან. ერთი განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ეპიგრამა ლექსის თქმაში ზეპი-

რი შეჯიბრებისას არ იბადება, ზოგი მათგანი ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობის შედეგია).

ეპიგრამის კიდევ უფრო მეტად „გამშობლიურებას“ ემსახურება ციტატა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“, სადაც ნათქვამია, რომ ეპიგრამა „სააშკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველადაც“ გამოითქმებოდა. ამით მივანიშნებ, რომ ეს ჟანრი არც ძველი საქართველოს ლიტერატურული ცხოვრებისთვის ყოფილა უცხო, რასაც შოთა რუსთაველის ზემოთ დამონმებული სიტყვებიც ადასტურებს, თუმცა მათ ნიმუშებს, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია.

სერვანტესის ხსენებაც ანოტაციის დასაწყისშივე მკაფიო მიზანს ემსახურება — „დონ კიხოტის“ უკვდავი ავტორი საქართველოშიც, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, მეტად პოპულარულია, — იგი, ასე ვთქვათ, ესპანეთის „ბრენდია“, და ქართველ მკითხველს შეიძლება ამანაც გაუღვივოს მისი თანამემამულე პოეტების გაცნობის ინტერესი.

ამრიგად, ძირითადი ყურადღება ამ ანოტაციაში წიგნში შესული ნაწარმოებების **ჟანრობრივ თავისებურებებზეა** გადატანილი; თემატიკაზეც არის ნათქვამი რამდენიმე სიტყვა, ოღონდ ჟანრობრივ თავისებურებებთან უშუალო კავშირში: „*მექრთამე მოსამართლეები, უნიჭო კალმოსნები, მოღალატე მუღლღეები, უმეცარი ექიმები, შურიანი, ძუნნი, ცრუმორწმუნე ადამიანები – აი ენამოსწრებულ სატირიკოსთა ტრადიციული სამიზნეები*“.

მომდევნო ანოტაციაში კი უმთავრესი ყურადღება **თემატიკას** ეთმობა, ვინაიდან ამ წიგნში შესული თხზულებები უწინარეს ყოვლისა ამ თვალსაზრისით არის საინტერესო. ანოტაცია დაინერა ყოფილი პოლიტპატიმრის, ნუცა ლოლობერიძის (კინორეჟისორ ლანა ლოლობერიძის დედის) წიგნისათვის „*ბედნიერების მატარებელი*“ (გამომცემლობა „ინტელექტი“, 2011):

„ჯოჯოხეთგამოვლილი ქალბატონის მოგონებანი“

იმ ჯოჯოხეთგამოვლილნი, რასაც სტალინური პოლიტპატიმართა ბანაკები წარმოადგენდა, არაამქვეყნიურ ტანჯვანამებებს საწაულებრივად გადარჩენილი ად-

ამიანები, „შორეულში“ ნანახ-განცდილის თაობაზე დუმილს ამჯობინებდნენ (შეიძლება იმის გამოც, მონათხრობს მაინც არავინ დაგვიჯერებსო!), მხოლოდ ზოგიერთმა მათგანმა აღწერა თავს გადახდენილი, იმ ზოგიერთში თითო-ოროლა იყო ქალი და ერთ-ერთი მათგანის „იქაური“ მოთხრობებია (დოკუმენტური მოთხრობები) თქვენ წინაშე, ძვირფასო მკითხველო. 1937 წელს პოლიტიკური მოტივით (ანუ უდანაშაულოდ!) დაპატიმრებული და ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანესთან მოწყობილ ბანაკებში ათი წლის განმავლობაში განანამები ახალგაზრდა ქართველი ქალის, ინტელექტუალის (კინოხელოვანის, ლიტერატორის) მოგონებებია ეს.

განუზომელია ამგვარი წიგნების მნიშვნელობა, ვინაიდან მათში შენახულია გამოცდილება, რომელიც იმასაც გვასწავლის, რაოდენ სასტიკი შეიძლება იყოს ტოტალიტარული სახელმწიფო თავისივე მოქალაქეთა მიმართ, და იმის მაგალითადაც გამოდგება, მოწინააღმდეგეზე სულიერი აღმატებულობის შეგნება, გაუსაძლის ვითარებაშიც კი, ფიზიკური გადარჩენის მთავარი წინაპირობა რომ არის“.

პირველ, შედარებით ვრცელ, აბზაცში, წიგნის თემატიკას ვაცნობთ მკითხველს. ჟანრი (დოკუმენტური მოთხრობები) მხოლოდ გაკვრით არის ნახსენები, ვინაიდან უმნიშვნელოვანესი აქ სწორედ თემატიკაა, თემატიკა და ავტორის პიროვნება. ორივეზე (თემატიკაზეც და ავტორის პიროვნებაზეც) ერთ აბზაცში ერთდროულად (შერწყმულ-შეთავსებულად) მოხერხდა საუბარი.

მეორე, უფრო მცირე, აბზაცში კი ყურადღება იმაზეა გამახვილებული, რითი შეიძლება იყოს ეს წიგნი სასარგებლო მკითხველისთვის, რა გამოცდილებას შეგვძენს (გაგვიზიარებს) იგი ისეთს, რაც შეიძლება ცხოვრებაში გამოგვადგეს.

ემოციური მუხტი (ყოველთვის დიდად სასურველი რამ!) შეაქვს ანოტაციაში მკითხველისთვის წიგნის ავტორის შესახებ მიწოდებულ იმგვარ ცნობებს, რომლებიც მის პიროვნებას წარმოგვიჩენს რომელიმე საინტერესო კუთხით. კიდევ უფრო კარგია, თუკი ამგვარი ცნობები ავტორზე მასთან პირადი ნაცნობობით არის მოპოვებული, და, შესაბამისად, სხვა წყაროებიდან ვერ იქნება ცნობილი, რაც ანოტაციას უნიკალურობის ელფერს სძენს.

ოლონდ ამ დროს სიფრთხილე გვმართებს: ანოტაციის ავტორმა თავისი პიროვნება, თავისი „მე“, მეტისმეტად არ უნდა წამოსწიოს წინა პლანზე. თუ აქ ზომიერებამ გვიღალატა, წარუმატებლობისთვის ვართ განწირული.

ვნახოთ, როგორ მოვახერხეთ (ან, საერთოდ, მოვახერხეთ თუ არა!) ეს, ანოტაციაში, რომელიც ცნობილი მოგზაურის ჯუმბერ ლეჟავას სამოგზაურო დღიურების პუბლიკაციას დაუერთეთ ყურნალ „ქართულ მწერლობაში“ (2008 წ. 1):

„ჯუმბერ ლეჟავა 1993 წლის აგვისტოში გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ გამაცნო ბატონმა გვანჯი მანიაძემ, ცნობილმა ყურნალისტმა, და მითხრა, ხვალ იწყებს ბატონი ჯუმბერი დედამიწის გარშემო ველოსიპედით მოგზაურობასო. ჯუმბერ ლეჟავაზე, ამ საოცარ ადამიანზე (ასეც შეიძლება ითქვას: ბუნების ამ საოცრებაზე!) ბევრი გამეგონა და წამეკითხა, მისი ავადმყოფობის და სპორტული ვარჯიშების მეოხებით სასწაულებრივი გამოჯანმრთელების ამბავიც ვიცოდი და გინესის წიგნში შესული მისი რეკორდებისაც, მაგრამ, როცა ხელი ჩამოვართვი და წარმატება ვუსურვე, გავიფიქრე, შეუძლებელს შესჭიდებია, თვენახევარში, ჰა-ჰა, ორ თვეში უკანვე დაბრუნდება-მეთქი.

ვინ დამძრახავს ამგვარი ფიქრისთვის! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ფანტასტიკური მოგზაურობის დაწყებისას იგი 53 წლისა იყო!

როგორ გავიხარე, რომ გავმტყუნდი!

ბატონმა ჯუმბერმა სასწაულის მომსწრე გაგვხადა!

ოლონდ მანამდე 9 წლის განმავლობაში დაძაბულად ვადევნებდით თვალ-ყურს პრესით, რადიო-ტელევიზიით ამ არაჩვეულებრივ მოგზაურობას, სახიფათოს, დაბრკოლებებით სავსეს, თავგადასავლიანს, და გამჩენს ამ საოცარი ქართველი კაცის შინ მშვიდობით დაბრუნებას შევთხოვდით.

დაბრუნდა...

ცოტა დაისვენა...

მოგზაურობის დღიურები გადაათეთრა და გამოსაქვეყნებლად მოგვართვა. გმადლობთ, ბატონო ჯუმბერ!“

როგორც შეამჩნევდით, ამ ანოტაციაში პუბლიკაციის ავტორის პიროვნებაზეა გამახვილებული უმთავრესი ყურადღება, ვინაიდან აქ სწორედ ეს არის უმნიშვნელოვანე-

სი; ჟანრი (სამოგზაურო დღიური) და თემატიკა (მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო) მხოლოდ გაკვირით არის ნახსენები.

ვნახოთ კიდევ ერთი მაგალითი, სადაც ანოტაციაში ავტორთან პირადი ურთიერთობის ამსახველი ეპიზოდი გამოვიყენე ნაწერში ემოციური მუხტის შესატანად და მწერლის პიროვნების დასახასიათებლად. გთავაზობთ ფრაგმენტს ჭაბუა ამირეჯიბის ქალიშვილის, მწერალ მანანა ამირეჯიბის მოგონებათა წიგნისათვის დაწერილი ანოტაციიდან „წიგნი-ალსარება“ (მანანა ამირეჯიბი, „მე და ჩემი წილი მამა“. თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2010):

„გუშინდელივით მახსოვს, სტუდენტობისას უნივერსიტეტის ბაღში ამ წიგნის ავტორმა, რომელიც მაშინ გიორგაძის გვარს ატარებდა (თუ რატომ, ამას წიგნის დასაწყისშივე შეიტყობთ), ძალიან მშვიდად მითხრა, მამაჩემმა რომანი დაწერა, მალე „ცისკარში“ დაიბეჭდება და ქვეყანას აალაპარაკებსო. ჭაბუა ამირეჯიბისგან, კარგი მოთხრობების ავტორისგან, კარგი რომანის დაწერა ვის გაუკვირდებოდა, მაგრამ ქვეყნის ალაპარაკება (თუნდაც მხოლოდ საქართველოსი) იმ დროს, როცა წიგნზე აღარავინ „გიჟდებოდა“ („მასას“ უკვე კინო და ესტრადა ერჩია წიგნს), გავზიადებული მეჩვენა და ახალდასრულებული რომანის ეს შეფასება მშობლისადმი შვილის მიკერძოებულ დამოკიდებულებას მივანერე. მაგრამ იმან, რაც მართლაც მალე წავიკითხეთ „ცისკარში“, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – ქვეყანაც აალაპარაკა და ჩვენი ხალხის მენტალიტეტიც გვარიანად შეცვალა. „დათა თუთაშხია“ ის წიგნია, რომელიც, ყველა წიგნის მსგავსად „ერთ მშვენიერ დღეს“ იბადება, მაგრამ უამრავი სხვა წიგნისაგან განსხვავებით, გგონია, რომ სულ იყო – ჭეშმარიტად სახალხო წიგნებს დაჰყვება ხოლმე ასეთი ბედი.

მანანა ამირეჯიბის წიგნში მარტო ამაზეც რომ იყოს საუბარი (ანუ მარტო ბ-ნ ჭაბუასა და მის მწერლურ ცხოვრებაზე), ის მაინც ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო წიგნი იქნებოდა. მაგრამ ამ წიგნის უმთავრესი თავისებურება ის არის, რომ ეს წიგნი-ალსარებაა“.

ამის შემდეგ ანოტაციაში მანანა ამირეჯიბის ამ წიგნის ჟანრობრივ თავისებურებებსა და თემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებზეც არის ნათქვამი რამდენიმე სი-

ტყვა, — თემატიკასთან, რაზედაც ნაწილობრივ ამ ფრაგმენტშივე იწყება საუბარი.

ყოველივე ზემოთქმულიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ გავრცობილ ანოტაციებზე დიდად არის დამოკიდებული წიგნის (ან საგაზეთო-საჟურნალო პუბლიკაციის) შემდგომი ბედი. კარგ (ხარისხიან) ანოტაციასუნდა ვუმაღლოდეთ წიგნის დროულ პოპულარიზაციას. წიგნმა თავისი მკითხველი უნდა იპოვოს, მკითხველმა — თავისი წიგნი. ამ პროცესში გავრცობილი ანოტაცია საგანგებო როლს თამაშობს.

ლიტერატურული რეცენზია

რეცენზია ყველაზე გავრცელებული ლიტერატურულ-კრიტიკული ჟანრია. სიტყვა „რეცენზია“ ლათინური წარმომავლობისაა და „განხილვას“ ნიშნავს. განსხვავებით გავრცობილი ანოტაციისაგან, რომლის დანიშნულება ლიტერატურული სიახლის თაობაზე მკითხველის ინფორმირებაა, რეცენზია ანალიტიკური ჟანრია — მას, გარდა იმისა, რომ ახალი ლიტერატურული მოვლენის შესახებ გვატყობინებს, ევალება გააანალიზოს და შეაფასოს კიდევაც ეს მოვლენა, აღნიშნოს მისი ღირსება-ნაკლოვანებები.

გარდა იმისა, რომ რეცენზია ლიტერატურულ-კრიტიკული ჟანრია, იგი ამავდროულად ჟურნალისტური ჟანრიც არის, ვინაიდან თითქმის ჟურნალისტიკის (ჟურნალ-გაზეთების) დაბადებისთანავე გაჩნდა და დღემდე პრესის (არა მარტო ლიტერატურული პრესის) ერთ-ერთ აუცილებელ და პოპულარულ ჟანრად რჩება.

რეცენზიამ მკითხველს მკაფიო წარმოდგენა უნდა შეუქმნას წიგნის უმთავრეს თავისებურებებსა და ღირსება-ნაკლოვანებებზე — თემატიკაზე, მხატვრულ მხარეზე, იმაზეც, თუ რა დამოკიდებულება არსებობს განსახილავ თხზულებასა და სხვა ნაწარმოებებს შორის, რომლებთანაც მას თემატური, პრობლემური, ჟანრობრივი და ა. შ. თვალსაზრისით შეხების წერტილები მოეპოვება. ეს ნიშნავს, რომ რიგიანი რეცენზიის დასაწერად სერიოზული ლიტერატურათმცოდნეობითი მომზადება არის საჭირო.

შესაძლოა თუ არა სხვის წიგნზე დაწერ-

ილ რეცენზიაში საკუთარი თეორიული შეხედულებებიც გადმოსცეს რეცენზიის ავტორმა, ისეთი შეხედულებები, რომლებზედაც სარეცენზიო ნაშრომში არაფერია თქმული? შესაძლებელია, ოღონდ იმ პირობით, თუ ეს საკითხი (ან საკითხები) მჭიდროდ უკავშირდება განსახილავ ტექსტს; თანაც მისი (ან მათი) გადმოცემის ფორმა სხარტი, ლაკონიური უნდა იყოს, რათა არ დაიჩრდილოს ძირითადი მიზანდასახულობა — სარეცენზიო წიგნის შეფასება.

სამაგალითოდ გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის რეცენზია „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვისმიერ „შეშლილი“-ს თარგმნაზედა“. ეს გახლავთ რეცენზია იმ თარგმანზე, რომელიც სათაურშივეა დასახელებული. უარყოფითი რეცენზიაა, მისი ავტორი, ილია ჭავჭავაძე, იწუნებს როგორც მთარგმნელის მიერ სათარგმნი მასალის შერჩევას, ასევე თარგმანის ხარისხსაც კონკრეტული მაგალითების მოშველიებით. მაგრამ რამაც ეს რეცენზია ქართული ლიტერატურისთვის საეტაპო თხზულებად აქცია, გახლავთ ის, რომ ილია ჭავჭავაძეს უხეირო თარგმანმა საბაბი მისცა ახალი (ქართული მწერლობისთვის ახალი) ესთეტიკის პრინციპები ჩამოეყალიბებინა და ქართული მწერლობა რეალისტური ხელოვნების გზაზე დაეყენებინა. განსახილავმა თარგმანმა მას შესაძლებლობა მისცა ეს ბევრად უფრო მკაფიოდ, ლაკონიურად, კომპაქტურად და შთამბეჭდავად გაეკეთებინა, ვიდრე ამის მიღწევა საგანგებოდ ამ მიზნით დაწერილი თეორიული ხასიათის ნაშრომით მოხერხდებოდა.

ერთი მაგალითი ჩვენი საკუთარი პრაქტიკიდან.

გასული საუკუნის ბოლოს დამაინტერესა ე. წ. ნაივური პროზის საკითხმა. თეორიული სტატიის დაწერა ამ თემაზე ხანგრძლივ შრომასა და კვლევა-ძიებას საჭიროებდა, რისი არც დრო მქონდა და არც ხალისი. (ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ყაიდის ნაშრომის გამოქვეყნება არც ისე ადვილია იმის გამო, რომ ფართო მკითხველი საზოგადოება თეორიული ყაიდის თხზულებებს მაინცდამაინც არ ეტანება და ამის გამო რედაქციებიც გაურბიან ამგვარი სტატიების ბეჭდვას).

ნაივური პროზის თავისებურებებზე კომპაქტურად სასაუბროდ კარგი საბაბი მომცა ეთერ თათარაიძის წიგნმა „მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი“, რომელიც ვაჟაფშაველას ქალიშვილის, გულქან რაზიკაშვილის, მონათხრობის მიხედვით არის დაწერ-

ილი. ამ წიგნის რეცენზირებისას შევძელი ნაივური პროზის თავისებურებების ამსახველი რამდენიმე დებულების მოკლედ ფორმულირება (რეცენზიას სრული სახით წინამდებარე ნაშრომს ბოლოში დავურთავ და მკითხველს შეუძლია თვითონ განსაჯოს, როგორ გამომივიდა ეს).

წიგნის ხასიათის შესატყვისად, რეცენზიაში მეტი ყურადღება ზოგჯერ თემატიკას ეთმობა, ზოგჯერ პრობლემატიკას, ზოგჯერ ტექსტის მხატვრულ თავისებურებებსა და ღირსება-ნაკლოვანებებს, ზოგჯერაც ავტორის -პიროვნებას და ა. შ.

ეთერ თათარაიძის წიგნის ზემოთ ნახსენებ რეცენზიაში წიგნის ხასიათმა მოითხოვა განმარტება ამ წიგნის ავტორის (ავტორების!) თაობაზე.

საქმე ის გახლავთ, რომ, რასაც ამ წიგნში ვკითხულობთ, გულქან რაზიკაშვილის მონათხრობია, ჩანერილი ეთერ თათარაიძის მიერ. ამის გამო მკითხველმა შეიძლება ეთერ თათარაიძის დამსახურება ამ არაჩვეულებრივი წიგნის შექმნის პროცესში სრულად ვერ გაითვალისწინოს და იფიქროს: დიდი ამბავი! რა დამსახურება ეგ არის — სხვისი ნაამბობი სიტყვასიტყვით ჩაუნერიაო, — რაც უსამართლობა იქნება. მაგრამ როდესაც რეცენზიის მკითხველს გავაგებინებთ, როდენ სიტყვაძვირი ყოფილა დიდი მგოსნის ოთხმოც წელს მიტანებული კუშტი ქალიშვილი, ცხოვრებისაგან ნატანჯ-ნაგვემი, იგი (ჩვენი მკითხველი) სათანადოდ დააფასებს ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას, ეთერ თათარაიძისთვის დამახასიათებელს, რისი წყალობითაც ბოლოს და ბოლოს გულქანმა მას გული გადაუშალა და ახლა ჩვენც შესაძლებლობა გვაქვს დიდი ვაჟას ქალიშვილის მონათხრობს მამაზე, წიგნად შეკრულს, გავეცნოთ და მისი ქალიშვილის თვალთაც შევხედოთ იმ შემოქმედს, რომლის მნიშვნელობა, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო იზრდება მსოფლიო მასშტაბით.

წიგნის ამ თავისებურებაზე — მის ორავეტორიანობაზე — საუბრისას ბუნებრივად დაიხატა ორ ხასიათი — ვაჟას ქალიშვილისაც და მისი ახალგაზრდა თანამოსაუბრისაც. ვიმეორებთ: ეს ბუნებრივად, ანუ ძალდაუტანებლად, თითქოსდა სხვათა შორის, მოხერხდა ზემოთ დასახელებული საკითხის გარკვევისას, ამ ორი არაჩვეულებრივი ქალბატონის ხასიათთა ორიოდეშტრიხით წარმოჩენის შედეგად.

რეცენზიაში აუცილებლად უნდა ითქვას

იმის შესახებ, თუ რა სიახლეს (სიახლეებს) სთავაზობს სარეცენზიო წიგნი მკითხველს (ხოლო თუ წიგნში არაფერია ახალი და იგი მხოლოდ სხვა წყაროებიდან ცნობილი ამბებისა და ფაქტების უბრალო გამეორებაა, ეს მის მნიშვნელოვან ნაკლად უნდა ჩაითვალოს). ამიტომ ზემოხსენებულ რეცენზიაში ერთ სენსაციური ხასიათის სიახლეზეც გავამახვილეთ ყურადღება: გულქან რაზიკაშვილის მონათხრობიდან ირკვევა, რომ ვაჟაფშაველას ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლირიკული შედეგის თანავტორი პატარა გულქანი ყოფილა. ამ დეტალმა შეუძლებელია ლიტერატურის მოყვარული ადამიანის დიდი ინტერესი არ გამოიწვიოს... და რეცენზიის ერთი მთავარი დანიშნულება ხომ ესეც არის!

განსახილავ რეცენზიაში არაფერი მითქვამს სარეცენზიო წიგნის ნაკლოვანებებზე, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი ვერ შევნიშნე. უნაკლო ქვეყნად არაფერია და, უნდა ვიფიქროთ, ვერც ეს წიგნი იქნება სავსებით დაზღვეული ნაკლოვანებებისგან, მაგრამ უამრავმა ღირსებამ ისე გადაფარა ისინი, რომ ჩვენი მზერისთვის უჩინარ ჰყო.

რაც შეეხება ჩემს რეცენზიას, მის ერთ-ერთ ნაკლად შემიძლია ის დავასახელო, რომ დავგვიანებით დაინერა და გამოქვეყნდა, წიგნის გამოცემიდან მესამე წელს. ამ შემთხვევაში თავი იმით უნდა ვინუგემოთ, რომ ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ანუ: **რეცენზიას ოპერატიულობა მოეთხოვება, მან დროულად, გამოცემისთანავე უნდა შეაფასოს წიგნი.**

ბოლოს, დაპირებისამებრ, გთავაზობთ რეცენზიის სრულ ტექსტს, რომელიც ოცი წლის წინ, 1993 წლის 25 მარტს გამოქვეყნდა გაზეთ „სიტყვა ქართულის“ მე-4 ნომერში და მას შემდეგ აღარსად დაბეჭდილა.

მგოსნის ქალიშვილის აღსარება

1989 წლის მარტის მიწურულს, როცა თბილისში პოლიტიკური ვნებები ბობოქრობდა, ფშავში, ჩარგალში გარდაიცვალა ოთხმოცდაათ წელს მიტანებული გულქან რაზიკაშვილი — ვაჟა-ფშაველას ქალიშვილი. დაკრძალვას ძალიან ცოტა ხალხი დასწრებია.

განგებამ იწება, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში გულქანი ახალგაზრდა პოეტ ქალს

ეთერ თათარაიძეს დაახლოებოდა და ემეგობრა კიდევ მასთან. ამ მეგობრობის შედეგია **გულქან რაზიკაშვილის** მოგონებების წიგნი სათაურით „მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი“, ჩანერილი **ეთერ თათარაიძის** მიერ (მწერალთა დამოუკიდებელი ასოციაცია „გულანის“ გამომცემლობა, თბილისი, 1991).

ეს გახლავთ უნიკალური წიგნი, ნაივური პროზის შედეგრი.

ნაივური შემოქმედება ჩვენი ეპოქის ნაშობი არ არის (მას ბევრად უფრო ღრმა ფესვები აქვს), მაგრამ არაჩვეულებრივი ინტერესი მის მიმართ მე-20 საუკუნეში გაჩნდა. ნაივური პროზის ესთეტიკა და მისგან მოგვრილი შთაბეჭდილება ნაივური მხატვრობის ესთეტიკისა და ნაივური მხატვრობისგან მოგვრილი შთაბეჭდილების მსგავსია (გავიხსენოთ ნიკო ფიროსმანაშვილი). ნაივური შემოქმედი, ფერმწერი იქნება იგი თუ მთხრობელი, სამყაროს პირველყოფილი უშუალოდ აღიქვამს და გამოსახავს. სამყაროსადმი სწორედ ამგვარი დამოკიდებულების ნაკლებობა იგრძნობა ჩვენს დროში, როცა განსწავლა, განვრთნილობა, კონვენციურობა ჯაბნის უშუალობას, ბუნებრიობას, სიალაღეს.

ოლონდ ნაივური ხელოვნება ორგვარია: ნამდვილ-ნაივური და ვითომ-ნაივური. ვითომ-ნაივური ის გახლავთ, როცა კლასიკურ-განათლებამიღებული შემოქმედი იწყებს ხატვას ან წერას გულუბრყვილო მანერით, ნამდვილ-ნაივური კი ის არის, როცა ტალანტსა და სამყაროს შორის არ დგას კლასიკური განათლება და განსწავლულობა. ასეთია ნიკო ფიროსმანაშვილი, ასეთი გახლავთ გულქან რაზიკაშვილი. (გულქანი იგონებს: „სწავლაზე ჰქონდათ ლაპარაკი ბაჩანასა და მამასა. მეც იქ ვეყუდე... მამამ თქვა: — აბა, რა ვიცო, არაფერი შეძლება არა მაქვ, თორე გულქანს ვასწავლიდიო“. გულქანი თხუთმეტი წლისა იყო, ვაჟა რომ გარდაიცვალა).

ნაივური პროზისთვის ჭაშნიკის ასაღებად ვნახოთ ის ადგილი, სადაც ღრმად მოხუცი გულქანი მოგვითხრობს, როგორ დასტირის პატარა გულქანი მამის სამოსს:

„ტიროდეს, ნიოკობდეს მამაის ტალავრის გარეშემო. მენც მომინდა ხმამაღლა მეთქვა რა. მახსონ, დაეინყე: ჰა, გიდი, ვეფხო, მთის არწივო, სიკვდილი როგორ მოგერიო... მამავ, აკი მითხარ, სარუბაშკავეს მოგიტანო და... შამრცხვა მერე და დავდუმდი. კარგა დავინყე და ის რუბაშკუაი რაღას გამოურიე ტირილში, აბა, რა საჭირო იყო იმის გამორე-

ვა! სად ვეფხისთვი სიკვდილის არმორევა და სად რუბაშკუაი და გავჩუმდი, გავკმინდე ხმა... იტირეს, ინიოკეს და ნავიდა ეს ხალხი...“.

კითხულობთ ამ საოცარ წიგნს და ვერ დაგიჯერებიათ, რომ სულ ახლახან ჩვენს პარალელურად (დიახ, სწორედ ჩვენს პარალელურად და არა ჩვენ გვერდით!) ცხოვრობდა ეს არაჩვეულებრივი ქალბატონი, დიდი ვაჟა-ფშაველას ქალიშვილი, მამაზე ცოცხალი მოგონებებით აღსავსე, ისიც მამამისივით ნატანჯ-ნაგვემი ცხოვრების მიერ და ამავე დროს მომსწრე მშობლის არნახული დიდებისა (ერთგან ამბობს, საიქიოს ვაჟას რომ შევხვდები, ასე ვეტყვი: „მამავ... ხატად ჰყევხარ ქართველებსა“), თვითონაც უაღრესად საინტერესო პიროვნება, მონოლითური, უცნაური, უნიკალური ხასიათი. ეს უცნაურობა და უნიკალურობა მისი აღსარების ამ ფრაგმენტიდანაც კარგად ჩანს:

„მე მამის სამარე არ მინახავ, იქავ გავთავდები. ისე მივდივარ სამარეში, მამის სამარე არ მინახავ. რო დამიწყებენ, განახვებთო, ვატყუებ, ვყოფილვარო, ზოგთა. ეთერო, შენ იცოდე სიმართლე, რო მე მამის სამარე არ მინახავ, არა, ქალო, არ შემიძლავ იმის საფლავის ნახვა, არა. მე ვინც მიყვარდა, იმის საფლავს რა მინახვებ. არა ვნახავ იმის სამარესა, არა. წარმოვიდგენ, რო ძვლებილა და რანაირათ უნდა ავიტანო, იქავ გავთავდები, იქავა“.

ეს წიგნი დიდი მგოსნის ქალიშვილის აღსარებაა, მაგრამ ეთერ თათარაიძე რომ არა, ეს უძვირფასესი დოკუმენტი არ იარსებებდა. ნუ მოგეჩვენებათ ეს განცხადება მოგონებათა ჩამწერის დამსახურების გადაჭარბებულ შეფასებად. საქმე ის გახლავთ, რომ გულქან რაზიკაშვილის ალაპარაკება, მით უფრო, მისგან აღსარების მოსმენა თითქმის შეუძლებელი ყოფილა. არც არის გასაკვირი: მნარე ცხოვრებამ გულჩათხრობილი და მიუნდობელი გახადა ქალი; ამას დაუმატეთ გაუთავებელი, თავმომაბეზრებელი ექსკურსიები და ექსკურსანტთა ბანალური, გაცვეთილზე-გაცვეთილი, ტრაფარეტული, გულსგარეთ დასმული შეკითხვები (ამგვარ შეკითხვათა ნიმუში ამ წიგშიც არის. ერთი ჭაბუკი კითხულობს: „გულქან ბებია, რას ამბობდა ვაჟა სპორტის შესახებ?“). ეთერი გააფრთხილეს: „ტყუილად გაირჯები, ისეთი თავისებური ხასიათისაა, შეიძლება „გამარჯობაზე“ არც გიპასუხოს, ამბების მოსმენისა და ჩანერის იმედი კი საერთოდ ნუ გექნებაო“.

მაგრამ ეთერ თათარაიძეს გულქან რაზიკაშვილის სამყაროში შეასაღწევინე უნიკალური (რამდენჯერ უნდა ვიხმარო ეს სიტყვა ამ რეცენზიაში!) „საშვი“ ჰქონდა. მოგეხსენებათ, ეთერი თუშურ კილოზე წერს ლექსებს...

გაცნობა ასე მომხდარა:

„მართამ ჩაუფშაურა: ეს თუშის ქალი შენს გასაცნობად ამოვიდა. თუშურად რო სწერს ლექსებს, აი, ის არი...“

ნელ-ნელა ამოიხედა, სახე გაეხსნა, ხელი გამომიწოდა, ჩემი ხელი მუხლზე დაიდო და გამხდარი თითებით მომეფერა უხმოდ. თვალს არ მაცილებდა და ერთადერთი, რაც მითხრა, ეს იყო: — იიი, იიი, ეხლა შენ შეგჭამენ, ეხლა შენ ამოგაძრობენ სულსა...

მერე საუბარიც თავისთავად აენყო“.

ეს ერთი.

გარდა ამისა, ისიც კარგად ჩანს ამ წიგნიდან, რომ ეთერს ადამიანის სულში შესაღწევ ბილიკთა მოძიების შესაშური ალლო ჰქონია. ერთ ამონარიდს კიდევ გაახლებთ და ხელადვე ირწმუნებთ ამას. გულქანი ამბობს: „რაც გონი მაქვ, ქვეყანა მეხვევა და ამბავს მკითხვენ მამისასა, მაგრამ, ჩემო ქალო, შენ რომ მკითხე, მამას სიზმარში არ ხედავო, დავბერდი და, ჩემის ლამაზის მამის სულს გეფიცები, შენს მეტს არავის უკითხავს“.

გულქანის სიზმრებს დიდი ადგილი უჭირავს ამ წიგნში.

ახლა ასეთი კითხვა დავსვათ: იძლევა ეს

ჩანაწერები რამე ახალს, დღემდე უცნობს ვაჟა-ფშაველას ხასიათის, ცხოვრების წესის, შემოქმედებითი შრომის პროცესის უკეთ წარმოსადგენად და გასაგებად?

ძალიან ბევრს! წრილმანი თუ მსხვილმანი დეტალებით იხატება ვაჟა — ადამიანის, ვაჟა — პიროვნების, ვაჟა — შემოქმედის დღემდე უცნობი შთამბეჭდავი, რეალისტური, შეულამაზებელი პორტრეტი. მარტო იმის შეტყობა რად ღირს, რომ ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი შედეგის — „რამ შემქმნა ადამიანად? რატომ არ მოველ წვიმად“ — თანაავტორი პატარა გულქანი ყოფილა (აი, ლიტერატურული სენსაცია თუ გნებავთ, ეს არის!).

წიგნს ახლავს ქალბატონი ეთერის მეუღლის, თავადაც ჩინებული ლიტერატორისა და მეცნიერის, ამირან არაბულის ბოლოსიტყვა და მისივე გადაღებული ფოტოები.

წიგნის მხატვარია თენგიზ მირზაშვილი.

რედაქტორს, სალომე ზვიადაძეს, გულთბილი წინასიტყვა წაუმძღვარებია ჩანაწერებისთვის. ეს მცირე რეცენზია მინდა მისი სიტყვებით დავამთავრო:

„...დიდად მადლიერნი უნდა ვიყოთ ეთერ თათარაიძისა, რომელიც ყველა ჩვენგანის მაგივრად მოეფერა და სიცოცხლის ბოლო დღეები გაუთბო გულქან რაზიკაშვილს, მასში აღმოაჩინა დიდი მწერლის არა მარტო სისხლისმიერი, არამედ პოეტური მემკვიდრე და ჩვენ, მკითხველებიც გვაზიარა ვაჟასთან მიახლოებისა და ამ აღმოჩენის სიხარულს...“.



ივანე ამირხანაშვილი

ყველაზე მეტაფიზიკური რომანი

ჩემმა სტუდენტობამ და შემდგომმა პერიოდმა სამი საკულტო მწერლის ნიშნით ჩაიარა: თომას მანი, ჰერმან ჰესე, რობერტ მუზილი.


მუზილი 80-იანი წლების ბოლოს გახდა აქტუალური, უფრო სწორად, მოდური, რაღაც თვალსაზრისით, ყბადაღებულიც. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მწერლის 100 წლისთავის საიუბილეოდ გამოვიდა „უთვისებო კაცი“ რუსული თარგმანი, სოლომონ აპტის მიერ შესრულებული, ნაკოდი ქვა.

მაშინ დაიწყო საუბარი ამ რომანის გადმოქართულებაზე. პრესტიჟის საქმე იყო ლიტერატურისთვისაც, დროისთვისაც, ჩვენთვისაც. გვეგონა, თენგიზ პატარაია შეჰბედავდა. მას უკვე თარგმნილი ჰქონდა მუზილის მოთხრობები: „პორტუგალიელი ქალი“, „გრიჯია“, „ტონკა“, „შაშვი“. სამწუხაროდ, თენგიზი ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან.

მოგვიანებით, დალი ფანჯიკიძეს ვკითხე, რამდენად რეალური იქნებოდა, რომ დაეწყო რომანის თარგმნა ჟურნალ „საგურამოსთვის“.

„ჩემთვის დაგვიანებულია, ამ საქმეს ენერჯია სჭირდება,“ — მიპასუხა ქალბატონმა დალიმ.

დიდი ძალა აქვს აკვიტებას. გადავწყვიტე თვითონ მეთარგმნა ერთი-ორი თავი. სასინჯად, საჭაშნიკოდ, „სათრეველად“, ცოტა სარეკლამოდაც. ვთარგმნე კიდეც პირველი ტომის 28-ე და 29-ე თავები. გულის გულში კი ვგრძნობდი, რომ მართო არ ვიქნებოდი ჩემს უტოპიაში. მართლაც, არ გასულა დიდი ხანი, რომ სრულიად მოუ-



ლოდნელად აღმოვჩნდი ფაქტის წინაშე: რობერტ მუზილი, „უთვისებო კაცი“, მთარგმნელი მაია ბადრიძე, გამომცემლობა „დიოგენე“, 2008წ.

მშვენიერი თარგმანია. არა იმდენად კონვენიალური, რამდენადაც პროფესიონალური. მთარგმნელს ურჩევნია ტექსტი იყოს უფრო ბუნებრივად გასაგები, ვიდრე ბუკვალურად ზუსტი. შენარჩუნებულია

თხრობის დედნიეული მანერა, რიტმი, სინტაქსი. თანამედროვე მთარგმნელობითი საქმის სუმბურულ პრაქტიკაში ეს არის საგულისხმო მოვლენა, მინიშნება, კულტურული გეზის მანიშნებელი.

მაინც რა არის დრო, დრო-ჟამის კონტექსტი. „უთვისებო კაცი“ საბჭოური დროის მიწურულს რომ გვეთარგმნა, უთუოდ საგულისხმო რეზონანსი ექნებოდა, ფართო, მძაფრი, ხმაურიანი. ავსტრო-უნგრეთის კრიზისი, რომელიც რომანში არის ნაჩვენები, ჩვენთვის ნაცნობ პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ პრობლემებს წარმოაჩენს. ამ აღმოსავლეთ ევროპული იმპერიის პოლიტიკურ-ბიუროკრატიული სისტემა ძალიან მოგვაგონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ-ბოლშევიკურ წყობას. სხვათა შორის, აქაც ტარდება მიტინგები და დემონსტრაციები — კოლექტიურ ქმედებათა ცივილიზებულ-არაცივილიზებული გადმონაშთები, რომლებიც არაფრით განსხვავდება რუსთაველის პროსპექტზე ნანახი მასობრივი პოლიტიკური „დადგმებისაგან“.

ავსტრო-უნგრეთს მუზილი უცნაურ სახელს — „კაკანიას“ უწოდებს. ეს ფოლკლორული რემინისცენციაა. მე-13 საუკუნეში დასავლეთ ევროპულ ზეპირსიტყვიერებაში ჩამოყალიბდა წარმოდგენა ახალი ქვეყნის შესახებ, რომელსაც კოკანი — ფუფუნებისა და, უპირველეს ყოვლისა, გასტრონომიული სიუხვის ქვეყანა ეწოდებოდა.

კაკანიაში მიმდინარეობს ეგრეთ წოდებული პარალელური აქცია, რომელიც მისი უდიდებულესობა იმპერატორის მმართველობის 70-ე წლისთავს ეძღვნება. ამ აქციის ერთ-ერთ ლიდერს, გრაფ ლაინსდორფს მიაჩნია, რომ ეს არის მსოფლიო მასშტაბის მოვლენა, ულრიხი — უთვისებო კაცი — კი ფიქრობს, რომ სისულელეა, მისი აზრით, გაცილებით მნიშვნელოვანია ჭკუიდან შეშლილი მკვლელის, მოოსბრუგერის ციხიდან გათავისუფლება.

ვინ არის ულრიხი?

ეს არის უთვისებო კაცი, რომლის მსგავსი ბევრი გვინახავს ლიტერატურაში, მაგრამ ფარდი — არა.

პირველი ასეთი კაცი შექსპირის ჰამლეტია, უხასიათო, ხასიათის არმქონე პერსონაჟი.

მაგრამ სათაური არ ნიშნავს უბრალოდ

უთვისებო კაცს. ეს ნიშნავს კაცს, რომელსაც არ გააჩნია მდგრადი, მყარი, არანარმავალი თვისებები. „აიგენშაფტ“ — ეს არის „დაუერ მერკმალ“: ხანგრძლივი თვისება. მაგალითად, კლაპენბახისა და შტაინიცის თანამედროვე გერმანული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვა ასეა ახსნილი: „ვეზენტლიხე უნდ დაუერნდეს მერკმალ“ — არსებითი და ხანგრძლივი თვისება.

ულრიხი იმიტომ არის უთვისებო, რომ მას არ აქვს მდგრადი, არანარმავალი, არააქციდენციური თვისებები.

საგანი, რომელსაც სახელი არ აქვს, არ არსებობს. კაცი, რომელსაც თვისებები არ აქვს, არ არსებობს. მაგრამ თუ არ არსებობს, სადღაც ხომ „არის“ მისი არსი.

ულრიხი „არის“ თავის მარტოობაში, თავის მეტაფიზიკურ განცდებში. ამიტომ არ ჩანს მისი შინაგანი განვითარების შედეგი, მისი კულტურულობა, ანუ, როგორც ჩინელები იტყვიან, „ვენ“ — შექმნილი მორალური თვისებები.

ამ თვალსაზრისით, მუზილის რომანი შეიძლება მივიჩნიოთ ყველაზე მეტაფიზიკურ რომანად. ამას ინტელექტუალურ რომანტიზმს ვუნოდებდით, თუ რომანტიზმის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად მეტაფიზიკური საგნებისა და ტრანსცენდენტური გარემოს ძიებას ვაღიარებთ.

„უთვისებო კაცის“ მოქმედება მიმდინარეობს ინტელექტის ვირტუალურ სამყაროში. ინტელექტი მოქმედების ეკვივალენტია.

ავტორს ვერ გაუგეს. სხვა დრო იყო, გართობის, მასკულტურის, ტექნიციზმის საუკუნე — ფიზიკისა და ომების ხანა. რომანში იგრძნობა პირველ მსოფლიო ომში განცდილი მარცხის ეროვნული ტრავმა. ავსტრო-უნგრეთის იმპერია ნაწილებად დაიშალა, ავსტრია ერთ პატარა რესპუბლიკად იქცა. შემთხვევითი არ არის, რომ იმპერიის ნანგრევებზე (უფრო სწორად, მახისა და ავენარიუსის ფილოსოფიის ნანგრევებზე) აღმოცენდა ფილოსოფიური მიმდინარეობა ნეოპოზიტივიზმი, რომელმაც გააფეტიშა ბურჟუაზიული სულიერი ფასეულობები და თეორიულად გააფორმა საზოგადოებაში არსებული სკეპტიციზმი.

კაკანიაში მაღალი იდეალებისთვის იბრძოდნენ, მაგრამ აღმოაჩინეს, რომ ეს უაზრობა იყო და როდესაც გადაწყვიტეს უაზრობაზე უარი ეთქვათ, იმპერიამ რღვე-

ვა იწყო.

ზნეობრივ კრიზისს სოციალურ-პოლიტიკური დაცემა მოჰყვა.

მუზილი ჩამოთვლის კაკანიის მოქალაქის ცხრა მახასიათებელს: პროფესიული, ეროვნული, სახელმწიფოებრივი, კლასობრივი, გეოგრაფიული, სქესობრივი, გაცნობიერებული, გაუცნობიერებელი და კერძო. ამ თვისებებს კაკანიის მცხოვრები, ერთი მხრივ, თავის თავში აერთიანებს და, მეორე მხრივ, განზავდება, იკარგება მათში.

ადამიანმა დაკარგა შინაგანი ფორმა, დაკარგა იდეა!

გადარჩება ის, ვინც განიძარცვავს თავს იმ თვისებებისგან, რომლებიც კაკანიის რეჟიმმა მიანიჭა. პროცესი ხანგრძლივია. შესაძლოა დაუსრულებელიც, როგორც ეს რომანი.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ფრაზა, რომელიც ამასწინათ წამოსცდა უნგრელ პოსტმოდერნისტს პეტერ ესტერჰაზის: „ჩვენ დავუბრუნდით იმას, რითაც მუზილმა დაამთავრა: უთვისებო კაცი ეძებს იდენტობას“.

ერთადერთხელ მოაწყო მუზილმა თავისი რომანის კითხვა-განხილვა. სალამოზე სულ თხუთმეტი კაცი მივიდა. ხუთი კაცი ესწრებოდა მის დაკრძალვას.

თუმცა ავტორიტეტული მწერალი იყო. ოცდაათიან წლებში „მუზილის საზოგადოებაც“ შეიქმნა. ყოველთვიურ დახმარებასაც აძლევდნენ. მიუხედავად ამისა, საზოგადოების ყურადღებას ვერ გრძნობდა. „ნუთუ მაინცდამაინც უნდა მოკვდე, რომ დაგაფასონ“, — წერდა სასონარკვეთილი. ვერ გაიგეს, ვერ გაუგეს. ულრიხივით დარჩა თავის მარტოობაში.

ერთხელ ჰანს მაგნუსს ენცესბერგერმა „უთვისებო კაცზე“ თქვა, ოცდაათი წელი უჯდე ერთ საგანს, ამხელა აგურს, მე ამას ვერ შევძლებდი და არც ვისურვებდიო.

არც არავინ ისურვებდა. იმიტომ, რომ ეს ბედია. იქნებ ბედისწერაც.

რობერტ მუზილმა მთელი ცხოვრება შესწირა იმას, რომ მითად ექცია უთვისებობა, ადამიანობის არსი, საფუძველი, რომელიც ისევე მოუხელთებელია, როგორც მეტაფიზიკური სიმეტრია: უთვისებო კაცი და უკაცო თვისება.



გიორგი ალიბეგაშვილი

ნიბნი, სიყვარულით დანერილი

აკადემიკოს როინ მეტრეველის ნაშრომი „რაჭა — შტრიხები წარსულიდან“ (თბილისი, 2013) საქართველოს მთიანეთის მნიშვნელობის წარმოჩენით იწყება და ამ მიმართებით მრავალ ასპექტს მოიცავს. ქვეყნისთვის მთა, გარდა სილამაზისა, წარმოადგენდა საზღვრების დაცვის ძალას, იყო ეკონომიკური ფუნქციის მატარებელი, მტრიანობისას მოსახლეობის თავშესაფარი; ის ყოველთვის უზარმაზარ რესურსებს — ტყის მასივებს, მტკნარ წყლებს, მინერალურ წიაღისეულს, მრავალფეროვან ცხოველთა სამყაროს, მცენარეულობას და ა. შ. შეიცავდა.

როგორ ესმოდათ ჩვენს წინაპრებს მთის მნიშვნელობა? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ ისტორიკოსის თვალთახედვით არასაკმარისი იქნებოდა. ამიტომაც მეცნიერი შეფასებას პოლიტიკური, დემოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ხელოვნებათმცოდნეობითი, არქეოლოგიური, ეკოლოგიური, გნებავთ, სულიერი და ლიტერატურული ასპექტებითაც გვთავაზობს, რაშიც მთის მიმართ ბატონი როინის არა მხოლოდ წრფელი გულშემატკივრობა მჟღავნდება, არამედ შემოქმედებითი ნიჭიერებაც, სიღრმისეულად წარმოადგინოს მთის ხედვა, როგორც სილამაზის სიმბოლოსი. აქ ხშირად გამოჩნეული ქართველი პოეტების — ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟაფშაველას, გალაკტიონის უმშვენიერესი პოეტური სტრიქონები, დაბოლოს, ზაურ ბოლქვაძის „აღმოჩენის დონის მცირე მხატვრული პასაჟი“:

მთა არის მინა აჯანყებული,
დედამინაზე დაუტყვარი . . .

ცოტა ქვემოთ კი ვკითხულობთ ავტორის შემდეგ სიტყვებს: „ქართველი კაცი მთას



როინ მეტრეველი

რაჭა

შტრიხები წარსულიდან

ისე ელაპარაკებოდა, როგორც სულიერს“; ხოლო ნათქვამის დასტურად მოყვანილია ერთი ამონარიდი ხალხური პოეზიიდან, როცა შეყვარებული ვაჟკაცი მთას ევედრება, შემოიხსნას ნისლი და გადასვლის საშუალება მისცეს სატრფოსთან მიმავალს:

მთაო, გადმიშვი, გადმიშვი,
რა ნისლი მოგიხვევია,
შენს იქით ჩემსა სატრფოსა
სხვა ვინმე შეჰყვარებია...

დიდი ქართველი ისტორიკოსების — ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის და მათი მოწაფეების — გიორგი ნიორაძის, გიორგი ჩიტაიას, სერგი მაკალათიას, ვერა

ბარდაველიძის, ოთარ ლორთქიფანიძის, ოთარ ჯაფარიძისა და სხვათა მოსაზრებებთან ერთად მეცნიერისთვის განსაკუთრებით ფასეულია ძველი ეპოქის როგორც ქართველი (ლეონტი მროველი, ვახუშტი ბატონიშვილი და სხვ.), ასევე უცხოელი ჟამთააღმწერლების, მოგზაურებისა და მეცნიერების — ჟან შარდენის, პიეტრო დე ლავალეს, იაკობ რეიგენსის, დიუბუა დე მონპერეს, ნიკოფორე ტოლოჩანოვის, ალექსეი იევლევისა და სხვათა, განსაკუთრებით იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ცნობები რაჭის შესახებ. ეს წყარო მით უფრო საყურადღებოა, რომ გერმანელი მეცნიერი ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს შეხვდა.

იოჰან გიულდენშტედტის ნაშრომში „მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიის მთიანეთში“ (გამოიცა ორ ტომად), კონკრეტული ინტერესებიდან გამომდინარე, ძირითადად მიმოხილულია ბუნებისმეტყველების (ბოტანიკა, ზოოლოგია), სოფლის მეურნეობის, სამთო საქმის, დამუშავებითი მრეწველობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის, გეოგრაფიის, ისტორიის, დემოგრაფიისა და ეთნოგრაფიის საკითხები; ამასთანავე, მოგზაური ცდილობს წარმოადგინოს კავკასიური ენებისა და დიალექტების განმარტებები; აკად. როინ მეტრეველიც ამ პრობლემათა გიულდენშტედტისეული დაკვირვებების კუთხით განიხილავს არაერთ ცნობას, ოღონდ როდესაც რომელიმე უწყება არასწორია, ან დაზუსტებას მოითხოვს, იქ უტყუარ ისტორიულ თუ ტოპონიმურ მასალებზე დამყარებული კორექტივები შეაქვს, რათა მკითხველს მცდარი წარმოდგენა არ შეექმნას კონკრეტულ საკითხებზე. თუმცა, ავტორის საბოლოო შეფასებით, გერმანელი მოგზაურის ნაშრომი გვაძლევს მნიშვნელოვან ცნობებს გეოგრაფიული, ისტორიული, ეთნოგრაფიული, საბუნებისმეტყველო და გეოლოგიური საკითხების შესასწავლად XVI-XVII საუკუნის მეორე ნახევრის რაჭის ისტორიიდან.

ბუნებრივია, რაჭის წარსულის კვლევისას ვერცერთი მეცნიერი გვერდს ვერ აუვლის ენციკლოპედიურად განსწავლული მოღვაწის, ისტორიკოსის, გეოგრაფოსის, ეთნოლოგისა და კარტოგრაფის, ვახუშტი ბატონიშვილის უნიკალურ ნაშრომს „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. მისი მოკლე დასურათხატებით, რაჭა არის „ფრიად მაგარი მთითა, კლდითა, ხრამითა, ხევითა და ტყითა, შეუალი გარე მტრისაგან... ჰავით არს კეთილმშუენი, ზაფხულს გრილი, ზამთარ

თბილი და უქარო... მოსავლიანი... ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი, მტილოვანი ყოველნი... პირუტყყუნი, აქლემს გარდა, ყოველნი... მდინარეთა კალმახნი მრავალნი“. ვახუშტი ბაგრატიონი ადგილობრივ მოსახლეობას ერთი კალმის მოსმით ძალზედ შთამბეჭდავად აღწერს: „კაცნი ტანოვანნი, მხნენი, ბრძოლასა შემმართველნი, ძლიერნი... ქალნი მშვენიერნი, მქცევნი ეგრეთნივე, რბილნი.“ ეს ცნობები ბატონი როინ მეტრეველისთვის მით უფრო ძვირფასია, რომ ვახუშტი ბატონიშვილმა „მნიშვნელოვან საკითხებზე ამომწურავი ინფორმაცია მოგვანოდა. თანაც მისი ყოველი მონაცემი მაღალფასეულია, რადგან საკუთარი თვალთ ნანახს, დაკვირვებით მოპოვებულ ინფორმაციასა და უშუალოდ განცდილს წარმოაჩენს“.

ავტორი სიღრმისეულად ეხება ტოპონიმ „რაჭის“ ეტიმოლოგიას. განხილულია ვახუშტი ბაგრატიონისეული ხალხური ძირების, ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, ნიკო ბერძენიშვილის, თ. ბერაძის, ლ. ფრუიძის, თ. მიბჩუანის, გ. ბოჭორიძის ეტიმოლოგიური ძიებანი, თუმცა, როინ მეტრეველის შეფასებით, „რაჭის“ ეტიმოლოგია ბოლომდე გარკვეული მაინც არ არის.

ნიგვში ძალზედ საინტერესოაა წარმოდგენილი რაჭის გეოგრაფიული თვალსაზრისით სამ ნაწილად (მთა რაჭა, ზემო რაჭა და ქვემო რაჭა) დაყოფის საფუძველი: მთა რაჭაში შედის სოფელ უწერის ზემოთა ტერიტორიები; ზემო რაჭა უწერიდან იწყება და სოფელ წესამდე ვრცელდება. მთა რაჭისა და ზემო რაჭის საზღვრად კი ვაზის კულტურაა დადებული. ს. უწერის ზემოთ ვაზი აღარ ხარობს, იქ მდებარე სოფლები უვენახონი არიან; ხოლო ზემო და ქვემო რაჭას შორის საზღვარი ორ კედელს შუა ადგილია, რომელსაც ხიდიკარი (ხიდისკარი) ჰქვია.

აკად. როინ მეტრეველი რაჭის საერისთავოს ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნიკორწმინდის მაცხოვრის ჯვარცმის ხატის ზენარწერასა და ამავე ეპოქის, თედო ჟორდანიას მიერ აღმოჩენილ, სიგელს, აგრეთვე, ს. სხვაგის ჯვრის ტიპის გუმბათოვან ეკლესიაში ორ უძველესწარწერიან ფირფიტას, თუმცა აზუსტებს, რომ ამ სამთავროს შესახებ სრულყოფილი მოხსენიება მხოლოდ XII საუკუნის 80-იან წლებში გვაქვს, კერძოდ, მეფე თამარის კურთხევის დროს: რაჭისა და თავკერის ერისთავმა კახაბერმა მეფისათვის ხმ-

ლის გადაცემაში („მოღება და დადება ხრმლისა“) მიიღო მონაწილეობა, რაც, მეცნიერის დაკვირვებით, სახელმწიფოში რაჭის მმართველის მალალ ფუნქციას უსვამს ხაზს. სხვადასხვა დამატებითი წყაროს მოყვანის საფუძველზე ავტორი დაასკვნის, რომ რაჭის ერისთავები ბალვამთა შტოს წარმომადგენლები არიან. რთული და წინააღმდეგობებით სავსე, ზოგჯერ კი ტრაგიკული იყო მათი მოღვაწეობა საქართველოს ისტორიაში – ჩანს მათი განდგომაც და ქვეყნისთვის თავდადებული ბრძოლაც, სახელმწიფოებრივ და ანტისახელმწიფოებრივ შეთქმულებებში მონაწილეობა; **ყოველივე კი როგორც რაჭის ერისთავთა, ასევე საერისთავოს დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს.**

რაჭის საერისთავოს ისტორიის მეორე პერიოდიდან ნაშრომში გამოკვეთილია სხვადასხვა გამორჩეული მოღვაწის სახეები, რომლებიც თანამდევ სულელებად აღიქმებიან საქართველოს ისტორიაში. ესენი არიან ფრესკებად გამოხატული თუ საყდრების წარწერებში მოხსენიებული პირები, ტაძრების ქტიტორები და მაშენებელნი, „სანუთოს მიფარებული“ წინაპრები, გამორჩეული სასულიერო მოღვაწეები, უნიკალურ ხელნაწერთა შემკვეთ-გადამწერნი, ხატმწერნი, კედლის მხატვრობის შემოქმედნი.

აკად. როინ მეტრეველი წიგნის ამ მონაკვეთშიც სწორედ იმის ჩვენებას ცდილობს, თუ რაოდენ თვალსაჩინო იყო რაჭისა და მისი მოსახლეობის როლი საქართველოს ცხოვრებაში - ეს კუთხის კულტურულ ყოფაშიც აისახა, რომელიც ქრისტიანული სულიერებითაა გაჯერებული. აზრის გასამყარებლად მოვიყვანთ ციტატას წიგნიდან: **„რაჭაში ადრიდანვე ვრცელდება ქრისტიანობა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქრისტიანობა რაჭაში აღმოსავლეთიდან, ქართლიდან (მცხეთიდან) უნდა შემოსულიყო. ამ დებულების დასაბუთებისთვის გამოყენებულია ის ფაქტი, რომ სოფელ ჯოისუბანში არის ეკლესია, რომელსაც ეწოდება „მცხეთის წმიდა გიორგის“ სახელი. ძეგლი VIII-IX საუკუნეებისაა. სახელწოდება „მცხეთის“ მიჩნეულია საბუთად, რომ ქრისტიანობა რაჭაში ქართლს - მცხეთას უნდა შემოეტანა. მიიჩნევენ, რომ არა მარტო რაჭაში, არამედ ლეჩხუმშიც, სადაც არსებობს სოფელი მცხეთა, ქრისტიანობა ქართლ-**

იდან შემოსულა.“

აქვე ავტორს შეუძლებელია გვერდი აველო დიდი ქრისტიანი მოღვაწის, წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელთან დაკავშირებული სათნო გადმოცემისთვის, რომლის თანახმად, წმ. მაქსიმეს საძვალე ლეჩხუმშია, მასზე აგებულია ბაზილიკური სამნავიანი ეკლესია.

ნაშრომში საგანგებო ყურადღება ეთმობა ქართული ქრისტიანული კულტურის მშვენებას – ნიკორწმინდას, აგებულს ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის (1010-1014 წ.წ.) დროს, შემონახულს XVII საუკუნის ფრესკებით, შემკულს უნიკალური ჩუქურთმებით, მრავალფიგურიანი რელიეფებით, რეალური და ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებებით; ვრცლადაა წარმოდგენილი ის მასალებიც, რომლებიც ნიკორწმინდის ტაძარში მოიპოვებოდა, მათ შორის, XI საუკუნის იადგარი და იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის სიგელი.

არ შეიძლება არ შევეხოთ რაჭულ ფოლკლორსაც, რომელიც ავტორს შინაური შუღლის აღმწერელი ლეგენდა-ლექსის პოეტური სტრიქონებით აქვს გადმოცემული; ეს არის ხალხური შეფასება გმირობისა, საკუთარი ღირსების შეგნებისა და უსამართლობის წინააღმდეგ გალაშქრებისა.

რაჭის კულტურული სიძველეების არაერთ გამორჩეულ სულიერ და მატერიალურ ნიმუშზეა საუბარი აკადემიკოს როინ მეტრეველის ნაშრომში. ნაკითხულზე შთაბეჭდილების გაზიარება კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ძირითადი სათქმელი გადმოვეცით. მთავარი კი ერთი რამ არის: გულწრფელად და სიყვარულით დაწერილი წიგნი ყოველთვის ცოცხლობს არა მარტო აწმყოში, არამედ მომავალშიც, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ სულიერი, მხატვრული ან ისტორიული ფასეულობით - ასე შეიძლება ერწყმოდეს მას ნამყო.

„რაჭა — შტრიხები წარსულიდან“ საქართველოს სიყვარულითაა შექმნილი.

წიგნი მშობლიური კუთხის გულწრფელი თაყვანისცემითაა დაწერილი.

ასეთი ნაშრომი მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად დიდი მეცნიერისა და შემოქმედის ხელიდან უნდა გამოსულიყო და შესაფერისი უნიკალური ილუსტრაციებით შემკულიყო.

ეს წიგნი ბატონ როინ მეტრეველს უნდა დაენერა.





ანდრე მორუა

დონ შუანი ანუ ცხოვრება ბაირონისა რომანი

ნაწილი პირველი

I

ნიუსტედელი ბაირონები

ნოტინგემის შემოგარენში, შერვუდის უმშვენიერეს ტყეში, წმინდა ავგუსტინეს ერთგულმა მიმდევარმა რამდენიმე შავანაფორიანმა ბერმა მონასტრის აშენება გადაწყვიტა. ჰენრი II-ს¹, მეფეს ინგლისისას, ტომას ბეკეტის² მოკვდინებისთვის პაპი ეკლესიიდან განკვეთით ემუქრებოდა. მეფემ ცოდვა მოინანია და მონასტრებს უხვ შესანიშნავ ურიგებდა. ბერებმა წყაროსთან ახლოს, ტყის ტბის მახლობლად, ერთი პატარა ველი ამოირჩიეს; საუკუნოვანი ხეები უფლის სახელის სადიდებლად და მეფის სულის გადასარჩენად ძირს დაანარცხეს. კარგადიდი ადგილი მოასუფთავეს. ნაცრისფერი ქვით პატარა, მაგრამ ვარდებში ჩაფლული, ლამაზი მონასტერი ააშენეს. სასიამოვნო ლანდშაფტი როგორღაც ამსუბუქებდა მონასტრის მკვიდრთა სიმკაცრეს. მონასტერი ყოვლადწმინდა

ქალწულის სახელზე აკურთხეს და ნიუსტედი უწოდეს, რაც ახალ ადგილს ნიშნავს – Sancta Maria Noviloci.

ორდენის წესდება ძალიან უბრალო იყო: ბერებს საკუთრების ქონა აკრძალული ჰქონდათ, უნდა ჰყვარებოდათ ღმერთი და მოყვასი, მარხვით დაეთრგუნათ ხორცი, არაფერი გაეკეთებინათ ისეთი, რასაც ვინმეს შეურაცხყოფა შეეძლო, არ უნდა შეეხედათ ქალისთვის. გარდა ამისა, ორდენის დამაარსებლის სულის საოხად, ყოველწლიურად, მოწყალეობა უნდა დაერიგებინათ.

სამი საუკუნე ცხოვრობდნენ ნიუსტედელი აბატები ტყის ტბის პირას. დრო თანდათან მკაცრი და უმოწყალო ხდებოდა, ღვთისმოსავი ქრისტიანების გულუხვობა კი მცირდებოდა. მეფის მონანიებით შექმნილ სავანის მკვიდრთ მეფისავე ახირებულმა სურვილმა მოულო ბოლო. „მადამ ენ ბოლენი³ პირველ ლამაზმანთა რიცხვს არ ეკუთვნოდა: მუქი ფერის კანი, გრძელი კისერი, დიდი პირი და ბრტყელი მკერდი ჰქონდა. საამაყო არაფერი გააჩნდა, გარდა მშვე-

1. ჰენრი II /1133-1189/ — ინგლისის მეფე.

2. ტომას ბეკეტი /1118-1170/ — ინგლისის საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე.

3. ანა ბოლენი /1507-1536/ — ინგლისის მეფის ჰენრი VIII-ის მეორე ცოლი.

ნიერი თვალებისა და მეფის ნაზი სიყვარულისა”. ოლონდ, საეკლესიო განხეთქილების მიზეზად მაინც ეს ქალი იქცა. ჰენრი VIII⁴ პაპს ევედრებოდა, — ის ბულა⁵ გააუქმე, ეკატერინე არაგონელთან ჩემს ქორწინებას რომ აკანონებსო. პაპი უარზე იდგა. ბოლეინის მომხრე ლორდები მეფეს აგულიანებდნენ, პაპის ავტორიტეტს ანგარიშს ნუ გაუნევ და ერთდროულად ანას სიყვარულსაც დაიკმაყოფილებ და ფულისასაცო.

სიგელი გამოიცა — ყველა მონასტერი, რომლებსაც ორას ფუნტზე მეტი შემოსავალი ჰქონდათ, გვირგვინის სასარგებლოდ, მეფის საკუთრებაში გადადიოდა. ეკლესიის წარმომადგენლებმა და მეფის გადასახადთა ამკრეფებმა მონასტრების შემოწმება დაიწყეს. კანონი, რომელიც ამ ქვეყანაში ყველას პატივისცემით სარგებლობდა, ლალადებდა — კონფისკაცია „ბერების თანხმობითა და კეთილი ნებით“ მომხდარიყო. დოქტორ-კანონმცოდნე ლონდონმა თანხმობის სწრაფი მიღწევის ხელოვნებით გაითქვა სახელი. როგორც კი შეთანხმების სიგელს ხელს მოაწერდნენ, მონასტერი მეფის საკუთრებაში გადადიოდა. მეფე სამონასტრო ქონებას ყიდდა, ადგილმამულებს კი რომელიმე წარჩინებულ სენიორს უბოძებდა და ახალი ეკლესიის ერთგულებაზე აფიცებდა.

სამონასტრო ქონების გაყიდვა ბერებს აკოტრებდა, მაგრამ არც მეფეს ამდიდრებდა. საეკლესიო ხელნაწერებს მედუქნეები საქონლის შესახვევად ყიდულობდნენ. „ძველ საგალობელთა წიგნები: ექვსი დენიე“⁶ ასეთი გახლდათ სამონასტრო ბიბლიოთეკების აღწერა. გაკოტრებულ საეკლესიო მსახურთაგან ზოგმა „განწესება“ მიიღო, რაც სამოქალაქო სამსახურში მუშაობის უფლებას ნიშნავდა, ზოგსაც პენსია დაენიშნა — რამდენიმე შილინგი. ამათგან თითქმის ყველამ ქვეყანა მიატოვა და ირლანდია-

ში, შოტლანდიაში, ფლანდრიაში გადასახლდა.

1539 წლის 21 ივლისს, ნიუსტედშიც, უარის სიგელს, დოქტორ ლონდონის ზემოქმედებით, ხელი მოაწერეს წინამძღვარმა ჯონ ბლეკმა და თერთმეტმა კანონიკმა. წინამძღვარს პენსია დაუნიშნეს ოცდაექვსი ფუნტის ოდენობით, დანარჩენს — სამი ფუნტი, ექვსი შილინგი და რვა დენიე. სავანის დატოვებისას მონასტრის დაარსების დროს შედგენილი ქარტია და სპილენძის არწივის გამოსახულებიანი ანალოე⁷, დოქტორის ჯარისკაცების ხელს ძლივს რომ გადაარჩინეს, ტბაში ჩაყარეს. მერე წავიდნენ. ნიუსტედის თაღებქვეშ აღარავინ გალობდა მეფის სულის გადასარჩენად. მაღამ ანა ბოლეინის თავიც, რომლის შავ თმასაც გვირგვინი ამშვენებდა, ჯალათის ნაჯახმა ძირს გააგორა. მერე გლეხები ბერებს იხსენებდნენ, ერთმანეთში ლაპარაკობდნენ — ცარიელ სენაკებში მოჩვენებებად გამოცხადდებიანო; მონასტერი კი უბედურებას დაატეხს ყველას, ვინც მის ყიდვას გაბედავსო. ერთი წლის შემდეგ ჰენრი VIII-მ მონასტერი რვაას ფუნტად მიჰყიდა თავის ერთგულ ქვეშევრდომს, სერ ჯონ ბაირონს, რომელიც ცნობილი ბრძანდებოდა თიკუნით — პატარა სერ ჯონ დიდი ნვერი.

ბაირონი, რომელიც ბერების ნაცვლად ნიუსტედში ჩასახლდა, საგრაფოს ერთ-ერთი ყველაზე ძველი საგვარეულოს მეთაური გახლდათ. ბაირონები თუ ბურუნები ვილჰელმ დამპყრობელს ჩამოჰყოლიან ნორმანდიიდან. მათ ჯვაროსნული ლაშქრობების დროსაც გამოუჩენიათ თურმე თავი და კალეს ალყის დროსაც; არა მარტო ნოტინგემის შემოგარენში ჰქონიათ დიდი ადგილმამულები, არამედ როჩდელშიც, კლეიტონშიც და ლანკაშირშიც. მათი დევიზი „ენდეთ ბაირონს“ — „Crede Byron“ — გახლდათ და სახელსაც ასე, ფრანგულ ყაიდაზე წერდნენ მომავალი ნათესავნი

4. ჰენრი VIII /1491-1547/ — ინგლისის მეფე.

5. რომის პაპის ბრძანებულება, წერილი, სიგელი; ბეჭედსაც ჰქვია ასეთ დოკუმენტზე დასმულს.

6. ძველებური ფულის მონეტა.

7. ლოცვის დროს საღვთო წიგნების დასადები ადგილი.

მარკიზ დე ბირონებისა. პატარა სერ ჯონ დიდმა ნვერმა ეს გოთური სტილით ნაგები სააბატო სათოფურებიან ციხესიმაგრედ აქცია. მის შთამომავალთ უყვარდათ ეს საცხოვრებელი. ასი წლის შემდეგ ერთი ამათგანი, მეფე ჩარლზ I სტიუარტის⁸ ერთგული მეგობარი, სამოქალაქო ომის დროს კავალერიის პოლკსაც მეთაურობდა, დიდი სიმამაცეც გამოუჩინა და არანაკლები გაუფრთხილებლობაც: თურმე ნაადრევად აუტეხია სროლა ჯერ ედხილში, მერე მარსტენმურშიც; ამ შეცდომისთვის სამეფოს პერად და ლორდ ბაირონ როჩდელად აქციეს. იმ დროს პრინციმა რუპერტმა თავის დღიურში ჩაიწერა: „ლორდ ბაირონის ნაადრევმა გასროლამ ცოტა ზიანი როდი მოგვაცენა“.

მაგრამ ახალი ლორდის ერთგულება მის სტრატეგიულ შესაძლებლობებზე უფრო ფასეული გახლდათ; მეფეს არასოდეს განდგომია და გვერდიდანაც არ მოშორებია. ნიუსტედისთვის პარლამენტის მომხრეებაც შემოურტყამთ ალყა-ბებერი კედლები გოგირდითა და გამდნარი ტყვიითაც დაფარულა; ტბის ზედაპირსაც, ოდესლაც ჰიმნთა და ფსალმუნთ გალობა რომ ეფინებოდა, მომაკვდავთა გმინვის, მუშკეტების ჩხაკუნისა და სამხედრო ნალარის ხმები მოჰფენია. კრომველის გამარჯვების შემდეგ ლორდ ბაირონი ჩარლზ II სტიუარტს⁹ საფრანგეთში გაჰყოლია, მისი ერთგულიც ყოფილა ბოლომდე, რადგან ცოლი მისი, ლედი ბაირონი, თურმე გაძევებული მეფის მეჩვიდმეტე საყვარელი (როგორც მისტერ პერისი ირწმუნება) ყოფილა.

ამასობაში სააბატოს ირგვლივ მდებარე ტყემ ადგილი ნელ-ნელა სახნავებს, ფერმებსა და სოფლებს დაუთმო. მუხებქვეშ ფურირმების დიდი ჯოგები აფარებდა თავს. ბაირონების მამულიც უკვე აღარ იყო განმარტოებული სამყოფელი; ამ ადგილებში სხვა მდიდართა

სახლებიც წამოიჭიმა; უახლოესი და ყველაზე ლამაზი საბატონო სახლი ენსლი გახლდათ, ჩავორსებისა; ნიუსტედსა და იმათ ადგილ-მამულს ერთი მუხნარი აერთებდა, რომელსაც „საქორნინო ხეივანი“ შეარქვეს მას შემდეგ, რაც მესამე ლორდმა ბაირონმა ცოლად გრაფ ჩავორსის ქალიშვილი ელიზაბეთი შეირთო. ეს მესამე ლორდი ბაირონი XVII ასწლეულის ბოლოს ცხოვრობდა და თითქმის ვაკოტრებულიც ბრძანდებოდა უკვე. ჟამი გადიოდა და ის წინასწარმეტყველებაც სრულდებოდა, სააბატოს გაყიდვიდან თაობებს რომ გადაეცემოდა: შავბარტყულიანი¹⁰ ბერის აჩრდილი დაეხეტებოდა ლამლამობით ნიუსტედის დერეფნების თაღებქვეშ და ბაირონების ნაშიერთათვის ბედნიერება არ მოჰქონდა. მეოთხე ლორდის ვაჟების ბედისწერამ ამ შავი ლეგენდის რწმენა ხომ განამტკიცა და განამტკიცა — უფროსი ვაჟი, მეხუთე ლორდი ბაირონი, სამეფოს პერებმა გაასამართლეს მკვლელობისთვის; უმცროსი, მეზღვაური, ყველაზე ბედუკულმართი ადმირალი აღმოჩნდა მთელ ფლოტში. ლორდ ბაირონის მიერ თავისი ბიძაშვილის, მეგობრისა და მეზობლის, ენსლის პატრონის მოკვლის ამბავი უაზრობამდე ტრაგიკული იყო. ნოტინგემშირის საგრაფოში მამულების მფლობელ წარჩინებულთ, რომლებიც ლონდონში ცხოვრობდნენ, ჩვევად ჰქონდათ თვეში ერთხელ სასტუმროში — „ვარსკვლავები და წვივსაკრავი“ — შეკრებილიყვნენ. 1675 წლის 26 იანვარს ჩვეულებრივ მოეყარათ თავი; ძალიან მხიარულობდნენ თურმე: ლაპარაკობდნენ ნადირის უკეთ შენარჩუნების ხერხებზე; მისტერ ჩავორსს უმტკიცებია — ნადირის შესანარჩუნებლად ბრაკონიერების მკაცრი დევნაა საჭიროო: ლორდ ბაირონს კი უთქვამს, ნადირის შენარჩუნების საუკეთესო საშუალება ის იქნება, თუ ამას ნაკლებ ყურადღებას მივაქცევთო. მისტერ ჩავორსს ღვარძლიანად შეუნიშნავს — სერ ჩარლზ სიდლვისა (მათი საერთო მეზობელი)

8. ჩარლზ I სტიუარტი /1600-1649/ — ინგლისი მეფე.

9. ჩარლზ II სტიუარტი /1630-1685/ — ინგლისი მეფე.

10. ერთგვარი თავსაბურავი ბერ-მონაზვნისა.

და ჩემს მამულში, რაღაც ხუთი აკრის ფართ მიწაზე, უფრო მეტი ნადირია, ვიდრე ლორდ ბაირონის მთელ სამფლობელოში, და თუ სიფრთხილის ზომებს არ მიიღებს, მალე ერთი კურდღელიც აღარ ეყოლება. ლორდ ბაირონს უკითხავს, სად არისო სერ ჩარლზ სიდლეს სამფლობელო. მისტერ ჩავორსს უპასუხია: „— თუ სერ ჩარლზ სიდლეი გაინტერესებთ, ის დინ-სტრიტზე ცხოვრობს, რაც შემეხება მე, თქვენმა უგანათლებულესობამ კარგად იცის, სადაც მიპოვის“. მშრალი ტონით ნათქვამმა ამ სიტყვებმა ბოლო მოუღო ლაპარაკს. მერე ბაირონი დარბაზიდან გასულა, კიბეზე მისტერ ჩავორსს შეხვედრია; ერთმანეთისთვის რამდენიმე სიტყვა უთქვამთ და მსახურისთვის, ცარიელ ოთახში შეგვიყვანეო, უთხოვიათ. ბიჭს მაგიდაზე შანდლები დაუდგამს და ჯენტლმენები ჩაკეტილან. რამდენიმე წუთის შემდეგ ზარის ხმა შემოესმათ. სასიკვდილოდ დაჭრილი მისტერ ჩავორსი სახლში მიუყვანიათ და მალე გარდაცვლილა კიდეც. მკვლელი პერის გასამართლება მხოლოდ ლორდთა პალატას შეეძლო. რამდენიმე თვის შემდეგ ლორდ ბაირონს ტაუერში¹¹ „გადასახლება“ შესთავაზეს; იქიდან, ცხენოსანთა ბადრაგის თანხლებით, უესტმინსტერ-ჰოლში¹² გადაიყვანეს და ჯალათის ნაჯახი გვერდით დაუდეს; ნაჯახის ალესილი პირი პატიმრისკენ იყო მიშვერილი. ნოტინგემშირელი აზნაურები, ჩხუბს რომ შეესწრნენ, დაკითხეს; პირველმა, მეტისმეტად ფრთხილმა მოწმემ, თქვა: „— მე, ჯენტლმენებო, სმენა მაკლია“. ქირურგმა დაამონმა: დაშნამ ჭიპი გაუფატრა და კუჭში დიდი ხვრელი დაუტოვაო. ჰკითხეს, ჭრილობა მისტერ ჩავორსის სიკვდილის მიზეზიაო? მან უპასუხა, ეჭვიც არ მეპარებაო. ლორდმა ბაირონმა თავი

დამნაშავედ არ ცნო. მერე აზრის გამოკითხვა დაიწყო; გამოიკითხა ყველა – ნაკლებნარჩინებული აზნაურებიდან დაწყებული, შთამომავლობითი პრინციბით დამთავრებული. მსჯავრდებული მკვლელობაში უდანაშაულოდ აღიარეს, მაგრამ კაცისკვლაში კი დამნაშავედ სცნეს, რაც პერთა საგანგებო სტატუსით, გამართლებას უდრიდა. მაუნყებელმა აუწყათ: — ისმინეთ, ისმინეთო. წაიკითხეს განაჩენი. ლორდ-კანცლერმა თავისი კვერთხიც გადატეხა და უილიამი, მეხუთე ლორდი ბაირონი, ნიუსტედს — თავის სამფლობელოს დაუბრუნდა.

ისე, სიმართლე რომ ითქვას, დუელანტების არც ერთმა მეგობარმა არ მიიჩნია ეს მკვლელობა დიდ დანაშაულად, რადგან მისტერ ჩავორსი თავზეხელაღებულ ბრეტერი¹³ გახლდათ. გამარჯვებული კი, სიცოცხლის ბოლომდე საწოლი ოთახის კედელზე ჩამოკიდებულს ინახავდა იმ დაშნას, რომლითაც თავისი ბიძაშვილი განგმირა. ოღონდ მკვლელობამ ნიუსტედის არემარეში, სადაც კარგა ხანი იყო, რაც „ბოროტ ლორდს“ ეძახდნენ, ცუდი სახელი დაუგდო. მასზე საშინელ ამბებს ჰყვებოდნენ და მათ შორის ცოტა როდი იყო მოგონილი. ცხადაა, მართალი არ არის, რომ თითქოსდა მრისხანების მოზღვავეებისას თავის მეეტლეს ტყვია დაახალა, გვამი მისსავე ცოლს გვერდით მიუსვა ეტლში, თვითონ კი მეეტლის ადგილი დაიკავა და უბედურ წყვილს ასე დაატარებდა, მერე ვითომ ის ქალიც თავისი მამულის ერთ საგუბარში ჩაახრჩო. სრული სიმართლეა, რომ შმაგი ხასიათი ჰქონდა, ქამარში მუდამ პისტოლეტგარჭობილი დადიოდა; სიცოცხლეს უმწარებდა ლედი ბაირონს, რომელმაც უთმინა, უთმინა, ველარ გაუძლო და ნიუსტედიდან გაიქცა; მისი ადგილი ერთმა მსახურმა ქალმა დაიკავა, რომელსაც გლეხებმა ლედი ბეტი შეარქვეს. ლედი ბეტის უხეში გამგებლობისას ციხე-დარბაზი გავერანდა.

11. მე-16, მე-17 სს-ში მეფეთა ციხე-დარბაზი. შემდგომ, მე-19 ს-მდე განსაკუთრებულად საშიშ დამნაშავეთა საპატიმრო. ახლა — სამხედრო ისტორიული მუზეუმი.

12. უესტმინსტერის სასამართლოები — უმაღლესი სასამართლოების საერთო სახელი შუა საუკუნეების ინგლისში.

13. პიროვნება, მცირე საბაბს რომ ეძებს ჩხუბის დასაწყებად; დუელის მოყვარული.

გოთური სამლოცველო ბოსლად იქცა, რამდენიმე უმშვენიერესი დარბაზი კი საჯინიბოდ. ბოროტი ლორდი კი, მას შემდეგ, რაც მისმა ერთმა ვაჟმა მამის სურვილის წინააღმდეგ ბიძაშვილზე იქორწინა, საერთოდ ჩამოშორდა ადამიანებს. უცნაური ცხოვრება დაუწყია: თურმე, ძალას არ იშურებდა, რომ მემკვიდრეები გაეკოტრებინა; ბანქოში წაგებულ ფულს, თავის პარკში მოჭრილი მუხებით იხდიდა; ხუთი ათასი ფუნტის ღირებულების ხეები დაჭრა და თითქმის მთლიანად გაანადგურა ის დიდებული ტყე. იმ დროს იმ მხარეში უოლპოულს¹⁴ გაუვლია და ჩაუწერია: „ნიუსტედიტ ალტაცებული ვარ; აი, სად შეერთდა ჭეშმარიტად გოთიკა და სინატიფე. მაგრამ, — დასძენდა, — ახლანდელი ლორდი შემლილი კაცია: მთელი ხეები გადაჭრა და შოტლანდიური ფიჭვი დარგო, რომლებიც საზეიმო დღეებში ძველებურ საგვარეულო ღივრებში გამოწყობილ ყმებს ჰგვანან“. შვილი საბოლოოდ რომ გაეკოტრებინა, მამულში ორი ათას შვიდასი ფურირემი დახოცა და როჩდელის მამული, სადაც იმხანად ქვანახშირის საბადო აღმოაჩინეს, დაუჯერებლად დაბალ ფასად, წელიწადში სამოც ფუნტად, ოცდაათწლიანი იჯარით გასცა.

უზნეო ბავშვივით ერთობოდა: ღამ-ღამობით მდინარის რაბებს ხსნიდა, ზარალი რომ მიეყენებინა ბამბეულის ფაბრიკებისთვის; მეზობლების გუბურებს წყლისგან აცარიელებდა. თავის ტბაზე ორი პატარა ციხესიმაგრე ააგო და წყალში სათამაშო ფლოტი ჩაუშვა. მთელი დღეები ბრძოლებით იყო გართული: პატარა ზარბაზნები წამდაუნუმ ბოლავდა. ლორდი ბაირონი ციხესიმაგრეს აფარებდა თავს, მისი კამერდინერი ჯო მურეი ნავში იყო გართხმული და ფლოტს მეთაურობდა. ზოგჯერ მისი უგანათლებულესობა სამზარეულოს იატაკზე მოკალათდებოდა და საკუთარ სხეულზე ჭრიჭინების დოღს აწყობდა; როცა ისინი საკმაო სიმკვირცხლეს არ

იჩენდნენ, ჩალის მათრახებით აფუცხუნებდა. მსახურები ირწმუნებოდნენ, ჭრიჭინები პატრონს სცნობენ და ემორჩილებიანო.

მისი უმცროსი ძმის ცხოვრება არანაკლებ მდიდარი ყოფილა ტრაგიკული თავგადასავლებით. ეს ბაირონი (პოეტის პაპა) მამაცი კაცი ბრძანებულა, მაგრამ ბედმავე მეზღვაური გამომდგარა. ამხანაგებმა „უამინდობის ჯეკი“ შეარქვეს, რადგან აფრას აუშვებდა თუ არა, მაშინვე ქარიშხალი ამოვარდებოდა ხოლმე. 1740 წელს „უეჯერსზე“ მიჩმანად წასულა. ესპანეთის კოლონიების წინააღმდეგ მოწყობილ ექსპედიციაში უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ჩილეს ნაპირებთან გემი წყალქვეშა მეჩჩებეს შესჯახებია და დამსხვრეულა. საზარელი კატასტროფა ყოფილა: უზარმაზარი ტალღები თურმე თავზე ევლებოდა დამსხვრეულ ხომალდს; ერთი მეზღვაური გაგიჟებულა, ეკიპაჟი აჯანყებულა და კაპიტანი იძულებული გამხდარა მათთვის ტყვია დაეშინა. მერე ახალგაზრდა ბაირონი მოთხრობასაც დაწერს ხომალდის დაღუპვაზე, დაბეჭდავს კიდევ სათაურით „უეჯერსის დაღუპვა“, რომელშიც იმ საზარელ უბედურებას აღწერს, მან და მისმა ამხანაგებმა რომ განიცადეს პატაგონიის ნაპირებთან. მოთხრობას წარმატებაც ექნება და ზღვის აღწერის თავისებური კლასიკური მაგალითიც გახდება.

1764 წელს ფრეგატის კაპიტან ბაირონს ხომალდ „დოფინით“ დედამიწის ირგვლივ ახალი მიწების აღმოსაჩენად გამგზავრების ბრძანება მიუღია. გაუვლია მაგელანის სრუტე, მისულა პატაგონიასთან და ისეთი სისწრაფით დაუმთავრებია დედამიწის შემოვლა, რომ „იმედგაცრუების კუნძულების“ გარდა, ერთი ახალი მიწაც ვერ აღმოუჩინია. „სინამდვილეში კი, მის გზაზე იმდენი აღმოუჩინელი მიწები იყო, — წერს მისი ბიოგრაფი, — რომ მათ უკან მოტოვებას თვალის არიდების გარეშე ვერ მოახერხებდა კაცი“. დაბრუნებისას, ამ მოკრძალებულმა მკვლევარმა, ნიუფაუნდლენდის გუბერნატორის თანამდებობა მი-

14. ჰორას უოლპოული /1717-1797/ — ინგლისელი მწერალი.

ილო, მერე ადმირალობაც მიანიჭეს; 1778 წელს კი, ამერიკული ომის დროს, ფლოტსაც მეთაურობდა. დავალებად საფრანგეთის ფლოტის შეჩერება ჰქონია, რომელსაც გრაფი დ'ესტანგი მეთაურობდა. ადმირალი ბაირონი ზღვაში გასულა და ქარიშხალიც ამოვარდნილა: ერთი გემი ჩაეძირა, სხვები ძალიან დაუზიანდა. ზღვაში მეორედ გასვლისას დ'ესტანგის ფლოტს კი დაენია, მაგრამ საგვარეულო ტრადიციების ერთგულმა მეტისმეტად ადრე დაიწყო შეტევა და დამარცხდა. ამის შემდეგ, მისთვის მეთაურობა აღარც დაუვალეზიათ და 1786 წელს ვიცე-ადმირალის ჩინით გარდაცვლილა.

ადმირალ ბაირონს ორი შვილი ჰყავდა: უფროსი ჯონი (ჩვენი გმირის მამა) სამხედრო გახლდათ; მეორე, ჯორჯ ანსონი მეზღვაური იყო. ჯონს ფრანგული სამხედრო აკადემია დაუმთავრებია, გვარდიაშიც შესულა; თითქმის ბავშვს, ამერიკულ ომებშიც მიუღია მონაწილეობა. შმაგი ხასიათის, გიჟური ქცევებისა და აუარება ვალების დაგროვებისთვის „დამთხვეული ჯეკი“ შეურქმევიათ. ოცი წლისა ლონდონში დაბრუნებულა, ახალგაზრდა და ძალიან ლამაზი ქალის, მარკიზა კარმარსინის გული დაუპყრია. მისი ქმარი, ლორდი კარმარსინი და მომავალი ჰერცოგი ლიდელი, მისი უდიდებულესობის კამერჰერი, ძალზე განათლებული და ძალზე მშვიდი ხასიათის კაცი ბრძანებულა. მარკიზას, მის ცოლს, როგორც ეტყობა, ახალგაზრდა ბაირონის გიჟური ხასიათი უფრო მოეწონა, რადგან მამის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობა მიიღო თუ არა, — ოთხი ათასი ფუნტი წლიური შემოსავალი და ბარონესა კონიერის ტიტული — სატრფოსთან ერთად გაიქცა, თავისი კამერჰერიც მიატოვა და სამი შვილიც.

ახალგაზრდა შეყვარებულები ჯერ ლედი კონიერის კუთვნილ ესტონ-ჰოლის ციხე-დარბაზში ცხოვრობდნენ, მერე საფრანგეთში გადავიდნენ: ხალხში მოარულ ბოროტ ხმებსა და მევალეებს გაარიდეს თავი. საფრანგეთში ლედი კონიერმა ამ ქვეყანას ქალიშ-

ვილი მოუვლინა, მისი უგანათლებულესობა ოგასტა ბაირონი და 1784 წელს გარდაიცვალა. ლონდონის მაღალ საზოგადოებაში იმასაც ამბობდნენ, ქმრის ცუდი მოქცევა ვერ აიტანაო. ბაირონი კი ამტკიცებდა, სიკვდილის მიზეზი გაუფრთხილებლობა იყო — მშობიარობის შემდეგ ძლივს მოიკეთა და მაშინვე სანადიროდ წავიდაო. რადგან ცოლის მემკვიდრეობიდან რენტით სარგებლობა მხოლოდ მის სიცოცხლეში შეეძლო, ლედი კონიერის სიკვდილის შემდეგ ეს შემოსავალიც შეუწყდა.

II

ჰაიტელი გორდონები

ბათის წყლები მოდური კურორტი გახლდათ. ახალგაზრდა ქვრივი ბაირონი იქით გაემგზავრა დარდის გასაქარველად. იქ გაიცნო ობოლი შოტლანდიელი გოგო, მდიდარი მემკვიდრე კეტრინ გორდონ ჰაიტი: დაბალი, ჩასუქებული, გრძელცხვირა, ფერუმარლით გათხიზნილი, სილამაზით თავს ვერ მოიწონებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მამის სიკვდილმა დიდი კაპიტალის მფლობელად აქცია, რაც ოცდასამი ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენდა. აქედან სამი ათასი ნაღდი ფული იყო (გადაუდებელი ვალების დასაფარავად დიდად ხელსაყრელი), დანარჩენი ჰაიტების საგვარეულო მამულში იყო დაბანდებული, ორაგულის წარმოებაში და აბერდინის ბანკის აქციებში.

თუ კეტრინ გორდონს სილამაზით თავის მოწონება არ შეეძლო, სამაგიეროდ, „ლუციფერივით ამაყი“ გახლდათ თავისი წარმოშობით, რადგან შოტლანდიის ერთ-ერთ უძველეს საგვარეულოს ეკუთვნოდა. პირველი ლორდი, ანუ სენიორ ჰაიტელი, სერ უილიამ გორდონი, ვაჟი გახლდათ გრაფ ჰანგლეისა და ანაბელა სტიუარტისა, მეფე იაკობ II-ის დისა. მაგრამ ამ საგვარეულოს ისტორია, მეფეებიდან რომ იღებს სათავეს, შემდეგში მოვლენათა ტრაგიკული ჯაჭვია: უილიამ გორდონი დაიხრჩო;

ალექსანდრ გორდონი მოკლეს; ჯონ გორდონი, ლორდ მორეის მოკვლისთვის 1592 წელს ჩამოახრჩვეს; მეორე ჯონ გორდონიც ვალენშტაინის მოკვლისთვის 1834 წელს ჩამოახრჩვეს. შეიძლება ითქვას, რომ გორდონ-ჰაიტები თავიანთი გენეალოგიური ხის ყველა ტოტზე ჩამოჰკიდეს. ველური ფეოდალური წესები შოტლანდიაში უფრო დიდხანს შემორჩა, ვიდრე სხვაგან. რომელიმე გორდონს არაფრად უღირდა დღისით-მზისით მოეკლა აბერდინელი მოსამართლე, მხოლოდ იმიტომ, რომ მან გაბედა და მისი მეგობრის ცხენს აღვირში ხელი სტაცა. თუმცა სამეფო ხელისუფლება მოქალაქეებს დამნაშავეების დასასჯელად ხელს უწყობდა, სამოქალაქო ბურჟუაზია მაინც ფრთხილობდა და თავს იკავებდა ამისგან. ასე წარმოიშვა არისტოკრატ-ბანდიტთა ეს საშინელი ჯილაგი. გორდონების ტემპერამენტი ბავშვობიდანვე მჟღავნებოდა. 1610 წელს სამმა მცირეწლოვანმა გორდონმა აბერდინის სკოლაში საფარი მოაწყო, სამი ღამე გაძლეს, თავს პისტოლეტებითა და დაშნებით იცავდნენ. ინსტინქტი მათზე ძლიერი იყო; ასეთად იბადებოდნენ. მეექვსე ლორდი, უკვე შეგნებული დამნაშავე, საკუთარ თავზე ასე ამბობდა: „თავის შეკავება აღარ შემიძლია. ვიცი, ეშაფოტზე მოვკვდები. ცუდი ინსტინქტები მაქვს“.

მთელი ასი წლის განმავლობაში სენიორ ჰაიტები თავზარს სცემდნენ იმ მიდამოს. შოტლანდიური ბალადები ამ მკაცრი, მაცდუნებელი და ცინიკური ადამიანების „გმირობებით“ არის სავსე. ერთი ასეთი ბალადა მშვენიერ ბინეზე შეყვარებული გორდონის ამბავს გადმოგვცემს. ამ გორდონს სიკვდილი მიუსაჯეს ხუთი ობლის დახოცვისთვის, რომელთა ქონების მისაკუთრებაც უნდოდა. დასჯის დღეს გორდონის ცოლი მეფეს ფეხებში ჩავარდნია და შევედრებია, ჩემი ქმარი შეინყალო.

ასეთი ერთგული სიყვარულით გულშეძრულ მეფეს შეუნყალებია დამნაშავე. გათავისუფლებულ გორდონს ცოლისთვის, რომლის მადლიერიც უნდა

ყოფილიყო, უყვირია:

„იმ ღვთაებრივი ქალის თითი, რომელიც მხიბლავს და გულს მითრთოლებს, უფრო ძვირფასია ჩემთვის, ვიდრე მთელი შენი სიკეთე, რითაც ხარ სავსე“-ო.

ასეთები იყვნენ სენიორ ჰაიტები — ტრაგიკული ბედით დაღდასმულნი. სამეფო ხელისუფლებამ, რომელიც XVI-XVII საუკუნეებში უკვე ძალაუფლებას იმტკიცებდა, შეძლო და კანონს დაუმორჩილა ისინი, მაგრამ ძალადობრივი სიკვდილი არ შემწყდარა გორდონების ჯიშში. ალექსანდრ გორდონი დაიხრჩო; მისმა ვაჟმა, ჯორჯ გორდონმაც ბათის არხში ჰპოვა აღსასრული. დარჩა კეტრინ გორდონი, მისი შვილი, რომელიც რამდენიმე წლის მოგვიანებით ლამაზ კაპიტან ბაირონისადმი შლეგური სიყვარულით აინთება, ისეთივე უბედური სიყვარულით, როგორიც იმ შოტლანდიური ბალადის გმირის ერთგული ცოლის სიყვარული გახლდათ.

კეტრინ გორდონი შოტლანდიელ ბეზიასთან იზრდებოდა, რომელიც დაფების საგვარეულოს ეკუთვნოდა. ბებიამ გვარიანი განათლება მისცა, მომჭირნე ცხოვრებას მიაჩვია და დიუფების საგვარეულოს ლიბერალურ ტრადიციებს აზიარა. კეტრინ გორდონს კითხვა უყვარდა, მკაფიოდ და ცოცხლად წერდა, თუმცა მისი წერილები არათანამიმდევრულობით გამოირჩევა. მკაცრი ხასიათი, სიფიცხე. გორდონების სიფიცხე და მათივე გამბედაობა გამოჰყვა. ეს დაამტკიცა კიდეც, როცა ქმრად ყველაზე სახიფათო კაცი აირჩია და ჯვარიც დაინერა 1784 წლის 13 მაისს, ბათში, იქ, სადაც მამამისმა თავი მოიკლა.

ახალდაქორწინებულები ჰაიტების მშვენიერ მამულში ჩავიდნენ. გორდონების ნათესაობა საკმაოდ ცივად დახვდათ. კაპიტანმა ბაირონმა ამ პურიტანულ სოფელში თავისი დაუღვევარი ზნე და თვისებები თან მოიყოლა. მთელ ღამეებს გადაბმულად ცეკვავდნენ და ქეიფობდნენ. შოტლანდიელები ამ უცხოელს ზიზლით უყურებდნენ, რადგან შოტლანდიურ მემკვიდრეობას ქარს

ატანდა. ძრახავდნენ უჭკუო მემკვიდრეს, თავი ლამაზ ქალად რომ მიაჩნდა, აბრეშუმით იმოსებოდა და ფრთებით ირთებოდა, მეტისმეტად მოკლე კისერს კი ძვირფასეულობით იფარავდა, რადგან უცხო მოდგმის კაცს, რომელსაც მხოლოდ მისი ფული სჭირდებოდა, თავი გააბრიყვებინა. ვილაცამ მათ ლექსიც გამოუთქვა:

*ინგლისიდან ჩამოეთრა
ბედოვლათი, ფანტია;
ჯერ სკოტებმაც არ იცინა,
ვისია და რა ჰქვია!
ქალებს ხიბლავს,
ფულს არ იხდის,
დანანნალებს კარდაკარ,
ჰაიტების მთელ სიმდიდრეს
აქეთ-იქით ქარს ატანს.*

და მეორეც:

*ქმრად დაგიჯდა ბაირონი,
აგირია გონება,
გაქრა შენი სამფლობელო,
ჰაიტების ქონებაც.*

მართალი იყვნენ. ახალგაზრდა ინგლისელმა სწრაფად გაანადგურა გორდონების სიმდიდრე. პირველად ის სამი ათასი ნაღდი ფული გაქრა, მერე ცოლი აიძულა აბერდინის ბანკის აქციები გაეყიდა, შემდეგ თევზჭერის უფლებაც გაყიდა, ტყეები გაკაფეს და რვა ათასი ფუნტი აიღეს. ჰაიტის მამულებში ყანჩას ამრავლებდნენ; მთელი ასი წელი გუბურის ახლოს ბუდობდნენ ფრინველები. საგვარეულოში გადმოცემაც არსებობდა ასეთი:

*როცა ყანჩას დრო მოუვა,
გაფრინდება, გზას ნახავს,
ბედოვლათი ლორდ ჰაიტი
ფაფუ! — მინებს დაკარგავს.*

1786 წელს ჰაიტელი ყანჩები ჰაიტელების მამულის პირდაპირ მდებარე ლორდ ჰედოს მამულში გადაბარდნენ. „გადმოფრინდნენ, არ გაყაროთ, — ბრ-

ძანა ლორდ ჰედომ, — მაგათ მიწაც მოჰყვება“. მომდევნო წელს ჰაიტების მამულიც იყიდა ჩვიდმეტი ათას რვასს ორმოცდაათ ფუნტად. მევალეებს რომ არ წაელოთ, ეს ფული ცოლ-ქმარმა შოტლანდიელ რწმუნებულს მიაბარა შესანახად.

იმ ჰაიტის მამულშიც მთელი წელი არ უცხოვრიათ, უსახსრობა იქ ყოფნის საშუალებას აღარ იძლეოდა. ერთხანს მთელ ინგლისში დაეხეტებოდნენ, მაგრამ, როცა სასამართლო აღმასრულებლები მეტისმეტად აბეზარნი გახდნენ, ლამანში გადაცურეს. შოტლანდიელ ნათესავებს მისის ბაირონი ეცოდებოდათ და „უბედურ, დაღუპულ ქმნილებას“ ეძახდნენ. საფრანგეთში ქმარი მარშალ დე ბირონთან გაშინაურებული კაცი იყო, ესეც ნათესავივით ექცეოდა; მისი მეშვეობით დაუახლოვდა არისტოკრატიას, ხელგაშლილი ცხოვრება დაიწყო, აზარტულ თამაშებს გადაჰყვა, მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს ინახავდა და ისეც ვალებში ჩავარდა. კეტრინ გორდონი შოტლანდიური სიმამაცით ცდილობდა მომჭირნედ ეცხოვრა და პატარა ოგასტას ზრდიდა. შოტლანდიაში ყოფნისას ოგასტა სერიოზულად გამხდარა ავად და დედინაცვალი გულმოდგინედ უვლიდა. „ახლაც შიშით ვიხსენებ, — სწერდა მას ოცი წლის შემდეგ, — იმ უძილო ღამეებსა და მტანჯველ დღეებს, შენს საწოლთან თვალცრემლიანი რომ ვატარებდი. უგონოდ იწევი, თითქმის სიკვდილის პირას მისული, ბორგავდი. შენი გამოჯანმრთელება, ცხადია, სასწაული იყო. მადლობა უფალს, მე ჩემს მოვალეობას ვასრულებდი“. მართლაც, არაფერი ჰქონდა სასაყვედურო. აღმერთებდა თავის „ბირონს“ — ასე წარმოთქვამდა შოტლანდიურ ყაიდაზე მის სახელს, მაგრად აწვებოდა ასო „რ“-ს. უყვარდა მისი სილამაზე, ვაჟკაცობა, მაგრამ მომავალი აშინებდა. 1787 წელს ფეხმძიმედ შეიქნა. როცა მშობიარობის დრო მოუახლოვდა, ინგლისში დაბრუნება მოისურვა. ოგასტას ბებია, დედის მხრიდან, ლედი ჰოლდერნესმა უთხრა, გოგონას ჩემთან წავიყვანო. ოგასტა მან-

ამდეც დედის ნათესავებთან იზრდებოდა.

ლონდონში მისის ბაირონმა, სტიუარტების ამ უცნაურმა ნაშიერმა, სახლი იქირავა, თანაც საკმაოდ რიგიან კვარტალში. იმ მდგომარეობაში იყო, როცა ქალისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მზრუნველობა, კეტრინი კი თავს მიტოვებულად გრძნობდა. კაპიტანი ხან დუვრში ცხოვრობდა, ხან პარიზში. თუ ფული შემოეღებოდა, მაშინ გამოუჩნდებოდა, ქალის სისუსტით სარგებლობდა, ფულებს დასცინცლავდა, მერე გაქრებოდა და რამდენიმე დღეში გაფლანგავდა. ერთადერთი ადამიანი, რომელიც მხარში ედგა, ჯონ ჰანსონი გახლდათ, აბერდინელმა მეგობრებმა რომ გაუჩინეს მასთან რეკომენდაცია. მისმა ცოლმა უშოვა ძიძაცა და ბები-აქალიც. ბავშვი 1788 წლის 22 იანვარს დაიბადა და ჯორჯ გორდონ ბაირონი დაარქვეს. ანდერძი მოითხოვდა ასე: ჰაიტელი გორდონების მემკვიდრეებს მათი სახელიც უნდა ეტარებინათ. ოლონდ, ეგ იყო, ეს გახლდათ ის ყველაფერი, რაც მემკვიდრეობად ერგო.

ინგლისში დაბრუნებულმა მისის გორდონმა შეიტყო, რომ გაკოტრებულიყო. ჰაიტის მამულის გაყიდვამაც ვერ უშველა, კაპიტანს ისეთი მადა ჰქონდა, იქიდან აღებული ფული მხოლოდ ერთ თვეს ეყო: ერთ თამასუქს გაანაღდებდნენ, მაშინვე მეორე ჩნდებოდა. ჯონ ბაირონმა თავადაც კარგად იცოდა, გამოუსწორებელი კაცი რომ ბრძანდებოდა.

„— საკუთარ თავზე პასუხს არ ვაგებ“, — აცხადებდა.

ზოგჯერ უელსში წასვლაზე ფიქრობდა, „მაგრამ ბევრ სისულელეს ჩავიდენ, ცხენების ყიდვას დავიწყებ და მთელ რემას გავიჩენ“. შოტლანდიელი რწმუნებულები თავიანთ კლიენტ ქალს მკაცრ წერილებს სწერდნენ: ჯონ ბაირონის ხელმოწერილი ოთხასი ფუნტი სტერლინგის თამასუქი წარუდგინეს მათ პარიზელმა რწმუნებულებმაც. იმავე კვირაში მისის ბაირონისთვის ორმოცდაათი ფუნტი უნდა გაეგზავნათ, ოცდაათი კი დუ-

ვრში მისტერ ბაირონისთვის. ასე აღარ შეიძლებოდა გაგრძელება. ჰაიტის მამულის გაყიდვით შემოსული ფულიდან მხოლოდ ორი ათას ორას ოცდაორი ფუნტი სტერლინგი დარჩა (აქედან ას ოცდაორი ფუნტი გარანტია იყო გირავნობისა), დანარჩენი სამი ათასი ხუთპროცენტიან ხელუხლებელ რენტაში ჩადეს მისის ბაირონისა და მისი ვაჟის სახელზე; შოტლანდიელმა რწმუნებულმა თავის ლონდონელ კოლეგას მიანდო პროცენტიდან მისის ბაირონისთვის წერილ-წერილი თანხებით ას ორმოცდაათი ფუნტის გადახდა. მისის ბაირონმა ეს გაიგო და მაშინვე მსახური გოგო გააგზავნა ასფუნტიანის თხოვნის ხელწერილით. რწმუნებულმა უარი უთხრა. მსახური გოგო დაბრუნდა, ოცდახუთი ფუნტი მიუტანა ვედრების წერილითან ერთად.

კეტრინ გორდონს, საკუთარი თავისთვის მეტისმეტად ხელმომჭირნესა და მკაცრს, ნელინადში ასორმოცდაათი ფუნტით არსებობა შეეძლო, მაგრამ არ შეეძლო ქმრისთვის წინააღმდეგობის განევა. როცა გაიგო, სამ კვირაში ათას სამასი ფუნტი ვალი დაიდოო, მასში გორდონების შმაგი მრისხანება აზვირთდა, კაბა და ჩაჩი ჩამოიხია, მსახურ გოგოს თავზე ჭურჭელი დაამსხვრია, მაგრამ თავისი ბაირონი რომ დაინახა, თავგზა აებნა. „მისის ბაირონი შიშობს, რომ ქმარს ფულზე ვერასოდეს ეტყვის უარს, თუ იგი თვითონ მივა სათხოვნელად, — სწერდა ლონდონელი რწმუნებულები თავის შოტლანდიელ კოლეგას, — მისტერ ბაირონს კი ერთი სანტიმიც არ გააჩნია; თუმცა, მისის ბაირონიც ასეთივე დღეშია“.

მისის გორდონი ოცდასამი წლისა იყო. სიყმანვილეში ძველისძველი გვარისა და დიდი კაპიტალის მემკვიდრედ მიაჩნდა თავი; თავის სისუსტეს მიენდო, წარმოიდგინა, ვილაცას უყვარდა; სჯეროდა კიდეც; თვითონაც უყვარდა (მისი დევიზი იყო: „მხოლოდ სიკვდილი შემცვლის“). მერე, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, დარწმუნდა, რომ მოატყუეს, პირწმინდად გაძარცვეს,

საცხოვრებელი სახსარი აღარ შერჩა; ბავშვის, ქმრის შენახვა, ძიძისა და სახლის ქირის გადახდა კი აუცილებელი იყო. მის ადგილზე ბევრ ქალს თავგზა აებნეოდა, ზოგჯერ ასეც ემართებოდა: სასონარკვეთაში მყოფს შოტლანდიაში, აბერდინში წასვლა უნდოდა; იქ კი მიწის ერთი გოჯიც აღარ შერჩა, მაგრამ მშობლიურ, მკაცრ შოტლანდიაში უცხოქვეყნელად მაინც აღარ იგრძნობდა თავს. ლონდონში მევალებები დასდევდნენ გამუდმებით და სრულიად დათრგუნული გახლდათ. საბოლოოდ გამგზავრება გადაწყვიტა და გაემგზავრა კიდეც.

კაპიტანი ბაირონი მაშინვე არ გაჰყოლია უკან. ლედი კონეიერისა და მისი ოთხი ათასი ფუნტი რენტის დაკარგვის შემდეგ, საშუალებას რომ აძლევდა თავის ფრანგ მეგობრებთან დრო მხიარულად ეტარებინა, თავი გაკოტრებულ ქალზე მიჯაჭვულად იგრძნო, რომელიც არც ადრე გამოირჩეოდა სილამაზით, ახლა მით უმეტეს, თავისი სისქის წყალობით, უბრალოდ, სასაცილოდ გამოიყურებოდა და, მიუხედავად მეფური სისხლისა, სოფლის მედუქნის ცოლს უფრო ჰგავდა. და ამ ქალს უნდოდა ჩაეტყუებინა იგი მკაცრკლიმატიან, მიყრუებულ მხარეში, სადაც პატიოსანი და მაღალი ზნეობის ადამიანები ზიზღით უყურებდნენ ამ უძღებ ინგლისელს. ამიტომ არც ჩქარობდა.

აბერდინში მისის ბაირონმა, ზომიერ ფასად, ავეჯით განყობილი სახლი იქირავა, მოსამსახურე ორ დასთან ერთად იქ ჩასახლდა. მეი და აგნესა გრეიები რიგრიგობით ასრულებდნენ პატარა ჯორჯის, ანუ როგორც შოტლანდიაში უწოდეს — ჯორდის, — გადიის მოვალეობას. ბავშვი მამასავით ლამაზი იყო, მაგრამ, როცა სიარული დაიწყო, დედამისმა შეძრწუნებულმა აღმოაჩინა, რომ კოჭლობდა. სწორი ფორმის ტერფები კი ჰქონდა, ფეხები ერთნაირი სიგრძისა, მაგრამ დააბიჯებდა თუ არა, ფეხი ეკეცებოდა. ჭვინტებზე დგომა შეეძლო მხოლოდ. ექიმთა კონსილიუმს დაუდგენია — მიზეზი მშობიარობის დროს არასწორი მდებარეობააო (მისის ბაირონის

მეტისმეტი მორცხვობის შედეგი) — ეტყობა, კოჭის იოგები ჰქონდა დადამბლავებული. აბერდინელმა ექიმმა სახელგანთქმულ ლონდონელ მეანს მისწერა და რჩევა ჰკითხა. იმან ბავშვისთვის საგანგებო ფეხსაცმელი შეუკვეთა და შოტლანდიაში გაუგზავნა, მაგრამ აბერდინის ქუჩებში მეი გრეისთან ერთად მოსეირნე პატარა ბაირონი მაინც კოჭლობდა.

ძალიან განვითარებული ბავშვი კი იყო, გულისხმიერი, მაგრამ მეტისმეტად ფიცხი — დედასავით უცბად ცოფდებოდა. ერთხელ, პატარაობისას, სამოსის გაჭუჭყიანებისთვის დასაჯეს; ცოფმორეულმა, სიტყვაუთქმელად, პანანა ხელები ტანსაცმელზე იტაცა თურმე, ზედ შემოიხია, თან გამომწვევად შეჰყურებდა ძიძას. ცხოვრებაზე დასკვნები პატარებს ადრიდანვე უყალიბდებათ. აბა, რას ხედავდა ირგვლივ? დედ-მამა ცდილობდა ერთად ეცხოვრათ. არაფერი გამოსდიოდათ. უბედურებებით გაავებული მისის ბაირონი უკიდურესად იყო გაღიზიანებული. „შორიდან კია ალერსიანი, — წერდა მისი ქმარი, — მაგრამ გაფრთხილებთ, თქვენცა და სხვა წმინდა მოციქულებსაც, ორ თვესაც ვერ გაუძლებთ მასთან ცხოვრებას, არც ეცადოთ; თუ ვინმეს მისი ატანა შეუძლია, ეს მხოლოდ მე ვარ. აბა, ის რა ურთიერთობაა, როცა ხელების დაკაპინება გინევს“. ერთხანს აბერდინში ცხოვრობდნენ, ოღონდ სხვადასხვა ადგილას, ქმარი — ქუინ-სტრიტზე, ცოლი — ბროიდ-სტრიტზე და ერთმანეთს ჩაის დასალევად სტუმრობდნენ. ცოლმა, ძველებურად, ვეღარ გაუძლო ქმრის ცდუნებებს: სამასი ფუნტი უსესხა, პროცენტებს თვითონ იხდიდა და ის საცოდავი პენსიაც ას ოცდათხუთმეტ ფუნტამდე შეუმცირდა. ამ ფულით ცხოვრობდა ეს ქალი, თავისთვის ერთი პენიც არ უსესხია, ძველებურად ლუციფერივით ამაყი იყო, მაგრამ, როცა მრისხანების შეტევები ეწყებოდა, მთელ სახლში ფაიფურის ჭურჭელი ფრიალფრიალით ცვიოდა.

პატარა, მშობლებს დიდი ყურადღე-

ბით აკვირდებოდა. სხვა ბიჭებს დედებიც ჰყავდათ და მამებიც, ერთად ცხოვრობდნენ, ერთმანეთი უყვარდათ. მისი ბავშვური გონება კი ღვარძლიან ყვირილში, წუნუნსა და საყვედურებში იღვიძებდა. ხედავდა, რომ მსახურ გოგოებს მისი მშობლები გიჟები ეგონათ, საშიში ადამიანები; ზოგჯერ დასცინოდნენ კიდევ. და არა მარტო ოჯახური ცხოვრებით განსხვავდებოდა იგი სხვათაგან — ამ ცხოვრების სიმკაცრე თავისი კოჭლობითაც მძაფრდებოდა. რატომ უტრიალდებოდა ფეხი? ისე რცხვენოდა ამისა, რომ ვერასოდეს გაბედა კითხვა. ერთხელ, ქუჩაში მეი გრეის ვილაც ქალმა უთხრა:

— რა კარგი ბიჭია, ეს პატარა ბაირონი. რა სამწუხაროა, რომ ასეთი ფეხები აქვს!

ბიჭმა იმ ქალს წკეპლა გადააწნა და უყვირა:

— ამაზე ნუ ლაპარაკობთ!

სალამობით აუტანელ პროცედურებს უტარებდნენ — მაგრად უხვევდნენ ფეხს, იქნებ რამე ეშველოსო.

1790 წლის ბოლოს ჯონ ბაირონმა ცოლისა და დის, — მისის ლისგან, ცოტაოდენი ფული მიიღო და საფრანგეთში გაქცევა გადაწყვიტა. ვალენსიაში მისის ლის სახლი ჰქონდა და ჩვენმა უძლებმა კაპიტანმაც იქით გასწია. იქ, საფრანგეთის რევოლუციის ორომტრიალში თავით გადაეშვა, თანაც ისე, ვერც გაიგო, რა ხდებოდა. ძველებურად ცხოვრობდა, სასტუმროების მსახურ გოგოებს ეარშიყებოდა, სულს იქით არაფერი ებადა. ჩვენამდე მოღწეული ერთი წერილი, ამ გზასაცდენილი მოხეტიალის უკანასკნელ აღმაფრენას გვიხატავს: „ვალენსია, პირველი დეკემბერი, 1790 წელი: მაშ ასე, აქა ვარ და თანაც შეყვარებული გახლავარ. ვისზე? ახალ აქტრისაზე, რომელიც ეს-ეს არის პარიზიდან ჩამოვიდა. ლამაზია. გუშინ სალამოს „სოფლურ გამოცდილებაში“ ითამაშა... რაც შეეხება მადამ შონერს — მითხრა მიყვარხარო, მაგრამ მთვრალი იყო, და ახლა არ ვიცი, რა ვქნა... მევალებები ჩამომშორდნენ, რადგან ფანი

თავისებურად გაუსწორდა მათ, მე კი სახლში არასოდეს ვარ... რაულ კრეკის ახალი პიესა დადგეს, იქ ერთი ასეთი ფრაზაა: „ჩემი ხელმწიფე გადავარჩინე და ვკედები კმაყოფილი“. ყველა ყვირილით წამოხტა: „ბის! გაუმარჯოს მეფეს! გაუმარჯოს ხალხს!“ ყურძნის ნაჟურით გამხნევებული, მეც წამოვხტი ყვირილით, რადგან გამახსენდა ჩემი წინაპრები რომ ფრანგები იყვნენ. ახლა ესენი გაიძახიან: „ეს ინგლისელი — მეტისმეტად არისტოკრატიო“. რაც შეეხება ჩემს სატრფიალო თავგადასავლებს — ყველაფერი დამთავრდა. ჩემზე ამბობენ, ადვილად იცის შეყვარება, ოღონდ ძალიან მერყევია და სანდო არ არისო. ასე მგონია, ვალენსიელი ქალების მესამედი მიყვარდა, უფრო კი ერთი გოგონა „წითელი არწივიდან“, სასტუმროა ასეთი, სადაც ერთხელ, წვიმის დროს, სადილად შევიარე... ტანადი, ლამაზი, დღესაც არ მომბეზრებია“. 1791 წლის ბოლოს, წერილები პესიმისტური ხდება: „ერთი პერანგიც არა მაქვს... ერთი გროშიც...“. მეფუნთუშე და ყასაბი ნისიად აღარაფერს აძლევდნენ. „ზურგს ძონძები ძლივს მიფარავს... გალერეაზე ყოფნას ვამჯობინებ... ჩასაცმელი არაფერი მაქვს. სხეულს ვერაფრით ვიფარავ. უკანასკნელი კონკეტიც ზედ დამადნა...“. რამდენიმე დღის შემდეგ მოკვდა. იმასაც ამბობდნენ, თავი მოიკლაო.

მისმა სიკვდილმა ცოლზე ძალიან იმოქმედა, რადგან მის ცხოვრებაში წამიც არ ყოფილა, ქმარი არ ჰყვარებოდა. „Chère madamme, — სწერდა თავის მულს, — დაუნდობლად მსჯით, როცა ფიქრობთ, რომ მშვიდად შემიძლია გადავიტანო მისტერ ბაირონის გარდაცვალება. დიდი ტანჯვა კი მომაყენა, მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებით მძიმე ასატანია, რომ სიკვდილის წინ შესაძლებლობა არ მქონდა მენახა. რომ მცოდნოდა, ავად იყო, მოსავლელად ჩავიდოდი... მიუხედავად მისი სუსტი მხარეებისა (სხვანაირად ვერც ვუნოდებ), მუდამ გულწრფელად მიყვარდა... მეუბნებით, უკანასკნელ წუთამდე გონი არ დაუკარგავ-

სო. ჩემზე გელაპარაკათ? დიდხანს იყო ავად? სად დაასაფლავეს? სიკეთე გამოიჩინეთ და ყველაფერი მომწერეთ. მისი თმის კულულები გამომიგზავნეთ”.

პატარა ჯორჯს მამა არ დავინყნია და მუდამ ბავშვური აღტაცებით იხსენებდა. ახლა კი, ცხოვრება მარტოს მოუწევდა, ერთ შეშლილ ქალთან, რომლის ბუნებაშიც სინაზე და ცემა-ტყეპა ერთმანეთს ცვლიდა. მან იცოდა, რომ ეს ქალი უბედური იყო; ეშინოდა მისი და ეცოდებოდა. ერთხელ, აბერდინში, როცა თავისი ბერძნული ენის მასწავლებლის ჯონ სტიუარტის ბაღში მოხვდა, მასწავლებელს სთხოვა, — ნება მომეცით, ჩემს „საბრალო, საყვარელ დედიკოს“ ვაშლი დაეუკრიფო.

III ბელისწერა

„და უფალმა მიიღო მსხვერპლი აბელისგან, ხოლო კაენის მსხვერპლი არ მიიღო, და კაენი გამწარდა, და სახე მისი დანალღვლიანდა. და უთხრა უფალმა კაენს: რად გამწარდი, რად დაგინალღვლიანდა სახე?“ მეი გრეი ხმამალა კითხულობდა ბიბლიას. პატარა ბაირონი ხარბად უსმენდა; ზოგიერთი სიტყვა არ ესმოდა, მაგრამ ამ წიგნის მისთვის გაუგებარი და საშინელი პოეზიით ტკბებოდა. რატომ არ მიიღო უფალმა საცოდავი კაენის მსხვერპლი? „კაენის ცოდვის გამო“, — ეუბნებოდა მეი გრეი. ცოდვა? რა არის ცოდვა? ჯერ რომ არ მოუკლავს კაენს აბელი? არა, მაგრამ კაენი უკვე განკიცხული იყო, — განუმარტავდა მეი გრეი. განკიცხული? რას ნიშნავს „განკიცხული“? ეს ნიშნავს, რომ ეშმაკი წაიყვანდა და ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩააგდებდა სამუდამოდ. მეი გრეი ხშირად ახსენებდა ეშმაკს. მოჩვენებებზე ლაპარაკი და დაშინება უყვარდა; ამბობდა, სახლში მოჩვენება გამოჩნდება ხოლმეო. საღამოობით ფეხს მაგრად უხვევდა, თან ფსალმუნების გამეორებას აიძულებდა. ბიჭს მოსწონდა ეს მძლავრი რიტმი, ეს საგალობლები. მეი გრეი წასვლისას სანთელს უქრობდა; მისი მოვა-

ლეობა მეზობელ ოთახში ყოფნა და მორიგეობა იყო, მაგრამ ბიჭმა იცოდა, რომ მეი სახლიდან მიდიოდა. მარტო დარჩენილს შიში იპყრობდა. მთელ შოტლანდიაში დაეხეტებოდნენ თურმე მოჩვენებები, სახლის მეზობლად კი სასაფლაო იყო. სიბნელეში ეჩვენებოდა, მოძრავ ჩრდილებს ვხედავო, ოთახიდან დერეფანში გაძვრებოდა, რომლის ფანჯრიდანაც სინათლე ჩანდა, იქ მიჯდებოდა, იმდენხანს იჯდა, ვიდრე სიცივე უკან, ლოგინში არ შეაძვრენდა.

მეი გრეი მკაცრი იყო. მისის ბაირონი — შეშლილი. ხანდახან დედა უყვიროდა: „სადაგელო ძაღლის ლეკვო, პირწავარდნილი ბაირონი ხარ, თანაც ისეთივე ბოროტი, როგორიც მამაშენი იყო“. ზოგჯერ ხვევნა-კოცნით ახრჩობდა, თან ეუბნებოდა, ისეთივე ლამაზი თვალები გაქვს, როგორიც კაპიტანს ჰქონდაო. ჩააგონებდა, გორდონების შთამომავალი ხარ, ისინი სამეფო სისხლის მძლავრი სენიორები იყვნენო; მეი გრეი და მისი მეგობარი ქალები კი სხვას ეუბნებოდნენ — გორდონები მკვლევები იყვნენ, ზოგი ჩამოახრჩვეს, ზოგიც წყალში დაიხრჩოო; ალბათ, კაენივით განკიცხულები იყვნენ და, ცხადია, ეშმაკმა წაიყვანა ისინიო. დედა ცოტას უყვებოდა ბაირონებზე, მდაბალი წარმომავლობის საგვარეულოდ მიიჩნევდა. ძიძისგან გაიგო, სადღაც ინგლისის ჩრდილოეთით, ძველ ციხე-დარბაზში, ცხოვრობს ბოროტი ლორდი, მათი ოჯახის მეთაური, რომ ეს საგვარეულო ძველისძველი წარმომობისაა, რომ ამ ოჯახიდან გამოვიდნენ დიდი მეომრები და ზღვით მოგზაურებიო. ბიჭს ეჩვენებოდა, რომ ბაირონობა, რალაც იდუმალი ნიშნებით, დედაზე მალლა აყენებდა, იმ პატარა შოტლანდიელ ბიჭებზეც მალლა, მაგარი ფეხები რომ ჰქონდათ და კეთილი მშობლები ჰყავდათ, რაც მასში შურს იწვევდა. ერთხელ ბელურებს ქვებს ესროდა და გოგონას მოარტყა; ბავშვმა ტირილი დაიწყო. ბევრს ეცადნენ ბიჭს ბოდიში მოეხადა და გოგონასთვის პატიება ეთხოვა, მაგრამ ჯორჯი ჯიუტი სიავით დუმდა. ბოლოს გოგონას განუცხადა:

„— იცი, მე ბაირონის შვილი ვარ!“
ერთი საათის შემდეგ მივიდა და თავის მსხვერპლს კანფეტი მიართვა.

როცა ოთხი წლის და ცხრა თვისა შესრულდა, მისტერ ბოუერსის სკოლაში მიაბარეს, რომელიც სახლიდან რამდენიმე ნაბიჯზე მდებარეობდა. ერთ ტრიმესტრში¹⁵ ხუთი შილინგი იყო გადასახდელი. „ჯორჯს გაბარებთ, — სწერდა მისის ბაირონი მისტერ ბოუერსს, ანუ შინაურულად ბოდსის, — რომ მშვიდად მოქცევა ასწავლოთ“. სკოლა დაბალი, ჭუჭყიანი, დახვრეტილიათაკიანი ოთახი გახლდათ. ბავშვები კითხვას დამარცვლით სწავლობდნენ: „ღმერთმა შექმნა ადამიანი — გვიყვარდეს ღმერთი“. ბაირონს მშვენიერი მეხსიერება ჰქონდა, მალე დაიხეპირა პირველი გვერდი და განაცხადა, კითხვა ვიციო. დედას ნაუბორძიკებლად ნაუკითხა პირველი წინადადება; დედა აღტაცებული დარჩა, მაგრამ, როცა გვერდი გადაუფურცლა, მან ისევ სხაპასხუპით დაიწყო: „ღმერთმა შექმნა ადამიანი — გვიყვარდეს ღმერთი“ — ამ გვერდზე კი სხვა რამე ეწერა; გაბრაზებულმა დედამ ნაუთაქა. ბოდსის სკოლაში მიბრუნებულმა გაიგო, მეორე გვერდზე რაც ეწერა: „ღმერთმა შექმნა ეშმაკი — ეშმაკმა შექმნა ცოდვა“. შოტლანდიის სკოლებშიც უყვარდათ ეშმაკებზე და ცოდვებზე ლაპარაკი.

მისის ბაირონმა ბოდსის სწავლება არადადამაკმაყოფილებლად მიიჩნია და შვილს კოლეჯის ორი მასწავლებელი დაუქირავა. პასტორი როსი ბიჭთან წარმატებით მუშაობდა და ისტორიის სიყვარული შთაუწერდა. მეორე მასწავლებელი, მელანქოლიური ახალგაზრდა კაცი, ხარაზის შვილი, კარგი ლათინისტი იყო. ბაირონმა მასთან ლათინურის სწავლა დაიწყო და მისი ხელმძღვანელობით გააგრძელა რელიგიური განათლება. პეტერსონი, მეი გრეივით, თავგამოდებული პრესვიტერიანელი¹⁶ ბრძანდებოდა. ბავშვს გულმოდგინედ უქადაგებდა კალვინისტურ¹⁷ მოძღვრებას.

15. სასწავლო წლის ნაწილი, სამთვიანი პერიოდი.

„ცოდვილად ვიბადებით, რადგან პირველი ცოდვა ტვირთად გვანევს. სულიწმინდის ზემოქმედება უფლის სურვილზეა დამოკიდებული, რომელმაც ზოგს მარადიული ცხოვრება დაუნესა, ზოგს კი — ჯოჯოხეთური“. ასეთი მსჯელობები შვიდი წლის ბიჭს მტანჯველ ეჭვში აგდებდა. თვითონ რჩეულთა შორის იყო თუ განკიცხულთა? ეტყობა, ყველა ეს მძვინვარე ბაირონი და გორდონი განკიცხულია. თვითონაც გრძნობდა, რომ უცბად ეუფლებოდა თავშეუკავებელი მრისხანება; ასეთ წუთებში სისხლი თავში უვარდებოდა, აღარ ახსოვდა, რას აკეთებდა. იქნებ ეშმაკი ჩაუსახლდა? იმავე დროს გრძნობდა, რომ კეთილი და ალერსიანი იყო. რა საშინელებაა. ნუთუ მართალია ეს ყველაფერი?

ბავშვის დახარბებული გონება გაფაციცებით ადევნებდა თვალს საფრანგეთის რევოლუციის მოვლენებს, რომელმაც ეს პატარა შოტლანდიური ქალაქი ორ პარტიად გაყო. აბერდინის გაზეთში სტატია გამოჩნდა: „გაქცევა ვარენში. დანტონი“. ადგილობრივმა სამაუწყებლო ცნობებმა და შემთხვევებმა ბოლო სვეტში გადაინაცვლა. მისის ბაირონი, გაკოტრებული არისტოკრატი ქალი, ბებია დაფის მიერ ლიბერალური სულით აღზრდილი, მონინავე შეხედულებებს უჭერდა მხარს. ვალენსიაში თავის მუღს, მისის ლის მისწერა: „მინტერესებს, ფრანგები როგორ იქცევიან; თუმც, მგონი, ჩვენ საპირისპირო ბანაკებში ვართ. მე ნამდვილად დემოკრატი ვარ და მიმაჩნია, ლალატისა და ვერაგობის გამო მეფე არ იმსახურებს კვლავ ტახტზე დაბრუნებას. უდავოა, ხალხმაც შეცდომა დაუშვა, მაგრამ სხვა პარტიასაც რომ გაემარჯვა, არანაკლებ სიმკაცრეს გამოიჩინდა“.

პატარა ბაირონი დედასავით ხალხის

16. პროტესტანტული სარწმუნოების მიმდევარი. უარყოფენ ეპისკოპოსის ხელისუფლებას, სცნობენ მხოლოდ პრესვიტერისას /მღვდლის/.

17. პროტესტანტული სარწმუნოების ერთ-ერთი მიმდინარეობა. შექმნა ჟან კალვინმა, მოძღვრებასაც მისი სახელი ეწოდა.

მხარეზე იყო. ახლა უკვე დამოუკიდებლად კითხულობდა და კითხულობდა. ბროუნის წიგნის მაღაზიაში, რომლის ვიტრინაშიც ჰომეროსის თავი იყო გამოდგმული, ახალი წიგნებიც ჰქონდათ. მისის ბაირონმა, მიუხედავად გაჭირვებისა, ბროუნთან მკითხველის აბონემენტი აიღო. შვილმა სთხოვა საბერძნეთის, რომისა და თურქეთის ისტორიები მოეტანა მაღაზიიდან. გულის ფანცქალით წაიკითხა პაპამისის მიერ დაწერილი მოთხრობა ხომალდის დაღუპვაზე. ყველგან ომზე ლაპარაკობდნენ. მისი პირველი ოცნება სამხედრო დიდების მოპოვების ოცნება გახლდათ. „კავალერისტების პოლკს შევკრებდი, — ამბობდა იგი, — ჯარისკაცებს შავ ფორმას ჩავაცმევდი, ცხენებსაც შავს დავურთებდი; შავი ბაირონები ერქმეოდათ და მათ გმირობაზე ყველა ილაპარაკებდა“.

ერთხელ (ეს მოხდა 1794 წელს), მისის ბაირონი მეზობელთან ჩაის სვამდა. ვილაცამ უთხრა, იცით, რომ ლორდ ბაირონის ვაჟი მოკვდაო. განცვიფრებული მისის ბაირონი ფეხზე წამოჭრილა. დაუჯერებელი ჩანდა ასეთი ახალგაზრდა კაცის მოულოდნელი სიკვდილი; უფრო დაუჯერებელი კი ის იყო, რომ მისი ვაჟი, ასე უეცრად, ტიტულის, ნიუსტედის მამულისა და მთელი საგვარეულო ქონების მემკვიდრე აღმოჩნდა. და თანაც, არც არავის უფიქრია მისის ბაირონისთვის ეს ამბავი ეცნობებინა. ასე იყო თუ ისე, ნათქვამი მართალი აღმოჩნდა. ლორდ ბაირონის ვაჟი კორსიკაში კალვის ალყის დროს დაღუპულიყო; ახლა პერის ტიტულსა და მისის ბაირონის ვაჟს შორის ნახევრად შემლილი ბერიკაცობა იდგა, რომელიც ნიუსტედში ლაქიასთან ერთად საზღვაო ბრძოლებით ერთობოდა ან სამხარეულოს იატაკზე ჭრიჭინების დოღს მართავდა. მემკვიდრის დედამ მისის ლის მკაცრი წერილი მისწერა, აღშფოთება გამოთქვა, ოჯახის ასე უდიერად მოქცევის გამო. რა დამცირებაა — ასეთი ამბის უცხოთაგან გაგება. ახლა თავისთავად იგულისხმება, რომ ლორდმა ბაირონმა უნდა იზრუნოს და ოჯახის

მომავალი მეთაურის დედას დაეხმაროს, რათა ბიჭს ისეთი აღზრდა მისცეს, როგორც მის მდგომარეობას ეკადრება. მაგრამ ლორდი ბაირონი მკაცრი ნიშნის მოგებით ფიქრობდა, რომ ამ „საცოდავ, აბერდინელ კოჭლ ბიჭს“ მის სიკვდილამდე მოუწევდა ცდა. წერილზე არ უპასუხა და ბაირონების ქონების უაზრო და მეთოდური განადგურება გააგრძელა.

მისის ბაირონმა ძალიანაც იშმაგა, იბობოქრა, მაგრამ არისტოკრატიულ კოლეჯში შვილის მიბარება ვერ მოახერხა. პატარა ბაირონი აბერდინის საშუალო სკოლაში შეიყვანა. არც ეს სკოლა იყო ურიგო; იქ დარბაისლური ტრადიციები იყო გაბატონებული. სკოლა 1256 წელს იყო დაარსებული და ერთ-ერთი ყველაზე ძველი სასწავლებელი გახლდათ სამ სამეფოში. ძველი სახლი ჩალით იყო დახურული; მთავარი საგანი ლათინური გახლდათ და დღეში ხუთი საათი ეთმობოდა. თითქმის ყველა მონაფე ღარიბთა შვილი იყო. მათი ჯიბის ფული კვირაში ერთ პენსსაც არ აღემატებოდა. ჯორჯ ბაირონმა სწრაფად მოიპოვა ბილიარდის დიდებული მოთამაშის რეპუტაცია. ამხანაგებს უყვარდათ, თუმცა პირველად ოდნავ გააოცა ისინი თავისი რბილი, ოლონდ ფხუკიანი ხასიათით. კოლეჯის შვეიცარი არაერთხელ დასდევნებია ამ ნითელქურთუკიან, ნითურ ბიჭს, კოჭლობ-კოჭლობით რომ მიდიოდა მის გასაბრაზებლად. ქალაქში „მისის ბაირონის კოჭლ ეშმაკუნას“ ეძახდნენ. „ძალიან საინტერესო ბავშვია, — ამბობდა ერთი მასწავლებელი, — ოლონდ ძნელი აღსაზრდელია“. მიუხედავად ხეიბრობისა, დიდი გაბედული ბიჭი იყო; ჩვეულებრივ, მოწინააღმდეგეს თვითონ ესხმოდა თავს, არ ელოდებოდა, როდის სცემდნენ. ცერებზე აწეული ჩხუბობდა და ასე საკმაოდ დიდხანს შეეძლო გაძლება. ერთხელ ვილაც ბიჭმა აწყენინა, იქვე მისი ცემის საშუალება არ ჰქონდა, აღუთქვა, სამაგიეროს მერე გადაგიხდით. ერთი კვირის შემდეგ ქუჩაში გააჩერა და მიტყიპა. სახლში დაბრუნებულს მეი გრეიმ ჰკითხა, ასე რატომ ქოშინებო.

უპასუხა, ერთი დაპირების შესრულება მომიწია. უნდა გამეკეთებინა, რადგან ბაირონი ვარ, ბაირონების დევიზი კი CredeByron-იაო. სკოლის გარდა, სუფთა წერასა და ფრანგულში ჰქონდა კერძო გაკვეთილები. განსაკუთრებული წარმატებები არა ჰქონია, მაგრამ თანატოლებზე მეტს კითხულობდა. „კითხვისას არასოდეს ვუნახივარ ვინმეს. ყველას ეგონა, მხოლოდ ვყბედობდი, ვთამაშობდი, ვცეცქობდი. სინამდვილეში, ვკითხულობდი ჭამის დროს, საწოლში, იმ საათებში, როცა არავინ კითხულობს. ყველაფერი წავიკითხე, რისი წაკითხვაც ხუთი წლის ასაკიდან შეიძლებოდა“. ბიბლიამ აღმოსავლეთისადმი ინტერესი გაუღვივა. განსაკუთრებით, „ათას ერთი ლამის“ ზღაპრები უყვარდა; ბარონ ტოტის მემუარები, თურქეთში მისი ელჩად ყოფნის პერიოდს რომ ეხებოდა; ლედი მერი უორტლეი მონტეგის წერილები და დოქტორ მურის „ზელიუკო“. „ზელიუკო“ იმ დროს მოდური რომანი იყო და მისმა გამირმა არაერთხელ გაუკრთო ძილი პატარა ბაირონს. ზელიუკომაც ადრე დაკარგა მამა; ობლად იზრდებოდა, უმცირეს წყენაზეც კი დენთივით ფეთქდებოდა და განრისხებული ცეცხლს აფრქვევდა. ზელიუკო ბელურას მიიჩვევს, უვლის, მაგრამ ბოლოს კლავს საყვარელ ჩიტს. რომანი იმით მთავრდება, რომ ზელიუკო საკუთარ შვილსაც კლავს. ეს წიგნი აღაფრთოვანებდა და აწვალებდა ბაირონს. ემინოდა, ზელიუკოს არ დამსგავსებოდა. ეს შიში სიამოვნებასაც ჰგვრიდა. გორდონების მოდგმაში ისეთი ბოროტმოქმედნიც ერივნენ, როგორიც ზელიუკო იყო.

როცა მასწავლებელმა გესნერის¹⁸ „აბელის სიკვდილი“ მისცა წასაკითხად, გაუხარდა, შემთხვევა რომ მიეცა გადაეკითხა კაენის იდუმალებით მოცული ამბავი, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა. ტრაგედია მოსაწყენი ერვენა, მისი თარგმნისას ფიქრობდა, რომ ისეთი იდიოტური პიროვნებისგან, როგორიც აბელი იყო, სამყაროს დახსნა არ შეიძლება

დანაშაულად ჩაითვალოსო. მაგრამ გამოცანა „კაენი“ ძველებურად აწვალებდა. სამართლიანობისადმი ბავშვური წყურვილით ენანებოდა განწირული. რატომ დაუშვა ღმერთმა, რომ კაენმა მოკლა ძმა? რატომ უშვებს ღმერთი, რომ მას, ჯოჯოხ ბაირონს, სურვილი აქვს ზოგჯერ მკაცრი იყოს და ცოდვილი? ხანდახან ჯოჯოხეთის ცეცხლის ენები ელანდებოდა. ცოცხალი წარმოსახვა ჰქონდა. სკოლის ამხანაგები ხალისით უსმენდნენ მის ნაამბობს, რომელსაც წაკითხულიდან თვითონ თხზავდა. ზამთარში, როცა თოვლსა და ქარბუქში სკოლიდან ვერ გამოდიოდნენ, ბაირონი მათ „ათას ერთი ლამის“ ზღაპრებს უყვებოდა და პატარებსაც სიცივე ავიწყებოდათ.

1796 წელს ბაირონი ქუნთრუშით ყოფილა ავად და დედას რამდენიმე დღით სოფელში წაუყვანია. შოტლანდიის თვალწარმტაც ბუნებას, ცისფერ ნისლში გახვეულ მთებს, დეს ხეობასა და ლოგ-ნე-გერის მწვერვალის ველურ სილამაზეს, მწვერვალს, რომელიც დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე ქათქათა ღრუბლებიდან, აღტაცებაში მოუყვანია. შეჰყვარებია ეს უცნაური კლდეები და ჩანჩქერები. ბევრს დადიოდა, მძიმედ კოჭლობდა, სეირნობისას ავაზაკთა ბანდების ბელადებისა და თავისი წინაპრების შესახებ ამბების მოსმენა ჰყვარებია. შოტლანდიურ ქუდში და მხარზე გადაგებული ტარტანით ნამდვილ შოტლანდიელად გრძნობდა თავს. ამ მთიან ხეობაში აღენტო პირველად რომელიღაც ფერმერის გოგოს ბავშვური სიყვარულით. მისი გულის რჩეულს მერი რქმევიანა და გრძელი ოქროსფერი კულულები ჰქონია. მასთან ყოფნისას მწვავე, ჩუმ მღელვარებას განიცდიდა. ვნება, ისევე როგორც გრძნობა, ძალიან ადრე, ძალიან დიდი ძალით გამოუმჟღავნდა.

ცხრა წლისამ გაიგო, რა ბედნიერება-

18. სალომონ გესნერი /1730—1788/ — შვეიცარიელი პოეტი და მხატვარი.

ცაა საყვარელ არსებასთან ყოფნა. აბერდინში დაბრუნებულს თავისი ბიძაშვილი შეუყვარდა. მერი დაფი, თაფლისფერთვალეა, შავთმიანი გოგონა. მისი სახის ნაკვთების ცქერით ტკბებოდა, ეჩვენებოდა, ამისთანა ლამაზი არავინ არისო; მასთან სეირნობა, მის გვერდით ჯდომა და გოგონასთვის თავზე ხელის გადასმა უყვარდა. სულ მასზე ფიქრობდა, მის სახეზე, მის კაბაზე — სხვა არაფერზე ფიქრი აღარ შეეძლო. ლამლამობით ძილი აღარ ჰქონდა, მხოლოდ მასზე ლაპარაკობდა. როცა გოგონა სხვაგან იყო, დედას ჯიუტად ევედრებოდა, მერი დაფის მისწერეო. სიყვარულმა უფრო ჟინიანი გახადა, ისედაც ჟინიანი; კეტრინ ბაირონს სხვა აღარაფერი რჩებოდა, გარდა იმისა, რომ მხრები აეჩქრა და თავისი ვაჟის მდივანი გამხდარიყო¹⁹.

მასში ვნება ებრძოდა სიმორცხვეს. როცა კოჭლი ფეხი ახსენდებოდა, ხტუნვა-ხტუნვით სიარული, სასაცილოდ გრძნობდა თავს და სირცხვილი აწამებდა; მზად იყო დამალულიყო, მიწა გამსკდარიყო და შიგ ჩავარდნილიყო. მეოცნებესა და სანტიმენტალურს, უცბად, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, მრისხანება იპყრობდა, შმაგდებოდა; ზოგჯერ, დიდი ხნის დუმილის შემდეგ, წარმოუდგენლად უხეში ხდებოდა, რისი ახსნაც შეუძლებელი იყო. ერთხელ მაგიდიდან დანა აიტაცა და მკერდში ჩაირტყა — დედამისი შიშისგან გაქვავდა. ასეთი ქცევების მიზეზის გამოცნობა ძნელი იყო. გულღვარძლიანს წყენაც დიდხანს მიჰყვებოდა. ბოლმის ასეთი შეტევის მიზეზი, არცთუ იშვიათად, რომელიღაც ძველი, ყველასგან მივიწყებული უსიამოვნო შემთხვევა გამხდარა.

1798 წელს ათი წელი შეუსრულდა და ნიუსტედის პატრონის სიკვდილის ცნობაც მოუვიდათ. ბოროტი ლორდი მინიერ ცხოვრებას დაემშვიდობა. ალბათ

19. ჰობჰაუზის ჩანაწერი: „ბაირონის ასეთი მიდრეკილების ნაადრევი განვითარება ჩემთვის ცნობილი ფაქტია, თუმცა მისი გადმოცემა მიჭირს; იგი ნაკლებ რომანტიკული და უფრო დამაჯერებელია, ვიდრე მისი სიყვარული მერი დაფისადმი“.

ჯოჯოხეთში წავიდა. პატარა ჯორჯ გორდონ ბაირონი მეექვსე ლორდ ბაირონად იქცა. სკოლაში იყო, როცა ეს ამბავი მოვიდა. მასწავლებელმა, რომ გაიგო, ცხადია, მისის ბაირონისგან, თავისთან მიიწვია, ღვინითა და ღვეზელით გაუმასპინძლდა, თან აუწყა, შენი საყვარელი პაპა გარდაიცვალა და ახლა შენ ხარო ლორდი. ღვინომ, ღვეზელმა, მასწავლებლის მოკრძალებულმა ლაპარაკმა — ბავშვს უჩვეულოდ დიდი წარმოდგენა შეუქმნა თავის ახალ მდგომარეობაზე. სალამოს, სახლში დაბრუნებულმა, სარკესთან მიიბრინა, ჩაიხედა, დედას ჰკითხა — ჩემზე რამე ცვლილებას ხომ არ ამჩნევ, რასაც მე ვერ ვხედავო. მეორე დღეს, ჩალით გადახურულ, დაფაცხავებულ სკოლაში, მასწავლებელმა სიის ამოკითხვის დროს ბაირონს გადახედა და უბრალოდ ბაირონიო კი არ წარმოთქვა, არამედ „Domine de Byron“²⁰. ბიჭმა ვერ შეძლო ეპასუხა „Adsum“²¹ და ატირდა.

აბერდინის დატოვების დროც მოვიდა, რადგან მემკვიდრეობას უნდა დაპატრონებოდა. 1798 წლის შემოდგომას მისის ბაირონი, შვილისა და მეი გრეის თანხლებით, ნიუსტედში გაემგზავრა. გამგზავრების წინ მისის ბაირონმა ავეჯი გაყიდა; ჭაბუკი ლორდის დედამ მთელი ქონებიდან მხოლოდ სამოცდათხუთმეტი ფუნტი, თოთხმეტი შილინგი და შვიდი პენსი აიღო.

IV სააბატო

სამი მგზავრიდან ყველაზე ახალგაზრდა, ცხადია, ყველაზე მძაფრად აღიქვამდა ამ რომანტიკულ მოგზაურობას. გონებადამჯდარი რეზონიერი²² გაფართოებული თვალებით ათვალეირებდა ტბებს, მანანას ბუჩქნარით დაფარულ ფართო შოტლანდიურ მდელოებს, ინგლისის ველებსა და ტყეებს. როცა ლონგლევენს ჩაუარეს, მისის ბაირონმა დედ-

20. ბატონი ბაირონი /ლათ./.

21. აქ ვარ /ლათ./.

22. ადამიანი, რომელსაც მსჯელობა უყვარს.

ოფალ მარის გაქცევის ამბავი უამბო და კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ იგი სტიუარტების შთამომავალი იყო. მაშ ასე, ის ბაირონია და თავისი მამულების დასაუფლებლად მიემგზავრება! ყველა ეს მოვლენა ისეთივე გასაოცარი ეჩვენებოდა, როგორც „ათას ერთი ღამის“ ზღაპრები.

ნოტინგემიდან რამდენიმე მილის გავლის შემდეგ, მგზავრებიანი კარეტა შერვუდის ტყეში შევიდა. მათ წინ გალავანი აღიმართა — ეს ნიუსტედის შესასვლელი გახლდათ. უფრო წინ, მეზობლების ნყალობით ბოროტი ლორდის ცულს გადარჩენილი გიგანტური მუხა იდგა. მუხის მარჯვნივ ღობე გაჭიმულიყო და პარკის უკანა ნაწილს კეტავდა. მისის ბაირონმა ფარული სიხარულით, ოღონდ ვითომ არ იცოდა, მეკარეს ჰკითხა, ვის ეკუთვნის ეს ციხე-დარბაზიო. ამის პატრონი ლორდი ბაირონია და ახლახან მოკვდაო, უპასუხეს.

— მემკვიდრე ვინ არის?

— ამბობენ, ვიღაც პატარა ბიჭიაო, აბერდინში ცხოვრობს.

— აი, ეს ბიჭია, ღმერთმა დალოცოს!

— უთხრა მეი გრემი და თავის მუხლებზე მჯდარ პატარა ლორდს აკოცა.

კარეტა დაბურულ ტყეში შევიდა, ფიჭვის ტყე გაიარა და უცბად, მოსახვევიდან, მგზავრების თვალწინ ნიუსტედი გადაიშალა. სანახევროდ ლელქაშებით დაფარულ დიდი ტბის ნაპირზე, ნაცრისფერი ცისკენ სააბატოს დახვენილი გოთური შენობა აღმართულიყო, მშვიდი და მკაცრი. მდიდარი წარმოსახვით დაჯილდოებული ყველა ბავშვივით, ბაირონიც ოცნებაში მუდამ ხატავდა ასეთ ციხე-დარბაზს, რომელშიც ცხოვრება და მეფობა უნდოდა. ნიუსტედმა ყველა მის ოცნებას გადააჭარბა.

მგზავრები კარეტიდან ჩამოვიდნენ, მოხუცი მსახური ჯო მურეი მიეგება და სასახლის დასათვალიერებლად წაიყვანა. ციხე-დარბაზი საშინლად იყო გაპარტახებული და ნანგრევების შთაბეჭდილებას ტოვებდა. ათეულობით წლების განმავლობაში არ შეუკეთებიათ სახურავები, კედლები, იატაკები. ყველგან თვალთ უნახავი ქუჩყი და ქაოსი მე-

ფობდა. მსახურები თავის გასამართლებლად მოხუცი ლორდის სიგიჟეებს ჰყვებოდნენ. ბიჭი გაფაციცებით უსმენდა. ბებერი მიზანთროპის ცხოვრების დაუფერებელი ამბები, მასში რალაც გამოუთქმელ გრძნობას აღვიძებდა. „მუდამ იარალს ატარებდა, ყველა ჯიბეში პისტოლეტი ედო...“. ო, როგორ ესმოდა ბიჭს მისი! თვითონ არამყარად გრძნობდა თავს თავის კოჭლ ფეხზე, მუდამ ეშინოდა, სკოლის ამხანაგებთან ჩხუბისას სხეულს არ ეღალატა და პისტოლეტი იმ იარაღად წარმოედგინა, რომელიც მასსა და ჯანმრთელ ბიჭებს შორის წონასწორობას აღადგენდა. შვიდი წლიდან ჯიბით გამუდმებით ატარებდა სათამაშო პისტოლეტებს. მერე, ჩავორსთან დუელის ამბავი უამბო მსახურმა: „გაურჭო დაშნა და სასიკვდილოდ დაჭრა...“. ასეც უნდა მოქცეულიყო! სამართლიანია. ბებერმა მურეიმ „საქორწინო ხეივანიც“ აჩვენა, რომელიც ჩავორსის ენსლის მამულისკენ მიემართებოდა. ჰყვებოდა ჭრიჭინებზეც. „მილორდის სიკვდილის შემდეგ ნიუსტედი მიატოვეს; იმდენი წავიდა, რომ მთელი დერეფანი გადაშავდა; ასეულობით ჭრიჭინა დასრისეს...“. ცხადია, წავიდოდნენ, პატრონი დაკარგეს, ჯადოქარი, გრძნეული, ეშმაკეული, რომელიც ჩალის ნკირით წვრთნიდა მათ! რა ბნელი და მშვენიერი ეჩვენებოდა ბაირონების ჯიბი, თავისი ჯიბი! უსმენდა ბებერი მსახურის ნაამბობს, ოთახიდან ოთახში გადიოდა („აქ მოჩვენება გამოჩნდა. შავბარტყულიანი ბერი ბევრმა ნახა... აქ სასადილოა, აქ სამზარეულო... ეს სარაციინის თავია, კედელზე ამოკვეთილი, რუპერტ ბაირონს ჰგავს, ჯვაროსნულ ლაშქრობაში დაღუპულს...“). მან რეალური მემკვიდრეობის დაუფლება დაინყო, უფრო რეალურის, ვიდრე სახლი და მინდვრებია, უფრო არსებითის, ვიდრე ლეგა ცისფერი თვალებია, ანდა სპილენძისფერდაკრული თმა — მან თავისი წინაპრები გაიცნო.

ნახვისთანავე, ბაირონმა ისეთივე მგზნებარებით შეიყვარა ნიუსტედი, როგორც მერი დაფი უყვარდა. მოხუც

მურეისთან ერთად დაათვალიერა თაღვანი დერეფნები, მონასტრის მინისქვეშა გზები, ხეივნები, ნაკადულები, ნყაროები. მან ერთგან მინაში ჩხირი ჩასო და თქვა, აქ ჩემი მუხა გაიზრდება. არ უნდოდა ამ ზღაპრულ მემკვიდრეობასთან განშორება, მაგრამ მისის ბაირონმა განაცხადა, არ შეიძლება დანგრეულ სახლში ცხოვრებაო. საბატოს შეკეთება ადვილი არ იყო. ინგლისის არასრულწლოვანი პერის, ბაირონის, ქონების მართვა სახაზინო კანცელარიის დაქვემდებარებაში იყო; დედამისის მისი გამოყენების უფლება არ ჰქონდა; გარდა ამისა, ქონება, ძირითადად, მიწები გახლდათ. ქონებრივი ანგარიშების შემონახვამდე პატარა ლორდის დედას არსებობა თავისი ასორმოცდაათი ფუნტით მოუწევდა. მან რწმუნებულად ისევ ჰანსონი აიყვანა; ის ჰანსონი, რომელიც აქამდეც მის საქმეებს აწესრიგებდა და თავის დროზე, ორსულობის დროს, დაეხმარა. რამდენიმე დღის შემდეგ ისინი ნიუსტედიდან ნოტინგემშირში გაემგზავრნენ.

ნოტინგემში ქალაქის ზედა ნაწილში დასახლდნენ, სასახლიდან არც ისე შორს, ბნელ და ვიწრო ქუჩაზე. დაქირავებული პატარა სახლი არაფრით გამოირჩეოდა იმ სახლისგან, აბერდინში რომ დატოვეს. რა იმედის გაცრუება იყო ბავშვისთვის: ზღაპრული სასახლე ქოხად ექცა. ამ უცნობ ქალაქში თავს უფრო უბედურად გრძნობდა, ვიდრე შოტლანდიაში. მისის ბაირონს რამდენჯერმე მოუწია ლონდონში ჩასვლა, ვაჟის სრულწლოვანებამდე მეფისგან პენსიის დანიშვნა რომ მოეხერხებინა; ბიჭს ნოტინგემში ტოვებდა, მეი გრეის ზედამხედველობით. მეი გრეი ასეთ ნდობას არ იმსახურებდა. ჰანსონი თავისი პატარა კლიენტის გასაცნობად ჩავიდა ლონდონიდან, ძალზე შეეთვისა ბავშვს, მეზობლებისგან გაიგო ზოგიერთი საქმის გარემოება და აღშფოთდა. „ნება მომეცით, დაგარწმუნოთ, ქალბატონო, — სწერდა მისის ბაირონს, — თავს ნებას არ მივცემდი, ჩავრეულიყავი თქვენს შინაურ საქმეებში, აუცილებლობად რომ არ

მიმეჩნია, მეცნობებინა თქვენი მსახურის, მისის გრეის ქმედებების თაობაზე... ჩემმა ჭაბუკმა, მაღალპატივცემულმა მეგობარმა, მიუხედავად თავშეკავებისა, ველარ მოითმინა და მიაბო იმ მკაცრი მოპყრობის შესახებ, როგორადაც ეს ქალი ექცევა. მიაბო, რომ განუწყვეტილ სცემს, თანაც ზოგჯერ ისე, რომ პატარა სხეული სტიკვა; მსახურს სახლში მოჰყავს ყველაზე მდაბალი რანგის ადამიანები; გვიან სალამოს სახლიდან მიდის, ბიჭს მარტო სძინავს: მსახური გოგო განუწყვეტილ ლოთობს მეეტლეებთან... ლორდ ბაირონისადმი დიდ კეთილგანწყობას ვგრძნობ, ამიტომ ვბედავ და იმედს გამოვთქვამ, რომ არა მარტო რწმუნებული ვიქნები მისი, არამედ მეგობარიც. მე იგი ლორდ გრანტლეისა და მის ძმას, გენერალ ნორთონს წარვუდგინე; მისით ორივე მოიხიბლა. ჩემთვის უკიდურესად სამსუხაროა, რომ ჩემი პატარა მეგობრის ამალღებული გრძნობები მსახური გოგოს დაუშვებელი უტაქტობით შეურაცხყოფილია. ბავშვი გონებით, საზრიანობითა და მსჯელობის სიმტკიცით გამორჩეულია, რასაც იშვიათად შეხვდება ადამიანი ასეთ პატარა არსებაში. მას შეუძლია იყოს მონიფული ადამიანის მეგობარი, ამიტომ საჭიროა, ძალიან ფრთხილად შეირჩეს პიროვნებები, ვინც მასთან იცხოვრებენ“.

ჰანსონი მართალი იყო. პატარა ლორდი მისი ასაკის ბავშვისთვის მეტისმეტად იშვიათ, ძლიერ გონებას ამჟღავნებდა. მძიმე ცხოვრება ხშირად გავლენას ახდენს ინტელექტის ადრეულ განვითარებაზე. ბედნიერი ბავშვი უზრუნველად ცხოვრობს და მშობლებისგან მზა ჭეშმარიტებებს ღებულობს. ბავშვი, რომელიც ყვირილსა და ჩხუბში იზრდება, მშობლებს მსჯავრს სდებს და სამყაროზე თავის წარმოდგენას იქმნის, არცთუ იშვიათად ძალზე მკაცრს. მეი გრეი ეუბნებოდა ხოლმე, ცუდი ადამიანები განწირულნი არიან მარადიულ ცეცხლზე დასანჯავადო. თუ მეი გრეის ამისა მართლა სჯერა, განა თვითონ ასეთი ცხოვრებით იცხოვრებდა? მაშას-

დამე, მართალი არ არის. ზღაპარია დიდებისთვის. იქნებ, მეი გრეი მარადიულობაში არის დასატოვებლად განწირული, როგორც კაენი? მაშინ მეეტლეები და დუქნები ვერაფერს შეცვლიან. მაშ, რაღა გამოდის, ღმერთი უსამართლოა? რას დაუჯეროს? თვითონ, ასე უმანკომ რატომ უნდა იტანჯოს? მისის ბაირონი, მას შემდეგ, რაც მისი ვაჟი ლორდად იქცა, ვერა და ვერ შეურიგდა აზრს, რომ ჯორჯი კოჭლი დარჩებოდა. ნოტინგემში ვილაც შარლატანი²³ ურჩიეს, გვარად ლევენდერი; მას მიანდო თავისი შვილის მკურნალობა. ეს ლევენდერი ნამდვილი პირუტყვი გამოდგა. მთელი მისი მკურნალობა იმაში მდგომარეობდა, რომ ბავშვს ძალ-ღონის დაუზოგავად უჭიმავდა ფეხს, მერე მასაჟებს უკეთებდა, ხის რაღაც აპარატის ტრიალით. ამ დროს ბაირონი ამერიკელ, ვინმე მისტერ როჯერსთან მეცადინეობდა ლათინურში. ეს უკანასკნელი მასთან ერთად ციცერონსა და ვირგილიუსს კითხულობდა; ძალიან ეცოდებოდა ბავშვი, გული სტიკოდა, როცა ხედავდა, ამ სანამებელი იარაღის ხმარების დროს, როგორ უმახინჯდებოდა ლამაზი სახე.

— ძალიან მიმძიმს, მილორდ, ასე რომ იტანჯებით.

— ყურადღებას ნუ მომაქცევთ, მისტერ როჯერს, ამიერიდან ვეცდები ტკივილი აღარ გავამჟღავნო.

როჯერსი, ჰანსონივით, მალე განიმსჭვალა სიმპათიით ამ ვაჟკაცური ბუნების ბიჭისადმი. ათი წლის ბავშვი თვითონ ითხოვდა — რაც იშვიათი შემთხვევაა — სამეცადინო საათები დამიმატეთო. „მისტერ როჯერსს, — სწერდა ბაირონი დედას, — შეუძლია საღამოობით ყოველდღე მამეცადინოს. გირჩევთ, ეს წინადადება მიიღოთ, რადგან, თუ რამეს არ იღონებთ, მეტსახელად უქნარას შემარქმევენ, უფრო სწორად, დაღად დამასვამენ. თქვენ კი იცით, რომ ამას ვერ ვიტან“. უცხო ხალხსაც კი, ბაირონების მეზობლებს, ებრალებოდათ ეს მგზნებარე ბავშვი, რომელიც ისეთი

23. მატყუარა, თალლითი.

ადამიანების ხელში იყო მიტოვებული, როგორებიც მეი გრეი და ლევენდერი იყვნენ. ეს უკანასკნელი თავისი სააქიმო სენსების დროს, არცთუ იშვიათად, ჭაბუკ ლორდს ლუდის მოსატანად აგზავნიდა. ნოტინგემის მცხოვრებლები აღშფოთებას ვერ მალავდნენ, თუ რა რუდუნებით მიჰქონდა პინტი²⁴ ლუდი ექიმი-შარლატანისთვის კოჭლობით მიმავალ ნიუსტედის პატრონს.

ბაირონი სიხალისეს მაინც არ კარგავდა; მისი მცდელობაც კი, ჯავრი ეყარა თავის მწვალებელზე, იუმორით იყო სავსე. ლევენდერი, გაბლენძილი უმეცარი, ტრაბახობდა, ყველა ენა ვიცო. ბაირონმა არათანამიმდევრულად ჩამოუნერა ალფაბეტი, ოღონდ ცალკეული წინადადებების სახით, შარლატანს აჩვენა და ჰკითხა, რომელი ენააო. „იტალიური“, — უპასუხა. გამარჯვებული ბაირონი ახარხარდა. ცრუპენტელები, აი, ვინ არიან ეს ლევენდერი და მეი გრეი. სხვა გრძნობათა შორის ყველაზე ძლიერ ფარისევლობისა და სიცრუისადმი სიძულვილმა გაიდგა მასში ფესვი.

მისის ბაირონმა, როგორც იყო, მოახერხა და მეფისგან ოთხასი ფუნტი სტერლინგი პენსია მიიღო, რამაც ლონდონში ცხოვრების საშუალება მისცათ. ჯონ ჰანსონმა ბაირონისთვის შესაფერი სკოლა გამონახა — დოქტორ გლენის სკოლა — ლორდი კარლაილი, კაპიტან ბაირონის ბიძაშვილი, დაითანხმა ბავშვი თავისი მზრუნველობის ქვეშ აეყვანა. გრაფი კარლაილი ახალგაზრდობაში სახელგანთქმული დენდი გახლდათ, — აბრეშუმით განყობილ ფილეტებს ატარებდა, რომლებიც ლიონიდან ჩამოჰქონდათ. ოდესღაც ოდებსაც ბეჭდავდა, ტრაგედიებსაც; მერე დაქორწინდა, საკმაოდ კარგი პოლიტიკური კარიერა გაიკეთა, ირლანდიის ლორდ-ნაცვალი გახდა, მინისტრიც. მისის ბაირონი რომ არ არსებულიყო, შეიძლება ბაირონისთვის მზრუნველი მეურვეც ყოფილიყო. პირველი შეხვედრისთანავე ამ დახ-

24. სითხისა და ფხვიერი ნივთიერების მოცულობის საზომი.

ვენილ, მოხდენილ არისტოკრატსა და მყვირალა, ფხუკიან, სასაცილო ქალს შორის უმაღლვე მტრული დამოკიდებულება დამყარდა. მისის ბაირონმა კარლაილი ამპარტავან პოზიორად მიიჩნია და თავისი „მტრების“ სიაში ჩაწერა; პატივცემული ლორდი კი უკვე ნანობდა თავის გულკეთილობას და გადაწყვიტა, რაც შეიძლება იშვიათად ჰქონოდა საქმე ამ ცუდად ჩაცმულ, უხეში აქცენტით მოლაპარაკე ქალთან, რომელიც ვისკის სუნად ყარდა.

დოქტორ გლენსაც, ბაირონის ახალ მასწავლებელს, მალე მოუწია მისის ბაირონის ხასიათის გაცნობა. როგორც ყველას, გლენსაც ბიჭის გაცნობისთანავე, სიმპათიისა და პატივისცემის გრძნობა გაუჩნდა. სიამოვნებით საუბრობდა მასთან, რადგან იშვიათად თუ შეხვედრია ასეთი ნაკითხი მონაფე. ბაირონს ბევრი ლექსი ახსოვდა ზეპირად, ბევრი ავტორი წაეკითხა, კვირაობით კი დიდი გატაცებით სწავლობდა ბიბლიას; ამხანაგებს უყვარდათ, ოღონდ „ბებერი ინგლისელი ბარონი“ კი შეარქვეს, რადგან მეტისმეტად ბევრს ლაპარაკობდა თავის ძველისძველ ტიტულზე; როცა დედამისი, სამაჯურებით დაფარული მსხვილხელება სქელუა მოდიოდა და დოქტორ გლენტან ლაპარაკისას მთელი ხმით გაჰყვიროდა, ბიჭები გულიანად იცინოდნენ, იმას კი, ვინც გაუბედავდა ეუბნებოდა:

— ბაირონ, რა გიჟი დედა გყავს.

— თვითონაც კარგად ვიცი, — პირქუშად პასუხობდა.

მიუხედავად ამისა, დედას თავისებურად უყვარდა შვილი. ალბათ, ლორდი კარლაილი და დოქტორი გლენი მასზე უკეთესი აზრისა იქნებოდნენ, უფრო შემწყნარებლურად რომ მოჰქცეოდნენ მისის ბაირონს. იქნებ დაეფასებინათ კიდევ ის გმირული მოთმინება, რომელსაც ქალი იჩენდა, ის დიდსულოვნება, პირველივე შესაძლებლობისთანავე რომ შეეძლო გაემჟღავნებინა. მაგრამ მისის ბაირონი მეტისმეტად ალაშფოთებდა მათ, ამიტომ აღარც სურვილი ჰქონდათ მისი ახლო გაცნობისა. ერთ შაბათს

შვილი შინ წაიყვანა, არც წესი ჩააგდო რამედ და არც რიგი. დოქტორმა გლენმა ლორდ კარლაილთან იჩივლა. ამ უკანასკნელს საქმეში ჩარევა კი უნდოდა, მაგრამ გორდონების ცოფიანი ხასიათი გაახსენდა და დოქტორს მისწერა: „არ მსურს მისის ბაირონთან რაიმე საერთო მქონდეს. გთხოვთ, როგორც შეძლებთ, ისე მოაგვაროთ მასთან საქმე“.

მასწავლებლებისა და ამხანაგების დამოკიდებულებამ ბაირონში ის გრძნობა უფრო განამტკიცა, საკუთარი დაკვირვებით დიდი ხნის წინ რომ ჩაენერგა: ჩუმი და მკაცრი ზიზღი დედისადმი. დიახ, ის გიჟი იყო. ბაირონი მასზე პასუხისმგებლობას გრძნობდა და ვერ ეპატიებინა, რომ შვილის გულში დაგროვილი სინაზე მას ჩალის ფასადაც არ უღირდა. პატარაობისას მისი ეშინოდა, ახლა გამომწვევად ექცეოდა. როცა დედა ცოფდებოდა, მთელ სახლში დასდევდა შვილს და ეს ტრაგიკომიკური სანახაობა იყო — დიახ, სანახაობა: მშვენიერი, კოჭლი ანგელოზი, სქელუა, ჯუჯა ქალს გაურბის.

არდადეგები ახალ, ბავშვურ, მგზნებარე სიყვარულში გავიდა. ისევ ბიძამშვილი, ამჯერად, მარგარეტ პარკერი შეუყვარდა, „უმშვენიერესი იმ მომხიბლავ ასულთა შორის, რომლებშიც თითქოს ყველაფერი წუთიერია“; ის ცამეტიოდე წლის გოგონა იყო; ბაირონს მთელი ცხოვრება დაამახსოვრდება მისი შავი თვალები, გრძელი წამწამები და ბერძნული ქანდაკების მაგვარი სახე. „ჩვენი მეგობრობის იმ მოკლე დროში, არაფერი მახსენდება ისეთი, რაც ჩემი ბიძამშვილის სილამაზესა და მისი თვინიერ ხასიათს შეედრება. თითქოს ცისარტყელას ნაგლეჯისგან არისო შექმნილი; მთლიანად — სიმშვიდე და სილამაზე გახლდათ. სიყვარულმა ჩემზე უჩვეულო გავლენა მოახდინა — არც ძილი შემეძლო, არც ჭამა, არც დასვენება“. ცდილობდა, მისთვის ლექსები ეწერა. თითქმის ღვთაებრივი სილამაზის, უმანკოების განსახიერებად ეჩვენებოდა, ყველგან რომ ეძებდა; მეტისმეტად მგრძნობიარე გულის დაოკებას ესწრაფვოდა, რაც მხოლოდ ორჯერ ჰპოვა ბავშვობაში.

V
ჰაროუს სკოლა

1801 წელს გადაწყვიტეს, ბაირონი მისი მდგომარეობის შესაფერ, დახურულ სკოლაში მიეზარებინათ. ჰაროუს სკოლაზე შეჩერდნენ. ბაირონის წაყვანა ჰანსონს მიახდეს. სკოლა ლონდონის ახლო მდებარეობდა. მწვანით დაფარული გორაკიდან, რომლის თავზეც სკოლის აგურის შენობა იდგა, მდინარისა და ტყეების ფართო ხედი მოჩანდა, იქით კი უჩინარი ქალაქი იწვა. ბაირონს, რომელიც ცამეტწლინახევრისა იყო, ძალზე აღელვებდა ახალ ადგილზე გადასვლა. როგორ შეხვდება მას, ამ კოჭლსა და გაუნათლებელ ბიჭს ეს დამცინავი და პირქუში სამყარო? ცხადია, ლორდი ბაირონია, მაგრამ ხომ ეუბნებიან, იქ ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევენო; თურმე, ამერიკის ელჩსაც ახლახან ჰაროუსში მიუბარებია თავისი ვაჟი, „რადგან ერთადერთი სკოლაა, სადაც ტიტულს არანაირი პრივილეგია არ ენიჭება“.

სკოლის დირექტორი უკვე თხუთმეტი წელი იყო, რაც ჯოზეფ დრური გახლდათ, ორმოცდაათი წლის ენერგიული კაცი, რომელმაც შეძლო და სკოლას მშვენიერი რეპუტაცია შეუქმნა; ჭკვიანი, მშვიდი, მჭევრმეტყველების უნარის მქონე, ბევრ დროს უთმობდა მონაფეებთან საუბარსა და სეირნობას. „დოქტორ დრურისგან საყვედურის მიღება ერთი სიამოვნება გახლდათ“-ო, — უთქვამს ერთ მონაფეს.

ჰანსონმა მას ბაირონი მიუყვანა და უთხრა, ბავშვის სწავლა-განათლება ცოტა მიშვებულა, ოღონდ ხასიათში საგულისხმო თვისებები უეჭველად იგრძნობაო. დრურიმ მადლობა გადაუხადა რწმუნებულს, გამოემშვიდობა, გაამგზავრა, ბაირონი კი თავის კაბინეტში წაიყვანა და ყველაფერი გამოჰკითხა. „მალე მივხვდი, რომ ბიჭი, რომლის აღზრდაც მომანდეს, ველური, აულაგმავი კვიცი გახლდათ. ო, რა ცეცხლს აკვესებდა მისი თვალები!“ დრურიმ ისიც შეამჩნია, სხვა გრძნობებზე მეტად ახალ მონაფეში სი-

ამაყე სჭვითა და, ამავე დროს, ძალიან ეშინოდა, ცუდი მომზადების გამო, უმცროს კლასში არ გაემწესებინათ. დირექტორმა დაანყნარა და აღუთქვა, ერთხანს მასწავლებლებთან ცალკე იმეცადინებ, მანამდე, ვიდრე საკმაო ცოდნას არ დაიგროვებ იმ კლასში შესასვლელად, რომელიც შენს ასაკს შეეფერებაო. ეტყობა, ამან ბიჭი დაამშვიდა.

პირველ ხანებში, სკოლაში თავს უბედურად გრძნობდა. სრულიად დაუჯერებელი იქნებოდა, სამას ორმოცდაათ მონაფეს შორის ერთიც არ აღმოჩენილიყო, ამ ამაყი, მორცხვი, ხეიბარი ბიჭისთვის არ დაეცინა. მკურნალობამ ფეხი ვერ მოუჩინა. საგანგებო მოყვანილობის ფეხსაცმელს ატარებდა, რომელსაც დედამისი სახელგანთქმულ ლონდონელ ხარაზ შელდრეკს უკვეთავდა. ისიც მომხდარა, დილით გაღვიძებულს ფეხქვეშ ბიჭების დადგმული ცივი წყლით სავსე ტაშტი უგრძვნია, რაც იმის მკაცრი მინიშნება იყო, აბაზანებით რომ მკურნალობდა. იქნებ, მწვალელების განიარაღება უსიტყვო მორჩილებითაც მოეხერხებინა, მაგრამ მორჩილება რა იყო, არ იცოდა. მამა ადრე დაკარგა, ბავშვობიდანვე ავტორიტეტებისადმი ზიზღს მიეჩვია. მისი გონება არ აღიარებდა იმ ადამიანებისადმი მორჩილების აუცილებლობას, ვისაც ნაკლს ამჩნევდა; სიამაყეც ხელს უშლიდა, — თუ პატივისცემას არ გრძნობდა, სიფრთხილის გამო დამორჩილებოდა. დედის მიერ საფრანგეთის რევოლუციის სიყვარულით აღზრდილი, ნაპოლეონისადმი თავისი სიყვარულის ერთგული რჩებოდა, რადგან მასში რევოლუციის ჯარისკაცს ხედავდა; სკოლაშიც ჩაიტანა პირველი კონსულის პატარა ბიუსტი და მონაფე-პატრიოტებისგან მუშტებით იცავდა. გამუდმებით ეშინოდა, რომ ფიზიკური ნაკლი მისდამი ზიზღიანი დამოკიდებულების მიზეზი იქნებოდა; ეს შიში აიძულებდა ქედმაღლურად, გამომწვევად და პირქუშად სჭეროდა თავი. ოდნავ სიმსუქნისკენ მიდრეკილებაც შეეტყო, მაგრამ მშვენიერი სახის ნაკვთები, გასაოცარი თვალ-ნარბი და დახვეული, ოდნავ მონ-

ითალო ფერის თმა ჰქონდა. გაგაოცებდათ მისი ჟინი, რა მგზნებარებით აკეთებდა საქმეს. არათანაბრად მუშაობდა, წყვეტილად, მაგრამ ბედნიერ წუთებში შეეძლო დაენერა, თანაც უცებ, ოცდაათი, ორმოცი ლათინური ჰეგზამეტრი.²⁵ გაკვეთილებს არ ამზადებდა, მაგრამ ბევრს კითხულობდა, ამის წყალობით, დიდი ცოდნა ჰქონდა: იყო ნაკითხი, მაგრამ ზარმაცო.

თავის საყვარელ დოქტორ დრურში ბაირონმა პირველი გამარჯვება მოიპოვა. რამდენიმე ცდამ დირექტორი დაარწმუნა, რომ ამ წმინდა სისხლის ცხენის ტარება აბრეშუმის სადავეთი უფრო იოლი იყო, ვიდრე თოკით. სუსტი აღვირით აკავებდა და ჯილდოც მიიღო: ბაირონი მასწავლებელს მიეჩვია. ის პირველი ადამიანი იყო, რომლის ძალაუფლებაც აღიარა; მკაცრ, მაგრამ სამართლიან ადამიანად მიიჩნია — სამართლიანობა კი დიდი ხანია სწყუროდა. გარდა ამისა, გრძნობდა, როგორც ამას გრძნობენ ხოლმე დიდებიცა და პატარებიც, რომ დრური მისით აღტაცებული იყო. ერთხელ ლორდმა კარლაილმა დირექტორი თავისი აღსაზრდელის თაობაზე სალაპარაკოდ იწვია.

„— ისეთ ნიჭს ფლობს, მილორდ, — უთხრა დოქტორმა, — რომელიც მის ტიტულს ბრწყინვალეობას მიანიჭებს.

— მართლა? — გაცვებით თქვა ლორდმა, მაგრამ იოტისოდენა სიამოვნებაც არ გამოუხატავს“.

მასწავლებლების კვალდაკვალ ბაირონის ხიზლს მონაფეებიც დაემორჩილნენ. ეს ხიზლი რთული გახლდათ და, უპირველეს ყოვლისა, სიტყვისა და ქცევის უსაზღვრო გამბედაობაში მდგომარეობდა. ამ მოზარდში, სიცრუის თქმა რომ არ შეეძლო, ნატამალიც არ იყო სულმდაბლობისა. ჩხუბისთვის მუდამ მზად იყო და მისი ბადალი არავინ გახლდათ სკოლაში: იყო მასში რაღაც რაინდული. ერთ ბიჭს, უილიამ ჰარნესს დაუმეგობრდა, მასავით კოჭლს. როცა შეამჩნია, რომე-

ლილაც უფროსკლასელი ჩაგრავდა, უთხრა:

„— ჰარნეს, თუ ვინმემ დაგჩაგროს, მითხარი და ვეცდები ვცემო“.

ჰაროუში იმ დროს რობერტ პილი²⁶ სწავლობდა და, მიუხედავად ქედმაღლური შეხედულებისა, თავს ძალიან უბედურად გრძნობდა. „რა უნდა ქნას ბიჭმა, რომელიც პიტის²⁷ სიტყვებით არის გატაცებული და საკუთარ სამყაროში ცხოვრობს?..“ პატარა პილის მედიდურ-სერიოზული სიფათი პატარა მწვანე-ბლებს ჩხუბისკენ უბიძგებდა: დიდი უსიამოვნებები ჰქონდა. ერთხელ ერთმა ტირანმა მისი ჯოხით დასჯა გადანყვიტა; დარტყმა დარტყმას მიჰყვა; პილი სიმწრისგან იკრუნჩხებოდა. ამ დროს ბაირონი მისულა. ის უფროსკლასელს ვერ მოერეოდა, მაგრამ თვალცრემლიანს, შიშისა და ბრაზმორეული ხმით უკითხავს:

„— რამდენი უნდა დაარტყა?

— ძალიშვილო, სხვის საქმეში ცხვირს რატომ ჰყოფ? — შეუღრენია უფროსკლასელს.

— იმიტომ, რომ ნება მომცე, დარტყმების ნახევარი ჩემს თავზე ავიღო“. — უთხრა თურმე ბაირონმა.

ხასიათების მკაცრი მსაჯულები — მონაფეები — ერთი წლის შემდეგ მიხვდნენ, რომ ის კარგი ამხანაგი იყო. ყოველგვარი თამაში იტაცებდა, არცთუ იშვიათად გამოირჩეოდა კიდეც, მიუხედავად ფიზიკური ნაკლისა. ყველაზე მეტად ცურვა და ყვინთვა უყვარდა. წყალში კოჭლობა ხელის შემშლელი არ იყო. ბუნებით გაბედული და ქედუხრელი, ყოველი სახიფათო ცელქობის წამომწყები გახლდათ. ველური კვიცი თავის აბრეშუმის სადავეს ისე ჭიმავდა, ერთ მშვენიერ დღეს, ეტყობოდა, განყვეტიდა. როცა თავისი ესკაპადების შემდეგ დრურის საყვედურიან მზერას აწყდებოდა, გული სტკიოდა — უყვარდა თავისი მას-

26. რობერტ პილი /1788-1850/ — დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი და სახელმწიფო მოღვაწე.

27. უილიამ პიტი /უმცროსი//1759-1806/ — დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწე.

25. ძველ ბერძნულ ლექსწყობაში, ექვსმუხლიანი დაქტილური ტაეპი.

ნავლებელი, მაგრამ სურვილი მასზე ძლიერი იყო. შოტლანდიელი წინაპარივით, მასაც ცუდი ინსტინქტები ჰქონდა. არცთუ იშვიათად, თვითონაც გაცელებული იყო თავისი საქციელით: თავში სისხლი აუვარდებოდა, აღარ ახსოვდა, რას აკეთებდა. რა ელონა, რა მოემოქმედა, რომ გამოსულიყო ამ მდგომარეობიდან? ასეთები არიან ბაირონები.

სკოლაში გატარებული პირველი წელი მისთვის მძიმე გამოდგა: ჯერ უბედურად გრძნობდა თავს, იმიტომ, რომ არ უყვარდათ. მაგრამ ფიზიკურმა ნაკლმა უფრო გამორჩეული და შესამჩნევი გახადა მონაფეთა შორის. ბუნებით მეოცნებე ბრძანდებოდა და განმარტოება უყვარდა. ხშირად უნახავთ ილლიაში ნიგნამორილი როგორ მიდიოდა ეკლესიის სასაფლაოსკენ, გორაკის თავზე რომ მდებარეობდა. იქ, დიდი ხეების ქვეშ, ვილაც ჯონ პიჩის საფლავი იყო. ბაირონი საფლავის ქვაზე ჯდებოდა და თელების ტოტები სხვათა თვალისგან იფარავდა.

რალაც გაუგებარი, რთული გრძნობა იზიდავდა ბაირონს სასაფლაოზე. მას სიკვდილზე ფიქრიც აწუხებდა. ბავშვობაში ჯოჯოხეთზე დაუსრულებელი ლაპარაკით შეშინებული, ახლა იმით იმშვიდებდა თავს, რომ მიცვალებულები, თელების ფერმკრთალ ფოთლებქვეშ, ამ მშვიდ თავშესაფარში, უსიზმრო ძილით განისვენებენო. ის იყო, ბიძაშვილის, მშვენიერი მარგარეტ პარკერის გარდაცვალება გაეგო. თხუთმეტისაც არ იყო, რომ გარდაიცვალა — ოდესღაც ხომ უნოდა კიდევ „უმშვენიერესი არსება, რომელშიც ყველაფერი წუთიერია“. ახსენდებოდა მისი შავი თვალები, გრძელი ნამწამები. ახლა კი, ის ნაზი სხეული, რომლის ცქერაც ასე უყვარდა, კუბოში ჩაანვინეს და მინაში დამარხეს. გაცელებული იყო იმ ნალველის ტკბილი განცდით, ამ სამწუხარო მოგონებებმა რომ გამოიწვია. მისი მანვალელები, მტანჯავი განწყობილება რითმულ ფრაზებში ჰპოვებს გამოსავალს.

„უბადრუკ სენაკში ნეშტი ასვენია. ის ჩვენთან იყო, ვით მშვენება თავისუფა-

*ლი. ახლა საშინელებათა მეუფის მსხვერპლად შექმნილა და არას უშველის გამოსასყიდად მშვენიერება“.*²⁸

იქვე ახლოს ჩავლილი მონაფეები ერთმანეთს უჩვენებდნენ „თავის“ საფლავის ქვაზე ჩამომჯდარ ბაირონს. მან იცოდა, მისი ქცევა გაცეებას იწვევდა, მაგრამ გაცეებიდან აღტაცებამდე განაშორია? ამ ნალველით სავსე ოცნებებში კეკლუცობის რალაც წილი იდო.

VI

ცისკრის ვარსკვლავი

ნიუსტედო, შენ სიბერეს ჩუმი ბრძოლა გაუმართე; მეფეთა მონანიების სავანედ კი იყავ შექმნილი. აკლდამა იყავ რაინდთა, ბერთა, დიაცთა, სხვათა — მათი ლანდები, ახლა, შენს ნანგრევებში რიალებენ.

ბაირონი

1803 წლის აპრილში ნიუსტედი ხუთწლიანი არენდით გრეი რესინს გადასცეს, ახალგაზრდა, ოცდასამი წლის კაცს. ბაირონი მემკვიდრეობის მფლობელი სრულწლოვანების შესრულების შემდეგ გახდებოდა. მისის ბაირონი, შვილის თხოვნით, ნოტინგემში დარჩა საცხოვრებლად; პატარა ბაირონს თავის სააბატოსთან ახლოს ყოფნა უნდოდა. როცა საზაფხულო არდადეგები დაიწყო, ლორდმა გრეიმ ზაფხულის ნიუსტედში გატარება შესთავაზა, ბაირონი სიხარულით დასთანხმდა და დედის აღშფოთებაც გამოიწვია. „კარგი ჯილდოა, მე და ჩემმა ღმერთმა! მე ნოტინგემში დავრჩი, მისთვის რომ მესიამოვნებინა, ამას კი თურმე სძულს ეს ქალაქი“.

მისთვის ისევე საძულველი იყო ნოტინგემი, როგორც დედამისის საზოგადოება; გარდა ამისა, განა შეეძლო უარი ეთქვა ნიუსტედში ცხოვრების ბედნიერებაზე? ო, რა სიხარულს ანიჭებ-

28. ლექსის მხოლოდ შინაარსია გადმოღებული, აქაც და სხვაგანაც, ისიც ფრანგულიდან. სამწუხაროდ ლექსების ქართული თარგმანი ვერ ვნახე (მთარგ.).

და ნაცნობი ადგილები: ტბა, სააბატო, შავი ურთხელის ხეივანი. ლორდმა გრემიმ, რომელიც აქაურობის პატრონი დიდხანს არ უნდა ყოფილიყო, ისევე ხელუხლებლად, გავერანებული დატოვა ყველაფერი; ამ მშვენიერი ნანგრევების უდაბურებაში თავისებური სევდა იგრძნობოდა და სწორედ ეს იზიდავდა ბაირონს. ქარი უსტვენდა დახშული კარების თაღებქვეშ; ბაღში თავისუფლად გაშვებული ნარშავასა და ციკუტის ამონაყარი ვარდებს ახრჩობდა; საღამოობით იმ ეკლესიის ფანჯრებში, სადაც სამასი წლის წინ ბერები ღვთისმშობელს ჰიმნებს უგალობდნენ, ახლა ღამურები დაშლივინობდნენ. პარკში მუხა მოძებნა, ექვსი წლის წინ, ნიუსტედში პირველად ჩამოსვლისას რომ დარგო. გაზრდილიყო. ძალიან გაიხარა. უყვარდა იდუმალებით მოცული ნიშნები და ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად თქვა — ჩემი ბედ-იღბალი ამიერიდან ამ მუხასთან იქნება დაკავშირებულიო: „თუ ეს კარგად იქნება, მეც კარგად ვიქნები“.

ამ ნანგრევებს შორის წინაპრების გახსენება უყვარდა: ჯონ ბაირონის, ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილის; კრესის ხეობაში დაღუპული პოლისა და ჰუბერტის; მარსტონ მურთან მეზობლი რუპერტისა; ყველანი ისეთივე ჭაბუკები იყვნენ, როგორიც თვითონ არის: მეოცნებენი, მგზნებარენი, სათუთნი, ახლა კი — ახლა ჩონჩხებად, მტვრად, თიხად, მოჩვენებათა აჩრდილებად ქცეულნი.

მაგრამ ამ ადგილის ყველაზე დიდი ჯადო და ძალა ენსლის მეზობლობა გახლდათ, დიდი საგვარეულო მამულისა, ნიუსტედის ნათესავთა, მის მერი ჩავორსის თავშესაფარი, იმ ცნობილი დუელის მსხვერპლის, მისტერ ჩავორსის შვილიშვილისა. ბაირონი თავის ენსლელ მეზობელს ლონდონში გაეცნო. ჩავორსები იმ ბოროტ ლორდთან, ცხადია, ნაჩხურები იყვნენ, მაგრამ არანაირი მიზეზი არ არსებობდა მტრულად მოქცეოდნენ თხუთმეტიოდე წლის ბიჭს, რომელსაც ამ ამბავთან არაფერი აკავშირებდა. თანაც

მისტერ ჩავორსი მოკვდა, მისი ცოლი მეორედ გათხოვდა, მისი ქალიშვილი კი, მის მერი ენ ჩავორსი, რალაზე უნდა ყოფილიყო გულმოსული ჭაბუკ ბიძაშვილზე, რომელიც მისი სილამაზით იყო აღტაცებული.

გოგონა ჩვიდმეტი წლისა იყო, მშვიდი სახე ჰქონდა, სწორად მოხაზული ნარბები, შუაზე გაყოფილი თმა. მას, ცხადია, აზრად არ მოსდიოდა, რომ კოჭლი მონაფე, თუმც ნიუსტედელი ლორდი ბაირონი იყო, შეიძლებოდა მის ჩავორს ენსლელის ქმარი გამხდარიყო. მაგრამ ბიჭი ფანტაზიორი ბრძანდებოდა, ბევრს კითხულობდა და მასთან ყოფნა არ ბეზრდებოდა. მერი მხოლოდშობილი ქალიშვილი იყო, ამ უზარმაზარ მამულში მარტო იზრდებოდა და წარმოდგენა არ ჰქონდა ცხოვრებაზე. ცხადია, გულუბრყვილოც გახლდათ. აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ბიჭის ჭაბუკური სიგიჟის ნახალისებით უფრო მეტ ბოროტებას ჩაიდენდა, ვიდრე იმით, რომ თავიდანვე განზრახ ცივად მოპყრობით შეეჩერებინა იგი. და განა იყო კი ეს ბოროტება? იქნებ ძლიერი გატაცებები კეთილადაც მოქმედებს ჭაბუკებზე? მერი ენ ჩავორსი კეთილგანწყობით უყურებდა ამ შეყვარებულ ბავშვს და ესეც ყველაზე უაზრო ოცნებებს ელოლიავებოდა. რომანებისა და ტრაგედიების მოყვარულისთვის ამაზე უფრო მომხიბლავი სხვა რალა შეიძლება იყოს? ბაირონები და ჩავორსები იმ მკვლელობის შემდეგ მოსისხლე მტრები არიან — მონტეგები და კაპულეტები აქაური ადგილებისა. მერი ენსა და მას, თვით ბედმა არგუნათ გამხდარიყვნენ რომეო და ჯულიეტა. მართალია, მერი ცოტა უფროსია მასზე, მაგრამ მერე რა? ორი წელია განსხვავება. განა ცოტაა ცოლქმრული წყვილი, როცა ცოლი ორი წლით უფროსია ქმარზე? და განა მაცდუნებელი არ არის გოგონასთვის, ქორწინების მეშვეობით შეაერთოს საგრაფოს ორი მარგალიტი — ნიუსტედი და ენსელი? ამ გრძელ ხეივანს, ორ საბატონო სახლს რომ აერთებს, ტყუილად ხომ არ ეძახიან საქორწინო ხეივანს. ამ ოცნებებმა ბაირონი ოპტიმიზმით

აავსო.

არდადეგების დანყებისთანავე, ყოველ დილით, ცხენზე ამხედრებული ენსლში მიდიოდა. ნიუსტედიდან ენსლში მიმავალი გზა თვალწარმტაცი იყო — გორაკები, ველზე მობალახე ცხვრის ფარები. აქა-იქ მოჩანდა მშვენიერი, ეულად მდგარი ხეები. ენსლი ისეთი დიდებულიებით არ გამოირჩეოდა, როგორც ნიუსტედი, მაგრამ არანაკლებ მშვენიერი იყო. სახლის უკან მერი ენის ოთახის სიმაღლეზე, გრძელი ტერასა გადიოდა, ორნამენტებით დამშვენებული კედლით შემორტყმული; კედლის ზედა ნაწილი ჩუქურთმებით იყო დაფარული — გეგონებოდა თალებშუა გირლანდებია გაბმულიო; მთელ კედელს მოდებული სურო კი ცოცხალი მცენარეების მოძრავ ფარდას ჩამოჰგავდა. ტერასას, ორივე მხარეს, ჩავორსების ღერბით დამშვენებული დიდებული კიბეები ჩაუდიოდა და პარკში გადიოდა. ქვევით, ორივე კიბის შუა, ჩუქურთმიანი ხის კარი იყო. ბაირონი, ჯიბეებით მუდამ რომ პისტოლეტებს ატარებდა, როცა კარს ჩაუვლიდა, ყოველთვის ესროდა. ჩავორსები სტუმრებს ღიმილით აჩვენებდნენ ხოლმე ტყვიის ნაკვალევს. „ოჰ, ეს ბაირონები, — გულკეთილად ხუმრობდნენ ისინი, — საშიში ხალხია“. მერი ენსა და ბაირონს შორის გვაროვნულ შუღლზე ლაპარაკი, ხუმრობის ამოუწურავი წყარო იყო. როცა ბაირონს შესთავაზეს, ენსლში ოთახს მოგცემთ, ღამლამობით ნიუსტედში დაბრუნების აუცილებლობა რომ აღარ იყოსო, მან მისთვის დამახასიათებელი ნახევრადხუმრობითა და ნახევრადსერიოზულობით უარი თქვა — აქ დარჩენას ვერ გავბედავ, რადგან ძველი ჩავორსები თავიანთი სურათებიდან გადმოვლენ ბაირონის გასაგებბადო. ერთ საღამოს კი მერი ენს გამოუცხადა, სახლში დაბრუნებისას მინდორში აჩრდილს გადაეყვარეო. ჩავორსებმა გაიცინეს და ღამის გასათევად დარჩენა შესთავაზეს. ის დარჩა და ამის შემდეგ ყოველ ღამეს ენსლში ათევდა.

რა ბედნიერი არდადეგები იყო! შლეგურად გიყვარს, თანაც ერთ სახურ-

ავქვემ ცხოვრობ სატრფოსთან! დილაობით ხედავ, როგორ გამოჩნდება ტერასაზე, ჯერ ისევ ძილ-ბურანში გახვეული. მერე ორი ცხენისთვის ლაგამის ამოდება და ველად გაჭრა. საქორწინო ხეივნის ბოლოს, ტოტებგაშლილ ხეებქვემ, ბექობზე ბევრჯერ მსხდარან. ფერდობზე გვიმრა ლივლივებდა, იქით ტბა მოჩანდა, მერე ტყე, იმის იქით კი, თვალუნვდენელ ჰორიზონტზე, აქა-იქ თითო-ოროლა საცხოვრებელი, რომელთა სახურავებიდანაც კვამლის ხვეულები ზევით ადიოდა. მერი ჩავორსი მზეში ჩაძირულ ამ ხეობას გაჰყურებდა. ბაირონი კი მერი ჩავორსს შესცივინებდა. ვერაფერს ამჩნევდა, გარდა მერისა. მის სახეს თვალს არ აშორებდა. მხოლოდ მერისთვის სუნთქავდა და არსებობდა. მის მზერას მისდევდა და მხოლოდ მისი თვალებით იხედებოდა. ბაირონმა „ენსლის ცისკრის ვარსკვლავი“ შეარქვა. როცა მარტო რჩებოდა, უსაზღვრო ოცნებაში იძირებოდა, სადაც მერის სახეობა, როგორც ოდესღაც მერი დაფის, მერე კი საცოდავი პარკერისა, მთლიანად და განუყრელად მეუფებდა.

ისეც მომხდარა, გოგოს ხელი, სეირნობისას, მის ხელს შეჰხებია, შემთხვევით მომხდარა ალბათ, — ბიჭს სისხლი აბობოქრებია, ადულებულა. ერთხელ ნავით მიწისქვეშა გამოქვაბულის სანახავად წასულან: „ნავით შენაკადზე უნდა გაგვეცურა ამას ორივე დანოლილი თუ შევძლებდით, რადგან შენაკადი კლდის ქვეშ გადიოდა; კლდე კი ისე დაბლა ეკიდა, მენავე მოხრილი უნდა მჯდარიყო. თანამგზავრი ჩემი მ.ა.ჩ. გახლდათ, რომელიც დიდი ხანია მიყვარდა. ეს იცოდა, თუმცა არასოდეს მითქვამს. ახლაც მახსოვს, ისეთი სასიამოვნო გრძნობა მქონდა, აღწერა არ შემიძლია“. მგზნებარე ბიჭს ასეთი მოგონებებით მთელი წელი შეეძლო ცხოვრება. მაგრამ იმავ საღამოს, მეტლოკში, ძალიან უბედურად გრძნობდა თავს. ცეკვებზე იყვნენ პატარა კურორტზე. კოჭლი ბაირონი ცეკვას ვერ იტანდა და ეს აუტანლობა სიძულვილს უტოლდებოდა. ვიდრე მერი ცეკვავდა, მას ერთ ადგილზე ჯდომა მოუ-

ნია. როცა მერი ვილაც ახალგაზრდად სკამთან მიაცილა და ის დაჯდა, ბაირონმა მწარედ უთხრა:

„— იმედი მაქვს, კავალერი მოგენონათ“.

მეორე დღეს რევანში აიღო — თავისი მამულის როჩდელის გვერდით ადგილი აჩვენა: ბედნიერი იყო, სატრფოს რომ ანახა თავისი ოცდათორმეტი ათასი აკრი ფართობის სამფლობელო, რომელიც მალე მის საკუთრებაში უნდა გადასულიყო.

განა მის ჩავორსი ვერ ხვდებოდა, ამ გულუბრყვილო სიამაყეში მისი სიყვარული, მისი დაპყრობის სურვილი რომ იმალებოდა? ხვდებოდა, მაგრამ არასერიოზულად მიაჩნდა. თავს ირწმუნებდა, ბაირონს დასავით ვექცევით. მისი გულის რჩეული კოლეუკ-ჰოლეელი ჯექ მასტერსი გახლდათ, სახელგანთქმული მონადირე და საგრაფოს საუკეთესო მხედარი. თერთმეტი წლით უფროსი იყო ბაირონზე. გამოირჩეოდა ათლეტური აგებულებითა და ფხუკიანობით. ნოტინგემშირში თავი იმით გამოუჩენია, რომ ბაზრის მოედანზე კასრებზე ისე გადამხტარა, ერთი კასრიც არ შერხეულა, თვითონ კი მუხლიც არ ჩაუხრია.

როცა მერი ჩავორსი ბაირონის გვერდით ბექობზე იჯდა ხოლმე და დაბნეული, უმანკო გამოხედვით, ვითომ ქარისგან აბიბინებულ გვიმრებს გაჰყურებდა, სინამდვილეში თვალი შორს ეჭირა, მასტერსის ცხენი ხომ არ გამოჩნდაო. მაგრამ რომელი ქალი გაუძღვებდა თავყვანისმცემლის მგზნებარე ცდუნებას? რა ახალგაზრდა და უთვალადოც უნდა იყოს იგი, ქალს ყოველთვის სიამოვნებს იმის შეგრძნება, რომ კაცის წარმოსახვაში დედოფალია. მერი ჩავორსმა ბაირონს თავისი პორტრეტი და ბეჭედი აჩუქა. საცოდავ ბიჭს სულაც არ სჭირდებოდა ეს წყალობა, ისედაც ჭკუიდან იყო შეშლილი. მერის კიდევაც რომ მოენდომებინა მისი თავიდან მოშორება, არ გამოუვიდოდა: ბიჭი განკუთრებისკენ არ ისწრაფოდა. ისიც კი არ გამოაჯანმრთელებდა, რაც მასსოვრობაში შემორჩა — ყველაზე გულის მომკვლეელი დამ-

ცირება, ხეიბრობის გამო რომ რგებია წილად და განცდები. ერთ საღამოს, როცა მერი თავის ოთახში მიდიოდა, ბაირონმა ქვევით, ვესტიბიულიდან, მერისა და მისი მოახლის საუბარს მოჰკრა ყური.

— ნუთუ გგონიათ, რომ ამ კოჭლ ბიჭუნას შემძლია სერიოზულად მოვექცე? — თქვა მერიმ.

ამ წინადადებაზე ბაირონს ხანჯალივით გაუარა გულში. სახლიდან გავარდა, ნიუსტედს მიაშურა თავგზააბნეულმა. მრისხანება, ნაღველი, სიკვდილის სურვილი, მკვლლობის სურვილი, — მთელ ღამეს აწვალებდა ყველაზე მტანჯველი გრძნობები.

მეორე დღეს, ენსლში დაბრუნდა და ერთი სიტყვა არ უთქვამს იმაზე, რაც მოისმინა. თხუთმეტი წლისას უკვე აუტანელი მოთხოვნილება ჰქონდა საყვარელ არსებასთან ახლოს ყოფნისა; ყველაფერს მოითმენდა, ოღონდ საყვარელი სახე ენახა, მისი ხმა გაეგო, საყვარელ ხელს შეხებოდა. ისე იყო გონებადაკარგული, რომ სექტემბერში, არდადეგების დასასრულს გადაჭრით უარი თქვა ჰაროუში დაბრუნებაზე. მისის ბაირონი წასვლას მოითხოვდა; მას არ მოსწონდა ჩავორსებთან შვილის ურთიერთობა. „ვიცი, — სწერდა დედას, — დროა დავბრუნდე ჰაროუში. ძალიან უბედურად ვგრძნობ თავს, მაგრამ გემორჩილები. ოღონდ გევედრებით, უფლება მომცეთ, ერთი დღე მინდა კიდევ დარჩენა; პატიოსნებას გეფიცებით, ხვალ საღამოს ან სადილის შემდეგ გავემგზავრები. ვნუხვარ, რომ არ იწონებთ იმ მეგობრებს, რომლებიც მე ავირჩიე. ისინი საგრაფოს პირველ ადამიანთა შორის არიან და ყოველმხრივ ჩემი თანასწორნი. გთხოვთ, ნება დამართოთ, თვითონ ავირჩიო ისინი. არასოდეს მექნება საქმე იმ ადამიანებთან, რომლებთანაც თქვენ მეგობრობთ, და გთხოვთ, ჩემი ნაცნობებით ნუ ინტერესდებით“.

მისის ბაირონმა კიდევ ერთი დღით დარჩენის ნება მისცა.

მაგრამ ბაირონი არც მეორე დღეს წა-

სულა, არც ერთი და არც კვირის შემდეგ. 4 ოქტომბერს, საგონებელში ჩავარდნილმა დოქტორმა დრურიმ ჰანსონს მოჰკითხა, სად არის ჩემი მონაფეო. ჰანსონმა მისის ბაირონს მისწერა, პასუხად მიიღო: „მესმის, განცვიფრებული უნდა ბრძანდებოდეთ თქვენცა და დოქტორი დრურიც, რომ ბაირონი აქამდე ჰაროუში არ ჩავიდა. მდგომარეობა კი ასეთია, ვერ ვაიძულე სკოლაში დაბრუნება, თუმცა უკვე ორი კვირაა ძალ-ღონეს არ ვიშურებ. ავად არ არის; გარდა უიმედო სიყვარულისა, არაფერი სჭირს. ეს კი, ჩემი აზრით, ყველაზე ცუდი ავადმყოფობაა. ბიჭს სიგიჟემდე უყვარს მერი ჩავორსი. არდადეგების დროს ჩემთან სამი კვირაც არ გაუტარებია, მოუშორებლად ენსლში იყო. ჩემს შვილს შესაფერი ასაკი რომ ჰქონდეს და რჩეული მისი საცოლე იყოს, მსგავს ქორწინებას ძალიან მოვერიდებოდი; ეს ყველაფერი ცოტა სანუხარს როდი მიჩენს“.

ბაირონმა სრული ტრიმესტრი გააცდინა და სკოლას მხოლოდ 1804 წლის იანვარში დაუბრუნდა. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს სამთვიანი გაცდენა მისთვის მაინცადამაინც ბედნიერი იყო. რალაც გამოუცნობი, ოლონდ ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზით, რომლის თქმა არც დედისთვის მოისურვა და არც ჰანსონისთვის, თავის მასპინძელს, ლორდ გრეის წაეჩხუბა. ამ ჩხუბმა ნიუსტედში დაბრუნების შესაძლებლობა მოუსპო. მასთან ერთ ოთახში ყოფნაც აღარ უნდოდა, თუ სადმე სტუმრად გადაეყრებოდა, ბაირონი იმ ოჯახიდან მაშინვე მიდიოდა. მერი ჩავორსთან ურთიერთობაც მეტისმეტად მძიმდებოდა. ესეც შენი სიყვარული, გრძნობა, რომელიც ასე მშვენიერი ეჩვენებოდა! ახლა უკვე შვებით ფიქრობდა ჰაროუში დაბრუნებაზე. ოლონდ ნიუსტედის დატოვება ენანებოდა. გამგზავრების წინ კიდევ ერთხელ წავიდა სააბატოს სანახავად და ელეგია დაწერა:

„მშვიდობით, გმირთა აჩრდილნო; თქვენ შვილთაშვილი განებებთ თავსა. მშობლიურ სავანეს ტოვებს ჩურჩულით: ო, მომიტევეთ...“.

VII მეგობრობის რომანტიკა. ქვრივი-რეგენტი

ენსლიმ მიმზიდველობა დაკარგა; ჰაროუ ახლა ნაკლებ საძულველი ჩანდა. უფროსკლასელების ხელქვეითობა ბაირონს აღარ ემუქრებოდა. დოქტორმა დრურიმ სამთვიანი გაცდენაც აპატია, რამდენიმე ბავშვთან ერთად ბერძნულისა და ლათინური ენების შესასწავლად აიყვანა. ბაირონი და მისი მეგობრები, თავის დროზე უფროსკლასელები-სგან განამებულნი, ახლა თვითონ გახდნენ კანონმდებლები. მან უმცროსთა მხრიდან მომსახურების უფლება მოიპოვა. მაგრამ საკუთარ თავს ნებას არ აძლევდა მასხარად აეგდო ისინი. ლამაზი ბავშვები შემოიკრიბა გარს; სიამოვნებდა, როცა ამ პატარა, სუსტ არსებებს მფარველობდა; ეს აამებდა მის პატივმოყვარეობას და ნაზი სიყვარულის მოთხოვნილებასაც უკმაყოფილებდა. ლორდი კლერი მისი რჩეული იყო, ჰერცოგ დორსეთელთანაც მეგობრობდა, ლორდ დელაუერთანაც და პატარა უინგფილდთანაც. თავისი თანაკლასელებისგან იცავდა მათ. ერთხელ, უილდმენმა ლორდი დელაუერი დამნაშავეთა სიაში შეიყვანა.

— უილდმენ, — უთხრა ბაირონმა, — დელაუერს სიაში ვხედავ. გთხოვთ, ნუ სცემთ.

— რატომ?

— რატომ? სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. იქნებ, იმიტომაც, რომ მასში საკუთარ თავს ვხედავ. ყოველ შემთხვევაში, ამას ნუ იზამთ.

სკოლაში სახელი მოიხვეჭა. ჰაროუს ტრადიციულ ზეიმზე მხატვრული კითხვის კონკურსზე გაიყვანეს. ლორდ ბაირონი: *Latinus eā Virgilio* — ეწერა პროგრამაში. ყველამ იცოდა, ლექსებს წერდა. როცა ვინრო ბილიკით სასაფლაოზე ადიოდა, მასწავლებლები და მონაფეები ალერსიანად და თანაგრძნობით უყურებდნენ, როგორ ბორგავდა თავის ამოჩემებულ საფლაოზე. დოქტორმა დრურიმ მასში გენიოსი ამოიც-

ნო, ამიტომაც იყო, რომ ყველაზე გამქირდავი და დამცინავი მონაფეებიც კი მის ფანტაზიებს თანაგრძნობით ეკიდებოდნენ. ბევრი მის წინაშე აშკარად ქედსაც იხრიდა:

„მხიარული ბრბო ჩემთან იყო, მისმენდა კიდეც. მხიარული ფუსფუსის, ხმაურიანი დროსტარების ვიყავ მრჩეველი, შემწე ერთგული“.

რისთვის უყვარდათ? იქნებ იმიტომ, რომ მეგობრობაში მომთხოვნი იყო. იქნებ, მისი უცვლელი ყოვლისმპყრობელი გულწრფელობა და თავგუნება ხასიათი ისევე აღელვებდათ, როგორც ქალს შეუძლია ააღელვოს? მისი განწყობილების უეცარი ცვლებადობა აოცებდათ. მეგობრობაში მისი დამოკიდებულება ბობოქარი თვისებებით გამოირჩეოდა. სიყვარულში იმედგაცრუებული, სხვა გრძნობებში ეძებდა თავშესაფარს და მასში იგივე ვნებებები შეჰქონდა. „მეგობრობა, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ოდნავ თუ იმსახურებს გრძნობა ვუნდოთ, მონასტერში ვნებად იქცევა“, — აღნიშნავდა მოგვიანებით. ბაირონის მეგობრული გრძნობა თავისი რჩეულის, ლორდ კლერისადმი არათანამიმდევრული და ფიცხი იყო: ეჭვიანი ბრძანებოდა, მომთხოვნი და მგზნებარე. გაკვეთილებზე, დღეში რამდენჯერმე, უფროსი კლასელი ბაირონი და პატარა კლერი ერთმანეთს წერილებს სწერდნენ. ბაირონი საყვედურობდა — საშინლად მოიქეცი, როცა „საყვარელი ბაირონი“ მიწოდებდა, „ძვირფასო, საყვარელო ბაირონოს“ ნაცვლადო. ერთხელ ჩხუბის სცენაც მოუწყო, როცა ბიჭი ჯონ რესელის ესპანეთში გამგზავრებამ დაანაღვლიანა. ზოგჯერ კლერიც ეჭვიანობდა ბაირონზე, როცა ბაირონი სხვა ბიჭებთან აბამდა მეგობრობას. მაშინ კლერი ნაღვლიანობდა. „ისე ცუდად მექცევით, ბაირონი, ისე მლანძღავთ, რომ იძულებული ვარ მიზეზი გკითხოთ, რათა ვიცოდეთ, ჩემთან მეგობრობა გინდათ თუ არა. ამ ბოლო თვეს კი, საერთოდ, მიმატოვეთ; ეტყობა, თქვენი ახალი მეგობრების გამო. ნუ იფიქრებთ, მუდამ ხვეწნას დაგინწყებთ (რადგან დღეს ერთი კაპ-

რიზი გაქვთ, ხვალ — მეორე) ან ისე მოვიქცევი, როგორც სხვა ბიჭები იქცევიან თქვენი მეგობრობის დასაბრუნებლად. ნურც იმას იფიქრებთ, რომ თქვენთან გამორჩენის გამო ვმეგობრობ, რადგან ჩემზე უფროსი ხართ. არა, ასე არ არის და არც იქნება. არაფერი მინდა, გარდა თქვენი მეგობრობისა. მე ახლაც თქვენი მეგობარი ვარ — თუკი ყოველ შეხვედრაზე აღარ წამეჩხუბებით“.

ამ ეჭვმა ბაირონში უფრო ღრმა გრძნობა გამოაღვიძა — „ენსლის ცისკრის ვარსკვლავის“ უწინდელი სიყვარულისა: ქორწინების ხეივანი, დიდი თვალეები, მერი ენის ფიქრიანი სერიოზულობა მის ოცნებებში კვლავ აღდგა. სურვილისა და სინანულის მწარე დანაღვექი! როგორ უნდოდა ჩაეკლა, გულიდან ამოეგლიჯა ეს მტანჯველი გრძნობა. საკითხავად ისეთ ნიგნებს ირჩევდა, რომლებშიც სიყვარულზე გულგრილად, ირონიითა და სარკაზმით იყო ლაპარაკი. გატაცებით უკითხავდა ამხანაგებს ტომას ლიტლის (ტომას მურის²⁹ ფსევდონიმი) თავისუფალ ლექსებს, იმ დროს დიდი მონონებით რომ სარგებლობდა. აი, ზუსტად ასე იყო საჭირო სიყვარული, ვნების ძიება და არა გრძნობისა. მაგრამ მოგონებები, კლდის დაბალ თალქვეშ გავლისას ნავში მწოლიარე სხეულებისა, დიადმის გორაკზე გატარებული აგვისტოს ცხელი დღეებისა, ისევ ტკივილის გაახლების წყარო გახლდათ.

სააღდგომო არდადეგებს უსიხარულოდ შეხვდა. ლორდ გრეისთან ნაჩხუბებულს ნიუსტედში ჩასვლა არ შეეძლო; უნდოდა თუ არა, ქვრივ-რეგენტთან მოუწია გამგზავრება, ასე ეძახდა დედას. მისის ბაირონი კი ნოტინგემშირში აღარ ცხოვრობდა, პატარა ქალაქ საუსუელში დასახლდა, რომელიც ნიუსტედიდან რამდენიმე მილით არის დაშორებული. ძალზე უბრალო, პატარა სახლი იქირავა, ძალზე დიდებული სახელით „ბერგიჯ მენორი“³⁰. ადგილობრივმა არისტოკრატამ არ მიიღო; დაინახეს თუ არა, მაშ-

29. ტომას მური /1779-1852/ — ინგლისელი პოეტი.

ინვე ვულგარულ, უსიამოვნო და მოსაწყენ ქალად მიიჩნიეს. მოქალაქეები უფრო შემწყნარებელნი აღმოჩნდნენ; ქვრივი-რეგენტი პიგოს ოჯახთან მეგობრობდა, მისი სახლის პირდაპირ, დიდ სახლში რომ ცხოვრობდა.

უკიდურესად ნყენია და მგრძნობიარე ბაირონს, მიხვდა თუ არა, რა შთაბეჭდილებაც მოახდინა დედამისმა ამ წვრილ არისტოკრატიზზე, თავმოყვარეობა შეეღალახა და მაშინვე მტრული განწყობილება გაუჩნდა ციხე-დარბაზების ამ დამცინავი მფლობელების მიმართ და იმის მიმართაც, ვინც მათი ზიზლი გამოიწვია. რამდენადაც სკოლაში თავს თავისუფლად გრძნობდა, იმდენად ახალ გარემოში თავგზა ერეოდა. ხეიბრობა, უცნობი ადამიანების დასწრებით მოძრაობა, გადაულახავ შიშს იწვევდა მასში. ეშინოდა, უცბად ვინმეში მისდამი მიმართული გაცემებისა და სიბრალულის უნებლიე გამოხატულება არ შეემჩნია. ბავშვობიდან გამოყოლილ სირცხვილის ამ გრძნობას, დედის გამო გამოწვეული უხერხელობის გრძნობაც დაემატა; მერი ჩავორსის ამბის შემდეგ კი ქალებისადმი შიში გაუჩნდა. როცა ვინმე ქალს აცნობდნენ, იბნეოდა, თავისთვის იწყებდა ბუტბუტს: „ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი... ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი...“. ქალებით იხიბლებოდა, ოღონდ სძულდა ისინი; სძულდა იმიტომ, რომ მოხიბლული იყო. უნდოდა ამ გამოუცნობი არსებების მბრძანებელი ყოფილიყო, დაემცირებინა, დაეტანჯა, როგორც თვითონ იტანჯებოდა, შური ეძია. მაგრამ როგორ? ხეიბარი იყო, ღარიბი და საკუთარი თავი სასაცილო ეგონა.

აი, პატარა ელიზაბეთ პიგოტმა კი მაინც შეიჩვია. „დედამისთან სტუმრობისას გავიცანი, — ჰყვება ელიზაბეთი, — ისეთი მორცხვი იყო, სამჯერ გაუგზავნეს კაცი, ვიდრე სასტუმრო ოთახში გაბედავდა შემოსვლას. მაშინ ის ერთი სქელუა და მოკრძალებული ბიჭი იყო, შუბლზე თმაშეჭრილი. მეორე დღეს

ჩვენთან მოიყვანა მისის ბაირონმა, ისე მორცხვობდა, ოფიციალურად ეჭირა თავი. ჩელტენჰემზე ჩამოვარდა საუბარი, ამას წინათ რომ ვიყავით, ვთქვი, იქაურ თეატრში კარგად თამაშობენ-მეთქი. როცა დედამისი წასასვლელად წამოდგა, ბაირონი ცერემონიულად დაგვემშვიდობა, მე, უცებ, სპექტაკლი გამახსენდა და ვუთხარი: „Good by, gaby“.³¹ სახე გამოუცოცხლდა, ლამაზი ბაგე ღიმილმა გაუხსნა, სიმორცხვე გაუქრა და როცა დედამ უთხრა: „წავიდეთ, ბაირონ, ჩვენ ხომ უკვე დავემშვიდობეთ“. — მან უპასუხა, არა, ცოტას კიდევ დავრჩებიო. ამ დღიდან ჩვენთან უკვე, ხშირად შინაურულად დადიოდა და თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში“.

რალაც დროიდან ბაირონს კიდევ ერთი მეგობარი ქალი გამოუჩნდა — მისი ნახევარდა ოგასტა. თექვსმეტი წლის წინ, როცა მისის ბაირონი შვილის გასაჩენად ემზადებოდა, ოგასტა, ბებიამ დედის მხრიდან, ლედი ჰოლდერნესმა, წაიყვანა აღსაზრდელად. ბებია ლედიმ მოახერხა და სრულიად დააშორა მისის ბაირონი და გოგონა. ოგასტას საერთოდ არ ენახა თავისი ძმა, ბევრი რამ კი სმენოდა. 1801 წელს ლედი ჰოლდერნესი გარდაიცვალა, ოგასტა მის ოჯახში დარჩა და ხან ბიძაშვილ ლიდსებთან ცხოვრობდა და ხანაც ბიძაშვილ კარლაილთან, ბაირონის მეურვესთან.

ლედი ჰოლდერნესის სიკვდილის შემდეგ მისის ბაირონი ოგასტასთან ურთიერთობის აღდგენას ეცადა; მას საზოგადოებაში ოგასტას მდგომარეობა ხიბლავდა, გარდა ამისა, გოგონა უყვარდა კიდევ, რადგან თავის დროზე თვითონ ზრდიდა. 1801 წელს ოგასტას განზრახ თავშეკავებული წერილიც გაუგზავნა, ეშინოდა, იქნებ არაკეთილმოსურნედაც შეხვედროდნენ მის ბარათს: „მსურს წარსული დავივიწყო, ამიტომ თავს შევიკავებ იმ პიროვნებაზე ლაპარაკისგან, რომელიც ამქვეყნად აღარ

30. Burgage Manor /ინგლ./ — სახლი მამულით.

31 /ინგლ./ — ნახვამდის, გაბი.

არის. ვიცდიდი, ვიდრე თქვენზე აზრი შემექმნებოდა. ახლა ის დროა, როცა იგი უკვე შექმნილია და საბოლოოდაც... ბედნიერი ვიქნები, ყოველგვარი დახმარება აღმოგიჩინოთ ახლაც და მომავალშიც. თავდებად ვუდგები ჩემს ვაჟსაც. ის თითქმის არ გიცნობთ, მაგრამ თქვენზე მუდამ სიამოვნებით მელაპარაკება“.

ოგასტამ მისი ბაირონის წინასწარი პესიმისტური განწყობილება არ გაამართლა; ის უმალ დაინტერესდა თავისი ძმით; ეს კი, რომელიც თავისი სახიფათო დედის გვერდით მუდამ მარტო გრძნობდა თავს, დის გამოჩენით აღტაცებული დარჩა, თანაც როგორი დის — ცოტა უფროსი (ოგასტა ოცის იყო, ბაირონი თექვსმეტის), კობტა, ელეგანტური, სალუქი მანერებით, ბოლოს და ბოლოს, იმ ალალი ნათესავის მსგავსი, რომელზეც მუდამ ოცნებობდა და, რომელიც არ ჰყავდა. წერილის მიწერა დიდხანს ვერ გადანყვიტა; სააღდგომო არდადეგების დროს მისწერა, ბოდიშიც მოუხადა წერილის დაგვიანებისთვის და ეს მინანურიც გაუკეთა: „ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია, რომ სიკეთისთვის სამაგიერო გადაგიხადოთ. იმედი მაქვს, დრო მოვა და არა მარტო ძმად მიგულვებთ, არამედ ყველაზე ახლობელ ადამიანადაც, და თუ როდისმე საჭირო გახდება, თქვენს დამცველადაც. დაიმახსოვრეთ, ძვირფასო დაო, ჩემი ყველაზე ახლობელი ადამიანი ხართ ამქვეყანაზე, არა მარტო სისხლისმიერი, არამედ იმ გრძნობებითაც, თქვენდამი რომ მაქვს. თუ ოდესმე დაგჭირდებით, მხოლოდ ერთი სიტყვა მითხარით. გადაეცით ბიძაშვილს და მომავალში ჩემს ძმას, რომ უკვე მეგობრად მიმაჩნია“. ოგასტა თავის ბიძაშვილ ჯორჯ ლიზე იყო დანიშნული, დრაგუნთა მე-10 პოლკის პოლკოვნიკზე, მისი ლის ვაჟზე; ეს არის ის მისი ლი, ველანსიიდან გამოგზავნილი წერილების ადრესატი რომ იყო.

გოგონას ძმის წერილები ძალიან მოსწონდა. ამ წერილების მიხედვით, ის ძალზე მომხიბლავი კორესპონდენტი

იყო. მართლაც, მომაჯადოებელ, ალერსიან წერილებს სწერდა: „ჩემო საყვარელო დაიკო... ჩემო უნაზესო, საყვარელო დაო... იმაზე სასიამოვნო ჩემთვის არაფერია, ვიდრე ჩემი ძვირფასი ოგასტასთვის წერილის მიწერა...“. ან ასეთი გულისშემძვრელი გრძნობებითა და ბავშვური გულახდილობით სავსე: „ჩემი მეგობრული სალამი გადაეცით, საბრალო მოხუც მურეის (ბოროტი ლორდის მოხუცი მსახური დროებით ჰერცოგმა ლიდიელმა წაიყვანა, ვიდრე ბაირონი სრულწლოვანი გახდებოდა და ნიუსტედის სამფლობელოს ჩაიბარებდა), უთხარით, ვიდრე ცოცხალი ვარ, სიბერეში მარტო არ დარჩება...“. „ამბობთ, ჩემს მეგობარ ლორდ დელაუერს არ იცნობთ. ჩემზე უმცროსია, ძალიან საყვარელი, ყველაზე მკვირცხლი ბიჭია ამ ქვეყანაზე. ღირსებებიც აქვს, ქალების თვალში ძალიან დიდია: არაჩვეულებრივად ლამაზია, ალბათ, მეტისმეტად ლამაზიც, ბიჭის კვალობაზე...“. „არ ვიცი, როდის დავტოვებ ჰაროუს... ძალიან მიყვარს სკოლა. ჩვენი აღმზრდელი, დოქტორი დრური, ყველაზე სიმპათიური ღვთისმსახურია მათ შორის, ვისაც შევხვედრივარ; ჯენტლმენი მასში სწავლულს ერწყმის, თანაც ყოველგვარი აფექტაციისა და პედანტიზმის გარეშე; მხოლოდ მას ვუმადლი იმ ცოტაოდენ ცოდნას, მე რომ მივიღე, და მისი დანაშაული არ არის, თუ ჩემი განათლება დიდი არ არის“.

თანდათან გაბედულიც გახდა: სიყვარულზე თავისი შეხედულებებიც მისწერა. ტომას ლიტლმა და მერი ჩავორსმა მისგან სკეპტიკოსი შექმნეს. ოგასტას ისიც მისწერა, საუსუელში მეჯლისზე ვაპირებ ნასვლას და განზრახული მაქვს, ვინმე ქალს საშინლად შევაყვარო თავიო: „დროის გასატარებელი გრძნობა იქნება. ყოველ შემთხვევაში, სიხლის ხიბლი ექნება: რამდენიმე კვირის შემდეგ სასონარკვეთა დამეუფლება, თავს მოვიკლავ. იმქვეყნად კი უცარი აფეთქებით განვიკურნები“.

ოგასტა პასუხად სწერდა, სიყვარული სერიოზული გრძნობაა და თავისი დრა-

გუნ-პოლკოვნიკი ისე ძლიერ უყვარს, რომ ზოგჯერ ეს სიყვარული ტანჯვასაც აყენებს. „თქვენი ტანჯვით, ძვირფასო დაო, მეც ვიტანჯები... მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მომიტევეთ, ჩემო საყვარელო დაიკო, არ შემიძლია თქვენზე არ გავიცინო, რადგან სიყვარული, ჩემი მოკრძალებული აზრით, სრული უაზრობაა, ქათინაურების უბრალო ნაკრები, მონაგონი და თვალთმაქცობა. ორმოცდაათი სატრფო რომ მყავდეს, ორი კვირის შემდეგ ყველას დავივინყებდი, და თუ ერთი მაინც გამახსენდებოდა, დავცინებდი, როგორც ფუჭ სიზმარს და ბედს მაღლობას შევნირაავდი, ცბიერ, პატარა, ბრმა კერპს რომ გადავურჩი. ვერ შეძლებთ, ალბათ, თქვენი მშვენიერი თავიდან მაგ ბიძაშვილის გამოძევებას, რადგან ამაში გული უდავოდ არაფერ შუაშია“. აი, ასე ენაცვლებოდა მასში სატრფიალო იმედგაცრუება ცინიზმს — ავადმყოფობა ნორმალურად ვითარდებოდა.

უპირველესად კი, ოგასტა ძმის ყველაზე დიდი უბედურების მესაიდუმლე იყო. ეს უბედურება კი ქცევა გახლდათ მისი „მშვენიერი დედიკოსი, რომლის სატანური სიანჩხლე, თითქოს წლიდან წლამდე მატულობდა და დროთა განმავლობაში ახალ ძალებს იკრებდა“. დიდი ხანია დედას ზიზლით ექცეოდა; ეს სიძულვილი არდადეგების დროს დაეწყო. ყველა ბაირონივით, ისიც ბუნებით პირდაპირი ბრძანდებოდა, გრძნობის დაფარვა არ შეეძლო, რაც, ცხადია, ცეცხლზე ნავთის დასხმა გახლდათ. თითქმის ყოველდღე ჩხუბობდნენ, ოთახებში მძიმე ნივთები აქეთ-იქით დაფრინავდა, ისმოდა ყვირილი; შვილს ურჩხულს ეძახდა, ჩემს ყველაზე დიდ მტრებთან ლორდ კარლაილთან და ჰანსონთან პირი შეკარო; საყვედურობდა ლორდ გრეისთან ნაჩხუბებას, — საიდანაც ბაირონმა დაასკვნა /ჭაბუკებისთვის დამახასიათებელი ყოველგვარი დრამატულობისადმი სწრაფვა/, რომ ქვრივ-რეგენტს ლორდ გრეი უყვარდა. „თავის მომხიბვლელობაზე დიდი აზრისაა, წლებს იკლებს; ჰყვება,

თითქოს მაშინ დავიბადე, როცა თვრამეტი წლისა იყო. და თქვენ, საყვარელო დაიკო, ჩემზე უკეთ იცით, მამაჩვენს მაშინ გაჰყვა ცოლად, როცა სრულწლოვანებას კარგა ხნის გადაცილებული იყო; მე კი მათი ქორწინებიდან სამი წლის შემდეგ მოვევლინე ამქვეყანას“. ბიჭი მზად იყო, სიბერეშეპარული ქალისთვის ყველაფერი ეპატიებინა, მაგრამ დედა შეურაცხყოფას აყენებდა, მამას ულანძღავდა, ეუბნებოდა, ნამდვილი „ბირონი“ გამოხვალო. „და ამ ქალს „დედა“ უნდა დავუძახო, ნუთუ, მხოლოდ იმიტომ, რომ ბუნების კანონმა ჩემზე რაღაც უფლება მისცა და ასე უნდა დავამცირებინო თავი? რა მაგალითს მაძლევს! იმედი მაქვს, ო, ღმერთო, მის მაგალითს არასოდეს მივბაძავ. ყველაფერი არ მითქვამს თქვენთვის, ოგასტა, არ შემიძლია: დიდ პატივს გცემთ, როგორც ქალს“.

სინამდვილეში კი, მისის ბაირონი უბედური იყო, თანაც ძალიან: ოცდაშვიდი წლისა დაქვრივდა. ცხოვრება აერია, ამ უცხო ინგლისურ საგრაფოში თავს გამოძევებულად გრძნობდა, თანაც რისთვის? შვილის ინტერესებისთვის, რომელიც ასეთი მსხვერპლის გაღებას არ უფასებს. ბიჭს სძულდა საუსუელი, სადაც დედამისი მხოლოდ მისი გულისთვის დასახლდა, ესეც შვილმა პირდაპირ განუცხადა, რადგან უხეში იყო მამასავით, მკვლელი პაპასავით, და ყველა ბაირონივით. მისის ბაირონს თავგანწირული სიყვარული შეეძლო: ოდესღაც ქმარს ყველაფერი მისცა, ახლა, ყველაფერს სიამოვნებით მისცემდა შვილსაც. მაგრამ ის განა მისი შვილია, ეს მომთხოვნი, მედიდური უცხოელი, რომელიც ახლოს არ იკარებს და ჰკიცხავს მას? შეუმჩნევლად ჰკარგავდა შვილს, როგორც ოდესღაც ქმარი დაკარგა. უნდოდა ხელიდან არ გაეშვა, შეეკავებინა, ალერსიანი ყოფილიყო, მაგრამ ეს უღიმღამო ცხოვრება თავს აკარგვინებდა და მრისხანება ეუფლებოდა.

ჩხუბის შემდეგ ორივე სინდისის ქენჯნას გრძნობდა. მაშინ ბაირონი დედის გამართლებას ცდილობდა. „სულითა და გულით ვწუხვარ, რომ პატივცემული

დედაბერი და მე ერთმანეთს მშვიდობიანად ვერ ვეთვისებით, როგორც კრავები ფარას. მაგრამ, ასე მგონია, ეს ჩემი ბრალია... არ მინდა სრულიად ჩამოვშორდე, რადგან ვფიქრობ, რომ ვუყვარვარ; მისი ხასიათი სხვადასხვა წვრილმანში ვლინდება, კერძოდ, ფულში, რაც მე სრულიად არ მჭირდება... მაგრამ ის ისე უცნაურად იქცევა, შეუძლებელია მისი კაპრიზების გამოცნობა; განწყობილება ისე მძაფრად ეცვლება, რომ ცუდ ხასიათს სასიამოვნო თვისებები ვეღარ უწონასწორებს“.

დიდსულოვნებისა და მრისხანების ამ გამუდმებულ ცვლაში ცხოვრება ჭაბუკისთვის უხიფათო როდი იყო. დედას კი ჰკიცხავდა, მაგრამ თვითონ მასაც ნელ-ნელა გადაედო ეს ავადმყოფობა. გაშმაგებულ ჩხუბს, როცა თავს ჰკარგავენ და ერთმანეთს ყველაფერს ეუბნებიან, ჯერ მძიმედ განიცდიან, მერე ჩვევად ექცევათ ხოლმე. მას ეს შეგნებული ჰქონდა და საკუთარ თავს დაუნდობელი სიცხადით ხედავდა. ოცნებობდა, ამ ქალს როგორმე გასცილებოდა: „დიახ, ოგასტა, ასეთია დედაჩემი... დედა! დღეიდან ხელს ვიღებ მასზე“.

ოგასტა ცდილობდა როგორღაც დახმარებოდა. არაერთხელ მისწერა ჰანსონსაც, დამაჯერებლად და ფრთხილად ცდილობდა მიეხვედრებინა, რაც ბაირონების ოჯახში ხდებოდა; შიშს გამოთქვამდა, მისის ბაირონი ხომ არ სვამსო, რომ სასურველი იყო შემდეგი არდადეგები ბაირონს სხვა ადგილას გაეტარებინა, თუნდაც ჰანსონთან, ცხადია, თუ მის მიღებაზე უარს არ იტყოდა. თავის მეგობარსა და ბიძაშვილს, ლორდ კარლაილსაც გააცნო შექმნილი ვითარება, ესეც დაჰპირდა, რასაც საჭიროდ მიიჩნევ, ყველაფერს გააკეთებ, ოღონდ იმ პირობით, თუ მისის ბაირონთან არ მომიწევს ლაპარაკიო. მისის ბაირონი მას ფრიად აძრწუნებდა.

არდადეგები ნაღვლიანად დამთავრდა. მისის ბაირონს შოტლანდიიდან მერი დაფის გათხოვების ამბავი მოუვიდა; იმ პირმშვენიერი ბიძაშვილისა, ცხრა წლის ბაირონს ასე ნაზად რომ უყვარდა.

დედამ საკმაოდ ღვარძლიანად შეატყობინა ეს ამბავი. იდუმალ სიამოვნებას ანიჭებდა მისგან გამდგარი შვილის დაგესლვა, და, ცხადია, ვერც კი წარმოიდგენდა, დღემდე აღმოუფხვრელი ბავშვური სიყვარული რა ძალის გრძნობას იფარავდა. ამ ამბავმა ბაირონზე ისე იმოქმედა, რომ მისის ბაირონს გული გადაუტრიალდა. „არ შემიძლია გადმოგცეთ, რა გრძნობა დამეუფლა, მაგრამ რაღაც შეტევის მსგავსი კი დამემართა. ამან ისე შეაშინა დედაჩემი, რომ, როცა გონს მოვედი, ჩემთან ამ თემაზე საუბარი აღარ უცდია; იმითლა დაკმაყოფილდა, რომ ყველა ნაცნობს მოუყვა ამ ამბავს“.

იმავე წელს დაემშვიდობა მერი ჩავორსსაც. არდადეგების დროს რამდენჯერმე მიიპატიჟეს ენსლში, მაგრამ მომხიბვლელობა გაქრა. მისთვის ნათელი იყო — მათი საუცხოო რომანი ქალისთვის მხოლოდ გართობა გახლდათ. არდადეგები ამ კოჭლი ბიჭისა!.. ყველამ იცოდა, ის ჯეკ მასტერსის საცოლე იყო. კიდევ ერთხელ, უკანასკნელად, წავიდნენ დიადემის გორაზე. ბაირონი სრულიად მშვიდად ელაპარაკა: ზიზლის ნილაბქვეშ გრძნობების დამალვა ისწავლა.

— მერე, ერთმანეთს რომ ვნახავთ, ალბათ, უკვე მისის მასტერსი იქნებით.

— იმედი მაქვს, — უპასუხა ქალმა.

საკმაოდ მკაცრი პასუხია. „მაგრამ ბაირონი რატომ არის ასეთი ირონიული?“ — ფიქრობდა ქალი. მან ხომ შემწყნარებლურად მიიღო მონაფის სიგიჟეები. და აი, ჯილდოც: ბაირონი დასამშვიდობებლად მივიდა და კარის სამლოცველოში ელოდა, გაფითრებული ბაირონი დაჯდა, ქალაღლის ნაგლეჯზე რამდენიმე სიტყვა დაწერა და სასონარკვეთით თავი გააქნია. ქალი სამლოცველოში ღიმილით შევიდა. მან იცოდა, რომ ბაირონს უყვარდა; ისიც იცოდა, ბიჭი იტანჯებოდა. ბაირონი ადგა, ხელი ცივად ჩამოართვა, ღიმილით შეათვალიერა და გარეთ გავარდა, ცხენს მოახტა და უკანასკნელად გავიდა მოჩუქურთმებული მასიური ხის ჭიშკარში. ქალი მომდევნო წლის დასაწყისში გათხ-

ოვდა. ნამდვილი ცინიკოსი, ოჯახის მეგობარი გახდებოდა და რევანშის ალების შესაძლებლობას დაელოდებოდა, მაგრამ ბაირონს მეტიმეტად გულწრფელად უყვარდა მერი ჩავორსი და ასეთი სანტიმენტალური მაკიაველიზმის თავი არ ჰქონდა. ოგასტას გარდა, იქნებ მისის ბაირონისაც /მას უფრო მეტის მიხვედრა შეეძლო, ვიდრე ჩანდა. საცოდავ ქვრივ-რეგენტს ხშირად უნდოდა შვილისთვის ნუგეში ეცა, მაგრამ მხოლოდ შეურაცხყოფა შეეძლო/, არავინ იცოდა, ამ ქორწინებამ ბაირონის ხასიათში რა საშიში ცვლილებები მოახდინა. რამდენიმე თვის განმავლობაში, როცა გულუბრყვილოდ სჯეროდა მერი ჩავორსზე დაქორწინების შესაძლებლობისა, ყველა მისი ოცნება იდეალური სიყვარულისა და მყუდრო განმარტოებისკენ იყო მიმართული. მერის გათხოვება მისთვის მძიმე დარტყმა იყო, რამაც „თვალუნვდენელ ზღვაში მარტოდმარტო“ გადააგდო. 1804 წელს ოგასტა ძმას აღტაცებულ და მგზნებარე ახალგაზრდად მიიჩნევდა; როცა 1805 წელს ისევ შეხვდა, ხასიათი ისე შეცვლოდა, ძლივს იცნო.

VIII

ღმერთები იდას³² მთაზე

ბაირონი ჰაროუს აფორიაქებული, ჭაბუკური სულიერი მღელვარების განცდაგადატანილი დაუბრუნდა. ბედნიერი იყო ამ დაბრუნებით. ყველა მორცხვი ადამიანივით, ამასაც მოსწონდა არსებობის ერთფეროვნება, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს და ცხოვრებაც ერთხელ დადგენილი წესით მიდის. აქ მისი კოჭლი ფეხი აღარავის აოცებდა. მოწაფეებს შორის მისი ავტორიტეტი გაიზარდა. უფროსკლასელთა ოთახი — სამასწლოვანი მუხის შავი პანელით მოპირკეთებული ძველებური დარბაზი, — წმიდათაწმიდა ადგილი იყო ჰაროუსში. მრავალ განთქმულ სახელს შორის

32. იდას /მთაგრეხილი კრეტაზე/ მთაზე, მითის მიხედვით, ზევსი იზრდებოდა.

მისი სახელი „ბაირონი“ სამჯერ იყო გარკვეულად ამოკვეთილი კედელზე. ინგლისურ სკოლებში ყოველთვის გამოირჩევა და მბრძანებლობს რჩეული გმირების პატარა ჯგუფი. ბაირონი ერთი იმათგანი ბრძანდებოდა.

ჰაროუს მაღალი გორა მინდვრებს გადმოჰყურებდა, სადაც მხვენელ-მთესველები მუშაობდნენ; გადმოჰყურებდა მოედნებს, სადაც კრიკეტის მოთამაშეთა გუნდები ერთმანეთს ერკინებოდნენ; ეს გორა მის წარმოსახვაში იდას წმინდა მთის სახებად იხატებოდა, რომლის სიმაღლიდანაც ჰომეროსის ღმერთები ადამიანთა შრომასა და ომებს უჭვრეტდნენ. ოღონდ ვნებები არც ღმერთებისთვისაა უცხო. მგზნებარე, ეჭვიანი მეგობრობა იტაცებს ბაირონს. მისი რჩეული ახლა დელაუერია, ის, რომელიც „მეტისმეტად ლამაზია ბიჭის კვალბაზე“. კლერი ეჭვიანობს, და არა მარტო კლერი. იდას წმინდა მთაზე უკვდავები ჩხუბობენ. მეგობრობაზე ბაირონის წარმოდგენა მისი რჩეული დელაუერისთვისაც მიუწვდომელია. ბაირონი მზად არის მეგობრების გამო თავი გასწიროს, ყველაფერი შეწიროს მათ, მაგრამ ცივი გრძნობებით არ კმაყოფილდება. ყოველდღიური ლექსები — საყვედურებით, ჩივილითა და ზიზლით სავსე — ახალგაზრდა ღმერთის რჩეულთ მწვავე დარტყმებს აყენებს:

„შენი მოხვევის იმედი მქონდა, რადგან ბოლომდე მეგობრობის ანანერა ვარ; მაგრამ ეგ არი, შურმა ურიგომ, ერთმანეთისგან ერთ წამს გაგვყარა“.

ან:

„ისიც იცოდით, ჩემს გულში, სულში, შეგეძლოთ ჩემში გეცოცხლათ დიდხანს, დრო ვერ შემცვლიდა, ვერცა სივრცე მოუზომავი; რომ სიყვარულში, მეგობრობაში ჩემი დავინყება არ შეიძლება. თქვენ ეს იცოდით! მაგრამ ამაოა მოგონებები...“.

უდარდელი ბიჭუნები ამ სტრიქონებს ლებულობდნენ, გაოცებული იყვნენ, იცინოდნენ, მერე ივინყებდნენ. ჰაროუსში ბედნიერ ცხოვრებას, ასევე ბაირონსაც, უფრო სერიოზული საფრთხე დაე-

მუქრა. დრური აღდგომისთვის ჰაროუს დასატოვებლად ემზადებოდა. ბოლო დროს თავისი საყვარელი მონაფით კმაყოფილი არ იყო. ბაირონი უკეთ კი სწავლობდა, მაგრამ მოუსვენრობის რალაც დემონს შეეპყრო. დრური გაოცებული იყო, ბაირონს სალად განსჯის უნარი რომ არ ჰქონდა. ეს განსაკუთრებულად განვითარებული ბიჭი ზოგჯერ შემლილივით იქცევოდა. დრური სკოლის მორალური სინძინდის დაცვის პასუხისმგებლად გრძნობდა თავს და მის აღსაზრდელებზე ბაირონის გავლენისა ეშინოდა. 1804 წლის დეკემბერში, მიუხედავად დიდი სინანულისა, იძულებული გახდა, ბაირონისთვის ჰაროუს დატოვება შეეთავაზებინა, მაგრამ ჰანსონი და ლორდი კარლაილი ჩაერივნენ და დირექტორი დაიყოლიეს. ბაირონს მასწავლებლისადმი წყენა გულში არ ჩარჩენია. მას ის უყვარდა. მიუხედავად შელახული სიამაყისა, დრური მისთვის ურყევი ავტორიტეტი იყო; პირველი ადამიანი, რომელმაც შეძლო და თავისი მაღალი მორალური ძალის წყალობით ბიჭს პატივისცემა ჩაუნერგა. ბოლო გაკვეთილმა ნაღვლიანად ჩაიარა. ახალგაზრდები დირექტორს გარს შემოერტყნენ და გრძნობდნენ, რომ მათი ბედნიერი ცხოვრების დასასრული მოახლოვდა.

დრურის ადგილზე რამდენიმე კანდიდატი იყო, მათ შორის მისი ძმა მარკ დრური. ყველაზე სახიფათო კონკურენტი კი ღირსი მამა ჯორჯ ბუტლერი გახლდათ, ახალგაზრდა კაცი, დიდი მათემატიკოსი. მონაფეებმა, ცხადია, ნამდვილი ფასი არც ერთის იცოდნენ და არც მეორისა, მათთვის სახელი იყო საკმარისი იმისთვის, რათა დრურის კანდიდატურის მომხრეებად ქცეულიყვნენ. შექმნეს დრურის პარტია, რომელსაც ტომ უილდმენი, ბაირონის მეგობარი ედგა სათავეში. ერთმა მონაფემ უილდმენს უთხრა: „დარწმუნებული ვარ, ბაირონი ჩვენთან არ იქნება, რადგან ვინმეს დაქვემდებარებას არ მოისურვებს. შესთავაზე, უფროსი იყოს და ჩვენი გახდება“. უილდმენმა რჩევა მიიღო; ბაირონი ამბოხებულებს ჩაუდგა სათა-

ვეში. ჰაროუს რექტორს კენტერბერის³³ ეპისკოპოსი ამტკიცებდა. ერთ დილას, მონაფეებმა დიდი გულისწყრომით შეიტყვეს, რომ ეპისკოპოსმა ბუტლერი დაამტკიცა რექტორად.

ახალი რექტორისთვის უფლებების გადაცემამ ამბოხს დაუდო სათავე. ბაირონი და უილდმენი აჯანყების ინიციატორები იყვნენ; ჯიბით გატენილ დამბაჩებს ატარებდნენ და იმასაც კი ფიქრობდნენ, დოქტორი ბუტლერი ხომ არ მოვკლათო. უფრო მეტად აღგზნებული ზოგიერთი მეამბოხე იმასაც მოითხოვდა, ჰაროუს უფროსთა განყოფილებისკენ მიმავალ გზაზე საზარბაზნე ფინდიხი მოვფინოთ და დოქტორი ავაფეთქოთო. მაგრამ ერთმა ბიჭმა, ჯეიმს რიჩარდსონმა, ამხანაგები დაითანხმა, ეს არ ჩაედინათ, რათა ის კედლები არ დაენგრიათ, რომლებზეც მათი წინაპრების სახელი იყო ამოჭრილი.

ბაირონმა ენით აუნერელი გორდონული მრისხანების შეტევისას, თავს რომ კარგავდა ისეთის, რექტორის საცხოვრებლის წინ ღობე დაანგრია. ბუტლერი გონიერი კაცი აღმოჩნდა; ლმობიერებითა და სათნოებით ცდილობდა ემოქმედა ჭაბუკ მტრებზე, მაგრამ ამაოდ. ბაირონმა მასზე სატირა დაწერა და ლოზუნგი ისროლა: „თავისუფლება ან აჯანყება“. დოქტორმა დრურიმ განხეთქილების აღსაკვეთად ჰაროუში წასვლა გადაწყვიტა. მონაფეები მთის ძირში დახვდნენ, კარეტიდან ცხენები გამოუხსნეს და ტრიუმფით მიიყვანეს სახლთან; ამის შემდეგ ჰაროუში ფეხი არ ჩაუდგამს.

ბოლო ტრიმესტრი ბაირონმა ამ ბრძოლაში გაატარა. ცოტას მეცადინეობდა. ნიჭიერ, მაგრამ ზარმაც კაცად მიაჩნდათ. მაინც საკმაოდ კარგად შეისწავლა ლათინური და ცოტა ბერძნულიც.

33. კენტერბერი ქალაქია ინგლისში, კენტის საგრაფოში. აქ არის უძველესი საეპისკოპოსო კათედრა და სააბატო /დაარსდა 597/. კენტერბერის არქიეპისკოპოსი ანგლიკანური ეკლესიის მეთაურია. კენტერბერის ტაძარი /1070-1503/ მთავარი ანგლიკანური ეკლესიაა.

1805 წელს ორჯერ გამოვიდა ინგლისურ დეკლამაციაში, განსაკუთრებით „მეფე ლირში“ გამოიჩინა თავი. მან ოგასტას ჩასვლა და მოსმენა სთხოვა: „გთხოვ, ქალბატონო, მისი ბრწყინვალეების ყველაზე ელეგანტური კარეჯით ჩამობრძანდეთ, რადგან ჰაროუს ეტიკეტით, დიდზეიმების დღეებში, ჩვენთან შემოსვლის უფლება მხოლოდ დიდებულ ეკიპაჟებს აქვთ“. სინამდვილეში კი, ამ იუმორისტული ტონის იქით იფარებოდა სურვილი, ამხანაგების წინაშე თავისი დის სინატიფით გაებრწყინა. მას ნამდვილად შეეძლო ეამაყა იმ დილითაც, დითაც და საკუთარი თავითაც: დიდი წარმატება ხვდა; იფიქრა, მეორე გარიკი³⁴ ვარო. თავისი აქტიორული და ორატორული ნიჭით უფრო ამაცობდა, ვიდრე ურიცხვი ლექსებით, ამ სამი წლის განმავლობაში რომ დაწერა. „უფრო მეტად ორატორულ და სამხედრო ნიჭს ვიჩენდი, ვიდრე პოეტურს. დოქტორი დრური, ჩემი დიდი მფარველი, ფიქრობდა, რომ ჩემგან ორატორი დადგებოდა“. დეკლამაციაში განსაკუთრებით მონოლოგი გამოსდიოდა, რომელშიც ბობოქარი განცდები და ვნებები იყო გადმოცემული. გარდა ამისა, სკოლაში ერთ-ერთი საუკეთესო მოცურავე იყო. და, რაც ფრიად მნიშვნელოვანია ხეივანი ბიჭისთვის, იმდენად კარგად თამაშობდა კრიკეტს, რომ 1805 წელს ჰაროუ-იტონის შეჯიბრებაშიც კი მიიღო მონაწილეობა. ეს გახლდათ ბოლო მოვლენა მის სასკოლო ცხოვრებაში.

რა შეიძინა ჰაროუში? ამხანაგობის გრძნობა და ავტორებზე ცოტაოდენი ცოდნა? ცხოვრების რთულ გამოცანაში ჩანვდომა თუ დაინყო? არა. თავისდა საუბედუროდ, მხოლოდ იმაში დარწმუნდა, რომ სხვა ადამიანებს აბსოლუტური გრძნობებისადმი ისეთივე მოთხოვნილებები არ აქვთ, როგორც თვითონ ჰქონდა. ყველა, ვისაც შეხვედრია, მამაკაცები, ქალები, ჭაბუკები თუ ქალიშვილები — ყველა სიფრთხილით ეთა-

34. დევიდ გარიკი (1717 — 1779) — ინგლისელი მსახიობი და თეატრალური მოღვაწე.

მაშებოდა სიყვარულს, ჭეშმარიტებას, ღმერთს. ხომ შეიძლება, თვითონაც ისეთივე გახდეს, როგორებიც ისინი არიან? არა, მას ეს არ სურდა. მისთვის, ჯორჯ გორდონ ლორდ ბაირონისთვის, ამ სამყაროში რა ადგილი მზადდებოდა? ჰაროუში ყოფნის ერთ ბოლო დღეს, თავისი *Scriptores graeci*-ის პირველ გვერდზე წააწერა: „ჯორჯ გორდონ ბაირონი. ოთხშაბათი, 26 ივნისი, anno domini 1805. ნაშუადღევს სამი საათი და ორმოცდახუთი წუთი. კალვერტი მორიგეა, ჩემგან მარცხნივ ტომ უილდმენია, მარჯვნივ ლონგი. ჰაროუ“.

იმ ღირსსახსოვარ დღეს, 1805 წლის 26 ივნისს, თავისი მუხის მერხზე მჯდარ ბაირონს რაზე უნდა ეფიქრა? სკოლაზე, რომელსაც სადაცაა დაშორდებოდა? კემბრიჯზე, სადაც მის გაგზავნას აპირებდა ლორდი კარლაილი? ნაღვლობდა, რომ მალე ყველაფერი შეიცვლებოდა. მიუხედავად რამდენიმე ბავშვური კინკლაობისა, აქ მაინც ბედნიერად გრძნობდა თავს, ვიდრე სხვაგან. ამ პატარა, ჩაკეტილ ნრეში ჭაბუკი პრინცივით მბრძანებლობდა. ეს უილდმენი მარცხნივ და ლონგი მარჯვნივ — მეგობრები იყვნენ მისი, ერთგული მეგობრები. ეზოში ახალგაზრდების ჟრიაშული ისმის; ჩავლისას მეგობრული ღიმილი ხვდება; ყოველ წუთს შეეძლო მოწაფეთა ამ ახმაურებულ ჯგუფებს შეერთებოდა. როგორ არ ჰგავს ეს წმინდა მთა იმ მშფოთვარე და მტრულ სამყაროს! რა ელის იქ? მერი ჩავორსი? ის ჯერ კიდევ არ დადგების დროს უნდა დაქორწინებულიყო. ქალები? ნეტავ ყველა მერის ხომ არ ჰგავს? დედა? ფურიაა.³⁵ მშობლიური სახლი? ნამდვილი ჯოჯოხეთია. კარლაილი? ამ ელეგანტურ მეურვეს უნდა კი ბაირონის ნახვა?

ეს თავანყვეტილი ნატურა განაფულ დამრიგებელს საჭიროებდა. ბავშვური მხიარულების ნილაბქვემ მძლავრ ტალღად იზრდებოდა ღრმა მელანქოლია. ის

35. (გადატანითი მნიშვნ.) ავი, კაპასი დედაკაცი.

ხშირად ფიქრობდა სიკვდილზე. სიკვდილმა ბევრი წაიყვანა, ვისაც იცნობდა: მისი მშვენიერი ბიძაშვილი, რამდენიმე ამხანაგი — ყველას უძღვნა ეპიტაფია.

უკანასკნელად წავიდა სასაფლაოზე, რომ იქ, თელებქვეშ ეოცნება. „ჯონ პირი...“. ვინ იყო ეს ჯონ პირი; ვისი ძვლები განისვენებს ამ ქვის ქვეშ? ნაღველითა და სიამით სავსე ოცნებების დასასრული იმ ხეობის თავზე, რომლის იქითაც უხილავ ლონდონს სძინავს. იდას წმიდა მთის ჭაბუკმა გმირმა, ღმერთთა სავანე უნდა დატოვოს, რათა მოკვდავთა ბედი შეიცნოს. დაბრუნდება კი ოდესმე აქ, რათა იმ ბალახქვეშ განისვენოს, უზრუნველი თამაშით ოდესღაც ფეხით რომ თელავდა? მისი საფლავი... დაე, მის საფლავზე, როგორც ამ პირის საფლავზე, მხოლოდ სახელი ეწეროს მისი, ოღონდ სახელგანთქმული.

ის იყო, ფეხი შედგა ცხოვრებაში და უკვე განსასვენებელზე ოცნებობდა.

IX

ტრინიტი კოლეჯი, კემბრიჯი

სიჭაბუკე ის დროა, როცა პირობითობა ნაკლებად გასაგებია, ასეც უნდა იყოს. მას ან ბრმად ეწინააღმდეგებიან ან ბრმად ემორჩილებიან.

პოლ ვალერი

1805 წლის ოქტომბერში კემბრიჯში შევიდა, ტრინიტი კოლეჯში.³⁶ პირველად იგრძნო თავი მდიდარ კაცად: კანცლერმა ნება დართო, შემოსავლებიდან ყოველწლიურად ხუთასი ფუნტის ოდენობით ესარგებლა. ახლა მსახური ეყოლება, ცხენიც, და ისევე დამოუკიდებლად იგრძნობს თავს, „როგორც გერმანელი პრინცი, რომელიც საკუთარ ფულს ჭრის; ან როგორც ინდიელთა ბელადი, რომელიც არანაირ ფულს არ ჭრის, მაგრამ ყველაზე ძვირფასი სიკეთით — თავისუფლებით — სარგებლობს. აღტაცებული ვიხსენებ იმ ღმერთქალსაც, ჩემს სიმპათიურ დედი-

კოს, რომ ასეთი დესპოტია... ახლა სრულიად ვთავისუფლდები მისგან, რადგან დიდი ხანია უკვე, ფეხით გათელა და დაამსხვრია ბოლო გრძნობაც, რაც მასთან მახლოვდა, ამიტომ სერიოზულად გადავწყვიტე, მას არასოდეს დავუბრუნდე და აღარც მეგობრული ურთიერთობა გავაგრძელო. საკუთარი ბედნიერების გამო ასე უნდა მოვიქცე, საკუთარი თავის, ჩემი ყველაზე ახლობელი ადამიანების ხსოვნის გულისთვის, რომლებიც ასე საძაგლად შეარცხვინა ამ ტისიფონემ“.³⁷ მკაცრი წერილია, მაგრამ ბაირონის ბავშვობა უწყვეტი ტრაგედია იყო, რომელშიც გაშმაგებული დედა მძვინვარედ აჩენდა თავის ყველაზე მძაფრ გრძნობებს. არავინ ჰყავდა, ვისგანაც ბიჭი მოკრძალებასა და ღმობიერებას ისწავლიდა.

ტრინიტი კოლეჯი. კომპეტით გამაგრებული კარიბჭიდან იშლება უზარმაზარი მართკუთხედი, გოთური შენობებით გარშემორტყმული. შუაში შადრევანია — შეუჩერებლად მჩქეფარე წყლის ნაკადი ხაზგასმულად კვეთს ირგვლივ ჩამომდგარ სირჩუმეს. გადახურულ თაღს მიღმა კიდევ ერთი ეზოა, ნევილს კორტი, უფრო განმარტოებული, უფრო პირქუში, ყოველი მხრიდან ყრუ სამონასტრო კედლებით მკაცრად შემოფარგლული და ჩაკეტილი. აქ, პატარა სახლში, რომელიც, როგორც კი დაინახა, მამ-

36. ტრინიტი კოლეჯი /Trinity College/ — სამების კოლეჯი ყველაზე დიდი და ვრცელია თავისი მასშტაბებით, აღემატება კემბრიჯის სხვა კოლეჯებს. იგი ინგლისის მეფეს ჰენრი VIII-ს დაუარსებია 1564 წელს. ეს ის მეფეა, რომელმაც კვალი დაამჩნია ბაირონების ოჯახსაც, როცა ნიუსტედის სამონასტრო კომპლექსი მათ სამოსახლოდ გადასცა. საბუთი ნასყიდობისა, სასახლის გეგმით, დღეს ნიუსტედში, ბაირონის მუზეუმში ინახება.

37. ერთ-ერთი ერინია. ერინიები — ქვესკნელის, ცოფისა და სიკვდილის ქალღმერთები, ფუნქციით განხეთქილების ქალღმერთსაც უახლოვდებიან. ზოგან შურისძიების ქალღმერთებიც არიან. გამოსახავდნენ საშინელ, მახინჯ, მოხუც ქალებად, რომლებსაც თავზე თმის მაგივრად გველები ეხვევიან, ხელში ჩირაღდანი უჭირავთ და მსხვერპლს მისდევენ.

ინვე მოენონა, ბაირონის ოთახები იყო, თავისი გემოვნებით რომ მოაწყო.

უნივერსიტეტში, როგორც სკოლაში, ოცნებობდა მეთაურად, მთავარ ფიგურად ქცეულიყო. სუსტი ადამიანების მშფოთვარე პატივმოყვარეობით იტანჯებოდა, თუმცა მეოცნების სიზანტის გავლენით, ეს პატივმოყვარეობა მასზე ძლიერ გავლენას აღარ ახდენდა. ტრინიტიში ყველა სტუდენტი დაახლოებით მისი ასაკისა იყო და ისეთი, ვისაც მფარველობის ნაზ გრძნობას გაუმყლავნებდა, აღარავინ იყო. პირველივე დღეებში მიხვდა, საძულველი მეცნიერებების რამდენიმე მიმდევარის გარდა, სანთლის შუქზე ბერძნულ ლექსებს დამარცვლით რომ კითხულობდნენ და თვალებს იფუჭებდნენ, ყველა დანარჩენი კარგ ტონად მიიჩნევდა, არაფერი ეკეთებინათ. ეს ის დრო იყო, როცა ინგლისში სმისა და აზარტული თამაშების მოდა ბატონობდა. „XVIII საუკუნის ინგლისის ისტორიის შესწავლისას არ შეიძლება არ გაოცდეთ — რა დიდ როლს თამაშობდა ახალგაზრდების ცხოვრებაში ალკოჰოლი, და ის სამნუხარო შედეგი, რაც ამ მიდრეკილებას მოჰქონდა სიმნიფის ასაკში“. სტუმარი, რომელიც სადილზე მხოლოდ ორ ბოთლს დალევდა, ცუდ თანამესუფრედ ითვლებოდა, კარგი კი ის იყო, ვისაც ოთხი-ხუთი ბოთლის დალევა შეეძლო... ლორდი პენმური და ლორდი დუფერინი იმით იყვნენ სახელგანთქმულნი, რომ ექვს-ექვს ბოთლს სვამდნენ. არანაკლები ღირსება იყო თამაშიც. ლორდი ჰოლენდი თავის თექვსმეტი წლის ვაჟს, ჩარლზ ჯონ ფოქსს დიდ ფულს აძლევდა, შესაძლებლობა რომ მიეცა „მოთამაშის ნოდება ღირსეულად მოეპოვებინა“. რომელიღაც ახალგაზრდა აზნაურმა სათამაშო სახლში, ერთ დილას, შვიდი ათასი ფუნტი წააგო.

კემბრიჯი ლონდონის მაგალითს მიჰყვებოდა. კითხვა, მეცნიერება, საითაც ბაირონს ჭეშმარიტი მისწრაფება ჰქონდა, სტუდენტებს არ აინტერესებდათ. ბაირონი ჰოლში³⁸ სადილობდა, მეფე ჰე-

ნრი VIII-ს პორტრეტის ქვეშ, მაღალ მაგიდაზე, უნივერსიტეტში დატოვებული სტიპენდიანტები რომ სადილობდნენ, ზოგჯერ რექტორიც. ბაირონმა ისინი მალე შეიძულა — უნიჭო ერუდიტები, სულიერ კეთილშობილებას მოკლებულნი, — მაინც რა სიამოვნებთ ცხოვრებაში? ბანალური სიტყვამახვილობა, მსუბუქი ხუმრობები, ჭორები, საეკლესიო შემოსავლები. სადილის შემდეგ სტუდენტები ოთახებში ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ, სვამდნენ და გვიან ღამემდე ბანქოს თამაშობდნენ. ბაირონი ღვინოს ვერ იტანდა, მაგრამ ძალიან უნდოდა ისიც მოსწონებოდათ და ჰანსონს ოთხი დუჟინი პორტოს, შერის, ბურგუნდიულისა და მადერას გამოგზავნა სთხოვა. არანაკლებ ეზიზღებოდა ბანქოც: „არც გულგრილობა შემეძლო, არც სვლების გათვლისა და გარჩევის უნარი მქონდა“. მიუხედავად ამისა, ამხანაგებს მაინც ბაძავდა; პირობითობის მონა ბრძანდებოდა, როგორც ყველა ის, ვინც ჩაკეტილ საზოგადოებაში შესვლის უფლება გვიან მიიღო, და ამ საზოგადოების კანონებს შფოთიანი ერთგულებით მიჰყვებოდა. ყველა პირობითობიდან ჭაბუკებისთვის ყველაზე დესპოტურია პირობითობის არად ჩაგდების პოზა: „ჩვენი კანონია — გძულდეს კანონები“. დაკანონებული თავაშვებულობა ლორდ ბაირონის შეგნებაში ანგლიკანური წყობის არსი ხდება.

დილით თავდამძიმებული იღვიძებდა. ზარების რეკვა დილის ჰაერში იფანტებოდა. თუ ეს ზარები რომელიმე წმინდანის დღეობაზე უხმობდა, მაშინ თეთრი სტიქარის ჩაცმა და კოლეჯის სამლოცველოში წასვლა უწევდა. ძილგამოყოლილ სტუდენტებს ორღანის რბილი და დიდებული ხმა გარს ერტყმოდა. დღე იწყებოდა. ბაირონის დამრიგებელი მალე მიხვდა, რომ ამ სტუდენტთან ცოტა საქმე ექნებოდა. ჯორჯმა მშვე-

38. ინგლისური სახლის ტრადიციული დაგეგმარებით ყველაზე დიდი ოთახი სტუმართა მისაღები.

ნიერი ნაცრისფერი ცხენი იყიდა, Oat Eater — შეარქვა. ყოველ დღით ცხენზე ამხედრებული მიდიოდა სასეირნოდ, თეთრ შლაპასა და ლეგა ლაბადაში გამონყობილი. ცოტა ექსტრავაგანტური კოსტიუმი ეცვა — იმ დროში ხომ დენდები მბრძანებლობდნენ. სეირნობიდან დაბრუნებული საცურაოდ მიდიოდა.

კემბრიჯიდან არცთუ შორს, ტოტეგაშლილი ხით მიმალული ერთი ადგილი ამოირჩია; აქ მდინარე უხვევდა. სპორტში მისი ამხანაგი, და საერთოდაც, ერთადერთი მეგობარი, ჰაროუელი თანაკლასელი ედუარდ ნოელ ლონგი იყო — „ჩემს მარცხნივ ტომ უილდმენია, მარჯვნივ ლონგი“ — პატიოსანი, უბრალო და დიდსულოვანი ჭაბუკი; ბაირონივით, ესეც დიდი მოყვარული გახლდათ კითხვისა და ცურვის. ბაირონს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ლონგთან ერთად თოთხმეტ ფუტ სიღრმეში ყვინთვა და ფსკერიდან თეფშის, კვერცხის ან შილინგის ამოღება. მდინარიდან ძველი ხის ბოძი იყო ამოშვერილი, მასზე უყვარდა ბაირონს ჩამოკიდება, თან გაცეცხლებული ფიქრობდა — რა ეშმაკმა შემოაგდო ამ წყალქვეშა სამყაროში ეს ხეო. საღამოობით ლონგი მის ოთახში შედიოდა და ბაირონისთვის ფლეიტაზე ან ვიოლონჩელოზე უკრავდა. ბაირონი უსმენდა, თან თავის საყვარელ სოდიან წყალს მიირთმევდა. მუსიკის მელოდიები, ლექსის მელოდიებს ჰგვრიდა, ნაღველსა და ნეტარყურ ოცნებებში ძირავდა, თვალწინ ნიუსტედის სააბატო უდგებოდა, ლამურები, სამლოცველოში რომ დაფარფლებდნენ, ენსლური კარ-მიდამოს ტერასა, მერი ენის სიმღერები, პიჩის საფლავზე აღმართული თელის ფოთლებში ქარის ჩურჩული და მარგარეტის სამუდამოდ დახუჭული თვალები. ზოგჯერ ერთმანეთს ხმამაღლა უკითხავდნენ. „ლონგთან მეგობრობა და მისით მგზნებარე გატაცება, იმ დროს რომ შემიპყრო, სრულიად უმანკო გრძნობა გახლდათ და ჩემი ცხოვრების ყველაზე რომანტიკული ეპიზოდია“.

ვისდამი ჰქონდა კიდეც ეს უმანკო, მგზნებარე გატაცების გრძნობა? კემბრიჯის ეკლესიას მომღერალთა გუნდი ჰყავდა. ბაირონმა ამ გუნდიდან ერთი ბიჭი გაიცნო, თხუთმეტიოდე წლისა, სახელად ედელსტონი, რომელიც ერთხელ დახრჩობას გადაარჩინა. ეკლესიაში მის მშვენიერ ხმას მიაქცია ყურადღება და ბიჭით დაინტერესდა. თანაც მეგობრობა ამ ბიჭთან, რომელიც მასზე უმცროსი იყო და არა მარტო უმცროსი, არამედ სოციალურად და ქონებრივადაც მასზე დაბლა იდგა, ძალიან მოეწონა. თავის გავლენას ედელსტონზე უფრო გრძნობდა, ვიდრე კლერზე ან დელაუერზე, ამიტომ ყოველმხრივ მფარველობდა. ჭაბუკი მომღერალი ჯერ მორცხვობდა, მერე სანტიმენტალურ მდგომარეობაში ჩავარდა. მან ბაირონს სერდოლიკის პატარა გული აჩუქა; ბაირონმა ლექსი დაუნერა, არც ისე ბრწყინვალე, მაგრამ სულის შემძვრელი და უნაზესი.

„ო, რა ძვირფასია ესე ქვა ჩემთვის. თუმცა სილამაზით მარტო როდი მიმიზიდა მან. არა, ის ერთ დღეს ანთო და აბრიალდა, ვით საჩუქარი. მეგობრობაზე უხუმრიათ, ვილას რა უთქვამს; მეც არაერთხელ მიმიღია საყვედური ამ სისუსტისთვის; მაგრამ ეს ძღვენი ჩემთვის ისეთი მათრობელია, თვით სიხარულის, საამურის მომნიჭებელი. თვალდახრილმა მომიძღვნა ეს ქვა, აგდებულ მზერას რომ არ შეხვედროდა. მე კი ვუთხარი, ამ საჩუქარს შევინახავდი უნაზეს გრძნობად“.

ლექსის წერა ნამდვილ სიამოვნებას ანიჭებდა. ახლა ისეთი გატაცებით აღარ კითხულობდა, როგორც ბავშვობაში, უფრო მეტად ოცნებობდა, ცურავდა, განსაკუთრებით ის წუთები უყვარდა, როცა ზანტი გარინდება ეუფლებოდა, რომლის დროსაც იზადებოდა რითმები, რიტმები, სტროფები.

ასეთი ცხოვრება სიამოვნებას როდი იყო მოკლებული; ჩვევების მონა ბაირონი ამასაც შეეგუებოდა, როგორც სხვა

დანარჩენს, რომ არა ფული — ასეთი ცხოვრება დიდ ფულს მოითხოვდა. ნოემბერში ნათელი გახდა, რომ ხუთასი ფუნტი, რაც დამოუკიდებელი ცხოვრების პირველ დღეებში მეფურ სიმდიდრედ ეჩვენა, ცოტა იყო იმ სტუდენტისთვის, რომელიც ასე ხელგამლილად ცხოვრობდა. ყოველი თვის ბოლოს, კოლეჯის სამზარეულოდან საკმაოდ დიდი თანხის ანგარიშს უგზავნიდნენ, ასე რომ, ჰოლში სადილობის ნაცვლად, თავის ოთახში სადილობდა მეგობრებთან ერთად. ჰაროუშიც ჰქონდა დარჩენილი ვალები, რომელთა გადახდაც საჭირო იყო. კემბრიჯში საცხოვრებლის მონყობაც უნდოდა. ჰანსონს მისწერა, კანცლერს სთხოვე, სარჩო გამიზარდოსო.

რწმუნებულმა უპასუხა, უბრალო ცხოვრებით იცხოვრე და დანიშნული თანხა გეყოფაო. ბაირონი აღშფოთდა: თუ ვალების გასტუმრების შესაძლებლობას არ მომცემთ, მაშინ მევახშებთან ვიშოვი ფულსო. ახალგაზრდა კაცისთვის, რომელიც სულ მალე სრულწლოვანი გახდებოდა, თანაც ნიუსტედსა და როჩდელს ფლობდა, ძნელი როდი იყო ფულის შოვნა.

მევახშისთვის ერთადერთი წინააღმდეგობა ის იყო მხოლოდ, რომ ბაირონი შეიძლებოდა ისე მომკვდარიყო, სრულწლოვანებამდე ვერ მიეღწია; ასეთ შემთხვევაში, რომელიმე სრულწლოვანი ნათესავის საგარანტიო ხელწერილს ითხოვდნენ. ბაირონმა არჩევანი ოგასტაზე შეაჩერა. არწმუნებდა, ხიფათში როდი იგდებ თავს, თუკი მოვკვდები, მემკვიდრე ხომ შენ გახდები, თუ გადავრჩები, თვითონ გადავიხდით. „თუ ოდნავ ეჭვი გეპარებათ ჩემს პატიოსნებაში, არ გააკეთოთ“. ოგასტამ ხელწერილი მისცა და ამანაც რამდენიმე ასეული ფუნტი ისესხა.

მისის ბაირონმა გაიგო თუ არა, რომ მის შვილს ფული გაუჩნდა, შეძრწუნდა: „ეს ბიჭი მომკლავს. შემშლის! სად იშოვა ასეულობით ფუნტი? მევახშეებს ხომ

არ დაუკავშირდა?“ რამდენიმე დღის შემდეგ დაწერს: „ლორდმა ბაირონმა ოცდათერთმეტი ფუნტი სტერლინგი და ათი შილინგი მისცა პიტის ბიუსტში. ეტლიც იყიდა და მითხრა, შენთვის შევიძინეო. საჩუქარზე უარი ვუთხარი... მეშინია, რომ ცუდ ხელში ჩავარდა. მხოლოდ ფულში არ არის საქმე. ასე მგონია, ქალი გაიჩინა“.

სინამდვილეში კი ასე მოხდა: ფული გაუჩნდა თუ არა, სწავლაც მიატოვა და უნივერსიტეტიც, პიკადილიზე დასახლდა, ნომერ 16-ში, იმ ბინაში, რომელსაც მისის ბაირონი ქირაობდა, როცა ლონდონში გზად გავლით ჩერდებოდა. საყვარელიც გაიჩინა, დაბალი წარმოშობის ქალი, ვაჟურად აცმევდა, ძმად ასალებდა, კვირაობით ბრაიტონში დაჰყავდა, იქ, პავილიონის პირდაპირ, პატარა სახლიც იქირავა, პლაჟზე გამვლელები მზერით ტკბებოდნენ, თუ რა სიმსუბუქით ხტებოდა ეს ხეიბარი ბიჭი ნავში. ლონდონში დიდ დროს ჯექსონთან ატარებდა ან ანჟელოსთან, ბონდ-სტრიტზე. ანჟელო ფარიკაობას ასწავლიდა. ჯექსონი ჯენტლმენი იყო, დიდებული ადამიანი, ინგლისის ჩემპიონი, თუმცა მხოლოდ სამჯერ გამოჩენილა რინგზე; თავის სახელის დაწერა ისეც შეეძლო, ხელზე ოთხმოცფუტიანი გირიც რომ სდებოდა; ის ბაირონს კრივის ხელოვნებას ასწავლიდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო ამ კოჭლი ბიჭისთვის. ბაირონი მას „ჩემს მეგობარსა და სხეულის მოძღვარს“ უწოდებდა, პატივისცემით ექცეოდა, აღფრთოვანებული იყო მისი მაქმანებით განყოფილი მანჟეტებიანი ნითელი ქურთუკითა და აბრეშუმის წინდებით. ჯექსონი და ანჟელო დიდხანს და მკაცრად ავარჯიშებდნენ, ეს ახდუნებდა, გახდომა კი მისი სანუკვარი ოცნება იყო. ეს თავშესაფარი რომ არ ჰქონოდა, აბა, სად გაატარებდა დროს? სულიერს არ იცნობდა. გულისტკივილის გარეშე როდი ისმენდა იმ ადამიანებზე საუბარს, რომელთა გაცნობაც ძალიან უნდოდა — უელსის პრინცი, ჩარლზ ჯონ ფოქსი;

ერთხელ, სენ-ჯეიმსზე გავლისას შეამჩნია, ქალები როგორ უღიმოდნენ ბრიუმელს,³⁹ რომელიც გამუდმებით თავის სახელგანთქმულ ფანჯარასთან იჯდა. მაგრამ ლორდი ბაირონი პროვინციელი აზნაური იყო მხოლოდ, მარტოხელა, უოჯახო და უმეგობრო. ასე იცხოვრა ლონდონში მთელი ტრიმესტრი.

გაზაფხულზე კემბრიჯს დაუბრუნდა, თან ამაღა იახლა: ბრომპტონ როუელი, სატრფო და მოკრივე ჯეკსონი. როცა ანჯელო ჩამოუვიდა, დიდი პატივისცემით შეხვდა, სადილიც გაუმართა, მსახურს სენ-ჯონს კოლეჯიდან ლუდიც მოატანინა. ეს კოლეჯი ლუდით იყო სახელგანთქმული. თავისი გულმოდგინებით იქამდე მივიდა, სტუმარს ბოლო კათხა ლუდი კარეტაში ჩაჯდომისას დააღვეინა რითაც მგზავრების დიდი გაცემა გამოიწვია. მის დამრიგებელს


ეს საზოგადოება მაინცადამაინც არ მოეწონა, უთხრა კიდეც. ბაირონმა მოახსენა, ჩემს ფარიკაობის მასწავლებელს უკეთესი მანერები აქვს, ვიდრე კოლეჯის სტიპენდიანტებსო. არ შეუცვლია თავისი ზიზღი საუნივერსიტეტო ცხოვრებისადმი. „აქ არავინ წაიკითხავს ძველი და ახალი ავტორების ერთ სტრიქონსაც კი. თუ თავის არიდებას შეძლებენ, აარიდებენ კიდეც. საცოდავი მუზეები სრულ უპატივცემულობაში არიან... თვითონ მეც (მიუხედავად ცოდნის დიდი წყურვილისა) მდინარებამ ჩამითრია და ამ ხნის განმავლობაში შინ მხოლოდ ორჯერ ვივახშმე“. უაზრო ცხოვრებით ცხოვრობდა. ასეთი ცხოვრება მძიმე ტვირთად აწვა, აკოტრებდა, მაგრამ ღირსების რაღაც უცნაური გაგება ჰქონდა და მისი შეცვლა არ შეეძლო.

თარგმნა **დავით კახაპერმა**

გაგრძელება შემდეგ ნომერში



39. ჯორჯ ბრიუმელი /1778—1840/ — ინგლისელი დენდი და მოდის კანონმდებელი.



დიდი ფრანგი მწერლისა და მოაზროვნისადმი მიძღვნილი რუსულენოვანი ესე გრიგოლ რობაქიძეს 1927 წელს ბერლინში დაუწერია. ამ წელს „გველის პერანგისა“ და თავის სხვა თხზულებათა პუბლიკაციის მიზნით მწერალი რამდენიმე თვით გერმანიაში გამგზავრებულია. უცხოეთიდან რობაქიძე რეგულარულად აგზავნიდა რუსულენოვან კორესპონდენტებს, რომლებიც 1927 წელს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ დაუბეჭდავს საერთო სათაურით „ფოთლები ევროპიდან“. სულ 10 პუბლიკაციაა, მათგან პირველი 24 მარტით თარიღდება, ბოლო – 7 აგვისტოთი.

გრიგოლ რობაქიძე

პოლ ვალერი


I.

ახლა საფრანგეთში განსაკუთრებული პოპულარობით პოლ ვალერი სარგებლობს. ის თავის ნაწერებს ჩვეულებრივ ეგზემპლართა შეზღუდული ოდენობით გამოსცემს და, თანაც, ძალზე ძვირი საფასურით. ალბათ ვარაუდობს, რომ მას ოდენ მცირედნი თუ გაუგებენ და დააფასებენ. დაფიქრებულია კი იმაზე, რომ ეს „მცირედნი“ ყოველთვის „შეძლებულნი“ აღმოჩნდებიან? – ეს ცნობილი არაა.

„რჩეული წრეები“ განსაკუთრებული ინტერესით ადევნებენ თვალს მის ფილოსოფიურ ნაწერებს. უკანასკნელნი – ტრაქტატები კი არა – „ფილოსოფოსობანია“. ფორმა – ფრაგმენტი. მათში არსებითად ორიგინალური არაფერია. პოლ ვალერი გენიალური არ არის: იგი — უბრალოდ რაფირინებული ეპიგონია.

„საფრანგეთის ახალი მიმოხილვის“ მანისის ნომერში დაბეჭდილია პოლ ვალერის რამდენიმე ნაწყვეტი. ეს – მოკლე ჩანაწერებია ორი თემის ირგვლივ – „სიმულაცია“ და „უნესრიგობისა და შესაძლებლის ურთიერთობა“. მოვიტან რამდენიმე მათგანს.

— აი, ეს კაცი სახეს მანჭავს ჩემს ზურგს უკან. მე ამას ვამჩნევ. მაშინ ის წყნარად იმეორებს გრიმასას, რათა მე ვი-



ფიქრო, რომ ეს ტიკია, მისი ნერვული სისტემის უნებლიე და ბუნებრივი გამოვლინება. ის არჩევს, რომ უმჯობესია, ავადმყოფად ჩათვალონ, ვიდრე პატივცემული ბატონის სახით საძაგელ ბიჭად წარმოჩნდეს.

შესაძლებელი გახლდათ, ეს უფრო მოკლედ და ძლიერად გამოხატულიყო.

აზრის „განსაკუთრებულობაზე“ აქ ლაპარაკიც არ არის.

შემდეგ – „შემთხვევითობაზე“.

— მელნის ლაქა.. ეს შემთხვევითობის შედეგია და მე მას ფიგურად ვაქცევ. მის ირგვლივ სახელდახელოდ გამომყავს ნახატი. და ლაქა ახალ ფორმაში თავის როლსა და ფუნქციას იძენს. ეს პასკალის აზრს ჰგავს: „მე მქონდა აზრი, დამავიწყდა იგი – და აი, მის ნაცვლად ვწერ, რომ მე ის დამავიწყდა“.. ასევეა ადამიანიც, იმ მომენტში რომ წაასწრებ, როდესაც ჩემს ზურგს უკან იმანჭება, ინარჩუნებს გრიმასას და ამით თვალთმაქცურად სარგებლობს.. ზუსტად ასევე, პოეტიც სიტყვათა რომელიღაც შეთანხმებას მოიხელთებს, ამაგრებს მას, ჯიუტობს მისთვის და – რაღაც ღირებულებას ანიჭებს მას.

ვალერის ნოვალისის ან მალარმეს ციტატა რომ მოეტანა (შემთხვევითობის შესახებ შემოქმედებით პროცესში), უფრო ძლიერი და გამომსახველობითი იქნებოდა.

შემდეგ – „უნესრიგობაზე“.

— სულის ქმედება იმაში ვლინდება, რომ ის თავისი უნესრიგობიდან თავის წესრიგამდე მიდის. აუცილებელია, რომ სულმა საკუთარ თავში ბოლომდე შეინარჩუნოს მარაგი უნესრიგობისა, რათა წყობამ, რომელიც მან საკუთარ თავს განუსაზღვრა, საბოლოოდ არ შეზღუდოს იგი.

აზრი, დიდი ხანია, ცნობილია. მისი გამოხატვა უფრო ძლიერად და რელიეფურად შეიძლება.

ვალერი საკუთარ თავზე წერს, რომ იგი მხოლოდ „ყლორტებს“ აღიქვამს და რომ არ ესმის მისი, რაც „განვითარებულია“. უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა, რომ მას „მთელის შეგრძნება“ არა აქვს. როდესაც „მთელი“ იშლება, მაშინ ყოველ „ნაწილთაგანს“ სურს, „მთელი“ გახდეს. ეს მოვლენა ერთნაირად კანონზომიერი როგორც ბიოლოგიაში, ისე შემოქმედებაშიც.

„დეკადანსის“ ნიშანი აქაა. ამას ჯერ კიდევ ნიცშე მიუთითებდა, ფსიქოლოგი დეკადანსისა. როდესაც „ხატი“, „სიტყვა“, „ფიგურა“ და ამგვარნი „მთელის“ ადგილს იკავებენ, მაშინ დეკადანსის არსებობა აშკარაა.

პოლ ვალერისთან „მთელის“ არარსებობა შეინიშნება არა მხოლოდ აზრებში, არამედ მათი გამოხატვის ფრაგმენტულ ფორმაში. „La Revue des Vivants“-ში ვალერიმ გამოაქვეყნა თავისი ფიქრები „ევროპის სიღიადესა და დაცემაზე“. „ფოსსიშე ცაიტუნგმა“ გადაბეჭდა ეს ფიქრები, თითქოს ისინი — მთლად „აღმოჩენაა“. მომაქვს რამდენიმე მათგანი:

— უახლეს ეპოქებში ვერცერთმა სახელმწიფომ ვერ შეძლო, მტკიცედ დამდგარიყო. დაპყრობილ ტერიტორიებს 50 წელზე მეტ ხანს ვერ ინარჩუნებდნენ. დიდი ადამიანები სწორედ აქ განიცდიდნენ მარცხს. კარლ V, ლუდოვიკო XIV, ნაპოლეონი, მეტერნიხი, ბისმარკი. საშუალო ხანგრძლივობა – 40 წელი. გამონაკლისის გარეშე. როგორც ჩანს, ევროპა იქით ისწრაფვის, რომ ამერიკული კომისიისაგან იყოს მართული. ჩვენ არ ვიცით, როგორ დავაღწიოთ თავი ჩვენს ისტორიას. ბედნიერი ხალხები, რომლებსაც ის არა აქვთ, ან თითქმის არა აქვთ, ჩვენ ამ ტვირთისაგან გაგვათავისუფლებენ. ისინი თავიანთ ბედნიერებას მოგვახვევენ თავს. მსოფლიოში არ არის ნამდვილი მშვიდობა.. მხოლოდ ის ხელშეკრულებანი გაუძლებდა, რომლებიც „ქვენა აზრებით“ დაიდებოდა. ღიად გამოთქმულს მომავალი არა აქვს. რა არის ერი? მისი განსაზღვრა რთულია. ესაა ცნება ბუნდოვანის და მრავალმნიშვნელოვანისა. მაგრამ ამგვარია ყველა სიტყვა, რომელთაც ღრმა აზრი აქვთ. ჩვენ ვსაუბრობთ უფლებაზე, რასაზე, მფლობელობაზე. მაგრამ რა არის უფლება, რასა, მფლობელობა? ჩვენ ეს არ ვიცით. ასეთია ყველა დიდი განსაზღვრება, რომლებიც აბსტრაქტულია და, ამავე დროს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი.

— ყველა გამონათქვამი, რომლებზეც ზოგჯერ სიცოცხლე ან სიკვდილია დამოკიდებული, ცარიელი და უაზრო სიმბოლოებია. მაგრამ, ამის მიუხედავად, ადამიანებს ერთმანეთის ესმით, როდესაც ამ სიტყვებსა და გამოთქმებს გზას აძლევენ. თითქმის ყოველი ერი დარწმუნებულია, რომ ის თავისებურად ერთადერთი და რჩეულია. ამის საფუძვლები მან შეიძლება წარსულში ან შესაძლებლის სფეროში იპოვოს. არცერთ ერს არ უყვარს, თავის უბედურე-

ბას უყუროს, როგორც გარდაუვალობას. რომელი მხრითაც არ უნდა ადარებდნენ ერთმანეთს ერებს, ყოველი მათგანი იძულებულია, საკუთარი თავი სხვებზე მაღლა დააყენოს. უწყვეტ პარტიაში, რომელსაც ისინი თამაშობენ, ყოველ ერს თავისი კარტები უჭირავს. მაგრამ ამ უკანასკნელთა შორის არის არა მხოლოდ სინამდვილის ამსახველი კარტები, არამედ წარმოსახვითი კარტებიც. ყოველ ერს აქვს საფუძველი, შეუდარებლად ჩათვალოს საკუთარი თავი ანმყოში, წარსულსა თუ მომავალში. არცთუ მცირე სირთულეა — ერთმანეთს შეადარო სხვადასხვა ერი. ადამიანების ერში გაერთიანების შინაგანი პრინციპი ყველა ერს საკუთარი, განსაკუთრებული აქვს: ეს პრინციპი ზოგჯერ რასაა, ზოგჯერ ენა, ზოგჯერ ადგილი, ზოგჯერ მოგონებანი, ზოგჯერ ინტერესები..

II.

23 ივნისს პოლ ვალერი საფრანგეთის აკადემიაში მიიღეს. იგი ანატოლ ფრანსის ადგილას აირჩიეს. გაზეთები აკადემიაში შესვლის ზეიმის ამბებითაა სავსე. დაფდაფების ცემის ხმაზე დარბაზში შემოვიდა ვალერი, რომელსაც ახლდნენ: ანრი დე რენიე, ჟიულემ კამბონი და სხვა აკადემიკოსები. ვალერის მუნდირი აცვია, ხელში კი სამკუთხა ქუდი უჭირავს. მისი გამხდარი ფიგურა თითქოსდა ეგვიპტის ფრესკებიდან ჩამოუხსნიათ და მისი პროფილი — ერთ-ერთი რამზესის პროფილია. იგი ორმოცდაათ წელს გადაცილებულია (დაიბადა 1872 წელს).

აკადემიკოსი ანოტო აცხადებს, რომ ვალერი შესავალ სიტყვას წაიკითხავს. ვალერი კითხულობს. თემა — „ანატოლ ფრანსი“. ამგვარია ჩვეულება: არჩეული თავის წინამორბედს „ისსენებს“. ვალერის სიტყვა საათნახევარს გაგრძელდა. იგი საუბრობდა ანატოლ ფრანსის შემოქმედებაზე, ან, უფრო სწორად, ის თითქმის მთელი ფრანგული ლიტერატურის ბედზე საუბრობდა, „ეპიკურეს ბალის“ ავტორის შემოქმედებით სახელთან კავშირში. მან თავის სიტყვაში მოიხსენია თითქმის ყველაფერი, რაც ასე თუ ისე გავლენას ახდენდა ფრანგული ლიტერატურის მსვლელობაზე, რომანტიზმიდან დაწყებული, ჩვენი

დღეებით დამთავრებული. იგი შეეხო პარნასის სკოლასაც, ლეკონტ დე ლილის მეთაურობით, წმინდა პოეზიასაც, ფრანგულ რომანსაც.

საპასუხო სიტყვა ანოტომ წარმოთქვა. ისიც ბევრს საუბრობდა ფრანსზე, მაგრამ მისი მთავარი თემა მაინც პოლ ვალერის ბიოგრაფია და შემოქმედება იყო.

ყრმობის წლები ხმელთაშუა ზღვის პირას, ნაპოლეონის კულტი ვალერის ოჯახში, რომლის ერთ-ერთი ნათესავი ბონაპარტეს არმიაში მსახურობდა, ლიცეუმი, სადაც ვალერი სწავლობდა. შემდეგ — მეცადინეობა არქიტექტურაში, ვაგნერის მუსიკით გატაცება, იურისპრუდენციის შესწავლა.. მოხსენიებულ იქნა უკლებლივ ყველაფერი, რაც, ასე თუ ისე, დამახასიათებელია ვალერისათვის.

ბოლოს, ვალერი ვერლენსა და მალარმეს ეცნობა. ამ ნაცნობობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. პიერ ლუნე ბექდავს ვალერის პირველ ნაწარმოებს. იგი ხდება „ჟურნალ დე დებას“ თანამშრომელი. შემდეგ — მეგობრობა ხოზე მარია დე ერედისთან, რომლის მკაცრ სონეტებს ვალერისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია. ერედისაგან ის აღორძინების ხელოვნებზე გადადის. მას განსაკუთრებით ლეონარდო და ვინჩის გენია ატყვევებს. ანოტომ ვალერის „საკმაოდ მძიმე“ პოეტი უწოდა. „შედეგები მწერლის კალმიდან არ გამოდის: ლიტერატურის ნაწარმოებები შედეგებად დროთა განმავლობაში იქცევა“. ანოტო — ჩინებული ორატორია.

მნიშვნელოვანია, რომ ანატოლ ფრანსი, „ლათინური სიცხადის“ ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელი, აკადემიაში შეცვალა პოლ ვალერიმ, ჩვენი დღეების ყველაზე „ბუნდოვანმა“ პოეტმა. ვალერისთან დაკავშირებით კრიტიკოსები სიტყვა „ბუნდოვანს“ ფრთხილად ცვლიან სიტყვით „სირთულე“. ვალერი მართლაც „რთული“ პოეტია. მაგრამ ეს „სირთულე“ — პროტესტია იმ „სიმსუბუქის“ (გაურკვევლის, შემთხვევით უკონტროლოსი) წინააღმდეგ, რომელიც როსტანმა, პოლ კლოდელმა და დე ნოაიმ შემოიტანეს. ასე ამბობს ერთი კრიტიკოსი.

ამგვარი „სიმსუბუქე“ ფრანგული რა-

სის სულს ენინააღმდეგება. სიცხადის მათემატიკური სიყვარული, თუკი ის მხოლოდ შინაგან ხილვას ეხება – ამგვარია ვალერის თვისება. იგი ეძებს შესაფერის სიტყვას, ის ამ სიტყვას სათანადო ადგილას სვამს. ამასთან, იგი ეძებს ზუსტ შესატყვისობას შინაგან სიტყვასა და გარეგან სიტყვას შორის. როდესაც ეს თანხვედრა მიღწეულია, მაშინ აზრიც „თავისებურად დასრულებულია“. ასეთია ვალერის ფორმულა. მას სურს, მისცეს სიტყვას, — აგრძელებს იგივე კრიტიკოსი, — მისი სრული აზრი და, ამასთან, არ ქმნის „ეზოთერულ ლექსიკონს, მაღარმეს მსგავსად, რომელიც პირად (საკუთარ) სინტაქსს ნატრობდა“

ვალერი მკაცრად კანონიკურია. იგი „თავისუფლებას“ მხოლოდ „აზრთა და შეგრძნებათა ერთობლიობას“ აკუთვნებს. აღსრულებაში „თავისუფლების“ ადგილი არ უნდა იყოს. ქმნილებაში თვით შემოქმედებითი პროცესი არ უნდა აისახებოდეს. შემოქმედებით პროცესსა და მის განხორციელებას შორის, ვალერის აზრით, რაღაც წყალგამყოფი უნდა იყოს. იქ – ტანჯვაა, სიგიჟე, ბრძოლა, ქაოსი. აქ – სიმშვიდე, სიბრძნე, უმაღლესი წესრიგი. როგორ მივალწიოთ იმას, რომ ყველაზე „ვნებიანი“

(შემოქმედებითი პროცესი) გახდეს ყველაზე „უვნებო“ (პროცესის შედეგად). და ამასთან, ისე, რომ პირველი მეორეში უნაშთოდ, მსხვრევის, დამახინჯების გარეშე გამოვლინდეს? ფორმის პლასტიკური სრულყოფით, — პასუხობს ვალერი.

საინტერესოა, რას წერს ვალერი თანამედროვე ეპოქის მაშინიზმზე. არსებობს ხელშეკრულების სახეობა მანქანასა და ჩვენ შორის. ეს ხელშეკრულება შეიძლება შევადაროთ იმ საშინელ ვალდებულებებს, რომლებსაც ჩვენი ნერვული სისტემა დახვეწილ დემონურ შხამებთან დებს. რაც უფრო სასარგებლო ხდება მანქანა, მით უფრო დაზიანებული, არასრულნი ვხდებით, უუნარონი, იოლად გავიდეთ მათ გარეშე. მანქანათა შორის ყველაზე მრისხანენი, ალბათ, ისინი კი არ არიან, რომლებიც ბრუნავენ, გორავენ, ტვირთს გადაიტანენ, არც ისინი, რომლებიც ენერჯიას ან მატერიას გარდაქმნიან. არსებობენ სხვა მანქანები, შექმნილნი არა სპილენძითა და ფოლადით, არამედ ვინრო-სპეციალიზებული პირებისაგან: ორგანიზაციები, ადმინისტრაციული მანქანები, რომლებიც უპიროვნოს პრინციპით გახლავთ აგებულინი.

თარგმნა მანანა კვატაია





ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თანამედროვე ინგლისელი მწერალი და ესეისტი, ოცდაორი რომანის (მათ შორის ყველაზე პოპულარული: „სამყაროს ისტორია 10 1/2 თავად“, „არხის გადავლა“, „სიყვარული და ასე შემდეგ“, „არტური და ჯორჯი“, „ფლობერის თუთიყუში“ და სხვ.), მრავალი მოთხრობისა და ლიტერატურული ნერილის ავტორი ჯულიან ბარნსი ქვეყნიერებას 1946 წელს მოევლინა ინგლისის ქალაქ ლეიკესტერში.

კარიერა ჟურნალისტობით დაიწყო. მანამდე კი განათლება ლონდონის სკოლასა და ოქსფორდის მაგდალენას კოლეჯში მიიღო. ჯერ ლექსიკოგრაფად, შემდეგ კი მიმომხილველად და რედაქტორად მუშაობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში, ტელევიზიაში.

მიღებული აქვს 17 ლიტერატურული პრემია. მათ შორის აღსანიშნავია ბუკერის პრემია, რომელიც მწერალს 2011 წელს მიენიჭა.

ჯულიან ბარნსი

ექსპერიმენტი

ამ ისტორიას ბიძია ფრედი განსხვავებული ვერსიებით ამდიდრებდა. აი, მისი ყველაზე საყვარელი ვერსია: იგი იმ ფირმის მესაკუთრე იყო, რომელიც ნატურალური ცვილისაგან იატაკის საპრიალებელს ამზადებდა. პარიზში სწორედ ამ საქმესთან დაკავშირებით გაემგზავრა. ჩასვლისთანავე ერთ-ერთ ბარში ჭიქა ღვინის დასალევად შევიდა. გვერდით მჯდომი მისი საქმიანობით დაინტერესდა და ფრედიმაც უპასუხა:

– *Cire realiste*¹.

თუმცა ამ ვერსიამდე ბიძაჩემისგან სულ სხვა ამბავი მოვისმინე. თითქოს ერთმა მდიდარმა ლორდმა ის ავტორალის შტურმანად დაიქირავა და პარიზში წაიყვანა. შემდეგ მოქმედება ასე განვითარდა: ბარში მყოფი უცნობი (ამ ვერსიის თანახმად, უკვე სასტუმრო „რიცაში“ ვიმყოფებით) ბიძია ფრედის საქმიანობით დაინტერესდა. ბიძაჩემს ის ქედმაღალ და ამპარტავან ადამიანად მოეჩვენა. თუმცა, უცნობს პასუხი მაინც გასცა:

– *Je suis, sire, rallyiste*².

მესამე ვერსიაში (რომელიც ჩემი აზრით ყველაზე ახლოს იყო სიმართლესთან) ძია ფრედი ჭიქაში ჩასხმული თეთრი ღვინით, ლუარის ხეობის რეინით იქცევდა თავს. იგი პირველად იყო პარიზში და ახალ გარემოსთან გაშინაურებას სწორედ ასე ცდილობდა. რამდენიმე ჭიქამ (ამ ღვინოს ის თაიგულს უწოდებდა) თავისი ქნა.

ახლა მოქმედება უკვე *quartier Latin*³-ის *petit zinc*⁴-ში ინაცვლებს და უცნობი (ამ ვერსიის თანახმად სრულიად არ ჩანდა ამპარტავანი) დაინტერესდა, რას სვამდა „მეზობელი“. ფრედის შეეშინდა, რომ ფრანგულ გამოთქმას თავს ვერ გაართმევდა და შეშინებულმა მშობლიური ინგლისური ფრაზა სიტყვასიტყვით თარგმნა, რომელიც „ლუდით ვერთობის“ შეზღუდულ ვარიანტს გულისხმობდა:

– *Je suis sur Reuillys*.

გაგებდე და მოვეუთითე, რომ მის მოგონებებში მრავლად იყო ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები. მას გაეცინა და მიპასუხა:

¹ ნატურალური ცვილის სპეციალისტად. (ფრანგ.) ავტორი სარგებლობს თავისი გმირის ფრანგულის ცუდად ცოდნით და ხაზს უსვამს კალამბურულ მსგავსებას სიტყვასთან „სიურრეალიზმი“.

² სერ, რალისტი ვარ (ფრანგ.).

³ ლათინური კვარტალი (ფრანგ.).

⁴ პატარა ლარიბული კაფე (ფრანგ.).

— წარმოუდგენელი რამაა ქვეცნობიერი, არა? ფანტაზიებით სავსე და თან რა უსაზღვრო...

გარდა იმისა, რომ შემთხვევითი უცნობი ბიძაჩემის წარმოდგენაზე დაყრდნობით სხვადასხვა ვერსიაში სხვადასხვა გარეგნობით წარსდგა, ბიძია მას სახელსაც უცვლიდა. უცნობი ხან ტანგი, ხან პრევერი, დიუამელი, იუნიკი, ხოლო ერთ ვერსიაში ბრეტონიც კი იყო. სამაგიეროდ, ჩემთვის ზუსტადაა ცნობილი მათი საექვო შეხვედრის დრო: 1928 წლის მარტი. მთავარი კი — რასაც ყველაზე ფრთხილი კომენტატორებიც არ უარყოფენ — ისაა, რომ ინიციალებში ტ.ფ. იმალება (უფრო სწორად, იმალებოდა) ბიძაჩემი ფრედი, რომელიც სრულიად შემთხვევით გახდა სიურრეალისტთა 5 (ა) სხდომის მონაწილე. სხდომაზე ინტიმური ცხოვრების საკითხები განიხილებოდა. განხილული მასალები 1928 წლის იანვრიდან, 1932 წლის აგვისტოს ჩათვლით, „Recherches sur la sexualite“⁵-ს დანართში გამოქვეყნდა. დანართი იუნცებოდა, რომ ძია ფრედიმ დიალოგის მონაწილენი ასე წარადგინა — პიერ იუნიკი და ტ.ფ., რომელიც პარიზში მხოლოდ დასასვენებლად იყო ჩასული.

არ ღირს ძალზე სკეპტიკურად შევხედოთ ბიძია ფრედის არაფრით დამსახურებულ *entree*⁶-ს სიურრეალისტების წრეში. თავიანთ თავყრილობებზე ისინი ნამდვილად უშვებდნენ უცნობ ადამიანებს, თუნდაც მღვდელს, ან კომუნისტური პარტიის აქტივისტს. ამ შემთხვევაში, ალბათ, გადაწყვიტეს, რომ 29 წლის რიგითი ინგლისელი გამოადგებოდათ კიდეც. როგორც ლინგვისტური უთავბოლოების მაგალითი, გააფართოვებდა მათ სამეცნიერო ხედვას. ბიძაჩემი მიხსნიდა, რატომ დაუშვეს სიურრეალისტებმა ის თავიანთ წრეში და სიამოვნებით იმონებდა ფრანგულ გამონათქვამს, რომ ყოველ კანონმდებელსა თუ კანონმცოდნეში დამარხულია დიდი ხნის წინ დაღუპული პოეტი. მე, ალბათ, როგორც უკვე მიხვდით, უცხოოდ ვგრძნობ თავს იურისპრუდენციასა და

პოეზიაში, ბიძაჩემი კი — მით უმეტეს. ისიც საკითხავია, რამდენად მართებულია ეს გამონათქვამი მის სარკისებრ ვარიანტში: ყველა პოეტის სულში დამარხულია მასში დიდი ხნის წინ დაღუპული კანონმცოდნე.

ბიძია ფრედი ამტკიცებდა, რომ სხდომა თავისი მონაწილეობით იმ ბატონის სახელში გაიმართა, რომელიც მან ბარში გაიცნო; ჩანანერი, შესაძლო თავყრილობის ადგილის შესახებ, სულ ხუთ ვარიანტს მოიცავს. თუ ბიძიას დავუჯერებთ, სხდომას სულ თორმეტი წევრი ესწრებოდა. „Recherches“-ის მონაცემებით კი სხდომაზე ცხრაკაციანი შემადგენლობა დაფიქსირდა. მინდა აქვე განვმარტო და ვთქვა, რომ სხდომა 5 (ა)-ს მასალები გამოქვეყნდა მხოლოდ 1990 წელს, ხოლო ბიძაჩემი 1985-ში გარდაიცვალა. ყველა შეუსაბამობა კი ბიძაჩემის არათანმიმდევრულ მსჯელობას შეიძლება უკავშირდებოდეს. ამასთან ერთად, ამბავი ბიძია ფრედიზე და სიურრეალისტებზე განკუთვნილი იყო მხოლოდ საინტერესო საღამოს მოსაწყობად. სიურრეალისტები თვლიდნენ, რომ სასურველი შედეგი სწორედ ასეთ საღამოებზე საუბრების დროს მიიღებოდა. ძია ფრედიმ ჩემთან ფიცი დადო, რომ გულლიად და დაწვრილებით მომიყვებოდა ყველა იმ უზნეობის შესახებ, რაც პარიზში 1928 წლის მარტში, მისი იქ ყოფნის დროს მოხდა. შემდეგ დაამატა, რომ პარიზელებისგან ერთ საღამოზე უფრო მეტი უხამსობა გაიგო, ვიდრე უკანასკნელი ომის პერიოდში ამერიკულ ცხოვრებაზე. ამ ყველაფერმა ის ღრმად შეაძრწუნა.

გამოქვეყნებული მასალები, რასაკვირველია, არ ამტკიცებდნენ ამ ვერსიებიდან არცერთს. ის კი, ვინც გაეცნო „Recherches“-ს, უკვე წარმოდგენა ჰქონდა ამ ფსევდომეცნიერული მაძიებლების უჩვეულო ნარევის და მათი გულახდილი სუბიექტური მსჯელობის შესახებ. ამ ნარევის სულისჩამდგმელად ანდრე ბრეტონი მოიაზრებოდა. ის პირქუში და მკაცრი, ზოგჯერ კი საერთოდ აუტანელი იყო („არ მიყვარს, როცა მეფერებიან. ვერ ვიტან“). დანარჩენები კი ძალზე განსხვავებულები იყვნენ: კეთილსინდისიერები და ცინიკო-

⁵ „სექსუალური პრობლემების კვლევა“ (ფრანგ.).

⁶ შემოსვლა (ფრანგ.).

სები, რომლებსაც თვითკრიტიკაც უყვარდათ და არც თავის ქება ავინყდებოდათ. ამ წრეში შეხვდებოდით გესლიანებსაც, ტირანებსაც. თუმცა, მათ საუბარს, საბედნიეროდ, იუმორი ყოველთვის ახლდა. საუბარი ხანდახან წინასწარ განზრახული შეურაცხყოფის მარცვლებსაც შეიცავდა, რომელიც შეიძლება გამონვეული ყოფილიყო მომავალი თაობების მიმართ შიშით. მაგრამ რაც მართალია, მართალია, უფრო ხშირად საუბრები ხუმრობაში იყო გატარებული და მათ წარმოქმნას, ალბათ, ჩვენი წარმავლობა და ადამიანური სისუსტე განაპირობებდა. ასე იყო მაშინაც: მესამე სხდომაზე ბრეტონი ცდილობდა თავისი მეგობრებისგან ინტიმური ცხოვრების დეტალების გაგებას. ბრეტონს აინტერესებდა, აძლევდნენ თუ არა ისინი პატრნიორ ქალს მათი მამაკაცური ღირსებისთვის ხელის შეხების უფლებას მაშინ, როცა ის არ იმყოფებოდა ერექციის მდგომარეობაში. მარსელ ჰოლი პასუხობს, რომ მას ეს ძალიან არ უყვარს. ბენჯამენ პერე ამბობს, რომ ასეთ მდგომარეობაში ის თავს დამცირებულად და დაჩაგრულად გრძნობს.

— ჰო, — ეთანხმება ბრეტონი, — „დამცირებული“ სწორედ ის სიტყვაა, რომლითაც შეიძლება ამ მდგომარეობის განმარტება...

ლუი არაგონი არ თანხმდება:

— თუ ქალი ჩემს „ღირსებას“ შეეხება, ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა მე მზად ვარ. სხვა შემთხვევაში არა მგონია მას შეხების მიზეზი ჰქონდეს.

მაგრამ თემიდან გადავუხვიე. შესაძლოა, უბრალოდ დროს ვწელავ. არ მინდა გამოვტყდე, რომ ბიძაჩემის მონანილეობამ სხდომა 5 (ა)-ში იმედი გამიცრუა. ალბათ, ეს მკაცრი, პირქუში მაძიებლები ცრუ დემოკრატიის პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ინგლისელი, რომელიც მათ ენობრივი დაბრკოლების თუ მსგავსი ლაფსუსის გამო შეარჩიეს, მათ „სამსჯავროზე“ საკმაოდ მნიშვნელოვან ჩვენებას მისცემდა. ტ.ფ.-ს მრავალი სტანდარტული კითხვა დაუსვეს. რასაკვირველია, ყველა კითხვა ინტიმურ ურთიერთობებს შეეხებოდა. —

თუ რა პირობებში კავდებოდა ის სექსით; როდის და როგორ მოხდა პირველი შეხება სექსთან; შეუძლია თუ არა იმის განსაზღვრა, სექსუალური კავშირის დროს როდის მიანიჭა ქალს სიამოვნება და რა მეტყველებდა ამაზე; რამდენ პარტნიორთან ჰქონია კავშირი და ათობით კიდევ სხვა მსგავსი კითხვა. ბიძაჩემის პასუხებით არ შეგანწყენთ თავს, რადგან ისინი (ჩემი აზრით), ან ძალიან ბანალურად ჟღერს, ან მიმაჩნია, რომ სიმართლესთან მთლად ახლოს არ დგას. მაძიებლები სწორედ ასეთ კითხვებზე ითხოვდნენ პასუხს. ხოლო ამ სასამართლოზე უნებლიეთ შეტყუებული მონმე, სანყლად ამტკიცებდა თავისას. დადგა წუთი, როცა ინგლისელის იქ ყოფნამ რაღაც აზრი შეიძინა. აქ, ჩემი აზრით, აუცილებელია სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერის ზუსტი აღწერა.

ანდრე ბრეტონი: რას ფიქრობთ სიყვარულზე?

ტ.ფ.: როცა ორნი ქორწინდებიან...

ანდრე ბრეტონი: არა, არა! სიტყვა „ქორწინება“ ანტისიურრეალისტურია.

ფერნან ბალდანსპერჟე: როგორ უყურებთ ცხოველებთან სექსუალურ კავშირს?

ტ.ფ.: რას გულისხმობთ?

ფერნან ბალდანსპერჟე: ცხვარს, ვირს.

ტ.ფ.: ილინგში ვირები არც ისე ხშირია. შინაურ ცხოველებს რაც შეეხება, მახსოვს, სახლში მოთვინიერებული კურდღელი გვყავდა.

ფერნან ბალდანსპერჟე: დაგიმყარებიათ მასთან სექსუალური კავშირი?

ტ.ფ.: არა.

ფერნან ბალდანსპერჟე: არ გიფიქრიათ ამაზე?

ტ.ფ.: არა, არასდროს.

ანდრე ბრეტონი: ვერ დავიჯერებ, რომ თქვენი სექსუალური ცხოვრება იმდენად მოკლებულია წარმოდგენებს და სიურრეალიზმს, როგორც თქვენ ამას ამბობთ.

ჟაკ პრევერი: მიუთითეთ ძირითადი განსხვავებები ფრანგ და ინგლისელ პარტნიორებს შორის.

ტ.ფ.: მე მხოლოდ გუშინ ჩამოვედი პარიზში.

ჟაკ პრევერი: ფრიგიდული ხართ?... არა, არა, ნუ გამიბრაზდებით, მე მხოლოდ ვხუმრობ.

ტ.ფ.: მოდით, მოგიყვებით, როგორი ფიქრები მქონდა ახალგაზრდობაში. შესაძლოა ეს ისტორია რამეში გამოგადგეთ კიდევ.

ფერნან ბალდანსპერჟე: ფიქრები ვირებს უკავშირდებოდა?

ტ.ფ.: არა, არა. რას ამბობთ... ჩვენს ქუჩაზე ტყუპი დები ცხოვრობდნენ.

ფერნან ბალდანსპერჟე: და თქვენ ორივესთან ერთდროულად გასურდათ სექსუალური კავშირის დამყარება?

რაიმონ კენო: რამდენი წლისანი იყვნენ დები?

პიერ იუნიკი: ლესბოსელები მოგნონთ? მოგნონთ როგორ ეფერებიან ისინი ერთმანეთს?

ანდრე ბრეტონი: ანუ იმას გულისხმობთ, რომ თუ ერთ-ერთ მათგანთან გექნებოდათ ინტიმური კავშირი, შეძლებდით დარწმუნებით იმის თქმას, რომ ეს ისაა და არა მისი და?

ტ.ფ.: დიახ, დიახ. თავიდან სწორედ ეს აზრი არ მაძლევდა მოსვენებას. ხოლო შემდეგ მეორე აზრიც გამიჩნდა. — რა იქნებოდა, რომ მოძებნილიყო ორი ადამიანი, უფრო ზუსტად ორი ქალი, რომელიც თავიანთ...

ანდრე ბრეტონი.: თავიანთ სექსუალურ გამოვლინებებში...

ტ.ფ.: ...თავიანთ სექსუალურ გამოვლინებებში იქნებოდნენ აბსოლუტურად იდენტურები, ხოლო სხვა დანარჩენ ურთიერთობებში განსხვავებული.

პიერ იუნიკი: ეროტიკულად იდენტურები, მაგრამ ყოფაში განსხვავებულები.

ანდრე ბრეტონი: საკმაოდ ძვირფასი ინფორმაციაა.

ჟაკ პრევერი: როგორც ჩანს, ფრანგ ქალთან ჯერ არ გქონიათ სექსუალური კავშირი.

ტ.ფ.: ხომ გითხარით, პარიზში მხოლოდ გუშინ ჩამოვედი.

სწორედ ასე დასრულდა ეს დოკუმენტურად დამტკიცებული სხდომა 5 (ა) ბიძია ფრედის მონაწილეობით.

ამის შემდეგ ჯგუფის წევრები დაუბ-

რუნდნენ კითხვებს, რომლებიც სხდომა 3-ზე განიხილებოდა.

როდესაც უკანასკნელად ვნახე ბიძაჩემი, მაშინ, რასაკვირველია, ფიქრადაც არ მომსვლია, რომ შემდეგ მისი იქ ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტები გაჩნდებოდა. ერთმანეთს 1984 წლის ნოემბერში შევხვდით. დეიდა კეიტი უკვე გარდაცვლილი იყო და მე ტ.ფ.-ს (ფიქრებში მას სწორედ ასე ვუწოდებდი) სანახავად მივედი (უნდა ვაღიარო, რომ უფრო ვალის მოხდის მიზნით). დეიდა კეიტი თბილი და კეთილი ქალი იყო. მეოცნებე. ბიძია ფრედი კი ყოველთვის პირდაპირი და თვითკმაყოფილი. ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ გაბლენძილ ინდაურს ჰგავდა, რომელსაც ცერა თითები ყილეტის ჯიბეში ჰქონდა ჩამალული. მის მანერაში იგრძნობოდა მორალური და ფიზიკური რაღაც გამოწვევა თუ გამოძახილი. მან მშვენივრად იცოდა, რომ ჭეშმარიტი მამაკაცი იყო და მის შთამომავლობას წარმოუდგენელ ვაჟკაცობად დაუჯდებოდა იმ წვრილ საზღვარზე დგომა. beau ideal⁷-დან ნებისმიერი გადახრა კი ცუდ ტონად ჩაეთვლებოდათ. ასე თვლიდა ის. ამიტომაც ტ.ფ.-ს საზოგადოებაში ვერასდროს ვგრძნობდი თავს თავისუფლად. ერთხელ განაცხადა, რომ თავის პირდაპირ მოვალეობად მიაჩნდა, ღვინის ცნობის კარგი სპეციალისტი გავმხდარიყავი. მე კი ამ საქმისადმი მისი პედანტიზმი და თვითკმაყოფილი მიდგომა, ყოველთვის გულს მირევდა.

დეიდა კეიტის სიკვდილის შემდეგ ტრადიციად დავამყარეთ, რომ ბიძია ფრედის დაბადების დღეზე რესტორანში ვუმასპინძლდებოდი, შემდეგ ორივენი მასთან, კრომბელ-როუდზე მივდიოდით და გალემვამდე ვსვამდით. ბიძია ფრედის სალამოს საქმე არც არაფერი ჰქონდა, მაგრამ მე ავადმყოფები უნდა მიმელო და ამის გამო ყოველთვის ვცდილობდი ნაკლების დაღევას და ფხიზლად ყოფნას. თუმცა ეს ცდა არცერთხელ არ გამართლებულა. ჩემი გადაწყვეტილება წლიდან წლამდე მყარდებოდა. შედეგი კი

⁷ მშვენიერი იდეალი (ფრანგ.).

არასდროს იყო ისეთი, როგორც მსურდა. ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ სიმთვრალეშიც არ იყო მცირე ღირსება. სვამ იმიტომ, რომ ამისთვის მრავალი მიზეზი გაქვს. მიზეზი შეიძლება იყოს: სინდისის ქენჯნა, შიში, ბედნიერება, გაუგებრობა. მაგრამ ყველაზე დიდი მიზეზი მონყენილობაა. ერთი ჩემი ძველი ნაცნობი — არც ისე სულელი ალკოჰოლიკი — ამტკიცებდა, რომ მხოლოდ იმის გამო სვამდა, რომ სწორედ ასეთ მდგომარობაში ხედავდა ისეთ რამეებს, რაც სიფხიზლეში აზრადაც არ მოუვიდოდა. გარკვეული დროის განმავლობაში მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ ახლა ვამბობ, რომ სმა არ შეიძლება იყოს რამე მოვლენის, თუ დღესასწაულის მიზეზი. ის მხოლოდ გვეხმარება ადამიანებს, რომ ერთფეროვნებას გავექცეთ და თუ ამას ვერ ვახერხებთ, არ მოვიწყინოთ მაინც. ჩემი აზრით, ვერც ერთი მოვლენა ვერ ტოვებს ერთფეროვნების ჩარჩოებს. ალბათ, ამიტომაც იყო თავის დაბადების დღეზე ბიძაჩემი განსაკუთრებულად მოღუშული.

ფრედის ვისკიანი ჭიქა მივანოდე. მან ჯიბიდან ამოიღო, როგორც თვითონ ამბობდა, „ყოველდღიური სიგარა“ და ისევ სხდომა 5 (ა)-ს მივუბრუნდით.

— აბა, ბიძაჩემო, გამახსენე, სინამდვილეში რით ერთობოდი პარიზში.

— ეს რა საკითხავია. იმით, რითაც სხვა ახალგაზრდები.

ჩვენ უკვე გამოვწრუპეთ ვისკის მეორე მათარა, თუმცა ანესთეზიის სტადიის მისაღწევად დაგვჭირდა მესამეც.

— და ასე შეეყარეთ ერთმანეთს?

— ვინ?.. რა?.. შენთვის ოდესმე მომიყოლია?..

ყველაფერი დამოკიდებული იყო მის შემობრუნებაზე (თუ ეს გამოთქმა მაინცდამაინც არ აკეთებს მისი შინაგანი მზადყოფნის უტრირებას). ამ ჯერზე ბიძაჩემმა კვლავ ის ვარიანტი გაიხსენა, რომელშიც ის ვილაც ინგლისელი ლორდის თანხლებით პარიზს ესტუმრა.

— რა მარკის იყო მანქანა? — მძლია ცნობისმოყვარეობამ.

— „პანარი“, — მიპასუხა მან.

ამ ვერსიაში შეუცვლელად ფიგურირებდა „პანარი“. არ მომასვენა კითხვამ: რა განმარტება შეიძლებოდა მისცემოდა ძია ფრედის საკითხისადმი მიდგომას. ანიჭებს ის უტყუარ, სარწმუნო მნიშვნელობას მონათხრობს თუ პირიქით, ხაზს უსვამს მის დაუჯერებლობას, საეჭვოობას.

— სად გაიმართა რალი?

— სად არა — მთებზე, ველებზე, ჩემო ბიჭუნავ. ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორემდე. ჰო... რაზე შეეჩერდი? ესე იგი, ვდგავარ ბართან...

როგორც შემქმლო ველოლიავებოდი ბიძაჩემს და კვლავ და კვლავ ვუსვამდი კითხვებს უკვე კარგად ნაცნობ პასუხებზე. და ისიც მიადგა თავისი ისტორიის შეუცვლელ კულმინაციას.

—... ერთ-ერთი იმათგანი მეკითხებოდა: „ფრანგთან უკვე იყავი?“ „დრო მომეცი, — ვუპასუხე მას, — მე ხომ მხოლოდ გუშინ ჩამოვედი“.

ამის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. კვლავ დავისხი ჭიქაში ვისკი და ამბის გაგრძელებას მოუთმენლად დაველოდე.

— და მერე?

— რა მერე?

— იყავი ფრანგთან?

— ...დეიდაშენი კეიტი თოვლივით წმინდა ქალი იყო. მართალია მისი გარდაცვალებიდან დიდი დრო გავიდა და როგორც იტყვიან, დრო ყველაფერს კურნავს, მაგრამ მაინც ერთი სული მაქვს, ისევ როდის ვიქნებით ერთად.

— რას ამბობ, ბიძია ფრედი, სიკვდილს ყოველთვის მოვასწრებთ.

ამ თემის გაგრძელებისგან თავი შევიკავე და მხოლოდ ეს გავიმეორე:

— მერე რა მოხდა. იყავი ფრანგთან?

— ეს მთელი ისტორიაა, ჩემო ბიჭუნავ, და ჯერ არცერთი ცოცხალი არსებისთვის არ მომიყოლია.

ჩემი ინტერესი კიდევ უფრო გამძაფრდა. მაგრამ თავი შევიკავე ზედმეტი შეკითხვებისგან, რომ არ დამეფრთხო მთხრობელი. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ ბიძაჩემი არა მარტო ბებერი აბეზარი, არამედ ბებერი აბეზარის კარიკატურაც იყო. „ეს მთელი ისტორიაა. მე ჯერ არცერთი ცოცხალი არსებისთვის არ მომიყოლია ეს ამბავი“, — ასე ხომ ახლა აღარავინ

საუბრობს. რა თქმა უნდა, ბიძაჩემის გარდა.

— მათ ყველაფერი მომიწყვეს, გესმის?

— ვინ მათ?

— სიურრეალისტებმა. ჩემმა ახალმა მეგობრებმა.

— გინდა თქვა, რომ სამსახური გიმოვეს?

— რალაც არ მესმის: დღეს ძალიან სულელურად მსჯელობ, თუ ეს შენი ბუნებრივი მდგომარეობაა? რა არის გაუგებარი? ქალთან კავშირი მომიწყვეს, თან არა ერთთან, არამედ ორთან. გასაგებია?..

აქ კი ყურები ვცქვიტივ. რასაკვირველია, არ მჯეროდა ამ ზღაპრების. უკვე ათასჯერ მოყოლილი ისტორიის („როგორ გავიცანი სიურრეალისტები“) შელამაზება სწორედ ამ ხერხით სურდა.

— იცი, რას ვფიქრობ უკვე ამდენი ხნის შემდეგ, რომ ასეთი შეხვედრები... უბრალოდ მათ სურდათ შეკრება და უხამს თემებზე საუბარი და მსჯელობა. მაგრამ თავს ვერ უტყდებოდნენ და განაცხადეს, რომ ეს საუბრები რალაც სამეცნიერო ამოცანის გადასაჭრელად სჭირდებოდათ. მე კი მივხვდი, რომ ამის აღიარება მათ არ შეეძლოთ. რადგან, ერთი სიტყვით, ინტელექტუალები იყვნენ. მხოლოდ იდეებით შემოიფარგლებოდნენ. იმ სამი წლის განმავლობაში, რაც მე ჯარში გავატარე...

თავს არ მოგანწყენთ ძია ფრედის ტრადიციული გადახვევებით.

— ...და ამიტომაც უცებ მივხვდი, ქარი საითკენაც უბერავდა. ლოიალურად მოპყრობას მათთან არ ვაპირებდი. იცი, ასე მგონია, რომ უცხოელების კომპანიაში უხამს თემებზე საუბარი იგივეა, რაც სამშობლოს ღალატი. არაპატრიოტულია, ხომ?

— არასდროს მიცდია.

— აჰა. გასაგებია. შენ დღეს შოკირებული იქნები. „არასდროს მიცდია“. ყველას აინტერესებდა სწორედ ის, რაც მე არასდროს მიცდია. მაგრამ ასეთ ხალხთან რამის უარყოფით არაფერი გამოგივა. ეუბნები, რომ ასეთი რამის გაკეთება თავში აზრადაც არ მოგსვლია, მათ კი არ სჯერათ და ჰგონიათ, რომ შენ მხოლოდ ამაზე ოცნებობ და მხოლოდ და მხოლოდ ამ სურვილის ასრულება გინდა. აი, სიჩერ-

ჩეტე, არა?

— არც მთლად უმაგისობაა.

— და მეც ჩავთვალე, რომ რამდენადმე მსჯელობის ხასიათი გამეკეთილშობილებინა. დიახ, დიახ, გამეკეთილშობილებინა. ტყუილად იცინი, ჩემო ბიჭუნა. ვიცი, რასაც ვამბობ. შენც მოხვდები ინტელექტუალების კომპანიაში, რომლებიც ენას არ აჩერებენ და შენც ჩემნაირად „წაიმღერებ“. მე მათ ვუთხარი: „ერთ გამოცანას გეტყვით — დავუშვათ, იპოვეს ორი გოგონა, რომლებიც სიყვარულის სარეცელზე ზუსტად ერთნაირები არიან. იმდენად იდენტურები, რომ თვალებს თუ დახუჭავ, ერთს მეორისგან ვერ გაარჩევ. მშვენიერი გასართობია!“ და მათ, მიუხედავად თავიანთი „მოაზროვნე თავისა“, ასეთი გამოცანა აზრადაც არ მოსვლიათ.

არაფერი განსაკუთრებული, გავიფიქრე. უბრალოდ ასეთი კითხვებით სხვას კი არა, საკუთარ თავსაც არ მიმართავენ. რაც შეეხება სექსს, იქ განსხვავებაზე საუბრობენ და არა მსგავსებაზე — იყო თუ არა კარგი პარტნიორი, თუ არც ისე კარგი; იყო მოსაწყენი და შებოჭილი თუ... მაგრამ გონებით სულ სხვა რამეს აღვნიშნავთ: ჰო, სიყვარულის სარეცელზე მან მე გამახსენა ის, რომელთანაც ურთიერთობა მქონდა ამ რამდენიმე წლის წინ. ძირითადად, როცა ვხუჭავთ თვალებს, ასეთი აზრები, როგორც წესი, თავში არ მოგვდის. ამით, ალბათ, ვუფროთხილდებით პარტნიორის ინდივიდუალობას. და კიდევ, შესაძლოა შიშის გამოც: როგორც შენ იფიქრებ მათზე, ხომ შესაძლებელია ისევე იფიქრონ შენზე.

— სწორედ მაშინ, ჩემმა ახალმა მეგობრებმა ყველაფერი მომიწყვეს.

— ?..

— ამ ინფორმაციისთვის მათ ჩემი დაჯილდოება მოისურვეს. როგორც აღმოჩნდა, მათ სერიოზულად დავეხმარე.

— მაგრამ წუთი წუთზე ხომ ავტორბოლა უნდა დაწყებულიყო? — ვერ შევიკავე თავი.

— მეორე დღეს ბარის „უცნობი“ მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ მთელი კომპანია, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, სიურრეალისტურ საჩუქარს მიკეთებს. აღელ-

ვებული ვიყავი, რომ ჯერ კიდევ არ მომეცა ფრანგი ქალების ახლოს გაცნობის შესაძლებლობა. მათ კი გადანყვიტეს ჩემს ცხოვრებაში ამ ცარიელი ადგილის ამოვსება.

— იშვიათი გულუხვობაა, — ვთქვი მე, — იშვიათი სასწაული.

— მეორე დღის სამი საათისთვის „მეგობრებმა“ დამიჯავშნეს სასტუმროს ნომერი, რომელიც სენ-სიულპის ეკლესიასთან მდებარეობდა. „უცნობმა“ დაამატა, რომ თვითონაც მოვიდოდა იქ. ამან ცოტა გამაოცა. მაგრამ, მეორე მხრივ, კარგად მახსოვდა, რომ „ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება“.

— თქვენ რატომ უნდა მოხვიდეთ? მე ხომ ხელით სატარებელი არ ვარ. მაშინ მან ამიხსნა პირობა: მათ უნდოდათ, რომ მონანილეობა მიმელო ექსპერიმენტში. კომპანიას სურდა ფრანგ და ინგლისელ ქალ პარტნიორებს შორის შეგრძნებების განსხვავება გამოეაშკარაებინათ. ვკითხე, რატომ ვიყავი მაინცდამაინც მე საჭირო ამ ექსპერიმენტისთვის.

— იმიტომ რომ, — მიპასუხა „უცნობმა“, — ჩვენი ვარაუდით თქვენი რეაქციები მეტად უშუალო იქნება. „სიმართლე მითხარით, — მიუფე მას, — თქვენ გინდათ, რომ ორი-სამი საათი გავატარო ფრანგ ქალბატონთან, მეორე დღეს მოვიდეთ თქვენთან და გიამბოთ ჩემ შთაბეჭდილებებზე?“ — „არა, — მიპასუხა მან, — მეორე დღეს იმავე ნომერში თქვენთან სხვა გოგონა მოვა“. „გულუხვები ხართ, — ვუპასუხე, — ორი ფრანგი ქალბატონი ერთის ფასად“.

— „არა. მთლად ასე არ არის. ერთ-ერთი გოგონა ინგლისელი იქნება და თქვენ უნდა გამოიცნოთ რომელი რომელია“. — „ამას, ალბათ იმ ნუთასვე მივხვდები, როგორც კი ვიტყვი „ბონჟურ“ და როგორც კი შევხედავ მას“. „თქვენს მოსვლამდე მე უკვე ვიქნები ნომერში: პირველად რასაც გავაკეთებ, ის იქნება, რომ თვალეებს აგიხვევთ. ამის შემდეგ კი შემოვუშვებ ოთახში გოგონას. თვალეებიდან სახვევის მოხსნა მხოლოდ მაშინ შეგეძლება, როცა ყველაფრის შემდეგ ის კარს გაიჯახუნებს... რას ფიქრობთ ჩვენს წინადადებაზე?“

ნადადებაზე?“

რა უნდა მეთქვა? უბრალოდ გაოგნებული დავრჩი. მე ხომ ძლივს მოვასწარი იმის გაფიქრება, რომ „ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებოდა“. გამოვიდა, რომ არც ორ ნაჩუქარ ცხენს გავუსინჯავდი კბილს... როცა ხელი დავიდე გულზე, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ორი დღე-სასწაული ერთდროულად განვიცადე. ერთი მხრივ, თვალეების ახვევა მაინცდამაინც არ მხიბლავდა, მაგრამ მეორე მხრივ, მართალი რომ ვთქვა, — მომწონდა ეს ყველაფერი.

როგორ უყვართ მოხუცებს თავის ქება და ყველაფრის გაბუქება. თითქმის საცოდავები არიან. ამ შემთხვევაში ბრმაც კი მიხვდება, რომ ყველაფერი გამოგონილია. პარიზი, ქალი, თან ორი ქალი, თითო-თითო დღით კარგი სასტუმროს ნომერში და ეს ყველაფერი მოწყობილი და გადახდილია ვის მიერ? ბებიამენს მოუყევი ეს ზღაპრები ბიძაჩემო, — გავიფიქრე. სიმართლესთან უფრო ახლოს იქნებოდა, ოცი წუთი Hotel de passe⁸-ში, სადაც პირსახოცის ნაცვლად რალაც ტილოს გაძლევენ და კაცმა არ იცის, რას აიკიდებ იქიდან გამოსულს.

მაინც რაში სჭირდებოდა მოხუცს ასეთი ამბის გამოგონება? ალბათ, სწორედ მსგავსი ბანალური ისტორიებით ივსებენ მარტოობას. კარგი, ბიძაჩემო, განაგრძე ამბავი, გზა დამითმია შენი ინტიმური ცხოვრების სისულელეებისთვის, შტურმანზე და ავტორალიზე ხომ აღარაფერს ვამბობ.

„თანახმა ვარ, — ვუთხარი გულუხვ მასპინძელს“. — განაგრძო ძია ფრედიმ ზღაპარი. „მეორე დღეს გავნიე სასტუმროსკენ, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე, სენ-სიულპის ეკლესიის წინ მდებარეობდა. ისეთი თავსხმა იყო, დანიშნულ ადგილამდე მისვლა სირბილით მომიხდა. თავიდან ფეხებამდე გავილუმპე“.

უკვე არა უშავს. თორემ ვფიქრობდი, რომ ის ლამაზ, გაზაფხულის მზიან დღეზე დაინყებდა თხრობას და მომიყვებოდა აკორდეონისტებზე, რომელთა სერენადის

⁸ საროსკიპო.

ჰანგების ქვეშ ის ლუქსემბურგის ბაღს მიუყვებოდა.

— მოვძებნე ნომერი. ის კაცი უკვე იქ იყო. დამეხმარა პალტოს გახდაში. მაგრამ როგორც მიხვდი, ჩემი კეთილი და გულუხვი მასპინძლის წინაშე გაშიშვლებას არ ვაპირებდი. „ნუ ნერვიულობთ, — თქვა მან, — ის თვითონ გააკეთებს ყველაფერს“. მან მხოლოდ მიმითითა, რომ საწოლზე ჩამოვმჯდარიყავი და კაშნეთი ამიხვია თვალები. ამის შემდეგ სიტყვა ჩამომართვა, რომ სახვევს არავითარ შემთხვევაში არ მოვიხსნიდი და ოთახიდან გავიდა. ორი წუთის შემდეგ კვლავ მომესმა კარის ხმა...

ბიძაჩემმა ვისკიანი ჭიქა მაგიდაზე დადო, თავი უკან გადაწია და თვალები მილულა, რომ დეტალურად გაეხსენებინა ის, რაც არ უნახავს. მოთმინება მოვიკრიბე და არ დავარღვიე განელილი სიჩუმე. ბოლოს თქვა:

— შემდეგ დადგა მეორე დღე. ყველაფერი განმეორდა. მეორე დღესაც კოკისპირულად წვიმდა...

ნერვიულად გავიქნიე ხელი. ვისკიანი ჭიქაში ყინულები აჩხრიალდა, თითქოს იქიდან ამოხტომას ლამობდნენ. მომეჩვენა, რომ ძია ფრედის კიდევ რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ... იქნებ დაასრულა კიდევ? არა, არა. ასე საქმე წინ ვერ წავა. ეს ყველაფერი ხომ (თუ შეიძლება ასე ითქვას) სექსუალურ სურვილს აღვიძებს.

— მერე როგორ?..

— როგორ? — ჩუმად თქვა მან, — როგორ და ასე.

რამდენიმე წუთი სიჩუმე არავის დაურღვევია. ბოლოს თავი ველარ შევიკავე:

— და მაინც, რაში მდგომარეობდა განსხვავება?

ისე, რომ არც განძრეულა და თვალის არ დაუხამხამებია, სადღაც შიგნიდან ისეთი ხმა ამოუშვა, ჩასუნთქვას და ამოსუნთქვას ერთდროულად რომ ჰგავდა.

— ფრანგი გოგონა წვიმისგან დასველებულ სახეს მილოკავდა, — ბოლოსდაბოლოს აღმოხდა ძია ფრედს და თვალები გაახილა. თვალის უპეები ცრემლებით სავსე ჰქონდა.

გული ამიჩუყდა. „ფრანგი გოგონა წვიმისგან დასველებულ სახეს მილოკავდა“...

ბიძაჩემი ან საოცრად მოხერხებული მატყუარაა, ან საოცრად ნიჭიერი სენტემენტალისტ-გამომგონებელი. შემძრა მისმა სიტყვებმა და მე ვერ შევძელი შურის დაფარვა.

— ესე იგი, შენ მაინც მიხვდი...

— რას მიხვდი? — დაბნულად მომიბრუნა კითხვა. ალბათ ახლა პიკანტურ სცენებს იხსენებდა.

— რომელი იყო ინგლისელი და რომელი ფრანგი...

— ა... ჰო... რასაკვირველია. რასაკვირველია, მიხვდი.

— და რომელი აღმოჩნდა?

— შენი აზრით?

— ნივრის სუნით გაარჩიე?

ძია ფრედი გამხიარულდა.

— მათ ორივეს სუნამოს სურნელი ასდიოდა. რა თქმა უნდა, სხვადასხვა სუნამოსი.

— არა, მართალი რომ გითხრა...

— ესე იგი, ისინი განსხვავებულად გეფერებოდნენ? მითხარი, როგორ მოხდა ყველაფერი?

— აი, ეს კი კომერციული საიდუმლოა, — სახეზე კვლავ აღებეჭდა თვითკმაყოფილება.

— მითხარი, მითხარი, ბიძია ფრედი.

— ყოველთვის ვეთანხმებოდი წესს — არავისთან შენი ქალების შესახებ არ იჭორაო!..

— კარგი რა... შენ ხომ ისინი თვალისადაც არ გინახავს. ურთიერთობა გქონდა მხოლოდ შეთანხმების საფუძველზე. ისინი ხომ არ იყვნენ შენი ქალები.

— ჩემთვის იყვნენ. თან ორივე. ასეთი შეგრძნება მქონდა...

ცოტაღა მაკლდა და გავსკდებოდი ბოლმისგან. ბიძაჩემის ზღაპრები ჩემდაუნებურად თავად მივიჩნიე სიმართლედ. მაგრამ რა აზრი ჰქონდა მთელი ამ ისტორიის გამოგონებას, თუ მთავარს არ იტყვი?

— შეგიძლია მენდო, ბიძია ფრედი. მათ ხომ უთხარი?..

— მათ?

— ჰო, სიურრეალისტებს. მათ ხომ ყველაფერი ზედმინუნით უამბე.

— ჰო. რასაკვირველია... ინგლისელის

სიტყვა კანონია. მხოლოდ იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა თავად კანონს არღვევენ. შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ და თვითონაც კარგად უნდა გესმოდეს ეს. ამასთან ერთად... შიგადაშიგ პირველ ჯერზეც და განსაკუთრებით მეორეზე მეჩვენებოდა, რომ ვილაც მითვალთვალებდა.

— ვინმე იჯდა ტანსაცმლის კარადაში?

— სად და როგორ, წარმოდგენა არ მაქვს. მაგრამ ეს შეგრძნება არ მტოვებდა. ისიც მეჩვენებოდა, თითქოს რალაც წუმპეში ამოვიგანგლე. შემდეგ კიდევ ერთხელ შევფიცე თავს, რომ ცხოვრებაში ჩემი ქალების შესახებ არაფერს ვიტყვოდი. ამიტომაც მეორე დღეს ჩავჯექი მატარებელში და სახლში გამოვემგზავრე. ბუნებრივია, დავივინყე ავტორალიც, იატაკის გასაპრიალებელი ნატურალური ცვილიც და ბრწყინვალე პერსპექტივებიც... ეს იყო ყველაზე ჭკვიანური ნაბიჯი ჩემს ცხოვრებაში, — აგრძელებდა ბიძაჩემი, — მე ხომ სწორედ მაშინ გავიცანი დეიდაშენი კეიტი სახლისკენ მიმავალ გზაზე.

— ამის თაობაზე არაფერი ვიცოდი.

— საიდან გეცოდინებოდა?... ერთი თვის შემდეგ დავინიშნეთ... სამ თვეში დავქორწინდით.

— დეიდაჩემს როგორი რეაქცია ჰქონდა ამ ამბავზე?

ბიძაჩემის სახეზე კვლავ გაჩნდა განდგომილი, მარტოსული ადამიანის ნიშნები.

— დეიდაშენი ისეთი წმინდა იყო, როგორც ახალი თოვლი. აზრადაც არ მომსვლია მასთან ამ ამბის გარჩევა.

— როგორ... არასდროს მოგიყოლია მისთვის ამის შესახებ?

— არასდროს. და მერე, ერთი წუთით დააყენე მის ადგილზე თავი. წარმოდგინე: ის ეცნობა სიმპათიურ ყმაწვილს. ეკითხება, რას საქმიანობდა პარიზში. ყმაწვილი კი ამბობს: ორ-ორი საათით ვიკეტებოდი ოთახში სხვადასხვა გოგონასთან ერთად... როგორ ფიქრობ, რას იფიქრებდა ის ამ ყველაფერზე?

ჩემი დაკვირვებებით შევნიშნე, რომ ბიძია ფრედისა და დეიდა კეიტს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. დეიდას გარდაცვალებას ბიძაჩემი საშინლად განიცდიდა.

თუმცა ხანდახან (როცა ვისკის რამდენიმე დღის განმავლობაში შეუსვენებლად სვამდა), დეიდა წარსულში რჩებოდა და უკვე მოხუცი კაცი ასაკის შეუფერებლად იქცეოდა.

ბიძაჩემმა ცოლის გარდაცვალების შემდეგ ექვსი დაბადების დღე გადაიხადა. ეს რალაც ცხოვრებისეულ ინერციას უფრო ჰგავდა... პანაშვიდებზე ძალიან ცოტა ხალხი იყო და ვფიქრობდი, რომ გვირგვინი სიურრეალისტებისგან თავისი უხამსი მინიშნებებით, შეიძლებოდა იქაურობას მოხდენოდა კიდევ.

ბიძაჩემის გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ გამოვიდა „Recherches sur la sexualite“, რომელმაც ნაწილობრივ დაამტკიცა ფრედის მონაყოლი. მე კი ისევ და ისევ ვფიქრობდი ამ ამბავზე. მიჩნდებოდა ახალი კითხვები და თავს ვიმტვრევდი პასუხის ძებნაში. მაცოფებდა ის, რომ ბიძას ძლივს გამოვტყუე სულ ერთადერთი ფრაზა „ფრანგი გოგონა მილოკავდა წვიმისგან დასველებულ სახეს“.

უკვე ვთქვი, რომ შემთხვევითი შეხვედრის მასალები გამოქვეყნდა „Recherches“-ის დანართში. აქ, რასაკვირველია, იყო წინასიტყვაობაც, შესავალიც, ტექსტიც, გამოტანები ტექსტისთვის, გამოტანები დანართისთვის.

მე, ალბათ, ერთადერთი ადამიანი ვარ, რომელმაც იქ აღმოაჩინა რალაც საინტერესო და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ოჯახის წევრზე იყო საუბარი. სხდომა 5 (ა)-ს ოცდამესამე გამოტანაში ნათქვამია, რომ ინგლისელი, რომლის ინიციალებია ტ.ფ., ერთხელ მონაწილეობდა... ციტირებას ვაკეთებ: „ცდაში, რათა დაემტკიცებინა სიურრეალისტების თეორია“, მაგრამ ექსპერიმენტის შედეგები ვერ შენარჩუნდა. აქვე მოხსენიებულია, ვინმე ინგლისელი გოგონა, ინიციალით „კ“.

დავასრულე ამბის თხრობა და ახლა ორ მოსაზრებას მოვიყვან.

პირველი: ალბათ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც მეცნიერებს საკუთარ თავს სთავაზობენ კვლევის მიზნით. მეცნიერები კი მათგან ნაწილობრივ მაინც მალავენ კვლევის ჭეშმარიტ არსს, რადგან შიშობენ, რომ შესაძლოა არსის ცოდნამ

ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ნებით თუ უნებლიეთ, გავლენა იქონიოს ექსპერიმენტის ობიექტურ შედეგზე.

მეორე მოსაზრება თავში სულ ცოტა ხნის წინ მომივიდა. მგონი ვახსენე, რომ ღვინის დეგუსტაციით ვარ გატაცებული. განვევრიანებულეც კი ვარ მეღვინეების მცირე ჯგუფში და თვეში ორჯერ ყველანი უკლებლივ ვიკრიბებით. დეგუსტაციის დროს ყველანი თვალეზახვეული ვართ. როგორც წესი, ხშირად ვცდებით. ხანდახან, არც ვცდებით. თუმცა ამ საქმეში (უნდა ითქვას, რომ შეუცდომლად) წინ წასვლა არც ისე იოლია. თუ ღვინო გემოთი ავსტრალიურ შარდონეს გახსენებთ, ესე იგი, ეს მართლაც ის არის. მაგრამ შესაძლებელია მას ეტიკეტი შეუცვალონ და ძვირადღირებულ ბურგუნდიულად გაასაღონ. თუ გასინჯვის დროს იგი შარდონეს ზემოთ ვერ ადის, ეს იმას ნიშნავს, რომ

არც არასდროს იქნება ნამდვილი ბურგუნდიული, მაგრამ ეტიკეტი?.. ასე რომ, შეცდომებს ხშირად ვუშვებთ.

მაგრამ არსი ეს არ არის. რამდენიმე კვირის წინ ჩვენთან ჩამოვიდა ცნობილი მეღვინე ქალი და ერთი კურიოზული ამბავი მოგვითხრო: ვიღებთ 2,4 ლიტრიან ღვინით სავსე ბოთლს და სითხეს ღვინის ორ ჩვეულებრივ ბოთლში ვასხამთ. თუ დეგუსტაციას თვალეზახვეული ჩავატარებთ, მაშინ ეს ექსპერიმენტი ცხადყოფს, რომ ძალზე კარგი სპეციალისტებიც იშვიათად ხვდებიან, რომ ამ ბოთლებში ერთნაირი სითხე ასხია, რადგან ფიქრობენ, რომ მათ აუცილებლად განსხვავებულ ღვინოებს დააგემოვნებინებენ. „ძალზე საჩვენებელი ექსპერიმენტი“, — შენიშნა მეღვინე ქალმა და ისიც დაამატა, რომ ეს თითქმის ყოველთვის მართლდება.

თარგმნა **კეკა ჭკადუაშ**





დაიბადა 1899 წლის 13 აგვისტოს ლონდონში. ერთხელ, ბავშვობაში, ცუდი საქციელის გამო, მამამ პოლიციის განყოფილებაში მიიყვანა და სამართალდამცველებს რამდენიმე საათით მისი საკანში გამომწყვდევა სთხოვა... მოგვიანებით, რამდენიმე ფობიით შეპყრობილი, თავის განცდებს შემოქმედებითი კუთხით განაწილბრებს...

„საგანგაშო ატმოსფერო და დაძაბული მოლოდინი“ — ეს ის ორი არგუმენტი, რომელსაც ცნობილი კინორეჟისორი, პროდიუსერი და სცენარისტი ალფრედ ჰიჩკოკი საოცარი ოსტატობით ქმნიდა. მისი წვლილი განუზომელია ამერიკულ კინოინდუსტრიაში.

მას ჰობიც ჰქონდა — შოკისმომგვრელი, ამოუცნობი მოვლენებით აღსავსე პატარ-პატარა მონათხრობების შეკრება. ნიგნად გამოცემულ პირველ კრებულს დიდი აღიარება ხვდა წილად. ამიტომ, ავტორმა მას სერიის სახე მისცა.

ალფრედ ჰიჩკოკი გარდაიცვალა 1980 წლის 29 აპრილს.

ალფრედ ჰიჩკოკი

ისტორიები, ლამე რომ არ დაგაქინებენ

სასლი, რომელშიც მკვლელობა მოხდა

დეი კინის ნაამბობი

გარკვეული დროის შემდეგ სარას გაუჩინარებას, რასაკვირველია, შეამჩნევენ. ოჯახი მის ძებნას შეუდგება, მაგრამ მას, ისევე როგორც მის ჩეკებს, ვერ იპოვიან. მისი ჩეკები მისი წარმომადგენლის — ჩემს სახელზეა. და როცა ძებნა დაიწყება, მე შორს ვიქნები. საქმე გაკეთებულია. უკან დასაბრუნებელი გზა აღარ არის.

ყველაფერი შარშან ზაფხულს, ესტრელას ტბაზე, მთაში დაიწყო. ლას-ვეგასში ცოტა ფული მოვიგე და ტბისკენ გავეშურე. მინდოდა, შემეხედა, რაიმე საქმისთვის თავის მობმას შეეძლებდი თუ ვერა. და უცებ შევამჩნიე, რომ მომგებიან საქმეს წავაწყდი.

აქ მარტოხელა ქალები ბუზებივით ირევიან. მათი უმრავლესობა უკვე საკმაოდ პატივსაცემი ასაკისაა, ფულიანია და თუთიყუშივით გაუთავებლად

ლაქლაქებს იმაზე, თუ რა საუცხოოდ ისვენებენ, მაგრამ მოწყენილობისგან არ იციან რა გააკეთონ.

ფინანსურ მდგომარეობაზე გაკითხვამოკითხვის შემდეგ გადაწყვიტე ჩემი ყურადღების საგნად მექცია ქვრივი პარკერი — იმ ქალებთაგან ყველაზე მომხიზვლელი არსება.

ქალს, როგორც მიღებულია, ვარდები მივართვი, თან ეს ისე თავაზიანად მოვახერხე, როგორც ამას ქალი ელის თავყანისმცემლისგან. ასე, ორმოცდახუთი წლის ტანმორჩილი, ჩაფსკვნილი ქალი იყო, ხელის თითები დაფარული ჰქონდა ბრილიანტებით. თავიდან მას ეს ართობდა, შემდეგ კი მადლიერების გამოხატვა მოუნდა. ასე მას ჯერ არავინ არასოდეს მოქცევია (თანაც ჩემისთანა საფეთქლებშეჭალარავებულები და ალაკლარკ გეიბლის ყაიდის უღვაშებით დამშვენებული ლამაზი მამაკაცი). მადლიერება სინაზეში გადავიდა და ქალმა დაკარგა საღი აზრი, რომელსაც ნამდვილად ფლობდა, რის შემდეგაც საქმე ჩინებულად წავიდა, და, ვფიქრობ, მან

ჩემი ირწმუნა, როცა ვუთხარი, ისე ძლიერ მიყვარხართ, რომ მთელი ჩემი დარჩენილი სიცოცხლე მინდა თქვენ შემოგწიროთ-მეთქი. მას კი, ეჭვგარეშეა, ვუყვარდი. მისთვის კრემისფერკადილაკიანი მომაჯადოებელი პრინცი ვიყავი. ყველა გონიერი გოგონა და ზოგიერთი წინდახედული ქალიც კი, დარწმუნებულია, რომ მას ასეთი პრინცი ოდესმე მოეველინება.

როცა გამოვერკვიე, ცუდ დღეში ჩავვარდი. დაახლოებით ორი თვის შეუღლებულები ვიყავით, როცა გავაცნობიერე, რომ მცდარი ინფორმაცია მქონდა იმ თანხის რაოდენობაზე, რომელიც მას განსვენებულმა ბატონმა პარკერმა დაუტოვა. რასაკვირველია, მას ამ ველური ყურძნით შემორკალული და სან-ფერნანდოს ველზე, ბორცვის თავზე გაშენებული ძველი რანჩოს გარდა, სხვა სახსრებიც საკმარისად ჰქონდა. ჩვენ შეგვეძლო გაჭირვების გარეშე გვეცხოვრა. მე ამით ბედნიერი ვიქნებოდი. გონიერი კაცი ვარ და მისი მოკვლა განზრახული არ მქონია. ისე კი, ჩემი თავის გასამართლებლად უნდა ვთქვა, რომ სარა ჯერ ისევ ცოცხალი იქნებოდა, ასეთი გაუკუღმართებული გონება რომ არ ჰქონოდა. გადამეკიდა, გაუთავებლად ერთსა და იმავეს მიჩიჩინებდა: შენ უნდა იმუშაო, რომ ოჯახის გასაველებში შენი წილი შემოიტანო! მე კი ამას მერჩივნა, მისი განსვენებული ქმრის მიერ რკინა-ბეტონის მრეწველობაში ნაშოვნის სიმდიდრის ხარჯზე მეცხოვრა.

უკვე სამი თვეა რაც ცოლ-ქმარი ვართ და მისთვის უცებ ნათელი გახდა, რომ ჩემი ხუთიათასფრანკიანი რანჩო და ათასი სული საქონელი მხოლოდ აბლაბუდა იყო, რომელშიც ის შევიტყუე.

ის დილა ძალიან კარგად მახსოვს. რადგან ნაღდი ფული საერთოდ არ მქონდა, იძულებული ვიყავი მისთვის მეთხოვნა. ასე შეიტყო მან სიმართლე. ჯერ ნაუტირა, შემდეგ კი მითხრა:

— მე ვხედავ... მე შემეძლო... მე ამას

უნდა მივმხვდარიყავი... ერთი დოლარიც კი არ გაქვს. რამდენიც უნდა ითვალთმაქცო... შენ... შენ მხოლოდ მექალთანე ხარ და მეტი არაფერი... შენ მხოლოდ ფულის გამო შემირთე ცოლადა.

ეს სიმართლე იყო. მაგრამ მე, ვისაც ჯიბეში ცენტიც კი არ მქონდა, იძულებული ვიყავი მეღიარებინა ყოველივე. მაგრამ პროტესტი განვაცხადე იმ ბრალდებაზე, რომ ის არ მიყვარს, და თუნამდვილად ვიცრუე, მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემი სიყვარულის საგანი არ დამეკარგა.

ალბათ, მიხვდა, რომ ტყუილს ვამბობდი. მაგრამ მას ისე ძლიერ უნდოდა დაეჯერებინა ჩემი სიტყვები, რომ დაიჯერა კიდეც.

ვიხსენებ ამ ორმოცდახუთი წლის სულელ, მოალერსე ქალს, რომელიც გაუთავებლად მთხოვდა, რომ მყვარებოდა.

— ხომ მართალია, ჯეკ? ხომ გიყვარვარ? ხომ არასოდეს მიმატოვებ?

შევპირდი, რომ არ მივატოვებდი, თუმცა, მისთვის მიცემული სიტყვის შესრულებას არამც და არამც არ ვაპირებდი. ჩემს თავს ვუტყდებოდი, რომ შევცდი და სარასგან ასე ბევრის მიღების იმედი არ უნდა მქონოდა. მაგრამ ნებისმიერ ფასად უნდა გამომეღწია ამ ჩიხიდან. იმასაც კი ვფიქრობდი, უბრალოდ ავმდგარიყავი, მიმეტოვებინა და მისი ფულის რალაც ნაწილს მაინც დავუფლებოდი. ასეც მოვიქცეოდი, მაგრამ, რადგან სარა იდიოტი სულაც არ იყო, თვალყურის დევნას არასოდეს ანებებდა თავს... განაგრძობდა ქაქანს, რომ მე ვუყვარდი, მაგრამ ჩემთვის მოცემული ყოველი დოლარისთვის მაიძულებდა პატარ-პატარა დამცირებები ამეტანა.

ჩვენ შორის მეორე სერიოზული შეხლა-შემოხლა მისი ერთ-ერთი დისწულის, კეროლის გამო მოხდა. ეს კეროლი მომხიბვლელი არსება იყო — გამხდარი, ქერათმიანი, ლალი, გიჟმაჟი.

მახსოვს, კვირადღე იყო, ახალი წლის ერთ-ერთი პირველი კვირადღე. ეშხში

ვიყავით შესული, ბევრს ვსვამდით. და როცა ღვინის ჭურჭელი დაიწალა, კეროლმა თვითონ მთხოვა სარდაფში ჩავყოლოდი მის ასავსებად.

მალე მომიწევს ამ სარდაფზე ლაპარაკი. მართლაც, ყველა პრობლემის გზავარედინი ესაა — პრობლემები აქ კვეთენ ერთმანეთს. ისე, კალიფორნიული ტიპის რანჩოს სარდაფი იშვიათად აქვს. ეს ერთადერთი სარდაფი იყო ირგვლივ მთელ ათას კილომეტრზე და, ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი არ მოხდებოდა, სარას განსვენებულ მეუღლეს მოსაპირკეთებელი ქვით რომ არ ემუშავა. სარა მეუბნებოდა: მას ეს სარდაფი იმისთვის უნდოდა, რომ დაემტკიცებინა თავისი ნაკეთობების არამარტო სიმყარე, სიმტკიცე, არამედ შეუვალობა, გაუყოვნებლობა და საიზოლაციო თვისებები... და უნდა ვაღიარო, რომ ყველაფერი ეს ნამდვილად საუკეთესო ხარისხის იყო, რადგან სარდაფი ყველაზე კოკისპირული წვიმების დროსაც კი ყოველთვის მშრალი და საოცრად ხმაშეუღწევადი იყო. როგორც კი მის მიერ დამზადებული მოსაპირკეთებელი ქვა დულაბით დამაგრდებოდა, მას უკვე ვერც ადამიანი დააკლებდა რამეს და ვერც მექანიზმი.

ჰო, კეროლს და იმ კვირადღეს ვუბრუნდები. ძალიან ბევრი დავლიე. კეროლი მომაჯადოებელი იყო, მდუმარე სარდაფი კი ბინდბუნდში იყო დანთქმული. ჭურჭელში ღვინო ჩავასხი და მალა ასასვლელად გავემზადე, რომ უცებ, არ ვიცი როგორ, ვიგრძენი, კეროლი ჩახუტებული მყავდა. მისი ცინცხალი, მხურვალე სხეული ჩემს სხეულს იყო მოკრული, ის კი ამას მაინცდამაინც არ აპროტესტებდა: „ვაი! ძია ჯექ!“ შემდეგ მისმა ტუჩებმა უპასუხეს ჩემსას, და ახლა უკვე იმაზე ვფიქრობდი, რომ, ჩვენში დარჩეს და, შეიძლებოდა უარესიც მომხდარიყო, ოჯახზე ხელის აღება მომიწევდა, მაგრამ... უცებ მათრახი, რომელიც ადრე კიბეზე მქონდა შემჩნეული, პირდაპირ ლოყაზე მო-

მეტყლაშუნა და სარას ღვარძლიანი, მხამიანი სიტყვები ჩამესმა: — მოშორდი ამ ბავშვს, ჯექ მარკჰემ!.. თუ ოდესმე კიდევ გაგიჩნდება მასთან მიკარების სურვილი, მოგკლავ!

სარა გულწრფელი იყო.

კეროლმა მოკლე „ვაი!“ შესძახა, მკლავებიდან დამისხლტა და გაქრა.

— მე მხოლოდ ის მინდოდა... — დავინყე ბუტყუნი სარასკენ მიბრუნებულმა.

— დიახ, სწორედ ის გინდოდა, რაც მე დავინახე, — თქვა მან.

არ მახსოვს, ოდესმე ასეთი სიძულვილი გამოენვიოს მას ჩემში... მისი მრისხანებითა და ღვინით შეშუპებული სახე, მისი საშინლად აწენილი მიღებილ-მოღებილი კულულები... და ის ადგილებიც კი, სადაც ამოზნექილობები უნდა ჰქონოდა, სავსებით გაბრტყელებოდა, და პირიქით... როცა ბოლო იმედი გადავინურე, და ბოლო ილუზიები გამიქრა, ის მხოლოდ იმ ნებისმიერი შებერებული ქალის კარიკატურულ გამოსახულებად აღვიქვი, ვისაც უკვე გაერკვია, რომ მოტყუებული იყო.

— ყური მიგდე... კარგად მომიმინე, — თქვა მან, — გასაგებია, რომ საძაგელ ტიპს მივთხოვდი. რაც მოხდა, მოხდა. მაგრამ მე რაც ვიყავი, ის უკვე აღარ ვარ. და, აი, რას გეტყვი: თუ შევამჩნევ, რომ ერთხელ მაინც გამოიჩინ ინტერესს კეროლისადმი, მოგკლავ, და დარწმუნებული იყავი, სიტყვებს ჰაერში არ ვფანტავ. მე სხვა რამეს გეუბნები: შენ საკმარისად იმუქთახორე. ხვალ დილასვე მოძებნი სამსახურს, თორემ მუცელზე ქამრის შემოჭერა მოგიწევს...

ამით ყველაფერი დამთავრდა. ჭურჭელი აიღო, წავიდა და სარდაფში მარტო დამტოვა. ღვინო პირდაპირ პატარა კასრიდან შევსვი და ვითარების გასაანალიზებლად იქვე ჩამოვჯექი. სარა გესლიანი იყო. ალბათ, ნაზი სიტყვები და ალერსიც კი ვერ დამიბრუნებდნენ ამ სულები დედაბრის ჩემდამი კეთილგანწყობას. მისთვის უკვე არაფერს წარმოვადგენდი. რამე უნდა მეღონა.

ისევ დავისხი ღვინო. ნათურების სუსტი შუქი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს კედლების გაშიშვლებული სიქათქათე სარდაფის დაბინდულ შორეთში ინთქმებოდა. ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო და სარდაფის ბოლოსკენ გავიწიე. წარმოდგენაც კი არ მქონდა, სახლი ასეთი უშველებელი თუ იყო, ამდენი გამონაშვერი და კვანძი თუ ჰქონდა, მობეტონებული იატაკი, სპეციალური ქვით მოპირკეთებული კედლები, რომელთაც შვერილები და ძგიდეები ამშვენებდა. ღვინის სარდაფის გარდა, აქ იყო ხილის სარდაფი, ბავშვის სათამაშოებით სავსე ერთი ოთახი, რომლითაც არც არასოდეს უსარგებლიათ, სამრეცხაო, სარეცხის საშრობი, სახელოსნო, საკუჭნაოები, რომლებიც მოპირკეთებული ქვებით იყო ერთმანეთისგან გატიხრული. მეგონა, რაღაც ლაბირინთში დავიარებოდი. ალბათ, სარამაც არ იცოდა ბოლომდე აქ სად რა იყო. ერთხელაც არ მინახავს, რომ მას სამრეცხაოს იქით ფეხი გაედგას.

ორმოცამდე მეტრი გავიარე და ბოლოში გავედი, იმის ქვეშ აღმოვჩნდი, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო რაღაც ფარული პატიოს საყრდენი.

ეს მონყობილობა, ეტყობა, პარკერის მიერ დატოვებული მთელი ქონების ტოლფასი იყო, რადგან ამ ადგილას ჭერი ძლიერი რკინაბეტონის კედლით იყო გამაგრებული.

სავსებით ცხადია, რომ მესიე პარკერს აქ რაღაც სხვა ნაგებობის აშენება უნდოდა, რადგან კედლის გასწვრივ აკურატულად იყო დანყობილი საკმარისი რაოდენობა მოპირკეთებული ქვის ფილებისა, რითაც ტიხრის გაკეთებას შეძლებდა და ამ ყრუ ადგილს სხვა დანარჩენებისგან გამოაცალკევებდა.

ძლიერი კედელი, რომელიც მეტრნახევარზე ჰერმეტიულად ჩაკეტავდა ამ ყრუ ადგილს! აი, უპირველეს ყოვლისა, რა იყო საყურადღებო. პარკერი მოკვდა. მაგრამ აქ ცოტა და აქა-იქ მიმოყრილი გამოუყენებელი ფილებიდან რამდენიმე

მათგანი რომ დაკარგულიყო, ამას ვერც ვერავინ შეამჩნევდა. თუმცა სარას გაუჩინარებას კი შეამჩნევდნენ და ეს იყო სწორედ სერიოზული დაბრკოლება, რომელიც უნდა გადამელახა. მაგრამ ადამიანს რა გმირობის ჩადენა არ ძალუძს ოთხმოცდათხუთმეტი ათასი დოლარის გამო.

და ეს გმირობა მე, ჯეკ მარკჰემმა ჩავიდინე. მე პარკერის მიერ თითქმის ჩადენილი დანაშაული ჩავიდინე. მე სარა მოვკალი და მთელ მის ჩეკებს დავეპატრონე.

ოღონდ ნათურის შუქი ასე არ ბჟუტავდეს...

მაშ ასე, მე ის მოვკალი და ამოვაშენე კედელი, რომლის იქითაც ის სამარადუამოდაა დაგმანულ-დატანებული. ფასეულობები ჩემს ხელთაა. სახლი გაყიდულია. მისი ახალი მფლობელი ვერასოდეს გაიგებს, რომ მათი სარდაფი მეტრნახევრით მეტია და თვეები გავა, ვიდრე სარა გაახსენდებათ.

თუმცა, რასაკვირველია, ეს ასე იოლი რამ სულაც არაა. პირველი, რაც უნდა გამეკეთებინა, მისი ჩემდამი კეთილგანწყობის აღდგენა იყო. ვიზრუნე იმაზე, რომ ძალიან შეფიქრიანებულ-შენუხებული არ გამოვჩენილიყავი, რათა ისეთი ხელის ჩასაჭიდებელი რამ არ დამტყობოდა, რის საფუძველზეც ვინმე მისიანი შემდეგ ათასგვარი შეკითხვებით გულს გამინყალებდა.

და მეც ისე მოვახერხე, რომ ჩემი ქცევები თავად ლაპარაკობდნენ ჩემს ნაცვლად. პირველი: სმა შევწყვიტე. შემდეგ ჩემი მანქანა გავყიდე, ფული სარას მივეცი და განვუცხადე:

— კეთილი, გეთანხმები, რომ საძაგელი ადამიანი ვარ. ან, ყოველ შემთხვევაში, შენ ასე გგონია. ჰოდა, იქნებ ამან იკმაროს ჩემს ბინის ქირად?

დაბნეულმა სარამ ნაირნაირი ეჭვებისკენ მთელი თავისი მიდრეკილებების დემონსტრირება მოახდინა, მაგრამ მე წინააღმდეგობას არც კი ვუწევდი. მესამე ჩემი გმირობა სამსახურის შოვნა

იყო. სწორედ ისეთი სამსახური ვიშოვე, რომელიც დამენმარებოდა იმ ყველაფრის შესწავლაში, რაც მოსაპირკეთებელ ქვებთან და კირდულაბთან იყო დაკავშირებული.

უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მემახსოვრება ის პირველი საღამო, როცა სახლში ცემენტის მტვერში ამოგანგლული დავბრუნდი. სარამ მკითხა, რა სამუშაო ნახეო და მეც ვუპასუხე:

— მოსაპირკეთებელ ფილებს ვამზადებ. უბრალო მუშად ვმუშაობ მესიე პარკერის მიერ დაფუძნებულ სანარმოში.

სარა ფიქრობდა, რომ ვხუმრობდი, რადგან მრავალი წლის მანძილზე პირველად ვიმუშავე, ქანცგაცლილს მთელი სხეული მტკიოდა და ეს ფუჭი ტკივილი სულაც არ იყო. როცა დარწმუნდა, რომ მართალს ვამბობდი, ძალიან კმაყოფილი და დარცხვენილი მომეჩვენა.

მან თქვა: „ო, ჯეკ...“ უნდოდა კიდევ რაღაც დაემატებინა, მაგრამ გონს მოეგო. ვიცოდი, რაზეც ფიქრობდა: „იქნებ, მე ის არასწორად შევაფასე. იქნებ, შევცდი. იქნებ, ის ჩემზე ფულის გამო არ დაქორწინებულა. იქნებ ის, საბოლოო ჯამში, არც ისე ცუდი გამწევი ძალაა...“

მეორე დღეს, დილით მაგიდაზე ყვავილები დამხვდა. პირველი ის ადგა, ჩემთვის ყავა რომ მოედუღებინა. იმ წამს თითქმის შემებრალა კიდევ. ძალიან უნდოდა დაეჯერებინა, რომ ამას იქით ყველაფერი კარგად იქნებოდა.

...სამუშაო რთული არ იყო. ნებისმიერ სულელს შეეძლო იმის გაკეთება, რასაც მე ვაკეთებდი. ორი კვირის შემდეგ ოსტატი გავხდი, ერთი თვის შემდეგ კი — წარმომადგენელი... აპრილის ბოლოს მესიე პარკერის მემკვიდრემ კომპანიონობა შემომთავაზა, მევედრა კიდევ, მიმეორებდა და მიმეორებდა — თქვენისთანა საქმიანი კაცის თვისებების მქონე, ჩემს დღეში არ მინახავსო. ვუპასუხე, რომ დავფიქრებოდი. მისთვის პასუხის გაცემას არც ვაპირებდი,

მაგრამ ჩვენი საუბრის ამბავი სარას ვაუწყე. თქვენ უნდა გენახათ, როგორ გაუბრწყინდა სახე. ალბათ, უკვე ლაიან ქლაბის (ლომების კლუბი), ან, შესაძლოა, სავაჭრო პალატის წევრად მხედავდა. შეიძლება იცინო ადამიანმა, მე კი სულ სხვა ფიქრები მიტრიალებდა თავში.

სარა სავსებით შეიცვალა. გაქრა მისი პირქუშობა და ყოველდღე თითქოს ახალგაზრდავდებოდა. სხვადასხვა ოთახებში უკვე აღარ გვეძინა. როცა დარწმუნდა, რომ ჩემთან ცდებოდა, გულმოდგინედ ცდილობდა თავისი დანაშაულის გამოსყიდვას.

ვინც არ უნდა მოსულიყო სახლში, მხოლოდ ეს სიტყვები ისმოდა: „ჯეკმა ეს გააკეთა“ ან „ჯეკი ფიქრობს, რომ...“ მე შეუმცდარ, უცოდველ ვინმედ ვიქეცი. მისთვის სხვას არაფერს ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან, დაიჯერა, რომ მიყვარდა და უკვე არ ეეჭვებოდა, რომ სწორედ მისი ზღაპრის პრინცი ვიყავი.

გაგიჟებით მინდოდა მაგრად დავმთვრალიყავი, იქ ამომეყო თავი, სადაც სინათლე იყო, სადაც სიცილი გაისმოდა და მუსიკა ჟღერდა, სადაც რულები ტრიალებდა და ბანქოს ქალაქი შრიალეზა, და სადაც ლამაზი ქალიშვილი მეტყოდა: „ჰელო, ლომო! რას ვაკეთებთ ამ საღამოს?“ ხელი მექავებოდა, ისე მინდოდა სარასთვის მეღენა და მისთვის ბებერი მსუქანი სულელი მენოდებინა, მისი ჩეკები მომეპარა და გავპარულიყავი.

რასაკვირველია, ეს შეუძლებელი იყო. ჩეკები ყუთში იყო ჩამალული და, რომც, ვთქვათ, იმ ჩეკების გამოტყუების რამე ხერხი გამომეძებნა, შორს მაინც ვერ წავიდოდი. არ შემეძლო ჩემი თავისთვის ისეთი ფუფუნების უფლება მიმეცა, როგორც სკანდალია. საჭირო იყო სარას ხმა ჩაენყვიტა, პირში ბურთი ჩაჩროდა.

და ამას კედლის მეშვეობით მივალწიე კიდევ .

როცა ოცდაათი სანტიმეტრის სისქის

კედელს იქით აღმოჩნდებოდა, ისეთი ქალიც კი, როგორც სარაა, ვერ შეძლებდა ბუენოს-აირესიდან დაბრუნებას. ბუენოს-აირესი იმ ოთხმოცდაათხუთმეტი ათას დოლარად, და ამას პლუს ის თანხა, რასაც ის ამ სახლის საფასურად მიიღებდა, სახუმარო არ იყო. როგორც იტყვიან, ჩიტი ბრდღვნად ღირდა. ბევრი მამაკაცი ნაკლებ ფასადაც კლავდა ქალს.

პირველ მაისს ჩემი გეგმის შესრულებას შევუდექი. დაფიქრებული გავცქეროდი სივრცეს და უგულოდ ვღეჭავდი საჭმელს, რომელიც თეფშზე მედო. სარამ იფიქრა, რომ ჩემი ღვიძლის გამო ვიყავი ნირნამხდარი, მაგრამ მაშინვე დავარწმუნე, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე მქონდა. არა, ფიზიკურად კარგად ვარ, უბრალოდ ყველაფერი მომბეზრდა. შენ არა, მომბეზრდა მხოლოდ რკინა-ბეტონზე მუშაობა-მეთქი.

ერთი სიტყვით, ეს საქმე არ შეეფერებოდა იმ მამაც კაცს, ვაჟკაცს, ვინც სუფთა ჰაერზე ცხოვრებას შეეჩვია, და მე იქ დიდ ნათელ მომავალს ვერ ვხედავდი.

რასაკვირველია, ჩემს რანჩოზე რაც ვთქვი, ტყუილი იყო. სიმართლე თუ გინდათ, არავითარი რანჩო არ მქონია. მაგრამ კარგი მუშაკი ვიყავი, ასეთად დავრჩი, და მუდამ ასეთი ვიქნები. მეყოფენოვანი ღვეზელების ჭამა, მომბეზრდა კინოვარსკვლავებიც და ორკარიანი მინი-რანჩოც. მე დიდი, ველური ადგილები, ჰორიზონტამდე გადაჭიმული სალბის იისფერი ბარდნარი მენატრება, დღის ბოლოს შინ მობრუნებული საქონლის ჯოგის ნაზი ბლავილი მწყურია. მინდა ისევ ვიგრძნო ღამის ცინცხალი ქარი, რომელიც ცხენით ჯირითისას სახეზე მელამუნება.

ეს ლიტერატურულ შედარებებს თუ გავდა და ბანალური იყო, და გასაკვირი სულაც არაფერია — იაფფასიან ვესტერნებში ბუნება ზუსტად ასეა წარმოსახული. როცა ფანქარი და ქაღალდი ავიღე და შევუდექი მისთვის იმის ახს-

ნას, როგორ შეიძლება პატარა ნახირით დიდი ქონების შოვნა, სარამ ეს დაიჯერა. მე მას ავუნერე გორაკებს შუა ჩამალული პატარა რანჩო, სადაც მარტო ჩვენ, ღმერთი და უსასრულობა ვიქნებოდით. შემდეგ, როცა სარა ყოველივე ამის ეშხში შევიდა, ცოტა უკან დავიხიე.

თუმცა, ვალიარებდი, მესაქონლეობა ლატარიაა, ბევრნი კოტრდებოდნენ იმით, რითაც სხვები მდიდრდებოდნენ, და სარას მივანიშნებდი, რომ ის, ახლობლებისგან შორს მყოფი, ბედნიერი არ იქნებოდა. დაჟინებით ვუსვამდი ხაზს იმას, რომ თუ ეს საჭირო გახდებოდა, მზად ვიყავი უარი მეთქვა ჩემს ოცნებებზე და სიცოცხლის ბოლომდე რკინაბეტონის კონსტრუქციები გამეყიდა.

ისიც ანკესზე წამოვეგო. იმაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, რომ მე მსხვერპლი გამელო. დავუმტკიცე, რომ გულწრფელად მიყვარს, რომ ნამდვილ ადამიანად მან მაქცია. მას უნდოდა, რომ მე ბედნიერი ვყოფილიყავი. მისთვის სულერთი იყო, სად ვიცხოვრებდით, რადგან ჩვენ ყველგან ერთად ვიქნებოდით. სარა მზად იყო, სახლი გაგვეყიდა, ყველა ჩეკი ჩემს სახელზე გადმოეტანა და, ჩვენთვის მოსაწონ რანჩოს თუ მოვნახავდით, ის ჩეკები მასზე დაგვეხარჯა.

მე ოდნავ შევეწინააღმდეგე. იმ ღამეს ვერა და ვერ ვახერხებდი დაძინებას, მხოლოდ მკვლევლობასა და იმ ყველაფერზე ვფიქრობდი, რაც ხიფათს შემიქმნიდა, თუ საქმე ცუდად შეტრიალდებოდა. გამთენიისას ჩავედი პირველ სართულზე, რათა ამ ბოლო ოთხი თვის მანძილზე პირველად გადამეკრა ერთი სირჩა ალკოჰოლი. ღმერთო! ნეტავ, ცუდად არ დამთავრდებოდეს ეს საქმე...

სამი კვირა გავიდა იმ დღიდან. სახლი ადვილად გაიყიდა. უძრავი ქონების აგენტმა ორ დღეში მოიყვანა კლიენტი, რომელმაც ფული გადაუხადა შუამავალს, გუშინ კი გარიგება დასრულებულად ჩაითვალა. ფული, ოცდასამი ათასი დოლარი, რომელიც იმავე უშველებელ კონვერტში დევს, ჩემს ხე-

ლთაა, ისევე როგორც ოთხმოცდათხუთმეტი ათასი დოლარის ჩეკები. საკმაოდ დიდი თანხაა, რომელიც რაღაც დროის განმავლობაში ჩემს არსებობას უზრუნველყოფს.

ერთადერთი რამ, რასაც არ ვისურვებდი, ისაა, რომ სახლის ახალ პატრონებს, ორი შვილის ახალგაზრდა დედ-მამას, რამე ექსტრასენსორული ტალანტი არ აღმოაჩნდეთ. თუმცა სარა, ალბათ, უკვე ვერაფერს შესძლებს, ვერაფერს მოუყვება მათ, რადგან ის, რაც მინდოდა გამეკეთებინა, მაშინ გავაკეთე, როცა მას ეძინა...

ეს იმ ღამეს მოხდა.

ოჯახი ცუდად შეხვდა მის გადანყვებილებას. ველოდი ასეთ რეაქციას. ჩემზე ეჭვი არავის აუღია, არც კეროლს, თუმცა უცნაურად კი მიყურებდა, როცა სარამ მოიწვია ჩვენი ახალი მამულის სანახავად. ჩემს მეუღლეს ახსოვდა ყველაფერი, რითაც ის კეროლისგან იყო დავალებული.

ჩვენი გეგმები ფრიად ჰუმანური ჩანდა. ზუსტად არ ვიცოდით რომელ რეგიონში, რომელ ოლქში დავფუძნდებოდით: შეიძლება ტეხასში დავსახლებულიყავით, ან მონტანაში, ანდა ჩიასუ-ახუაში. ერთადერთი რამ, რასაც ჩვენ არ ვესწრაფოდით, საზღვრის მეორე მხარეს გადასვლა იყო. სარამ განაცხადა, რომ წერილების წერა არ უყვარს. მაგრამ მათ ჩვენზე არ უნდა იდარდონ — დროდადრო ღია ბარათებს გავუგზავნი.

გავა თვეები, ვიდრე გაჩნდება ჰიპოთეზა მკვლელობის შესახებ. იმ დროისთვის კვალი უკვე ნაიშლება. და როცა ძიება დაიწყება, გამოძიებლებს, ალბათ, დიდი მუშაობის ჩატარება მოუწევთ კვალზე დასადგომად.

სარას მშობლები ჩვენგან შუალამეს ნავიდნენ. ახალ პატრონებს დღესვე შეეძლოთ აქ დაბინავება. სარა დილით აპირებდა წასვლას.

ყველა კვალი ნავშალე. არაფერი გამომჩენია. ჯიბეში ახალი ორლენის ბილეთი მედო, სატვირთო გემზე კი მონ-

ტევიდომდე მქონდა ადგილი რეზერვში დატოვებული. ხელთ მქონდა პასპორტი, რომელიც ჩემს კვალზე არავის დააყენებდა. ელექტროქსელის სამსახურში დარეკვაც კი არ დამვიწყებია, რათა მათ, როცა მრიცხველის მაჩვენებლებს მოხსნიდნენ, შუქი გამოერთოთ. ამიტომ ჩვენმა ბედნიერმა ვახშამმა სანთლების შუქზე ჩაიარა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ზოგიერთი მომენტი: სუნი, ყვავილების მძიმე სურნელი, რომელიც სახლში გამოღებული ფანჯრიდან იფრქვეოდა, აკაციის ყვითელ ფოთლებში რომელიღაც ფრინველის ჭიკჭიკი, ძალის შორეული ყეფა და სანთლის ალის ცოცხალი აჩრდილები, ვიდრე ჩვენი ოთახისკენ მივდიოდით.

„მიყვარხარ, ჯეკ. სანამ გაგიცნობდი, არ ვიცოდი, რა იყო ბედნიერება. ჩვენ, მხოლოდ ჩვენ, ერთად და სამარადჟამოდ“.

სულელი! სულელი ეგოისტი არსება!

ღვინის ბოლო ბოკალი, შემდეგ კი „მშვიდობით, ჩემი ძვირფასო სარა. დაიძინე, ჩემო სიყვარულო!“ (დაიძინე, რა, დაიძინე, დაგლახვროს ეშმაკმა! დრო გადის... გათენებამდე უნდა გავიქცე).

რაკი მახსოვდა, რომ სისხლის ნვეთი არსად არ უნდა ყოფილიყო, ყველაფერი ხელით გავაკეთე. ჯერ მუშტით, შემდეგ — თითებით.

მაშ ასე. ასრულდა. სარა და მისი მსგავსნი ეშმაკს მიჰყავს. და მაშინაც კი, როცა ის გაუნძრევლად იწვა ჩემს გვერდით, ვიგრძენი მისი შემოხედვა, ისიც ვიგრძენი, როგორ მადვენებდა თვალყურს სიბნელეში, მაშინ როცა მის ნივთებს ვაგროვებდი, მასთან ერთად რომ წამელო მისი ჩაფლობის ადგილამდე.

შემდეგ კი ფანჯარაში კაკუნის ხმა მომესმა. რომელიღაც მთვრალი ნათესავი ხომ არ დაბრუნდა? ჩემ გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. პირველ სართულზე ჩავედი და დავინახე, რომ, ქარი ფანჯარას ვაზის ტოტს ახლიდა. სარასთან ხომ არავის შეეძლო მოსვლა... და როცა მას ქმართან ჩახუტებულს ეძ-

ინა, მოსვლის უფლება არავის ჰქონდა.

ამ შიშის გამო ღვინის ერთი კასრიც გავხსენი. ღვინო გარიგებაში არ იყო შეტანილი. რაკი ასეა, რატომ უნდა დავუტოვო სახლის ახალ პატრონებს, რომლებსაც მისი ეშხის არაფერი გაეგებათ?.. და ამიტომაც სათანადოდ ვერც დააფასებენ...

ღვინო, აი რა მჭირდებოდა. ამას მთელი ჩემი არსებით ვგრძნობდი. საქმე გაკეთებული იყო და არ უნდა ჩავვარდნილიყავი პანიკაში, მით უმეტეს, რომ ყველაფერი უშეცდომოდ შევასრულე. ახლა სარას სარდაფში ჩათრევა და დუღაბის მომზადება იყო დარჩენილი — დუღაბს ისეთ რამეს გავურევ, რომელიც მას სწრაფად შეკრავს, შემდეგ კი რკინაბეტონის კიდევ ერთ კედელს ავიყვან ჩერამდე.

„მშვიდობით, ჩემო მშვენიერო... სამუდამოდ გემშვიდობები, სანყალო, ბებერო, სულელი ქალო!“

ის კაბა, ფეხსაცმელები და წინდები ჩავაცვი, ის ქუდი დავახურე, რომელიც მას ჰქონდა ამოჩემებული. შემდეგ ზურგზე მოვიგდე და სარდაფში ჩავედი.

ისე, მართალი რომ ვთქვა, მართლაც საძაგელი ადამიანი ვიყავი. ჩემი იმპოზანტურობის მიუხედავად, მხოლოდ ყიგოლო ვიყავი.

ასთვრამეტი ათასი დოლარი... და, ეს სულ ჩემია.

წყალი იყო ის ერთადერთი უსიამოვნება, რომელსაც საქმის გართულება შეეძლო. დამავიწყდა, რომ წყალმომარაგებისა და ელექტროქსელის კომპანიები ერთობლივად მოქმედებდნენ... წყლისა და ელექტრობის მონოდება ერთდროულად შეწყდა. დუღაბის გამზადებას კი წყალი სჭირდებოდა.

საბედნიეროდ, წყალი სარას აუზში ვიპოვე. დაფა, რომელზეც დუღაბი იდო, მზა ქვიშითა და კირით მელოდებოდა.

ჩემ თავს ვუთხარი: დუღაბი ჯერ სპეციალურ დიდ ჭურჭელში გაამზადე, რათა კონსტინტენციის ჩამჩით შემონებება შეძლო. იფრთხილე, ნაზავი არ გად-

მოიშეფოს. აჯობებს, პირდაპირ სარას გვერდით იმუშაო, რადგან ნებისმიერ წვეთს შეუძლია გამოაჩინოს, რომ კედელი ახალი ამოშენებულია.

იმით დაინყე, რომ დუღაბი მომავალი კედლის საფუძველში ჩაასხა, რის შემდეგაც მის ზემოთ გულმოდგინედ უნდა დაანყო მოსაპირკეთებელი ქვის ფილების პირველი რიგი, იმ ფილებისა, რომლებიც განსვენებულმა პარკერმა გამოიგონა, გაამზადა, და თვითონვე ჩაანყო სარდაფში.

ძალიან ჭირდა ნავთიანი ლამპის შექმნე მუშაობა. კალატოზის თარაზო სულ დამავიწყდა. კედელი მართკუთხა უნდა ყოფილიყო. როგორც იქნა მოვნახე და ფილების მეორე რიგი მოვასწორე. აქამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა.

„ლამე ნებისა, მადამ. ბედნიერი ვარ, რომ გემშვიდობებით... აქ იატაკიდან ჩერამდე მშვენიერი მეტრაჟია (მეტრნახევარი), ის შენი იქნება, მე კი ამ დროს მონტევიდეოსკენ მიმავალ გზაზე ვიქნები“...

სარდაფის ამ ნაწილში სასულე (ნახვრეტი ჰაერის მოძრაობისთვის) ან ფანჯარა არ გაუთვალისწინებიათ, და საშინლად დამცხა. ამიტომ, იმის მიხედვით, თუ როგორ მიიწევდა წინ მუშაობა, იძულებული ვიყავი გასაგრძელებლად დროდადრო გავსულიყავი ღვინის პატარა კასრთან. უზომოდ აღვზნებული, ღვინოს წყალივით ვსვამდი.

უკვე მეოთხე რიგის ფილებს ვანყობდი და ჩაცუცქული კი არა, ფეხზე მდგარი ვმუშაობდი, როცა კარზე ორჯერ დარეკეს ზარი. არა, არ მომჩვენებია. ეს უკვე ნამდვილად არ იყო ტოტი, რომელიც ფანჯარას ეტყლაშუნებოდა. ვილაც აკაკუნებდა კარზე.

არადა, ბუნებრივია, სამუშაო შარვალი და პერანგი მეცვა. გავიხადე, საშინაო ხალათი ჩავიცვი — ამოვართიე ჩემოდნიდან, რომელიც უკვე ძირს მქონდა ჩატანილი სარას ნივთებთან ერთად. ვეღარ გავბედავდი გარისკვას და ნებისმიერი ვინმეს შემოშვებას, მაგრამ რე-

აგირება უნდა მომეხდინა. მინდოდა, გამეგო, ვინ და რისთვის მოვიდა.

ზღურბლზე კეროლი იდგა. მკითხა, დეიდას ხომ არ ძინავსო. რასაკვირველია, ძინავს-მეთქი, ვუპასუხე და ვკითხე რა სჭირდებოდა. სახე შეშუპებული ჰქონდა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ნამტირალევი იყო.

— ვერ ხვდები?

— ვერაფერს ვხვდები.

— რაო, ყველაფერი დამთავრებულია? — მკითხა მან ნამიერი დუმილის შემდეგ.

ვუპასუხე:

— დიდად ვწუხვარ, რომ ყველაფერი ასე მოხდა. ეტყობა, მთლად შევიშალე, რომ შენისთანა ბავშვთან დავინყე არ-შიყობა. მაგრამ ახლა სალი აზროვნება დამიბრუნდა და გულწრფელად ვფიქრობ იმაზე, რაც იმ სალამოს გითხარი: მე რანჩოს ყიდვას და იქ დასახლებას ვაპირებ. მე და დეიდაშენი იქ ერთად დავინყებთ ახალ ცხოვრებას.

სკანდალის ატეხვა დააპირა, მაგრამ გონს მოვიდა, შეტრიალდა, სულ „არამზადა“ მიძახა და მანქანასთან მიიჭრა.

კარი ჯერ კიდევ ღია იყო, როცა დავიყვირე:

— არა, სარა, არაფერია. კეროლს ხელთათმანები დავინყებია.

მომეჩვენა, რომ კეროლს ქვითინი აუტყდა. შემებრაღა. კარგი ბავშვი იყო, დიდად ვიყავი მისგან დავალებული. სარდაფში რომ არ მომპარვოდა, ამ ბოლო თვეებს ვერ გადავიტანდი. დასანანი, რომ ასე მიმნდობი იყო. სულითა და გულით ვუსურვებ, ისეთ მამაკაცს შეხვდეს, რომელიც მას სათანადოდ დააფასებს.

სარდაფში შევბრუნდი და ისევ შევჩერდი ღვინის კასრთან. სიმართლე გითხრათ, კეროლის ვიზიტმა შემაშინა. მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი ასე კარგად დამთავრდა, მიხაროდა კიდევ, რომ ასე მოხდა. ეს კიდევ ერთი გარემოება,

რომელიც მე ნაადრევი ეჭვისგან დამიცავს.

კეროლს თუ დაკითხავენ, იტყვის:

— არა, მე გავიგონე, როგორ შეეპასუხა ის დეიდა სარას. დეიდას აინტერესებდა, ვინ მივიდა მათთან, და ჯეკმა უპასუხა, რომ მე ხელთათმანები დამვიწყებია.

მაღიზიანებდა, რომ ყოველთვის, როცა უნდა დამეღია, ჭიქის ჭიქაზე მიყოლებით ავსება მიხდებოდა, ამიტომ სამზარეულოში ავედი ჭურჭლისთვის, რომელიც სარდაფში ჩავიტანე, ავაავსე და კედელთან გვერდით დავიდგი.

მანქანით მივალ გლენდაილენდამდე, სადაც ჩრდილოეთისკენ მიმავალ მატარებელში გადავჯდები, მანამდე კი მანქანას სადგომზე გავაჩერებ. ეს, როცა ძიებას შეუდგებიან, კვალს აურევს გამომძიებლებს. სან-ფრანცისკოდან ოუმეხში ჩავალ, იქიდან კანზას-სიტიში, მერე კი ახალ ორლენში.

ახალი ორლენი. ანტუანთან ხამანკის წვნიანი. ახალი ორლენი და ფრანგული კვარტალი, ჯიბეში კი ნაღდი ოცდასამი ათასი დოლარი და ოთხმოცდათხუთმეტი ათასის ჩეკები წარმომდგენის სახელზე. გული სიხარულით აგიძგერდება, აბა არა?

ნახშირის ყუთი.

თარაზო. დუღაბი. თარაზო. დუღაბი. ფილა. და ა. შ. უსასრულოდ. ყოველი ფილის თანაბრად, ზუსტად თავის ადგილზე ჩაცემენტება. თარაზო. დუღაბი. ფილა. შემდეგ იმ ქალის ჩადება სივრცეში, რომელიც ზემოთ რჩებოდა და ჰერმეტიკულად დალუქვა, დუღაბით ამოქოლვა.

დამთავრებულია! ქოშინ-ქოშინით მოვშორდი წინა ტიხარს. ლამფის სუტ მუქზე დავასკენი, რომ ასე მშვენივრად ამოშენებული კედელი არასდროს მინახავს. მახსოვს, იატაკზე ჩამოვჯექი, ცოტა შვება რომ მეგრძნობინებინა ჩემი ზურგისთვის, შემდეგ კი, ეტყობა, ღვინისა და დახმული ჰაერის ზემოქმედებით გონე-

ბა დავკარგე.

თვალეები რომ გავახილე, ლამპის ალი ჯერ კიდევ ბუბუტავდა, მაგრამ უკვე სულს ღაფავდა. ჩვეულებრივ, როცა გადამეტებულად ვსვამ ღვინოს, თავი მტკივდება. სული მეხუთებოდა. საათზე დავიხედე. დილის ხუთი საათი იყო. ახლა გათენდება. უკვე გზას უნდა დავდგომოდი.

ავდექი, ჩემოდანი ავიღე და სარა დავინახე. ღმერთო, მიშველე! კედლის რომელ მხარეს ვიმყოფებოდი?

ახლა კი ვიცი, რომელ მხარესაც ვიმყოფები. ისიც ვიცი, რა მყარია ეს კედელი. მაგრამ სისხლის ლაქები ფილებზე... ისინი იქ ჩემმა თითებმა დატოვა. აღმაფრთოვანებული მოპირკეთებული ქვის ფილები... წამის სისწრაფით შემკვრელი დულაბით დანყობილი და ჩაცემენტებული ფილები. ისინი იმისთვისაა ჩაფიქრებული, რომ გამოწვევა ესროლონ ადამიანსა და დროს.

მე კი არანაირი შესაძლებლობა არ მაქვს, გავიგო, მოვიდნენ თუ არა სახლში ახალი პატრონები. ამის გაგება რომც შემძლებოდა, ვერ გავბედავდი მათი ყურადღების მიქცევას. მეც სადღაც მივემართები, მაგრამ ნამდვილად არა ბუენოს-აირესისკენ. და ლამპა ახლა ცოტაც და... სამუდამოდ ჩაქრება.

ყოველ შემთხვევაში ერთ რამეს წყალი ნამდვილად არ გაუვა... სარას უკანასკნელი სურვილი ახდა. ჩვენ სამუდამოდ ვრჩებით ერთად...

ბანქოს ახალი დასტა

ჩარლზ ენსტაინის ნაამბობი

რეფერტი არ იყო ერთადერთი, ვინც მაგიდასთან ბლექ-ჯექში აგებდა, მაგრამ ის სხვებზე დიდხანს თამაშობდა. სამ საათზე მეტია, რაც აქ იმყოფება — დილის ათი საათიდან. „ვანდერლოსტის“ ლას-ვეგასის ყველაზე მდიდრული და კომფორტული სასტუმროს ოფიციალტი-

მა ქალმა მას დანესებულების სახელით უამრავი კერძი მიართვა. საბოლოო ანგარიშით, სასტუმრო მის ერთი-ორი ჭიქა სასმელის ღირებულებასაც იხდის, რომ არ წავიდეს აქედან.

თანაც არ სვამდა, იმით კმაყოფილდებოდა, რომ აგებდა. ფორმულირების თანახმად, ნაგებულნი ისინი არიან, რომლებიც ყოყმანობენ, და რამდენადაც ეს ამბავი ლას-ვეგასში ხდებოდა, „ვანდერლოსტი“ კი სულ ახალი სასტუმრო იყო, ბანქოს დამრიგებლებიც უცნობები იყვნენ.

რეფერტიმ ბანქოს დამრიგებლისგან მიიღო ორი ხუთიანი, თვითონ დამრიგებელს კი აშკარად ექვსიანი ჰქონდა. რეფერტი ორმოც დოლარზე თამაშობდა. მან ფსონის გასაორმაგებლად სათამაშო ხაზზე რვა ხუთდოლარიანი ჟეტონი გადაწია, შემდეგ ფრთხილად ასწია ბანქოს ქალაქის კიდე და იქ მყოფთ სწრაფად მოავლო თვალი: ქალია. მაშ ასე, მის ანგარიშზე ოციანი იყო.

დამრიგებელმა კარტი გადააბრუნა: შვიდიანია. მას ცამეტი აქვს. შემდეგ იყო ტუზი. თავისთვის ისევ ორიანი აიღო. თექვსმეტი. ერთხელაც აიღო: ხუთიანია. ოცდაერთი ქულა! მაშინვე სწრაფად თავისკენ მიიბოჭა რეფერტის ჟეტონები.

— ჩემი დასტა მინდა, — ითხოვა რეფერტიმ.

— რაო?

— ბანქოს ახალი დასტა მინდა-მეთქი.

— კი, მაგრამ ეს დასტა ხომ ეს-ესაა, სულ ათი ნუთის წინგავხსენით.

— ეს ნდობას არ იმსახურებს. მე ახალი დასტით თამაში მსურს! — რეფერტიმ გამშრალი ტუჩები მოილოკა, — დამრიგებელიც სხვა მინდა.

ორმა სხვა მოთამაშემ ერთმანეთს გადახედა — მყუდროობა ირღვეოდა. ისინიც აგებდნენ, და გულის სიღრმეში, ალბათ, მხარს უჭერდნენ იმას, რასაც რეფერტი ასე აშკარად გამოხატავდა. სწორედ მათ მიუბრუნდა კრუპიე.

— ბატონებო, თქვენგან კიდევ ვინმე აპირებს ამავე საკითხის დასმას?

ორივე მოთამაშემ თვალები დახარა მწვანე მაუდისკენ, სადაც კვადრატულ სათამაშო არეზე გამოკვეთილად ეწერა: „მოთამაშეები ბანქოს არიგებენ 16-ჯერ და თამაშიდან შეუძლიათ მე-17 დარიგებისას გამოვიდნენ“.

— აბა-აბა, — თქვა რეფერტიმ ძალიან მშვიდად, — ამ ამბავში სხვების ჩათრევას ნუ ცდილობთ. ისიც საკმარისია, რომ პროტესტი მე განვაცხადე. ეს დასტა არ მომწონს.

— ეს დასტა მხოლოდ ათი წუთია ტრიალებს! — საკმაოდ ისტერიულად წამოიძახა დამრიგებელმა.

— აბა, ბატონო რეფერტი? მაინც თქვენს აზრზე ხართ? — იკითხა კრუპიემ (მან იცოდა ეს გვარი, რადგან რეფერტისგან დღეს სამი ჩეკი მიიღო წაგებულის გადასახდელად).

— დიახ...

— ბანქო გაშალეთ, — მოითხოვა დამრიგებლისკენ შეტრიალებულმა კრუპიემ.

დამრიგებელი დაემორჩილა.

— არა, — ჩაერია რეფერტი...

— კეთილი, — დათანხმდა კრუპიე, — ახალი დასტა იყოს.

— ვითომ რატომ? — ამოიოხრა რეფერტიმ, — ისინი ხომ ყველა ერთი კოლოფიდანაა?

— აბა, მაშინ როგორ მოვიქცეთ? — იკითხა კრუპიემ.

რეფერტიმ კვლავ ამოიხვნეშა:

— ასეთი შემთხვევები სახელს უტეხავენ ისეთ ახალ დანესებულებებს, როგორიც თქვენია. თამაშის ლიცენზიას თუ ჩამოგართმევენ, კარგად მეყოლეთ. თქვენც ხომ კარგად იცით ეს? იცით, ხომ ასეა?

— მან ახალი დასტა მოითხოვა, — კრუპიეს შეავლო თვალი და თითქოს მოიბოდიშა დამრიგებელმა, — ახლა კი, როცა თქვენ მას ახალ დასტას სთავაზობთ, ის „არას“ ამბობს. ეს შემთხვევა წაგების შემდეგ გამოწვეული ერთგვარი

დეპრესიის შედეგი ხომ არაა?

— არამც და არამც! — დაჟინებით შესძახა რეფერტიმ, — მე ახალი დასტა მინდა. მაგრამ სულაც არა ის, თქვენი კოლოფიდან რომ იღებთ. რას იტყვით, რომ ახალი დასტა ზემოდან, ჩემი ოთახიდან ჩამოვიტანო? ითამაშებდით იმ დასტით?

კრუპიე ახარხარდა. შემდეგ რეფერტის გახედა და თქვა:

— ხომ არ შეიძლება ასეთი უმეცარი იყოს, ბატონო რეფერტი? ბანქოს თამაშისთვის მოთამაშეებს სათამაშო სახლი სთავაზობს.

— ეს ბანქო მე აქვე, თამბაქოს გასაყიდ ჯიხურში ვიყიდე. განა სათამაშო სახლი იმავე დასტებს არ იყენებს? — იკითხა რეფერტიმ.

— ჩვენ ხომ არ გვინახავს, როგორ ყიდულობდით მას. და არავინ უწყის, თუ რა გაუკეთეთ მას იმ თქვენს ოთახში.

— მე კი ვერ ვხედავ, თუ რას აკეთებთ თქვენ აქ. ერთადერთი რამ, რაც ვიცი, ისაა, რომ დასტაში რატომღაც ბევრი ხუთიანია, — შეეკამათა რეფერტი.

— მაგრამ თქვენ ხომ არავინ გაიძულებთ, რომ ითამაშოთ, — გაკერპებით უპასუხა დამრიგებელმა, — აქაური წესები თუ არ მოგწონთ, არავინ გაკავებთ.

— მშვიდად, ბატონებო, მშვიდად, — თქვა კრუპიემ. მაგიდას უკვე ისედაც შემოეჯარა ოთხი თუ ხუთი ცნობისმოყვარე, — ბატონო რეფერტი, შეიძლება დაგელაპარაკოთ?

— ჩვენ შეგვიძლია აქ დავილაპარაკოთ, — რეფერტიმაც არ დააყოვნა პასუხი.

მაგრამ, ბოლოს მხრები აიჩეჩა და, როგორც იქნა, წამოდგა.

— კეთილი, ასე იყოს.

სათამაშო მაგიდას რომ მოშორდნენ, კრუპიემ ხმადაბლა იკითხა:

— თქვენ რა თანხას ვარაუდობთ?

— ზუსტად არ ვიცი, — მიუგო რეფერტიმ, — ალბათ, ორ-სამ ათასს. ეს რამეს ცვლის?

— მომისმინეთ, ჩვენ პატიოსანი დანესებულება გვაქვს, მაგრამ არ გვინდა სკანდალები. მზად ვართ, დასაშვებ ფარგლებში ყველაფერი გავაკეთოთ თქვენთვის იმის დასამტკიცებლად, რომ ღირსეული ხალხი ვართ...

— მაშინ, მოდით, ჩემი ბანქოთი ვითამაშოთ.

— მე ხომ ვთქვი: დასაშვების ფარგლებში ვიმოქმედოთ-მეთქი.

— მაგრამ ჩემი ბანქო თქვენის იდენტურია. აქ ვიყიდე.

კრუპიემ მოთმინებით მოუსმინა რეფერტის და უარის ნიშნად თავი გადააქნია.

— ეს დასაშვები არ არის, ბატონო რეფერტი. ბანქოს დამრიგებელმა ეს თქვენ მკაფიოდ გითხრა. არავინ იცის, ის დასტა თქვენ აქ იყიდეთ თუ არა, ან საერთოდ როდის იყიდეთ. მაგრამ, ვთქვათ, ახალი დასტა ახლა რომ გეყიდათ და იმით გეთამაშათ, ეს სულ სხვა რამ იქნებოდა.

— მაპატიეთ? რა თქვით?

— თანახმა ვარ-მეთქი. თქვენს პირობებზე ვთანხმდები.

— ვერ გავიგე.

— ახლა თქვენთან ერთად მივალ იმ ჯიხურში და ვიყიდი ახალ დასტას. ჩვენ მაგიდასთან მოვბრუნდებით და ბლექ-ჯექს ამ ბანქოთი ვითამაშებთ.

— მორჩით, ბატონო რეფერტი, ნუ სულელობთ.

— ვსულელობ? — ხმას აუწია რეფერტიმ (კრუპიე უკვე აქეთ-იქით იხედებოდა), — მე მხოლოდ თქვენს მიერ შემოთავაზებული პირობები მივიღე.

— ასე არაფერი გამოვა, — შეედავა კრუპიე, — წარმოიდგინეთ ყველა კლიენტს თავისი ბანქოთი ან „ძვლებით“ თამაში რომ მოუნდეს. წარმოიდგინეთ, რა შრომა გველის, რომ ყველა და ყველაფერი გავაკონტროლოთ.

— ჯერ ერთი, მე ყველა და ყველაფერი არ ვარ. მეორეც, თქვენ ეს-ესაა შემოთავაზებთ გამოსავალი. მე დაგ-

თანხმდით. ახლა კი თქვენს აზრს ცვლით? ამბობთ, რომ დასტა, რომელიც ჯიხურში იყიდება, რომლითაც მაგიდასთან თამაშობენ, იგივეა. მაშასადამე, როცა ჩემი ბანქოთი ვითამაშობ, თქვენი-თაც ვითამაშობ.

— კი, მაგრამ ეს რას ცვლის?

— ბევრს არაფერს. ეს ბანქო რომ იგივე ბანქოა. მე ხომ არ მითქვამს, თქვენ თქვით. მინდა შევამოწმო: ბანქო, რასაც პუბლიკა თქვენგან ჯიხურში ყიდულობს, ანუ ჩვენ რომლითაც ვითამაშობთ, ისეთივე თუა. ვთქვათ... ექსპერიმენტის ჩატარება მინდა.

სარკასტულად მომღიმარე რეფერტი ჯიხურისკენ გაემართა. კრუპიემ, რომელიც მას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, ჰკითხა:

— რას აპირებთ?

— ბანქოს ახალი დასტას ყიდვას.

რეფერტიმ გამყიდველ ქალს თავი დაუკრა: „ბანქოს დასტა მომეცით, გეთაყვა“.

— ერთი დოლარი ღირს, ბატონო, — უთხრა ქალიშვილმა და დასტა მიანოდა.

რეფერტიმ ვერცხლის დოლარიანი დახლზე დადო, შემდეგ კი შემობრუნდა და დასტა კრუპიეს მიანოდა.

— აი, აიღეთ. ასე ხომ უფრო მშვიდად იქნებით. დარწმუნდებით, რომ მე სახელს არ გიტყვით.

კრუპიემ დასტა გამოართვა და რეფერტის მიაჩერდა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ სკანდალის გვეშინია? ამიტომაც ცდილობთ, რომ უსიამოვნებებს გადაგვყაროთ.

— სულაც არა. თქვენვე ცდილობთ, რომ უსიამოვნებები დაიტყვით თავზე, — უპასუხა რეფერტიმ, — შეიძლება ჩათვალოთ, რომ ჩემს ნათქვამს ვიმეორებ, მაგრამ მე მხოლოდ თქვენს წინადადებას ვთანხმდები.

— მაგრამ, დაგუშვათ, რომ უცებ ფორტუნამ გაგიღიმათ, — ჯერ ნერწყვი ჩაყლაპა და შემდეგ განაგრძო კრუპიემ.

— ეს ხომ ბედის წყალობა იქნება...

— მაშინ შეგიძლიათ ყველგან ამტკი-

ცოთ, ეს იმის დასტურია, რომ ისინი თაღლითები არიან.

— მაგრამ ეს ასე თუ არაა, რაღა გაშინებთ.

— მაგრამ თუ თქვენ უნინდებურად ისევ წააგებთ და წააგებთ, ეს ბანქოს დამრიგებელს დაბრალდება?

— მაყურებლები იქნებიან, — თქვა რეფერტიმ, — მე ბანქოს დარიგება ოდნავადაც არ მალეღვებს. ასეთ პირობებში არანაირი თაღლითობა არ მოხდება.

— შემდეგ? აქ დარჩებით ჩვენთვის ნაირნაირი უსიამოვნებების შესაქმნელად.

— რას ბრძანებთ! — დაბეჯითებით განაცხადა რეფერტიმ, — ბანქოს დასტა თამაშში ხომ ნამდვილად მხოლოდ ერთი საათის მანძილზე გამოიყენება? მე ერთი საათის განმავლობაში ჯიხურთან რომ მივირბინო ახალი დასტის საყიდლად, აი ეს არ ჩაჯდება დასაშვების ფარგლებში. ხომ ასეა? არა, მე მკაცრად დავიცავ იმას, რაც ვთქვი. მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს: ნუთუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ მეტისმეტად ბევრს ვითხოვ?

კრუპიე თავის ყელიან ფეხსაცმელს ათვალერებდა.

— ზოგადად ეს არაფერს დაამტკიცებს, — თქვა მან, — თქვენ ჩვენთვის სახელის გატეხა რომ არ გსურდეთ, ჩვენთვის ყველაზე მარტივი გადაწყვეტილება იქნებოდა: ყველაფერი გაგვეკეთებინა იმისთვის, რომ თქვენ მოიგოთ.

— ამით ბედნიერი ვიქნებოდით, მაგრამ ამ დროს თქვენი დაღვრემილი სახეები მიდგება თვალწინ.

— მაშინ რას მოითხოვთ?

— ახალ თამაშს. ახალი დასტით თამაშს.

— ბატონო რეფერტი, — დაიწყო კრუპიემ, მე... — შემდეგ ერთხანს სიტყვა განყვიტა, ბოლოს კი თქვა: — კეთილი, თანახმა ვარ. თქვენს განკარგულებაშია ერთი საათი.

— გმადლობთ, — ჩაიბურღლუნა

რეფერტიმ და ბანქოს სათამაშო მაგიდისკენ გაემართა.

ბანქოს ახალ დამრიგებელს უხმეს. დასტა თვითონ კრუპიემ გახსნა და მაგიდაზე გაშალა.

რეფერტი კრუპიესა და სულ უფრო და უფრო მეტი ცნობისმოყვარე მაყურებლის თვალწინ თამაშობდა.

ერთი საათის შემდეგ იგი წამოდგა... 18 000 დოლარი მოიგო.

— კმაყოფილი ხართ? — ჰკითხა კრუპიემ.

— ბოლომდე არა, — მიუგო რეფერტიმ, — მზად ვარ ერთ დოლარზე ვითამაშო.

— რამდენზე?

— ერთ დოლარზე, ამ ბანქოზე.

— გასაგებია, — თავს ძლივს იკავებდა კრუპიე, — თქვენი ბანქოს დასტა ახლა ამდენიც არ ღირს. ის უკვე გაიცრიცა. აიღეთ, ბატონო რეფერტი, ეს თქვენი დასტა და შეეცადეთ იმ ფასად გაყიდოთ, რომ იხეიროთ. მოითმინეთ, არის ერთი რაღაცაც, რასაც მე თქვენ არ გეუბნებოდით, მაგრამ გეტყვით: ბატონო რეფერტი, ამის შემდეგ თქვენთვის ჩვენი კარი დახურულია. ძალიან ძვირი გვიჯდება თქვენი უნესობისა და უპატიოსნობის დამტკიცება, აღარაფერს ვამბობ ამ საკითხის ფინანსურ მხარეზე. ჩვენ პატიოსანი ადამიანები ვართ და იმ კლიენტებს ვაფასებთ, ვინც გვენდობა. გასაგებია თუ არა, ბატონო რეფერტი?

— აბსოლუტურად. ნუ შფოთავთ, მე აღარ დავბრუნდები.

კრუპიეს თავი დაუკრა, ბრბოში გაიარა, ლიფტთან მივიდა და ავიდა ზემოთ, თავის ნომერში. იქ მაგიდასთან ახალგაზრდა ქალი იჯდა (ეს ქალი თამბაქოს მაღაზიის გამყიდველი გახლდათ) და მხატვრის ფაქიზი ფანქრით ბანქოს ახალ დასტას წინწკლავდა. პატარა კოლოფი ისე იყო გახსნილი, რომ შეფუთვის ნიშანს არაფერი დასტყობოდა.

— გამარჯობა, — მიესალმა რეფერტი, — როგორ მიდის საქმე? თხუთმეტი

ათასი სუფთა მოგება გვერგო. რამდენჯერ გითხარი, აქ არ გამოჩნდე-მეთქი? მოითმინე, ვიდრე რინოში არ ამოვყოფთ თავს.

ბუმერანგი

ჯი ფლემინგის ნაამბობი

მონმის სავარძელში მჯდომი გამხდარი კაცი გაუთავებლად აწვალბდა ჰალსტუხს. იგი რეინორის მდივანი და იმ ორიდან ერთ-ერთი იყო, ვინც ატორის სახლში იმყოფებოდა იმ საღამოს, როცა რეინორი მოკლეს.

ვუთხარი:

— იმ დღეს, რეინორი რომ მოკლეს, ხომ არ უთქვამს თქვენთვის ისეთი რამ, რაც ბრალდებულის წინააღმდეგ უდავო მხილებად შეიძლებოდა ქცეულიყო?

— პროტესტს ვაცხადებ! — შესძახა ლუბოკმა, ბრალდებულის ადვოკატმა, რომელსაც ხორციანი, უძვლო და მძიმენიკაპიანი სახე წამოჭარხლოდა.

— პროტესტი მიღებულია! — ისე იღრიალა მოსამართლე მარტინმა, რომ ჩემს მხარეს არც კი გამოუხედავს.

და გამუდმებით ასე იყო პროცესის დროს. ლუბოკი პროტესტს აცხადებდა, მოსამართლე მას იღებდა, და თანაც ითვლებოდა, რომ ჩვენ მართლმსაჯულების სასახლეში ვიმყოფებოდით. მის კედლებს იქით კი იმ მანდილოსნის ქვის გულიდან, რომელსაც ხელში მართლმსაჯულების სასწორი ეპყრო, ალბათ, ხარხარი ისმოდა. მაგრამ, უნდა ითქვას, სასაცილო ამაში ცოტა რამ იყო.

ლუბოკმა გაიცინა და თავისი დასაცველი ადამიანის გვერდით ჩამოჯდა.

როგორც კი ბრალდებულს შევხედე, გავშმაგდი. ერთი წამითაც არ მეეჭვებოდა, რომ სწორედ მან მოკლა ჩემი უფროსი, ატორნი რეინორი, ადამიანი, რომელიც ერთადერთი კაცი იყო, ვინც მე ოდესმე მყვარებია.

ზოგიერთის კრიტიკიუმით თუ ვიმსჯელებთ, ფრენკ ჰაუერი ფრიად ნარმატიული კაცი იყო. მან შეძლო იმ ქონების შენარჩუნება, რომელიც ასობით მისი თანამოძმის ოფლით, შრომითა და სისხლით იყო მოპოვებული. ღამის კლუბები, ბანქოს სათამაშო სახლები, სათამაშო აპარატები — ყოველივე ამას დიდი შემოსავლები მოჰქონდა.

ეს იყო მაღალი, ტკბილი, მაგრამ ჩხრიალა გველივით საშიში კაცი. ის აბუჩად ამგდები ღიმილით ბატონობდა ყველაზე, რადგან იცოდა, რომ საკმარისი იყო ტელეფონის ერთი ზარი, რომ ნებისმიერ პოლიტიკოსს მის ნებაზე გაევიღო.

შემდეგ კი, ორი თვის წინ, რეფორმატორი დენი რეინორი ატორნის თანამდებობაზე დაინიშნა. იგი ამქვეყნად არაფრით გაჰყიდდა თავის თავს და ვერც ვერავინ შეძლებდა მის მოსყიდვას. მაგრამ საშიში მარტო ის არ იყო. ის და ტომ გეჰეგენი, გამომძიებელი, მისი მარჯვენა ხელი — ჰაუზერის ორგანიზაციის არსებობასაც კი საფრთხეს უქმნიდნენ.

გეჰეგენმა, სულით პოლიციელმა, ძლივს მოახერხა იმისთვის საკმარისი მტკიცებულებების თავმოყრა, რომ ჰაუზერი, ის და სხვა მისი დამქაშები, ელექტროსკამზე დაესვათ.

მაშ ასე, რეინორი მოიცლივს და მოსპეს სარწმუნო მტკიცებულებების შემცველი საქმე. გეჰეგენი?.. არავინ იცოდა, ძალუძს თუ არა მას ასეთი მკვლელობის გამო ჰაუზერის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძვრა?

იქნებ გუძონის ფსკერზეა? ან სადმე გადაიკარა? იქნებ მოისყიდეს? ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. და, რომც მცოდნოდა, ალბათ, ამ საქმეში წინ მაინცდამაინც ვერ წავინწევდი. ამ პროცესმა კი უკვე დიდი ხანია მიიპყრო საყოველთაო ყურადღება. ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ჰაუზერის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის შემადგენ-

ლობის უქონლობის გამო შემწყდარიყო.

ნაფიცი მსაჯულები მოისყიდეს: მე ეს ინფორმაცია მაშინვე, საქმის მოსმენის მეორე დღეს, მომანოდეს. ხმა გავრცელდა, რომ, რადგან მოსამართლე ჰაუზერის წინაშე ვალში იყო, — ის მოსამართლედ ჰაუზერმა დაანიშნინა, — რასაკვირველია, ყველაფერს გააკეთებს ამ ამბიდან მის გამოსაძვრენად. დიახ, დაიხსნის, ამისთვის ყველა მტკიცებულების, ჩვენების დამახინჯება და გადასხვაფერება რომ დასჭირდეს. ერთადერთი რამ, რაც მე მსურდა, და თითქმის უიმედოდ, ის იყო, რომ გეჰეგენი მოწმის სავარძელში მხილავს. ვისურვებდი მომესმინა, თუ როგორ იყვირებდა იმას, რაც მან იცოდა, თანაც იმდენ ხანს, ვიდრე სასამართლოს მეკარეები მას დარბაზიდან არ გაათრევდნენ. რასაკვირველია, ასეთი ნაფიცი მსაჯულებისა და მოსამართლის ხელში ჰაუზერს სასჯელს ვერ გამოუტან, მაგრამ დარბაზი მაინც მოისმენდა იმას, რასაც გეჰეგენი ილრიალებდა, ჟურნალისტები მაინც გაიგონებდნენ და, იქნებ, მთელ ქვეყანას შეეტყო, თუ რა ხდება ჩვენს უმესანიშნავეს ქალაქში.

და მართლაც, იმ საღამოს, როცა რეინორი მოკლეს, გეჰეგენი ატორნის სახლში იმყოფებოდა. ის მეზობელ ოთახში იყო და ქუჩაში შეამჩნია ჰაუზერის მანქანა, რომელიც ადგილს მოწყდა.

და აი, გეჰეგენი გაქრა...

ხელები დავმუშტე. ორმოცდაათი ათასი დოლარი! ასი ათასი დოლარი! ჰაუზერისთვის ორმოცდაათი და ასი ათასი დოლარი სულ უმნიშვნელო, მიზერული თანხა იყო, მაგრამ, ამავე დროს, მან იცოდა, რით დაეხვია თავბრუ გეჰეგენისთანა ადამიანებისთვისაც კი.

მე ეს ვიცოდი, რადგანაც ჩემი ყიდვაც უნდოდათ ამგვარად, და აქამდე მახვევს თავბრუს ამ თანხაზე გაფიქრებაც კი. მაგრამ რეინორის მკვლელს თავს თუ მოვასყიდინებდი, საინტერესოა, სიცოცხლის სურვილი საერთოდ შემრჩებოდა?

იარაღი, რომლითაც რეინორი მოკლეს, ფანჯრიდან გადააგდეს. ეს იყო ძველი არმიული კოლტი, დიახ, არმიული კოლტი, რომელიც უამრავია ამქვეყნად, — და პრაქტიკულად შეუძლებელი იყო იმის დადგენა, თუ ვის ეკუთვნოდა ის. ის კოლტი საქმეს ჰქონდა დართული ნივთმტკიცების სახით. ის ხელში ავიღე და მოწმის სავარძელში მჯდომ გამხდარ კაცს გავუწოდე.

— როცა სროლის ხმა გაიგონეთ და განსვენებულის ოთახში შეხვედით, ეს რევოლვერი სად ნახეთ?

რეინორის მდივანმა ტუჩები მოილოკა და თავის ფეხებს დახედა, შემდეგ კი თქვა:

— ის ბატონ რეინორს ეჭირა ხელში.

დარეტიანებული, ერთი წამით გავშეშედი და მივაჩერდი ამის წარმომტქმელ ადამიანს. დარბაზში ჩურჩული გაისმა.

მათ რეინორის მდივანიც იყიდეს. მათ მოუნდათ ყველას დაეჯერებინა ის, რომ ატორნიმ თავი მოიკლა. ჩემი მოწმე ჩემი ბუმერანგია. მისი ჩვენებით ხელ-ფეხი შემეკრა.

ის, რაც შემდეგ მოხდა, სავსებით მოულოდნელი იყო. გავცოფდი. წინ გადავდგი ნაბიჯი და მდივანს პირდაპირ სახეში ვუთავაზე მუშტი.

წარმოუდგენელი ალიაქოთი ატყდა. მოსამართლე მარტინმა თავისი ჩაქუჩი მაგიდას გაორმაგებული ძალით დაარტყა. სემ ლიუბოკმა დაიღმუვლა და გაშეშდა. ამ დროს სასამართლოს ორი მცველი ჩემს უკან გათრევას შეუდგა. ჰაუზერს ტუჩებზე დამცინავი ღიმილი აუთამაშდა. იმ მომენტში მისი ჩაბლუჯვა რომ შემძლებოდა, დარწმუნებული ვარ, გავგუდავდი. ხმა მანამდე არ ამომიღია, სანამ მოსამართლე მორჩებოდა იმის მოყოლას, რასაც ის ჩემს საქციელზე ფიქრობდა. პატიება არ მითხოვია. არაფერი მითქვამს. უბრალოდ არ ვინძრეოდი, ცოტაც და, შეიძლებოდა ყველაფერი ფეხზე დამეკიდებინა. შემდეგ სასამართლოს დარბაზის სიღრმეში რაღაც აურზაური ატყდა.

შევტრიალდი და ვიგრძენი, როგორ ამიძგერდა გული. გასასვლელში გულზე ხელებდაკრეფილი მაღალი კაცი მოაბოტებდა უზარმაზარი ნაბიჯებით.

ტომ გეჰეგენი...

მას ჩემკენ არც გამოუხედავს. არავისთვის არ შეუხედავს, ისე გამოემართა პირდაპირ მონმის სავარძლისკენ, ჩაჯდა და ხელები სახელურებს მოუჭირა. თვალები მონკურული ჰქონდა, ტურები გათეთრებოდა. ქანცგაცლილი თუ არა, ძალიან დაღლილი მაინც იყო. როცა მისი მზერა ჩემსას შეხვდა, დავინახე, როგორ დაეცვარა სახე ოფლის წვეთებით. როცა ის გამოჩნდა, ლიუბოკს გაოგნების ხმა აღმოხდა. ორივე — ლიუბოკიც და ჰაუზერიც — აშკარად თავზარდაცემული იყო, — თითქოს გეჰეგენისთვის დიდი ფული მიეცათ იმისთვის, რომ ის აფრიკაში გადაკარგულიყო, და აბა, როგორ შეიძლებოდა ახლა ამ დარბაზში, მათ თვალწინ გამოჩნებულიყო! მივხვდი, რომ ამას ისინი ვერ ნარმოიდგენდნენ, წამითაც კი არ დაუშვებდნენ ამის გაფიქრებასაც კი! წარმოუდგენლად აღვეგზნე. იმის მოულოდნელი შემთხვევა მომეცა, რომ მეცადა ერთი იდეის ხორცშესხმა, თუკი მოსამართლე მარტინი დაცვას სასამართლოს შეურაცხყოფის საბაზით დარბაზიდან ჩემს გაძევებას არ უბრძანებდა. გეჰეგენს დავუსვი რამდენიმე წინასწარი კითხვა, რომლებზეც მან მოკლედ მიპასუხა. შემდეგ ავიღე ძველი კოლტი და მას გავუნოდე.

— აი ბრალდების პირველი ნივთმტკიცება, — ვთქვი მე. — ცნობთ ამ იარაღს?

მან ის ნელა შეატრიალ-შემოატრიალა ხელში. ისეთი სიჩუმე იდგა, ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებდით. ყველა გეჰეგენს მისჩერებოდა. მან რევოლვერი გახსნა, შიგნით ჩაიხედა, შემდეგ კი ხელის კანკალით დაიდო მუხლზე.

— დიახ, ეს ის რევოლვერია, რომელმაც რეინორი მოკლა.

— თქვენ სად იყავით მაშინ, როცა ეს როლეს?

გეჰეგენმა შემომხედა და გაუძლო ჩემს მზერას:

— მისი კაბინეტის კარს ვაღებდი.

მაგრამ ეს სიცრუე იყო. გავირინდე პროტესტის მოლოდინში, პროტესტისა, რომელიც ლიუბოკს უნდა განეცხადებინა, რადგან მკვლელობის მომენტში გეჰეგენი კაბინეტის სიახლოვესაც კი არ იყო. მაგრამ ლიუბოკი დუმდა. მივხვდი, რაც ხდებოდა გეჰეგენის თავში. როგორც ჩანს, მან თავის თავს უთხრა, რომ, რაკი სხვა მონმეები დაცვის სასარგებლოდ ფიცის გამტეხნი აღმოჩნდნენ, მას უკვე შეეძლო ასევე მოქცეულიყო. უცებ გამიელვა ერთმა აზრმა. იქნებ გეჰეგენიც მათ მიეყიდა და განაცხადებს, რომ დაინახა, როგორ მოიკლა თავი რეინორმა? სულშეგუბებულმა ვიკითხე:

— თქვენ რა დაინახეთ?

ლიუბოკი და ჰაუზერი დაძაბულობისგან დაიჭიმნენ თავიანთ სავარძლებში და მზერით გეჰეგენს მიელურსმნენ. მაშინ, როცა მოსამართლე მარტინი გაშეშებდა თავის სავარძელში. გეჰეგენის მზერა დაცვის მერხზე გადასრიალდა და ჰაუზერზე შეჩერდა. და როცა მან მოგუდული ხმით წარმოთქვა:

— მე დავინახე ჰაუზერი, რომელიც ფანჯარასთან იდგა და ხელში რეინორისკენ მიმართული რევოლვერი ეჭირა. აი ასე...

მან იარაღი ასწია და პირდაპირ ბრალდებულს დაუმიზნა. პირდაღებულმა ჰაუზერმა ვერ შეძლო რაიმე მოძრაობის გაკეთება, ლიუბოკიც გაშეშებულიყო. კისერზე კუნთები დაეძაგრა და ნახტომისთვის იყო მზად. მაგრამ გეჰეგენის ჟესტმა ყველა გააოგნა, როცა მქუხარე ხმით თქვა:

— ჰაუზერმა ჩახმახს დააჭირა... აი, ასე...

გაისმა გასროლის ხმა. და რადგან მის ყოველ მოძრაობას თვალს ვადევნებდი,

დავინახე წითელი ნახვრეტი, რომელიც უცებ გაჩნდა ჰაუზერის ცხვირზე. მის სახეზე სულ წამის მეთაფით აღიბეჭდა გაცემა და მაშინვე დაეხეთქა იმ მაგიდაზე, რომელსაც მისი ადვოკატი უჯდა.

ვილაც ქალი მოთქმით ატირდა. გაისმა შემზარავი კივილი. სასამართლოს სხდომის დარბაზში ადამიანები სავარძლების საზურგეებს ეფარებოდნენ, ნაფიცი მსაჯულები კი კედლებს მიენებნენ. მოსამართლე მარტინს, რომელმაც ჩაქუჩი ამართა მაგიდაზე დასართყმელად, ხელი ძირს ჩამოუვარდა, ლიუბოკი კი შეძრწუნდა, როცა თავის მიცვალებულს შეავლო თვალი.

გეჰეგენმა ხელი უშვა პისტოლეტს, რომელიც ხმაურით დავარდა იატაკზე. მას, მკვდრისფერი სახე ღიმილით გაუბრწყინდა, უცნაური და მოხეიმი ღიმილით. ამ ალიაქოთში, როცა ყველამ დაკარგა სიფხიზლე, მან მოასწრო მასრაში ტყვიის ჩადება. მას ხელში ვეცი და ფრჩხილები ლურსმნებივით ჩავარჭე.

— მათ არ უნდოდათ, რომ მე მოწმის როლში გამოვსულიყავი და სარდაფში ჩამამწყვდიეს.

— მაგრამ ეს ხომ მკვლელობაა! თქვენ ხომ არ გინახავთ, როგორ მოკლა ჰაუზერმა ატორნი.

გეჰეგენმა ჩაახველა:

— არა, მაგრამ დღეს დილას... იქ, სარდაფში... ვნახე როგორ მოკლა ვილაც სხვა.

მას შეეხედე:

— მაინც ვინ?

— მე, — ისე მიპასუხა გეჰეგენმა, თითქოს ამოისუნთქაო.

წინ გადაქანდა, მოწმის სავარძლიდან გადმოვარდა, გვერდზე გადაგორდა და გაშეშდა.

მეტი არაფერი დაუმატებია, და არც აღარაფერს ველოდებოდი, რადგან დაცემისას პიჯაკი გაელელა და თეთრ პერანგზე ფართო წითელი ლაქა გამოჩნდა.

ჩემი ჰობი, მეტიც, ჩემი სიცოცხლის არსი, ხელოვნების, პლასტიკის, ლიტერატურის სფეროებში — ეროტიკაა.

გაქურდვისა ან ხანძრის შემთხვევების გათვალისწინებით ჩემი დაჯავშნული ბიბლიოთეკა მოიცავს 15 000-ზე მეტ წიგნსა და დოკუმენტს, რომელთა ნაწილი ჩვენს წელთაღრიცხვამდე წლებითაა დათარიღებული. ამ საგანძურის მოსაპოვებლად სამ მილიონ კილომეტრზე მეტი დავფარე და მინიმუმ სამნახევარი მილიონი დოლარი დავხარჯე.

ჩემი ეროტიკული მუზეუმის შესაქმნელად არანაკლები ფული და დრო დამეხარჯა.

ექსტრავაგანტურობააო, იტყვიან თქვენ? ო, არა, ჩემო მეგობარო, სრულიადაც არა, ეროტიკული ნაწარმოებებით გატაცება ძვირად ღირებული სიამოვნებაა. მაგალითი? ინებეთ. კამბოჯაში მომინია გამოქვაბულის კედლის უშველებელი მონაკვეთის გამოჭრა, მისი ყუთებში ნაწილ-ნაწილ მოთავსება. ამ ყველაფერმა ზღვები გადმოლახა, ვიდრე ჩემთან, ნიუ-იორკში მოაღწევდა. გულმოდგინე რესტავრაციის ჩატარებამ, სათანადო, საქმის ცოდნით მოწყობილმა განათებამ საშუალება მომცა წარმომეჩინა ამ სცენების უწვრილმანესი დეტალებიც კი. ჩემს მუზეუმში შემოსვლისთანავე შუქი ნელ-ნელა იწყებს მატებას, და ხედავ, რომ უცებ თვალწინ წარმოგიდგებათ ასობით პანოს ათასგვარი ნიუანსის საღებავთა ნამდვილი ფოიერვერკი, პანოებისა, რომლებშიც ყველა სცენაში ადვილად აღსაქმელ და ყველაზე იდუმალ, გამოუცნობ პოზებში დაფიქსირებული პერსონაჟები გადმოგვცემენ ხორციელი სიყვარულის მთელ ექსპრესიას. აქ წარმოქმნილი ეფექტი ნამდვილად საოცარია, ზემოქმედების ისეთი ძალისაა, რომ მცოდნ-

ეთა, ასე ვთქვათ, „კლდეზე ნახატების პანორამით“ დაჰიპნოზებულია, მნიშვნელოვანი ნაწილი, თუ სათანადოდ გულისყურმოკრებილი, დააკვირდებიან, გულწრფელად აცხადებს, რომ ხედავენ, თუ როგორ ცოცხლდებიან პერსონაჟები.

ეროტიკული ხელოვნებით ჩემმა ასეთმა გატაცებამ შესაძლოა გაგაკვირვოთ. მაგრამ ეს ძალიან უბრალო რამაა. ეროტიკული ხელოვნება ხელოვნების ის ერთადერთი ფორმაა, რომელიც კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე უცვლელი დარჩა. გმირები და მხსნელები მოდიან და მიდიან; რელიგიური, პოლიტიკური დოგმები და სხვა მოდეები ჩნდება, ვრცელდება და იკარგება ისტორიის ქვიშობებში. მთები, ყინულის მასივები და უდაბნოები ჩნდება დედამიწის ზედაპირზე და დროებით ცვლის პეიზაჟს. მუდმივ სიდიდედ, კონსტანტად რჩება ერთადერთი რამ: ეროტიკა და მისი მხატვრულად აღბეჭდვა!

ამ მუდმივობას ხედავ ყველა ნაწარმოებში, საიდანაც არ უნდა გვევლინებოდნენ ისინი: მესოპოტამიიდან, ეგვიპტიდან, ანატოლიიდან, ფინიკიიდან, სპარსეთიდან, ინდოეთიდან, ჩინეთიდან, იაპონიიდან, პოლინეზიიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან ან ორივე ამერიკიდან. ეს ურყევობა ცხოველმყოფელ, გამამხნეველ მოვლენად მიმაჩნია.

თქვენც, ისევე როგორც ბევრ სხვას, გინდათ მკითხოთ, პორნოგრაფიასა და ეროტიკას შორის რა განსხვავებაა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამას უკვე ვერასოდეს გაიგებ, რაკი საერთოდ სვამ ამ კითხვას. რადგან ასეა, შეიძლება დასჯერდეთ ტავტოლოგიას: პორნოგრაფია პორნოგრაფიაა, ეროტიკა ეროტიკაა. დასასრულ, თუ გნებავთ, ასეც ვთქვათ: ამ ცნებებს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც კარგ და ცუდ ღვინოებს შორის.

დასანანი, რომ ჩვენი სასამართლო

სისტემა, უმეტეს შემთხვევაში, მოქცეულია უკულტურო იდიოტების, სულელების ხელში, რომლებსაც ამ განსხვავების განსაზღვრა არ ძალუძთ.

აი, ვთქვათ, როგორია მათი დამოკიდებულება ოჰაიოს ეროტიკულ სკულპტურებთან.

ალი ს. რეიემა, ნიუ-იორკში თურქეთის დიპლომატიური მისიის წევრმა, ოჰაიოში არსებული ამ ხელოვნების შესახებ პირველმა მიაგნო. უკვე ვერასოდეს გავიგებ, როგორ შეიტყო მან ეს, მაგრამ ალი კოლექციონერია, ჩვენ კი, კოლექციონერებს, ჩვენი ინფორმატორები გვყავს.

იმ საღამოს დავინყებას ვერ შევძლებ. ოლოფ დალშტრანდი, ალი და მე ერთად ვვახშობდით კლუბში. ოლოფმა ეს-ესაა გვაუნყა, რომ შეიძინა შექსპირის ციკლის „რჩეული სონეტები ჯენტლმენებისათვის“ ასლი. ლიტერატურის ისტორიის სფეროს ცნობილი სპეციალისტების აზრით, ამ ნაწარმოების მხოლოდ შვიდი ასლი არსებობს. გავბედავ, ახლავე სრული მოკრძალებით აღვნიშნო, რომ შექსპირის სონეტების ამ შვიდი ხელნაწერიდან ორი საუკეთესო ჩემს ბიბლიოთეკაშია. მაგრამ გვეყო გადახვევები. ალი აქამდე იმ დაბნეულ, უგულისყურო კაცად მიმაჩნდა, რომლის ფიქრებიც სულ სხვაგან ქროდა. მან გულგრილად მოისმინა ის, რაც ოლოფმა გვაუნყა, და ეს გულგრილობა ისე შესამჩნევი იყო, რომ რამდენადმე განაწყენებული ოლოფი თურქს მიუბრუნდა და მკვახედ ჰკითხა:

— ამასობაში თქვენ რამის ყიდვა მოასწარით? იყიდეთ რამე?

ალიმ ისე ამოიხვნეშა, რომ მთელი მისი მძიმე სხეული შეირხა.

— არაფერი, აბსოლუტურად არაფერი. ისე კი შევეცადე მეყიდა... მაგრამ არ იყიდებოდა.

თითქოს დენმა დამიარა სხეულში. ჩემმა კოლექციონერის ინსტინქტმა მაშინვე გამოიღვიძა. რაღაც ვიყნოსე. თვალემომჩქურული ვაკვირდებოდი

ოლოფს. ის მშვიდად იჯდა, გარეგნულად ძალიან მშვიდადაც კი, მაგრამ მისი გაფართოებული ნესტოები სხვა რამეს ამხელდნენ.

ალი ლაპარაკს განაგრძობდა, მაგრამ ისე განაგრძობდა, თითქოს უჭირდა იმის მოყოლა, რაც მას გადახდა:

— თავიდან ვფიქრობდი, რომ ეს უხეში ოხუნჯობა იყო. მაგრამ განა შეიძლებოდა მევარაუდა, რომ რაიმე ღირებულის პოვნა შეიძლებოდა ამ მიყრუებულ, ტიალ კუთხეში, რომელსაც ემბოჰქვია, ოჰაიოს შტატში, რომელიც მთლიანად სოფლის მეურნეობასაა გადაყოლილი. და მაინც, ანგარიში გავუნიე ჩემი ინფორმატორის რეპუტაციას და გავეშურე იქითკენ. ემბოელებმა ჩემზე ასეთი შთაბეჭდილება მოახდინეს: ისინიც ისეთივე ჩამორჩენილი ადამიანები არიან, როგორც მომთაბარენი ჩვენს აგრი-დაგის რაიონში. მითითებული მისამართისკენ გავემართე, ფრინველებითა და ღორებით გაძედილი, წარმოუდგენლად ბინძური ეზო გადავკვეთე და კარზე დავაკაკუნე. პასუხი არ იყო. კვლავ დავაკაკუნე. ჩამიჩუმი არ ისმოდა. მაშინ შევედი ბელელში, უფრო სწორად, საქათმეში, — ალიმ ძლიერად მოქაჩა სიგარა, მისი თვალები რალაცნაირად სატანური, მაგრამ, ამავე დროს, ბრიყული შუქით კიაფობდნენ, — იქ იყო!

— რა იყო იქ! — ჩაება საუბარში ოლოფი, რომელიც უცებ განერვიულდა, რალანაირად გაღიზიანდა კიდევ.

ალიმ წარბები მაღლა აზიდა:

— რაო? ჰო, ოჰაიოს სიყვარულის ქანდაკებები, რასაკვირველია!

მან სიგარა ჩააქრო და წინ გადმოიხარა. ხმა დაუსერიოზულდა, აღელვებისგან ჩაეხრინნა კიდევ:

— ისინი შესანიშნავნი იყვნენ! მომაჯადოებელნი! სრულყოფილნი! სამივენი ერთ ჩალის საწოლში იწვნენ მომლოდინეთა პოზაში.

ერთ მათგანს ფეხები ჰქონდა...

ალიმ რომელიღაც ხელოსნის, ხელმარჯვე ოსტატის მიერ ოდნავ

შეფერადებული მარმარილოსგან გამოქანდაკებული სამი ახალგაზრდა ქალის, უფრო სწორად, სამი მთლად ნორჩი, თხუთმეტი წლის გოგონების აღსაწერად გარკვეული ჟესტები გამოიყენა. მის მიერ გამოსახული გრაციოზული უსირცხვილობა, დაუოკებელი სურვილის გამოისობით მოკუმული ვნებიანი ტუჩები, მუცლის დაძაგრული კუნთები, თეძოების დაჭიმული მყესები, — ეს ყველაფერი ხელს უწყობდა ამ ჯგუფისთვის წარმოუდგენელი ვნებიანობის აურის მინიჭებას.

— ერთ წუთს აბსოლუტურად გაუნძრევლად ვიდექი, — თქვა ოფლში გახვითქულმა ალიმ, — მე აიანტას ოცდამეათე გამოქვაბულიც ვნახე და აფროდიტეს ოთახიც, რომელშიც ის იმყოფებოდა სიკვდილის წინ, ვნახე რემბრანდტის დახურული კოლექცია, და ლოტრეკის, გოგენის კოლექციებიც... არაფერი შეედრება ოჰაიოს ამ სკულპტურებს.

და მონათხრობის მნიშვნელოვნებისთვის ხაზგასასმელად არაბუნებრივი, მოჩვენებითად ნაღვლიანი კილოთი დასძინა:

— თქვენი კლდეზე ნახატების პანორამაც კი, ენდრიუ.

— კი, ბატონო, მაგრამ განაგრძეთ, განაგრძეთ, — მივმართე თავაზიანად, თუმცა, გამოვტყდები, არ მჯეროდა, რომ ხელოვნების ეს ნიმუშები ასე სრულყოფილნი ყოფილიყო, და მაინც გონებაში გულდასმით ვანგარიშობდი, რა დრო დამჭირდებოდა ოჰაიოში ჩასაღწევად. ოლოფი უდავოდ ავისმაუნყებლად დუმდა და ჩანდა, რომ წასვლას აპირებდა.

ალიმ ტუჩები მოკუმა და სახის ნაკვთები დაუმახინჯდა.

— უკვე ვაპირებდი მათ ხელით შევხებოდი, ზურგს უკან ჩახმახის შეყენების ხმა რომ გავიგონე. მაშინვე შევტრიალდი და სკულპტორის, გაზინთული გენიოსის პირისპირ აღმოვჩნდი — მას აშკარად ჰალუცინაციებით ხელდარეუ-

ლი კაცის თვალეზი ჰქონდა და სამუშაო ბლუზის მსგავსი რაღაც ეცვა. მის ტანსაცმელს ისეთი მყრალი სუნი ასდიოდა, რომ ქათმის სკორეს სუნს ჯაბნიდა. მას ხმა არ ამოუღია, მაგრამ მის მაგივრად მისი იარაღი ლაპარაკობდა, იარაღის ენა კი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირია. ასე ვიდექით ერთხანს, შემდეგ კი მივმართე:

— გამარჯობა, ბატონო, მე ალი რეიემი მქვია. ნიუ-იორკში აკრედიტებული თურქეთის მისიიდან ვარ.

ჩემი დოკუმენტები დავაძრე, მაგრამ ის თვალს არ მაშორებდა. ვუთხარი, რომ ეს ყველაზე ლამაზი სკულპტურებია მათ შორის, რაც კი ოდესმე სადმე მინახავს. მასზე ამ ქათინაურმა არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა. მაშინ გადავწყვიტე მეკითხა მისთვის, რა თანხად დამითმობდა.

როგორც იქნა, პირი გააღო და ცივად, ბუზღუნით ამოღერლა:

— არ იყიდება. ახლა კი მოუსვით აქედან, თორემ მოგკლავთ.

— მუქარის მიუხედავად, შევეცადე მაინც შევვაჭრებოდი. ოცდახუთი ათასი დოლარი შევთავაზე. შეშლილმა თავი გადააქნია და იარაღი ზევით ასწია. კარისკენ დავიხიე და შევძახე: „ორმოცდაათი ათასი!“ მან ლულა პირდაპირ მუცელში დამიმინა. საქათმიდან თავქუდმოგლეჯით გამოვარდნისას ერთხელაც შევძახე: „ასი ათასი!“ მან ერთხელ კიდევ იმავე სამარისეული ხმით მიპასუხა:

— არ იყიდება.

ალიმ თითოეულს რიგრიგობით შემოგვხედა.

— კარგად ვიცნობ ადამიანებს. გავბედავ ვთქვა, რომ ადამიანებში არასოდეს შევმცდარვარ. საქმე შეშლილთან მქონდა... გენიოსთან, მიქელანჯელოს ეპოქის შემდეგ, შესაძლოა, მსოფლიოს ერთადერთ დიდ სკულპტორთან... მაგრამ შეშლილთან. წარმოიდგინეთ, მეორე დღეს ერთხელაც ვცადე, მივედი მასთან სადილის შემდეგ, ას სამოცდახ-

უთი ათასი დოლარის ჩეკი შევთავაზე. მან გაისროლა და ტყვიამ თავზე გადამიქროლა. ღირსება დავივინყე და მანქანაში ვდურთე თავი. ის კი მესროდა და მესროდა. იმ შეშლილმა მესამე ზალპი მაშინ დააქუხა, როცა ეზოდან გამოვვარდი. ასე დავბრუნდი შინ. ეს ერთი კვირის წინ იყო... მას აქეთ ვერ ვიძინებ. ისეთი ქანდაკებებია... მშვენიერი, ისე მშვენიერი... მტვერში, დიდ ტალახში, საქათმეში.

ოლოფმა ორიოდე წუთის შემდეგ განგვიცხადა, თავი მტკივაო, პატიება გვთხოვა, თითქმის სირბილით გაგვეცალა და მაგიდასთან დაგვეტოვა მე და განადგურებული, დათრგუნული ალი, რომელიც თავის სიგარას პირქუშად დაჰყურებდა და სირჩიდან კონიაკს წრუპავდა.

წამითაც არ შემპარვია ეჭვი, რომ ოლოფი შეეცდებოდა, ჩემთვის დაესწრო. მაშინ მკვეთრი მანევრი ავირჩიე... დავიქირავე რეაქტიული თვითმფრინავი. ალისთან დამშვიდობებიდან სამი საათის შემდეგ კი ლემენენში, ოჰაიოს შტატში ვიყავი. ორმოცდახუთი წუთი დამჭირდა იმისთვის, რომ ადგილზე აღმოვჩენილიყავი.

როცა სახლისკენ მიმავალ მტვრიან ბილიკს მივუყვებოდი, სუსხიანი, მოზუზუნე, ავის მომასწავებელი ქარი სიმინდის ნაყანევიდან ნამჯას ხვეტდა. შუალამე უკვე გადასული იყო, მაგრამ ეული ნათურა ენთო სახლის ბოლო სართულზე. პარმალზე იდგა სველი, გამოშიგნული სავარძელი, რომლის ყველა მხრიდან მედუზის თავის მსგავსი ზამბარები იყო გამოშვერილი. სადღაც დაუანგულანჯამებიანი დარაბები რაკუნობდა, სახურავზე კი სანახევროდ დაგლეჯილი, ბიტუმით გადახურული მუყაო ქარის ყოველ დაქროლებაზე საზარლად ტყლაშუნობდა.

დავაკაკუნე.

საკმაოდ დიდხანს მომიწია ცდა, ვიდრე უთანაბრო, გაუბედავი ნაბიჯების ხმას გავიგონებდი. კარი ჭრილით

გაიღო. დავინახე სკულპტორი, სწორედ ისეთი, როგორც ალიმ აღწერა, კიდევ უფრო მეტად ჭუჭყიანი და, შესაძლოა უფრო დაბალიც, რომელსაც ისეთი სუნი ასდიოდა, რომ ლამის ვარწყიე. მაგრამ უეჭველად ის კაცი იყო... და ასევე უეჭველი გახლდათ, რომ შეშლილი იყო.

ჩემი თავი წარვუდგინე და ვუთხარი:

— მე სკულპტურების სანახავად ჩამოვედი.

— მოუსვით აქედან, — დაიღმუვლა მან, — არ იყიდება.

სახე დაეკრუნჩხა და სიძულვილისგან დაუმახინჯა.

ამას ველოდი, და ამიტომ მოქმედებების ჩემი სტრატეგია შევიმუშავე. ხელი ავწიე და დამამშვიდებელი ჟესტით ღიმილით განვუცხადე:

— რასაკვირველია, არ იყიდება, მაგრამ ეს ხომ გენიოსის მიერ შექმნილი ხელოვნების ნაწარმოებებია... და შეუძლებელიც კია შენს თავს აქ ვაჭრობის ნება მისცე და ასეთ ფასდაუდებელ შედეგებში მის ავტორს რაიმე თანხა შესთავაზო.

ეს რამდენადმე ბანალური, გაცვეთილი ლაყბობა იყო, მეტიც, თითქმის იყო გამონოვლი. მაგრამ ეს ჩემთვის სასურველი სვლა გამოდგა. ამან მას თავგზა აუბნია. დავინახე, რომ სიძულვილმა ადგილი ეჭვებს დაუთმო. მან თავი გვერდზე გადახარა და მკითხა:

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ... რომ თქვენ... არ შეეცდებით ისინი წამართვათ?

— არა, — ვიცრუე, — მე გავიგონე, თუ რა გამაოგნებლად ლამაზია, რა აბსოლუტურად სრულყოფილია ისინი, და შორიდან, ძალიან შორიდან ჩამოვედი იმისთვის, რომ ქედი მომეხარა იმ ადამიანის წინაშე, რომელმაც ასეთი შედეგების შექმნა შესძლო.

ამ ლაყბობას არც ერთი ნორმალური ადამიანი არ ჩათვლიდა სიმართლედ, მაგრამ მოხუცი — ცოტა ცხოველს რომ ჰგავდა — უფრო სიტყვებს კი არა, ჩემი ხმის მოდულაციებს უსმენდა.

ცოტა ხანს სახეზე მაკვირდებოდა და ბოლოს იარაღი ძირს დაუშვა. მის ორივე ლოყაზე, არწივისებური ცხვირის ორივე მხარეს, ცრემლები გადმოღვარღვარდა.

— ყველას, ვინც კი ჩემი მომხიბვლელი, ჩემი უმშვენიერესი ქმნილებები ნახა, მათი ყიდვა ან მოპარვა უნდოდა.

ის, გულაჩუყებული, რამდენადმე დაბნეული, ბუნდოვანი იმედით შემოქმედებდა: დიოგენეს ჰგავდა, დალილ, ღონემიხდილ, დასვენების მსურველ დიოგენეს.

მოვერიე ზიზღს, არად ჩავაგდე მისი აყროლებული ტანსაცმელი და მხარზე მოვეხვიე:

— მართლა ასეთი მშვენიერი სკულპტურებია, როგორც ამბობენ?

და ახლა მოხუცს უკვე თვითონ უნდოდა ჩემთვის მათი ჩვენება. ჩქარობდა, რაც შეიძლებოდა სწრაფად მენახა ისინი. ფრინველებიანი ეზო გადავიარეთ. ჩემ წინ მირბოდა, ხელში ატაცებული თავდახურული ნავთის ლამპით. უცნაური ჩრდილები იგრიხებოდნენ, იმანჭებოდნენ, ცეკვავდნენ და ხტუნაობდნენ ჩვენს ზურგს უკან. როდესაც მოხუცი მივიდა საქათმესთან, რომელზეც ორი კლიტე ეკიდა, შემოტრიალდა.

— აქ მომიცადეთ, — მითხრა მან, — ხომ იცით, ღამე განათება ძალიან ზუსტად უნდა იყოს დოზირებული.

„ღიას, — ვუთხარი ჩემს თავს, — აი კაცი, რომელმაც ზუსტად იცის, რა უნდა გააკეთოს, რათა ხელოვნების ნიმუში უზადოდ წარმოდგეს, როგორ განათდეს“. მესმოდა, როგორ დააბოტებდა აქეთ-იქით ქანდარიდან ჩასმოყრილ აკრიახებულ ქათმებსა და წინილებს შორის.

შემდეგ თითქმის მორიდებული ხმით დამიძახა:

— მობრძანდით.

სინათლის ჭავლები ეალერსებოდა სკულპტურებს, ნაზად და ფრთხილად ელამუნებოდა მათ კონტურებს. და უცებ, თითქოს უნებლიედ, სუნთქვა შემეკრა — თითქოს დამბლა დამცა ამ ქან-

დაკვებებიდან წამოსულმა ვნებიანმა ძალამ. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს მთელი ჩემი შიგნეული ფოლადის ძალამ შებორკა. არასოდეს დამმართვინია ასეთი რამ. შეეცადეთ გაიგოთ ის, რასაც ვგრძნობდი, რაც გადავიტანე იმ დროს. სიყრმესა და ჭაბუკობაშიც კი ეროტიკის მოულოდნელად მომაჯადოებელი ზოგიერთი მხარე ამქვეყნად ყველაფერზე მეტად აცვიფრებს ჩვენს წარმოსახვას, ყველაზე მეტად გვიტაცებს. სურვილმა ყელში წამიჭირა, გული გადარეულივით მიძგერდა, მთელი ჩემი შიგნეული თითქოს აირ-დაირია. არ შემიძლია გითხრათ, თუ რამდენ ხანს ვიდექი გაშეშებული, ამ სილამაზით გათანგული, მაგრამ ბოლოს და ბოლოს შევეძელი, თავს მოვრეოდი და მთელი ყურადღება ჩემი ჩამოსვლის საგანზე გადმომერთო. სულსაც გავყიდდი, მილიონებსაც კი გავიღებდი, ოღონდ ამ სკულპტურებს დავუფლებოდი. მებრალეობდა მათი შემქმნელი, იმიტომ, რომ მე, წუთითაც კი არ შევეყოყმანდებოდი და მოვკლავდი მას, თუ მეტისმეტად გამიჯიქდებოდა.

ლაპარაკს აუჩქარებლად, ფრთხილად, მაგრამ სულ უფრო და უფრო მეტი დაჟინებით შევუდექი. თანდათანობითი ნახტომებით სულ უფრო და უფრო ღრმად ვაღწევდი ამ პარანოული გონების პირქუშ და გზა-კვალდაბურდულ ჯუნგლებში. აგერ უკვე დაახლოებით საათია ვუბრუნდებოდი ერთსა და იმავე თემას, ისევ და ისევ იმ ლურსმანს ვაჭედებდი და ვაჭედებდი, სახელდობრ კი: რომ იქ, სიბნელეში, განუწყვეტლივ დაბორიანებენ ვიღაც ადამიანები, რომლებსაც სურთ მას ეს სკულპტურები მოსტაცონ. და, როგორც იქნა, ის დამნებდა. დავინახე, როგორ ტიროდა, ნამდვილი ცრემლებით ტიროდა, ბავშვივით ტიროდა, თვალელები უფართოვდებოდა და უფართოვდებოდა. ის მზად იყო. დადგა გადამწყვეტი დარტყმის მომენტი. ტუჩებმოკუმულმა, ისეთი შთაგონებული სახე მივიღე, თითქოს გადანყვე-

ტილება ეს წუთია მიმელოს, და ვთქვი:

— რასაკვირველია, თქვენ რომ აქ არ იმყოფებოდეთ... და არც სკულპტურები იყოს აქ... ისინი რომ საიმედო ადგილას, საიდუმლო საცავში იყოს მოთავსებული, თან თქვენი დაცვის ქვეშ...

ის წამოხტა კიდეც:

— დიახ! დიახ! სწორედ ასეა საჭირო. დავმალავ!

თავი გადავაქნიე.

— არა... „ისინი“ მოგაკვლევენ, მაგრამ თუ შევძლები საიმედო ადგილის მონახვაში დაგხმარებოდით, აქედან შორს, ძალიან შორს. ეს, იქნებ, ნიუ-იორკშიც იყოს...

სკულპტორმა დაიჩოქა. ვედრებად ქცეული მეჭიდებოდა შარვალზე.

— გთხოვთ, გევედრებით... გემუდარებით, დამეხმაროთ! მითხარით, აქედან საით უნდა გავემგზავრო!

— კეთილი, — ვთქვი მე იმ კაცის ტონით, რომელსაც კეთილი საქმის ჩადენა სწადია, რომელიც თავისი უანგარობის ნათელყოფისკენ ილტვის, — ყველაფერს ვიღონებ იმისთვის, რომ თქვენ ისინი დახურულ მუზეუმში გაგზავნოთ.

სიტყვა „მუზეუმის“ გაგონებაზე მისი გუგები რამდენადმე დავინროვდა, თვალელები აუხამხამდა და სასწრაფოდ დავუმატე:

— მაგრამ ამასთანავე საჭირო იქნება, რომ მათ დღედაღამ იცავდეთ, რადგან მათ თქვენი პასუხიმგებლობის ქვეშ დავაბინავებთ.

ამ ფრაზამ გაჭრა და გააქარწყლა ის ეჭვები, რომლებიც ჯერ ისევ ჰქონდა მოხუცს.

მაშინვე განვიხილეთ ზომები, რომელთა გატარებაც აუცილებელი იყო, და მზადებაზე გადავედით. ყველაფერი გარიჟრაჟისთვის დამთავრდა, მამლები უკვე ყიოდნენ, როცა შევუდექით ყველაფრის ერთ-ერთი ფირმის კუთვნილ, თითქმის ყოვლად უვარგის სატვირთო მანქანაში ჩალაგებას. ის სკულპტურები მას უნდა ჩაეტანა ნიუ-იორკამდე, და დაუყოვნებლივ დაძრულიყო აქედან,

რათა ჩემამდე მათ ოცდათექვსმეტ საათში მოეღწიათ. ეს ერთნახევარი დღე-ღამე მარადისობად უნდა მომჩვენებოდა. ერთადერთი რამ, რასაც შეეძლო დავემშვიდებინე, ის იქნებოდა, რომ ისინი მე თვითონ გადამეზიდა, რაც სავსებით შეუძლებელი იყო მოხუცის ავადმყოფური ეჭვიანობის გამო, მოხუცისა, რომელიც ყოველ წუთს შეიძლებოდა გონს მოგებულიყო.

როცა სკულპტორმა თავისი ფარანი სულის შებერვით ჩააქრო, ვცდილობდი წარმოსახვით აღმედგინა ამ სამი, ახლა უკვე სატვირთო მანქანის საბარგულში გართხმული, გრაციის ერთობის გასაოცარი სცენა. ის, რაც ალემ მიქელანჯელოზე გადაკრულად თქვა, სავსებით სამართლიანი იყო, თუ ვილაპარაკებთ მის ნაწარმოებ „პიეტაზე“. დეტალების იგივე ვნებიანობა და გამომეტყველება, ასევე უსიტყვო ძახილის გამოხატვა, რაც ასე ახასიათებთ ქორფა ქალთა სახეებს. თითქმის მონინებით ვეხმარებოდი მოხუცს ამ სკულპტურებისთვის ჩალის, ზენრებისა და ძველი ბრეზენტის დაფარებაში.

ორიოდე წუთის შემდეგ სატვირთო მანქანა უკვე გადიოდა ეზოდან. ოთხი საათის შემდეგ კი მე უკვე ნიუ-იორკში ვიყავი.

მათ ჩამოსვლამდე დარჩენილ დროში გაცხარებულად, გამალებით ვიმუშავე. ვიყიდე სტილიზებული რომაული საწოლები, რომლებზეც წითელი ხავერდი იყო გადაკრული. მინდოდა სკულპტურები მათზე წამომენვინა. შევცვალე მუზეუმში ნიმუშების განლაგებაც, რათა სკულპტურებისთვის საკმარისი ადგილი დამეთმო. საწოლებს დავდგამ, ჩემს თავს ვეუბნებოდი, კუთხეში, კლდეზე ნახატებიდან შვიდ-რვა მეტრში. იქ ჩემს სტუმრებს გათანგავს აღტაცების აპოგეა, სულის თავისებური ორგაზმი. შამპანურის თანხლებით შევუდექი ამ სკულპტურების ფარული დათვალიერების გეგმის შემუშავებას, და იმ ხელოვნებისმცოდნეთა დაახლოებით ორასკაციანი

სიის შედგენას, რომლებიც, ალბათ, მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოფრინდებიან გამოფენის გახსნაში მონაწილეობის მისაღებად. ის ადგილიც კი მოვიფიქრე, სადაც გავაქრობდი მოხუცის გვამს, თუ ეს საჭირო გახდებოდა.

როცა მეორე დღეს სალამოს ტელეფონმა დარეკა, მაშინვე ვეცი ყურმილს, მაგრამ ოლოფი შემრჩა. მისი ხმა ყრუდ ისმოდა, ტონი კი უცნაური მომეჩვენა.

— ვიფიქრე, რომ უნდა დამერეკა თქვენთვის, რათა მომელოცა.

— მაშასადამე, საქმის ყურში ხართ!

ვერ შევძელი, რომ ეს უბრალო სიტყვები ჩემი უზარმაზარი კმაყოფილებით, გამარჯვების გამო სიამაყით და ჩემი არსების აღმავსებელი ზეიმის წადილით არ დამეხუნძლა.

— არა, მაგრამ რადგან ჩამოვედი და სკულპტურები აღარ დამხვდა, დავასკვენი, რომ ფინიშზე ისევ გამაცურეთ და მომიგეთ.

გავიღიმე. სანყალი მოხუცი ოლოფი! მე ის ცოტათი მებრალებოდა: ეს ის კაცია, ვინც ყოველთვის მეორეა მაშინ, როცა საქმე მნიშვნელოვან, განსაკუთრებულ შენაძენებს ეხება.

მაგრამ შიშის ცეცხლმა დამზაფრა, როცა ისევ ალაპარაკდა. აი, რა თქვა:

— მაგრამ ჯერ ის მინდოდა მეთქვა თქვენთვის, რა გულნატკენი ვარ, როგორ ვწუხვარ...

— გულნატკენი ხართ? კი, მაგრამ რატომ?

— როგორ! განა თქვენ... (რაში სჭირდება ასეთი მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი?) სალამოს გაზეთები არ წაგიკითხავთ?

— არა... (ეს სიტყვები ყელიდან ყიყინივით აღმომხდა). რით შეიძლება ეს მე მეხებოდეს?

ხანგრძლივი დუმილი ჩამოწვა. ისიც კი მესმოდა, როგორ სუნთქავდა ოლოფი. როგორც იქნა, ალაპარაკდა:

— იქ ყველაფერი წერია, პირველ გვერდზე. მოხუცი, სკულპტურები ოჰაიოდან. მორჩა. მას გოუშენიდან გამოსვ-

ლისას პატარა, ძალიან პატარა საგზაო გაუგებრობა შეემთხვა. პოლიციელებმა სცადეს მისი გაჩერება, მაგრამ მან ცეცხლი გახსნა. პოლიციელები იძულებული გახდნენ ცეცხლითვე ეპასუხათ და მოხუცი დაიღუპა. შემდეგ კი სატვირთოს შიგნით სკულპტურები აღმოაჩინეს (ეტყობა, ოლოფს სული შეეხუთა: ისიც კი მესმოდა, როგორ ყლაპავდა ჰაერს). ენდრიუ... ისინი, პოლიციელები, იმ სკულპტურებს გაანადგურებენ.

— სკულპტურებს გაანადგურებენ? — ვიყვირე მე, — ო, ღმერთო, არა, არა! არა, არა-მეთქი! რატომ უნდა ჩაიდინონ ასეთი უგუნურება? ეს ხომ პორნოგრაფია არაა. რა პოლიცია? რის პოლიციელები? ახლავე დავურეკავ მათ. გუბერნატორს მივმართავ...

— არა, ენდრიუ. გუბერნატორი აქ ვერაფერს იზამს.

— რატომ? თქვენ, რა, შეიშალებ? ეს სკულპტურები ხომ ხელოვნებაა, ხელოვნება! გესმით ჩემი? — ვღრიალებდი. — ნებისმიერ სპეციალისტს შეუძლია დაადასტუროს, რომ ეს შედეგია! მე მეკუთვნის. მათში ფული გადავიხადე.

მომეჩვენა, რომ ოლოფის ხმა ჩემამდე შორიდან, ძალიან შორიდან აღწევდა, და ვიდრე მე ვლაპარაკობდი, სულ ფიქრობდი, რომ ჭკუიდან ვიშლებოდი, გონება მეცლებოდა, რომელიღაც ბნელი კუთხისკენ გამიბოდა, რათა ფუჭი, ამოუკვრივებელი განედევნა. და რაკი ვდუმდი, ოლოფმა გაიმეორა:

— სკულპტორი? არა, ენდრიუ, არა. ის მოხუცი სკულპტორი არ იყო, ის ფიტულების დამზადების სპეციალისტი გახლდათ.

შემდეგი

ჯო გორზას ნაამბობი

რა ეშმაკი შეუჯდა ვიქტორს და რამ ნამოიყვანა ჩემთან სან-კვენტინში — დღემდე ვერ გამიგია და ეს კითხვა ჩემ-

თვის კითხვადვე რჩება. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ნამდვილი ბავშვობა იყო, ვიქტორი კი მხიარულებას აღმერთებდა. ეს იყო ტანმალალი, ფრიად საზრიანი შავტუხა, თვალებმოკიაფე, წყალქვეშ ყვინთვის ფანატიკურად მოყვარე ყმანვილი. მუდამ ფულზე წუნუნებდა, არადა ჯიბეები ყოველთვის გატენილი ჰქონდა. ეს იდეა მაშინ მოგვივიდა, როცა მასთან პორტერო-ჰილში, ტერასაზე მოკალათებულნი ნება-ნება ვწრუპავდით ჯინს.

— ყველაფერი მინახავს, — ამოიოხრა მან, — ყველაფერი გამოვცადე, ყველანაირ გოგოებთან ვინექი: ნითლებთანაც, ყვითლებთანაც, შავებთანაც, თეთრებთანაც. მინებივრია: ჰაშიშითაც, ნარკოტიკებითაც, მესკალინითაც, ერთი-ორჯერ კოკაინიც კი მოვსინჯე...

— მაგარი ვინმე ხარ, ძველო.

— მაგრამ... არის ერთი რაღაც, რაც არასოდეს გამიკეთებია.

რაკი ცოტა ხნით დადუმდა, თვალი შევავლე ჯერ ჯინის ლიტრიან ბოთლს, რომელიც სასთუმალთან მედგა, მერე კი თვითონ ვიქტორს. მისი თვალების იდიოტურმა კიაფმა ძილბურანიდან გამომიყვანა.

— რა? — ვკითხე მას.

— სასამართლო განაჩენის აღსრულებას არასოდეს დავსწრებივარ.

მცხუნვარე მზის ქვეშ, გაბერილ მატრასზე პირდაპირ მილურსმნულმა, ზოზინით გადავხარე ეს იდეა. სიკვდილით დასჯაზე დასწრება, იმის ყურება, როგორ კვდება ადამიანი, — გენიალური იდეაა ცნობისმოყვარე ადამიანისთვის.

— მაგარია, — ჩავიჩურჩულე.

მეორე დღეს ჩემი პირველი სოლო კონცერტის ზოგიერთ ნაკვეთს ვუკირკიტებდი და, ბუნებრივია, ის საუბარი მიმავინყდა. ვიქტორმა ის საღამოს შემახსენა ტელეფონით:

— მისწერე წერილი სან-კვენტინის ციხის უფროსს? მან უნდა დაურეკოს სან-ფრანცისკოს პოლიციის უფროსს, რათა დაამოწმოს, რომ ნასამართლავი არა ხარ, არც გიჟი ხარ და შეგიძლია

სასარგებლო იყო საზოგადოებისათვის.

წერილი დაწერილი მქონდა, რადგან სიფხიზლეშიც კი ამ იდეას თავშესაქცევ, სასერიო რამედ მივიჩნევდი. ვიცოდი, რომ ხვრეტდნენ თორმეტი მონმის თანდასწრებით, რადგან, როგორც ეს ჯეიმს კენის ძველ ფილმშია, სიკვდილმისჯილი ვერ გასულიყო უკანა კარიდან. ორი თვის შემდეგ მივიღე პასუხი, რომ სანკვენტინში „სპექტაკლის ვარსკვლავი“ იქნება ერთი ჭაბუკი, რომელმაც ფორტოდის ახლოს ავტოსაბმური შეამტვრია და არმიის ლეიტენანტის ცოლი გააუპატიურა. ქალმა კივილი დაიწყო, მაგრამ ჭაბუკმა მას სახეზე ბალიში დააფარა. ყველაზე უსიამოვნო ის აღმოჩნდა, რომ ქალმა საერთოდ შეწყვიტა სუნთქვა. სასამართლო, რომელმაც ამ ჭაბუკს განაჩენი გამოუტანა, რვა ქალისგან შედგებოდა. მათ პირი შეკრეს და თავგამოდებით ცდილობდნენ მის გაზის კამერაში შეგდებას. ჩემთვის ეს სულერთი იყო. მხიარულებაა და მორჩა.

ვიქტორმა დილის რვის ნახევარზე შემომიარა და სანკვენტინისკენ გავეშურეთ. მას უძვირფასესი იტალიური კოსტიუმი, ორმოცდაათდოლარიანი ყელიანი ფეხსაცმელი ეცვა და ვინროფარფლებიანი, პატარაფრთიანი შლიაპა ეხურა. მოკლედ, პორტფელია აკლდა და პრეზიდენტი ან გენერალური დირექტორი გეგონებოდათ. როცა შავ კოსტიუმსა და ნაქსოვ ჰალსტუხში დამინახა, ისეთი შეშლილი კაცის ღიმილით გამიღიმა, როგორსაც ადმინისტრაციულ საბჭოებში ნამდვილად ვერ ნაანყდებით. სიცივის მიუხედავად, თავის „მერსედესს“ სახურავი ახადა.

— გენიალურია! ვარცხნილობაც შეისწორე და ზედგამოჭრილი გვამის ნასაღებად მისულ დამკრძალავი ბიუროს მსახურად იქცევი.

რადგან ყოველთვის პირდაპირ თვალებზე თმაჩამოფენილ ხარხხას ვგავარ და ჯოხივით მჭლე ვარ, ვიქტორი ამკარად აზვიადებდა. მანქანის პატარა კარის ჯიბეში „ხოსე კუერვოს“ ბოთლი ჩავდ-

გი — და გავუტიეთ! ისე მხიარული და აღგზნებული ვიყავით, თითქოს ეს წუთია მსოფლიოში საუკეთესო ანეკდოტი გაგვეგონოს, ან ჩვენთვის მის მოყოლას ახლა აპირებდნენო.

ეს ხდებოდა ერთ ტიპიურ კალიფორნიულ დილას: როცა გრილა, მზე ცივია, ცამტრედისფერია, აქა-იქ ღრუბლები ისე მიმოპენტილა, თითქოს უფალს სადღაც ჰორიზონტს იქით ფერფლი ჩამოებერტყოს. დილის იახტა ნავსადგურში წყალში ჩაგდებული ქალადის პატარა ჭიქასავითაა; ქორორზე ქაფმოვლებული ტალღები ცეკვავენ ეინჯელ აილენდის ირგვლივ; ზღვის სუნი, ქარის ცივი და მლაშე კონა. მაგრამ მერინ-სიტის მიმართულებით 101-ე ტრასის გვირაბის შემდეგ უცებ ვიგრძენი: ისე აცივდა, თითქოს მზე ღრუბლებმა მოახრჩვესო. პირველად დავფიქრდი იმაზე, რასაც ვაპირებდით. ეტყობა, ვიქტორსაც ჰქონდა რაღაც ამდაგვარი შეგრძნება, იმიტომ, რომ ჩემკენ მოტრიალდა და მირჩია:

— მშვიდად იყავი!

— მშვიდად ვარ, — ვუთხარი.

სანკვენტინის ციხე ზღვას მიბჯენილი მინის მთლად ბოლოში იყო აღმართული. კლდეზე მოკალათებულ და გასათბობად მზეს ტანმიშვერილ დრაკონს ჰგავდა. გავჩერდით ციხის აღმოსავლეთ ჭიშკართან, სადაც რომელიღაც შერეკილთა, მთლად შავებით შემოსილ კვაკურთა თუ მენონიტთა (პროტესტანტების სექტებია) კომპანია იქ თავისი მდუმარე დგომით პროტესტს აცხადებდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ — ისინი ასე იქცევიან მას აქეთ, რაც ჩესმანმა კედლის იმ მხარეს სიკვდილით დასჯის უფლება მოიპოვა. როცა მათ ვუყურებდი, ჩემში რაღაც პირქუში წინათგრძნობა ამოძრავდა.

— მოდი, თავი შევიკავოთ, — შევთავაზე იმ მომენტში, როცა პანიკამ დამარია ხელი, — ამ სპექტაკლის სანახავად სხვა დროს ჩამოვიდეთ.

პენერ-სიტიში გადმოსახლებულ ვიქ-

ტორს ყველაზე მეტად ამ შავსამოსიანი საცოდავი არსებების ყურება უნდოდა. როცა მათ ჩვენკენ გამოიხედეს, ვიქტორი თავისი რბილი სკამის ზურგზე შეხტა და ხელები რალაც უცნაური სტილით აპყარა ზევით. თავისი კუსძვლის-ჩარჩოიანი სათვალთ, მბრწყინავი კბილებითა და სამასდოლარიანი ტანსაცმლით ჰოლივუდისკენ მიმავალ ქრისტეს ჰგავდა.

— იმას, რასაც თქვენ იმ უბედურისთვის აკეთებთ, ჩემთვის აკეთებთ, — აპოკალიპტური ტონით იყვირა მან.

მაშინვე ვეცი და ძალით დავსვი სკამზე.

— ღვთის გულისათვის, თავი შეიკავე, — ჩავილულულე.

სიცილით ლამის გაიფხრინა, სილა გამილანუნა, შემდეგ კი შიდა ჯიბიდან ამერიკის დროშა დააძრო და საქარე მინიდან მის ქნევას მოჰყვა. შევამჩნიე, რომ გაოფლილი იყო.

— ჩვენ დიად და მშვენიერ ქვეყანაში ვცხოვრობთ! — უყვიროდა ის შავი ყორნების ამ ბრბოს.

შემდეგ მანქანა დაქოქა და აქეთ-იქით აქანავა. მიტრიალებულმა დავინახე, რომ ერთი-ერთი შავოსანი პირფარს ინერდა. ესეც შენი შუა საუკუნეები! არა, მე მათ არ ვკიცხავ, არა, უბრალოდ... ყველას თავისი მიეგება.

გისოსთან მდგარმა მცველმა გალაგვის გარე კედელს მიყრდნობილი პატარა ხის სახლისკენ გაგვიშვა. იქ შევხვდით ხუთ მოწმეს: სამ ჟურნალისტსა და ერთ პირში სიგარეტგაჩრილ აყლაყუდას, რომელიც საკრამენტოელ პოლიტიკოსს ჰგავდა ძალიან და კიდევ ერთ სამხედრო ლეიტენანტს, რომელსაც ბალთიანი ქამარი ჰქონდა შემოკრული.

ციხის მეორე ზედამხედველმა გვთხოვა ჯიბეები დაგვეცარიელებინა და მოგვცა ხელწერილიანი ჩამონათვალი იმისა, რაც ჩვენი ჯიბეებიდან ამოვალაგეთ. ფლიუროსკოპისთვის მეტისმეტად მძიმე ყელიანი ფეხსაცმელებიც გაგვახდევინა, შემდეგ კი თითო-თითოდ

შეგვიყვანეს ერთ პატარა ოთახში რენტგენზე, იმის გასაგებად, რომელიმე მოწმეს ხომ არ ჰქონდა ფოტოაპარატი სადმე ჩამალული — ციხის ადმინისტრაციას არ სურს, როცა ტყვიები ნუის, ფოტოაპარატი ჩხაკუნობდეს. ბოლოს, როცა ციხის შიგნით ამოვყავით თავი, ნესტოებში ძველი ციხისთვის დამახასიათებელი სადებიფექციო და სარეცხი საშუალებების სუნი გვეცა.

პოლიტიკოსმა, რომლის თვალებიც იერიშზე გადასვლისთვის გამზადებულ ტანკებს ჰგავდა, გადანყვიტა, რომ უფლება ჰქონდა უხამსად ეხუმრა, მაგრამ იქ მყოფებმა, მათ შორის ჟურნალისტებმაც, თავშეკავებით მოაკეტინეს. მეგონა, რომ ციხის ზედამხედველების გარდა, არავის არ ჰქონდა ჩვევად ქცეული ამგვარი სიკვდილით დასჯაზე დასწრება. მთლად ნითური ოფიცერი ისეთი ფერმიხდილი იყო, რომ მისი ჭორფლები წვრილ საფანტებს ჰგავდა. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ხუთი მცველი მოვიდა, თორმეტი მოწმე ოფიციალურად რომ დაეფიქსირებინათ. ციხის ზედამხედველთა გამოთავყვანებული სახეები ჰქონდათ, მოშორებით იდგნენ და ბავშვებივით რალაცაზე იკრიჭებოდნენ. მე და ვიქტორმა იქითკენ მივიჩოჩეთ, მათი საუბრისთვის რომ მოგვესმინა.

— დღეს ვის ვისტუმრებთ იმქვეყნად? — იკითხა ერთმა.

— არ ვიცი, გაზეთი არ წამიკითხავს, — დაამთქნარა მეორემ.

— შენ, რა, არ გახსოვს? — გაიკვირვა მესამემ. ეს ის ტიპია, საელაინზის ახლოს ავტოფურგონში ქალი რომ დაბრინდა.

— ჰო, სამხედროს ცოლი. ჯერ გააუპატიურა და...

სწორედ ამ დროს რამდენიმე კიდევ შემოვიდა და შეგვიყვანეს ოთახში, საიდანაც უნდა გვედევნებინა თვალყური იმისთვის, რაც მოხდებოდა. ორ-ორად დავენწყეთ, თითოეულ წევრს ესკორტად მომაგრებული გვყავდა მეთვალყურე, და გაუცნობიერებლად ისე დავიძა-

რით მწყობრი ნაბიჯებით, თითქოს ჩვენთვის აჯუღანს (სამხედრო წოდება) შემოეთავაზებინოს საჭირო რიტმი. იმან განმაცვიფრა, რომ, კრებვადაკრული დაფდაფების გრუხუნის მოსმენისას დავიძაბე.

გაზის კამერის გვერდით აშენებული სათვალთვალო ოთახი ამფითეატრის სახით განლაგებული სკამების სამ რიგს ითვლიდა და დამატებით მსურველებსაც დაიტევდა. ექვსკუთხა ოთახი ჩვენი ოთახისგან გამიჯნული იყო ფოლადის სამი ტიხარით. იმ ოთახში იდგა მხოლოდ ორი დიდი სკამი, ალბათ, მუხისა, რომლებსაც ძალიან მაღალი საზურგეები ჰქონდა, ყველაზე მაღლებსაც რომ შესძლებოდათ ზურგით მიყრდნობა. ყველა საჯდომის ქვეშ იდგა სათლი, რომელიც, რამდენადაც ვიცოდი, მარილმჟავით იყო სავსე. ჯალათმა, როცა სიგნალი მისცეს, ციანიდური ნატრიუმის ტაბლეტები ჩაყარა გადახრილად დაყენებულ შლანგში, რომელიც სათლში ეშვებოდა. იქ ხდებოდა ციანიდურ გაზის გამომათავისუფლებელი რეაქცია და იმ სკამებზე მსხდარ ტიპებს ბოლო ეღებოდათ.

მონმემ, რომელიც პოლიტიკოსს ჰგავდა, დაბალი ბარიტონით იკითხა, ორი სკამი რატომ დგასო.

— იმისთვის, მეგობარო, ორს რომ ერთად გამოუყვანონ წირვა, — ავუხსენი მე.

— ალბათ ხუმრობთ, — კი შემომეკამათა, მაგრამ მივხვდი, რომ მას ეს აზრი მოეწონა, — საინტერესოა, იმ სკამებს პირით ჩვენკენ რატომ არ აბრუნებენ, — სინანული გამოთქვა, — ჩვენ მის სახეს ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტშიც კი ვერ დავინახავთ.

კარი უცებ ხმაურით გაიღო და ოთახში შევიდა მცველი, რომელიც მაშინვე სმენაზე დადგა და გაირინდა, მას კვალდაკვალ შეჰყვა ზოროსავით შავებში ჩაბლანდული მღვდელი, რომელიც ისეთი გასავათებული ჩანდა, თითქოს მარხულობდა. ალბათ, ახალბედა იყო: მღელ-

ვარებას ვერ იოკებდა. ლოცვანი სამჯერ დაუვარდა იატაკზე.

მაღე მეორე მცველი შემოვიდა. ის წინ მოუძლოდა სიკვდილმისჯილს, რომელიც თითქოს შოკში იყო. ველოდი როდის დაინყებდა კვნესას, ანდა, პირიქით, თავისი ვაჟკაცობის აფიშირებას, მაგრამ არა, მას უბრალოდ მოვლენის მონაწილე ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა.

უჭალსტუხო ქათქათა სახელოებაკაპინებული პერანგი ეცვა, შარვალი თითქოს ჯარის საწყობიდან ჰქონდა გამოტანილი. გარეგნობით ოცდაათ წელს მისცემდით, ქერა თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი. ყველაზე საშინელი კი ის იყო, რომ მის სახეს ვერასოდეს გავიხსენებდი, ასე რომ არ მგვანებოდა ლეიტენანტს, რომელიც ცხვირით მიენება მინას ჩემ გვერდით.

აი მისი ხელები კი ძალიან კარგად მახსოვს. წითელი, დამსკდარი, შეშუპებული ჰქონდა, თითქოს სან-ჯოეკინგელში მინიდან თალგამს თხრიდაო. და უცებ შევამჩნიე, რომ მასზე უკვე წარსულ დროში ვფიქრობდი.

ზედამხედველები შეუდგნენ დაკისრებული ამოცანის შესრულებას: სიკვდილმისჯილის სკამზე მიბმას, მკერდის ირგვლივ ფართო ქამრის, ხელებსა და ფეხებზე კი ვინროების შემოკვრას. ძალიან ცდილობდნენ მისთვის კომფორტი შეექმნათ! მათ კითხვებს სიკვდილმისჯილი რაღაცას პასუხობდა, რაც მე, ბუნებრივია, არ მესმოდა, მაგრამ, ვფიქრობ, ამბობდა: „არა, არა უშავს, ძალიან არ მიჭერს, ბიჭებო. ვიმედოვნებ, რომ ჩემ გამო სადილზე არ დაგაგვიანდებათ“.

ისეთი შენუხებული სახე ჰქონდა, გული დამეთუთქა. როდესაც საბედისწერო სკამს აბამდნენ, იმ უბედურმა თავი ჩვენკენ შემოაბრუნა და გაიღიმა. რომელიმე ხელი თავისუფალი რომ ჰქონოდა, ალბათ მოსასალმებლად ამინევდა. ერთ-ერთი თმაჭალარა და ნაღვლიანთვალემა მცველმა მხარზე მოუთათუნა ხელი და გავიდა. აქაოდა, პირადად

შენთან სამტრო არაფერი მაქვს, უბრალოდ ჩემს სამუშაოს ვასრულებ, მხოლოდ ესაა და ესო.

ამის შემდეგ პროცედურის რიტმი ისე აჩქარდა, გულის ძგერა რომ ჩქარდება, როცა ქუჩაში ღამის სამ საათზე მიაბიჯებთ და თქვენი ნაბიჯების ექო გაიძულებთ იფიქროთ, რომ უკნიდან ვილაც გეპარებათ. ციხის დირექტორის სახე ერთ საიდუმლო ფანჯარაში გამოჩნდა, მღვდლისა და ექიმის — მეორეში. ანაფორიანმა კაცმა ჯვრიანი ხელით უკანასკნელი შესტი გააკეთა, ექიმმა კი, რომელსაც ჰიპოკრატეს ფიცი სიცოცხლის დაცვისკენ მოუწოდებდა, რეჟისორივით შესტიკულირებდა, თითქოს იმისთვის, რომ სიკვდილმისჯილი რაც შეიძლებოდა მშვიდად მომკვდარიყო.

უფრო ღრმად ჩაისუნთქეთ და ვერაფერს იგრძნობთ. რასაკვირველია, ციანიდის გაზი მთელ თქვენს შიგნულს ჩაყლაპავს, ცეცხლივით მწველ ფაფად გადააქცევს, ფილტვებს სუმთლად დაანაკუნებს, მაგრამ უკვე ვერაფერს იგრძნობთ, ეს მხოლოდ თქვენი ნერვული კიდურების რეაქცია იქნება.

ეს ჰიპოკრატეს კი არა, ჰიპოკრიტის (ფარისევლის) ფიცია, — ამას ნყალი არ გაუვა!

მისგან სამ მეტრში ვიმყოფებოდით, ჩვენს ოთახებს ერთი სანტიმეტრის სისქის მინა მიჯნავდა, მაგრამ ერთმანეთისგან მილიონი სინათლის წელიწადი გვყოფდა. მილიონი სინათლის წელიწადი ჰყოფდა ერთმანეთისგან გაზის კამერასა და „მაყურებელთა“ დარბაზს. სიკვდილმისჯილი უკან არ შემობრუნებულა. მიბმული და აღსარებამიღებულნი, გათვითცნობიერებული, საუკეთესო ხერხით როგორ გარდასულიყო საიქიოში, სიკვდილის ორთქლის მოლოდინში იჯდა. შემდეგ ისიც კი გავიგე, რომ თავისი სხეული მეცნიერებას აჩუქა.

მაღულად მიმოვიხედე. ვიქტორი ოფლში გახვითქულიყო; პოლიტიკოსი მინას უსვამდა თითებს. ისე გამოიყურებოდა, თითქოს სიყვარულის აქტით ტკბე-

ბაო. რეპორტიორები სირცხვილისაგან ისე წითლდებოდნენ, თითქოს ქალის ტუალეტის ჭუჭრუტანაში იხედებიანო. ციხის ზედამხედველებს კი ეს დაბმული ადამიანი უკვე ისე აინტერესებდათ, როგორც გამოყენებული ტირის სამიზნე ქალაღლი.

არცერთს სახეზე სიძულვილის ნატამალიც კი არ აჩნდა.

ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიგრძენი თავი თანამონაწილედ, მინდოდა მეღრიალა: შეჩერდით! ჩვენ ახლა ვკლავთ ადამიანს, არადა, არავის არ სურს სიკვდილი. ეს საზოგადოება ჩვენ ავაგეთ, ჩვენ ვართ პასუხისმგებელი მის გამო, მაგრამ ყოველი ჩვენგანი უარს ამბობს ამ პასუხისმგებლობაზე. ისე ვიქცევით, როგორც ის ფაშისტი ნიურნბერგში, რომელმაც განაცხადა, ყველაფერი უკეთ იქნებოდა, უფრო მეტი კრემატორიუმი რომ მქონოდაო.

ციხის დირექტორმა სიგნალი მისცა, და გავიგონე, როგორ დაინყო გაზმა კენესა: უ-უ-ფ!

სიკვდილმისჯილი არც კი განძრეულა, შემდეგ გაზის დიდი ულუფა ჩაყლაპა, როგორც ეს ექიმმა ურჩია და უცებ მისმა დაკრუნჩხულმა სხეულმა წრე შემოხაზა, თავი აუყანყალდა, თვალები დაეხუჭა და კბილები დაეკრიჭა. მან კი, როგორც ბავშვმა ჟანგბადის ნილაბქვეშ, მძიმედ დაინყოსუნთქვა, ოღონდ მის სხეულში ჟანგბადი აღარ იღვრებოდა.

ლეიტენანტი უეცრად გადაწვა უკან, თვალები აახამხამა და პირდაპირ მინას მიარწყია. ბუნკერში ფოსფორის ბომბი რომ აფეთქდეს, ისე ეკიდა მინაზე ორიოდ ნამს მისი ნარწყევი, შემდეგ კი ორმა მცველმა ლეიტენანტი დარბაზიდან გაიყვანა. ჩვენ უკან დავიხიეთ, ყველამ, გარდა პოლიტიკოსისა, რომელსაც არაფერი შეუმჩნევია. ის ტკბებოდა.

სიკვდილმისჯილი, რომელიც ორ წამში უწვალებლად უნდა მომკვდარიყო, განაგრძობდა იმ თოკის ქვემოთ ჩამოჭიმვას, რომლითაც ეკიდა და ახლა მისი დაკრუნჩხული ხელები კლანჭებს ჰგავ-

და, ყბების კუნთები კი დამრგვალებოდა. ბოლოს გრძნობადაკარგული თოკებზე ჩამოეკიდა და ტყვიებით დაცხრილულ, მომჩვარულ პარაშუტისტს დაემსგავსა.

მაგრამ ჯერ არ ჰქონდა სული ბოლომდე ამომხდარი, რადგან ერთხელაც შეისუნთქა. ოცი წამი გავიდა. ბოლოს დავასკვნით, რომ გარდაიცვალა.

მაგრამ მესამედაც შეისუნთქა. ოცდაათი წამის შემდეგ კი სხეული უკანასკნელად დაეკრუნჩხა და ანგელოზებისკენ გაემართა.

თუმცა არა, მისმა მკერდმა ერთხელაც ამოინია: ამ ძალზე თავისებური გვამის ყველა უჯრედი უიმედოდ ითხოვდა ჟანგბადს, მაგრამ მათ მხოლოდ ციანიდის გაზის მიღების უფლება ჰქონდათ. „ნერვები, — გავიფიქრე, — თევზივითაა, რომელიც მაშინაც კი განაგრძობს ფეთქვას, როცა თავი უკვე დამსხვრეული აქვს, ტანში კი დანა აქვს გარჭობილი. ის, რაც ახლა აქ ხდება, ძალიან ჰგავს ამას, ოღონდ ამჟამად თევზს არ ამოხდომია სული“.

გარდაცვალებულს თავი გვერდზე გადაუვარდა, ენა მოკლული ფურჩქანით გარეთ გამოყო და პირიდან მნებვარე სითხის ნაკადი გადმოედვარა. შემდეგ ამიხსნეს, რომ ეს ნერწყვი იყო, მაგრამ მოკლე ჩართვის შემდეგ დანახშირებული მავთულის ნარჩენებს ჰგავდა.

ვიქტორმა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებო, ძალიან ხმადაბლა თქვა:

— შეხვედრამდე, მეგობარო...

დავიძარი. გზაზე გაუთავებლად ვეკითხებოდი თავს, რატომ აღებინა ლეიტენანტმა. რადგან სიკვდილმისჯილი იყო ის უკანასკნელი, ვინც — იძულებით თუ არა იძულებით — ფლობდა მისი სატრფოს სხეულს და ახლა ეს უკანასკნელი ძაფი განწყვეტილია? რაც უნდა იყოს ამ ლებინების მიზეზი, ლეიტენანტის სხეულს, უდავოდ, მოუვიდა ის, რის წვდომაც მის გონებას არ ძალუძდა: ამ დასასრულმა მას არაფერი მოუტანა. ეს

სიკვდილი არასოდეს დაუბრუნებს საყვარელ ქალს. ეს სიკვდილი, რაც უნდა სამართლიანად მიაჩნდეს, მასში, ლებინების გარდა, არაფერს ინვევდა.

მე და ვიქტორი ლიაკაბინიანი „მერსედესიდან“ დიდხანს ვათვალისწინებდით ნახევრადცარიელ კუნძულს, რომელსაც არა წმინდანის, როგორც მიაჩნდათ, არამედ დაახლოებით ერთი საუკუნის წინ აქ ჩამოხრჩობილი რომელიღაც ლატაკი ინდიელის სახელი ერქვა. და თითქოს ხეებიც, ღრუბლებიც და ზღვაც აქ ლურჯია, მაგრამ სურათის შესავსებად ფრინველები არ ჩანან. ეს შავი ფრინველებიც კი გაქრნენ, მაგრამ ჩემთვის გასაგები იყო ამ მდუმარე პროტესტის მიზეზი: შუა საუკუნეები ჩვენა ვართ.

აცახცახებულმა ვიქტორმა ისე ღრმად ჩაისუნთქა, თითქოს ფილტვების ჰაერით ავსებას ვერა და ვერ ახერხებდაო. შემდეგ კი ძლივს გასაგონი ხმით მკითხა:

— მოგეწონა?

მხრები ავიჩიჩე და ჩემი წარმოსახული პერსონაჟის უწინდებურად ერთგულმა, ვუპასუხე:

— თითქოს რაღაც გამოვიდა.

ტეკილას ბოთლი გავხსენი და ლიმონის დაუყოლებლადაც კი თხუთმეტიოდენუთში დავცალეთ. შემდეგ ვიქტორი ალაპარაკდა და მივხვდი, რაშიც იყო საქმე. სიკვდილმისჯილის გამომეტყველებამ და გაზის კამერამ დაანახა, რომ სიცოცხლე არაა გართობა და თავის შექცევა. ორივენი გარკვეულწილად პასუხს ვაგებდით ამ სიკვდილით დასჯის გამო. საკუთარ თავზე აზრი აშკარად დაგვეკარგა.

101-ე ავტომაგისტრალზე ვიქტორმა სიჩქარე ას სამოცდაათამდე გაზარდა, და მანქანებს შორის მოყურყუმელავეც კი მანქანას არ ანელებდა. ეს სრული სისულელე იყო. ამ სისხლიანი ნიაღვრის ნაპირზე მისი ერთადერთი გამყოლი მე ვიყავი. ბოლოს საგზაო ინსპექტორებმა გაგვაჩერეს. ვიქტორი ისე აგზნებული იყო, მე კი ისეთი აპათიური სახე მქონ-

და, რომ ჩვენს ხელებზე ნარკოტიკების ნაჩხვლეტთა კვალის ძებნას შეუდგნენ. მათთვის არაფერი მითქვამს, ჩემი გვარ-იც კი, და საცოდავები იძულებული გახდნენ ჩემს პორტფელში რამე დოკუმენტი მოეძებნათ ვინაობის დასადგენად. ვიქტორი გაცოფდა, იკბინებოდა, ნიხლებს ირტყმევინებოდა, პირიდან დორბლი გადმოსდიოდა. ბოლოს, ერთ-ერთმა პოლიციელმა ხელკეტი უთავაზა. მეს არ დამინახავს.

ჩემი მეგობარი მხოლოდ ტარების უფლების ჩამორთმევით დააჯარიმეს, რადგან მამამისმა მოისყიდა ერთი ფსიქიატრი, რომელმაც ვიქტორს შეშლილობის შეტევის დიაგნოზი დაუსვა და გარკვეული ხნით საგიჟეთში ჩასვა. ახლას ამ ზოობალიდან გამოსულია, მაგრამ „თავის გამასწორებელში“ კვლავ დაიარება კვირაში ერთხელ და ყოველ ჯერზე ორმოც დოლარს იხდის.

მისთვის ეს ნამდვილად აუცილებელია. რამდენიმე დღის წინათ მას სანფრანცისკოს ქუჩაზე შევხვდი. იმის მიუხედავად, რომ ციოდა და ბურუსი იწვა, ფეხშიშველი, მაისურისა და ჯინსებისამარა მოაბიჯებდა. აღგზნებული და ფიქრებში დანთქმული ჩანდა.

— როგორაა საქმე, ყველაფერი რიგზეა? — ვკითხე მას, — ახალი რაა?

მან თავი ნელა გადააქნია და მიპასუხა:

— არა, ისინი ასე იოლად არ დაგვეხსნებინან. მათთვის ის უბრალო ფაქტი, რომ ცოცხალი ხარ — დანაშაულია.

— შენ, რა, ყელიან ფეხსაცმელს აღარ იცვამ?

— ვერ ვიცვამ.

მომიახლოვდა, მიიხედ-მოიხედა და ტრაგიკული ტონით ჩამჩურჩულა:

— ახლა მხოლოდ ფეხისგულებით ვგრძნობ.

შემდეგ თავი გადააქნია და გაქრა, ხალხის ბრბოში გზააბნეულ ავანასავით ჩაიკარგა. ხილით მოვაჭრეებს, მემწვანნილებს, ერთმანეთთან მოღლაბუცე მოზარდებს, ნარკომან ბიჭებსა და მათი ხელში მოგდების მსურველ პოლიციელებს ჩაუარა. ვიქტორს, ვფიქრობ,

უკვე აღარ უნდა დედამინას უსმინოს. მას მხოლოდ დღენიადაგ რალაცების ზოზინით მღეჭავი ჭიების გამამხნევებელ ხმაურს უნდა უგდოს ყური. ...რომლებიც იღეჭებიან და ამ ჯერზე უკვე ვიქტორს ელოდებიან... ვინ იცის, იქნებ შემდეგი ვიქტორი გახდეს.

ღიას, ექიმო!

ჯონ ფ. სატერის ნამშობი

მე მტკივა, ყველაფერი მტკივა. არა, ყველაფერი არა, მაგრამ იქ მკურნაჩხავს ძალიან, სადაც თითქოს ნამდვილად არაფერი მტკივა. ახლა მხოლოდ ყრუ ტკივილსა და საშინელ დაღლილობას ვგრძნობ და შემიძლია ვიფიქრო, რომ არც დრო არსებობს, არც სივრცე და არც სხვა რამ, გარდა ამ ტკივილისა. თავს ოდნავ უკეთაც ვგრძნობ იმასთან შედარებით, რა დღეშიც ვიყავი. რასაკვირველია, ოდნავ, მაგრამ მაინც უკეთ. უნდა გამოვკეთდე, მინდა გამოვკეთდე და გამოვკეთდები კიდეც.

— მისტერ შოუ, ვფიქრობ, ის ქალი, რასაკვირველია, გადარჩება. როგორც თქვენ იცით, გარკვეული დროის მანძილზე საკითხი ასე იდგა: ან კაცი, ან ქალი. მაგრამ ქალი უკეთაა. გარნმუნებთ, სიძნელები, რა თქმა უნდა, იქნება, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ ჩვენ არაფერი შეგვიძლია.

— მესმის!.. მაგრამ მხოლოდ იმას გთხოვთ, რომ ქალი გადარჩეს.

კარგი იქნებოდა თვალების გახელა. ჯეფი აქ არ არის. ვგრძნობ, რომ აქ არ არის. მაგრამ უკვე ვინყებ ამ თეთრი პალატის ატანას... მაგრამ მაინც, მინდა სულ ვიტყვო, ვიტყვო, ვიტყვო... სხვათა შორის, ეს მინდოდა მაშინაც, როცა ჯეფმა მიაშობო, რაც მოხდა. მაგრამ ეს ვაი-ვიში არაფერს მომცემს. გამოვკეთდები.

— მას ხომ უთხარით, რომ ბავშვი მოკვდა?

— ღიას, ექიმო. თავიდან ძალიან გაუჭირდა ამასთან შეგუება, ამის

ატანა... ისიც ვუთხარი, რომ ბავშვი ბიჭი იყო, და ამან კმაყოფილება მოჰგვარა, იმის მიუხედავად, რომ... იმის მიუხედავად, რაც მოხდა...

აბა, ასეა საქმეა. ხალხი დაბრუნდა. რამდენი მზის სხივია ოთახში. რამდენი ყვავილი. და მე ვეკითხები ჩემს თავს, ჯეფმა ხომ უკვე...

— თქვენ მას უთხარით, რომ ბავშვი უკვე დავასაფლავეთ?

— ჯერ არ მითქვამს. თუ თვლით, რომ ის უკეთაა, დღეს ვეტყვი.

— მისტერ შოუ, როგორ ფიქრობთ, ის თქვენზე არ განაწყენდება, როცა გაიგებს, რომ ბავშვის დაკრძალვის საქმე უკვე მოაგვარეთ?

— ექიმო, ჯეფი კეთილგონიერი ადამიანია. ყველაფერს გაიგებს... გაიგებს, რომ დალოდება არ შეგვეძლო. შემდეგ კი (მას ეს ცოტათი სასაცილოდაც რომ მოეჩვენოს), ვეტყვი: ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს.

დარწმუნებული ვარ, რომ ჯეფი კარგად მოიქცა. ამ ბავშვს, ამ ბიჭს მანამდე რომ ეცოცხლა, ვიდრე მე მის დანახვას შევძლებდი... რამდენი ხანია რაც აქ ვარ? ჯეფი სადაა? გონიერი და წინდახედული მაინც თუა? მე მას ვევედრებოდი ასეთი ყოფილიყო. იქნებ, სამუშაოზეა? სხვაგვარად ის თავის ადგილს დაკარგავს. არადა ეს მისთვის როგორი მნიშვნელოვანია! ო! მე მიყვარს ის. მიყვარს. ძალიან, ძალიან მინდა მას ლამაზი ბავშვები გავუჩინო.

— მისტერ შოუ, მაშინ, იქნებ სჯობდეს, რომ მას თქვენ უთხრათ სხვა დანარჩენი? უეჭველზე უეჭველია, მას უფრო გაუადვილდება იმას დაუჯეროს, ვისაც ის უყვარს. ზოგჯერ ავადმყოფებს ისეთი შთაბეჭდილება ექმნებათ, რომ ექიმებმა მეტი იცინან.

— ეს არც ისე ადვილი იქნება...

ვიმედოვნებ, შვილები ჯეფის დაემსგავსებიან. მე, რასაკვირველია, მახინჯი არ ვარ, მაგრამ ისეთი ვარ... რალაცნაირი... ჯეფი კი ორივეს მაგივრად ლამაზია, და, სხვათა შორის, ამიტომაც ამბობდნენ, რომ მას მხოლოდ ჩემი ფული აინტერესებდა. მან კი იმის ნება არ მომ-

ცა, რომ დავხმარებოდი. დამოუკიდებელია. ბევრს მუშაობს იმისთვის, რომ სპორტის განყოფილებას უხელმძღვანელოს, თუმცა, ჩვენ თუ მოვისურვებდით, მუშაობა არ დაგვჭირდებოდა. უნდა გამოვკეთდე, მისი გულისთვის უნდა გამოვკეთდე. აუცილებლად გამოვკეთდები.

— მისტერ შოუ, ეს ძნელია თუ არა, მაინც ასე უნდა მოხდეს. ვილაცამ ხომ უნდა უთხრას მას ყველაფერი. თქვენ ამას ყველაზე მარჯვედ მოახერხებთ... არც კი უნდა სცადოს ბავშვის გაჩენა... აღარასოდეს... ეს მას მოკლავს... სამწუხაროდ, ეს სიმართლეა, ეს შეცდომა არაა. კიდევ ერთი ბავშვის გაჩენა, მისთვის სიკვდილის ტოლფასია.

— კეთილი, ექიმო, ამ პასუხისმგებლობას ჩემ თავზე ვიღებ. საჭირო არაა, მან თქვენგან გაიგოს რამე. ვფიქრობ, რომ შევძლებ მის გადარწმუნებას. იქნებ, იმაზეც დამეთანხმოს, რომ გარკვეული დროით თავისი ოთახის ინტერიერიც შეცვალოს, რათა მძიმე მოგონებებმა არ დათრგუნონ.

მიხარია, რომ ანდერძი, ვიდრე ის საავადმყოფოში აღმოჩნდებოდა, ჯეფის სახეიროდ დავწერე. არ ვიცი, საბოლოო ანგარიშით ეს ფუჭი, ზედმეტი აღმოჩნდა თუ არა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. ის ისეთი კეთილი იყო ჩემ მიმართ, რომ ახლა მაინც მწამს მისი...

უხმაუროდ გაიღო კარი. თავი ნელა შემოაბრუნა და მის ფერმკრთალ სახეზე დაღლილი ღიმილი გამოკრთა. კარის ზღურბლზე ტანადი ქერათმიანი ახალგაზრდა კაცი იდგა.

— ჯეფ!

ის კი უკვე მისი სანოლის სასთუმალთან იყო და მას ხელებს უკოცნიდა.

— ჯესი!

როგორც იქნა, შეძლეს ერთმანეთთან დალაპარაკება. ქალმა კაცს ხელი შეახო:

— ჯეფ, სანამ აქ ვინეტი, ფიქრის დრო მქონდა... ჩვენ შეგვიძლია იმის გადალახვა, რაც მოხდა. ვიცი, ძალა დამიბრუნდება და ეს ძალიან ჩქარა მოხდება. და ცოტა ხნის შემდეგ შვილი ისევ გაგვიჩნდება... როცა კი მოვისურვებთ... ხომ

ასეა?

ახალგაზრდა კაცს ღიმილი გამოეხატა სახეზე. კარგი პასუხი იყო, გულწრფელი პასუხი.

— მე მჯერა, რომ ასე მოხდება, ჩემო ფისუნია... ძალიან, ძალიან ვიმედოვნებ.

აღამიანი, რომელმაც ძალიან ცოტა რამ იცოდა

ედუარდ ხოსის ნაამბობი

ის ძალიან ლამაზი ქალიშვილი იყო — მუქთმიანი, ტანწერწეტა. როგორღაც გაურკვეველად შეხედა სანერ მაგიდასთან მჯდარ რენდს.

— მგონი, სულელი გგონივართ, — თქვა მან.

— სულაც არა, — უპასუხა რენდმა, — ძალიან კარგი ქენით, ამ ფაქტის შესახებ რომ გვიამბეთ. შეგიძლიათ ეს ყველაფერი დაწვრილებით გაგვიმეოროთ?..

— კაცმა რომ თქვას, თითქოს არც არაფერი მომხდარა... მე ვნახე, ის კაცი როგორ იღებდა საკეტის ზომებს, — მორჩა და გათავდა. ყველაფერი ისე იყო, როგორც კინოში, და...

რენდმა ჩაილიმა.

— თქვენ არც ის გითქვამთ, რა გქვიათ, და არც ის, სად მუშაობთ.

— მე... მე მეგონა, რომ ჩემმა უფროსმა დაგირეკათ...

— მერჩინა, ყველაფერი თქვენგან მომესმინა...

ქალიშვილი სკამზე ჩამოჯდა და ფეხები გადაიჯვარედინა.

— მაშ ასე, მე ოდრი ფაულერი ვარ და საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქტილოგრაფიულ განყოფილებაში ვმუშაობ. აქ სამი წლის წინათ მიმიღეს. სამუშაო ძალიან მომწონს. აქ ყველა ქალს ჩემს მეგობრად ვთვლი და ისიც უნდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ ბევრი მომხიბვლელი მამაკაციც გვყავს.

რენდმა ჩაახველა.

— იქნებ, საუბარი იმაზე განვაგრძოთ, რაც გუშინ მოხდა?

— ა! კი, დიახ... მე, ჩვეულებრივ, კვირადღეს არ ვმუშაობ. მაგრამ ამ ყველგან მყოფ მეტელევიზიებს...

— რა მეტელევიზიებიო?

— ტელებრიგადა, რომელიც დიპლომატებზე ამზადებს სპექტაკლს. მათ სამინისტროს ჰოლში რაღაც სცენების გადაღების ნება მისცეს. ვფიქრობ, რომ სცენები შემდეგ იმ კადრებთან ერთად დამონტაჟდება, რომლებსაც სტუდიაში იღებენ. მე და კიდევ ტექნიკური ჯგუფის რამდენიმე თანამშრომელი მსახიობების დამხმარეებად დაგვნიშნეს.

— თქვენ ამერიკელი ხართ, მის ფაულერ?

— არა. რატომ მეკითხებით?

— აქცენტის გამო.

— მე აქ, ლონდონში, დავიბადე. მაგრამ ბევრი ამერიკული ფილმი მინახავს და...

— მომიტევეთ, რომ სიტყვა გაგანყვეტინეთ, — უთხრა მას რენდმა, — განაგრძეთ, თუ შეიძლება.

— მეორე სართულზე ბიუროდან გამოვიდოდი, როცა ის კაცი შევნიშნე. სათადარიგო ფრთის შემოსასვლელი კარის წინ იდგა, სადაც კავშირგაბმულობის სამსახური იმყოფება. საკეტიდან რაღაც გამოიღო და გულმოდგინედ ჩამალა ცელოფანის პაკეტში. კინოებში როა, ზუსტად ისე!

რენდმა თავი დაუქნია.

— ეტყობა, პარაფინდაცხებულნი გასაღების დამზადება უნდათ. მის ფაულერ, თქვენ იცით კავშირგაბმულობის სამსახურში რა ინახება?

— საზღვარგარეთ ჩვენი საელჩოების თანამშრომელთა სიები, ტელექსი...

— და მეტი არაფერი?!

— ვაი! რასაკვირველია, დიპლომატიური კოდი... დიპლომატიური დეპეშების შიფრი. ახლა მესმის, რატომაც გამომგზავნა თქვენთან უფროსმა.

მან თავი შეაბრუნა და თვალი შეავლო კარის მქრქალ მინაზე შავ ასოებს:

შიფრული სამსახური

რენდმა სიგარეტი გააბოლა და განაგრძო:

— და რა გააკეთა იმ კაცმა, როცა

შენიშნეთ?

— სალამო მშვიდობისა მისურვა და სრულიად ბუნებრივად დაუყვა კიბეს.

— იცნობდით, რამე რომ იყოს?

— რასაკვირველია.

— იცით, ის ვინაა?

— დიახ. ის ოძნილია, ტელევიზიის მსახიობი... მისტერ რენდ, ერთი კითხვა მაქვს თქვენთან, — რატომ ფიქრობთ, რომ ოძნილი დაშიფრული კოდის მოპარვას აპირებდა?

— აი, სწორედ ესაა ის, რისი გამოსაშკარავებაც უნდა ვცადოთ.

რენდი იშვიათად ურთიერთობდა სხვა განყოფილებების თანამშრომლებთან, რადგან მას უფრო მეტად სიტყვებთან ჰქონდა საქმე, ვიდრე ადამიანებთან. მაგრამ ისეთ ადამიანებს, როგორც ჰეისტინგსია, მისი ნახვა ყოველთვის ახარებდა.

— რენდი მოსულა, რენდი! როგორ ხარ, მეგობარო?

— უკეთ რომ შეუძლებელია, ისე, — მიუგო რენდომ და თავმოტვლეპილ კოლეგას ხელი ჩამოართვა.

— რა ხდება? თქვენი აქ გამოჩენა ყოველთვის უსიამოვნებების გენერატორია.

რენდის გაელიმა.

— ამჯერად არა. მე მხოლოდ პატარა ინფორმაცია მჭირდება თქვენგან. ლაპარაკია ტელევიზიის მსახიობ ოძნილზე.

— ზოგადი ხასიათის ცნობები გჭირდება თუ კონფიდენციალური?

— „ზოგადი ხასიათით“ დავიწყით.

ჰეისტინგსმა გულგრილი სახე მიიღო და მხრები აიჩჩია.

— ესაა მსახიობი, რომელიც პატარა სახასიათო როლებზე სპეციალიზდება. ორმოცდახუთი წლისაა. ორჯერაა განქორწინებული.

რენდომ სიგარეტს მოუკიდა და განაგრძო:

— აბა, ახლა თქვენი კონფიდენციალური ცნობები გვაუწყეთ.

— ეჭვმიტანილია... როგორც უცხო ქვეყნის სამსახურების აგენტი. სხვათა შორის, ლონდონში მოქმედ აგენტთა

შორის ყველაზე უნარიანი დაქირავებული პიროვნებაა, რომელიც ინფორმაციას ყველაზე ძვირად ანვდის ძირითადად მოსკოვს ან კვიპროსს.

— თქვენ ის არასოდეს დაგიპატიმრებიათ?

— ჰმ!.. უალრესად მოქნილია... ჩვენ გვაქვს მტკიცებულებები მხოლოდ ერთ საქმეში მის მონაწილეობაზე, მაგრამ პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებებით, ჯერ არ შეგვიძლია მის წინააღმდეგ ამ მტკიცებულებების გამოყენება. სიმართლე თუ გინდათ, მას დანაშაულზე არასოდეს წავსწრებივართ.

— ბრიტანეთის ქვეშევრდომია?

— თავმოტვლეპილმა მონონების ნიშნად თავი დაუქნია.

— ეგრეა, რენდ, — დაუმონმა ჰეისტინგსმა და განაგრძო:

— წმიდა გიორგის ლეგიონზე ოდესმე თუ გაგიგიათ რამე? მოგვიანებით მას ბრიტანული თავისუფალი ძალა ეწოდა. გერმანელებმა შექმნეს უკანასკნელი ომის დროს ინგლისელი სამხედრო ტყვეების რეკრუტირებისა და რუსეთის ფრონტზე გაგზავნის მიზნით. სინამდვილეში ეს პროპაგანდისტული ოპერაცია იყო, რამდენადაც მთელი ლეგიონის შემადგენლობა რამდენიმე ათეულ ადამიანს არ აღემატებოდა. ომის შემდეგ ამ ლეგიონის ზოგიერთი წევრი გაასამართლეს და დასაჯეს ლაღატის ბრალდებით, მაგრამ იმის ფორმალური, კატეგორიული მტკიცებულებები, რომ ოძნილი იმ ლეგიონის წევრი იყო, არ მოგვეძვეება. და მაინც, ის ჩვენი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

— საინტერესოა.

— თქვენი რიგია, რენდ. თქვენ რა გამოავლინეთ?

— მბეჭდავი ქალი ამტკიცებს, რომ ოძნილს მაშინ წაასწრო, როცა ის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში საკეტის ზომებს იღებდა.

ჰეისტინგსი დიდად გაოცებული არ ჩანდა.

— ამ საქმესთან შიფრი თუა დაკავშირებული, დაშიფრულ დიპლომატიურ კოდს ასე თუ ისე საფრთხე ემუქრება.

— მე მაინც მგონია, რომ ეს ასეცაა.

მეჩვენებოდა, რომ უსაფრთხოებისთვის ყოველთვის საკმარის ზომებს ვიღებდით: ერთი მცველი ჰოლში მთელი დღე-ღამის განმავლობაში მორიგეობს. მას საშვების შემოწმება ევალება, დამატებითი სათადარიგო ფრთის კარი კი მუდამ ჩარაზულია. ამ კარსა და თვით კავშირგაბმულობის სამსახურს შუა, სადაც ადამიანები დღეღამ მუშაობენ, სხვა მცველი მორიგეობს. ბუნებრივია, სამსახურის პერსონალი არავითარ ეჭვს არ ინვესს.

— შიფრები?

— თითქმის მუდამ ხელთა აქვს, და ამიტომაცაა ისინი არარეგულარულად დახურული. ყოველ მაგიდაზე თითოეულ მშიფრელს კოდი აქვს. სხვადასხვა საელჩოებიდან შემოსული დეპეშები იქვე იშიფრება, შემდეგ კი პნევმატური მილით ზემო სართულებზე იგზავნება.

ჰეისტიგსმა თავი მოიფხანა.

— ნეტავ, ოძნილმა როგორ მოახერხა ჰოლში მყოფი მორიგის სიფხიზლის მოდუნება?

— ჩემი აზრით, ასე შედის ტელევიზიის ბრიგადაში, რომელმაც სამინისტროს ჰოლის რამდენიმე პლანით გადაღების ნება მიიღო. ეტყობა, რაღაც დროს, ახერხებს რამდენიმე წუთით გაუჩინარებას.

— ერთი ეს მითხარით, ამ ჯგუფის წევრები, ვიდრე აქ შემოსვლის ნებას დართავდნენ, ვინმემ შეამონმა? — ბუზლუნით იკითხა ჰეისტიგსმა.

— წარმოგიდგენიათ, რამდენი ადამიანია ჩართული ტელეგადაცემის მომზადებაში? მათ შემოწმებას ხომ მთელი თვე დასჭირდება. კაცმა რომ თქვას, მაინც რა კრიტერიუმებით შეგვიძლია ადამიანების შერჩევა?.. უსაფრთხოების ზომა დაგვაავალდებულებდა გამოგვერიცხა ყველა საეჭვო ელემენტი უბრალო ნევროტიკიდან დაწყებული, მაღალი კლასის ჯაშუშით დამთავრებული. ყოველ შემთხვევაში, სამინისტროს შიფრულ კოდთან დაკავშირებით არავითარი შემოფოტება არ გამოუხატავს და ის ხელდაუკარებელია.

— ოძნილმა თუ საკეტის ზომები

აილო, მაშასადამე, დაბრუნება აქვს განზრახული.

რენდმა თავი გადააქნია.

— სიფრთხილის ყველა ღონისძიება გატარებულია. ტელევიზიის ჯგუფი გადაღებებს ოთხშაბათ საღამოს დაამთავრებს. ვფიქრობთ, ჩვეულებრივი სამუშაო დღის შემდეგ ოძნილი განაგრძობს დაწყებულ ოპერაციას.

— და მბეჭდავმა ქალმა რომ ნახა?..

— ოძნილი მეორეხარისხოვანი მსახიობია. აზრადაც კი არ მოუვა თავში, რომ სატელევიზიო კინოს მოყვარულები შესძლებენ მის გახსენებას.

— დავუშვათ, ოძნილმა შეძლო სპეციალური ფრთის კარის გაღება. როგორ ფიქრობთ, ასევე შეძლებს შეუმჩნევლად დაუძვრეს დაცვის ფხიზელ თვალს და შემდეგ შეაღწიოს კავშირგაბმულობის ცენტრში, სადაც მეშიფრეები მუშაობენ? და კიდევ, თუ ეს ყველაფერი მოახერხა, კოდის ხელში ჩაგდების შემდეგ იქიდან როგორ გამოვა?

რენდიმ ტუჩი მოიკვნიტა. ფიქრობდა, თუ რამდენს გადაიხდიდა მოსკოვი იმ დეპეშების გამიფრვის შესაძლებლობაში, რომლებსაც მთელ დედამიწაზე გაფანტული საელჩოები უგზავნიდნენ ერთმანეთს.

— აი, ოთხშაბათ საღამოს სწორედ ამის გარკვევას შევეცდებით. პირადად მე ვიქნები იქ იმისთვის, რომ ოძნილს პატარა სიურპრიზი მოვუმზადო.

...

ოთხშაბათ საღამოს რენდი თავს მხნედ გრძობდა, კარგ გუნებაზე იყო. კარგად წარმართული სამსახური სრული სვლით მიინეგდა წინ, თუ არ ჩავთვლით ვინმე ოძნილს, მათთვის სიმშვიდის დარღვევა რომ მოესურვებინა.

სამინისტროს ჰოლში რენდიმ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო თანამშრომელი, დაზვერვის აგენტი პარკინსონი დააყენა, თვითონ კი ქუჩაში დარჩა, რათა დალოდებოდა ტელევიზიის ბრიგადას, მსახიობებსა და ტექნიკურ ჯგუფს, რომელშიც ოძნილიც შედიოდა.

ჯაშუში სპეციალურ ფრთაში შეღწევას თუ შეეცდება, მას ადგილზევე

დააკავებენ.

რენდი სწორედ სამინისტროს პირდაპირ მოვაჭრე პატარა წიგნის მაღაზიის ჩრდილში იდგა. ქუჩა უკაცრიელი იყო, რამდენიმე მშვიდად მოსეირნე გამვლელს თუ არ ჩავთვლით. ადმინისტრაციული შენობების უმეტესობას უკვე კარგა ხანია დაემთავრებინა მუშაობა.

დაზვერვის სამსახურის აგენტმა ოძნილი გამოჩენისთანავე იცნო. ჯაშუში მარტო იყო, ხელში პორტფელი ეჭირა, ისეთი, როგორსაც, ჩვეულებრივ, დიპლომატები და სარეკლამო აგენტები ატარებენ.

ოძნილი ლამაზი, ტანმაღალი, თმაშეჭალარავებული მამაკაცი იყო. უფრო ოფიციალური პირის ან მსახიობის შესახედაობა ჰქონდა.

საფარიდან გამოსული რენდი მამაკაცს თორმეტიოდე ნაბიჯის დისტანციაზე მიჰყვა. რამდენიმე წამში ვილაც უცნობსაც მოჰკრა თვალი ოძნილის პირისპირ, რომელსაც ტყავის ქურთუკი ეცვა და ქუდი თვალეზე ჩამოეფხატებინა. რენდს მოეჩვენა, რომ მან ოძნილს რამდენიმე სიტყვა უთხრა, შემდეგ კი გაუფრთხილებლად ორჯერ ესროლა ქურთუკის ჯიბეში ჩამალული იარაღიდან.

ოძნილი შექანდა და ხელი გულთან მიიტანა. უცნობმა მესამედ სწორედ იმ წამს გაისროლა, როცა რენდი მას ზურგიდან მიეპარა და მიწაზე დასცა.

გაისმა გამვლელი ქალის კვილი და სულ მალე ქუჩა პანიკაში ჩავარდნილი ადამიანებით აივსო. რენდიმ მუშტი უთავაზა უცნობს ყბაში, ხელი ამოუტრიალა და იარაღი წაართვა.

პარკინსონმა პოლიციელის თანხლებით გადმოკვეთა ქუჩა. ძლივს მიარღვევდა ხალხის მასას, რომელიც სულ უფრო და უფრო მჭიდროვდებოდა.

— რა მოხდა? — იკითხა მან.

რენდი მსახიობის დაკრუნჩხულ სხეულს უყურებდა და არა მკვლელს, რომელიც გაშხლართული ეგდო მიწაზე.

— ამ კაცმა ოძნილი მოკლა, — თქვა ბოლოს.

პოლისმენი მუხლებზე დადგა, ცდილობდა, სისხლის ტბორში სამოსი არ დასვოდა და ფრთხილად მოქმედებდა. შემდეგ წამოდგა და თავი გადააქნია.

— ამის გაკეთება ადვილი არ იქნებოდა მისთვის.

— აი, ამას კი ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: იმედოვნებდა, რომ ბედი გაუღიმებდა. ბარტონ ოძნილი მკვდარია და მის სიკვდილს ნერტილი უნდა დაესვა თამაშისთვის.

რენდს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მოწმე იყო კარგად გათამაშებული დრამისა და ეს მიზანსცენა მისთვის გაუგებარზე გაუგებარი რამ გახლდათ.

...

რენდი მთელი დღე ცდილობდა დაევიწყებინა ის, რაც მის თვალწინ მოხდა: საბოლოო ანგარიშით ოძნილის სიკვდილი შეიძლებოდა ანგარიშსწორება, ან კიდევ უფრო მარტივი რამ — შეურაცხყოფილი ქმრის მიერ ჩადენილი საქმე ყოფილიყო. ისეთი ხელმოსაჭიდი არაფერი ჰქონდათ, რაც დაშიფრული კოდის გატაცების ცდასთან იქნებოდა კავშირში. დღის რალაც ნაწილი რენდმა ოძნილის პორტფელის უაღრესად საინტერესო შიგთავსის შესწავლას მოახმარა. შიგნით იდო საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური ფრთის კარის გასაღების ასლი, შავი ნიღაბი, ხელოვნური ნვერი, ორი ტუბი ტონალური საცხი სახისთვის და პატარა ლითონის სარკე. პორტფელში ასევე იდო სამი ფოტო. ფოტოებში ამოიცნეს ჯეიმს კორბინი, კავშირგაბმულობის ცენტრის ერთ-ერთი მუშაკი. ბოლოს კი პორტფელიდან ამოიღეს შავ ნაჭერში გახვეული, გარეგნულად ლექსიკონის მსგავსი, სინამდვილეში კი კულინარული რეცეპტების რეაასოთხმოცდაორგვერდიანი უშველებელი წიგნი.

— სამზარეულოს წიგნია? — ეჭვით იკითხა პარკინსონმა.

რენდმა თავის დაქნევით დაუდასტურა.

დიახ, მაგრამ ეს ფრიად სპეციფიკური სამზარეულო წიგნი გახლდათ. შრიფტების კოდებიან წიგნებს რომ აქვთ,

სწორედ ისეთივე ყდა აქვს. სისქე და ფორმატი — იდენტური. ვფიქრობ, რომ ახლა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ იმოქმედებდა ოძნილი...

...
იმ დროს, როცა მისი ყოფნა ჰოლში საჭირო არაა, ის ადის მეორე სართულზე. ზუსტად ისე, როგორ წინა კვირას გააკეთა. კიბის საფეხურზე მდგარი, ხსნის პორტფელს და გრიმს იკეთებს, რათა ჯეიმს კორბინს — ერთ-ერთ მორიგ გამშიფრველს დაემსგავსოს. შემდეგ გასაღების ფარულად გაკეთებული ასლით აღებს კარს, რაღაცის ჩაბურტყუნებით ჩაუვლის მცველს, მიდის კორბინის კაბინეტამდე და წიგნს ცვლის. შიფრების კოდს ის თავის ჩანთაში დებს და წუთის შემდეგ გადის. მეშიფრეები, ალბათ, ისე არიან საქმეში გართული, რომ მას ვერც კი ამჩნევენ.

პარკინსონმა თავი გადააქნია.

— მაგრამ ამის გაკეთება არც ისე იოლია.

— ყოველ შემთხვევაში, ფიქრობდა, რომ ბედი გაუღიმებდა და წარმატებით განახორციელებდა ჩანაფიქრს... ერთი თხოვნა მაქვს, შეაგროვეთ ცნობები კორბინზე.

...
პარკინსონი ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა. ნამდვილი კორბინი შვებულებაში ყოფილა და ორი კვირით სამხრეთ საფრანგეთში წასულა.

— ოძნილი, — შეაჯამა პარკინსონმა, — ძალიან რისკავდა: მცველს ხომ შეეძლო მისთვის ეკითხა, თუ რატომ იყო ის სამსახურში მაშინ, როცა ყველას შვებულებაში ეგულებოდა. და მაშინ მას პასუხი უნდა გაეცა. ვინ იცის, შეძლებდა კი ის ამას, ან კორბინის ხმის საკმარისი სიზუსტით იმიტირების უნარი ჰქონდა თუ არა.

— ოძნილი ჯაშუში კი იყო, მაგრამ მოწოდებით მსახიობი გახლდათ, ეს არ დაგავინყდეთ! არ დაგავინყდეს, რომ მას იმიტირების უნარი ჰქონდა.

— კარგი, დავუშვათ, მართლაც ასე იყო... ის „თავის“ კაბინეტში შევიდოდა, გასაღები ხელთ ჰქონდა, რაც ავტომატ-

ურად გააქარწყლებდა მის მიმართ ყოველგვარ ეჭვს.

— ალბათ, ოდესღაც, სადმე სალამოს ბარში გაიცნო კორბინი და ლუდი დალიეს ერთად. იქნებ სწორედ მისგან, ან რომელიმე სხვა აგენტისგან შეიტყო დაშიფრული კოდის ზოგიერთი დეტალები, წიგნის ზომები და გარეგნული სახე.

— ჩვენ ამ საბაბით კორბინს დავკითხავთ, როცა ის დაბრუნდება. იმ ადამიანსაც კი, რომელიც სრულ ნდობას იმსახურებს, შეიძლება ზოგჯერ მისი მაკომპრომეტირებელი რამე წამოსცდეს.

შუადღეს რენდმა სკოტლენდ-იარდიდან მიიღო ტელეფონოგრამა, რომლითაც მას აუწყებდნენ მონაცემებს ოძნილის მკვლელობაზე. ლაპარაკი იყო ივარკადენზე, გემთმშენებელ მუშაზე, ამჟამად უმუშევარზე. დანაშაულის ჩადენის დღეს ამ კაცთან მიდის სსრკ-ის საელჩოს მრჩეველი.

— გამოდის, რომ რუსებმა თითქოს გადანყვიტეს იმ კაცის მოცილება, რომელსაც, სულ ცოტაც და მათთვის გადმოსაცემად ხელთ უნდა ეგდო ჩვენი დიპლომატიური კოდი? თუ ასეა, ალბათ, შეცდომა დაუშვეს.

— ისინი შეცდომებს ხშირად არ უშვებენ, — თქვა პარკინსონმა.

— თუ ასეა, ოძნილი რატომ უნდა მოეკლათ?

— იმიტომ რომ მან მეტისმეტად ბევრი რამ იცოდა. ჯაშუშებმა ყოველთვის მეტისმეტად ბევრი რამ იციან.

— მეტისმეტად ბევრი, რა?

— არ ვიცი... ვერ გეტყვით, მესიე.

რენდს, რომელიც ჯერ ორმოცი წლისაც არ იყო, ყოველთვის აღიზიანებდა ეს პომპეზური „მესიე“, როგორც მიმართავდა მას აგენტი, მაგრამ შენიშვნის მიცემისგან თავი შეიკავა. პარკინსონი ბრწყინვალედ ართმევდა თავს საქმეს და ეს იყო მთავარი.

რენდი უნდა დაფიქრებულიყო, ამიტომ მან პარკინსონი დაითხოვა. შემდეგ ფეხზე წამოდგა, ფანჯრიდან გადაიხედა და თვალი გააყოლა ტემზას, უსუფთაო ღვარად რომ ქცეულიყო. ამ დროს

გაიფიქრა, ნეტავ მოსკოვში როგორი ამინდი იქნებაო.

საკმაოდ ხშირად გადადიოდა მოსკოვში ფიქრებით, ზოგჯერ კი ცდილობდა წარმოედგინა თავისი საბჭოთა კოლეგა. რენდმა მასზე არაფერი იცოდა, გარდა გვარისა. რუსი კოლეგა ძლიერ კაცად ესახებოდა, რომელიც დღეში რვა საათს მუშაობდა დაშიფრულ დეპეშებსა და საიდუმლო დოკუმენტებზე, სალამოს კი მეტროთი მშვიდად ბრუნდებოდა შინ, სადაც ცოლი და (რატომღაც ეგონა, რომ) ოთხი შვილი ელოდებოდა.

მაგრამ მეორე წამს უცებ სხვაგვარად განვითარდა მისი ფიქრები: რუსი კოლეგა გიგანტური საქადრაკო დაფის უკან მიმალულიყო და მოუსვენარ, დაუდებარ აჩრდილს ჰგავდა.

ნუთუ ეს სწორედ ის რუსი იყო, რომელმაც იქ, მოსკოვში, დააჭირა თითი რალაც ღილაკზე და ლონდონში ბარტონ ოძნილის მოკვლა ბრძანა? ნუთუ სწორედ მას მიეჩქარებოდა ყოველ სალამოს თავის ცოლ-შვილთან?

რენდიმ ამოიოხრა. კარგად იცოდა, რომ სხვა ადამიანებიც აკეთებენ ამას ლონდონშიც, ვაშინგტონშიც, პარიზშიც...

ამ ფიქრებში იყო, როცა კარზე ფრთხილად დააკაკუნეს. ორიოდ ნაშვით ჰეისტინგსი გამოჩნდა საქალაქდამოიღლიავებული.

— ოძნილის საქმესთან დაკავშირებით აზრი გამიჩნდა, — თქვა მან.

— რა აზრი?

— ოძნილი მსახიობი იყო. მსახიობებს კი ყოველთვის ჰყავთ ორეულები — დუბლიორები, ხომ ასეა? აგერ უკვე ხუთი წელია, რუსები ცდილობენ ჩვენი შიფრის ხელში ჩაგდებას: ისინი არასოდეს მოკლავდნენ იმ აგენტს, რომელიც, სულ ცოტაც და, მათ ჩანაფიქრს განახორციელებდა. ვფიქრობ, მოკლული ოძნილის ორეული იყო, მთელი საქმე კი იმისთვის იყო გამომცხვარი, რომ კოდის ნამდვილად მოპარვა შეენიღბათ.

რენდიმ გაილიმა.

— ორეულები მხოლოდ ვარსკვლავებს ჰყავთ, ოძნილი კი მეორეხარისხ-

ოვანი მსახიობი იყო. მეორე მხრივ, მოკლულის თითების ანაბეჭდები უდავოდ ჯაშუშს ეკუთვნის, — მან სიტყვა განწყვიტა, სიგარეტი გააბოლა და შემდეგ ისევ განაგრძო:

— ყოველ შემთხვევაში, დივერსიის შესაძლებლობა გავითვალისწინე. დაშიფრული კოდები სამინისტროს ზედა სართულებზე ჯერ კიდევ ორმაბათს აიგზავნა და კავშირგაბმულობის ცენტრი ორმაბათიდანვე იმასლა სჯერდება, რომ შუამავლის როლს თამაშობს და ჯერ კიდირებულ დეპეშებს გადასცემს.

— რუსებმა ხომ არ შეიტყვეს, რომ ხაფანგს უმზადებდით და ამიტომ მოიცილეს ოძნილი?

— აბა, ამას ისინი როგორ გაიგებდნენ? კავშირგაბმულობის ცენტრის თანამშრომლები ეჭვს არ ინვევენ, ამაზე თავს დავდებ. ყოველ შემთხვევაში, რუსებს კავშირგაბმულობის ცენტრში თავიანთი ჯაშუში რომც ჰყოლოდათ, ოძნილთან ერთად ამ ოპერაციის ჩატარება მათ არაფერში სჭირდებოდათ.

— იმ ქალიშვილზე რას იტყვი, რომელმაც ოძნილს საკეტის ტვიფრის ალებისას წაასწრო?

— ოდრი ზნაუერზე? მასზე ყველაფერი ვიცი. სუფთაა. ეს რომ ასე არ იყოს, რატომ მოჰყვებოდა ამ ყველაფერს?

— მაშინ, აბა, რა გვრჩება?

— მოკლული ჯაშუში.

— რატომ?

— შესაძლოა იმიტომ, რომ მან ყველაფერზე მეტისმეტად ბევრი რამ იცოდა. იმაზე, რაზეც ჩვენ ოდნავი წარმოდგენაც კი არ გვაქვს.

...

მეორე დღეს, პარასკევს, რენდი ციხეში მივიდა ივარ კადენის სანახავად. მწვანეკედლებიან და გისოსებიან ოთახში შეიყვანეს.

მაგიდასთან კაცი იჯდა, მის ზურგს უკან კი მცველი იდგა.

— მინდა, რამდენიმე კითხვაზე მიპასუხოთ, — უთხრა იმ კაცს რენდიმ.

კადენი გაურკვეველი ასაკის, გაუპარსავი, ჯმუხი კაცი იყო.

— ესე იგი, თქვენ მომახტით ზურგზე, არა?

ჩანდა, რომ ამის გახსენებაზე პატიმარი შეცბა.

— მე მხოლოდ ჩემს სამუშაოს ვასრულებდი, — უთხრა რენდიმ, — ისევე, როგორც თქვენ თქვენსას — ბარტონ ოძნილი უნდა მოგეკლათ.

— მართალი ხართ! ჩემი სამუშაო ეს იყო და მე ის შევასრულე.

— და მაინც, რამდენი გადაგიხადეს ამაში?

კადენმა თვალები მოჭყუტა და ემ-მაკურმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— კარგი თანხა მომცეს.

— რატომ მოკალით?

— ყური დამიგდეთ, მესიე, მე ჩვევად არ მაქვს ჩემი დაქირავებლისთვის კითხვების დასმა. მე იმისთვის მიხდიან, რომ სამუშაო შევასრულო და მეც შევასრულე, მორჩა და გათავდა.

— კომუნისტი ხართ, ივარ?

პატიმარი სკამზე აცმუკდა და თავის ხელებს დახედა.

— ვინ გადაგიხადათ თანხა იმისთვის, რომ ოძნილი მოგეკლათ?

— ნუთუ, მართლა გგონიათ, რომ ამას გეტყვით?

— ამის თქმა არც არაფერში გვჭირდება. ჩვენ ვიცით, რომ ეს საბჭოთა აგენტმა გიბრძანათ. ახლა უკანასკნელ კითხვას დაგისვამთ. მათ თქვენ დაგიზუსტეს, თუ რა დროს უნდა მოგეკლათ ოძნილი?

— ვიდრე ფორინ ოფისში შევიდოდა, ოთხშაბათ საღამოს.

...

სამსახურში დაბრუნების შემდეგ რენდიმ ერთხელაც დარეკა სამინისტროში. შიფრებთან დაკავშირებით არაფერი ანომალიური არ მომხდარა.

ტვინს გაუთავებლად ბურღავდა ერთი აზრი: ბარტონ ოძნილი იმ დროს მოკლეს, როცა მას თავისი საქმე უნდა დაეგვირგვინებინა და რუსებისთვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები გადაეგზავნა. რატომ მოკლეს?

როგორც ჩანს, ამას ერთადერთი ახსნა აქვს: მახის დაგება იყნოსეს და მოიცლიეს ოძნილი, რათა მას ლაპარაკის

საშუალება არ მისცემოდა. და რა შეიძლებოდა ეთქვა მსახიობს? ის კომუნისტების აგენტი არ იყო. ის დაქირავებული კაცი იყო, რომელიც მოპოვებულ ინფორმაციას იმას მიჰყიდდა, ვინც მეტს გადაიხდიდა.

ისეთი რა იცოდა დიდ ბრიტანეთში საბჭოთა ჯაშუშების ქსელზე, რაც შესაძლოა აღნიშნული არ იყო ინტელიჯენს სერვისის (ბრიტანეთის უშიშროების სამსახური) დოსიეში.

...

რენდს უკვე თითქმის გადანყვეტილი ჰქონდა ძიების შეწყვეტა. საბოლოო ჯამში შიფრების კოდს უკვე საფრთხე არ ემუქრებოდა. ჯაშუშში მკვდარი იყო, მისი მკვლელი კი ციხეში იჯდა. რალა დარჩა გასაკეთებელი? მაინცდამაინც ასეთი მნიშვნელოვანი იყო იმის გაგება, თუ რატომ დაიღუპა ბარტონ ოძნილი?

პარკინსონი ჩამოვიდა ახალი დეტალების მოსახსენებლად.

— კაცი სსრკ-ის საელჩოდან, — იჩქარა მან პატაკის ჩაბარება, — ინტელიჯენს სერვისს მუდმივ მეთვალყურეობაზე ჰყავს აყვანილი, — ის ცნობილი აგენტია, გვარად ბარსკი.

— იმის თქმა გინდათ, რომ დილით კადენის მოსანახულებლად ის მივიდა?

პარკინსონმა ეს ფაქტი დაუდასტურა.

— კაცი, რომელსაც ოძნილად მიიჩნევენ, ორშაბათს ბარში ბარსკისთან ერთად ნახეს. ამ ინფორმაციას რამე მნიშვნელობა აქვს?

— ეს მხოლოდ იმას ადასტურებს, რასაც ჩვენ ვფიქრობთ. შიფრებიანი კოდის შეცვლა, როგორც ჩანს, ოძნილს მაშინ მოაფიქრდა, როცა მას როლი შესთავაზეს სატელევიზიო გადაცემაში, რომლის ზოგიერთი სცენაც სამინისტროს ჰოლში უნდა გადაეღოთ. ჩანს, მან უკვე იცოდა, რომ კავშირგაბმულობის ცენტრში არის კაცი, რომლაც თავის გასაღება მას ადვილად შეეძლო. კვირას, როცა უკვე აიღო საკეტის ზომები, მან იცოდა, რომ უკვე არაფერი უშლიდა ხელს კოდის დაუფლებაში. ამიტომაც ორშაბათს ის კოდი საბჭოთა აგენტს შესთავაზა.

— და მაშინ სსრკ-ის საელჩო მოსკოვს დაუკავშირდა, — დასძინა პარკინსონმა, — და მოვიდა საპასუხო ბრძანება ოძნილის მოცილების შესახებ. გონივრული აზრია?

დიახ, გაიფიქრა რენდომ, მაგრამ ეს საქმეს სულაც არ ხდიდა ფარდას.

— რუსები, ალბათ, ფიქრობდნენ, — განაგრძო პარკინსონმა, — რომ ოძნილი უკვე ფლობდა კოდს. მოკლედ, რადგან ხელთ ჰქონდა გასაღები და შესანიშნავად ინიღბებოდა, მას ნებისმიერ მომენტში შეეძლო სამინისტროში შესვლა. ასე არ არის?

რენდმა ისევ გადააქნია თავი.

— არა, რადგან იმ პორტფელში არ იყო ერთი რაღაც: საშვი, რომელიც მას პირველი დაბრკოლების გადალახვის საშუალებას მისცემდა, ანუ ჰოლის დაცვას გასცდებოდა. სავსებით ცხადია, რომ იგი საშვს თავად ვერ დაამზადებდა. თავისი გეგმის განხორციელება მას შეეძლო მხოლოდ ერთხელ: სამინისტროს კედლებში სპექტაკლის გადაღებისას. და იმ დროს თუ გავითვალისწინებთ, რომელიც მას გასაღების დასამზადებლად დასჭირდა, კოდის ხელში ჩაგდებას მხოლოდ ოთხშაბათს შეეძლებდა.

— ის თავს იმის საფრთხეს ხომ არ უქმნიდა, რომ მეორე მცველი ამოიცნობდა და ამხელდა. მე იმ მცველზე ვლაპარაკობ, რომელიც სპეციალური ფრთის კარისა და კავშირგაბმულობის ცენტრს შუა დგას?

— თქვენ ხომ იცით, პარკინსონ, ეს როგორც ხდება. პირველი მცველი უფრო ფრთხილი უნდა იყოს, ვიდრე მეორე მცველი, — მისი მოვალეობაა გააკონტროლოს ყველა ის თანამშრომელი, რომლებსაც ყოველდღე ხედავს. ოძნილი კარში თუ შეაღწევდა, მისი წარმატება შენიღბვისა და მსახიობური ნიჭის წყალობით გარანტირებული იყო.

— აბა, რაღა გვრჩება, მესიე?

რენდმა თვალები მოჭუტა.

— ჩვენ გვყავს ჯაშუში, რომელიც დარწმუნებულია, რომ ჩვენს დიპლომატიურ დაშიფრულ კოდს მოიპარავს, რითაც დიდ წარმატებას მიაღწევს. რუსები-

ისთვის ამ კოდის ხელში ჩაგდებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ისინი აგენტს სწორედ იმ მომენტში კლავენ, როცა ის ამ კოდის დათრევას აპირებს. რატომ?

...

რატომ? ეს კითხვა პარკინსონის წასვლის შემდეგაც ჰაერში იყო გამოკიდებული. რენდი ფიქრებში გართული იჯდა სრულ სიჩუმეში და გრძნობდა, რომ ამ საქმეს იქამდე არ მოეშვებოდა, ვიდრე შუქს არ მოჰფენდა.

რენდომ გაიხსენა მანქანაზე მბეჭდავი ქალიშვილის ჩვენებები, მაგრამ ძალიან კარგად იცოდა, რომ მის ჩვენებებში არ იყო ის პასუხი, რომელსაც ის ასეთი დაუინებით ეძებდა.

წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და შუბლით ცივ მინას შეეხო. ტემპის ბობოქარ ღვარებს დასცქეროდა და სულ ცდილობდა წარმოედგინა მოსკოვში მყოფი კაცი, რომელზეც მისი გვარის გარდა არაფერი იცოდა.

რატომ მოიცილეს ოძნილი?

იმიტომ, რომ მეტისმეტად ბევრი რამ იცოდა?

არა.

იმიტომ, რომ მეტისმეტად ცოტა რამ იცოდა?

რენდი მკვეთრად შემობრუნდა და ტელეფონს ეცა.

— ფორინ ოფისის მდივანთან დამაკავშირეთ!

...

— მეტისმეტად ცოტა რამ? — გაიმეორა ოდნავ გვიან ჰეისტინგსმა, რომელიც მთლად დარწმუნებული არ იყო, რომ რამე ესმოდა.

სიგარეტის სქელი კვამლის ბოლქვებიდან არაქათგაცლილმა რენდმა დაუმონმა:

— ოძნილი იმიტომ კი არ მოკლეს, რომ მან მეტისმეტად ბევრი რამ იცოდა, არამედ იმიტომ, რომ არასაკმარისად იცოდა ბევრი რამ.

მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი ამ დიპლომატიური შიფრების კოდის ირგვლივ ტრიალებდა. რაღაც

მომენტში მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარი ერთი ეპიზოდი გამახსენდა.

ამერიკელი და ინგლისელი მეშიფრეების ჯგუფმა შეძლო იაპონელი სამხედრო ატაშეების მიერ გამოყენებული კოდის გამოცნობა. მოგვიანებით, სპეცსამსახურებმა (რომლებმაც ამაზე არაფერი იცოდნენ), შეძლეს ლისაბონში იაპონიის საელჩოში ერთ-ერთი შიფრის გატაცება. ბუნებრივია, იაპონელებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტეს შიფრის გამოყენება. სპეციალისტი მოკავშირეები ისევ უნდა შესდგომოდნენ საქმეს.

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ რუსები...

რენდმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და სირჩებში კონიაკი ჩამოასხა:

— ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ ამ დაშიფრული კოდით უკვე ხუთი წელია ვსარგებლობთ. რაღაც დროს ამ შიფრისთვის გასაღების მორგება მოახერხეს.

ახლა კი წარმოიდგინეთ მოსკოველი ადამიანი, რომლის განკარგულებაშია უკვე ეს კოდი, და ის კაცი იგებს, რომ რომელიღაც ჯაშუში, ვისზეც მან არაფერი იცის, მისთვის უკვე ცნობილი კოდის მოპარვას აპირებს.

ჰეისტინგსმა თავი გადააქნია, დიახ, ყველაფერი ნათელი გახდა.

— წარმოიდგინეთ, ოძნილს რომ მოეხერხებინა შიფრის მოპარვა, — განაგრძობდა რენდი, — ეს ძალიან ჩქარა, რამდენიმე საათის, მაქსიმუმ რამდენიმე დღის შემდეგ გამოაშკარავდებოდა.

რუსებს არ შეეძლოთ მისთვის ებრძანებინათ, რომ არ ემოქმედა. მათ ბრძანებებს ის ფეხზე დაიკიდებდა: ჯაშუში დარწმუნებული იყო, რომ კოდს მათ თუ არ მიჰყიდდა, მაშინ რომელიმე სხვა ქვეყანას მიასაღებდა. შესაძლებელი იყო მხოლოდ მისი ნეიტრალიზება: მანამდე მოკვლა, სანამ ის ოპერაციის ხორცშესხმას შეეცდებოდა.

— ბინძური ნამუშევარია, — დასძინა მან ლონდონის ჩირაღდნებს თვალებმიციებულმა, — ნამდვილად ბინძური ნამუშევარია.

— ახლა რის გაკეთებას აპირებთ? — ჰკითხა ჰასტინგსმა.

რენდმა კონიაკი მოყლუპა.

— ყველაფერი უკვე გაკეთებულია. ჩვენმა საელჩოებმა დღეს სადილის შემდეგ ახალი შიფრის გამოყენების ბრძანება მიიღეს. საინტერესო იქნებოდა იმ რუსის სახის ნახვა, როცა ის მასთან ახალი კოდით მისული პირველი დეპეშის გაშიფრვას შეეცდებოდა.

თარგმნა **დავით აბულაძე**



2014

ტ

მ

ს

რ

ჟ

ბ

ს

2

ISSN 1512-2433



9 771512 243001

ფასი 3 ლარი